სთონგსთონ

2018 №3 (29)

დაჩი და თინათინ ივანიშვილებმა პატარა თამარ თათანაშვილი გაიცნეს. ერთად ბევრი ითამაშეს, მათ სიცელქეში დრო ისე გავიდა სასწავლო წლის დაწყების პერიოდმა კარზე მოაკაკუნა. პატარები ჩაფიქრდნენ, გადაწყვიტეს საქართველოს მოსწავლეებისათვის სკოლის დაწყება მიელოცათ... ასეც მოიქცნენ...

UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2018 / 3 / (29)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2018



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

უნდა იცოცხლო უწმინდესო
აკროსტიხი

უშენობას ვერ აიტანს ერი,
ნექტრის წამალს გვიწილადებ ლოცვით
და ეს გვინდა ისევ ბევრზე ბევრი,
ალაგდება გულში გლოვის ბორცვი.

იისფერი გაზაფხულიც მოვა,
ცა ბობოქრობს, ქარიშხალით მოთქვამს,
ოცნებებით მე კი ფიქრის თოვას
ცისკრის დილის იმედებით მოვრთავ.
ხვალის დღეთა ვარდ-ბაღნარის ეშხით,
ლოდინის ხეს ეჟვანს ჩამოვწყვიტავ,
ომნამსხვრევი სამაჩაბლოს ვერხვს კი
უწმინდესო, რწმენით გამოვკვირტავ.
წმინდანი ხარ, საგანძური ერის,
მამულის და საქართველოს მწყემსი,
იქნებ ლოცვით აილაგმოს მტერი,
ნატყვიარი მიწა წყდება წელში.
დედამიწა ჩვენთან შენით ბრუნავს,
ენატკბილო, ჩვენო უწმინდესო,
საქართველოს განძ-საძვალეს მუდამ
ო, კვლავ მინდა ისევ შენ უმწყემსო.

გულნაზ ხარაიშვილი

მამა გაბრიელ

ერთ წამსაც არ მსურს იმ მადლს დავშორდე,
მამა გაბრიელ, შენ რომ მომეცი.
ჯობია უკვე ცრემლებს ვაშრობდე,
რადგან მეორედ შენით მოვედი.
სულის ლექსები შემომეფეთა,
მე მოვესწარი მეორედ მოსვლას,
გულიც სულ თოთო კვირტივით ფეთქავს,
ტანსაც სიკეთის სამოსი მმოსავს.

გულნაზ ხარაიშვილი



ჯვარცმა

ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე**

ფრესკა. ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლანჩაიშვილები, ანჩილ სანჯეფლიძე**

ქ

ესტონელების ეროვნული პოეტის 210 წლისთავისადმი ლექსი ლიუდოვიკ

ლუკვეთა ყაზეთელი, ესტონელი ახალგაზრდა სამეცნიერო
ენციკლოპედიური კვლევა, ჭეშმარიტ ეროვნულ ენციკლოპედიურ
ვნებისა და ეროვნული ენციკლოპედიური ენციკლოპედიური
ენციკლოპედიური ენციკლოპედიური, ენციკლოპედიური ენციკლოპედიური
ენციკლოპედიური, ენციკლოპედიური ენციკლოპედიური, ენციკლოპედიური ენციკლოპედიურ
ენციკლოპედიური, ენციკლოპედიური - ენციკლოპედიური, ენციკლოპედიური ენციკლოპედიურ
ენციკლოპედიურ ენციკლოპედიურ, ენციკლოპედიური ენციკლოპედიურ ენციკლოპედიურ
ენციკლოპედიური ენციკლოპედიურ ენციკლოპედიურ ენციკლოპედიურ ენციკლოპედიურ
ენციკლოპედიურ



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

წმინდანთ ეზოში გაზაფხულია,
შენს გვერდით მოდის ანკარა წყარო,
ვისაც საფლავთან მანდ გაუვლია,
მადლი მოსდევთ და იმედით ხარობს.

გულნაზ ხარაიშვილი



მამა მერაბი

დიდი მადლი დაგაფრქვია ღმერთმა,
შექმენ ხატი, მირონი რომ წვეთავს,
ამიტომაც რწმენით მრევლი მოდის,
შეხების დროს ხატი თითქოს ფეთქავს.

გულნაზ ხარაიშვილი

სადაც შენი საყდარია მამავ!

(მამა გიორგი თეთრუაშვილს)

მანდ, ეზოში ფეხით გამივლია,
სადაც შენი საყდარია მამავ,
გული ბევრჯერ ფიქრით დამიღლია,
კოსმოსიდან მოველოდი წამალს.
ეგ, ყაზანის ღვთისმშობელი ლოცავს
გადაღლილ და ჯვარცმულ საქართველოს.
კრძალვით შევთხოვ, მადლი მომცეს ცოტა,
შემოდგომით მეც რომ ჩავირთველო.

გულნაზ ხარაიშვილი

სიკეთის წყარო
(მამა ამირან ამირანაშვილს)

მამა ამირან, სიკეთის და იმედის წყაროვ,
დაბადებულხარ გაზაფხულზე 24 აპრილს.
მოხდა წყალობა, ზეიმია, თბილა და დარობს,
ზღვის ტალღას მისდევ, მწამს გააღწევ
სიკეთის ნაპირს.
მზის პენი დაკრავს იმ განვლილ წლებს,
დროთა გაცვეთილს,
აზეიმდა და აფაქიზდა, ციურ ნათებად,
თქვენ შეისწავლით შეუცდომლად,
უფლის გაკვეთილს,
ამზიანდები, აბრწყინდები, ათინათებათ...
მყავდა მეუფე მირიანი სულის მკურნალად,
გამოჩნდი მაშინ, ის როდესაც გარდამეცვალა,
ლამის გაქციო „ათინათის“ ლამაზ ჟურნალად,
როს შემოფრინდი, გაზაფხულის ლამაზ მერცხალად.
მამა ამირან, დას მიწოდებ, გმადლობ ამისთვის,
ბედნიერი ვარ, ამ სიმდიდრეს გაუფრთხილდები...
ქვის ნატეხი ვარ, გამიძლია დროთა-ჟამისთვის,
მიხმე მამაო, თუ ოდესმე მეც დაგჭირდები!

გულნაზ ხარაიშვილი



„ათინათო"

ათასნაირ ფერით მოგრთავ,
„ათინათო" სულის მნათო...
ბევრჯერ ვდარდობ, ბედით მოვთქვამ,
შენით ვხვდები ისევ სათნო...
არც მჭირდება სხვა პატრონი,
წმინდა ნინოვ, შენ მფარველობ...
ყველა დარგში მყავს ავტორი,
ხან ვჯეჯილობ, ხან ვმთაველობ,
ვმოგზაურობ აქაც-იქაც,
„ათინათით" ვალღობ ყინვას...
მტერიც მოყვრად გადაიქცა,
აღარ ვისმენ სულის გმინვას.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის" მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

გადმოერია ღრუბელი

გადმოერია ღრუბელი
მძიმე შავ-შავი ფერისა
ის არ დაეძებს, შენ რას სტირ,
თავის სიმღერას მღერისა.
ნუთუ ეგაა ნიშანი
უგრძნობელ ბედისწერისა?!
ვერაფერს აკლებ, არადა,
ღონეც აღარ აქვს ცქერისა.
ამოხმაურდი, გრიგალო,
მტერსა თავს დაეც ზარია,
მართალთა გულისწყრომასა,
სხვაც ბევრი გაუბზარია;
გადააცილე მთებს იქით,
იქნებ ჩამოდგეს დარია,
კვლავ გაგვახაროს ღვთის მადლმა
ადრე რომ გაგვიხარია!..

***

შენ მოწყალე ხარ, სახიერი,
ტკბილი მშობელი,
შენ მოგვეც წყარო სინანულის
დაუშრობელი...
უშენოდ ყველა სიხარულის
წყარო წყვეტილობს...
უძღები შვილნი შეგვიწყნარე,
მწყემსო კეთილო...

***

(ძველი ლექსებიდან)

უკარებავ და თავნებავ,
ცად ვარსკვლავად ასულო,
დამატყვევეს მაგ თვალებმა,
შავთვალება ასულო.
მთებს და ველებს შევძრავ შენთვის,
მითხარ სხვა რავ ვიღონო?
რა იქნება ერთადერთი
სიტყვა რომ გამიგონო?
ეზოს ვარდი დაამშვენებს,
ისევ სამაისოდა,
წელს რომ ბაღში ავაშენე,
შენთვის მინდა ის ოდა.
შენ დამშვენდი ცოცხალ ვარდად,
მოდი, ჭერი ასწიე,
ცარიელი დარდი ვარ და
სიხაურლად მაქციე.

სიცოცხლის მშვენიერებას..

ყვავილი ფერად ფერადი
აყვავებულა ველადა,
სამოთხის შუქად მოსულა
ნელსურნელ-საკმეველადა.
წყაროც ჩქეფს... წყარო ანკარა
ქცეული ბროლის ჩქერადა...
შესვამ – სიცოცხლეს გიმატებს –
არც ნაკლებია ცქერადა...
ასეთი მადლი, ნანატრი
ბევრგან ფრქვეულა ძველადა...
სიცოცხლის მშვენიერებას
ანგელოზი ჰყავს მცველადა.

***

თ-ოვს და ნაზდება თითქოს ბუნება,
ა-თოვს ხეივნებს, ბაღებს, შენობებს...
მ-სურს ამ სტრიქონებს თაიგულებად
რ-ამე ლამაზი ლექსი შვენოდეს.
ი-ას მზე უყვარს სხივთა მფრქვეველი,
კ-არგს, კარგი გულით გინატრო, მინდა
ო-ცნება გქონდეს დაულეველი
ს-იყვარულივით ნაზი და წმინდა.

ვაცარა ანგელოზების ნაცვრა

ნატვრის თვალო,
ნატვრის თვალო,
ნატვრისაო!..
ვის ვერ გხატავს მარჯვე ხელი
მხატვრისაო,
ვისაც ელვებრ გაელვარებს სხივი ცისა,
ვინაც გლეხკაცს გვირგვინს ადგამ
ხელმწიფისა.
გვახსოვს, ღარიბს უსაჩუქრე ოქროს ქისა
და უდაბნოს სურნელს აფრქვევ ყვავილისას..
კვლავ ინებე სასწაულთა გამოჩენა,
ღმერთს შეჰვედრე საქართველოს
გადარჩენა!.. ამინ.

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა...

უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკკამკამა მარგალიტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.
ამინ.

2001 წ. 1 აპრილი

შენ ხარ მარადი იმედი მიწის...

შენ ხარ მარადი იმედი მიწის,
სიხარული და სიცოცხლე მისი,
შენ ააყვავე თეთრი დილები,
უშენოდ ტკივილს რა დაგვიამებს.
შენ გეძიებენ ტყის ყვავილები,
შენით უხარით ადამინებს.
ხარ მაღალი და ხარ გულკეთილი
და სულ მფარველობ ადამის ძესა.
რაც თავი გვახსოვს, მხოლოდ სიკეთეს
და მარადიულ სიყვარულს თესავ.
დარი რომ იყოს, ცის ლაჟვარდს ნაწვიმს
კრძალვით შეაბამ ნაზ ცისარტყელას...
რა ბედნიერი იქნება კაცი,
ამქვეყნად შენ რომ გბაძავდეს ყველა.

***

ჟამი, ნუგეშისმცემელი,
მოვა მარტოდენ ღვაწლითა,
სიმართლისათვის შეწირვით
სიცოცხლის მადლით და წვითა.
დიდება თვალსეუდგამთა,
სვეტებთა – ცამდე აწვდილთა,
მადლის მწვერვალთა წვერიდან –
ცაში აფრენილ არწივთა...

***

არწივი ჰკრავდეს კამარას,
ლომი თუ ისევ გალობდეს,
აქ შენსა გაბრწყინებასა
ცის საქართველო ხარობდეს.

მოეფერეთ ვაცარებს

ყველა ბავშვის ტირილი
გულზე ეკლად მესობა,
რა სჯობია მათ ჭიკჭიკს
დარის უკეთესობას?!
მოეფერეთ პატარებს,
თბილი გული უჩვენეთ,
უხვად სძღვნიდეთ ტკბილეულს,
ხილეულს და ჩურჩხელებს;
გაიზრდება პატარა
ერის დიდი ბურჯივით,
ოღონ უხვად დაბერტყეთ
მადლის დიდი ხურჯინი.
ხასიათის გაწვრთნა ჯობს
ჭირვეული თუ არი,
მათ ხვეწნაზეც ხან „ჰო“ სჯობს
და ხან კიდევ უარი

2000 წ. 9 ივლისი.

წარვერი. წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონის დღე



მამა ამირან ამირანაშვილი

მზეო

მზეო, შე დამწველ-მდაგველო,
მსოფლიო შენ გელოდება,
დღეს თუ გვინათებ შეგვარგე,
ნუ გადაგვაქცევ ლოდებად.
შენ დანახვაზე იხდიან,
ზღვის ნაპირს ეშურებიან,
თავს გაწონებენ ყველანი,
მერე ქვიშაზე წვებიან.
რა ფერი გინდა, რა სქესი,
შენი ალერსით ტკბებიან.
ზოგი უზომო ვნებებით
შენ სხივში იფუფქებიან.
რატომ ხარ დაუნდობელი,
ამდენ ქალწულებს ტყავს აძრობ,
მოგწონს ამათი კნავილი,
შენ კი არაფერს არა გრძნობ.
როგორ გიწოდო გულცივი
სიცხეს ვერავინ გიზომავს,
კარგი იქნება, ნუ დაგვწვავ,
და სითბოს გამოგვიზოგავ.
ბათუმი, 11.VIII.18წ.

დიმა ჯაიანს

კიდევ ერთხელ დაირეკა გლოვის ზარი,
კიდევ ერთხელ გადმომდინდა ცრემლი...
ბოლო გასტროლს ატარებდა ჯაიანი,
რუსთაველზე შეიკრიბა ერი.
ყოჩაღ დიმა, ყველას როგორ ყვარებიხარ,
შენი წასვლით გული როგორ გვტკივა.
შენს აფხაზეთს, აჭარას თუ
სამეგრელოს...
შენი წასვლით ყველას ცრემლი სცვივა.
თბილისი, 2018წ.

ეპოქის ატანა

რა ხდება, აღარ გვაქვს ატანა,
სანამდე მივიდა სატანა.
ვაჟები თავზე ბანტიანი,
სხეულზე ჭრელ ტატუიანი,
დაგლეჯილ შორტებით ხეტიალი,
გოგონებს ჭიპ-ბოყვი გადმოყრილი,
ვდგავარ, ვუყურებ და ჩუმად ვსტირი...
როგორ გაგვიოხრეს ამდენი...
ყურებში გაჩხერილი სადენი,
კალკოტკა დახეულ-დაგლეჯილი,
მუსიკით კბილები დაკრეჭილი...
აღარ სურთ თოვლის ბაბუა,
ჩაიცვეს სანტას ქუდები,
მოსწავლე, ბავშვი თუ ქურდები.
მღერიან იმპორტულ ენაზე,
მსჯელობენ ევროპულ თემაზე.
ინტერნეტ სივრცეში ჩართულები
არხები არ უნდათ ქართულები...
ღმერთო, დაიცავი მომავალი,
განდევნე ეშმა და სატანა.
მოგვეცი რწმენა და მხნეობა,
რომ შევძლოთ ეპოქის ატანა.
ბათუმი, 11.VIII.2018წ.

შენ იხარე მხოლოდ და...

უფარდებო ფანჯრებზე ნისლი ჩამოეფარა,
ზღვა ზეცაში აიჭრა გადაფარა ქვეყანა.
ზემოდან თავს დაგვესხა, ხალხი სახლში შეყარა.
ვიღას ახსოვს სეირნი, ზღვამ გვაჩვენა სეირი.
გაგვირისხდა უფალი, მასთან ერთად ალახი,
ქუჩაში ვერ გავდივართ წელამდეა ტალახი.
მოგვენატრა ბულვარი, რბილი მწვანე ბალახი.
ასეთ სურათს ვერ ნახავ, თუ არა ხარ ბათუმში
ასეთი რამ არ ხდება ვაკეში და ნავთლუხში.
“ჩემო თბილის ქალაქო”, აქაც თუ გადიდარა,
“შენ იხარე ოღონდ და, მე სხვა არა მინდა რა”.
ბათუმი, 10 აგვისტო, 2018წ.

ლოცვა

შანდალზე ჩახჩახებს სანთელი
ტაძარს ეფინება ნათელი.
ღმერთო, დამილოცე ქართველნი,
მინთია წმინდა სანთელი.
წინაპართ ნაომარ მიწაზე,
ქართველო, უფალი იწამე.
რად მინდა ისეთი მიწა მე,
მოყვასი თუ ასე მიწამე.
თუ ჩემმა ჯილამ არ იხარა,
მტერმა თუ მიწა შემიბღალა,
შვილებმა თუ არ გაიხარა,
თავთავი სეტყვისგან მოიხარა.
წაგვლეკა ფერადმა რასებმა,
მიწა მშობლიური წუხდება,
მოყვარეს გულები უსკდება,
ღალატი ცის ეკრანს შუქდება.

17.VIII.18წ.

ჩხარის წყაროსთან

ბათუმში ვარ, მაგრამ მაინც ჩხარზე ვფიქრობ,
აგვისტოში ვიკრიბებით კლასელები.
სიყვარულით ვეფერებით ყველა და-ძმას,
სიხარულის ცრემლით გვევსება თვალები.
სია ნახეთ, ხომ არავინ გამოგვაკლდა,
შარშან ყველას, რომ დაგვწყვიტეს მწარედ გული.
სპორტის ოსტატი ილიკო წაგვივიდა,
ჩხარის "დედა", ჩვენი ძვირფასი მაგული.
ვინც გადავრჩით, ხომ ყველანი კარგადა ვართ,
დღეს ბავშვობა გავიხსენოთ მხიარული,
ვიჭუკჭუკოთ, ერთმანეთი გავამხნევოთ,
რომ წყაროზე კიდევ შევძლოთ სიარული.
ბაბუებო, ბებიებო გენაცვალეთ,
რომ მოვდივართ და ერთმანეთს კვლავ ვახარებთ.
ვეზიაროთ უკვდავების ჩხარის წყაროს,
მე მჯერა, რომ იმ სოფელშიც გავიხარებთ.
საყვარელი ჩვენი კლასი არ დავშალოთ,
ნელ-ნელა ხომ ამ სიიდან წავიშლებით
მერე უფლის სამოთხეში შევიკრიბოთ
იქ ნამდვილად, არასოდეს დავიშლებით.

ბათუმი, 7 აგვისტო, 2018წ.

ნისლიანი ხვღამო

ისევ წვიმა და ნისლებით,
იფარება არე-მარე,
მარტოობის სევდის ნისლში
დღეს სამყარო მოვიარე.
სადაც მინდა იქ ვიქნები
გავაღვიძებ წარსულს მძინარს,
ბავშვობიდან სიბერემდე
სად მეძინა, სად მეღვიძა.
სადაც ფეხი დამიდგია,
სადაც ენა ამიდგია,
წინაპართა მამულებში
ტკბილი ვაზი დამირგია.
მიცეკვია, მიმღერია,
ცრემლიც ბევრი დამიღვრია,
მისწავლია, მიცელქია,
ჩუმად გოგოც მყვარებია.
მერე წინაპართ მამულში
ერთი სახლიც ამიგია
ჩემი შვილთა შვილებისთვის
ყველაფერი შემირგია...
პოლონეთი, ბულგარეთი,
გერმანია, რუმინეთი,
სინგაპური, ავსტრალია,
ჩეხეთი, შვეიცარია.
ამერიკა თუ რუსეთი,
ტაჯიკეთი, უზბეკეთი
ყაზახეთი და თურქეთი
მთელი ბალტიისპირეთი.
უკრაინა, საბერძნეთი
სასომხეთი, ინდოეთი
აზერბაიჯან, ოსეთი
სლოვაკეთი, საფრანგეთი.
ჩამოთვლითაც დავიღალე
მოვიარე რაც რომ ფრენით,
ყველას ჩხარი მირჩევნია,
მე ვამაყობ ჩხარო, შენით.

ჯგუფი ხლვარი

სერგი ლომაძე

ხამყარო

ყველანი რომ ვწერთ, ჩვენ ველარ ვატყობთ,
ერთმანეთისგან რით განვირჩევით,
აღარ სხვავდება ფქვილი და ქატო,
აღარ ფასდება ლექსი ღირსებით;
ყველა ვპირველობთ, და ველარ ვატყობთ,
ერთმანეთისგან რით განვირჩევით...
მე, ახლა, ვუსმენ ზეცათა ხმაურს,
და ვარსკვლავები ქსოვენ ხალიჩებს,
სული კი ებრძვის ტკივილს აქაურს,
ყველა სირეგვნეს, რაც ცად არ მიშვებს,
ხომ სულის სახლი აიმ ცებშია,
და შეიძლება, აქა, გაგიჟდეს...
მე აღარ ვფიქრობ, ვინ არს პირველი,
მე აღარ ვფიქრობ, ვინ არს მეორე...
კოსმოსის ხმაურს და გულის ხმაურს,
მაღალი ღმერთი, იქ, იმეორებს,
სადაც თვითონ წერს მთელსა სამყაროს...
სად არის ნეტა, ვიცოდე, ო, ეს...
სამყარო არის ღმერთის პოემა,
უზარმაზარი და უსასრულო;
მე, ახლა, მიწა მემარტოვება,
მეცოტავება, სული მარხულობს,
და გალაქტიკებს მისტირის სული,
აქ დაბორკილი იმ სიმაღლიდან,
გალაკტიონის „გაფრენის სურვილს”,
და თვით რუსთაველს, ფიქრს რომ ადრიდა...
ღამე იისფერ კაბას იხდენდა,
მოდის სითეთრე, ღამე ატირდა.
მზე უფრო აჩენს არასწორ ხაზებს,
ადამიანნი რასაც მივყვებით,
და სიყვარული დავკარგეთ ასე,
დავკარგეთ, ღმერთი, ყალბი სიტყვებით,
ჩვენი ქმედება ვერც ითვლის ას წელს,
ასიათასჯერ, თუმც, ვქილიკდებით...
არ ვიცი, რაა ცხოვრების აზრი,
მაგრამ მე მინდა დიდი ცვლილება,
რადგან ეს სული, თეთრი და ბასრი,
არაფერს აღარ ემორჩილება.
უსასრულობა ჰქვია გზას, მანძილს,
ვარსკვლავთა, მთვარის, მზისა დინებას,
და გამჭვირვალე მთებსა და ველებს
ცის ფერადები დაეფინება.
წარმოსახვები მთლიანად მანგრევს,
წარმოსახვები მაცოცხლებს თანაც.
მე, ახლა სულის ფანჯარას ვაღებ,
მე პოეტი ვარ, და ღმერთიანად
მინდა რომ სულში მქონდეს სამყარო,
სრულად, ერთობით, სულ, სულ მთლიანად...
ძალზე ბევრნი ვწერთ, ველარკი ვატყობთ,
ერთმანეთისგან რით განვირჩევით;
ხოდა, არცა ვარ, მე, კმაყოფილი,
თუნდ მეფურ ნიჭით, გარჯით, მიღწევით;
ვარ არაფერი, მაგრამ არ ვნანობ;
პოეზიაში სიკვდილს ვირჩევდი;
მინდა რომ გავქრე დიად სიტყვებში,
სიტყვათ მორევის თეთრი მითებით...
და სიტყვებია, ჩემთვის, სამყარო,
მათი მუსიკით, ფერით, სიცოცხლით...
მაინც ვერ მივხვდი, ბედნიერება
რა არის ... ვრჩები ისევ იმ ლოცვით,
მუდმივ ძიებით, გზას რომ მასწავლის;
ეს გული, სული, ხშირად ილოცვის...
არის კითხვები, სდუმს პასუხები;
არის პრობლემა ერშიც, ბერშიაც;
ჩვენ ყველას გვიცდის ჩვენივე ჯვარი,
ობოლი ჯვარი... ეს ნუგეშია...
ათას აზრსა ვდებ თითო სიტყვაში...
დავეძებ მწვერვალს, სრულად ეშხიანს...
დასრულდა, აი, ესაა ბოლო,
ლექსი გაქვავდა, როგორც გოლგოთა,
ღმერთი კი ისევ მისივე მეს წერს
სამყაროს სახით, აი, როგორ და,
ეგ მე არ ვიცი, არც ვინმემ იცის ...
ყველამ თავისი ტვირთი ასწიოს...
თენდება, მიდის, ცის იქით, ფიქრნი
და ცათა მიღმა ისმის: „აქსიოს!...

უკვდავება

(ეძღვნება ფიქრისფერ ქალს)

შენ არ მოკვდები, რადგან
შენ ხარ ისე ლამაზი,
რომ დაიღუპო,
სილამაზე დაიღუპება.
არ დაბერდეები, –
სიყვარული არა ბერდება,
არც კვდება,
ბოლოს იფანტება ცაში
ღრუბლებად.
შენ არ მოკვდები,
მზის სხივები
კვლავ დაგაბრუნებს.
მე შეგეხები ოცნებებით,
სიზმრის თითებით.
დრო მოვა, როცა
სიყვარულის ღმერთად გაკურთხებ,
და თმებს შეგიმკობს
ნისლისფერი მარგალიტები.
შენ რომ არ იყო,
ეს არაფრით არ შეიძლება!..
უღრმეს თვალებში
საუკუნე წამად გაიარს...
მთელი ცხოვრება
იყო მხოლოდ
შენზე ფიქრები,
ყველაზე მეტი ამ ფიქრთაგან,
ბოლო წამია..
შენ არ მოკვდები...

კახა ბაციკაძე

სიცყვების ცანგო

წვიმიან, ფიქრიან, სევდიან ამინდებს
უგნურნი ებრძვიან, უფალო დაინდე,
რამეთუ მათ წვიმის ფასი არ იციან...
მე კი წვიმისფერი სიცოცხლე მიცვნია...
ფირუზის ტუჩები ცეკვავენ მუზებთან,
ვარსკვლავთა კარავში კრთის ზეცის კალია,
ფერმკრთალი აჩრდილი კართან იტუზება,
მისი სიფერმკრთალე ცხოვრების ბრალია.
ღვინო და კინო და კინოდან კიოდა
ლამაზი არმაზის ბილინგვის ფერებით,
ქალწული, რომელიც ბედს უჩიოდა,
და ჰკვეთდა სამყაროს კრიალა ბგერები...
ვგრძნობ, ქარმა გაშალა კაშნები კაეშნის,
არ არის სიცოცხლე ლექსების გარეშე...
ოცნებავ, ზეცისკენ არ უნდა გამეშვი,
ახლა კი იცოცხლე უნაზეს მთვარეში...
და ისევ ლექსების, ლექსების მხარეში...
წვიმიან ფიქრიან სევდიან ამინდებს
უცხონი ებრძვიან, უფალო, დაინდე,
რამეთუ მათ წვიმის ფასი არ იციან...
მე კი წვიმისფერი სიცოცხლე მიცვნია...

ადამიანი

ადამიანო, შენზე დიდხანს ცოცხლობენ ქვები,
და ხის ტოტებიც უფრო მეტხანს ცამდე აწვდილან,
ქვიშის პატარა მარცვლებიც კი, მიწაზე გდებით,
ჯერ არ დაღლილან.
ადამიანო, შენ ბერდები, დრო, რგორც მკვლელი,
დაგსდევს ყოველ წამს, გითვალთვალებს, თავ არ განებებს,
დგას მომავალი შენს წინ, როგორც ქარბუქი ბნელი,
მზე ვერ ათენებს.
კვლავ დაეცემა ევერესტის უთეთრეს გუმბათს,
უჩუმეს, ღამით, ვარსკვლავების მიმქრალი შუქი,
მაგრამ ვიღაცა ამოუცნობს ქსელი გაუბამს,
ობობასავით, შენი დაღუპვის,
და მოვა ჟამი, ვერ იხილავ
ვარსკვლავების მტვერს ევერესტზე...
ადამიანო, შენზე დიდხანს ცოცხლობენ ქვები...
ბუნებრივია, რომ ვატარებთ ამდაგვარ ფიქრებს,
განწირულებს ასეთ ხარისხს აბა ვინ ახსნის?!.
მაგრამ ერთ რამ გავიხსენოთ, ადამიანო, –
იესოც იყო და იცოცხლა ჩვენზე ცოტა ხნით...

გიორგი ზუხბაია

წყვდიადს

სულზე ჩამოღვრილ სისხლს ვერ ვიდედებ,
ჩემს შიგნით ასე საოცრად ბნელა...
როგორც ცოფიან ძაღლს მიიმწვდევენ,
მერე ქამანდით ახრჩობენ ნელა,
მე მომიმწყვდია ისე, სუყველამ:
ბედნიერებამ, ოცნებამ, სითბომ...
მაგრამ მე მაინც არ ვითხოვ შველას,
დამნაშავე ვარ, რადგან, მე თვითონ!
არ მშველის წყევლაც, არ მშველის ლოცვაც,
ჩემი ქმედება – ეს არის ფერფლი,
მიწა მაგონებს იუდას კოცნას,
და მე თვითონ ვარ მხეციც და მსხვვერპლიც.
ჩემს დროს ტკივილის ფანტომი გასდევს,
სული სავსეა ცისგან დაღუპვით...
და მე ვნადირობ საკუთარ თავზე,
და საკუთარ თავს თვითონ გავურბი...
მზე გამეყინა და აღარ გალღვა,
გული იძლია აღარც იძლია...
ადამიანებს მოგმართავთ ახლა:
გთხოვთ მაპატიოთ, თუ შეგიძლიათ!..
ცხოვრება არის ბნელი სარდაფი,
ვცადე და წყვდიადს ვერ ავერიდე...
გთხოვთ მაპატიოთ... სხვა თუ არაფრის,
ლექსების გამო მაინც შემინდეთ
მე – საუკუნის ღვთაებრივ სულელს...
რასა აქვს აზრი? – კითხვა მაქვს, სულ, ეს...

გურა-ანგურა
(გურამ გედევანიშვილი)

მზე გრძნეულ ვაზში!

მე, უძრავ, ვარ და დავსეირნობ მთელს სამყაროში,
ვსდუმვარ და სიტყვათ კორიანტელს აქ ვატრიალებ
სურვილთა ვთოკავ, განვსხეულდი მიმფრენ ქორებში,
ნამყოს ვისრუტავ აწმყო-მყობადს ვაერთიანებ.

კოლიზეუმის ასპარეზზე ვგდევარ დაჭრილი,
ველი განაჩენს, უკანასკნელს, მახვილის დარტყმას,
მე, კართაგენის მეომარი, რომის კარიბჭით
როს მოვდიოდი, გახელების ყიჟინა მახლდა.

მერე, ტყვეობა, მონობა და სამკვდრო ბრძოლები,
გლადიატორის მძიმე ბედი, ბრბოთა ვნებებით;
დაუნდობლობა, მძვინვარება შემაჟრჟოლები,
სროლა სათხედთა, გაწივლება-გადაფეთებით.

მე, არენაზე ხელთაშუბის წვერით განმგმირეს,
თვალნი მარიდეს სიბრალულის და დანანების,
ზეცად გავფრინდი, შევერიე მიმფრენ არწივებს,
მდუმარს წყლებისკენ, უდაბნოურ სივრცის ფერებით.

იქ, დავეყუდე მარტოსული, მარტოდ მყოფელი,
ლოცვით და გვემით და ცოდვათა მონანიებით,
მივხვდი, ... რომ ერთი მარადია – განუყოფელი,
როგორც წვიმანი და მცინარე ია-იები.

ილინოისის ციხის კედლებს მკერდით ვიცავდი,
პრიამოსის-ძე – ჰექტორ, ღმრთისგან გამორჩეული,
მე, ტროას მკვიდრთა დამედინა გლოვის წვიმანი
მკვდარს, აქილევსის ლახვრისგან როს ვიყავ ძლეული.

დიდგორის ბრძოლად დავითს ვახლდი ბეგთარ – მახვილით,
ჩახერგილასთან მტერი ვკაფე, სისხლი ვანთხიე,
წითლად შევღებე მთის კორდებზე ქორფა ღანძილი
და კაცთა სისხლით დღე დავმარხე, ღამე დავხიე.

ბევრი ვიტირე ამის მერე და ვივალალე,
დრონი დავწყევლე და გაჩენის მძიმე წუთები,
რად, დავეძებდი სიყვარულის გრძნეულ ტრამალებს,
თუ, უფალს დიად მიტევებას ჩამოვუხევდი.

ქვის მთლელად ვიქეცი, ტაძრიონთა აღსაშენებლად;
ჰარმონიათა დალაგებით ვჟღერდი სიონად,
მზე გრძეულ ვაზში თლილ ჩუქურთმად მე მაღელვებდა
და გახელება, ჟამთა სივრცით, მარადიულად.

რუსთველთან ერთად, იქ, შავეთის ბნელ ტარტარებში —
ქაჯეთის ციხედ, დატყვევებულ მზის დასახსნელად,
მე სამთა გმირთა მოლაშქრეთა რიგებში ვბრძოდი,
ქაოსის გველის დასალეწად, დასამარცხებლად.

ვირგილიუსმა სალხინობელს მიმიპატიჟა;
იქ, დანტეს შევხვდი ძველთა კოლხთა, ძველთა იბერთა,

ხვრელით, წრებრუნვით უცებ მოვხვდი სხვა სამყაროში,
სად ნამყო, მყობად დროებებთან გადაიკვეთა.

ვმოგზაურობდი მარსის წითელ სივარვარეშიც
რეი ბრედბერი მთავაზობდა მარსის ქრონიკებს,
ხმები მესმოდა ვარდისფერი „ცისფერ ტრიოსი“
და მღელვარების გულთყრისაგან გარდავიცვალე.

თავგაჩეხილი შევეწირე აპრილის ღამეს,
მჭრელი ბარები ტრიალებდა სიკვდილის ცელად,
თავისუფლება შემოჰქონდა იმ დიად წამებს
და სულით, სულით მიმფრენ გედთა სიმღერას მღერდა.

შემოდიოდა სული წმიდა სოფის ლაჟვარდით,
განდეგილ მამათ შევეკედლე, როგორც მორჩილი
და სავანეში, იქ, უმაკოდ ჩასახვის დარად
მე ... გავიხარე ბროლის დედის სხივთა მოხილვით.

ისრით დაჭრილი, დაბუგული გოგირდის წყლებით,
ხოხობი ვიყავ დაისრული გორგასლისაგან,
თბილისს ვაგებდით – დედაქალაქს უწმინდეს ქვებით
და მთან იბერთა სასწაულებრ გადაიქარგა.

ჩვენ ენას ვქმნიდით, ხოლო ენა ღვთივ სასწაული
გვაყალიბებდა კოსმოსის ძეთ ქვათა და რკინად;
ასომთავრულით, ვით ძველ შუმერთ, შემდეგ მხედრულით
ნუსხა ხუცურთან ზიარებით გვშობდა და გვზრდიდა.

გადამიარა გულზე მძიმედ მონღოლთა ეტლმა,
ასურთ ცხენების ფლოქვთა დარტყმით მწარედ ვგმინავდი,
ელინთ ვებრძოდი, რომაელთაც, ცეცხლების დელგმად
არაბთ სამუმში ტანჯვით ვხარშე წმინდა მირონი.

თამარის დროში ხნული ვიყავ ანეულების,
წვიმა ვიყავი, მზე ვიყავი, ტყე მოშრიალე,
ყანა თავთუხის დალოცვილი მთვარეულებით
მზიური დედის მადლიერი და მოტრფიალე.

შრომის ოფლს ვღვრიდი დაკოჟრილ და დამსკდარ ხელებით,
ხან სახნისს ვჭედდი ხანაც მახვილს „ავად მომღერალს“
ალგეთს დავზარდე იქ მოკლული მგლისა ლეკვები
და ჩავიმუხლე ფსკერუწვდენელ ცოდნის მორევთან.

აკვნებსა ვთლიდი, ურმის ხელნებს, უღელ-ტაბიკებს,
ცელსა ვკვერავდი, ლომა კამეჩთ ვეფერებოდი,
რქებზე დავუნთე სანთლები და ღმერთი ვადიდე,
ფანდურს ლარები დავუჭიმე ღიღინ-მღერებით.

გურამიშვილში შემოვედი სწავლის მძებნელი,
მთელი ევროპა მოვიარე სულხან-საბასებრ,
„წარვედ წყლისა პირს სევდიანი“ ცისფერ ედემით
და ის ედემი სანუგეშო ცრემლით დავნამე.

2013-2018 წწ.



ქართველი ფეოდარეში.

ნახ. გუნაშ გელოვანიშვილისა.

ანტიკური ეპოქა. გლადიატორი.
ნახ. გურამ გელოვანი-ყვილისა.

„ხილული მდინარის გვერდით
არის მდინარე უხილავი.“
(გ. გეგეჭკორი)

ათინათები ვიყავით
დრო-ხანში გადათფრენისას

დრო-უდროობის მდინარე მოდის და მიედინება,
ჩაივლის ჩამომავალი, კვლავ ჩა – ჩამოედინება,
შეხვალ და განებანები, აწმყო არ მოგეწყინება,
ძველ ჩქერალს შემოგაშხეფებს და ბავშვურ გაეღიმება.

ნიბლია ჩამოგჟღურტულებს უძველესს ჰანგებს ცისისას,
მზის დედას ჩამოახედებს უნახავს, დანახვისისას,
ძველ ნიავთ ზღაპარს მოგახვევს, ფოთოლთ გარდასულ ტყისისას,
შენს ლხენად აახმიანებს წარსულს, ნატრული დისისას.

აქავას შემომდინარი იქ გავალთ გადამდინარედ,
იქ, გავიღვიძებთ სულითა, აქ თუ, ვიყავით მძინარედ.
სიყვარულს შემოგვაფრქვევენ, რაიც ნატვრითა ვინატრეთ,
აროდეს არ გავიყრებით, დრონ ყველას დაგვაბინადრებს.

დავჯდებით, ვიტყვით ყოფისას, ამბებს სასაუბნაროსა;
იქ დავუძახებთ წვიმასა, მზესა, მთვარეს და ქაროსა,
მიწასა გულჩახვეულსა, ყანებით გასახაროსა...
და ვიტყვით, ისე ვიცხოვროთ, არცა ვინ გაილახოსა!

ერთხელც, ხომ უნდა დავაწყოთ ეს, სატიალო სოფელი,
ნუ, გავყოფთ, ყველასი იყოს, რაცა არს განუყოფელი,
შემოგვჭიკჭიკებს ნარჩიტა, მიწად ბალახის ფოთელი,
შემოგვციცინებს ანკარა – წყარო ცის შემამკობელი.

გადავიხედავთ მიღმიერს, გავხედავთ დროის ხვრელოსა,
გადამრუდებულ სარკისებრ კრიმანჭულს სასიმღეროსა,
შორიდან წამომავალსა გაბმულსა ჟამიეროსა,
როცა ღვთისშვილნი ვიყავით და ტანს ანბანი გვემოსა.

ვმღეროდით როკვა-თამაშით, ფრთათ ვგავდით მჭვირვალ ზეცისას,
ა თ ი ნ ა თ ე ბ ი ვიყავით დრო-ხანში გადაფრენისას,
იკვირტებოდნენ ხეები და ნაყოფთ საოცრებისას
სიცოცხლით აფერადებდა ღვთივ გრძნება შემოქმედისა.

მაისი 2018 წ.

სოფელი ჯერეთი. ერეკლე ბაბა ნალბანდოვს.
ნახ. გურამ გელოვანი-ფანქარი.

გალობა ზეცის უჩუმარი ღაღადისია

ისმის გალობა – ღმერთის წყალობად, მაცნედ დროისა,
არა ქაოსის, არარაობის, არაცნობისა;

თანაცხოვრების, თანაბრძოლების, თანალმობისა
და ლოცვა!.. ლოცვა!.. მიღმიერის შეუცნობისა.
გალობა ზეცის უჩუმარი ღაღადისია .....
ნეტავ ვისია სივრცე, დროის მონაქრისიად?
სული ქრის იად .... გარდაცვლებად, ზეცის ფიქრიად,
სად არს სასრული, იქ მარადი დასაწყისია ....!

მაისი 2018წ.

მიდის ქარავანი გულთა მწუხარებით.

იქნებ, უდროობის, ან ფიქრთ მყუდროობის ბავშვურ გართულობით
ხანმა დრო-ჟამობით, თითქოს თამაშობით, არსთა ნატრულობით
შექმნა მუქარები, ცათა მქუხარებით, შიშით დამზაფრავით,
რადგან მდუმარებით, გულთა მწუხარებით მიდის ქარავანი —
დროის ქარავანი, დროის დაფიქრებით, დროის ქარაგმებით,
ჟამნი მას უხილავს, სდევდა რამ უხილავს, სივრცის გარდაქმნებით,

ივლისი 2018წ.

***

ფრთები არწივის, ფრთები ქორის, ცათა ფრინველის,
მათი ირაო და მარაო გასაკვირველი
არ დაიკარგვის, არ გაქრების, არ დაილევის,
თუმც, ჟამნი ვლიან უმოწყალო გადაფითრებით.

ივლისი 2018წ.

ეროსა ბაბუა.
ნახ. ვაფრაძე გიორგი ნიკოლოზისა.

ქარო, ქარო, ქარტეხილო!

ასე, მაღალნი, ცად უწვდენელნი
რამან გაგზარდათ ხენო, ალვისა!?
გურა-ანგურა

ალვათ წყება აშოლტილი გადახარე, გადმოხარე,
მათი სულის ღაღადისი ქარო ზეცად აღიტანე ...!
მეც გაგატან ჩემს ოცნებას; აღქმით, აღქმით მდუმარების ....
როს მიმზერდა დრო მწუხარე, სივრცის მრუდე უარებით.

ქარო, ქარო, ქარტეხილო გადამქარე, გადმომქარე!
ოღონდ მითხარ ამ ყოფისა; საით, საით მიმაქანებს?

მაისი 2018წ.

ათინათო-ფრთათფარფატა გაზათხულო!

აყვავილდი მცინარებით შემოსულო,
ჩემო სულო! მარადისი გაბრწყინებით
ათინათო – ფრთაფარფატა გაზაფხულო!
ცად გასულო, ლაჟვარდოვან ნარინჯებით.

თვალნათელი მოეფინა არემარეს,
ცისკრის ზარებს ფრთა გამოჰკრეს ტოროლებმა,
მოევლინა ღვთისმშობელის სინარნარე
მქროლავ ქარებს, შობის წმიდა მოგონებად.

მზით ხარება ზეიმობდა დაბადებას,
ცის თაღებთან ჟამი ჟღერდა მარადისი,
ჯვარცმის მერე ღვთის სხეული ვარვარებდა
სულთ აღდგომას ზეციური ღაღადისით

აპრილი 2018წ.

ათინათის უწმინდესი ფერით

მარტის ბოლოს იკვირტება ვაზი,
ცრემლი დასდის – სიხარულის ცრემლი,
სურნელება ფეხაკრებით დადის,
ათინათის უწმინდესი ფერით.

მარტი 2018წ.

ეზე-ეპორტალი ტოტორავლა ქინდორ-ველოეზე .

ნახ. გაკრავ ბეთევანიშვილი.

ჩავეკიროთ მამულს ფიცად

მზიან ღამით, წყნარად, მშვიდად
ცისკრის დილა მომეევლინა;
ჯერ თვალები დამიკოცნა,
მერე, თბილად მომეხვია.

შორეულში გამიტაცა,
„ერთი რამ ცად, თეთრი რამ ცად“
კვლავ შემმოსა სიჭაბუკით,
რაც სიბერემ შემომძარცვა.

მქუხარებდნენ ენგურები .....;
გური, გური, გური, გური!
ქარ-ბორიოს შერთულები,
მთაგრეხილებს შეკიდული.

მიწას გულში ვიხუტებდი,
სამომავლოდ ვჭრიდი ლიბოს,
ჟღურტულებდნენ ჩიტუნები;
მზის ტაძრები ამოვზიდოთ ....!

ჩავეკიროთ მამულს ფიცად,
მიწად, მიწად – მშობელ მიწად
და გვახსოვდეს; თავდადება
შრომით, აწ და მარადისად.

ცვრიან ბალახს დავეკონოთ,
გვეყო სისხლი, ოფლი ვღვაროთ,
იის სუნთქვა გვახარებდეს,
არსთა, არსთა სანეტაროდ.

დრო და ხანი გამოვზარდოთ,
გამოვაწრთოთ სული მწველად,
სიმღერა ვთქვათ ახლებური,
ქართველთ მოდგმის გამარჯვებად!

აპრილი 2018წ.



ეფესელ ეფესელიშვილი II -ის ფიგურალური
ფიგურა ტრიუმფალურად - ცხენზე ყალიბდება.
ეპიტაფიაზე ხეზე ფიგურა - იაფეთი ეს ეპიტაფიებს.
ნახ. ეფესელ ეფესელიშვილისა.

ლექსი უთქმელის თქმა არის, გალობად აკინძული!

რაც ლექსად ჩამოიღვრება
ყოვლი განგებამ იცისა,
ხნულს სისხლად დაეწვიმება
სისხლად – ერთობის ფიცისად.

გალობის სადარი არის,
ლოცვა – სანთელად იწვისა,
მათ ჰანგის სული დაჰყვება
ცეცხლ-წყალთა, მიწის, ცისისა.

ლექსი უთქმელის თქმა არის,
შეკრული ბროლის მკვრივადა,
შიგ ზღვა ვნებები ბობოქრობს
ამ ქვეყნის გასაკვირადა.

არ დაიმტვრევის გრდემლზედა,
არ დაიშლების წვრილადა,
ღვთაების ნასხლეტი არის,
გამონაზარდი შვილადა.

შიგ ღვივის გრძნობის ღადარი;
გულთ ოფლი, ტანჯვის ზიარად,
სოფლისა მტუტე ღვარცოფსა
შიგ ჩაჰყვა ჩაეზიარა.

მტრედივით ამოქუკქუკდა,
ლაჟვარდებს დაეფრთიანა,
იქ, სახილველი იხილა,
ჭირში არ დაიგვიანა.

ზოგან ბალღივით იტირა,
ზოგან მოზარე ქალადა,
ხმალზე ჩასთვლიმა დაჭრილსა
მორევთ გადაჰყვა მთვრალადა,

ცისარტყელს ფერი დაჰბერტყა,
ველზე მოვიდა ქარადა,
იგლოვა წვიმის წვეთებით
გმირი, შავეთას კრადა,

ნინველთ თვალებში ჩასახლდა,
ყვავილთ ღიმების ნიშნადა
საყვარელს გადაენაბდა,
სიკეთე მოჰყვა ჯიშადა.

ლექსთა მთქმელს ღმერთი დასცქერის
ჩაუსახლდება სულადა;
„მკვდარში გაართობს“, სანთელით
საუფლოს მონატრულადა

შემოატარებს, დამოძღვრავს,
რაცა არს გალანდულადა
იმათ სახესაც აჩვენებს
ჩრდილთაც დაიწვევს პურადა.

ლექსი უთქმელის თქმა არის,
რაც სულეთს ჩანაკირია,
კაცთა ლოცვითა დიადობს,
გალობად აკინძულია.

აგვისტო 2011წ.

ვინმე №-ს
(ბესიკისებურად)

ლამაზო ქალო, მონაქარო, მოღიმღიმეო,
მსურს შემიფარო მოწყენილი — მწუხრის ღამეო.
ცისკრების დარო, ზეცის წყაროვ, ჩრდილთა მღვიმეო
მოინახულო, გაანათო სულთა მთვარეო!

ლამაზო ქალო, მონაქარო, მოღიმღიმეო!

ივლისი 2009წ.

***

ჩალა-ბულებში შეფარვით
ობოლი მარწყვი ღვიოდა,
არყიანებში – გოდორა
თვის დობილს გამოჰკიოდა;

დაგვკრეფენ, ჩემო დობილო!
მოგვაშორებენ მიწასა,
ჩვენს ყოფა-სიყვარულებსა
მისცემენ დასავიწყარსა.

მაისი 2009წ.

გასაუბრება შოთა რუსთაველთან

ბატონო, შოთა! ბატონო, შოთა!
შოთამ მოიხედა, შოთამ გამომხედა,
– რაო, რა იყო... ო... რაო რაი მოხდა,
შოთა კლდეკარს იყო ქართლის კარიბჭესთან.

ხედავს, ყმაწვილი ეძახის კრძალვით,
ყმაწვილლს აცვია უცხო იერით,
ნისლებში სცურავს მთაგორი ქართლის
და უსასრულო სივრცეს მიელტვის.

– ვინ ხარ, ყმაწვილო.... საიდან, სადა,
გამოგივლია რა დროთა ჟამი ...?
– მე, საქართველოს სამოთხის კართან –
მოველ, – პასუხობს მოყმე თავდახრით.

მუხლს მოიდრეკს და კალთას ემთხვევა,
– სულო ძლიერო! სულო მამულის!
ჩვენი გულწრფელი უცხო შეხვედრა
მაღლა გადაწყდა, ღვთივ დაფარული.

ჩემს წინ სდგას შოთა, ამირსპასალარი –
დადაში, ბაღვაშთა შთამომავალი,
(და გაკვირვებას არ მალავს თავისთვის),
ჯერ, არ შეუქმნია ქართველთ წყაროსთვალი.

ის ჭაბუკია, მაღალი, ხმელ-ხემლი,
ბრტყელი ბეჭებით და კისრით დადრეკილით
თვალებში უბრწყინავს დიდების მზე-ველი
და ორბს ჰგავს, მიმფრენს, დინჯად ასვეტილი.

ეშმა თუ, ვგონივარ... (მაცვია ჯინსები,
ხალათიც ჯინსისა, ფეხთა – ბოტასები,
ხელში მობილური – ფიჭური ელსმენი,
„ბლოკნოტი“, ფანქარი, ჭოგრი, კოდაკები).

უკვირს, არც მალავს სიოცეს, შიშსაც კი,...
ალბათ ქაჯია – ფიქრობს და სდუმს.
– მე, ქართველი ვარ მეოცე საუკუნის,
შენი საქართველო დრტვინავს და სწუხს.

– ვეუბნები რომ, იმ დროდან, ამ დროში
მე გამომგზავნეს მაცნე და მკვირველი,
სივრცეში დავფრინავთ, კოსმიურ ქაოსში,
დღეს არარა არის იქ, გასაკვირველი...

და ვამბობ პოემის ბრწყინვალე დასაწყისს...
– შორს ჩემგან სატანავ (ის პირჯვარს იწერს)
ნუთუ, რაც შევქმენით, ყოველი განქარდის,
ნუთუ, ყელსა სჭრიან სპეტაკს და ცისფერს?!

არ აქვს აწ, აზრი, ცრუ ფიქრს და ძიებას,
სტუმარო, შორეულ ღრუბლიდან მოსულო,
დამიჯექ, მომიყევ... დრო-დროებს მიებას,
ზმანება-ზმანებას, ხილვა კი უსრულოს.

როგორ, გავიარეთ რვაასი წელი,
თქვენამდე, ქართველთა რა გამოიარეს ....?
მკლავს ცნობის წადილი, შმაგი ვარ, ხელი,
მითხარ, რით მოვურჩენ ამ, ტანჯულთ, იარებს?

მე, მსურს, მოვუსმინო ბრძენკაცს და ანგელოზს;
მოჰანგეს, რუშთმკვეთელს, პოეტს და მეომარს,
წარღვნებმა ერთხელაც, თუ, უნდა დაგვლეკოს,
მის აზრებს წავიღებთ სულეთში მეოხად.

– ჩამოჯექ, ქართველო, გატყობ რომ, მჭვუნვარებ,
დინჯად, დაწვრილებით მომიყევ, რაც არის;
სხივები მნათობის გვიმზერდნენ მხურვალედ
და მძლავრად სუნთქავდა დიდების კლდეკარი.

და მეც მოვუყევი წვრილად, რაც შემეძლო,
მსოფლიოს რუკანით ბევრი ვივაგლახე,
ღელვანი სულისა ფითრივით შემეტყო,
მწუხრი მოგვეპარა ჩვენ და იალაღებს;

მორწყულს ოფლითა და სისხლით იბერელთა,
ნამეხარს, დასეტყვილს, დაჭრილს და მშფოთვარეს,
ჰოი, ბარაქალა, ქართველთ... იმღერეთა,
რვა საუკუნე... გვთხარეს, ვერ მოგვთხარეს...

მტერთა, ხაზარებმა, მონღოლთა, სელჯუკთა,
შემდეგ თემურ-ლენგმა, შემდეგ ოსმალოთა,
უდაბნოს ლომთა, თურქმანთა, სპარსეთმა
დაგვწვა დაგვშანთა და მოგვაოხრა.

– არც, ძმანი გვაკლებდნენ თარეშს და წიოკებს,
თვისთა სიხარბეთ, თუ, გაჭირვებით,
გვინგრევდნენ ტაძრებსა, საყდრებს და სიონებს,
დიდთა თანდგომით და წაქეზებით.

ასე, მოვედით გარკვეულ მიჯნამდე,
იდგა საუკუნე მეთვრამეტე,

ბევრჯერ დავითი და თამარი ვინატრეთ,
ოქროს საუკუნე, ეჰე... მერამდენედ.

შფოთავდნენ ერნი და იმპერიონნი,
გავლენის სფეროებს, სასუნთქ არტერიებს,
ტყვილად მიჰკიოდნენ, ზეცის საყვირონნით,
ვინ იყო გამკითხავი და ანდაც გამრიგე.

ორ ზღვას შუა მოქცეული ერები,
გრიგალების შფოთითა და მღერებით,
გახვეულნი ცეცხლში, სისხლის მორევით
დაიღალნენ მტერებთან ხშირი ბრძოლებით.

აქ, რუსეთის იმპერია ვახსენე,
შოთამ უცბად შემაჩერა – ძამიკო,
ჭირი რამ გვჭირს პირველობის ქართველებს,
ერთურთს ვებრძვით დღენიადაგ ამიტომ,

მტერიც გვთიშავს, რომ ეს ჟინი დაგვიცხროს,
და გვამხედრებს ძმას მოძმისა წინაშე,
ეს ასეა, კარგია რომ არ იყოს
ამ, დალოცვილ, გრძნეულ დედამიწაზე.

– გააგრძელე შენი ამბის მოყოლა...
საქართველო ციხე-ტაძრად გოდოლად,
მისთა შვილთა ააგეს და მოჰქონდათ
ნუთუ, ეხლა, რკინა – გული მოღორდა?!.

ნუთუ, სისხლი, ასე გრძნებით მყივარი,
ვით, იალბუზს შესძახებდა მყინვარი,
აღარ ისმის, აღარა სჩქეფს ძალუმად
და გვალვისგან სულმთლად გამოქარულა?!

არა მჯერა, ქორ-შევარდენთ, ძერასა,
მთის არწივებს ვინ დაუშლის ფრენასა,
ზეციერი საქართველო გეძახით,
საქართველო – დრო და სივრცით, ეს არის;

ატლანტიდის გრიგალური მორევით,
არ გეგონოთ ვინმე იყოს მომრევი,
შუმერული კოსმიური ძახილით
და ქართველთა ხალიბური მახვილით,

ღვთისშვილების ატეხილი ქარიშხლით
რწმენის დვრიტით, ბრძოლას ვინღა დაგიშლით,
ესე წყლები მიმდინარნი, მშიშარნი
წავლიან და დარჩებიან ქვიშანი.

ჭირსა შიგან გამაგრება ხომ იცით,
ვერ იაროთ ორჭოფულად, ორი გზით,

მოუარეთ გაუსაძლისს, შორიდან
ჭეშმარიტი იშვის პაექრობიდან.

არ გიკვირდეთ ურწმუნოთ თუ, გიმუხთლეს,
ქორისათვის მთათ და ცათა სილურჯე
წმიდა არის და სხივებზე ნარნარობს,
ფრთები არის მისი იავნანაო.

სული არის „უპირველეს“ ხორცისა,
სხვა ყველაფერს დრო-ჟამები მონისლავს,
კაცნი ნახეთ მოძმის არგამწირველნი,
კაცნი მბრძოლნი და ტანჯვათა მტვირთველნი.

დიდი კაცი, ჭყონდიდელი ერისა,
არვის მბაძი, თვითმყოფადი გენია,
ბედ-მწერალი, ხელი შემოქმედისა,
იდუმალი, დროის შემაერთია.

დრო წარსულის სპირალურად ვიდოდა,
ბრძოდა ერი, აშენებდა ვარძიას,
ბასიანით და შამქორით დიდობდა
და მრავალგზის ჩვილთ აკვნები არწია.

ოქროს ხანა საუკუნეთ გადასწვდა,
იგი „ვეფხისტყაოსნით“ მშვენობდა,
ქართველთ სულის იდუმალი ქარაგმა
უკუნისით სივრცით მოირწეოდა.

იდგა შოთა და განტოტვა მთებისა,
ის რაც მოხდა, ჭმუნვის მიზეზს ბადებდა
კლდეკარები დედა არწივებისა
ხომ, არასდროს სულით არვის დანებდა.



მამა ამირან ამირანაშვილი

ღმერთო

შემოგუგუნდა ტანკერი,
დაფარა ჩემი ფანჯარა,
ზღვის ტალღებს ოდნავ უცქერი,
აღარ ჩანს ზემო აჭარა.
სამაგიეროდ მეჩეთი,
ლამის ჩვენ კორპუსს ეხება,
ხუთგზის ლოცვები გუგუნებს,
ვერვინ უბედავს შეხებას.
ისე ამაყად დადიან,
თავაწეული თურქები,
აღებული აქვთ ყიჟინით,
„პლიაჟები“ და ქუჩები.
არ გამატარეს ბულვარზე,
ნაყიდი გვაქვსო „ბიძია“!
ამდენი ქვეყნის გაყიდვა
თუ ვინმემ გამოიძია.
მთავრობის სახლებს ყიდიან,
შიგ სამორინეს აგებენ.
ჩვენ ბიჭებს ფული თუ არ აქვთ
მერე ცოლშვილსაც აგებენ.
ღმერთო, სადა ხარ გვიშველე,
ინგრევა შენი ქალაქი
თურქულ-ინგლისურს სწავლობენ
ზურგზე კიდიათ კალათი.

ბათუმი, 8.VIII.2018წ.

ბათუმი 2018

უძვირფასესო ჩემო ბათუმო,
მტერი, მოყვარე ყველა გნახულობს.
ამდენ ტურისტებს გულით მასპინძლობ,
მსოფლიო ხალხებს შენთან ვნახულობ.
აგერ ჩინელი გვთავაზობს „მასაჟს“.
თურქი ოსმალო გვთავაზობს „პასაჟს“.
ცხვირპირ აკრული არაბთა „ჯარი“,
კაცი ვერ ვნახე ეკეთოს „ჯვარი“.
გაშიშვლებული სლავური რასა,
ღიპგაბერილი ჩვენი ბუღები,
ზღვაში თუხთუხებს მთელი ეს მასა,
მოდი და სისხლო ნუ ადუღდები.
რაც მთავარია ხუთგზის ლოცვებით,
არაბულ ენით „ტკბება“ ქალაქი.
მუხლზე ეცემა დიდი, პატარა,
ხუთგზის ადიდონ დიდი ალახი...
ნამასაჟები მეზღვაურები,
გაშავებული თეთრი ქალები,
გათეთრებული ინდოელები,
თვალდაპრაწული ჩინგის ქალები,
სამორინედან გამოძურწული,
გაღლეტილები, გაქუცულები,
ჩამოუყრიათ ვირებს ყურები,
ეშმაკს შესწირეს მთელი ფულები.
ოი, დაღლილო ჩვენო ბათუმო,
ხარ ტურისტების საქმით გართული,
დოლარით საქმე არ გაიფუჭო,
არ დაგავიწყდეს შენი ქართული.

ბათუმი, 7.VIII.18წ.

მოძღვარი

წინ მიგიძღვებათ მოძღვარი,
მარადიული სოფლისკენ.
ამ გზას არა აქვს საზღვარი,
რადგან მიდიხართ უფლისკენ.
ჩემი ხურჯინიც მძიმდება
კერძო თუ მრევლის ცოდვებით,
აღსარებები გროვდება
მწარე ცრემლების გოდებით.

ზოგს ელოდება სამოთხე,
ზოგს ჯოჯოხეთი ჩაითრევს.
ეცადეთ კუპრში არ მოხვდეთ,
ეშმაკი წინ არ დაგიხვდეთ.
გემუდარები, მარიამ,
ქრისტეს შესთხოვე შენდობა,
შენზედ მლოცველი ერი ვართ,
ვიცი, უფალიც გენდობა.

ამაღლება, 3.VI.18წ.

ჩემო კალამო

კალამო, ჩემო კალამო,
დავთხუპნეთ მთელი რვეული,
უმელნოდ როცა იყავი
მელოდი ჟანგმორეული.
გვახსოვს ბიჭობის დროიდან,
წერილსაწერი ქალები,
ახლა სათვალით ძლივს ვხედავ,
დაბერებულან თვალები.
ძლივს ვიჯღაბნებით ორივე,
ველარ ვიკავებთ მელანსა.
სიჭაბუკეში ვიწვევდით
ბარათაშვილის მერანსა.
ლამაზ „პოჩერკით“ ვხატავდით,
თუ კი იყო დასაწერი.
ძიებებში დრო გასულა
გაგვითეთრდა თმა და წვერი.
შენ კალამი გაგეცვითა,
მეც ცახცახით ვდგები ფეხზე.
ბევრმა გულები დაგვწყვიტა,
ვიღა ჩივა მელნის ფერზე.
იყოს შავი, თუნდაც ლურჯი,
მთავარია არ გაგვიშრეს.
ცოტა ხანს კიდევ ვიჯღაბნოთ
ვიდრე უფალი გაგვიშვებს.

ბათუმის საბუდარი

თეა, ჩემი სიცოცხლეა,
გიგა ჩემი დარდები.
ილიკო და ლიკუნია,
შვილივით მიყვარდებით.
იმიტომ, რომ თქვენგანა მყავს,
ჩემი კოკობ-ვარდები.
დავითი მყავს გენიოსი,
ნიკუ კოცნა ფერება,
თათუნია ანგელოზი,
ჩვენი გვარის მშვენება...
გენაცვალოთ ბებო, ბაბუ
ყველაფერი თქვენთვის გვინდა.
სოფელი ხომ ჩხარაში გვაქვს,
მითხრათ იქნებ სხვა რა გინდათ?
გაგაოცებთ მე და თამრო
სახლს ბათუმშიც დაგახვედრებთ,
დავალაგებთ, გამოვაწყობთ
ყველას თქვენს წილს შეგახვედრებთ.

12.VIII.2018წ.

მიმდინარეობს ქვეყნის დაქცევა (XXI საუკუნე)

უარვყავ თავი, ავიღე ჯვარი,
ყველა დავტოვე, შევუდექ უფალს.
კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით,
მუდმივად ვლოცავ ერს თავისუფალს.
ძვირად დაგვიჯდა თავისუფლება,
თავზე დაგვატყდა მძიმე ომები.
გულანთებული მტერს დაუდექით
ეწირებოდნენ ბრძოლას ლომები.
დღესაც ვერ გაძღნენ სისხლისმსმელები,
ყველანაირად ისევ გვიტევენ.
ისევ გაისმის ტანკის გრუხუნი,
ყოფილ მოყვარეს მტრებად გვისევენ.
თითქოს ძმად მოდის თურქი-ოსმალო,
დაუნდობელად თავებს რომ გვჭრიდნენ.
ტაო-კლარჯეთი აღარ იკმარეს,
ჩვენს აჭარასაც საკუთრად თვლიდნენ.
აქეთ არაბი შემოგვესია,
შახინ-შახების სისხლი და ხორცი,
შავად მოსილნი აქ გრიალებენ,
ჩვენ, საბრალონი შინ გავხდით მორცხვი.
სპეციალურად გაგვაღატაკეს,
გაგვამათხოვრეს არ გვთვლიან ხალხად.
ჩვენი ქალები გაათახსირეს,
უმანკოებიც აქციეს ხასად.
კანონს იღებენ განადგურების,
საზღვრები გახსნეს – ვის გსურთ გაქცევა.
ერო და ბერო, გავერთიანდეთ,
მიმდინარეობს ქვეყნის დაქცევა.

ბათუმი, 19.VIII.18წ.

იმერული მოტივები

ძლიერ დაცხა რაცხა,
გაგვიხურდა ფაცხა.
უნდა შევძვრეთ საცხა,
სიცხემ დაგვამარცხა.
მოვიძიოთ წყალი,
კაცი ხარ თუ ქალი.
ფხიზელი თუ მთვრალი,
არ მოგვედოს ალი.
ზოგი გარბის ზღვაზე,
ზოგი სოფლის ჭაზე.
ზოგიც მაღალ მთაზე,
წყალს ივლებენ თავზე.

გახურდა ივნისი,
წინა გვაქვს ივლისი,
შნო თუ გაქვს იმისი,
დავტოვოთ თბილისი.
რა გვაქვს დასახული,
რაც არ გვაქვს ნახული,
ერთად მოვილოცოთ
ოშკი და ხახული.
ეს რთული დღეები,
ლოცვით გავამყაროთ
ფრთხილად ზაფხულია
ეშმა არ ვახაროთ.

ბათუმი, აგვისტო, 2018წ.

„ფუი ეშმაკს"

უღმრთო კაცი რა კაცია,
ცოდვებშია გახვეული.
დღე და ღამე იმას ფიქრობს,
ვის სად აახიოს ფული.
უსირცხვილოდ ფლიდობს, ცრუობს,
არც მტერს ინდობს, არც მოყვარეს.
აღვსილია ბოროტებით,
ის კაცს როგორ შეიყვარებს.
ეჭვებით და სიძულვილით,
დაბოღმილი დააქვს გული,

მთელი მსოფლიო კიდია,
მთავარია ქონდეს ფული.
ყველაფერზე წამსვლელია,
გარყვნილი და წარწყმედილი.
მიჰქრის ჯოჯოხეთისაკენ,
სინდისისგან გარეცხილი.
თეთრზე ამბობს შავიაო,
არეული აქვს ფერები.
ქვეყანას ვინც თავს აძულებს
მეც ველარ მოვეფერები.

ბათუმი, 18.VIII.2018წ.

ბროლის კოშკი

ბროლის კოშკი აუგიათ,
ულამაზეს ძველ ბათუმში,
კაპიტანს ხელს ჩამოართმევ,
შემოსულს ჩვენს ნავსადგურში.
კოშკში დაბრძანდა თამარი
ფანჯრიდან დასცქერის ტალღებს
ნიუ-იორკის ბანკიდან
გიგუჩა უგზავნის ნაღდებს.
ჩვენი სახლი რემონტშია,
ზოგჯერ მოსდის ლექსის მუზა.

ყველა გემებს ვაკონტროლებ,
ვინ როდის ჩაუშვა ღუზა.
სამზარეულო ეწყობა
მზარეული აწყობს ჭურჭელს
ბიჭები საძინებლებში
უკანასკნელ ჭანჭიკს უჭერს...
მე და ჩემი დედოფალი
გავხდით კოშკის მფლობელები
ღმერთო, ცოტა დრო გვაჩუქე
ვიყოთ შენზე მლოცველები.

ბათუმი, 18.VIII.18წ.

***

უარვყავ თავი, ავიღე ჯვარი
ყველა დავტოვე, მივენდე უფალს,
ვიდრე არ ვნახავ ჩემსა სამშობლოს
ერთიანს, ძლიერს და თავისუფალს.

დათო ყანდაშვილი

ცრანსფორმაციის შემდეგ

მე დღეს მკვდარი ვარ, გადავიღალე,
ეს ბოლო წლები დავყევი ნებას,
არაფერი მაქვს, არ მაბადია,
და დღეს რატომაც არ ქონით ვღელავ.
ამ ხნის მანძილზე უცხო ბაქანზე
დავემშვიდობე უცნობს თუ ნაცნობს,
გადავავიწყდი ახლო მეგობრებს,
დღეს გამეღვიძა თითქოს და ვდარდობ.
მიმოვიხედე უცხო ბაქანზე
და არვინ იყო, იყო სიმშვიდე
და უწინ უცხო ეს ადგილები
თურმე სიზმარში შემოვიხეტე.
ეს სკამი ვიცი, ეს ვიტრაჟებიც,
რელსებიც, ქუდიც გამცილებლისა
და ჩემს თავს ვკითხე: სად ვარ და რისთვის,
დიდებულების ნახვა მეღირსა.
მაგრამ აქედან საით წავიდე?
ალბათ იქ, სადაც ვინმეს ვჭირდები,
მაგრამ რომ მივალ როგორ ავუხსნა
ვინ ვარ და რა ვარ, ან რას ვპირდები.
შიმშილს? სიცივეს? დაგლეჯილ შარვალს?
თუ უკარება განმარტოვებას?
სისულელეა დაიწყო დავა,
რომ ცხოვრებაა ამაოება.
მე დღეს მკვდარი ვარ, გადავიღალე,
ხვალეს რა ვუყო, ვერ გამიგია,
მე, სულიერად, უაზროდ მდიდარს,
პატარა ქოხიც ვერ ამიგია.
არც საყვარელი, არც მეგობრები,
ჩემი ძაღლიც კი, სხვას ჰყავს ახლა,
თუკი განგებას ასე ეწადა,
მაშინ აჰა და წადილი ახდა.
გთხოვთ, მომიტევოთ ბედის განმგებნო,
მაგრამ დღეს მართლა გადავიღალე
და გულითა გთხოვთ, როგორც მფარველებს,
ღირს მყავით ვნახო მიწის სიკეთეც.

ძაძა ღმერთის რჩევა-დარიგება ადამიანების ძიძართ

მეუბნებიან: იყავ თვითკმარი,
დაკმაყოფილდი მით, რაც გეძლევა,
თუ ვერ ვახერხებ, ტრაბახით მთვრალი,
მთელი ნაშენი თავზე მენგრევა.
ყურების სმენა იქითკენ გარბის,
რაც მათ მემბრანებს არ ეკითხებათ,
შეიჭმუხნება შუბლი და წარბი,
ვიდრე შიგნიდან არ მომესმება:
იქ ნუ მიძვრები!"!!
მცნებები – ღმერთი, ჭეშმარიტება,
გამახსენდება, ვითხოვ შენდობას,
ამნაირ სუსტს და გაორმაგებულს,
ღმერთი კი არა, მე ვერ ვენდობი.
ყოველდღე, ყოველ ღამე ძილის წინ,
ჩემს თავს ვასწავლი, მსურს გადაჩვევა,
აი, ეს თეთრი, ესეც სიკეთე,
ასე მასწავლის ღმერთი გარჩევას.
მას ნუ ინდომებ, რაც არ გეკუთვნის,
სხვას არ დაუთმო ის, რაც შენია,
არ იძალადო სხვაზე ან თავზე,
ვერ შესძლებ? შენი განაჩენია.
არ შეგეშინდეს, სცადე, განათლდი,
შიშზე ძლიერი სიყვარულია,
და რაშიც ჩემი სრულად არა გწამს,
იქ სიყვარული განწირულია.
არ მოისურვო იყო ღმერთკაცი,
ღმერთი ისეთი სიყვარულია,
სიბრძნე, დრო, ძალა, მთელი დიდება,
ამ დიდ მცნებასთან უსუსურია.
არ შეედარო და დროა მიხვდე,
რომ ამის ნატვრა უხერხულია.
თუკი შეისმენ, რასაც გასწავლი,
კურთხევა ჩემგან მოცემულია,
ჩემი კურთხევით მოსილ არსებას,
მანდაც და აქაც გაზაფხული აქვს
და ელირსები მიწაზეც, ცაშიც,
იმას, რაც შენთვის სასწაულია,
წამროუდგენელ ბედნიერებას,
რომ მისწვდე
შრომა დასაშურია?!

უკანასკნელი სურვილი მინაზე

ბევრი რამაა ქვეყნად ნაღდი და საკვირველი,
ჩემს ირგვლივ მყოფნო, თქვენ ერთ-ერთი ხართ, მე კი პირველი.
ყველანი სადღაც გაჩერდებით, იტყვით მივედით,
ჩემს გზას კი, ბოლო არ უჩანს და ჯერ ვერც მივედი.
თქვენს დასახლებას და სურვილებს შორის არ მიყავხართ,
თუმც წარსულში ხართ თითქოს, მაგრამ უფრო მიყვარხართ,
ალბათ, ამ გრძნობის ძალით მივალ სადღაც შორეთში,
რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს თავს ვუთხრა: ძლივს არ მოვედი?!
ახლა კი, ამ წამს ის სჯობია სულ მთლად დაგტოვოთ,
რომ ღვთის სიწმინდემ თქვენს წილ ადგილზე თავზე დამთოვოს,
რომ ანგელოზად გადავიქცე ადამიანი,
რომ სიბინძურემ ვეღარ შესძლოს ჩემში ტრიალი,
ადამიანად ყოფნა, რა ვქნა, მეცოტავება,
თუ ამ სურვილით უნებურად მეცოდავება,
ვთხოვ პატიებას უფალს ღმერთს და თქვენც გთხოვთ შენდობას,
მაგრამ რა ვუყო, თუ ეს ნდომა სხვა არაფრისთვის აღარ მეთმობა.
დღეს, მგონი დროა სულ დავტოვო ეს დასახლება,
სადაც ვიქნები განვლილი გზაც მოგონების გზით გადასახლდება,
მაგრამ ეხლა ასე სჯობია, გთხოვთ, რომ დამტოვოთ,
მე არ ვიყავი თქვენი ღირსი ანდა პირიქით.

კარგად იყავით...

Прочувствие состояния блаженства

Проникнувшись мгновением, чуть дыша,
Не замечая косвенных движений,
Зажгется озорении свеча
Без ускорения и без замедления.
Единым станет все включая то,
Что называют разделенным «Я»
В одно желание превратятся все
остольные множество стремления.
Но почему не может быть
Что это было постоянно,
Но почему не может быть
Не появление обмана.
Для счастья нужно только быть собой
Какая глупость красть свое же счастье,
Оно и есть желанное дитя,
Невинное, прекрасное творение.

А если проведение решит
Свести меня с той, кто есть часть меня,
Всем остольным об этом говорить,
Безчестие, безрассудство и нельзя.
Нельзя кому-то отдовать тот свет,
Ту чистоту, что не понять другим,
Они сомнения хором занесут,
В том, что сердечно отдавал я им.
Такой любовью надо просто жить,
Питаться ею надо самому,
Не создавать преграду и обид
и бесконечно восхищаться ею.
Какое это счастье и блаженство
Нужно вглубиться лишь духовным средством,
Им надо очень, очень дорожить
и смысл богатства в этом отрозить.

მზია ელიაძე

***

გოგო: – შორს, შორს ჩემგან,
არ შემეხო!
ჩვენ ორს შორის
ღრმა ხიდია...
ბიჭი: – თუ დამჭირდა,
კვლავ შეგეხო!
არ ვიყო ბიჭი
მინდია...
სიყვარულით
გეფერო და
გიფანტავდე
გზას ბინდიანს!..
გოგო: – იმედგადაწურული
ვარ
რად მალავ სახეს
ნიღბიანს?!

***

ჩემს გზაგასაკვალ ბილიკებს
როს აივაკებ ტიალო,
მოისმენ ბევრ-ბევრ ქილიკებს,
გული არ დაიზიანო!..
დრო მკურნალია ყველაფრის,
ლაგდებ-ნაცვლდება
ცუდ-კარგი
შეცვლას ვერ შეძლებ ვერაფრის,
ხდება ყოველი
ღვთის მადლით!..

სევდის ფერებო

სევდის ფერებო, რად მოგიქუფრავთ
პირ-სახე უჩუმრ,
რა დარდ-წუხილი და ტკივილ-სევდა
გაწევთ მაგ სულზე?!
ჩამოივაკეთ, კვლავ ჩაიმუხლეთ უხმოდ,
პირუჩუმ
იმედაღვსილნი ღრუბელთ ემთხვიეთ ფართო,
ლოდ გულზე!..

***

ჩამოივარცხნის მზე
ოქროს დალალს,
გრძნობით გადმოშლის
ფერთა ლაჟვარდში.
ვნებააღძრულთ და
მროკავთ ცად ალალთ,
თავს აგრძნობინებს
ნეტარ ზღაპარში...

***

კეცა, კეცა, ვერ დაკეცა ქარმა
ღრუბელთ რუხი ჯარი.
ზეცა, ქარმა მატრაკვეცამ
გაახვია რა დიდ შარში!
აურია საწყალთ თავგზა,
მიმოხლართა ლაბირინთში;
ვერ წაიღეს ვერა საგზლად,
წინ კი უდევს გზა, რა დიდი!..

***

შენ ხარ ჩემი ნატვრისთვალი,
ზეცად აჭრილ ხოხბის მსგავსი,
ვერ მოგნუსხავს ვერა თვალი,
გზად შემხვედრი კაცი – მგზავრი!
მზე კეკლუცობს სანახებში,
დალალ-კავებს იწნავს კრძალვით.
მისი მსგავსი რა ნახე, თქვი!
მთვარეც დღეს იმზადებს ხვალის...

მიყვარს!

მიყვარს გაზაფხული ჭრელკაბიანი ყინვას ტოლს არ უდებს, არ ეპუება.
ყვავილთ დიდი ჯარი ფესვმადლიანი მზეს ეპრანჭება, ზამთარს ეურჩება!..

მიყვარს ეკალთ გუნდი ვარდის დაცვის დროს, ფერსურნელით
მთვრალი მომხვდურს რომ რისხავს.
მიყვარს ხილთა კრთომა, ცვარ-ნამით ნათრობს რომ ჩაჰხვევია
წრფელ გრძნობით რითმას!..

მიყვარს შემოდგომა ოქროსფრთიანი, სურნელ-მშვენებით ზეცას რომ აბრუებს.
მიყვარს ვენახი, ჩხა-ჯაგნიანი ჩაწნულ-ჩახლართულ ტკბილ დედის უბეს!..

მიყვარს ზამთარიც ყაბალახიანი ქათქათა, თეთრ ნაბადს ტანზე რომ ირგებს
მიყვარს ოთხივე დრო ღვთივმადლიანი, ოთხივეს ქარგ-ლამზავს სიმშვენ-სიკეთე!



ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე

***

მე ცის თვალებში
ლურჯა ფერებად
ჩავუშვი ღუზა,
და იქ დავძებნე
მთვარის შუქზე
ლექსების მუზა.

არ მომასვენა
არ მაცალა
სიბნელე სურდა...
და ისევ ისე
მზე დამეხმარა
მზეს სულ სხვა
სურდა.

ყოველგის მისტერია

ციალის მოლურჯო ექო,
თოვლიან ბილიკებს აწევს.
თვალწარმტაც მთათა მწვერვალს
მზის სხივი კოცნით ავსებს.
ყოფა იშლება თვალწინ
მთათა ზვიადი სახის,
მარად დათოვლილ მხრებზე
მზის სხივის ბაგეს აწვიმს.
საკუთარ თავთან ფიქრში,
სიბრძნე სიმართლეს ამხელს.
არამიწიერი გრძნობა
ზეციურ სარკეს ავსებს.
სულის შორეთში ყოფნით,
განწყობა გრძნობით ცაზე.
უსასრულობის განცდა
ზებუნებრივად დასვეს.
გულის ფრიალთა ექო,
ხის ფოთლებს ეფერება
მიუწვდომელი აზრი
სისხლძარღვებს ეხეთქება.

უფსკრულში მოღიღინებს,
თერგვი, არაგვი მთვრალი.
უზარმაზარი გრძნობა
კლდე კლდესთან გაუმდნარი.
განცდა უსაზღვრო ცისა,
რძეთეთრი ნისლის დროში
მარადისობა ღვთისა
განმეორება ხოტბის.
სულის სიღრმეში ვპოვე,
ლამაზ ყვავილთა სახე
ტრფობის ნაკადად ავსებს
გვირილებს სიამაყე.
ბაგე გახსნილი კლდენი,
ღრმად შეღწეული დროში
სათქმელს უთქმელად ამბობს
თვალუწვდენელი დროშით.
ეს უსასრულო სივრცე,
შეწყვილებულა ფსკერზე
შეჩერებულა მზერა
შთაბეჭდილების მეფე.

უხილავი ბუნება

ჩუმი თოვლი...
მდუმარების თეთრი მოლი,
დედამიწას დაფენილი ერთობა.
გრძნობისა და სიყვარულის შემომქმედი
მონარნარე, მოალერსე ზეცნობა.
უმთავრესის დანახვაა უნაზესი,
არსებობის დედააზრში ზეწვდომა
ბუნებასთან სიახლოვე სინამდვილით,
უხილავი სიყვარულის შეცნობა.

ადნებიან ხელის გულებს ფანტელები,
დედის გულთან უნდათ სწრაფად შეწვდომა...
უხილავად დედააზრში გარდასახვა,
გარდასახვა და სიცოცხლის შემკობა.
ჩანაფიქრთა სიწმინდეში მოფარფატებს,
როგორც აზრი როგორც სულის ეპოქა...
თებერვალის მონარნარე ფანტელები
ზეცნობიერს უსასრულოდ ეყოფა.

ევოლუცია

ტალღამ აწყვიტა
სიჩუმის ჯაჭვი,
და ცაზე სულის
კარებს მიადგა.
ძალა არ ეყო
კარის შეღების
წამს მოწყვეტილი
უკან დაეშვა.
განმეორება
აქცია მიზნად,
ცას კი სურვილი
არაფრად უღირს,
ტალღის ხმაურზე
თითქოს შეკრთება
და უფრო მეტად
მაღლა გაურბის.

სულის ყვავილობა

ყვავილს საოცარს ვამსგავსე სული,
მის ყვავილობას ველოდი მუდამ...
და საოცრებამ ამინთო გული,
სული საიდუმლო სურვილით სუნთქავს.
მესმის ჩურჩული და გულის ფეთქვა,
უსასრულობას სამყარო იძენს...
დროსთან კავშირში ვლინდება მუდამ,
ადამიანი სამყაროს ფუძე.

სანამ ლექსებად იქცევა გრძნობა,
გონების ძალაც ბრწყინდება ჩემში...
ცნობიერებით გავზომე მზე და
სამყაროს ისე შევეწყე ფერში.
ჩურჩულს იწყებენ ჩემში აზრები,
იდუმალ განცდას აწეწავს ფიქრი...
მიუახლოვებს ზეცის ღვთაებას
სული სიმაღლით ყვავილობს ცისთვის.

გარდასახვა

ალბათ ყველაზე ამოუცნობი
ჯერ დაბადება კვირტთა,
შემდეგ სამყაროს გამონათება
ფიქრთა ჭიდილში იშვა.

აზრთა ტრიალი არსებობაში,
სული სხეულის მიზნად.
ცნობიერება სინამდვილეში
კვლავ უკვდავებად იქცა.

ალბათ ყველაზე ამოუცნობი,
გრძნობა მზის სხივებს მისწვდა.
მუდმივი აზრი განახლებისა
კვლავ სიყვარულში იშვა.

სიტყვას შემორჩა ზუსტი გაგება,
მარადისობას ღვთისას.
არსებობისთვის ადამიანი,
ღმერთის დიდ გრძნობას მიხვდა.

მდუმარების ხმა

სიტყვები . . . .
ჩუმი ფოთლების
– თებერვალს დაველოდებით.
ირგვლივ მიდამოს აოცებს
რას ჩურჩულებენ მორცხვები.
ფერები . . . .
ათას ფერები,
სხივების ძაფით მოსილნი
ოცნების ბადე ახურავთ,
თვალის და გულის მპყრობლები.

ემშვიდობება ცას მიწა,
ლოცვით იძინებს ყოველი.
მადლობის მთქმელი სიტყვებით,
ფოთლებით დავილოცებით,
დაგვეფინება ხალიჩად,
ბოლოს და ბოლოს მივხვდებით,
რომ წელიწადი წავიდა
მსხვერპლად კი ჩუმი ფოთლები.

***

აბა რამდენად
გრძნობის სიმწიფევ,
აბა რამდენად
ხდები რჩეული?!
აბა რამდენად შეუცნობელი
შეცნობა გახდა შეურყეველი?!
ყოვლის მიზეზი სიყვარულია,
კაცობრიობაც სიყვარულს ეტრფის,
ამ გრძნობის პოვნა
რჩეულთ ხვედრია,
გულში არსებობს
ის როგორც ღმერთი.
სამყაროს გული
თუ სადმე ნახეთ,

შესვით სურვილათ
გრძნობათა ფერში.
თვით უკვდავება
მისი ხვედრია,
როცა სხეული
განცდებით ეტრფის.
სული სინათლის
გახდა მემკვიდრე,
ყველგან ინთება
გრძნობათა ცეცხლში.
შემოვიკრიბოთ
უკვდავი ძალა,
მზის სხივით ვქარგოთ
სიცოცხლის ღმერთი.

უშანგი მოსიაშვილი

მუდამ ვფიქრობ

მუდამ ვფიქრობ, ჩვენ ქართველებს
სად გვაქვს გზა გასაყარი,
ან სად ვპოვეთ ჩვენ გულებზე
მიწა გადასაყარი.

ან ვინ გასცა ჩვენი მიწა
მის ლამაზი მთებითა,
რატომ დუმან წინაპრები,
რად არ აღდგნენ ხმლებითა.

ჩვენ სადა გვაქვს გასაცემი
მიწა ანდა წყალიო,
ჩვენ წინაპრებს მოხდილი აქვთ
მთლად ყველასთვის ვალიო.

მათ არასდროს ჩაუგიათ
თვის ქარქაშში ხმალიო,
ყველას რისხვა მიუღიათ,
ვინც დაადგა თვალიო.

უნდა დავგმოთ, არ გვიყვარდეს
კაცი ჩვენი ორგული,
გინდა იყოს გმირთა გმირი,
გინდა იყოს ლომგული.

გავაჩუქოთ? ის რისთვისაც,
ხალხმა სისხლი დაღვარა.
ვერც მონღოლმა და თათრებმა
აქედან ვერ აგვყარა?

ეს ხომ ქვეყნის ღალატია
ღაღადია სხვისიო,
ვერასოდეს გაიხარებს
მისი გასაგისიო.

შეგონებები

*

თუ აირჩიე ქვეყნად კაცობა
და გინდა, შექმნა კარგი ყოველი,
სანთლად აენთე შენს დიდ სამშობლოს,
და ხატად გყავდეს სვეტიცხოველი.

*

თაყვანი ეცი შენს დიდ წინაპრებს,
ვინც ისტორიას შენსას გილამპრებს,
მუდამ გახსოვდეს კაცობაზე
მარტო ღაღადი,
არარას გარგებს, მეცხრე ცამდე
თუ არ ამაღლდი.
ქვეყნად ყოფას და არსებობას
არა აქვს ფასი,
თუ არ შეივსო წმინდა აზრით
ცხოვრების თასი.

*

თუ გიგიზგიზებს სამშობლოსთვის
გულში სანთელი,
შენს ნაკვალევს უნდა აჩნდეს
ყველგან ნათელი,
უნდა ტკბებოდე ქვეყნად ყველას
ბედნიერებით,
არ ერთობოდე მხოლოდ სულის
ნებიერებით.

*

თუ კი კაცობა მიგაჩნია
ცხოვრების მიზნად,
არაკაცებსაც მიხედე და...
იყავი ფხიზლად.
გინდა, არ გინდა სიკვდილი მოვა,
ულმობელი დრო ყველაფერს განსჯის,
ეცადე, მუდამ დასტოვო ხსოვნა —
კაცობისა და კეთილი გარჯის.

საქართველოს

ვინ ინატრებს ქვეყნად უფრო,
ლამაზ მთას და მდელოს.
შენ რომა ხარ დახატული,
ჩემო საქართველოვ!
ყველა კარგი შენს კალთებზე
დაუბერტყავს ბუნებას,
მომადლებული სიკეთით —
მტერს უფუჭებ გუნებას.
უამრავი სიკეთე გაქვს
შენს წიაღში ჩარგული,
მიტომ ვერაფერს გაკლებს
მტერი ცრუ და ავგული.

ბევრმა ქარიშხალმა გლეწა,
მეხმაც გადაგიარა...
მაგრამ ქართვლის დედამ ცრემლით,
მოგიშუშა იარა!
და მას შემდეგ ბევრმა წყალმა,
დიდმა დრომ ჩაიარა...
შენ კი ისევ მძლავრად დგახარ,
სისხლით ნაპოხ მამულში.
სტუმრებს სიყვარულით ხვდები,
შეურცხვენელ ნამუსით.

სამშობლოს

ვაჟას უყვარდა სამშობლო,
ვით აკაკის და ილიას,
ვინა სთქვა მათი ფიქრები,
სამწილად გაყოფილია!

ჩამოგვაცალა მხარ-მკლავი,
დავრჩით მტრის გასამეტადა.

„ღმერთო სამშობლო მიცოცხლე", -
ვნატრობ ყველაზე მეტადა.

ღვთისმშობელს შევთხოვ მოგვხედოს,
რომ ძალა მოგვცეს ძლიერი,
მან გაგვიმთელოს სამშობლო
და მისცეს ძველი იერი.

ნუთუ დაკნინდა ქართველი ერი

ნუთუ დაკნინდა ქართველი ერი,
დღემდე ვერ შობა ძე ბედნიერი?
რომ შესძლებოდა კოსმოსში ფრენა,
მოგვნიჭებოდა ეს დიდი ლხენა.

მამულო ჩემო, შესთხოვე გამჩენს,
რომ შენს მიწაზე გულგმირი გაჩნდეს,
კოსმოსის კვლევის ისტორიაში,
რომ შენთა შვილთა გვარებიც დარჩეს.

არ მეგულება არსაც ქართველი,
სულით დავარდეს, დაკნინდეს ერი,
შევთხოვ მაღალ ღმერთს, ბუნების ძალას,
რომ ქართველთ ჰყავდეთ გმირები ბევრი.

დროის ბრალია, ალბათ, ის ფაქტი,
ჯერ რომ არა გვყავს ჩვენ კოსმონავტი,
რომ ვერ მოწყვიტეს ქართველი მიწას,
ასეთი რამე ამ ქვეყნად ვის სწამს?

თუკი ცხოვრების ამ მონაკვეთში
არ გვიწერია წინსვლა, დიდება,
ჩვენს წინაპართა მისაბაძავად
ისტორიაში რაღა იდება?

შენს ქვეყნის შვილებს მუდამ ჰქონიათ
თვის წინაპართა მიბაძვა ჩვევად,
აბა, მომავალ საუკუნეში
ჩვენ ასე მხდალად როგორღა შევალთ?

მე ვისურვებდი, რომ შვილთა შენთა
ქვეყნისთვის ერგოთ ყველაზე მეტი,
რომ მათი წინსვლით, წარმატებებით,
მთლად დასცემოდეთ შენს მტრებს თავს რეტი.

რუსთაველს

რუსთაველმა მთელ მსოფლიოს
მოაბნია მარგალიტი,
ყველამ კარგად ვერ გაიგო,
მიუსიეს, კენკავს ჩიტი.
რუსთაველი პირობითად,
შოთა ქვეყნად არის დიდი,
ვინც მას ცუდად მოიგონებს,
იგი არის ფლიდზე ფლიდი.
მან უმღერა ქვეყნად სიბრძნეს,
სიყვარულს შეასხა ფრთები,
მან უმღერა მეგობრობას,
დღესაც ისმის მისი ხმები.
ის ხომ ქვეყნად დიდზე-დიდი,
მწიგნობართა იყო ღმერთი.
მიტომ ბრწყინავს მსოფლიოში
რუსთაველი ერთადერთი.
ვინ გაბრიყვდა, ვინ დასჭირდა
გვარი რუსთაველისა?!
მან სახელი შეგვილახა
ჩვენ — ყველა ქართველისა.
განა ქვეყნად ცოტა არის
გვარი უკუღმართული?
ეს ერის წინ ბრძოლა არის,
შუბივით აღმართული.
არა, ქართველთ არ სჩვევიათ,
თვის წინაპართ ძაგება,
ამის ჩამდენს მოუხდება
თვის შუბზევე აგება.
რა გაჭირდა, ვის დასჭირდა
ქართველ ერის ძაგება,
რომ მსოფლიოს კინოს სახით
ამცნო შოთას გაგება.

ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი

ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი,
არ მიაჩნია არც რადა,
დაე, იმისი ქვეყანა,
იქცეს ტიალად, ნაცრადა.
ლამაზ ქალ-ვაჟთა გამზრდელსა
დედას ავუნთოთ სანთელი
მუდამ თან გვდევდეს იმედად,
არ ჩაქრეს მისი ნათელი?
ქვეყნის ჭიუხებს, მდელოებს,
მუდამ ნათელი ეფინოს?
მის ლამაზ ცაზე თვალბედითს,
ჩიტსაც არ გადაეფინოს.
ბევრ ქარტეხილმა ჩვენს მიწას,
ჩამოაცალა კლდეები,
არ დარჩეს ქვეყნად არავინ,
ვინც შეგვიმოკლოს დღეები.
არვის ეგონოს ტყუილს ვწერ,
ასეთი ქვეყნად ბევრია,
ქართველი მუდამ იცოცხლებს,
უფლის ნაკურთხი ერია.

ზეინაბ ასისტიშვილი

პირველ ნაბიჯებს

პირველ ნაბიჯებს, მოვყავდით თქვენთან,
გაგვიღიმე და მოგვკიდე ხელი,
დავიწყეთ ათვლა საფეხურების,
ასე ვიარეთ რამდენი წელი.
გვასწავლეთ ცნობა ერთმანეთისა,
სიყვარული და დაძმობის ძალა,
დედა სამშობლო, მშობელი ჩვენი
არ შევარცხვინოთ, არასდროს არა!
თქვენს თმაში თეთრი რომ შეგერიათ,
ერთი ღერი ხომ ჩემია მათში,
ბევრი ბავშვისგან ერთი და ერთი,
გამრავლდა უკვე ბევრია თვლაში.
ერთი უძილო ღამეც ჩემია,
გთხოვთ პატიებას მასწავლებელო,
დღეს დაგიფასდათ ამაგი დიდი,
როგორც დედას და როგორც მშობელო;
მადლობა ჩვენგან, მეტად ძვირფასო,
ცელქებმა როგორ დაგღალეთ მაშინ,
ჩვენც შეგვერევა ჭაღარა თმაში,
თქვენთან კი ისევ ვიქნებით ბავშვი.

წლები ბავშვობის

წლები ბავშვობის, შორს გატყორცნილი,
დღევანდელობას უმზერს შორიდან,
სარკე როდესაც ჭაღარას გვჩუქნის
კვლავ დაბრუნება უკან მომინდა.
ჩვენ უკითხავად, ხდება ყოველი,
ჩვენი ნეტარი ზღვას შერევია.
თმაზე დათოვლილ, შეყინულ ფიფქებს,
ისევ მზის სხივი, თუ მოერია...

ქართული სუფრა

ვაზის მტევნებმა, ფერი იცვალა,
მაცდურად გვიცქერს, თავისთან გვიხმობს,
რამდენიც გვინდა, მივირთვათ ყველამ,
ყველას გულუხვად მოგვართმევს სიტკბოს,
ქართველი კაცი, ვაზს შემოუვლის,
კარგადაც იცის მისი ფასია,
შემოდგომა დაღვინდა უკვე,
ქვევრები ღვინით უკვე სავსეა.
არ ეშინია, ოჯახის თავკაცს,
სუფრას ამშვენებს, კახური ღვინო,
ღვინის შხეფები, ამოსჩქეფს მაღლა,
ყველამ მიირთვით, არ მოიწყინოთ.
ქართულ სუფრაზე, კარგი ნამზადი,
უღვინოდ, მითხარ რისი ფასია,
თამადამ რიხით შემოიძახა,
მაჩვენეთ ჭიქა, თუა სავსეა;
დღეგრძელობა და დალოცვა ისმის,
ქართული ღვინო, შხეფებს აისვრის
მრავალჟამიერს შემოსძახებენ,
რა საოცარი ხმები გაისმის.
ქართულ სუფრაზე, ბევრსაც ვისწავლით,
ვიცით ბევრი რამ მამა-პაპური.
მუდამაც იყოს მღერა და ლხენა
მუდამაც იყოს ვაზის ნაწური.

ხეივნის ქვეშ

ხეივნის ქვეშ, გავშლი სუფრას,
არ დავკეტავ, ეზოს კარებს.
მეზობელი, ნათესავი,
ვინც კი მოხვალთ, გამახარებთ
რასაც შევძლებ, გულით მომაქვს,
მიირთვით და გაიხარეთ.
ძუნწი არ ვარ, დამიჯერეთ,
ჭიქა ღვინოც ისვრის ლალებს.
კახელი ვარ, გულით მართალს,
შემოგევლოთ მინდა ყველას,
სიძუნწეა სიღარიბე,
მდიდარი ვარ, ვიწყებ მღერას,
თუ კი რამ მაქ მიხარია,
სხვასაც შეხვდეს გავახარო,
როცა წავალ, რას წავიღებ,
ბოლო წუთს რომ არ ვინანო.
ხეივნის ქვეშ, გავშლი სუფრას,
მიყვარხართ და მიხარია,
ერთად ტკბილად დავიმღეროთ,
გულის კარიც არის ღია.

ჩიტუნების მზადება

შემოდგომა გასულა,
ზამთრის სუსხი ვიგრძენი,
ჭიკჭიკებენ ჩიტუნები,
მოემატათ ფიქრები
თბილ ქვეყნებში გასაფრენად,
ჩიტუნების მზადება,
ცრემლიანი თვალები,
განშორება გაძნელდა.
ნურსად წახვალთ გევედრებით,
მე გაგათბობთ ძალიან,
თქვენი წასვლით, ნუ მომაწყენთ,
მე თქვენთან მიხარია.
თქვენს ბარტყებსაც ჩიტუნებო,
კატას არ გავაკარებ,
თითქოს გცივათ ლამაზებო,
თუ შიშითა კანკალებთ.
დაგვიჯერე, განშორება,
ჩვენთვისაც ხომ ძნელია.
გული დარდით გვიტირის,
თვალს რომა გვაქვს ცრემლია.
ისევ შენთან დავბრუნდებით,
გაგახარებთ მალე,
ნუ მოიწყენ გევედრებით,
სახლიც ჩაგაბარეთ.
შენ ერთგული მეგობარი,
ჩვენი ხარ და იქნები,
გიგალობებთ ისევ მალე,
ისევ ერთად ვიქნებით.
თბილ ქვეყნებში დროებით,
გავფრინდებით, რა ვქნათ?
აქ რომ არ გავიყინოთ
ცოდოაო, არ თქვათ.

ფიქრი და ხატება

ზღვამ მარგალიტი გაშალა,
მიმოფანტულა ირგვლივ,
რაც კარგი მიკეთებია.
ამას ყოველდღე ვიმკი.
სიკეთის კოშკი ვაშენე,
არ მინდა მე იქ სახლი,
ოღონდაც შვილნით ვხარობდე,
სხვას მე სიმდიდრედ არ ვთვლი.
როდესაც შვილებს გიყურებთ,
თავი წალკოტში მგონია,
მე სხვა სიმდიდრე არ მინდა,
არც არასოდეს მქონია,
კარგები კარგად მეყოლეთ,
ეს არის ჩემთვის ნათება,
თქვენ არაფერი გეტკინოთ,
თქვენ ხართ ფიქრი და ხატება.

განშორება

თქვენი წასვლა,
შემოდგომის ფოთოლცვენა,
თქვენი წასვლით დაწყებულა
ცრემლის დენა.
ფიქრი გაგყვათ
მოგონების ბურუსი;
ნაკვალევსაც თვალს ვადევნებ
ჩამომჭკნარი, მონუსხვით;
დაკარგულის გულის ტკენის,
აღარ ქრება კვალი.
ძველ სიმღერას ჩავიმღერებ,
გაიტაცებს ქარი.
რა ძნელია განშორება,
გული დაიფერფლა,
თქვენ თუ იცით,
ჩემი გული რომ ტკივილით ფეთქავს,
საიდუმლოს ვეღარ ვამბობ,
მაგონდება რაღაც,
გავყვები და მოგონება,
მეკარგება სადღაც.

ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი

ჩემი ღამაზი კახეთი

ალაზნის ველებს გავცქერი შორიდან,
და გულში სიამაყე მეუფლება...
ასეთი მშვენება კიდევ სად არის?
ვინც მოდის ყველა ერთმანეთს ეუბნება.
აქ ცელქი ნიავი სულს გითბობს ფერებით...
და გული ხალისობს ნაირ-ნაირ ფერებით
სიტურფით სავსეა ალაზნის ველები,
ბულბული სულს გიტკბობს, თავისი ბგერებით.
უეცრად როდესაც დაჰბერავს ნიავი,
ხეთა ფოთოლთა იწყება შრიალი.
მინდორში ქარი ქრის ხშირ-ხშირად სიავით,
ჩანჩქერი მოსჩქეფს და გაისმის ღრიალი.
კახეთში არიან გმირები მრავალი,
მაგრამ ჯერ არ მითქვამს ყველაზე მთავარი.
ყოველთვის ვიღვიძებ მომავლის იმედით...
ჩემს წლებთან წვალებით მივედი.
იდიდე კახეთო! იხარე, იმრავლე,
არასდროს მოგაკლდეს გმირების სიმრავლე.
არასდროს მენახო, შენ გაჭირვებული,
ყოველთვის გიხილო, შენ დალხინებული.

ჩემი დედიკო

ძალზე მენატრება, ჩემი დედიკო!
მასთან საუბარი, მოყოლა ამბების,
გაიხსენებდა წარსულ ცხოვრებას,
გასახსენებელი ჰქონდა რამდენი; –
უყვარდა სტუმარი – მასპინძლობა
იცოდა ნამდვილი ქართული...
ყველაფერს საუკეთესოს მიართმევდა,
სიკეთით იყო განთქმული.
თავს გვევლებოდა, გვეფერებოდა
რაც ჩვენ გვიყვარდა, იმას მოგვართმევდა,
სულის ტკივილი ხშირადაც ჰქონდა
მაგრამ არასდროს გვაგრძნობინებდა.
– ვიცოდი შვილო, რომ მოხვიდოდით.
... გუშინ კაჭკაჭმა დამძახა თავზე,
ვახშმად საჭმელი, ის მოგიმზადეთ
თქვენ რომ გიყვართო, გვეტყოდა მასზე.
გამოგვიტანდა ჩაშაქრულ ჩურჩხელებს,
ვაშლებს გაგვიფცქვნიდა ნაზად და ნატიფად,
ზამთარში ყურძენს ისეთს მოგვიტანდა
თითქოს ვენახში იმწამს დაკრიფა.
ახლობლებს უყვარდათ, დედასთან სტუმრობა,
თავს გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში,
სადილს გემრიელს უმზადებდათ.
თითებს იკვნეტდნენ ჯამში.
მინდა რომ ვგავდე, ჩემს დედიკოს,
თუმც მოსწონთ ჩემი სადილი.
მაგრამ მე არ მომწონს, დედას გამზადებულს,
სხვა არომატიც ჰქონდა ნამდვილი.
უქმად ვერ ნახავდნენ ვერავინ,
მოჰყავდა ყველაფერი, ბაღ-ვენახში,
მთელ დღეს ფუსფუსში ატარებდა,
კრიალი გაჰქონდა სახლში.
დაღლილ-დაქანცული წავიდა აქედან,
დატოვა სიყვარული ირგვლივ მყოფებში,
ვიცი, იქიდან ლოცულობს ჩვენთვის,
ნათელი ჰქონოდეს ცათა სოფელში.

ჩემს ედენეს

თითქოს დაიბადე გუშინ,
მახსოვს ტიტინი შენი,
მუჭით მოგქონდა თხილი,
შენი ბაჯ-ბაჯით, ფრთხილით.
მახსოვს, რომ შენ და ტატომ
ვერ გაიყავით თხილი...
უცბად გავიდა წლები,
უკვე გყავს ორი შვილი
ორივე ლამაზები და
ორივე, სულზე ტკბილი.
ღმერთსა ვთხოვ, როგორც დღესა ხარ,
გაბრწყინებული დედა,
... ასე ლამაზად გამყოფოს,
ლამაზ ქმარშვილთან ერთად!...

ღამური

ლ — ურჯი იები მომრავლდნენ კარგა ხანია.
ა — მ სურნელებას გულში ვგრძნობ და გრძნობაც არია.
მ — ინდა სურნელი იისა და ვარდის კოკრების...
ა — რ გამეფანტოს... სურნელება ვიგრძნო ბოკვრების
რ — ადგან სიცოცხლეს უამისოდ აზრი არა ააქვს...
ა — მ სურნელებით თუ ვიცოცხლებ აღარ მოვკვდები.

კახელი ვარ

ყველა კუთხეს აქვს, თავისი ადათ-წესი,
მე მირჩევნია ჩემი კახური.
მასპინძლობა ყველამ თავის წესით იცის,
ქეიფი და ლხინი მამაპაპური.
ყველა კუთხეს აქვს თავისი ადათ-წესი.
კახელი ვარ და ვამაყობ კახელობით...
იმერელი თუ გურული, ყველა არის ჩემში...
მიყვარს ყველა კუთხის ხალხი გახელებით...

წელიწადში როგორც არის ოთხი დრო და
ვერც გამოყოფ რომელი დრო არის კარგი,
ზუსტად ისე ვერ გამოყოფ, ვერც ერთ კუთხეს,
ყველა კუთხეს ჰყავს თავისი თბილი ხალხი.
ყველა თბილ ხალხს გამარჯვება ვუსურვოთ,
გულდაჭრილს რომ წამლობს,
ჭირში, ლხინში სამშობლოსთვის დავდგეთ გვერდში,
საქართველო მტერმა რომ არ გათვალოს.

პატივისცემით ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს

გ – ეფერებიან ვარდ-ყვავილებით.
უ – ფლის ნაბოძი შთამომავალი...
ლ – ამაზ ქალბატონს ლამაზ თაიგულს
ნ – აირნაირი ფერთა მშვენებით,
ა – გიხდათ ნატვრა, შვილთა-შვილებიც
ზ – არზეიმებით გეგებებიან...
ი – ცოცხლეთ დიდხანს, ჯანმრთელად გვყავდი,
ს – ულით მდიდარო, დიდო ბებია!

გურამი

გ – უშინ გნახე გულიანათ იცინოდი...
უ – ფალს ვთხოვე მარად ასე ყოფილიყოს,
რ – ომ სიცოცხლე უფრო გაგვიხალისდეს და...
ა – ს წელიწადს სიყვარულით ერთად ვიყოთ...
მ – ინდა ღმერთმა მრავლად მოგვცეს შვილთაშვილნი
ი – ხარონ და ამ ეზოში იკისკისონ.

უნდა დაისაჯოს

ამბობს ყველა, დამნაშავე
უნდა დაისაჯოს,
ამისათვის ვინმე უნდა გაისარჯოს.
თუ კანონით მოქმედებ,
იმოქმედე მაშინ,
სანამ დროა, თორემ,
დანაშაულს წაშლის.
უკანონო ქვეყანაში, პასუხს ელით განა?
ჩუმადა ვართ, გვეშინია
არ დაგვარტყან დანა.
ყველა ფრთხილობს, რომ თავისი
არ დახიოს ქურქი,
ხედავენ და მაშინაც კი
არ ამბობენ მართალს.
ეშინიათ არ ემსხვერპლონ,
გულით ალალ-ნათქვამს,
ყველა ამბობს დამნაშავე,
უნდა დაისაჯოს,
ხალხო როგორ, თუ არავინ
უნდა გაისარჯოს.

ლამზირა შეყილაძე

უბრად და ცივად

ბობოქარ ზღვაში მიდგას ბორანი,
მღლის მწუხარება დაუსაბამო...
თვალებში მიმზერს ვითარც ყორანი,
ჯოჯოხეთური ბნელი საღამო.
დახურულია აღსავლის კარი,
ნისლები წვანან უბრად და ცივად.
მწარე შარბათით ვარ გადამთვრალი,
და გულდაფუფქულს კურცხლები მცვივა.
აბორგებულს და ჭკუიდან შეშლილს,
პატიმარივით მადევს ხუნდები.
საკუთარ ჯვარცმით გადათქეშილი,
თავქარა დარდის ტკეპნას ვუნდები.
თითქოს ზვარაკად შეწირული ვარ,
დაჭრილ ჩიტივით თრთიან ფიქრები.
არის ცოდვის და მადლის განკითხვა,
დგას შიშნარევი გრძელი რიგები.
გაუდაბურდი მწარე ლოდინით,
გულს აღარ მიწვავს ცეცხლი უქრობი...
ოღრო-ჩოღროში დავალ ლოთივით,
საკუთარ ცრემლის ზღვაში ვიხრჩობი.

***

ზღვა, იყო დიდი, უფრო-რე დიდი,
მე მის ტალღებში პატარა კენჭი,
დიდრონ თვალებში ჩაუდგა ბინდი,
მე, მისი მაჯა მეჭირა ხელში...

***

ბრბოთა სიბრმავემ, ვერ დამაპურა,
სიმართლის პოვნა მეწადა მხოლოდ
უსამართლობამ გამანადგურა,
ცრუთა ზეობამ მომიღო ბოლო.

ვარ მისი მონა

ჩემი სამშობლოს ტკივილი ვიცი,
მას ჩემი გულის სითბო სჭირდება,
მე, მის წიაღში ვცოცხლობ და ვიწვი,
სხვისი სამოთხე მე, არ მჭირდება.
თავისკენ მძალავს ცის ვარსკვლავები,
ჩემს საქართველოს ვავედრებ ხატებს...
მამულის გულში სანთლისებრ ვდნები,
მე, მასზე ზრუნვა სიცოცხლეს მმატებს.
ძარღვებში მიდუღს წინაპრის სისხლი,
მაბედნიერებს ზეცისკენ ლტოლვა,
სამშობლოს ადრე მივეცი ფიცი,
ვარ, მისი მზე და „ვარ მისი მონა“.
მწყურია მისი წარსული აწმყო,
შენსკენ მოვილტვი ძირ-ძველო ტაო...
შენთვის მოვკვდები სამშობლოვ ჩემო,
ჩემო ლურჯ-თვალა ხატ-სალოცავო.

შენი მადლია მიწყივ უფალო

უსამართლობამ მეგონა მომკლა,
ჯერ ისევ ვსუნთქავ, ჯერ ისევ ვიწვი,
გული მატკინა ვინც კი მე, მომწვდა
ყველაფერს ხედავ უფალო მიწყივ.
არვინ დამინდო, ყველამ გამძარცვა,
ქარმაც მომტაცა სველი ვუალი...
ჯვარცმულო ქრისტე! მხოლოდ შენა ხარ,
რომელმაც ჩემზე არ სთქვი უარი.
არვის ვადარდებ ვერვინ გამიგო,
ყველამ მესროლა თითო ისარი.
სავალზე ყველამ ფანდი დამიგო,
ვერვინ შეიცნო სული ისხარი.
წუთისოფელო, რად ვერ მიმიღე,
რატომ გამწირე ბედო, მუხთალო.
ნაგვემ სხეულში რაც კი წმინდაა,
შენი მადლია მიწყივ უფალო.
ყველა მატყუებს, ყველა მიყენებს,
ქვეყნად ვერ ვპოვე კაცი შემნდობი,
ღმერთო! შენა ხარ ის ერთად-ერთი.
ვისიც მჯერავს და ვისაც ვენდობი.
შენსკენ მოვილტვი ხელებგაშლილი
აღარ მადარდებს ცრუთა ბოდვები.
საყდართან ვდგევარ სისხლით დაცლილი,
გთხოვ მაპატიო ჩემი ცოდვები.

***

მღვრიე ცხოვრების ცრუთა დინებამ სად არ მატარა,
ჩემი ლექსების გულ-წრფელობას ვინ რას გაუგებს
მოვა ვიღაცა გალეშილი, ტაკი-მასხარა...
და ჩემი სულის საარსებოს ცეცხლს წაუკიდებს...

დამიბრუნდები

მინდა, გაგიშვა, მაგრამ ვერა გთმობ,
რომ უშენობით მოვკვდები ვიცი.
სიზმარშიაც და ცხადშიც შენ გიხმობ,
ძალა არ შემწევს გავტეხო ფიცი.
რაღა ვქნა მაშინ, საით წავიდე?
გზის გასაყართან, როცა დავრჩები.
რით დავიამო გულში ბზარები,
შენი ბაგეთა ალერსს ნაჩვევი.
შენა ხარ ჩემი მზე და სიცოცხლე,
წასვლას ნუ მომთხოვ ნუ გამაგიჟებ.
მე, გეტყვი წადის... მაგრამ იცოდე,
ჩემი გულიდან ვერსად გაგიშვებ.
„საითაც წახვალ ეგ სულ ერთია“.
აწყვეტილი გაქვს უკვე ხუნდები.
უჩემოდ ვიცი შენც ვეღარ გაძლებ,
ვიცი, რომ ისევ დამიბრუნდები.

შენი ნეკნია

ღმერთმა მიბოძა, სასწაული ეს საჩუქარი,
არ მახსენდება თუ, ოდესმე შემიკვეთია...
ამიტომ არის ჩემს სხეულზე გიჭირავს თვალი,
რადგანაც იცი, ჩემს სხეულში შენი ნეკნია.
შენს კაპრიზებზე ხშირად მიწევს, რომ ვსთქვა თანხმობა,
შემოქმედის აზრს, უმთავრეს მიზეზს, ვერას გზით მივხვდი...
და თავს ვიტყუებ, შენი ნეკნის ძალმიძს დათმობა.
ტყუილად ვწვალობ, შენს ვალს მაინც ვერ გადავიხდი...

უსამართლობას ვერ გაპატიებ

ჩემი სიცოცხლე, დარდების ტყვეა,
დაკოდილ გულზე მადევს ხუნდები.
ხშირად ვიცილებ დამიზნულ ტყვიას,
მკლავენ და ისევ უკან ვბრუნდები...
ვერვინ მიშუშებს გულს დარდით დაჭრილს,
წყვდიადში სავალს გუმანით ვკეცავ.
ნატყვიარ გულში სიცივე დადის,
დაჭრილ იარებს ვაებით ვკემსავ.
ზღვაში ჩასულ მზეს დავეძებ ცაში,
ნეტავ?.. ამოსვლას რად აგვიანებს.
დავბორიალებ უამრავ ხალხში
და ბრბოში ვეძებ ადამიანებს.
არვინ არ იცის, რა ტკივილს ვითმენ,
რამდენი მწარე ღამე ვათიე.
ყველას გპატიებთ ყველაფერს, მაგრამ
უსამართლობას ვერ გაპატიებთ.
ვერ გაპატიებთ, იესოს ჯვარცმას,
დედა ღვთისმშობლის უბინო ცრემლებს.
ვერ გაპატიებთ, სამშობლოს ღალატს,
გლეხ-კაცის სისხლში ამოსვრილ ხელებს.
ჩემი სიცოცხლე დარდების ტყვეა,
დაკოდილ გულზე მადევს ხუნდები.
ხშირად ვიცილებ დამიზნულ ტყვიას,
მკლავენ და ისევ უკან ვბრუნდები...

სიცარიელეს ვებღაუჭები

თითქოს, მთვრალივით ბარბაცებს სივრცე,
ღრანტე ხევებში, ჯახირობს წლები.
ვერ ვუღალატე საკუთარ მიზნებს,
სიცარიელეს ვებღაუჭები.
მიწა და ზეცა ორთავე მცდიდა,
წუთისოფელი ესოდენ ავი...
სიმწარისგან გული მეწვის და მტკივა,
ბრბოთა ჭიდილში დავკარგე თავი.
მძულს ორგულობის ცრუთა თარეში,
ვიღაცა ძუნწი ორგროშზე დაობს.
როცა ჩაქრება შუქი თვალებში,
დავემსგავსები მოცელილ ბაოს...
დასალიერზე დაეშვა ბინდი,
და ამედევნა წყვდიადი ეულს.
მოვა სიკვდილი ესოდენ დიდი,
პატიმრობისგან დაიხსნის სხეულს.
მძიმე ჭურჭლიდან ამოვა სული,
გაიცისკროვნებს ზეცისკენ სავალს.
დედა-მიწაში ჩავლალავ სხეულს,
ამა ქვეყნიდან სხვებივით წავალ.

***

ცხოვრება ფუჭად, რომ გეხარჯება,
ჭეშმარიტება... ასე რადა გძულს?
ადამიანო! რა გემართება,
რატომ? ვერ მორჩი მგელივით ძუნძულს.

იზა ჭიკაიძე

ცხოვრების გზის მკვლევარს

შენ, ღმერთო ჩემო, სასოებავ, იმედის ქნარო,
ჩემი ოცნების შთაგონების უშრეტო წყარო!
შენი დიდება ჩემს ტკივილებს იმგვარად შველის,
რომ უძლურ–უმწე და ძლიერი, – მონა ვარ შენი!
ანგელოზები მიფარავენ ფრთითა და ხელით,
ეს შენ მიკურთხე სიცოცხლე და აკვანი ჩემი!
მას შემდეგ, მილხინს თუ დარდი მჭამს, მე მუდამ ვმღერი
და კაცობრივი ცხოვრების გზას მივიკვლევ შენით!
უფალო ჩემო, დიდების მზევ და დღევ ნათელო,
მარადისობის ჭეშმარიტი გზების სანთელო,
გარდამაქციე სინანულის ცრემლის ღვარებად,
დღესასწაულად გამიმზადე გარდაცვალებაც!

სტუმარი მოხუცის ფიქრები

სოფელში, სტუმრად, ქალი დავლანდე,
დალალებს მადლის სუნი სდიოდა,
სიმაღლით ისე გაირჩეოდა,
ვით ველისციხე კავკასიონთან.
ცად გამორჩეულ ვარსკვლავს მოჰგავდა,
ბაგეს ვარდების ფერები ჰკლავდა,
ნუკრის თვალები ცეცხლებს ანთებდა,
ერთი მეხანძრე აღარსად ჩანდა,
რადგან უმანკო ბავშვის ღიმილით,
გრძლად გამოთლილი ლალის თითებით,
უცნაურ შუქთა გამოსხივებით
ხელ–შეუხებელ ქმნილებას ჰგავდა...
მინდვრად გადაშლილ ყველა ყვავილზე
ლამაზი ჰქონდა ტანი და სახე,
ასე უნაკლო მშვენიერება
დედამიწაზე პირველად ვნახე!
გული თავისთვის ჩუმად დარდობდა...
თვალი გარბოდა... განა მინდოდა...
მე რომ ქალისთვის დავკარგე ჭკუა,
ვაჟკაცებს რაღა მოუვიდოდათ?!

ნუ ცრუობთ

შენგან და მისგან არასოდეს არაფერს ვითხოვ,
ოღონდ ნუ ცრუობთ, დრო მკურნალობს ყველაფერს ვითომ!
დრო ისე მალავს დღის სივრცეში მდიდრულ ზარდახშებს,
ახდი და... შენი უიღბლობის სარკეს განახვებს...
მერე უყურე, იკეკლუცე, სცენაზეც გადი,
ტაშიც დაგიკრან მდიდრად მოსილს, ან თუნდაც გახდილს!
დრო გველისფერად იკლაკნება წარსულის დარდით
და როცა არ გსურს, ზუსტად მაშინ, შენს ცხვირწინ დადის!
და ნუღარ ცრუობთ, დრო მკურნალობს ყველაფერს ვითომ...

ცრემლი და წვიმა

ცა ლურჯი იყო... თეთრად მოჩანდა
საჩეჩელზე მყოფი ღრუბლის ფთილები,
ქათქათელა და თავდახრილები...
უცებ გამოხტა მიუსავლეთის
შავი ურჩხულის მსგავსი ღრუბელი
და თეთრ ღრუბელს ხელი მოჰხვია!
თეთრი გაიქცა და იმ ურჩხულმა
მანამდე სდია, ვიდრე თავგზა არ აუბნია
და გულზე ხელები არ დაუბნია...
თავგანწირვის და სასიკვდილო
ისმოდა ხმები თეთრი ღრუბლისა...
ზეცა კიოდა, ელვა სდიოდა,
მაგრამ შავ ღრუბელს ძალა ჰქონდა,
მუნჯი სამყაროს მორჩილებისა...
ცა იწვებოდა შავ სარეცელზე ნამუსახდილი
თეთრი ღრუბლის ცოდვა–ცრემლებით!

შავი რომ თეთრზე ძალაობდა,
უწინ მახსოვდა, მაგრამ მხოლოდ დედამიწაზე...
და ვინ რა იცის, ციდან მოდის ეს ბრძოლები,
დედამიწაზე გააქვთ გოლები...
ჩვენ თავებს გვიტენიან, რომ თავად დედამიწაოო ცოდვილი!
იმასაც ვფიქრობთ, დავიმარხოთ გრძელი ენები,
მაგრამ არ გვინდა მოკლე ჭკუა და მუნჯი სამყარო...
შავი ფერებიც როგორმე თეთრზე უნდა გადავცვალოთ!..
ზეცა ძალზე ხშირად იწვის შავი ღრუბლისგან
ნამუსახდილი თეთრი ფთილის ცრემლების გამო
და ეს ცრემლები, დედამიწელებს, წვიმა გვგონია...

გურამ ჭავჭანიძე

ჰიმნი სამშობლოს

ენა, მამული, სარწმუნოება,
ბურჯია, მტრისგან დაუძლეველი.
ჩვენი ღირსება, ჩვენი მეობა,
ჩვენი სიმღერა დაულეველი.
რწმენის სიმტკიცე, სვეტი ნათლისა,
ჩვენი ღმერთია ენა ქართული,
როგორც ამაყი დედა ქართლისა
თბილის ქალაქთან ხმალშემართული.
გმირულ ბრძოლებში სისხლდანამული,
კიდით კიდემდე, იმერ-ამიერ,
სულზე უტკბესი ჩემი მამული,
ღმერთო, მიცოცხლე მრავალჟამიერ!
ჩემი ზვრები და ჩემი ყანები,
ჩემი „ჩაკრულო" სულის მკვესარი,
მთაწმინდის კალთა სათაყვანები,
ჩემი სამშობლო სწორედ ეს არი.
ვადიდოთ გარჯა კეთილმყოფელი,
შრომა და ნიჭი ჩვენი განძია,
ვინ აღაშენა სვეტიცხოველი?
ვინ გამოკვეთა ქვაში ვარძია?
სისხლით და ცრემლით გადანამულო,
კიდით კიდემდე, იმერ-ამიერ,
სულზე უტკბესო ჩემო მამულო,
დიდება შენდა, მრავალჟამიერ!

როგორ არ მეთქვა

„რა საჭიროა მიეთმოეთი,
თუ დაიბადე, როგორც პოეტი,
გინდ ეშაფოტზე მოხვდე,
პოეტად უნდა მოკვდე!"

როგორ არ მეთქვა, როგორ არ მეთქვა,
როცა მომესმა ამ გულის ფეთქვა:
ხმა ამოიღე, თუ ხარ ქართველი.
თუ ჯერაც გახსოვს მამის სახელი,
თუ ჯერაც გახსოვს, ვისი ხარ გორის,
რომელი ერთის, რომელი ორის,
როგორ არ მეთქვა!

არ დაგავიწყდეს!

არ დაგავიწყდეს, ვისი გორის ხარ,
არ დაგავიწყდეს, მამის სახელი,
არ დაგავიწყდეს, სიდან მოდიხარ,
არ დაგავიწყდეს, რომ ხარ ქართველი!
თუ რა დიდია პატარა გორი,
თუ რა დიდია მისი ნაყოფი,
თუ რა დიდია შენი დიდგორი,
თუ რა დიდია შენი მარტყოფი.
ნურცა ეხაროს მტერსა და დუშმანს,
კვლავაც ელხინოს ივერთა მხარეს,
ეს გაუმარჯოს ენგურს და უშბას,
მთვარის დუდუნს და მთაწმინდის
მთვარეს.
არ დაგავიწყდეს, ვისი გორის ხარ,
არ დაგავიწყდეს მამის სახელი,
არ დაგავიწყდეს, სიდან მოდიხარ,
არ დაგავიწყდეს, რომ ხარ ქართველი!

ძველი და ახალი რვეულებიდან

მინდა რომ გაქო, მაგრამა
ენა არ მომდევს ტიალი,
შენგან სიკეთეს ველოდით,
მაგრამ მოგვეცი ზიანი.

ვაჟა ფშაველა

აბდალი

ეს მთავრობა გამაგიჟებს,
რაც მართალი, მართალია,
სადაც ბრძენი უნდა იჯდეს,
გაიხედავ – აბდალია.
გაერიდო აბდალს უნდა,
გიჯობს, გაშპე ფეხშიშველი,
საქმე თუკი გაგიცუდა,
ასი ბრძენი ვერ გიშველის.
ენას ჭვალი არ ადგება,
ვინც უსმინა, გადარია,
დაფშვიტინობს თავისნება,
დარია თუ ავდარია.
დონ-კიხოტის ძმაკაცია,
ქარწისქვილთა სარდალია,
დაგვამხო და დაგვაქცია,
აბა, რისი აბდალია?

***

არა მგონია, იყოთ მართალი,
ჩვენს დამაქცევარს ვინც რას პატიობთ,
ღმერთმა შეგინდოთ ეგ სამართალი,
ერმა იქნება არც გაპატიოთ.

სასაცილოა

სასაცილოა, როცა ვარდნარებს
ყვავი იფერებს ვერანი,
სასაცილოა, როცა ყვარყვარეს
შესციცინებენ ყველანი,
ნეტავი, ხალხმა ეს თუთაბერი
დროზე იცნოს და გარიყოს,
სასაცილოა ეს ყველაფერი,
სატირალი რომ არ იყოს.

თბილისი-ქალაქში

თბილის-ქალაქში ერთი ქალია,
ჩემი გული და სული დალია,
მალაღებს მისი ბროლი, ლალები,
ღმერთმა უმრავლოს თებერვალები!
ქალო, ლამაზო, ჩემი სულთქმა ხარ,
სულ სხვაა შენი ოქროს ხუნდები,
არ მეფერები, მაინც მიყვარხარ,
რომ მომკლა, მაინ ცარ შემძულდები!

ჩემი ბედაურები

ჩემი ბედაურები რბიან გაუხედნავი,
ხან აისი იალებს, ხან ღმუიან ქარები,
რბიან ბედაურები, წლები მოუხედავი,
მე კი, ჩემო სიცოცხლევ, მაინც შენ მეყვარები.
ოცნებას და იმედებს განა ეღალატება,
რა ვუყოთ თუ გადრინდნენ წეროების გუნდები,
სულში ისევ მინთია შენი წმინდა ხატება,
მირაჟებო ცათანო ნუკი გამიხუნდებით.
ისე ჩაიქროლებენ წლები ნანდაურები,
როგორც შმაგი ქარები, როგორც ნიაღვარები,
ისე ფაფარაშლილი, როგორც ბედაურები,
ისე ხმაურიანი, როგორც ნიაგარები.
შორით ჩამოვიტოვე ქარავანი რამხელა,
წლები ანამღერები, წლები ნაგრიგალები,
კიდევ მელის ტრფობა და სიყვარულის გამხელა,
შემიყვარდი სიცოცხლევ, მუდამ შენ მეყვარები.
ოცნებას და იმედებს განა ეღალატება,
ისევ მოფრინდებიან წეროების გუნდები,
არასოდეს ჩაქრება სულში შენი ხატება,
მირაჟებო ცათანო, ვიცი დამიბრუნდებით.
ჩემი ბედაურები რბიან გაუხედნავი,
ხან ავდარი იძალებს, ხან კი ცისკრის დარები,
არსად შეჩერდებიან წლები მოუხედავი,
მე კი, ჩემო სიცოცხლევ, მაინც შენ მეყვარები.

ვერ შეველიე

დაგიკრეფ იებს, ჩაგიწნავ თმაში,
დაგშვენდება და როგორ,
აპრილის დილას მაგ თეთრ კაბაში,
რა ლამაზი ხარ, გოგო.
ვერ შეველიე აპრილის ვნებას,
გულს შენი ტრფობა მითბობს,
ვერ შეველიე შენს გაღიმებას,
შენი თვალების სითბოს.
მზის სხივებს შევკრებ, მოგართმევ კრძალვით,
ფერად ლალის და ქარვის,
სიყვარულს უბით ვატარებ მალვით,
არ გავუმჟღავნებ არვის.
ოღონდ მინატრე, სადაც იქნები,
დღის იყოს, თუნდა ღამით,
მაცნედ მომივლენ შენი ფიქრები,
არ დავახანებ წამით.
დავედევნები შენს ნატერფალებს,
ციმციმ გადვიწერ პირჯვარს,
ღმერთს შევავედრებ შენს ლამაზ თვალებს,
ვინც ტკივილამდე მიყვარს.
მოვალ და გეტყვი, გეტყვი ყველაფერს,
ჩემო ლხენავ და დარდო,
რომ იმქვეყნადაც შევცვლი ვერაფერს —
შენ მეყვარები მარტო.
მერე აღმართონ თუნდაც მახვილი,
თუნდაც დაეშვას ფარდა,
დაგტოვებ ხატად ტრფობით დაღლილი,
უსასრულობის კართან.
ლურჯთვალა იებს ჩაგიწნავ თმაში,
დაგშვენდება და როგორ,
აპრილის დილას მაგ თეთრ კაბაში
რა ლამაზი ხარ, გოგო.

ქართველ ქალებს!

ეს გაუმარჯოს
ჩვენს ქართველ ქალებს!
ვინც გვასულდიდებს,
ვინც გვამღელვარებს.
მათ ბროლს და ლალებს,
მათ ლამაზ თვალებს,
ჩვენს ქართველ ქალებს,
ნაღდ ქართველ ქალებს!

თეა კანდელაკი

მონოლოგი

ავწონ-დავწონავ ყველას ნათქვამს და გავიაზრებ,
როგორც, ნათქვამს ბრძენი კაცისას.
თმენით მოვისმენ მათ საუბარს-
თუნდაც ავისას.
მაგრამ, თუ ვიცი, რა გზით ვაკეთო რაიმე კარგი,
მე ავასრულებ ჩემს არსებაში განზრახულ წადილს.
რადგან მე - მე ვარ, განგებამ ჩემი მიბოძა ჯკუა
და სადაც წავალ ამ ნაბოძებით უნდა ვიარო.
რადგან მე - „მე" ვარ და არ მჩვევია სხვების ენაზე
წაღმა-უკუღმა, რომ გავიარო...
და თუ ჩემს ჯკუით წავაგებ რამეს
და ეკალ-ბარდებს დავიგებ გზაზე,
ბედის უკუღმა დატრიალებას ჩემს თავს ვაბრალებ,
მან ამირია ჯკვა-გონებაო, არ ვიტყვი სხვაზე.
რადგან ასეა, თუ, კაცი თავის ცუდი ქცევით კისერს მოიტეხს,
ვითომც, აქ არა მომხდარაო, წყნარად მოითმენს.
უფრო პატარა რიდედ მიიჩნევს ამ ტკივილს, განცდილს,
ვიდრე, უბრალოდ, ფეხის დაცდენას, სხვის ჯკუით გავლილს.
ესეც ასეა, კაცი თავისი ძალით მიღწეულ სიამოვნებას
უფრო მაღლა სწევს,
ვიდრე სხვისი დახმარებით მიღწეულ მწვერვალს.
თუმცა, ეს, ასე არ უნდა იყოს,
მაინც ყველანი ერთმანეთს ვგევართ.
და ამიტომაც...
რადგან მე „მე" ვარ, განგებამ ჩემი მიბოძა ჯკუა
და მეც გავკაფავ აღმავალ ბილიკს მწვერვალისაკენ,
ძნელ სავალს თუნდაც.

და იქვე, ბოლო მინაწერი...

ბედის მდევარმა სთქვა ალბათ ერთხელ: -
ყველას განგებამ თავის სამყოფი გიბოძათ ჯკუა და
ვერვინ განერიდება. - ო.
მოგვწონს, თუ, არა, უნდა დავყვეთ მის ნათქვამს, რადგან,
ბრძენს უთქვამს:-
„ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება"- ო....

10.03.1995
საქართველო, თბილისი

ფარსის ბიჭუნავ, დაუკარ სანჯი!

ცა იყო ბნელი, ზღვა იყო ვრცელი,
ქარი დაჰქროდა ისევ კარდაკარ.
ცის კიდე ელვის გაჰკვეთა ხაზმა,
ალბათ იტირებს წვიმა ამაღამ.
ტალღის შხუილმა შთანთქა სიჩუმე,
სიცოცხლის ეტლით მიჰქრის – ელია.
სისწრაფით კვეთავს საათს ისრები,
დროის ჟამთასვლას იუწყებიან.
მზე ჩაესვენა შავი ზღვის გაღმა
და ანარეკლი დასტოვა თალხი,
პირმშვენიერი ფარსის არ იყოს,
დაუკარ სანჯი!
და აღარასდროს არ მკითხო– რატომ?!
ალბათ, ეს ვცანით ყველამ საჭიროდ და
მიტომ გიხმეთ.
„ხუთასმა კაცმა სისულელეც რომ დაგიმოწმოს,
უნდა ირწმუნო,
ვიდრე ერთის ნათქვამი სიბრძნე?!“
მზე ჩაესვენა ორი ზღვის გაღმა,
თითქოს, გვიწყდება ფიქრი– როდენის.
დაუკარ სანჯი ფარსის ბიჭუნავ!
სულგანაბული მის ხმას მოველით.
კვლავ სწრაფად კვეთავს საათს ისრები,
ეს რა უწყალოდ დაგვტოვა ჟამმა,
ფარსის ბიჭუნავ, დაუკარ სანჯი!
იქნებ ამ ხმაზე იყუჩოს წამმა...
იქნებ, ამ ხმაზე გაცოცხლდეს სული,
იქნებ, სანჯის ხმის გაგონებას ნატრულობს ყველა,
იქნებ, ჟამთა სვლამ სანჯის ხმაზე არ დაძრას ეტლი,
წამს შეგვასვენოს და დაღლილებს მოგვგვაროს შვება...
ცა იყო ბნელი, ზღვა იყო ვრცელი,
ქარი დაჰქროდა ისევ კარდაკარ.
ბევრის ირწმუნა პირმშვენიერმა, აკვნესდა სანჯი,
ღვთაებრივი ხმა წარიტაცა ქარმაც კვალდაკვალ.
თითქოს საათზე დაჰკარგვოდა აღმა სვლა ისრებს,
რამ ათქმევინა ყიფჩაღეთში შარაღანს ვინმეს; –
„ხუთასმა კაცმა სისულელეც რომ დაგიმოწმოს,
სარწმუნოა“–ო, ვიდრე ერთის ნათქვამი სიბრძნე.

09.29.1995

დაე, აიჭრას ცად ჩემი სული!

ერთ დღეს, საშინლად ამტკივდა სული
და სასწაული ვიგრძენი სევდა,
ვინატრე გვერდით მე მეგობარი,
რომ ჩემი გულის ნადები მეთქვა.
მარტო აღმოვჩნდი კვლავ ჩემს ფიქრებთან,
რა ძნელი იყო ის წუთი მაშინ,
მე არ მქონია ასეთი განცდა
და წავიშინე ხელები თავში.
გარეთ გავვარდი, რომ დაენამა
მტირალა წვიმას შეშლილი სახე.
ზეცას ავხედე და შორით, ნისლში,
ვიღაცის ურჩი თვალები ვნახე.
მე არ მქონია ასეთი განცდა –
უსასრულობის და მარტო შთენის.
თვალწინ გაშლილა ეს ცა და მიწა,
სადღაც სამოთხე და ჯოჯოხეთი...
საიდან!.. რატომ!.. როდის, ან, რისთვის!
რად გამაჩინა ამ ქვეყნად ღმერთმა,
ან, როგორ ვზიდო ეს მძიმე ტვირთი
ამ პაწაწინა მხრებით მე –ერთმა?!
როგორ წამოვდგე ფეხზე გაშლილი,
საყრდენად ცოდვის ჭაობში ვდგავართ,
იქნებ ვიპოვო მე ოაზისი,
იქნებ ნათელთან სულ ახლოსა ვართ...
იქნებ ახლოა ზეცისკენ კიბე,
რად ვსაყვედურობთ ამისთვის უფალს?!
სულის განწმენდას, გლოვა კი არა,
ქრისტეს ნავალი გზის პოვნა უნდა!
ხელი გამიშვით! მე ამ ჭაობში
ვერ გავჩერდები ვერც ერთი წამით!
დაე, ვიპოვო ის გზა, რომელიც
მე ამისრულებს დიდი ხნის წადილს!
დაე, აიჭრას ცად ჩემი სული,
რამ დამაბრკოლა ანდაც აქამდე?!
„რის მაქნისია ეს გზა, რომელსაც
მართლაც ვერ მიჰყავს კაცი ტაძრამდე“?!
თუკი დამლოცავს ზეცად უფალი
და თუ გამიგო, რაც უნდა მეთქვა,
მაშ, რად არ ვზიდო ეს მძიმე ტვირთი,
თუნდ პაწაწინა მხრებით, მეც, ერთმა!

12.05.1997

ავთო ხარაიშვილი

13 ივნისი

(თბილისის წერილებიდან)

მუხლებჩამოყრილი მე დღეს მოვეთრიე
თვალებზე ცრემლი მომდის სიტყვა შემაწიე
გული თითქოს ფეთქავს, ძარღვებს აგრძნობინებს,
მასში სისხლი არ მაქვს, მაშინ გამიწყალდა,
როცა სამოთხის გზას გვერდი ავუქციე.
ამას გოდება და ცრემლი აღარ შველის,
მხოლოდ ზეციერთა ერთხმად შებრალება
თუღა გადამარჩენს...
მხოლოდ მიწიერთა ჟრიამული მესმის
თითქოს ქაოსია მაინც სიმშვიდეა.
სხვისი სიხარული
ჩემთვის ტკივილია,
ისევ ცა მეტია ისევ ივნისია
ისევ წყალდიდობა
მორებს მიაგორებს
და თან მიაყოლებს
ჩემი გულის გრძნობებს.
მაგრამ ვის ცალია
ყველა გართულია
ჩემი სული გრგვინავს
იქვე გვერდს აგდია.
და ეს ის სტიქიაა
ჩემთვის დასასრული, სხვისთვის საწყისია.
ისევ ცამეტია, ისევ ივნისია.

13.05.2015

ზეცა კახეთის

წუხელ მაჩუქეს კალამი
ფურცლისაცა მაქვს ნაგლეჯი,
შემორჩენილი წინაპრის
ფერ გადასული ნადები.
ვხედავ ოცნებებს ფერებში
ვით ზმანებაში წავედი
აქვეა ჩემი კახეთი,
ჩემი სოფელი აფენი.
წინაპართაგან ნაგები
სახლები კირით ნალესი.
მივყვები ქუჩას ამაყად
და თან ფიქრებში წავედი.
როგორ ამოვა მზე დილით
საღამოს ჩავა კვლავ მზერით.
მაგრამ სიბნელეს როდის არს
არ მოჰყვებოდეს ნათელი.
მთვარე ამოვა კაშკაშა
და გაანათებს კვლავ მზერით.
ქუჩაში მარტო მივდივარ,
ფეხდაფეხ მომსდევს ნათელი,
იმ ღამეს ძლიერ აწვიმდა
ანათებს ზეცა კახეთის.
ვხედავ მეათე სახლია
ჩემ წინაპართა ნაგები.
ვუახლოვდები ნელ-ნელა
მანძილსა ეკლებს სახლამდის,
ეზოში შუქი ანათებს
კარის წინ დამხვდა დარაჯი
ძაღლი, რომელიც მამაცად
სახლის დაცვისთვის მზად არის.
შევხსენი კარი ოთახის,
სურნელი მეცა კვლავ ვარდის
და გამახსენდა ბავშვობის
ცელქური წლები ნატარი...

17.09.2015

სიყვარული ხაჩვენო

სიყვარული აქცენტით,
ანუ გრძნობა არცერტი.
სიყვარული მალული,
უჩუმრად გაპარული.
სიყვარული ძლიერი,
და ყოველთვის მშიერი.
სიყვარული ნანატრი,
და არასდროს ამხდარი.

სიყვარული მართალი,
ცხოვრებისგან ნათალი.
სიყვარული ცალმხრივი,
საშინელი ნამდვილი.
სიყვარული ორმხრივი,
ყველაფერი ცნობილი.
სიყვარული საჩემო,
არარსებობს გარშემო.

12.1.2016

შენ რომ წახვალ

ამოვარდება გრიგალი
ზეცა იტირებს ინანებს
მაშინ,როდესაც შენ წახვალ
და საიქიოს მიაღწევ.
მე კი დავრჩეი მდუმარე
და მზეს გავხედავ მრისხანედ
უშენოდ ყოფნა ძვირფასო
ამ ნათელ დღესაც მიღამებს.
რა იქნებოდა შენს ნაცვლად
მე წავსულიყავ იმ ქვეყნად
მაგრამ განგებამ ინება
მე შენ გიგლოვო მხურვალედ.
ღამე არ მძინავს უშენოდ
მასა აქვს შენი სურნელი
მინდა შეგიგრძნო ბოლომდე
მე უშენობით ვითვრები.
მთვრალი დავდივარ ქუჩებში
მინდა,რომ შენთან მოვიდე
თვითმკვლელი გავხდე ვინატრი
ან ვიმემ მომკლას მოვიდეს.
რა ვქნა სიცოცხლე ძნელია
უშენოდ განატარები
სინათლეც ბნელი მგონია
არ რეკენ შუქის ზარები.
ვერ შეგელევი ვერასდროს
ვერ გაგცვლი ვერცერთ სხვა ქალზე
მე მირჩევნია სიკვდილი
და წამოგება ბასრ ხმალზე.
ჭიების გავხდე საკვები
მიწა მეყაროს ულევი
შენს სიახლოვეს ძვირფასო
მე უკვდავებად ვიქცევი.
მაგრამ სიცოცხლე აღარ მსურს,
არც უკვდავებას ვესწრაფი
თუკი ცხოვრებას შევძულდი,
თავს გადამესხნას მე ლაფი.
მოვალ,კვლავ მოვალ იცოდე,
გვერდს გაგიმაგრებ გპირდები,
და შენს ხომ იცი სამოთხევ,
სუნთქვაზე მეტად მჭირდები.
მოვდივარ და გზა ნათდება,
შენსკენ იშლება ფერები
მე კი ჩემს გრძნოვევს ვფიცავარ
შენს ხელებს მოვეფერები.
საფლავის მიწას უმძიმებს
ზედ თავზე გადავიფარებ
დაე მეგულე ჩემ გვერდით
უშენოდ მე ვერ ვიძინებ.
სიცოცხლე ასე დავტოვე,
სუნთქვა გავწყვიტე ხმელეთის.
და ამ მიწიერ სამყაროს
კვლავ განაცვალე შენ ერთი...

ეკლესიის გვირგვინი

მაშ, შენ ფიქრობ, რომ არ გვიწერია ჩვენ სიყვარული,
და დრომ ინება,ჩვენი გაყრა ერთმანეთისგან,
თვით ღმერთმაცა,რომ თქვას ასეაო ვერ დავიჯერებ,
შენი გულისთვის თავს გავწირავ სულს გავიმეტებ.
აკი ამბობდნენ უგუნურნი ჩვენს გაყრას მუდამ,
და შენცა ხედავ, რომ ვერ ვუარყოფ შენდამი გრძნობებს,
შენი გულისთვის სულს გავყიდი,ეშმაკს მივანდობ,
მერე დაფლითოს ნაომარი გვერდზე მიაგდოს.
თუ ამის გამო მიწოდებენ ეშმაკის მონას,
მაშ,ესე იცის თვით დამადგან ეკლის გვირგვინი,
თუ მე გავყიდე ჩემი სული საამისოდ გროშად,
და შენც ხომ იცი რატომ დავთმე მე ჩემი სული.
იმ სამი გროშით შნ გიყიდე ვარდების კონა,
და მაგ ვარდების თავზე მადგას ეკლის გვირგვინი
ვარდი უეკლოდ ვის დაუკრეფს მე რომ დავკრიფო,
ვიზე მეტი ვარ მიწიერი ანდა ნაკლები?!
სულ განადგურდა ჩემი გული მიტოვებული
და ელოდება გათენებას გრძნობებით აღსავსე,
კვლავ აყვავდება ესეც ვიცი შენ, რომ გიხილავ,
შენ, რომ გიხილავ აყვავდება დედამიწაზე.

30.10.2015

ლეილა ვადაჭკორია

ცისკრის კარი მეხსნება

დარდი ჩამოვიფერთხე,
როგორც კალთის მტვერი,
თვალები რომ გიბრწყინავს,
რომ ხარ ბედნიერი.
გახუნებულ დროებას
დაუბრუნდა ფერი,
ყოჩივარდებს მზის გულზე
მოუღერავთ ყელი.
როგორ გამომპარვია
ყვავილობა ნუშის,
ახლა შემომიბრძანდა
გაზაფხული სულში.
ცისკრის კარი მეხსნება
ჩემო ნატვრისთვალო,
შენ რომ ბედნიერი ხარ
შენ რომ ასე ხარობ.

არ შეკრთე

არ შეკრთე ჩემო ჭადარო
ვერას დაგაკლებს სტიქია,
ისეთი ფესვმაგარი ხარ
ქარტეხილის რა მიქვია.
ზამთარმა თეთრად შეგმოსა
ქათქათა ფანტელებითა,
გაზაფხულს დილის ცვარ-ნამი
გულს აგიძგერებს ვნებითა.
ნიავთან თამაშს ნაჩვევი
აგიცეკვდება ტოტები,
ფოთლების შრიალს უსმინე
სიომ ასწავლათ ნოტები.

მეომარი ქალი

თავდადებულთა კრებული
რწმენას ასხივებს ზეციდან,
წმინდანთა ლოცვა ეწევა
მამულს ყოველი ფრესკიდან.
მეც ჩემი ფიცის ერთგული
ერთი ქართველი ქალი ვარ,
წავკისელის და წყნეთელის
ჯიში და მონაგარი ვარ.
ვაჟკაცებს ტოლს არ დავუდებ
მერე რაა, რომ ქალი ვარ,
რკინის ნატეხად ვიქეცი,
ხმალ-ხანჯალ-სატევარი ვარ.
ბუზანკალივით გვეხვივნენ
მაინც ვერ მოგვსრა ვერავინ,
მოყვრისთვის სიცოცხლეს ვწირავ,
მტერთან მტერი ვარ ვერაგი.

ისეთ სიყვარულს გაჩუქებ...

ადრე სულ ახლოს მყავდი და
შენ გიყურებდი მთვლემარეც,
მითხარი რატომ მემალვი,
რომელ მთას ამოეფარე?
მნათობებს დავეკითხები
იქნება სადმე გიხილეს,
მთვარემ დაგლანდა იქნება,
თუ ისიც გადაიბირე.
იქნება ვარსკვლავს მიენდე
სული გაგითბო ნუგეშით,
აქ იქნებ ბინა დაიდე
ლურჯად ლივლივა ღრუბლებში.
უიმედობა დამჩემდა,
სულ ამირიე გზა-კვალი,
ოღონდაც კარგად იყავი
არ მოგერიოს მზაკვარი.
ვარსკვლავებს შევევედრები,
ცა ღრუბლებიდან დაცალოს.
დაგელოდები, ნეტავი
როდემდე უნდა დაგმალონ.
მერე ავკინძავ სტრიქონად
ახლა რომ მცვივა სიტყვებად,
ისეთ სიყვარულს გაჩუქებ
ენით რომ არა ითქმება.

****

შენი ტკივილი გამანდე
იქნებ როგორმე გიწამლო,
მითხარი, რა გავაკეთო,
რა ვქნა, რომ ისევ მიწამო.
ნუთუ ისე ვარ წაშლილი
ვერ წამიკითხავ თავიდან,
მე დავისაჯე უშენოდ
ვერ მოვისვენე წამითაც

ჭორიკანა

რამდენს ჭორიკნობ ყვავილო
ველარ იზრდება ყურები.
შენ დაგცდა ენის წვერიდან
თუთისკენ რად იყურები?!
ნეტავი ახალს რას იტყვი,
კიდევ რა დაგრჩა უთქმელი?
ავ სიტყვას წყალსა გაატანს,
ტირიფიცა და ურთხმელიც.
მუხას შეხედე ასწლოვანს,
ის არ შეესწრო საძრახისს?!
მოყვარეს პირში ძრახავდა,
სხვას არ ეტყოდა არავის.

ვერ ისვენებს გონება

ვერ ისვენებს გონება
უფლისაგან ნაბოძი,
სანამ იდუმალების
საიდუმლოს ამოხსნის.
ბევრჯერ გადაულახავს
უხილავი საზღვარი,
რა ქნას, ეცოტავება,
ხელი გულზე რაც არის.
ზოგჯერ წუთისოფელი
გვიწყობს მწარე გამოცდას,
ღმერთო, უკმარისობის
სიტყვა როგორ წამომცდა

დედამიწაო...

დედამიწაო... დავთვალე,
შენი ქვეყნები, ერები,
მდინარეები, ველები...
დამწერლობა თუ ენები,
არც ისე დიდი ყოფილხარ,
არც ისე, თვალუწვდენელი.

რწმენით უყევითა

დრო უსასრულო მაინც გაილია
მტერს ვერ წაუშლია კვალი,
რწმენით უყევითა
და მოთმინებითა,
ცამდე აღმართულა ჯვარი.
განგებამ ინება,
ახლა შენთანა ვართ,
უნდა მოვიხადოთ ვალი.
ტკივილი დაგიამოთ,
ოშკო წამებულო,
უნდა შეგიმშრალოთ ცრემლი,
შენი სამრეკლოდან
ისევ რეკოს ზარმა,
ისევ გეხვეოდეს მრევლი.

ტყის მეგობარი

დილაა მშვიდი,
ნიავსაც სძინავს და აღარ კრთიან
ხეზე ფოთლები.
სოფლის ძაღლები
ნასუფრალს ღრღნიან,
დარჩა ნაგავი,
ცარიელი ყრია ბოთლები.
მოუწყენია ტყეში
ხეებს, ბალახებს, ბუჩქებს...
ტყის მეგობარი წასულა და,
აღარ ჩანს თურმე.

***

კვირტი იყო და დაღვინდა,
გაშლილ გვირგვინის
ფურცლებად,
ვიდრე ნედლია,
არ ხმელობს,
ბალახი ვის მოუცელავს.

ნაირა ნიჟარაძე

ჩემო მამულო

მიყვარს მზიანი,
დილა ცვრიანი,
მწვანე მთიანი,
ალუბლიანი,
ია – ღვიანი,
ხე-ვაზიანი,
მაღლა ცა, მუდამ
ვარსკვლავიანი.
ბალახ-ბულახი,
ტკბილი, რძიანი.
ხალხი ფხიანი,
იმედიანი.
ჭირის და ლხინის
ამტანიანი.
ბუნებასავით
ლამაზიანი.
მათი სიმღერა
მეტად ხმიანი.
მათი როკვა და
ცეკვა-შრიალი,
ჩოხა-ხანჯლების
მარჯვედ ტრიალი.
მიყვარს ქართული
სიტყვა ფრთიანი,
ტურფა მამული
მთა-გორიანი.

შრიალა ცაცხვი

სად გავიზარდე? თქვენს თბილ წიაღში,
ამ თბილ ჰაერში, მერცხლის წკრიალში,
ჩავბუდებულვარ ვარდში, იაში,
და იმერეთის ცაცხვის შრიალში.
გვერდს მედგა დედა, დიდი ბებია,
გამაგრებულნი ვეფხვთან ჭიდილში,
ქართველი ხალხი არა ცდებიან,
გამოზრდილები ნამუს-სინდისში.
აქ მზრდიდა სიო იმერეთისა,
ქარი მოსული შორეულ ზღვიდან,
იდგა სხივები მაღალ ღმერთისა,
ჩამოღვენთილი ალისფერ ციდან.
საქართველოში, ბალახის ცვრებში,
სად ჰარმონია მერგო ბუნების,
გამოვიზარდე ფლეიტის ხმებში,
გადარჩენილი ბედად, უვნებლივ.
ვერაფერს გვავნებს მტრების ფანდები,
მიწა წაგვართვეს? ისევ აღვსდგებით,
არ ვართ ჯაბანი, თითქმის არც ერთი,
ქართული ჯიში – დაუმარცხები!

ვაზი

– ვაზი გვიხარე, ღმერთო,
აღმტაცებელი გონების,
გამხარებელი ტოლების,
მიმმატებელი ქონების.
ოჯახის შემამკობელი,
მომლხენი და მათრობელი,
ყველგან ჯანსაღად მყოფელი.
ქალაქია თუ სოფელი.
ვაზი გამიზარდე, ღმერთო,
აგვივსე ლერწი ყურძნებით,
დამშვიდდეს გული უძღები,
სჭირდება ხელი უღლელი.
ვაზი ძვირფასი რამ არის,
დარდის, სხეულის წამალი,
შარბათით სავსე მარცვალი,
არისო თაფლის ნაცვალი.
ვაზი გვიხარე, ღმერთო,
რომ გულში სიცოცხლე გვენთოს,
წკრიალა ღვინო დავწუროთ,
მამულო, ჩემო ქართულო!

ჩვენ და ღვთისმშობელი

რადგან ისურვა ღვთისმშობელმა
ჩვენი გაჩენა,
კიდეც იზრუნებს საქართველოს
გადასარჩენად.
აბა, რად გვინდა სამოქმედოდ
მტკიცე მარჯვენა,
ქვეყნარდ მშვიდობა, სიხარული
თუ არ გვაჩვენა!?
გვითხრა: იყავი მუდამ
გმირიო,
დაიცავ მიწა,
ნუღარ სტირიო!...

ვაზო, კეთილო

რა ღვთაებრივი ვაზი დგას სახლთან,
აივანს გაჰყვა და დიდი გახდა,
გადაეფარა ფართო ფოთლებით,
მორთო მიდამო მწვანე ტოტებით,
ზაფხულის ხვატი საზამბახოებს,
ახმობს ულმობლად, როგორც ახოებს,
ჩრდილში ვზივარ და ვარდის მთესავი,
ისევ გიმღერი მეჩანგესავით.
დიდება შენდა, ვაზო, კეთილო,
მუდამ მახსოვხარ, თუნდაც მეძინოს,
ტკბილო, შრიალავ, საჩრდილობელო,
მწვანე ბაღის და სახლის მფლობელო!

სჯობს გაისარჯო

ჭიკ-ჭიკ-გალობა და სხვა გართობა,
ცეკვა-თამაში, – დროებითია,
გასართობია, მხოლოდ მითია,
დარდის მშთანთქავი, მართლაც ფლიდია.
მალე გაქრება, როგორც სიზმარი,
გვიან მიხვდები, სადაც იყავი,
გმირ წინაპართა ფიქრო და დარდო,
სჯობს იმოქმედო და გაისარჯო!
და მოიპოვო მარჯვენით სარჩო,
დედა სამშობლოს რაიმე არგო...

გიორგობის დღესასწაულზე

დღე იყო თბილი,
მეტად მზიანი,
ვიდექით ერთად,
ღვინის ფალით,
ჩვენი სიმღერა
იყო ხმინი,
ვადღეგრძელებდით
ერთურთს სიამით.
ერთი სურვილი
გვქონდა ქართველებს,
მრავალი სიტყვა
დავაფრთიანეთ,
ყოველი დილა
მსგავსად გათენდეს,
და საქართველო
გაერთიანდეს!

ისევ ათეხაზეთისკენ

ნონა ძიაპშიპას

როგორც იქნა ჩამოხვედი,
ისევ იქით იჩქარი?
სიყვარული აქ იპოვე,
სად გარბიხარ, მითხარი!
გული ორად გაყოფილი,
ფეთქავს დანაფიფქარი,
იქ მტერია – ჯავსნოსანი,
ისევ ჩვენთან იყავი.
ფულებს იხდი, იპარები,
გადალახე საზღვარი,
მშვიდობიან ადგილს ეძებ,
მშვიდობა კი აქ არი.
იქ მშობლების სახლი იდგა,
დარჩა მხოლოდ ქოხი და,
დედა, მამა ამოგიწვეს,
მიწა დარჩა ოხვრითა.
მარადმწვანე აფხაზეთი,
ჩვენთვის ბუჩქი-შლილია,
კარდახშული საქართველოს,
საყვარელი შვილია!

ნათდება

ნათდება დილა მზიანი,
დალალებსხივოსნიანი.
სხვისი სამშობლო რად მინდა,
ჩემი მაქვს მაღალმთიანი.

ნარგიზი, იასამანი,
ყვავილი შემამკობელი,
აქა დგას ჩემი სახლ-კარი,
აქა მყავს დედა მშობელი!

გელათის აკადემია

„გელათის აკადემია იყო
მოძღვრად ათინად
წოდებული“.
ქართლის ცხოვრება.
ხეთა ჩრდილში,
წყაროს პირას,
განა მარტო კლდენია,
თვლემს სუროში გახვეული,
ძველი აკადემია.
ნაცნობია ეს ხავსები
სიო არხევს თელიანს,
ბაიებს და ყაყაჩოებს,
ყელი მოუღერიათ.
ამ ფერდობზე უნაზესი,
მშობლიური ფერია,
აუგიათ სალოცავი,
ვით ზღაპრული ფერია.
ამ კლდეებში ასწავლიდნენ,
სიბრძნესა და სიკეთეს,
შენს სამშობლოს, ჭირგამოვლილს,
მოუარე, მიხედე!
ვით მოხუცი, ვალმოხდილი,
ჩაუქრობი გენია,
თვლემს სუროში გახვეული
ძველი აკადემია!

ქალი

ქალი ქალია, თუ გაცოფდა, ძალზე ავია,
სამშობლოს ბედი მას აწუხებს დიდი ხანია.
ვის შეუძლია დიდი მთების გაცამტვერება,
ვის შეუძლია იავარჰყოს მისი მშვენება?!
ვის გაუღობეს ეზო-კარი მავთულხლართებით,
ჩვენო გმირებო, საფლავიდან რატომ არ დგებით!?
ოჯახის ბურჯი არის ქალი, გამჩენი შვილის,
კვლავ დაბრუნდება დარდიანი, თუ სადმე მიდის.
მტერს არ შეარჩენს ვერაგობას, ნამდვილად ვიცი,
არის ერთგული ოჯახის და მშობლიურ მიწის!...

მზეო

გადაჭიმულა ცისფერ სივრცეში,
მთების გრეხილი, როგორც მარაო,
ზედ კენწეროზე უნდა ავცოცდე,
ღრუბლებმა მითხრეს, იყავ, არაო.
არ შევშინდები, ჩემთვის ნაცნობი,
არის ეს ხენი, ტბა და წყარონი,
დიდო იმედო, ჩემს სამშობლოში,
მზეო, ნუ ჩახვალ, მუდამ ამოდი!

მეგობარო

(პოეტ უშანგი მოსიაშვილს)

მეგობარი – სიხარული სულისა,
მეგობარი – სიყვარული გულისა,
მეგობარი – იმედია ხვალისა,
მეგობარი – ციმციმია თვალისა.
მეგობრის ხმას თუკი სადმე გაიგებ,
ფიანდაზებს სულის გზაზე გაიფენ.
გვერდით დგახარ ჩვენთან ჭირსა და ლხინში,
სიკეთეს ხომ შენ არავინ დაგიშლის.

***

თუ სიხარულის გაჩნდა ნიავი,
გაგიმარჯოსო, – გვეტყვი სიამით.
დაჭრილს შეგვიხვევ გულის იარებს,
თბილი სიტყვებით აგვამზიანებ.
თუ დავეცემით საბრძოლო მხარეს,
მოხვალ და დროშას გადაგვაფარებ.
თუ დავიდარდებთ, – გვეტყვი – ნუ სწუხარ,
და მოწყენილი, მჭმუნვარე ნუ ხარ.
სასოწარკვეთილს სურს რომ მოგენდოს,
გსურს, შეგიძლია დააიმედო.
ღმერთმა ნათელი შემოგაშუქოს,
და შენი მსგავსი ბევრი გვაჩუქოს!

შვიდი დანი თბილისელი

/დიანა აღდგომელაშვილს
ნოდარ მამუკაშვილს/

ქალები ია და ნათია,
შვიდნი – ვარდნი და ზამბახი,
სამშობლოს გამამრავლები,
ხართ საუცხოო სანახი.
მეგობარი გყავს დიანა,
სწორედ მან გაგამზიანა.
მოგართვა შვიდი გოგონა.
შენ გამოზარდე ოღონდა!
ყველა ჯანსაღი, ყოჩაღი,
რა ღვინის კერძი მიართვი?!!
მდიდარ კახეთის კუთხეში,
თუ გამოკვებე იათი?!
მასწავლებლობას არ იშლი,
ბავშვთან სწავლებით გართული,
რა ძალა გაქვს და რა ჯანი,
ასე ძლიერი, ქართული?!
ასე რომ ყველა მოიქცეს,
დღეს სწორედ ძალზე გვჭირდება,
ჩვენს საქართველოს, იცოდე,
არასდროს გაუჭირდება!

3. III. 2018 წ.

ხიზანი

– რად აუკრძალეს მშობლიური ენის სწავლება?
აქ სამართალი მათ დამცველად რატომ არ ჩნდება?
იქ, აფხაზეთში დაბრუნება სურთ ძველთაძველებს,
ცეცხლით, მახვილით გამოდევნეს, ემსგავსნენ გველებს.
ოსეთში ცრემლით იგონებენ საკუთარ სახლ-კარს,
ადამის ძენი ვერ არკვევენ მათ შექმნილ ავ-კარგს.
მოგონებანი სასტიკია ომის და ავის,
ქართლის ველებზე შეუცვლია ფერი ბევრ ყვავილს,
ნუთუ არ დადგა შერიგების დრო და მიდამო?
ორივე მხარემ ეს სიკეთე უნდა იწამოს.
ყველას თავისი მიწა უყვარს, მიწა მდიდარი,
საქართველოში რატომ არის კაცი ხიზანი!?

თხოვნა

წმინდა გიორგის დღე არის,
ცაზე მზე შემომფინარი.
მის გადიდებულ სურათთან
ქალი მოჩანდა გულადად.
მუხლებზე ლოცვად დამდგარი,
ის წმინდა ნინოს სადარი,
თხოვდა – სიმწარით სათხოვარს,
თავზე ფიქრები ათოვდა.
სამშობლო მიწა წაართვეს,
გული, გონება აართვეს,
სახლში უცნობი ჩასახლდა,
ღამეს აწ სადღა გაათევს?
თხოვდა, განდევნოს მტრის ჯარი,
ამტვრიოს, როგორც ფინჯანი,
რად უნდა იყოს დევნილი,
სახლიდან გამოდევნილი.
თხოვდა, კვლავ აღსდგეს სოფელი,
მუდამ ჭირსა შიგ მყოფელი,
ხალხი ამაოდ იცავდა,
თავი ვერ იხსნეს მტრისაგან.
ნეტავი აღსდგეს გიორგი,
და მტერს აქცევდეს მიწადა!

მშობელი მიწა

ვარ ღვიძლი შვილი
მშვენიერ ქვეყნის,
თუთის ხის ძირას
თავს არვინ მესხმის.
გამიგონია, ადამიანი,
ადამიანის მტერია ისევ,
როცა ბოროტი მიახლოვდება,
არ შევფერხდები,
შევებმი მყისვე.
თუ ვარ ბათუმში, ვარ თელავში,
ვარ ქუთაისში,
ეს არის ჩემი მშობელი მიწა,
თუ გაირჯები, მაშინ ძვირფასო,
მალე, უთუოდ, მიაღწევ მიზანს.
თუ მივაცილებ მეგობრებს შორეთს,
ვიცი, რომ ისევ ჩემს ახლოს მოვლენ,
მათ ნოსტალგია არ გააჩერებს,
სხვის სამშობლოში რა გაათენებს!?
ღმერთო, წყლის წისქვილს
როგორც აბრუნებ?
ისე შორს წასულს
შინ დააბრუნებ!...

ჯარისკაცებს

საქართველო მთავარია,
აქ მხდალები არ არიან,
მამაცები გამოდიან,
ჭილყვავები არ მოდიან.

– ჰეი, ჰეი, ვაჟკაცებო,
ჩვენი ქვეყნის თავკაცებო,
ქვეყნის დაცვა გავალიათ,
საქართველო მთავარია!

მანანა ზაზიკაშვილი

მამულო თუ დაგჭირდები

საოცნებოს და საფიქრალს
მამული უხვად გვირიგებს,
მლეთაში „ლომისი“ მწყალობს,
ქიზიყში „წმინდა კვირიკე“.
ჩემი მზიანი მამული
სულ ფეხით შემომივლია,
გორში იაკობს ვსტუმრობდი,
ყვარელში ღმერთკაც ილიას,
გული ხალისით სავსე მაქვს
კლდე-ღრეებს შენაჭიდები,
ერთი ათასად მიგულე,
მამულო, თუ დაგჭირდები!!!

თბილისს უხდები

თემურ ჩალაბაშვილს

თბილისს უხდები,
ვარანცოვს ხატავ,
შენი კახეთი დაგყვება ხატად!
შენს ლექსებს ბევრი
გულით ატარებს,
უყვარხარ ყველას,
დიდებს, პატარებს!
შენი წიგნები
საძებარია,
სულ მოვიარე
მთა და ბარია!
იხარე მარად,
თემურ ბატონო,
ოქროს გულის და
სიტყვის პატრონო!!!

მიყვარხარ ჩემო ქვეყანა

ყველგან ლამაზი მხარე გვაქვს,
აჭარაა თუ ლაზეთი,
მიყვარხარ, ჩემო ქვეყანა,
როგორიცა ხარ ასეთი,
ორბების საბუდრებით და
დაუზოგავად ნასეტყვი,
ჩემს შვილთაშვილებს, მერმისში
ნეტავი ჩემზე რას ეტყვი?!

რა დამავიწყებს დარიალს

აქეთ დიადი მთებია,
იქითაც მთა მთას მიჰყვება,
მივდივარ ზევით, სულ ზევით,
მთა მთების ამბავს მიყვება.
გუგუდის ხევი მომძახის
აქაფებული წყალითა:
- ნეტავი ჩემი თორღვაი
აქეთკენ ხომ არ წავიდა?!
ხევებო, თოვლიანებო,
მთიდან ნაჟურო ჭართალო,
დამაცათ, ეს ჭიუხვები
და საბუდრები დავთავალო!
საით წახვედი, თორღვაო,
რომელ კლდეს ამოეფარე,
ცუდი რამ ხომ არშეგემთხვა?
მლეთას ძაღლები ყეფავენ.
ჯვრის უღელტეხილს მივადექ,
ჯვარი გწერიათ ყველასა,
სოფლები არ ჩანს, კლდე-ღრეში,
ვისგან რას ელი შველასა.
თუმცა სადა ხარ, უყურე
კაიშაურის სანახებს,
რა საოცრება ვიხილე,
რა დიდებული გზა ვნახე!
ჯვარზე ბაზარიც კი იყო,
სავსე ყველით და პურებით,
ვაჟიც დავლანდე ისეთი,
რომ ვერ გაძღები ყურებით.
რა დამავიწყებს დარიალს,
ან ყაზბეგს, მლეთას, სიონსა,
კუნთმაგარ, მხარბეჭგანიერ
ჯვარდასმულ კავკასიონსა!!!

ხალხი ვართ ფოლადისაო

სისხლით ნაპოხი მიწა გვაქვს,
ზეცა გვაქვს როგორც თილისმა,
რამდენ ქარტეხილს გაუძლო
ჩვენმა ჭაღარა თბილისმა.
დღეს მტკვარი გაავებული,
მოდის, იგლეჯავს აპეურს,
მოდის თან ლოცავს გზადაგზა
კერიას მამაპაპეუ;ლს.
იგონებს ცოტნე დადიანს,
ლაშას, ერეკლეს, პაატას,
იცის ამაყი ქართველი
მტერს არსად არას გაატანს.
ისევ ამშვენებს ველ-მინდვრებს,
რუსთაველური ვეფხვები,
ზაალს ურჩობა შევუნდეთ,
დღეს პაპის სურათს ვემთხვევი.
ისევ დარია მზიანი,
მზე ამოყვება ალიონს,
დავლოცოთ ადამიანი,
მზის სადღეგრძელოც დავლიოთ.
ისევ ანათე მთა-ჭალა,
მზეო, უხსოვარ ხნისაო,
მტერმა გვმუსრა და
ვერ მოგვსპო,
ხალხი ვართ ფოლადისაო.

მტკვარო

შენი გულის ფეთქვას ვსინჯავ,
არტერიულ მაღალ წნევას,
შენზე ფიქრი არ მასვენებს
და საწოლშიც შიშით ვწევარ.
როდემდე გსურს გააგრძელო
ქუხილი და რია-რია,
როგორ დასძარ რკინის ხიდი,.
ან ასე რამ გადაგრია?!
მოდიხარ და მოგლეჯ ხეებს,
ვერ გაკავებს ჯებირები,
ტალღას –ტალღებს მოახეთქებ,
თითქოს რიონს ეჯიბრები.
აწყური სულ დამინგრიე,
მერე ყვიბისს წაწვდი კინჩხში,
რიონმა თუ გაგიწვია,
შე გებერო, ახლა კრივში!
ჩემი თავი?! შემოგევლოს,
ნუ დამინგრევ ამერ-იმერს,
ისეც ცეცხლი მეკიდება,

თოვლიანი ზამთარი

ტყეში მივალ, მარტყოფს ზევით,
თოვლიანი ზამთარია,
ჩემსკენ ნეტავ ეს რა მორბის,
მგელია თუ აფთარია?!
მორბის ეშვებგადმოყრილი,
თოვლის ბუქი დგება ტყეში,
ნეტავ რით მოვიგერიო,
ჯოხიც არ მაქვს ახლა ხელში.
საცალფეხო ბილიკია
მოყინული, მონამქრული,
თმები ყალყზე დამადგა და
ლამის წამივიდა გული.
მივალ, უკან ხომ არ წავალ,
ტყეში ჩემი სახლი მელის,
მინდა ვინმეს გავაგონო,
იმედი კი არ მაქვს შველის.
მოვემზადე შესაბმელად,
ჩანთა ხეზე მივაკიდე,
და მხეცს ახლა შიშნაჭამმა
მთელი ძალით მივაკივლე:
ეჰეი, ვინ ხარ? – ბუსნოს მხრიდან
მომაძახეს მთა-გორებმა,
შიში სადღაც გადაკარგა
მეცხვარის ხმის გაგონებამ.
– გაიხარე, ჩემო მეცხვარე,
– რა ღმერთივით გამომეცხადე!
აღარც აფთრის მეშინია,
აღარც დათვის, აღარც მგელის,
იქ ხომ ჩვენი მეცხვარეა,
ტყისპირას კი სახლი მელის!
ბედად ჯოხიც დავინახე,
იქვე თოვლზე მიგდებული,
ჩანთა ისევ გადვიკიდე,
უცბად დავიმშვიდე გული.
რის აფთარი, ან რა მგელი,
მოაფრენდა ქარი ნამჯას,
მე კი მგლისგან შიშნაჭამი
კი ვნატრობდი ხმალს და აბჯარს.

ნუკრი ლობჟანიძე

...

წასასვლის დროებითობის ვიხსენებ,
მიმავალის ადგილებზე მიგაყოლებ...
და ვანი გაოცებულ სხეულზე,
შესვლებლა ამბულეული ფიქრებისა...
ეფინებოდა ფანი ოცვა ჩამდენი,
ბაფეფოთა ფრიალებდა ფანდეს...
ნელადა ვიცოდე ხვალის ეჭვისა,—
ჩემს მიდგეს სიფუცა თუ დასაფუცავს...
ალბათ ნიბოლო სიფაქიზე,
ვიცოდე ნამდვილად

ფიქრობ?!...
წასასვლის დროებითობის ვიხსენებ,
მიმიცა კი ის ვიცი მეფიანდი.
ფანი ფიქრობდეთ, ეფაში
მიცალე ადგილებზე მიგაყოლებ...

სენტიმენტალური წერილი

თავგადასავლებით ტკბებოდა ზაფხული სანაპიროს,
ქალები ბაღებში ბაყაფი თავდებდნენ...
ფრენდები ივლისმა ის ეჩვენებოდა,
ის სასწაული ლამაზი ფანდა.
ავსილა ტბები მწვანე ფოთლებით,
მიეფარა ბალთაში ფანდეს
და დაეფარა ბინის ბინის მდგომი
ერდო ნაცვლად ფანდეს ...

. . . . . .

ვიცი ფანდა ბინ, ბინიერად ფანდეს ეფა-
ლებოდა... ფანდეს ფანდეს ალბეფდა ტუფლები
და ბაღიდან გადმოხტებოდა ბალი ქალები
ტიტველა ზღაპრის, ოცდაფი ბიჭის... მე კი
ნაფდენა ბალთაში ბინის ბინის დგომა;
ხელის ტაფვებიც სიფანის ხიბლავდა... ბალთა
ფანზე, ეფეფაბინე ბალთა ხელზე, ბალთან
ერ ალბათ ხიფაფის ფანდეს ...

უკვე ჩამთავრებულ ეფაფეთის თვე, ფან
ფაფეფეთის და ფანდეფა ალბეთა ფალეფეთ
ბალთებში ფანდეს... ალბალეფეფეფ ალ ალ ალ
ბალთა, ფალ ფალბალეფ ფალ ...
ალბალეფეფეფ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ...
ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ...

ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ...

ალ ალ ალ ალ ალ ალ ალ ...

ალ ალ ალ ...

ალ ალ ...

ალ ...

P. S.

... ...

მანანა მიქაძე

საყვარელო!

ც. დევდარიანს-დევან
დევდარიანის 10 წლისთავზე.

„ჩემი მოხეტიალე ფიქრის თვალზე
ცრემლის ნალვლიანი ვნახე".
ავტორი

საყვარელო ჩვენო საქმოსანო
სულში მოხეტიალე ეფლის ჯვარია.
ჩემი სენთქვა და თვალთა ფერვა
ზეირეულ ფერებში მოფების წოლვარია.
ჩემი საყვარელო ეკლიანებანო
მეფეთ მეფეების ნაჯარაბევარია!
ფარნავაზ მეფე სარკოვლის ჩაქლეული
ლაფითი კედლების აქმენ-ნაყენია!
ალაბაშენებული საზღვრების ყაბული
„ნიუოფსიიდან დარეანდამდე".
თამარ დედოფალი ნაკეთი ცრემლებით
ნიმარ გზებზე ჩოქვილი ლოცვებით.
მან გვასწავლია დღემდე გოგმანით
წარსულის ხსოვნა დიდების ქებით.
ჩვენი სიამაყე ენა ქართული,
ჩვენი ხიშვნა და წმინდა ოჯახია.
თამარის საქმოსანი შეიდმანთრია,
ცრემლებს დაღვრილი დედის მარყია...
შეშოფლეთილი ჩვენი მიწეია,
იქ, დარჩენილი ხალხმე ბიჭვია!
დარდად ქცეული დედის გულია!
კიდევ შეგვეკარი საქმოსანო
ჩვენი საღოცავი სულის ცაცხვია!
სულში მოხეტიალე ეფლის ჯვარია!

მიქაძე მანანა ვლადიმერის ასული
9.08.2018წ.

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

გორი

„პატარა გორი დიდია”,
ანდა ვინა სთქვა სიმცირე მისი?
მე ჩემი ქვეყნის ეკალ-ბარდს ვიცავ,
არ მენატრება წალკოტი სხვისი.
მიყვარს მე მისი მთვარეც, ვარსკვლავნიც
და ვარ დარაჯი მის ცის, მზისიც,
„პატარა გორი დიდია”
არავინ მითხრას სიმცირე მისი!

მარიამს

შენ სიცოცხლის ხალისი ხარ
მზისგან შობილი.
სიყვარულის ელექსირი,
სიყვარულში წყობილი.
გიყურებ და ქრება სევდა
ცხოვრებისგან შობილი.
ხალისს შენთვის ლექსში გავშლი
მის რითმას შეწყობილი.
ჩემი სულის კარიბჭე ხარ,
გულში ხარობს ფიქრი მშვიდი
და მომავლის გზას იმედით
მზის სხივებში ნაზად ვშლიდი.
შენ სიცოცხლის ხალისი ხარ,
სიყვარულის ელექსირი,
გიყურებ და მიდის სევდა
ხალისს შენთვის ლექსს ვაწვდიდი.
მაქვს იმედი შენი ოდეს,
გაიზრდები, დაქალდები,
ტკბილი სიტყვით მომიხსენებ,
როცა ზევით ავლაგდები.

თამარის იავნანა

ციდან ვარსკვლავი ჩამოდის,
ეფინება თამარს თავზე,
იავნანა, ვარდო ნანა,
ჩვენ ვმღერივართ ძილის ხმაზე.
მზე ანათებს ბრწყინდება
ლაღობს მაღლა, ცისფერ ცაზე,
იავნანა, ვარდო ნანა
ჩვენ ვმღერივართ (ვღიღინებთ) ძილის ხმაზე.
მთვარემ თვალები დახუჭა
იღიმება მაღლა ცაზე,
იავნანა, ვარდო ნანა
ჩვენ ვმღერივართ ძილის ხმაზე.
ღვთისმშობელი ცას გადმოდგა,
ლოცვას გზავნის დედის მადლზე,
იავნანა, ვარდო ნანა
და ჩვენც ვგალობთ ლოცვის ხმაზე.

ჩასჭიდებია

ჩასჭიდებია ბანის ბჭე
მიწაში ჩათხრილ ლიბოსა,
ოთახში წყარო ჩუხჩუხებს
გულს გაუგრილებს ბიჭოსა.
ჩასჭიდებია ვაზის რტო
ძირში ჩარჭობილ ჭიგოსა
ყურძენი ძალას შემატებს
შრომით დაქანცულ ბიძოსა.
ხვავით, ბარაქით აავსებს
მარანში ჩათხრილ ბოცოსა,
ზედაშის მადლით აკურთხებს
ოჯახის გოგოს, ბიჭოსა,
ჩასჭიდებია ბანის ბჭე
მიწაში ჩათხრილ ლიბოსა.

***

კამელია მომეფერა,
შვება მომცა ქალური,
სიმორცხვისგან თავს დამიხრის
გადაუვლის ალმური,
სილამაზით ეჯიბრება
ვარდებსა და ენძელებს
კამელია მომეფერა,
ის უჩემოდ ვერსად სძლებს,
და მეც ნაზად მოვეფერე
ჩემი ვნებით ქალურით,
ისიც ნაზად მიღიმოდა
წმინდა, მორცხვი ალმურით.

ფეიდან საქართველოსთვის

ფელის სიოს სიო მოსდევს,
ნოსტეს ნიავქარად ქარობს
ქარბორბალა საით მიჰქრის
ნეტავ ასე რატომ ჩქარობს?
დანახვისზე ცეცხლი ღვივის
მისი ალი ცეცხლად ხარობს,
გორის ციხის ალყა მოხსნეს
ცხრა წლის ბავშვი მისთვის ხარობს
ნატრობს, ნეტავ დიდი იყოს
გაზრდას ნეტავ რისთვის ჩქარობს?
მისი ფიქრი ცხრა სვეტს სწვდება
დაპყრობა სურს ცხრა სამყაროს,
ერთ მუჭში სურს მოიქციოს
გვირილები და ყაყაჩო.
ოცნებობს, რომ მტერი სძლიოს
ქართლის მტერი ჩამოახრჩოს:
ფელის სიო მთას ჩამოჰყვა
გაიშალა მინდორ-ველად,
ნოსტეს ფერხულში ჩაება
იქცა საქართველოს მცველად.

ფელის სიოს სიო მოსდევს,
ნოსტეს ნიავქარად ქარობს,
ჯარი მიჰქრის მარაბდისკენ
ნეტავ ასე რატომ ჩქარობს?
გული გახსნა სამშობლოსთვის
გაიმეტა შვილიც მძევლად,
თვით იგვემა თავი თვისი
და შესწირა შვილიც მსხვერპლად.
იქით-აქეთ მთათ და ბარში,
სადაც ხელი გაიწვდინა,
ყველგან სიკეთე დათესა
თვით შური ვერ აიცდინა:
– ბუტბუტებს ქართლში პატარა თეძამი,
კახეთში ჩუმათ ტირის იორი,
ხმალამოწვდილი დაჰქრის მხედარი.
გაბნეულ მტერთა მარადიორი.
ფელში სიო ისევ დაჰქრის,
ნოსტეს ქარიშხლად ბრაზობს,
ნეტავ ახლა ის მხედარი
საით დაჰქრის, საით ჩქარობს?

გულნაზი ხარაიშვილს

მინდა გითხრა და შეგამკო
სათქმელით მრავალფერითა,
თავს მოიწონებ ქალობით
შვილებით შესაქებითა.
საქმეს აკეთებ უამრავს
კეთილს და დიდი გზნებითა,
არასდროს ითვლი სიკეთეს
იძინებ ღამე შვებითა.
რომ გითხრა ნაზი ქალი ხარ,
იქნება დიდი ტყუილი,
ცხოვრებას ებრძვი სიკეთით
გმირულად გამორჩეული.
ამას ვერ ხედავს მრავალი
სიკეთეს გადაჩვეული.
გული სიკეთით გიფეთქავს
ღვთის მადლითა ხარ სულნაზი,
ანგელოზების ბრძანებით
დედამ დაგარქვათ გულნაზი.

ბევრი შვილი შეიწირა ცხინვალმა და სოხუმმა, იქით-აქეთა უდანაშაულო შვილები. დამნაშავე ერთი დამპყრობელი იყო. ორივეს დედები ტიროდნენ, მაგრამ მათი ტირილი ერთმანეთს არ ჰგავდა, ერთნი დამპყრობელს ტიროდნენ, მეორენი ქვეყნის დამცველებს, საკუთარის დაცვას ეწირებოდნენ.

ომია...

კობა ხეჩიკაშვილს

20 წლის დაიღუპა აფხაზეთში, გადმოსვენებული
იქნა 2018 წ. მაისში, დაიკრძალა დიღმის ძმათა სასაფლაოზე.

და შეეწირე შენ იმ რწმენას,
გწამდა რომელის,
სამშობლო იყო შენი ოცნება
ფიქრიც ყოველი.
გელოდა დედა, უმზერდა სივრცეს
დილას ყოველი.
ის დღესაც გელის, არ დაიღალა
ფიქრით მოგელის
და დაგიბრუნდა, აქ დამთავრდა
ლოდინის სივრცე

და შენი სული თავს დასტრიალებს
დედის გულს მტკიცეს.
ამ ხნის მანძილზე მის თვალებში
კრთებოდა რული,
ვერ გიმეტებდა დედის ფიქრი,
მისი ოცნება და მისი გული,
შენ ჩაგიხუტა მშობელმა მიწამ,
დედამ ყოველის,
შენი გზა ცისკენ ბრწყინავს ოქროსფრად,
სად ანგელოსთა გუნდი მოგელის.

ჯულიეტა ცაბაძე

* * *

ვინ იცის ბედი ვის რას გვიმზადებს,
ვის ჩამწარდება სხვისი ქილიკი,
ზოგს შარა-გზაზე ვარდები ხვდება,
ზოგს კი ეკლებით სავსე ბილიკი.
ზოგის ოცნება ფიქრშივე ჭკნება,
აუხდენელი რჩება რამდენი,
ზოგი ვარდისფერ ღრუბლებში ქრება
ვით უნაპირო ზღვაში ტალღები.
ვინ იცის წლები რა გზით მატარებს,
რა მელოდება ამ გზების იქით,
ჩემი ოცნებაც ფიქრში მოკვდება,
ჩაიფერფლება ანდა პირიქით.
ღმერთო ნათელი გზებით მატარე,
გთხოვ ამარიდე ყველა ცოდვები
მასწავლე როგორ მოვიდე შენთან,
როცა უფსკრულის პირას მოვხვდები.
როგორ გავექცე განსაცდელის ჯამს,
პირფერობის და ქლესის მანტიას,
როგორ დავხუჭო თვალი ტკივილზე,
და ხელი როგორ ვკრა ფანტაზიას.
როგორ ვაკეთო სიკეთე ისე,
რომ განდიდების მოვკლა მანიას,
როგორ ვიარო ამ ცოდვილ გზაზე,
სადაც ამდენი სისხლის კვალია.

ქალი-ტბაში მთვარის ანარეკლი,
ქალი-ლერწამივით აშოლტილი,
ქალი-მზის სხივივით მხურვალე,
ხან ცივი ყინულივით გათოშილი.
ქალი-ვარსკვლავივით მოციმციმე,
ზოგჯერ ღამესავით დაბოღმილი,
ქალი ძუ ვეფხვივით მრისხანე და
ზოგჯერ ფისოსავით კმაყოფილი.
ქალი-ზღაპრებიდან გადმოსული,
ანგელოზთა რიგებს დარჩენილი,
ქალი-ზღვის ტალღების მღელვარება,
შენთვის სიყვარულად გაჩენილი.
ქალი-ფერიათა სინაზე და
მთების ნაკადულად გაჩენილი,
ქალი-სიყვარულით მღიმარე და
გლოვის დროს ცრემლად დადენილი.
ქალი-თავგანწირვა ტრფობისათვის,
კდემამოსილი და მხიარული,
ქალი სანატრელი ოცნება და
ქალი-ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი რეალური.

აკროსტიხი

"უფალო დარჩი ჩემთან."

უ-იმედობა დაეუფლა ჩემს სულს და სხეულს,
ფ-არისევლები ქვეყანაზე ძალზე ბევრია,
ა-რ შემიძლია დავუხარო თავი თვალთმაქცებს,
ლ-ოცვა მამშვიდებს თუმცა სევდა გამომრევია.
ო-ჰ როგორ მინდა გამოვუყვე შენსკენ სავალ გზას,

დ-აკეტილია თითქოს ჩემთვის ყველა სარკმელი,
ა-რ ვიცი როგორ,ანდა რა გზით უნდა ვიარო,
რ-ოგორ ვიცოცხლო,ან აქამდე როგორ გავძელი.
ჩ-ამოიღვენთა ხატების წინ ჩემი სანთელი,
ი-სმის ტაძარში გალობა და ზარების რეკვა

ჩ-უმი ჩურჩული მოგაწვდინო მინდა უფალო,
ე-რთი თხოვნა მაქვს,არასოდეს წახვიდე ჩემგან.
მ-ომმადლე ძალა და გონება გავუძლო დარდებს,
თ-უმცა ცხოვრება განსაცდელით სავსეა ვიცი,
ა-მ ქარტეხილებს მჯერა შენთან ერთად გავივლი,
ნ-უ მიმატოვებ,დარჩი ჩემთან,უფალო გიცდი...

* * *

საქართველოში,სადაც ქუხდა არმაზის კულტი,
სადაც კერპები არ უთმობდნენ ღმერთებს სავანეს,
უცხო მიწაზე მოდიოდა ნინო ვაზის ჯვრით,
ქედს არ უხრიდა დაბრკოლებებს,არც მზეს,არც ღამეს.
უცხო მიწაზე მოდიოდა მოჰქონდა ჯვარი,
საკუთარ თმისგან და ვაზისგან ლოცვიდ შეკრული,
მოაბიჯებდა,რწმენით სავსე,კდემამოსილი
და მისი სული სისპეტაკით იყო შემკული.
იცოდა ნინომ ძნელი იყო ეს გზაც და საქმეც,
რაც ღვთისმშობელმა დაავალა და რადგან ენდო,
ყველა განსაცდელს,ყველა ტკივილს უხმოდ გაუძლო,
გულსა და სულში,ერთგულების ნათელი ენთო.
იცოდა ძნელი იქნებოდა ქართლის მოქცევა,
სადაც ამდენ ხანს აღმერთებდნენ გაცსა და გაიმს,
სადაც მთავარი ღვთაებობდა არმაზის კერპი,
მაგრამ არ შედრკა და ბოლომდე იბრძოლა მაინც.
მაყვლის ბუჩქებთან ლოცულობდა,კურნავდა სნეულთ,
ლოცვით დალეწა მცხეთის ახლოს ძველი კერპები,
ქრისტეს რჯულისთვის,ჯვრის ძალისთვის,ჩვენი ხსნისათვის,
წარსულს ჩაბარდა მეომარი ძველი ღმერთები.
ხალხმა იწამა ნინოს ლოცვა,ქრისტეს რჯული და
მცხეთაში ტაძარს ჩაეყარა ფუძე ცხოველი,
ქართველებისთვის,საამაყო ჩვენი ქვეყნისთვის,
დგას დღეს ამაყად დიდებული სვეტიცხოველი.

* * *

ჩვენ თვითონ ვხატავთ ჩვენი ცხოვრების თითოეულ წამს,წუთს და საათებს,
ფუნჯის გარეშე ვქმნით ლამაზ ტილოს,უფერულ სივრცეს ან ნაზ ნახატებს,
მაგრამ ხანდახან გვავიწყდება რომ ჩვენ არ ვიყენებთ ფანქარს და საშლელს,
მუდმივი ფერით ვქმნით ამ ტილოებს და ვერ გადავშლით,ვერც მტვერს,ვერც ხაზებს.
თუ დაეცემი უნდა წამოდგე,რადგან დაცემულს ყველა წიხლს აჭერს,
ადამიანს ხომ გაჭირვება და მუხლზე დაცემა უსუსურს აჩენს,
მტრების ჯინაზე უნდა გაუძლო,ყველა ტკივილს და ყველა განსაცდელს,
ხომ იცი ღმერთი მუდამ თან გახლავს და არ დაუშვებს კეთილ გზას აცდე.
ზოგჯერ ჯობია მოუსმინო და ყველას პასუხი იმ წამს არ გასცე,
თუ გინდა სახე შეინარჩუნო და მოკვდავების კანონს არ ასცდე,
ენას ხომ ძვალი არ გააჩნია და ვერ მოზომავს თქმულსა და სათქმელს,
ზოგი ვერ ხვდება რომ ზოგჯერ კბილმა დააბას ენა,ზღვარს რომ არ გასცდეს.
სწორედ ამიტომ ზოგჯერ ჯობია,ყური არ უგდო მავანთა ნათქვამს,
მერე რა თუკი მათ ნათქვამ სიტყვას,გულის სატკენი ბევრი რამ ახლავს,
მიხვდება ალბათ ოდესმე ყველა თავის საქციელს,ცუდსაც და კარგსაც,
შენ ღმერთთან იყავ ალალ-მართალი და ის გაარჩევს მტყუანს და მართალს.
იცხოვრე როგორც გული გკარნახობს,გონება მუდამ საზღვრავდეს ენას,
ნუ მოუყვები სხვების გაჭორვას და ნურც ზედმეტად დაუწყებ ქებას,
ცხოვრება მართლაც ფერთა ტილოა და შეცდომები აღარ იშლება,
ხოდა ვიცხოვროთ მშვიდი ცხოვრებით და ერთმანეთი ნუ შეგვზიზღდება.
თუ დავეცემი ფეხს ნუ დამაჭერ,გამომიწოდე საშველად ხელი,
ალბათ ვერ ვძლიე ამდენ ტკივილს და დღეს დახმარებას მე შენგან ველი,
ნუ ჩაიცინებ:რა მოსვლიაო და ნუ გამჭორავ იქ სადაც არ ვარ,
გახსოვდეს ეს დრო არვის შერჩება და ყველაფერი წააგავს ზღაპარს.
ბოლოს სუყველა ერთ ხიდთან მივალთ,სადაც სამართალს არა ჰყიდიან,
სადაც სიმდიდრე და ფუფუნება,უკაცრავად და ფეხზე ჰკიდიათ.
მივალს სასწორთან სადაც სიკეთე და ბოროტება აიწონება,
იქ ხომ სულერთი იქნება მაინც სიღარიბეც და დიდი ქონებაც.

* * *

მე შენ მოგიძღვნი ყველა სიმღერას,
შენთვის ვქმნი ყველა ნოტსა და აკორდს,
შენი ტუჩები ცეცხლივით მწვავს და
მაინც ეს გული შენს კოცნას ლამობს.
მე შენ გეძებდი მთელი ცხოვრება,
ფიქრში,ცხადში და ღამით-სარკმელთან,
მთვარის სხივებში შენს სულს ვხატავდი,
რამდენი ღამე ასე გათენდა.შენ ჩემს სიზმრებში მუდამ მეფობდი,
და ნაზად მხვევდი შენს ძლიერ მკლავებს,
დილით კი ლამაზ ლექსებად გწერდი,
ვძერწავდი შენს სულს,ტუჩებს და თვალებს.
მე შენ გიპოვე ოცნებით მთვრალი და არასოდეს აღარ გაგიშვებ,
დღეს მონატრებით გაჟღენთილ გრძნობით
გჩუქნი სიმებს და შავ-თეთრ კლავიშებს...

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები —
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
— გონს მოდით მეთქი! — ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
— ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
— არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
— მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე —
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა —
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება —
ჩვენში ასე იცის
მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

სიყვარული იწყებოდა ასე

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? — გკითხავდი და დუმდი...
— სიყვარული იწყებოდა ასე!
სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
— სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
— სიყვარული იწყებოდა ასე!
ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? — გკითხავდი და დუმდი...
— სიყვარული იწყებოდა ასე!

ეს ცხოვრება

თუ რამ სადმე მეტი შევსვი,
გადმომდინდა ცხვირში ძმარად,
ეს ცხოვრება ბაგირია
ხან დავძლიე, ხან დამძალა.
ოქროს ჩიტი მოფრენილი
ბევრჯერ თვალწინ ამაცალა,
ფეხი წავკარ, წავიჩოქე,
სულის მოთქმა არ მაცალა,
ხან ალერსით მანებივრა,

ხან დამაგდო ბაღში ცალად,
ეს ცხოვრება ბაგირია —
ხან დავძლიე, ხან დამძალა,
ხან ცხელ-ცხელი პური მომცა,
ხან მაჭმევდა ცივ მჭადს მცირედს,
ეჰ, ცხოვრებავ, ვერ გადაგძლევ...
შენ ორს ებრძვი —
მე და იმედს.

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, —
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაგნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, —
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?

* * *

ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და
თოვლმა ჩამოთვლიმა ნეტარებით...
ახალი წელი კი დადგა, მაგრამ
ისევ ძველებურად მეყვარები!

გვანცა ხარაიშვილი

სანამ ჩუმად ვართ

არავინ ითვლის დღეებს.
წლები კი გადიან სწრაფად.

ფართო ველიდან
კერამიკის ლარნაკში გადმომრგეს.
ყოველთვის მინდოდა ჭრელ, კოპლებიან და
ცისარტყელასმიჭყლეტილ სპილოებიან სამყა-
როში მეცხოვრა,
 მაგრამ ასე ვიწროდაც არა.

ბედს არ ვემდური.
თეთრად შეღებილი თაროდან ბევრი ფანჯარა
–
ანუ ბევრი ისტორია ჩანს.
არ მოვიწყენ.

ჩემი ამბავი არავინ იცის საიდან იწყება.
არც მე მეცოდინებოდა მოყოლა რომ არ და-
მეწყო _
სანამ ჩუმად ვართ, არავინ გვისმენს,
მერე _ მით უფრო.

ყველაფერი, რაც ვიცი
ჯერ ჩემმა თესლმა იცოდა _
მტკნარი წყლის გემო,
ხის წებოს სუნი,
მწერების გაუთავებელი ბზუილი,
შეხება.
იცოდა ამაზე მეტიც,
რაც მაშინ მახსენდება,
როცა ვიკარგები
და გზის ხედვა მიძნელდება.

ფესვებით ვდგავარ.
მიწაზე ამოსვლა გამოღვიძებას ჰგავდა.
მზის სხივები არხევდნენ ჩემი სიზმრების
ნაზ რტოებს,
მიწისქვეშა წყლები კი მშვიდად ლოცულობ-
დნენ,
რომ ამ გამოღვიძებას
სამყარო უკეთესობისკენ შეეცვალა.
ვიცოდი მაშინ,
ვის მხარეს იყო ბედისწერა.
ახლა არ ვიცი.

როცა ვფიქრობ დღეებზე,
ფართო ველზე
 მატარებლის ვაგონივით თანაბრად ჩამწკრი-
ვებულ
ერთნაირ დღეებზე,
ტანის ღეროში ისეთ სიცივეს ვგრძნობ,
თითქოს,
ცივი წყალი დამასხეს
ონავარმა ბავშვებმა.

წამოსვლა მინდოდა.
თანაც, ისე ლამაზად,
ბელურებს რომ მოეყოლათ
ნისკარტდაღებული ბარტყებისთვის,
კოდალებს მთელი ტყისთვის მოედოთ
გამოთხოვების ეს დიდებული ამბავი.

აქ ვარ.
ხის თეთრადშეღებილ თაროზე.
ფხვიერ მიწაში თავჩარგული თერმომეტრი
ჩემი ფიქრების ნაცვლად
ტენიანობას კითხულობს.
ადამიანებმაც ასე ცუდად იციან კითხვა.

ეს მარტო სული კაციც,
რომელიც სახლში შევიფარე,
მხოლოდ ქვითრებით
და საკვირაო გაზეთებით ინტერესდება.
იშვიათად წაუცდება ხოლმე
სურვილი,
წვება ხის სავარძელში,
თვალებს ხუჭავს,
ხელებს ფეხებზე იწყობს
და საკუთარი თავის კითხვას იწყებს.
მე ვისუსები.
ხმა არ მაქვს,
მაგრამ შინაგან ტალღებს ვაჩუმებ.

თენდება.
მზე აქაც ისეთივე ამოდის,
როგორიც ფართო ველზე ამოდიოდა,
მაგრამ პეპლები აღარ მოჰყვებიან
მზის ამოსვლას.
აქ არავინ მაკითხავს.
რა მოკლე სიცოცხლე ჰქონიათ მათ,
ვინც წარსულში დავტოვე,
რა პატარა ოცნებები.

ბაბუაწვერას მოჰქონდა ხოლმე
დილაობით ფოსტა.
შრიალებდა ჩემ გარშემო ბალახი,
წრეზე ბრუნავდნენ მისი მსუბუქი ქოლგები
და მიყვებოდნენ საოცარ ამბებს
შორეულ ფართო მდელოებზე,
კერპთაყვანისმცემელ ადამიანებზე,
კოცონის ირგვლივ დატრიალებულ ჯადოსნო-
ბებზე,
ზღვის პირას გათეულ
ცივ ღამეებზე.
ზოგჯერ, სიყვარულზეც,
როგორც რაღაც მყარზე
და ცარიელზე.

მწერებს მოვწონდი.
ამბობდნენ,
რომ ლამაზი ყლორტი მქონდა _
გრძელი, მწვანე, სრულყოფილი.
მე მხოლოდ ჭიამაიების აზრი მინდოდა გამე-
გო.
ჩემზე არა, ამინდზე.
იწვიმებდა თუ არა,
იწვიმებდა თუ არა,
გადავრჩებოდი თუ არა სიცხეს.

მარტო სულ კაცს ამინდი არ აღელვებს.
ყოველდღე ერთნაირად იცვამს _
ნაცრისფერ გახამებულ შარვალს,
მუქ ყავისფერ ჯემპრს და
მასზე ცოტა უფრო ღია და გაცვეთილ ფეხ-
საცმელებს.
ზოგჯერ მგონია,
ეს ერთი გასვლაც და
აღარ დაბრუნდება,
ყავის ეს ყლუპიც და
ხელებს უკანასკნელად გამოიწვდის
ჩემკენ,
ცხოვრებისკენ.
ის კი ყოველ ღამით მოდის,
დაძინებამდე,
სანამ უკანასკნელი ზეწარი დატოვებს
თეთრ კვალს ზეცის კიდეზე.
მარტო სულმა კაცებმა ხომ
ყველაფერი იციან მარტოობაზე,
ამიტომაც ჩემთან ყოფნას ირჩევს.

ფართო ველიდან თეთრ რაფაზე გადმოვედი.
ნეტა, რას ყვებიან ჩემზე კოდალები?
რა ამბები მიაქვთ ბელურებს
ნისკარტდაღებულ ბარტყებთან?

არავინ იცის საიდან იწყება ჩემი ამბავი.
არც მე მეცოდინებოდა
ოცნება და მარტოობა რომ არ მესწავლა.

გავთავისუფლდი.

გულნაზ ხარაიშვილი

ცაში გაშლილი ნინოს ხელი

თქვენ მოკრძალებით გაგაფრთხილეთ,
მშვიდად... წყრომითაც...
პატივი ეცით, წმინდა ნინოს
ხატის მშვენებას ...
მოძლიერდებით რწმენითა და
მერე?.. შრომითაც
და მოგნათლავენ, ჩვენი ქვეყნის
აღმაშენებლად.
ხატი დაგიცავთ, წმინდა ნინოს
მადლი გეწვევათ.
ცაში გაშლილი ცისარტყელა
ნინოს ხელია,
რწმენით აღვსილებს, ღვთის აკვანი
გადერწევათ...
რწმენის გარეშე, თვით სიცოცხლეც
არაფერია.

ფუტკარო

ყველა ფრთოსნებში გამოგარჩევდი,
ფუტკარო, შენი სარჩო საგზალით,
სიტკბო რომ იყოს დედამიწაზე
თაფლს შენგან შექმნილს ყველგან დავგზავნი.

შენი მტვერიც ხომ სამკურნალოა,
ნეკტარს აგროვებ ყველა ყვავილით
სკა, შენი სახლი, თაფლის კალოა,
შრომობ შენ უქმად არსად გაივლი.

ბედისწერა

ბედისწერაზე საუბარსაც კი ვერ ვიტან,
მეუღლე ადრე გარდამეცვალა.
დავდარდიანდი...
დავემგვანე მოწყვეტილ ტიტას...
ტირილით ფერი მეცვალა.
წყვილი საყურეც კი არ გამიჩერდა,
დამეკარგა...
ხელში გარდამეცვალა შვილი...
სიზმარში ვნახე და გამეხარდა...
ზოგჯერ რა ტკბილია ძილი...
ყველაზე დიდი ტკივილია შვილი...

სულ გახსოვდეთ...
(დიდაქტიკური)

ყველას გირჩევთ არ მიხედოთ იმას,
ვინაც თქვენი გული აგიხანჯლათ,
ზურგისუკან რომ დედა შეგაგინათ,
თქვენთვის არა, სხვისთვის დაიხარჯა.
არ იკადრო გახდე მისი მსგავსი,
შეეცადე, კვლავ სიკეთე თესო,
ასეთები არის ხეთა ხავსი,
არასოდეს ხმალი არ ალესო.
ძნელი არის სწორი გზათა პოვნა.
შენ გაკაფე, თუკი შეგხვდეს ლელი,
სულ გახსოვდეს, გარდაცვლილთა ხსოვნა,
ძირს წაქცეულთ შეაშველე ხელი.
თუ ქალი ხარ არ დალიო არსად,
მღვრიე წყალი, ანდა სხვისი წყარო,
რომც დაგიჯდეს ეს სიცოცხლის ფასად
სხვისი ცრემლით შენ არ გაიხარო.
თუ კაცი ხარ, კაცი უნდა იყო,
ყველაფერში განა მარტო ქალთან,
ბრმა თუ შეგხვდეს გვერდზე არ გარიყო
ყველა დათმე, სიყვარულის გარდა.

და მაინც...

მანამ კარგად იყავ, სანამ მე არ შეგაწუხო,
აღზევდი და ამაღლდი, ვარსკვლავებს მისწვდი,
ტელეფონზე ნუღარ დარეკავ, ხომ ხედავ
რომ არ გპასუხობ.

.....

... რაცა ხარ მივხვდი.
... ქარისგან ნასუსხო
... დუმილით სამაგიეროს გიხდი.

პროექტის ავტორი

ჭადრაკი უნდა იცოდე,
ლაბირინთებს თავი რომ დააღწიო,
ძნელია ბრძოლის ველზე ტრიალი,
ზღვის დინებას მიჰყევი,
შეეცადე თავი აკვანივით დაარწიო,
ბრძოლა სიმშვიდით ჯობია,
თუ დამარცხდე არ დაიწყო ღრიალი,
ჭადრაკი ხომ შენი ჰობია...
შენს თვალწინ მავრთულხლართების
ღობეა,
ფიგურები ზოგი ცხენს გავს,
ზოგი პაიკს,
მეფე – რკინის ლასტი, არხეინადაა
გაზოდილი,
დედოფალს?.. მავთულების ჩიხტიკოპი
აქვს შემოხვეული.
თუ დაგიჭირეს, ფული უნდა გადაიხადო
დაზოგილი...
პროექტის ავტორი
დიდი გველია... წყეული...

ჩამოვისვენე

წარსულის წლებთან ჩამოვისვენე,
... და გადავხედე ჩემს ნაშრომ-ნაღვაწს...
ბევრი სიკეთე გავიხსენე და...
ბევრი ტკივილიც იქ დარჩა გაღმა.
სუფთა ნატიფი გრძნობებიც მქონდა,
წყაროს წყალივით იყო კამკამა,
ის ახლაც შემრჩა, ფერს იცვლის ოდნავ,
შემრჩა სიცოცხლის, ხსოვნის აკლდამად.
ვცდილობ და ვცდილობ არსად ჩავიჭრე,
რთულ გზაზე არსად წავიფორხილო,
მსურს წმინდანივით ცაში ავიჭრე,
რთული გზებია... უნდა ვიფრთხილო.

ისევ

ისევ წვიმებია, ავდარია,
გული ღრუბლებშია გახვეული,
ვაშლი?.. სამოთხისა ნაქარია,
ისიც მტრისგანაა დარხეული.
ვდარდობ, ფიქრებია უნაპირო,
მიღმის იქითაა ნაპირები,
ია აღარ მინდა ავატირო,
იმედს იმას მაინც დავპირდები.

ჭიანჭველავ

მე შენ გგავარ ჭიანჭველავ,
ფუსფუსით და ტვირთის ზიდვით,
მომსრისავდნენ უეჭველად
ბედად გავჩნდი შენზე დიდი.

ვატყობ, წელშიც რომ გადავტყდე
ხელს არავინ გამომიწვდის,
წელზე ვირტყავ ლექსის სარტყელს,
მუზის გრძნობით რადგან ვიწვი.

ვფრთხილობ

ვფრთხილობ ძალიან,
არსად მომწვდეს მელა-ტურები,
მე მათ ჯიჯგნაში ლამისაა სული ამომდის,
კვლავ მაინც მხიბლავს
გაზაფხულის ფანჩატურები,
ხეებს რომ კვირტი ბუსუსებად
ტანზე ამოსდის.
.....
ვმხიარულდები, ძველებურად
მერცხლის სტუმრობით.

შენ ხარ

შენა ხარ მართლაც პოლიტიკის
ერთი ნაწილი,
იყენებ ყველას, ვინც გინდა და
როგორც გჭირდება,
ვერასდროს იფრენ, მადლის ფრთებით
როგორც არწივი,
მიახლოვება მზის სხივებთან
გაგიჭირდება.

ისე

ისე დამიკაკუნე გულის კართან,
წიწილა ნისკარტს რომ სცემს ნაჭუჭს.
გმადლობთ, გელოდი მართლაც...
შენამდე, ვგავდი სიმინდის ნაქურჩს,
ლექსო, შენით კოსმოსსაც ვმართავ.

ჩემი გული

გული ჩემი არის თბილი,
საჭიროების შემთხვევაში კერკეტი კაკალი,
მთელი სიცოცხლე სიკეთით ვივლი,
მე? ძლიერი ქალი ვარ,
არავარ სხვისი სამკალი.

ლექსო

შენ ჩემი სულის ჩინარი და...
ჩემი სუნთქვა ხარ მართლაც...
შენით ვარ მუდამ პირმომცინარი,
ჩემს გულის წამლად გნათლავ.
შენს სახელს გულზე ამოვიტვიფრავ,
ლექსო, კვლავ შენით დარობს,
მუზის აჩრდილი დამყვება ტვირთად
ლექსო, სიცოცხლის ფარო.

ანა

შენს ლამაზ დედას არ აკლდა ჩემგან,
მოფერება და ფარჩაფურჩები,
იზა დამყავდა ძალიან ბევრგან,
ბევრჯერ ვუყიდე, კაბა, ჩუსტები...
გაიზარდა და რაც კი შემეძლო
სწორს და უსაფრთხოს გზას ვანიშნებდი,
ბედისწერისთვის უნდა გაეძლო,
ვაფრთხილებდი და არ ვაშინებდი...
ახლა თქვენ ჰყავხართ გიორგი, ანა
თქვენთვის წავიდა შორს, საზღვარს იქით,
ღამის ლოგინში მის ფიქრში წვანან...
შვილებიცა და ქმრის სიყვარულიც,
აბა თქვენ იცით ანა, გიორგი,
თქვენი ტკივილი იქ ტკივა დედას
არ დაიჯეროთ იყოს იოლი,
უცხო მხარეში დაგდევდეს სევდა.
გამრავლდით შვილო, იბედნიერეთ,
იყავით ზრდილნი, საამაყონნი...
ზოგჯერ ჩემსკენაც შემოიარეთ,
ჩემი გულია ყველას სამყოფი.

თუ ვიცოცხლე გენაცვალე
(ვახტანგ სხირტლაძეს)

ჩემი შვილის მესაძირკვლევ,
გაიზარდე დიდი ბიჭი.
მამის წლებიც დაგრჩეს იქნებ,
და გამოყვეს მისი ნიჭი.
შენ ხარ ბებოს სულის სარკე,
და სიცოცხლის აღმაფრენა...
ცას არ მინდა თან რომ გამყვეს,
რაც რომ მოგცა მამა შენმა.
შენ სოფელში ოთახები,
გაქვს ბებიკო თანაც ორი...
თუ ჩახვალ და შეეხები,
არ ექნება სუნი შმორის.
თუ ვიცოცხლე გენაცვალე,,
ცალკე ჭერსაც აგიშენებ...
სულ ცოტაც და დამაცალე,
ღობე-ყორეს დაგიმშვენებ...
გამახარე მხოლოდ სწავლით,
წიგნიც ბევრი წაიკითხე,
სულ გახსოვდეს ცოდნის ყავლი,
დავრდომილიც მოიკითხე.
ჰოდა ასე გენაცვალე,
ჩემი შვილის შტო და ფესვო,
სხვას არასდროს დააბრალო
თუ ეკალი გზაზე თესო,
ვაზი დარგე გაიზრდება,
მამაშენის ღობე-ყორეს...
შრომა თუ არ მოგბეზრდება,
დარდს და ნაღველს მომაშორებ.

შენს ლამაზ სულში
(ქეთი დოლიძეს)

შენს ლამაზ სულში, ნისლიანი
გაზაფხულია,
ბედის ნაწვიმი შერჩენია,
წარსულ ნაპირებს,
იმ გზას დაადექ, სადაც ანას,
მუხრანს უვლია,
პოეტი ხარ და დრო ვერასდროს
გაგინაპირებს,
რატომღაც მჯერა,
ყვავილებში გიყვარს შროშანი,
შენ სახეს მოჰგავს,
ფაფუკია, ტყეში იზრდება...
მწამს, რომ მეუღლე გენატრება
რადგან შორს არი,
ის მზეჭაბუკი, ერთგულებას
ციდან გპირდება.

რამდენ ღამეს

(ქეთინო სხირტლაძეს)

რამდენ ღამეს გაათევდი თეთრად,
ომის ქარცეცხლს გამოვლილი ქალი.
ჯონჯოლს, სოკოს, ჩვენ ვკრიფავდით ერთად,
გვიჭამია მჭადი, მინდვრის ფხალი.
ოთხი შვილი... ოთხი აკვნის რწევა,
კარგია და... თუმცა ძნელიც არის,
ფიქრით ბევრჯერ აგწევია წნევა,
მაგრამ გვერდში გყავდა მარჯვე ქმარი.
ახლა უკვე დარჩენილხარ მარტო,
ზეცის სტუმარს ძალუძს განა შველა?
თუმცა მჯერა შენთან მოსვლას ნატრობს,
მჯერა, მასაც ენატრებით ყველა.
მინდა ეს დღე მოგილოცო კალმით.
გავიხსენო, პატარძლობა ჩვენი.
შენ ხარ, ჩემი კუთხის შვილი – ქალი!
მოგიტანე თბილი ლექსის ძღვენი.

ჩემს ჭიკჭიკა მერცხლებს
(გვანცას, ბარბარეს, გიორგის)

გულს რა ძალიან ეცხები,
გვანცა, გრძელ ნაწნავთმიანო...
საქმის დროს მარჯვობ, ცეცხლდები,
პაპიკოს ხმითაც ხმიანობ.
გიორგიც ცელქობს, ბარბიკოც,
გული გრძნობებით მთვრალია...
ბეჟანის იმ ჩემს ძამიკოს,
ცას არის, არა სცალია,
გაგრძელება ხართ სიცოცხლის
თქვენა ხართ პაპას მერცხლები,
მეც მიტომ თვალებს გიკოცნით,
მიტომ გიძღვენით ლექსები.

გათხოვდი

(ნაილი სხირტლაძეს)

სკოლის მერხიდან გათხოვდი,
დაიდგი მძიმე უღელი,
ოჯახს ყოველთვის ხათრობდი,
მათთვის იყავი სულგრძელი.
შენი დაზრდილი შვილები,
არიან საამაყონი.
გულკეთილი და თბილები,
დამთმობები და დამყოლნი.
ოჯახში ბევრი დაგიხვდა,
მამიდა, მაზლი, მულები,
ნატრა უფლისგან აუხდათ,
გადაგიშალეს გულები.
მეც არ ვიგონებ შენს წყენას,
სითბოს სულ ყველას ვაჩვევდით,
ჩვენ არ ავდევდით სხვის ენას,
სიკეთით გამოგარჩევდი.
ჩვენ უკვე მაღლა შევყევით,
ცის აღმართს ჩემო ნაილი,
სულით არა ვართ მერყევი,
მრუდ გზაზე არსად გავივლით.
ისევე ვიყოთ თბილი და...
გვტკიოდეს ხალხის ტკივილი
კვლავ გავყოთ ერთი თხილი და...
სახეს გვეფინოს ღიმილი.

შენს ეზოში

შენს ეზოში ფეხის ნატერფალი,
ამჩნევია ჩემო ტკბილო შვილო!
ჩემი გული, ჩუმად ნაფერფლალი,
იმედის სხივს შვილთაშვილით შვილობს.
გადავიქეც ისევ მადლის წყაროდ,
შეგეხიზნე, ფიქრით ზეცის სახლში,
ვმსახიობობ, ვითომ ისევ ვხარობ,
ვიხარშები, დარდის სავსე ქვაბში...
სულ ახლახან პოეტები მყავდნენ,
სალოცავი ვნახეთ დიდ ატოცში...
მეგობრებიც მგლოვიარეს გავდნენ,
ჩემი სევდა ქონდათ გულს ნატყორცნი.
შენს ოთახს კი აარიდეს თვალი,
მათ ეტკინათ გული, შვილო, შენით...
საფლავთან კი მოიხადეს ვალი
ზოგჯერ ცრემლიც გულის ტკივილს შველის...
მეკი ისევ კვლავ გავმაგრდი, დედი,
და მოვირგე გულქვა ქალის როლი.
თვალით გეძებ... ისევ მაინც გელი,
ცრემლთა დარდით გავხდი ზეცის ტოლი.

გულნაზ ხარაიშვილი
და ნინელი ძაბახიძე

ჩვენი შვილები

ჩვენი შვილები სწავლობდნენ ერთად,
წლებს ახლაც ვცდილობთ რა გამოვძალოთ...
მიმოვდიოდით ჩემთან და შენთან
შვილებისათვის კვლავ ამოვრძალობთ...
ვიტალი, დათო, ვეფხო და გელა,
აი-იას ხომ ერთად სწავლობდნენ,
თუ ერთს უჭირდა, იცოდნენ შველა,
თავისზე სუსტებს მუდამ წყალობდნენ...
ურთიერთობებს ასდით სურნელი,
პატივს მივაგებთ ერთურთის სიტყვებს.
შენ კარგად მყავდე, ჩემო ნინელი,
მე კი ცის აღმართს დარდით მივყვები.

ახალი ლექსები



გიორგი სააკაძეზე

დავით შემოქმედელი

დიდ მოურავს

ხმლით გადაჩეხილ დღეების გამო,
ბევრი ტკივილი ატარე ბეჭით,
ვიღაც შენს ბედზე წარსულთან დაობს,
და გიცქერს ნდობით, შიშით და ეჭვით
ივერის ბედი ფარზე გეწერა,
ვაზს როცა ჩეხდა მტერი ურიცხვი.
შვილის სიცოცხლე გაეც ზვარაკად,
სამშობლოს ერთგულ სიყვარულისთვის.
ასჯერ იომე, ღმერთთან და ხატთან,
ასჯერ გაწირე გული და მკლავი
და ასურელი მამების მსგავსად,
ვერ დაიმარხე მამულში თავი,
დღეები წარსულს უმიზნოდ ჰკლავენ,
ისმის გოდება, მამულის მიწის,
და ცეცხისფერად ანათებს გზაზე,
მარაბდის ველზე, დაღვრილი სისხლი.

გურამ გედევანიშვილი

ჰსცა სსჯაძეს!
(ქართველთა მარადიულ უწმინდეს სულს!)

ერთაწმინდა, ერთა წმინდის სამება,
წამ-წამებად აკინძული სული,
წარიტაცეს უხნოვანმა ქარებმა
მარადისში, არსთა სასწაულით
ქართა... ქართა,
იმ ზეციურ მხედრებმა,
შორს მხედვებმა, ჭვრეტით მაცნეთ ყოფის,
მრავალსახა, სამყაროთა კვეთებმა,
ღვთის იდუმალ ჩრდილთა გარდამოსვლით.
და... ჰა, ... მამულს შეწირული სული –
– ზენა სრული, ვით ნათელი ცათა,
საქართველო – დედა – ზეციური
ლაჟვარდებით ამ სიწმინდეს ხატავს.
იქ, ... გაისმის ხმა, გალობის არსთა,
ოჰ,... პაატა! ... შვილო, შვილო, შვილო!
ცრემლი იქცა, ღაღადისათ ქვათა,
დედის თმები... ძეწნა – ჩამოშლილოდ.
ხელთუქმნელი, მარადისი, ხატი,
ჩვენთა, გულთა, ჩვენთა, სისხლთა ფეთქვით,
ქართველურად ანაჟღერი, ქნარით.
უკვდავებას დრო – სივრცეთი ერთვის!

მურად ჭოლოკავა



წინაპრის სფერვთან

ბილიკი ადის მაღლა,
სად მიცდის მწვანე ბორცვი
საფლავს – ჩემს ბოლო ამართს
მუხლმოდრეკილი ვკოცნი.
მელოდებოდა თითქოს,
ერთად, რა მიწივ მსდევდა –
იმ ქვეყნიური სითბო,
ამ ქვეყნიური სევდა...
შემორჩენია ძეძვებს,
ძაძა, ამწუთისოფლის
სხვა – სხვა სამზეოს ეძებს,
მე – აქ ამოსვლაც მყოფნის.

პასტის გზავნილი სამშობლოსადმი

ქართულო, მიწავ, შენს კვნესას ჩემი,
გმინვა და ოხვრა, წვეთ- წვეთად ერთვის
ერთი სიმი ვარ – ზღვა საესავში
ერთი ციმციმა მოთმენის ცრემლი...
მესხის მელექსის ვარ, სველი ლექსი –
ერთი სიმღერა, ტკივილი ერთი...
და კურცხალიც ვარ მაგ შენი კვნესის –
შეუწყვეტელი მდუღარე წვეთი.
მე შენი გულის ტკივილიც მტკივა
და ყანაც მტკივა მტრისგან მომკილი...
ეს ბედი მაინც ჯობია სხვისას –
რომ არ გვედება მონის ბორკილი
... აი, ამიტომ ვართ ბედნიერი
და სანატრელი არ გვაქვს სიკვდილი.

გიორგი სასაკაძე

ვით შევძლო, ყველას ვიყო მფარველი,
ვით გავხდე ყველას ჭირისუფალი?
სამაგიეროს არაფერს ველი...
ჩემსას მომიზღვავს თავად უფალი.
დარდში გამომწვარ გულს რაღა ვუყო?
რა ვუყო ცრემლებს – დარდის სამშვენის?
დღეს ჩემი ლოცვა, წმინდა და უხმო,
იყოს ტკივილი თქვენთა საშველი.
სულს ჩემსას თქვენთან ვატან ამ სანთელს,
ღვთისმშობლის ხატთან, დღეს რომ ავანთე –
და იგი გეტყვით მარტყოფის სათქმელს,
რაც გვაახლოვებს ძეს და მამა ღმერთს...
ჰა, ვაზი ჩემი – ცრემლთა მტევნებით,
ოღონდ გვაღირსოს ღმერთმა აისი,
დაისი – მშვიდი გადათენებით
ჰა, მზის სითბო და სიკეთე მისი,
სიმრავლე თქვენი, ვით ზღვაში ქვიშის,
აჰა, ახალი გზის დასაწყისიც...
აჰა, ციური კარიპჭის ნიში...
ჰა, თასი ჩემი – ევქალისტური,
ჩემი სიტყვის და ფიცის დასტური...
რომ გვიდუღს ძარღვში სისხლი თამარის,
შოთას, დავითის, ცხელი გენი გვაქვს.
თავისუფლება!
აი მთავარი
ბედისწერაა და ბედის ენიგმა.

გიორგი სასაკაძის გამოძახილი

ხუთასი წელი – რაში, აბრაში,
უსადაოდა და ულაგმოდ მიქრის.
გადანახული ცეცხლი ღადარში –
მამულზე დარდი, მამულზე ფიქრი,
ქართული ვაზის მეძახის ლერწი,
ვაზი საესავ ხატად ქცეული
ხუთასი წელი –
მტკივა და მეწვის,
მშობელი მიწა როგორც სხეული,
ხუთასი წელი!..
მძიმეა ტანჯვა...
ვიცინი – ვტირი
მღერივარ - ვკნესი.
არავის ესმის ყარიბის აჯა,
ყივილი მიწის,
ტკივილი ფესვის.
მეძახის ჩემი
ღელე და მთები,
ჩემი ზვრები და ხოდაბუნდები..
მეძახის მტკვარი,
არაგვი, თერგი,
„ბიჭო, ოდესმე თუ დაბრუნდები“?!!

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

გიორგი სააკაძეს

სიჩუმე იწვა მთაშიც და ბარშიც
ამაზრზენ გრძნობას მოეცვა ექო,
გვირილებს თავი ძირს დაეხარათ
ველარ უმზერდნენ გაქელილ ბექობს.
ეს დღე გუშინდელს უკვე არ ჰგავდა
მთას აყრუებდა ზურნა-დუდუკი,
ნოსტელ ფალავნებს დაეგდოთ განი,
ყველგან ისმოდა ცეკვა-ცუნდრუკი.
ცა მოიქუფრა, ირგვლივ დაბნელდა,
ზეცას გადეკრა შავი ლაბადა,
წვიმამ წალეკა ჭალა და სერი
და მთის ღვარცოფმა სევდა დაბადა.
ნოსტეს გზაზე კი ამალა მოჰქრის
გზას მოაყრუებს ფლოქვების ჯერი,
ნოსტელ ფალავნებს გულს რეჩხი უყო
წუხანდელ ქეიფს ანებეს თავი.
წინ გადაუდგნენ მებრძოლ ამალას,
გადაუღობეს გზა გასავლელი.
ციხის გალავანს დაარტყეს რკალი
და გამოძებნეს გამოსავალი.
ნოსტეს ციხეს კი დაატყდა რისხვა.
შადიმანს ყალყზე უდგას ჯაგარი,
უნდა მოკვეთოს მოურავს თავი
მის ცხენს შეაჭრას ბრძოლის ფაფარი.
– მოქუხს, ნეტავი რის ქუხილია,
ზეცამ იქუხა, თუ მტკვარი ღმუის.
ჯარი მოგროვდა ტირიფონასთან
მალემსრბოლმა კი გაქუსლა რუისს.
ცა მოიქუფრა, მეწამულ სხივებს
დილის რიჟრაჟზე დაეცა ბინდი,
წვიმა წალეკვას უქადდა ყველას
ვინ იქნებოდა ამ დროით მშვიდი?
ქართლის არწივი ბრდღვნიდა გონებას,
ბედაურს აღარ მოსდო ლაგამი,
გადაუქროლა ზედავლის მინდორს
გზას გაუყენა ნოსტეს ალაფი.
ტოვებდა ქართლის დალოცვილ მიწას,
ღალატის შოლტი ზურგში ხვდებოდა
მტრისგან გადაღლილ მარჯვენას არა,
მოყვრის ღალატზე გული სწყდებოდა.
ცას ასცქეროდა, ღმერთის იმედად
ნოსტეს დაქცეულ კერას ტოვებდა,
დასახულ მიზანს ფიქრებს ანდობდა
მშობლიურ მიწას ისე ტოვებდა.
და აზვირთებულ ზღვის ტალღებს არა,
ფიქრით ფიქრების მთის გორებს დგამდა,
შადიმანი კი ძერწავდა მიზანს
ღალატის გვირგვინს თავზე ადგამდა
დრო გადიოდა, დღე დღეს მისდევდა,
ტრამალებს ბრძოლის ფიქრით იპყრობდა,
გეგმას ადგენდა, ქართლის მინდვრებში
სპარსელ დამპყრობელთ აღარ ინდობდა
და გამარჯვების ჯერმაც უწია,
მარაბდის ველი ურდოს ელოდა
და მოურავი შუაგულ მტერში
სპარსელს და ფიქრებს ერთად ებრძოდა.
არ დააყოვნა და გამარჯვებამ
შვება და ჭირი ერთად არგუნა.
იცოდა, აბა, რით არ იცოდა,
რომ საქართველოს ჭირის შემოხსნას
ის მძევალ შვილთან ერთად ებრძოდა.
და ჩაიხუტა ქართლს ერთაწმინდამ
პაატას თავი უწვერ-ულვაშო
და ზე ასწია გიორგიმ ხმალი
სულ მთლად შიშველი და უქარქაშო.
მის მთლად აღმართულ წარბებს ქვემოდან
გრგვინვა ქუხილი მარტყოფსაც გასცდა,
ღალატი უკვე აქაც არ ასცდა.
მე მეუფლება ასე შორს განცდა,
მოყვრის მახვილი კვლავაც არ ასცდა;
ათასგვარ ჭორებს ძერწავენ მისთვის,
ვისთვის მტერია, ერთგული ვისთვის.
სამშობლოს შვილი შესწირა რისთვის,
თუ მოღალატე იყო ერისთვის.
ჟამთა სვლამ, ჟამი ვერ შეიწირა,
მისი მამობა რით გაიწირა.
ქვეყნის შვილობა არ დაუფასეს
თუმცა მან მისთვის შვილი გაწირა.
– ნოსტეს დარღვეულ ციხის გალავანს
ჩიტი დაჰგალობს, ჩიტი ნიბლია.
– ნიბლია ჩიტო რას დაგვჭიკჭიკობ,
იქნებ სული ხარ მოვლენილია,
იქ, ერთაწმინდის ციხის გალავანს,
ჩიტი დაჰგალობს, ჩიტი ნიბლია.

ანზორ ჯაფარიძე

სასაკაძეებს

პაატა შვილო, როგორ გაზრდილხარ
შესძახა მამამ გულდაკოდილმა,
შეჰყურებს შვილს და გაოცებული
მკერდში მჯიღს იცემს, გოდებს საშინლად.
შვილო, ჯერ კიდევ ჩვილად მიმაჩნდი,
შენ, თურმე, ყრმობამ კარი გაგიღო.
ჩუ მამი, დედამ არა გაიგოს.
დე, სამშობლოსთვის ზვარაკი ვიყო.
და თმებს იგლეჯდა დიდი სარდალი
თითქოსდა ჩასცეს გულში ხანჯალი.
მაგრამ მთავარი იყო მამული —
მტერთა მახვილით გადახანჯლული.
კარგად იცოდა ვერაგი შაჰი
შურს იძიებდა გაამწარებდა,
სათუთად, ნაზად პაატას სწირავდა,
თუკი სამშობლოს რამეს არგებდა.
დიდო სარდალო, ქრისტიანობას
ფარად დაუდექ, მტრებმა ვერ მოსპეს,
უმანკო შვილი ჯალათს უმსხვერპლე,
ღრუბელთა ჯარი ატირდა ნოსტეს,
უფალო ღმერთო, პაატას თავზე,
როგორ აღმართა შაჰმა მარჯვენა,
მამულის ცრემლმა ბრძოლის სარდალმა,
მტერი დასწყევლა და შეაჩვენა.
რად არ შერისხე ურჯულო შაჰი,
დათალხულია ქართული ზეცა,
ერთი ყმაწვილის მზის დაბნელება
გაუნელებელ ტკივილად გვექცა.
ვიხსენებთ აბრამს ბიბლიურ ბრძენ კაცს,
ძე რომ მოჰგვარა უფალს ზვარაკად,
მოწყალე ღმერთმა ბავშვი დაინდო

ასე შემოგვრჩა ზღაპრად, არაკად.
დღეს კი პაატას დაღვრილი სისხლი
მზეზე კიაფობს და ყველას გვამხელს,
ცოდვილები ვართ და უკვე დროა,
საკუთარ ცოდვებს ვარქმევდეთ სახელს.
დროა უფლის გზას შევუდგეთ ერთად
და მამა-შვილი წმინდანად ვრაცხოთ,
ეგება სამოთხის კარიბჭე ვნახოთ.
დროა ვადიდოთ დიდების ღირსი.
სააკაძეთა ამაყი ჯიში –
საუკუნეთა ლაბირინთებში
გმირულად სძლიეს სიკვდილის შიში
მიზგითზემ თეთრად კრთებოდა მთვარე,
საქართველოსთვის არ იდგა დარი.
გულში ესვენა მამა-შვილს მუდამ,
ვაზის ლერწებით შეკრული ჯვარით,
საქართველოსთვის მშვიდობა სურდათ.
მშობლიურ მიწას კვლავ ისევ აწვიმს,
თუმცა სიცოცხლე გმირებმა დათმეს.
დიდება ცაში გაფრენილ არწივს
და ზვარაკადქმნილ არწივის მართვეს.

კრწანისის ბრძოლა

ნაირა ნიჟარაძე

წარწერა თამარ მეფის გულსაკიდ ჯვარზე

„ძელო ჭეშმარიტო ძალო
ჯვარისაო, შენითა ყოვლადვე
შემწე და მფარველ ექმნენ მეფესა
და დედოფალსა თამარს.“

გულში აღარ დამეტია,
სიყვარული თამარისა,
გულმოწყალე, გონიერი,
სიტყვა ვუთხრა შესატყვისად.
დამესიზმრა, ამიხდინოს,
დაბრუნება მისი დღისა,
განათება, დამშვიდება,
საქართველოს ლურჯი ცისა!

ანე-ხათუნი

არ დავიწყება მოყვრისა
აროდეს გვიზამს ზიანსა.
შოთა რუსთაველი

ანე-ხათუნი, ბრწყინვალე ქალო,
დიდ მოურავის ასულო, თვალო,
ქართველ რაინდის შთამომავალო,
ქართული მიწის გულზე მავალო.
ქალო „ლერწმისავ, ზამბახიანო,
იასამანო, სახემზიანო.
ბროლისთითებავ, უცხოდ სანახო,
დიბა-ატლასო, გაუხუნარო.
სახით კეთილო, ხმაუწყინარო,
მტრედივით მშვიდო, ენაწყლიანო,
ახალციხელთა, ჯაყელთა რძალო,
რძალ-დედამთილთა უჭკნობო რვალო!
ის მამა იყო – დიდი გივარგი
აქ დარჩა თვალი, სისხლი-ჯილაგი.
თავი მოჰკვეთა გადამთიელმა,
მაშინ იმ ხმალმა სამტროდ იელვა.
მან საქართველო მრავალგზის იხსნა,
მისი გმირობა სიმღერად იქცა.
ძმებიც გმირები – არ დასავიწყნი,
ბედისწერისგან თავს ვეღარ იხსნის.
არზრუმის მიწამ თბილად მიგიღო,
შენი აკლდამა სწორედ იქ იყო,
ღმერთო, ქართველი სადაც ინახოს,
უცხო მიწაზე არ დაიმარხოს!

* * *

ვთქავთ სიმღერები,
ტანწერწეტისა,
თვალგიშერისა,
ენა-ტკბილისა.
გულსი მომტანი
ზღაპრულლ ლხინისა,
ადვილამტანი
ყოველ ჭირისა.
ჰყავს გმირი მამა,
ძმები გმირები,
სააკაძეთა
მუხის ძირები.
უყვართ სამშობლო,
არვინ აჯობოს
შრომა-გარჯაში,
ლხინში, ყანწის და
ვაზის მოვლაში.
შენ, ჯავახეთის
ამაყო რძალო,
შთამომავლობა,
გრძელდება, ხარობს.
მამის სიკვდილი
როცა გაიგე,
შავი მანდილი
თავზე დაიდე.
ანე-ხათუნო,
ვარ შენი მოტრფე,
შენ სილამაზით
სამშობლო მორთე!

„ჯორჯიენ პრინცეს _ ბუბუ ჯაიანი"

ის ამშვენებდა ქუთაისის თეთრქვიან ქუჩებს,
როგორც შვლის ნუკრი, ჰგავდა ცაცხვის შრიალა ფურცელს.

ვარდს ამსგავსებდნენ, ფერმკრთალ მიმოზას,
სახიდან მზისებრ სხივი ცვიოდა.

ის ქუთაისის თეატრს ამკობდა,
და ხალხს ჯადოსნურ ძალით ართობდა.

ის უფრო ჰგავდა თეთრ მაგნოლიას
ან ზღვაზე მფრინავ გულთბილ თოლიას.

ხიბლავდა მწერალს შალვა დადიანს,
ხშირად ხედავდნენ ფიქრით დარდიანს.

მას „ამომავალ ვარსკვლავს" ეძახდნენ,
ბევრი რამ ითქვა ქალის შესახებ.

შორს, ჰოლივუდის ლამაზებს უთქვამთ,
მოდით, სურათი იხილეთ ტურფა.

ამერიკაში ლამაზთა შორის,
უმზერენ ქართულს, ნაზსა და მოვლილს.

ჩვენ აღტაცებით ვიცნობთ ჯაიანს,
„ჯორჯიენ პრინცეს – ბუბუ ჯაიანს."

ჰაცა ხაკაძეს



მამა
ამირან ამირანაშვილი

ანგელოზთა შორის გხედავ
გაბრწყინებულ სხივთა მდენი,
მინდა ერმა აღიაროს,
წმინდანობა შვილო შენი.
შენ სამშობლოს დღესაც იცავ,
ალესილი მამის ხმალით,
გიორგი და რუსუდანი
გააოცე შენი ძალით.
სააკაძე ცოტა დარჩა,
მიწიერთა მონაგარში,
გვარის გვირგვინად იქეცი
ამ დიდებულ ქვეყანაში.
დღისით მზე ხარ მოჩახჩახე,
ღამით მთვარე მოტრფიალე.
დღე და ღამე მამულს იცავ,
საქართველოს დასტრიალებ.
მებრალება ვინც ვერ გხედავს,
დახშული აქვს სულის თვალი
საქართველო ემზადება
გადიხადოს შენი ვალი.

ამაღლება, 2018წ.

წარსულის ამაგის შეფასება
(ხალხურ მოტივზე)

გულნაზ ხარაიშვილი

ალექსანდრე, ლევანი,
შეეწირა ზვარაკად.
ქართვლის ვაზთა მტევანი,
ახლა ალაპარაკდა,
ერს ტკივილად შემორჩა,
ლეგენდებად ორივე,
ჩემს ფიქრებში გამოჩნდა,
მიტომ გავიმეორე.
ქეთევანის წამებით,
ცრემლი ისევ მდინდება,
შახის განაწამები
სისხლად მოედინება,
კახთა მეფის-ძე შვილნი
ალექსანდრე, ლევანი,
ხორც ნაჯიჯგნი-შეშლი,
ორნივ შახის მძევალი.
ბავშვებს რისხვად დაატყდათ
სადისტური წამება,
შახი ისე გაავდა,
სულით აფთარს წააგავს.
ტანჯვის ბედი წილად ხვდათ,
ავთანდილს და მოურავს,
სარდალს შვილი თან ახლდა,
მტერმა თვალწინ მოუკლა.
ჩემად გავითავისე,
კადრი ასეთ წუთისა...
თვალი ცრემლით ავივსე,
ხმაც მომესმა სუნთქვისა.
წმინდა ანგელოზები,
ზეცის სახლში სახლობენ,
შადიმანთა ფესვები,
ხის ჩრდილის ქვეშ ბაზრობენ.
ხატი ალექსანდრესი
ხატი ავთანდილისა,
ხატი ლევანისა და...
ხატი გმირი პაატას
დაიწეროს, შეიქმნას
დღესვე, დროს ნუ მივანდობთ,
მტერიც მოყვრად გარდავქმნათ
რადგან ახლოს ბინადრობს.
ალექსანდრეს, ლევანის,
ავთანდილის, პაატას,
ოთხივ ყურძნის მტევანის,
სევდას ცას ნუ გამატანთ.
წმინდანებად შევრაცხოთ,
ეს ოთხივე გმირები...
წარსულს როცა პატივს ვცემთ
მადლად შეგვეწიერბის.

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

დაპატიჟება კოკეტეის წლისთავზე

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3, 4, 5, 6 ტომსა და ჟურნალი
„ათინათის“ №№ 18-27 ნომრებში

გაშლილია იურტები,
გაითხარა კერიები,
თვლა არა აქვს ცხენს და ძროხას
დააბნელეს ტრამალები.
აშრიალებს მწვანე ბალახს
მონაბერი სიო მთიდან,
ბურდუკიდან[1] რძე იღვრება
და კუმისი ჩანაჩიდან.[2]
როგორც მარგალიტის მძივებს,
ნამს მინდორი დაუფარავს,
ბოკმურუნმა დაუძახა
ახალგაზრდა აიდარას: –
„აი, ჩემი ბედაური,
ჩემი ზღაპრული ტულპარი,
შორი გზისთვის მოემზადე
და გაფრინდი, როგორც ქარი.
პატივსა ვცემ მამის ხსოვნას,
შვილი ვარ და მმართებს გლოვა,
ჩემთან იხმე დიდებულნი,
შემოდგომა როცა მოვა,
როცა გავა ხუთი თვე და
გაყვითლდება საძოვრები,
როცა რძიანი ბალახით
გასუქდება აქლემები.
სულისმოსახსენიებელს
მე გავმართავ მაშინ წლისთავს,
იცი, სიტყვის ერთგული ვარ,
შევასრულებ, რაც კი მითქვამს.
ვინც არ მოვა, მეურჩება,
წავასხლეტავ ყველას თავებს,
მე ვასრულებ თვით მანასის
რჩევასა და დანაბარებს.
ჯერ მარგელანს მიაშურე
მოიწვიე მალაბეკი,
ანდიჟანის ხანიც მიხმე,
უძლეველი სანჟიბეკი,
მერე წადი სამარყანდას,
დაპატიჟე ალიბეკი,
შემდეგ წადი ბუხარაში,
სადაც ცხოვრობს გმირთა-გმირი
და ქალაქის წინამძღოლი
ბრძენი ხანი — ატემირი.
შვიდი მდინარის სათავეს,
ცასთან ახლოს, მზესთან ახლოს,
მიაშურე, აიდარა,
ჟედიგერთა სამოსახლოს.
გაიცანი ბაგიშა და
ჩვენთან სტუმრად დაუძახე
და პატრონი მთაველების
მერე ბუზბურჩაკიც ნახე.
მდინარე კემინის პირას
ახლა ბაის, ადრე ღატაკს,
შეუპოვარ ხან უბიუს
მოკითხვას და ვუძღვნი სალამს.
ყირგიზთა მოდგმისა არის
ეშტეკის ვაჟი ჟამგირჩიც,
ყველა იხმე, დაპატიჟე,
რომ არ დამრჩეს გულში ხინჯი,
ვინ არ იცნობს ყაზახ კოკჩეს
არც კი იცის, რაა შიში,
მიდი, სთხოვე, რომ მესტუმროს
სარ-არკადან ყარაკირში.
წმინდა არის ჩემთვის ის დღე –
სულისმოსახსენებელი,
ყალმუხების მმართველია
ოროკირი, მასაც ველი.
უნდა ყველას გავაგონო
ჩემი დარდი, საწუხარი,
ჩინეთიდან დაპატიჟე

[1]ბურდუკი — ტყავის ტომარა რძისთვის

[2]ჩანაჩი – ტყავის ტომარა კუმისისთვის.

ალოოკე, ნესკარ-ხანი,
მსურს, მეწვიოს კონურბაიც,
ასეთია ჩემი ნება
თუ მიმუხთლებს, მანასისგან
ნულარ ელის შეწყალებას.
გაჩენის დღეს ვაწყევლინებ,
ამ წლისთავზე ვინც არ მოვა,
აბა, ერთი გაბედონ და
შემილახონ მამის ხსოვნა.
დაე, ყველამ პატივი სცეს
ვინც დამბადა, ვინც გამზარდა, –
ასე ბრძანა ბოკმურუნმა
ყოყოჩმა და გულზვიადმა.
. . .
ყარაკირის ხეობაში
ათას სტუმარს იტევს ველი,
მტერ-მოყვარეს ეგებება
კმაყოფილი მასპინძელი.
განა მარტო ყირგიზები,
განა მრტო ყახაზები,
აქ მობრძანდნენ ჩინელები,
ყალმუხები, სპარსელები.
რა ზღაპრული ბუნებაა,
თვალს იტაცებს, გულს ახარებს,
რაზმი მოსდევთ ფალავნებს და
მსახურები — ზვიად ხანებს.
ეს ვერაგი კონბურბაი
რა ამალით მობრძანდება,
და ნესკარას — ფლიდს და ორგულს
ახლა გულში ეცინება:
„რაღად მინდა მე მსტოვარი,
თვით ვეწვიე მტრების ბუდეს,
ერთი ვნახო, ბურუტები
ასე რატომ გადიდგულდნენ.
კარგად მახსოვს, რომ წამართვეს
დატვირთული ქარავანი,
მე თუ ის დღე არ განანოთ,
არ ვყოფილვარ ნესკარ-ხანი,
ისეთ წლისთავს გადაგიხდით,
დაგიკეტოთ ენა-პირი,
მადლი ღმერთს, რომ აქ არ არის
ერ-მანასი, გმირთა-გმირი
ცხენი უნდა შევარჩიო,
დაიწყება ალამანი[3],
თვალი ჰკიდა მაანიკერს
მოიხიბლა ხარბი ხანი.
კონურის და ხანჟოლოის
ასე უთხრა ნესკარ-ხანმა
არ მოსულა ერ-მანასი,
რამაც ძლიერ გამახარა.

ამ ბურუტებს, ჩემო ძმებო,
გაჩენის დღე ვაწყევლინოთ,
დავანახოთ ჩვენი ძალა,
მიწას მტვერი ავადინოთ.
„ჰე, ბოკმურუნ“ – უხმეს ჭაბუკს, –
მოიყვანე შენი რაში,
რად გვიწვიე დიდებულნი
ნეტავი შენს მარაქაში?
თუ არ მოგვგრი ზღაპრულ ტულპარს,
დაისჯები უსათუოდ,
ხომ არ გინდა, შე ბურუტო,
გზები გაგიუდაბუროდ?
ბოკმურუნი შეხტა შიშით,
თავს დაეცა თითქოს მეხი,
და კოშოის იურტისკენ
გაექანა კისრისტეხით.
უთხრა ბიძას: – „ნესკარ-ხანმა
სიტყვა მკადრა ფლიდი, ავი,
მეშინია, ბრძოლის ველად
რომ არ მექცეს ეს წლისთავი.
მე მამის დანაბარები
იქნებ კარგად ვერ გავიგე,
მტერი როგორ მოვიშორო,
შენებურად დამარიგე,
რა ვიცოდი, ნესკარხანი
ასე ადრე მეწვეოდა.
მე ათ დღეში ველი მანასს
და იმედიც მისი მქონდა,
მისი სიტყვით ვდიდგულობდი,
მოვიწვიე ყველა რიხით,
ყარაკირის ხეობაში
საფლავს ჩემი ხელით ვითხრი.“
ბრძენთა-ბრძენმა ხან კოშოიმ
ასე უთხრა სულელ ჭაბუკს: –
„მტრის შიშით და ვაი-ვიშით
როგორ გააჩერებ ქარ-ბუქს?
ქვეყნად ვერვინ გაექცევა
ღვთის ნებას და ბედისწერას,
ახალ საბაბს მოძებნიან
თუ ცხენს მისცემ გაიძვერას.
ვიცი, აღარ გაჩერდება
ნესკარ-ხანი საძაგელი,
უნდა მანასს ვუხმოთ ჩქარა,
მოვიშოროთ სადაგველი.
წერილსა სწერს ხან-კოშოი: –
„მანას! გველის ბედი მწარე,
მოგვეშველე გმირთა-გმირო
სისხლის ღვრისგან დაგვიფარე“.
დაეწვეთა ცრემლი ბარათს,
ეაჯა და ემუდარა,
საიდუმლო ბილიკებით
ტალასს მიდის აიდარა.

[3]ალამანი — დოღი, ასპარეზი, მარულა.

მანასის მისვლა ყარაკირში

იქ კეგენის ნაპირებთან
სად ტრიალებს თვალი მზისო,
გაიძახის მხედრიონი: –
ვაშა მანასს, ვაშა გმირსო!
ხან კოშოი მიეგება
ყირგიზების მხსნელს და მფარველს,
შვების ცრემლი მოერია
წლებისაგან დამშრალ თვალებს;
– გმირთა-გმირო ერ-მანასო,
სწორედ სულზე მოგვისწარი,
გარდაცვლილს რომ პატივი ვცეთ,
იცი, ჩვენი წესი არის.
მტერს არა აქვს ჩვენი წესის
არც პატივი და არც რიდი,
გუშინ ჩვენ ხალხს დაერივნენ
ჟოლოი და ნესკარ ფლიდი.
მასპინძელთან ყოყოჩობა
განა ეკადრება სტუმარს?
სულ ეძებენ ჩხუბის მიზეზს
თხოულობენ ზღაპრულ ტულპარს.
მოთმინების გაწყდა ძაფი,
გული ბოღმას ვეღარ იტევს,
რა ვქნათ, გვითხარ ერ-მანასო,
ჩვენი ბედი გადაწყვიტე!
საუბარში ჩაერია
ფეხზე ადგა ხან ურბიო: –
მანას, გირჩევ, მივცეთ ცხენი
მტერმა რომ არ დაგვარბიოს.
ნეტავ ერთი ცხენისათვის
რატომ ავიტკიოთ თავი?
თუ არა და ხოცვა-ჟლეტით
დამთავრდება ეს წლისთავი.
„ეს რა მითხარ, იქნებ ხანო
გავითხარო შიშით სორო,
ცხენთან ერთად ხომ არა სჯობს
ქალებიც რომ გავაყოლოთ?
ანდა იქნებ ბატონებად
ჩვენს მიწაზე მოგვეყვანა?“
თქვა მანასმა, თვალებიდან
ნაპერწკლები გადმოყარა.
მითხარ, მითხარ, კიდევ რა ვქნა?
რად გეცვალა ხანო ფერი?
დაუყვირა ერ-მანასმა
გაჰკრა ყბაში შოლტის წვერი.
გაჰკიოდა ერ-მანასი,
გაჩენის დღეს განანებთო,
ხმალსა სტაცა ყველამ ხელი
და საჩხუბრად წამოენთო.
დაიყვირა კოშოი-ხანმა: –
„დაივიწყეთ, ვხედავ ღმერთი,
მიდით, მტერი გაახარეთ,
ამოხოცეთ ერთმანეთი.
ვეღარა გცნობ, ერ-მანასო,
რამ გიცვალა ზნე და ნირი?
ასე როგორ გადიდგულდი,
გაიბერე ჩანაჩივით,
აგრევია მტერ-მოყვარე,
უბედდური ამას ვჩივი.
შენგან შველას ველოდით და
დაგვიმატე ჭირზე-ჭირი.
შეეჩვიე ქებას, ლაქუცს,
რა გამოლევს ფარისევლებს,
ხან ურბიუს ერთგულებას
ნეტავი ვინ შეგახსენებს.
შენი დროშის ქვეშ იბრძოდა
მამაცი და გულმოწყალე,
მონასავით რად მოექეცი,
ასე რატომ გაამწარე?
„ბრძენთა-ბრძენო, ხან-კოშოი
კარგად ვიცი თქვენი ფასი,
მაგრამ მტერთან მორჩილებას
ვერ ავიტან ერ-მანასი.“
აქ გამოჩნდა ბაიმირზა
დაჭრილი და დასისხლული,
თქვა: – ჟოლოი — ღორმუცელამ
ლამის ამომხდა სული.
დაგვინგრია იურტებიც
და ხაზინაც გაგვიცალა,
მერე როგორც მგელმა ცხვარი,
მთელი ხორცი გაიტაცა.
გაგვკოჭეს და ისე გვცემეს,
მტერმა გულით გაიხარა.
თქვი, ბოკმურუნ, ჩვენი ტანჯვით
მამაშენი ცხონდა განა?“
„თავად ხედავ ხან უბიუ,
მტერს თუ მტრულად არ დავხვდებით,
არ შეგვრჩება ვაჟკაცობა,
ვიკიკინებთ როგორც თხები.
შემოჰკარით მაშ დობულბას“,
თქვა მანასმა, – „აბა ჩქარა!
მტერს კუდით ქვას ვასროლიებ,
ყოყოჩსა და მეტიჩარას.
ჰე, ჩუბაკო, სირგაკ, გესმის?
ალმანბეტო, ჩემო ძმაო,
მალე გავხდი მტრების თავებს
სათამაშოდ, საბურთაოდ.
მომაშველე შენი რაზმი
ყირგილ ხანო, უხუცესო,
ამოვხოცავ ჩინელ სტუმრებს,
დავუბნელებ მალე მზესო.“
ბაკაიმ თქვა: „თუმცა მტერმა

ჩვენ ადათი შეგვილახა,
მანას დაიოკე ბრაზი
მეტი სიბრძნე გვმართებს ახლა,
დაიღალა ომით ხალხი,
უკვე ბევრი ჭირიც ნახა.
დაუბრუნდა მშობელ მიწას
ცხრა მთა, ცხრა ზღვა გადმოლახა,
შვილებს აჩენს, მინდორსა ხნავს,
მშვიდობისთვის უფალს ლოცავს,
ჩინეთს მტრად გადავიკიდებთ,
თუკი სტუმრებს ამოვხოცავთ,
ისევ ომი, ისევ სისხლი,
დაიწყება დიდი რბევა,
კვლავ მოგვიწევს ერ-მანასო
ალტაიში დაბრუნება.
სტუმრებს ხალხი გავუგზავნოთ
სამშვიდობოდ, სათათბიროდ
და ამ ხერხმაც თუ არ გასჭრა,
გაჩენის დღე ვაწყევლინოთ.
და ბაკაის ერ-მანასმა
უთხრა: – „იყოს შენი ნება,
თავგასულმა ჩინელებმა
მაშინ მთხოვონ პატიება.“
„სჯობს ჩინელებს შენ ეახლო“ –
ხან კოშოიმ უთხრა ალმას, –
„სიფიცხე და აჩქარება
ახლა არ იკარგებს მანას“,
დაე, წაჰყვეს ალმას მცველად
ბაკაი და ჩუბაკ-ხანი,
თან წაიღონ სტუმრებისთვის
ტებეტეი[4] და ჩაპანი.[5]
მალემსრბოლი მოდგა კარავს,
მოახსენა ხან ნესკარას,
გმირთა-გმირი ერ-მანასი
ეწვიაო ყარაკირას.
არ იმჩნევდა შიშს თუმც ხანი
მაინც ფერ-ნაკლული ჩანდა
და მანასის დესპანებთან
შესახვედრად გამობრძანდა:
„ჩინეთიდან ჩამოვედით,
იცით გზაა გრძელზე-გრძელი,
გვსურს პატივით გავიხსენოთ
კოკეტეი ბრძენთა-ბრძენი.
მე რჩეული მხედრიონით
გადმოვლახე მთა და ბარი
ჩემთან ერთად ჩამობრძანდა
ჟოლოი და კონურბაი.
მოვიყვანეთ ფალავნები,
თქვენს ვაჟკაცებს შევაჭიდოთ,
გამოვცადოთ მერე დოღშიც,
ვნახოთ, ვის ერგება ჯილდო.
ჩვენც ბევრი გვყავს გოლიათი,
ბევრი გმირი არის თქვენშიც,
შევარკინოთ ფალავნები,
მოვიპოვოთ ბაიგეში“.[6]
თქვა ცბიერმა ნესკარ-ხანმა: –
„თქვენი ნახვაც გულით გვსურდა,
ვიცი გველის ასპარეზი
და ტყუილად არ მოვსულვართ.
ბიჭებს ხორცი მოუპარავთ,
თურმე ჩხუბიც დააპირეს,
მე სასტიკად გავუბრაზდი
იმ ტუტუცებს, ძაღლთაპირებს.
ბაკაი, გთხოვ პატიებას,
ცხენს მოგართმევ, ვფიცავ ძმობას,
გამიხარდა ერ-მანასი
რომ გაგვიწევს თავკაცობას.
გაიფიქრა ერ-ბაკაიმ
საქმე მართლაც კარგად არის,
უკვე დროა, ხან-ნესკარას
რომ მივართვათ საჩუქარი,
ალმანბეტმაც უთხრა სირგაკს,
გავახაროთ სტუმრის გული,
კვერნის ბეწვის ქუდი მივცეთ
და ჩაპანი მოსირმული.
ხალხის ცრემლებს, სისხლის წვიმას
გადაურჩა ყარაკირი,
და ორივე მხარე დარჩა
თავის საქმით კმაყოფილი.
ყირგიზებმა, ჩინელებმა
ჩამოართვეს ერთ-ურთს ხელი,
სათამაშოდ მოემზადნენ,
დაივიწყეს მტრობა ძველი.
ყარაკირის ვრცელი ველი
ჭაბუკს ლამის ექცა მახედ
და ბოკმურუნს შვებისაგან
დაუნამა ცრემლმა სახე.
მაანიქერი მიჰგვარა,
მანასს ცხენი უსახსოვრა,
დააღწია ხიფათს თავი,
პატივი სცა მამის ხსოვნას.

დოღი, ცხენების დათვალიერება

გათენდა და მზის ნათელი
მოეფინა არე-მარეს,
კოკეტეის მწვანე დროშას
ათინათი აელვარებს,

[4]ტებეტეი — ბეწვიანი ქუდი.

[5]ჩაპანი – ხალათი.

[6]ბაიგეში — ჯილდო.

კეგენის ნაპირისაკენ
მხედრიონი მიიჩქარის,
ცხენებს უნდა შემოწმება,
მალე დიდი დოღი არის.
დგანან ორმოცდაათ რიგად
მდინარის ორივე მხარეს,
ამ რაშების დანახვაზე
სახე უნათდებათ ხანებს.
რა ხმებია, რა ხორხოცი
ყარაკირის ხეობაში,
თითქოს აღაპზე კი არა,
მიდიოდნენ დღეობაში.
უნდა დოღით, ასპარეზით
გარდაცვლილი განადიდონ,
ვინც შეჯიბრში გაიმარჯვებს
არნახული ელის ჯილდო.
ვეღარ იტევს ველი პირუტყვს,
არჩეულებს საჩუქრებად,
თვალებს დაღლის მათი დათვლა,
ენას დაღლის მათი ქება.
ათასხუთასი აქლემი
ხუთჯერ მეტი ძროხა, ცხვარი,
ხუთიათას რჩეულ მერანს
დაუფარავს საძოვარი.
ოთხმოცდაათი იურტა
გაუშალეს უხუცესებს,
კუმისს ასხამენ ქალები,
პატივს სცემენ ადათ-წესებს.
ჰა, დაიწყო ასპარეზიც,
გაუშვებენ რაშებს მალე,
ყვირილმა და შეძახილმა
გააყრუა არე-მარე.
ორონგუს — ყარგაელ ასულს
მზის თვალს ეძახიაბნ ხალხში,
არვის უთმობს პირველობას
კულაბეე მისი რაში.
ერ-მანასის სიამაყე,
მას აკ-კულა მისდევს კვალში,
ერთი შეხეთ, აჩბუუდანს,
შვენის ხალი გიშრისფერი,
ჟოლოის ცხენს ტოლს არ უდებს
ბოკმურუნის მკვირცხლი ცხენი.
კოლჟეირენს შეხეთ, ერთი,
ცხენს აქებენ მურადინის,
გვერდით მისდევს კოკჩეს რაში,
სწრაფი, როგორც სხივი დილის.
ერთად მიჰქრის მოედანზე
ხან ურბიუს ორი ჰუნე,
ორივ მალი, ორივ შავი,
ორივ ქებას იმსახურებს;
ბუზმურჩაკის ტელკურონი
ყელმაღალი, ცქვიტი, მარდი,
ცდილობს უკან მოიტოვოს
ხან კოშიას ჩონსარატი.
ათასი რჩეული ცხენი
მიჰქრის, მიჭენაობს მარდად,
ასეთ ალამან-ბაიგეს[7]
კაცის თვალი სად ნახავდა?
ეშმაკია კონურბაი,
გულბოროტი, თვალად ნავსი,
მან ალგარას ნაცვლად დოღზე
სხვა გაუშვა, მისი მსგავსი.
ფიქრობს აკ-კულა დოღიდან
მოქანცული დაბრუნდება,
ერ-საიში მანასს ძლევს და
გამარჯვებაც მას ერგება.
ცხენთა რბოლა-შეჯიბრება
გაგრძელდება ერთი კვირა,
ბოკმურუნმა მოსულები
გულუხვობით გააკვირვა.
ცხენები თვალს მიეფარნენ,
თქარა-თქურის ხმა არ ისმის,
როგორც თეთრი ხილაბანდი,
მოიხვია მთებმა ნისლი.
სტუმარიც და მასპინძელიც
კმაყოფილი არის ძლიერ,
იქ, ჭალებში, მდინარესთან,
ხალიჩები დააფინეს
ისე, როგორც ითხოვს წესი,
მათ ჯანაზა აღასრულეს,
ადიდებენ დიდ სოფელში
საუკუნოდ გადასულებს.
და ლოცულობს ქრისტიანი
ბუდისტი თუ მუსულმანი,
თქვეს ხსენება კოკეტ-ხანის,
ყველამ დაიძახა: „ამინ!
წაიკითხეს ფსალმუნები
და სურები ყურანიდან,
ბრძენთა-ბრძენი კოკეტ-ხანი
სტუმრებს ლოცავს სულეთიდან.

[7]ალამან-ბაიგე — დოღი.

(გაგრძელება იქნება)

Ratiani Lali
Professor Doctor deutscher Philologie
Staatlicher Universität Sochumi

WEG DES RUHMES
Fortsetzung

Eben das ist, meine Herschaften, ein echt weiblicher Text:
"Freut mich…freut mich…freut mich…
Ich bin Mutter. Ich erziehe die Kinder und ich freue mich, darauf,,
Die Vergangenheit?...Meine Verwanmdte sind auch dort.
Das Leben?.. das ist doch ein Traum einer Nacht…"

Das ist eine wunderliche Strophe, in der eine riesige Freude mit dem riesigen Betrübnis eng verflochten ist. Frau Charaischwili Gulnasi ist doch, im eigentlichen, Meisterin solcher Vermischungen. Die frauenliche Philosophie des Lebens und Todes und umgekehrt, was durch diese Zeilen ausgesagt ist, würde niemals zu der Literatur hinzugefügt werden, wenn auch der weibliche Anfang in der Kunst nicht gewesen wäre. Adam war Krieger und Schöpfer, aber Ewa –Bewahrerin.

Wenn man die Kentnnis behält, wird man allmählich auch zu Schöpfer werden.

In den dargestellten vier Linien sind die ersten zwei Zeilen völlig weiblich. Das ist doch die ganz einfach ausgedrückte Lebensphilosophie. Das Vertrauen zum Mann, den Kindern und auch die Mütterlichkeit-all das ist die Höhstfunktion der Frau. Sie als Mutter ist doch der Lebensanfang. Mir als Mann fällt es aber leicht, darüber etwas zu sagen, aber dieses Thema werde ich bis zum Ende nie begreifen können. Sowohl das Leben als auch der Tod ist für den Mann ein Raum und deshalb ist er unbeständig, nicht stabill, Empörer, Aufständische, der oft entweder den Krieg oder den Tod hervorruft. Die Frau bevorzugt, im Gegenteil, die Stabilität. Die Frau liebt das Leben, meiner Meinung nach, mehr als der Mann .

Das ist doch sowohl die Kraft als auch die Schwäche der Frau.

Der Mann ist der Höchste, weil seine suchende Vernunft alles zu erkennen versucht Er hat sowohl das Leben als auch der Tod teilweise erkannt und einen groβen Schritt zur Hauptidee, zum Gottmenschen werden gemacnt.

Die Frau hat das Leben teilweise, vielleicht auch mehr als teilweise erkannt und geliebt, aber sie will den Tod fast ganz nicht erkennen.

Das Leben und der Tod sind auβerdem solche Brüder, die ohne einander nicht weiterexistieren können. Wenn man nicht in der Lage ist davon nur einen zu erkennen, dann wird das wahre Ekennen des Zweitens unter der Fragen gestellt werden.

Und die Frau ist gezwungen jemandem nachzuahmen. Sie ahmt dem Mann in alles nach. Die Welt des Todes entdeckt sie eben in diesem Prozeβ.

Das ist ein langer, der viele Jahrhunderte lang gedauerer Prozeβ.

Die erste zwei Linien des oben genannten Gedichtes kann man als Lebensikonne aufnehmen. Es fällt mir als ein Mann schwer, sie im ganzen zu erkennen, obwohl ich die durch diese einfache Zeilen ausgedrückte göttliche Schönheit, daβ wir unsere Kinder erziehen…und die Frau, die das Kind erzieht, sich der Madonna ähnelt, empfinden kann.

Die zwei folgende Striche sind mehr allgemein, obwohl man die ganze Strophe als weibliche Lyrik und Philosophie charakterisiert hat. Echte weibliche Natur gewinnt das Gedicht natürlich durch die erste zwei Linien. Das Todesthema tritt in den letzten Zeilen ein, aber das Leben ist mit dem kurzen Traum verglichen worden.

Schwermut hatte ihre geistlich-physische Gesundheit vernichtet, die sowohl für Einer als auch für Zweiter/die Beiden durch die gemeinsame Herzlosig-, Unseelig- und Unverantwortlichkeit der Menschen verursacht wurde. Die Beiden -als Sterne und Legenden unserer einheimischen/ inländischen Poesie wurden der unheilbaren geistlichen Krankheit zum Opfer gefallen und mit riesiger Wehmut, Traurugkeit zugrunde gerichtet, begraben, beerdigt.

Im Gedicht von Barathaschwili"Merani"geht soviel Kraft hinein, wie die Poemen der groβen ausländischen Poeten (wie z. B. die Poemen von den genialen Menschen-"Manfred", Pharis")fassen.

Der Dichter und der Tod können sich von einander nicht trennen/entfernen und wenn man das Gedicht von Barataschwili "Böse Seele"liest, ahnt man, daβ der Autor dieses Gedichtes vom Schiksal gezeichnet, vorbestimmt ist und er sich nicht retten kann/er sich in Sicherheit nicht bringen kann.

Graneli erkannte aber direkt, daβ sein Leben "Momento Mori" oder –denke an den Tod, sei.

Todes- und Lebensthematen gehören natürlich auch zu den Reihen der unsterblichen Themen.

Viele haben sich an diese Frage gedacht. In den Erinnerungen haben die Gesichter der Mitglieder meiner ersten wichtigsten schöpferischen Gruppen-Ninua Rati und Arabuli Goga geschimmert, geflimmert, sprühend gefunkelt, aufgeleuchtet.

Die Beiden hatten einen wundervollen /staunenswerten Blick: der Einer einen dunkelschwarzen, nachdenklichen und der Zweite aber solch einen erstaunlich grünen, träumerischen Blick, als wäre darin Smaragd der Bergen geraten.

Und Ob! Was für /Welch gute Dichter !

Weder Rati und noch Goga sind nicht mehr am Leben. Keiner hat kaum bis zum dreiβig Jahren erreicht!

"Sindbad ist ein Seemenn"-das ist Ratis bestes Buch.Diese poetische Arbeit hat einen ausländischen, aber eine georgische Seele. Zu seinen besten Gedichten werden vielleicht "Nizsches Monolog"

und sein letztes Gedicht-"Das Ende "zugezählt werden.(Dieses lyrisches Geschöpf ist von mir betitelt worden, das über den Tod des Helden erzählt.)

Gogas bestes Buch ist "**Der Sonnensitz des Totengrames**", aber seine beste Gedichte sind vielleicht "Es ist Licht"und sein letztes Gedicht-"Die Asche des Lichtes", das auch von mir betitelt ist.

Ich lieβ sie in meiner zweiten Gruppe –"Zgwari"durch Mitschitaschwili Gia und Amiranaschwili Luka ersetzen. Diese Veränderung war nicht gleichwertig. Diese Beiden waren mehr Musiker als Dichter. Von ersten Gemeinschaft sind wir, im Gegenteil, hauptsächlich alle vier erhaltengeblieben, die mehr Lebenserfahrung hatten. Also, es sind nur Fünfte und Sechste Mitglieder der Gruppe geändert.

Es geschah am Ende des neunzigen Jahren.

Rati und Goga hatten zu jener Zeit das Interesse für das Leben verloren, deshalb versuchten sie den Reigen /Reigentanz in unserer gemeinsamen Schöpfnung nicht zu führen.

Ihre Vernunft hatte schon verhängnisvoll/fatal mit der riesigen Frage des Kampfes auf Leben und Tod begonnen.

Die Gründe?

Sie dachten vielleicht auf jeden Fall, daβ es viel, soviel man wollte Todesgründe, aber wenige Gründe zum Leben gäbe.

Einst hatten wir uns Kacha und ich mit der Frau Gulnasi / sie ist eine von unseren Lehrerinnen/über den Selbstmord unterhielten. Āhnliche Unterhaltungen hatten wir zu verschiedenen Zeiten mit Frau Guralia

Nunuka, mit Herr Alchasischwili Givi und auch mit den anderen geführt. Wir lieben sehr mit respektvollen, volljährigen. greisen Menschen philosophische und halbphylosophische Gespräche zu führen, falls sie besseres Verständnis von der Lebenswirklichkeit gehabt hätten.

Über den Selbsmord wurde Gulnazi lange nachdenklich/vertiefte sie sich lange in Gedanken, alsob Sie hatte darauf solch eine Antwort gegeben:"Wissen sie was, meine Kinder, das Leben ist das Wichtigste, ungeachtet dessen, ob man ein schweres Leben hat. Wir sollen einfach weiterleben, damit wir unsere Lebensziele bis zum Ende führen könnten". Eine Weile blieb sie stehen und dann fügte sie hinzu:"eines soll ich ihnen sagen, es ist zu bemerken, ich habe bis dahin nie davon gehört, daβ der Dumme sein Leben mit Selbstmord beendet habe. Selbstmord begehen eben, zu meinem Wunder, immer die ausgewählten Menschen. Der Tod solcher Menschen ist eben eine groβe Tragödie, ein groβes Unglück."

Da sie ein gläubiger Mensch ist, ist der Selbstmord ebendeshalb für sie völlig unannehmbar/ unzulässig. Als Frau, Persönlichkeit und Gläubiger steht sie damit in Widerspruch, stemmt sich dagegen. Diese groβartige Frau bemüht sich Lebenslehrerin zu sein. Ihr Wunsch ist weiβe Farbe zu bevorzugen, ebenso wie Emili/Emilia/Dikinson, oder Galaktioni ("Ich lege meinen weiβen Schmuck an –aus Galas Gedicht) es machten.

Weder Emilia noch Galaktion haben ihr Leben gut nicht vollendet. Die Wege von Beiden sind zerbrochen.

Die Wunschträume von Barataschwili, als Verehrer der weiβen-blauen-dunkelblauen Farben, sind zerbrochen.

Zertrümmert ist auch der Lebenstempel von Graneli, der auch dieselbe Farben beforzugte…

Es ist bedauerlich, daβ das Leben auch für Frau Gulnasi wegen der Todesfälle ihrer Brüder (Bejan und Lewan Charaischwili), ihres Mannes (Shirtladse Wachtang und ihres Sohnes(Shirtladse Gela) anstelle der hellen Farben die dunkle Kleidung bestimmt hatte. Beinahe hätte sie sich wegen solcher Trauer/ solches Kummers zu Tode gegrämt… Beinahe wäre sie ebendeswegen gestorben. Ihr Schiksal hatte dieser groβen gesellschaftlichen Tätigerin und Dichterin das Schwerste Glück bereitet.

Die Stärke ihrer eigenen Personlichkeit und der Religion lieβ sie auf die Beine bringen.

Trozdem hatte sie die Akademie und die Zeitschrift geschaffen, ringsherum viele begabte Vertreter verschiedener Generationen gesammelt

Sie hatte doch ungeachtet dessen zahlreiche groβartige Veranstaltungen organisiert, durchgeführt.

Gulnasi Charaischwili hatte mit ihrem Leben behauptet, daβ es keinen Tod gäbe, die Lebenslinie der Menschen sei doch ein Weg, von seiner Geburt bis zu seine Lebenspitze.

Dann beginnt alles von Anfang an.

Das Leben und der Tod- das sind aber Bedingtheit, Relativität.

Das Wichtigste ist der Weg, auch der Krieg und die Spitze.

Du sollstl doch dich selbst beweisen, daβ du stark bist. Es wäre gut, wenn du das Gleiche auch den Anderen hättest behaupten können.

Du sollst dich weder rühmen und noch überheblich werden, du sollst dir kein Bildnis machen in irgendeiner Gestalt. Wenn es Āhnliches doch vorkommen wird, würdest du die Anderen nicht bemerken und auch ihre positiven Seiten nicht sehen..

Gulnasis persönliche Gröβe zeigt sich auch darin, daβ ihr keiner zuvorkommen kann, die positiven Seiten der Anderen zu entdecken. Viele Menschen und darunter der Dichter Akimischwili Waja sind für die LIteratur eben persönlich von Frau Gulnazi Charaischwili entdeckt worden.

Das Buch, der Mischroman über Gulnasis Leben, ihren gesellschaftlichen und literarischen Verdienst setzt sich weiter.

Jetzt versuche ich sie als Redaktorin vorzustellen.

Es ist in der Wrklichkeit zu kompliziert, echte Redaktorin zu sein.Man kann es ungefähr mit solcher Situation vergleichen, wenn eine Groβmeister-Schachspielerin die Simultanspiele gegen viele Mitbewerber durführt/vorführt. In diesem Fall haben wir mit vielen Menschen zu tun. Eben du sollst selbst mit allen die Verhältnisse herstellen. Im Vergleich zum Schachspieler bist/ gerätst du auch in der schwersten Lage: Wir

sollen aber über diese Menschen nicht siegen, die ringsum stehen/ sind, sondern, im Gegenteil, sie unter einer Idee aufstellen, zusammenschlieβen, um einen gemeinsamen Sieg zu erreichen./zu erzielen/

Es gibt aber verschiedene Menschen.

Als Redakteur sollst du alle nach seiner Art behandeln, damit du keinen/niemanden kränkst, damit niemand die Hoffnung aufgibt und auf Arbeit an der Wissenschaft und Literatur nicht verzichtet.

Wenn du einen groβen Wunsch hast, eine starke Redaktion zu haben, um eine würdige Zeitschnrift auszugeben, sollst du im Gegenteil, das schöpferische Feuer dieser Menschen anstecken, anmachen, alle zu einer Mannschaft aufstellen!

Diese unertägliche Beschäftigung ist im Vergleich zu Präsidetenschaft/Präsidentenwürde der Akademie nicht weniger kompliziert.

Noch komplizierter ist diese beiden gröβten Arbeiten zu vereinen, im Nebenberuf zu arbeiten. Es ist dieser Nachricht ähnlich, die ich in meinem Poem mit meinem Freund zusammen geschrieben habe, wo ich die Menschen mit dem ganzen Ozean konkurieren lieβ.

Jawohl, es ist eben so…

An einem schönen Tag hat Frau Gulnasi Kacha wegen des Problems per Handy/Mobiltelephon angerufen und gesagt, er solle mit Sergi zusammen in die Redaktion der Akademie gehen.Sie wollte dieses Problem einfach ohne sie nicht lösen/ beseitigen.

Wir stiegen ins Auto schnell ein und begaben uns zu einem Gebäude, das in der Nähe von Akakis Denkmal stand.

Wir betreten die Akademie. Frau Gulnasi nahm uns gewöhnlicherweise warm, lustig und energievoll auf, aber sie schien doch in Gedanken vertieft zu sein, um eines der Probleme zu bekämfen.

Es erwies sich, daβ in der Redektion ein weiter Artikel von Frau Osiaschwili-Melikidse eintratt, der

die Behandlung einer der Ausgaben unserer Zeitschrift ("Athinathi"), im Allgemeinen der Zeitschrift und besonders der Pesönlichkeit und der Tätigkeit ihrer Redakteuerin enthielt.

Die um die Zeitung "Athinathi"versammelten Menschen(Chethereli Ziuri, Dangadse Manana, Djatchwadse Thamari, Sordia Luara und viele Anderen), machten sich mit diesem Artikel bekannt. Ihre Standpunkte waren nicht eindeutig. Diese Arbeit rief eine scharfe Polemik/Disskussion hervor

Man konnte die Frage ihrer Ausgabe nicht beschlossen.

Als Hauptperson der Akademie und der Radaktion ist Frau Gulnasi Charaischwili in der Lage, Entschlüsse persönlich zu fassen. Sie will diesen Artikel ausgeben, weil sie weiβ, daβ ihre Autorin daran viel, mehr als ein Monat gearbeitet und ihm ihr Herz und Seele gegeben hatte.

Andererseits haben die einigen Menschen die Qualität dieses Artikels unter die Frage gestellt.

Unter ihnen waren auch die Jenigen, die unter die Frage auch die Qualität der ganzen Zeitung stellte

Und ob!. Dieser skandalöser Artikel verursachte viel Ārgernis, er hat alle in eine peinliche Lage gebracht…

Frau Gulnasi könnte, jawohl, diese Frage ganz einfach allein beschliessen, aber sie hatte es als erfahrene "Politikerin"nicht zugelassen, nicht gemacht, vielleicht deswegen, daβ im Artikel zahlreiche Lobessagungen persönlich über Gulnasi geschrieben war. Daran könnten die Anderen vermutlich denken, daβ sie diesen Artikel wegen ihrer Lobessagungen gedrückt hatte.

Schachzug des Redakteurs ist: Die jungen und erfolgreichen Dichter sollen das Schiksal des Artikls selbst lösen. (Ungeachtet dessen, daβ hinter uns nicht weniger als zwanzig Jahre des literarischen Professionallismus/ der Beruflichkeit zurückliegen,.hält Gulnasi uns als Jungen, Es ist nicht zu staunen, weil im Vergleich zu ihrer kolossalen Lebenserfahrung, ist unser Lebensweg noch farblos)

Ich kenne viele Menschen, die Frau Gulnasi und im Allgemeinen unsere Akademie, die von unserer Redaktion ausgegebene Zeitschrift –"Athinathi" loben. Nicht nur die ganze Gruppe der erfahrenen Autoren, sondern auch die Vertreter der jungen Generation als "Athinathelebi" geben hier ihre Arbeiten aus. Wichtig ist die Formierung dieser jungen Generation. Das ist eine Vereinigung solcher Kinder und Erwachsenen, die im früheren Alter ihr eigenes Herz und ihre Vernunft im Allgemeinen mit georgischer Kunst und Kultur verbunden haben. Das ist die gesunde Generation, die allmählich die Zukunft des alltäglichen Lebens /der

Lebensweise unserer Nation herüberlockert.Die Zeitschrift “Athinathi” und ihr ähnliche Ausgaben-Organisationen sind **Schmiede** der zukunftigen georgischen Seeligkeit und der nationalen Seele.

Wenn man versucht unsere Zeitschrift oder unsere Anthologie scharf zu kritisieren, bringt man mich damit, ehrlich gesagt, zum Lachen, weil ich mich mit anderen Zeitschriften und Anthologien sehr gut bekannt gemacht bin.

Die Redakteuren unternehmen aus aller Krfäte alles, um die Zeitingen und Zeitschriften auszugeben, damit möglicherweise das literarische und wissenschaftliche Leben nicht unterbricht.

Die Existenz/ das Dasein der Redakteurn ist unertäglich, weil sie sich jedesmal abwehren und den unerhörten Problemen entgegenstellen sollen, damit die von den Autoren erarbeitete Werke irgendwie an den Lesern anlangen/ zu den Lesern gelangen.

Die Leser machen sich auf diese Weise mit den Zeitungen und Zeitschriften bekannt.

Es sind die schwersten Bedingungen meiner Meinung nach

In solcher, undenkbaren Situation, in solchen höhlischen Labyrinthen ist es fast unvollsellbar qualitative literarische Zeitschriften oder Zeitungen zu schaffen.

Es ist leicht zu kritisieren..

Versuchen Sie mal das Beste zu schaffen.

Heut zu Tage gibt es für mich weder idielle georgische, literarische oder literarisch-wissenschaftliche Zeitungen noch idielle Anthologien.

Alle Zeitschriften und Zeitungen oder Anthologien haben ihre Werte, ihre spitze, scharfe Werte.

Zahlreiche Unternehmen sind geschlossen, ohne einige Nummer auszugeben.

Bald wird aber die siebente Nummer der Zeitschrift “Athinathi” ausgegeben werden. Jede Nummer enthielt doch solche zwei oder drei Muster, die man es für die Errungenschaft unserer Kultur anerkennen soll.

Das ist schon ein groβer Sieg!.

Für einen groβen Sieg halte ich auch die von Gulnasi geschaffene Anthologie

Unser Staat ist noch schwach, zu schwach.Wir haben die schwersten zwanzig Jahre nach der Zurückeroberung der Selbstständigkeit durtchgenommen, erlebt: Anfangs gab es ein feuerigen, feuerspeienden Weg, der Weg vom Hinausschicken, Vertreiben, Zurückkehren, Tod unserer ersten Präsidenten Gamsachurdia Swiad bis zur Rosenrevolution”- Dann tauchten aber neue Probleme auf und entsprechend begannen neue Bewegungen, die zum Schluβ bis zur “Blaue Revolution”geführt sind.

Nachdem diese Regierung an der Spitze steht, wurde einen anderen Grund zur Staatlichkeit gelegt und es entstand die Hoffnung.

Alles steht uns noch bevor. Ein kleines und schwaches Land soll sich auf eigene Füβe stellen.

Könnte sein, daβ wir unsere frühere Prunkvollheit/Glänzvollheit wieder zurückbekommen.

Eine neue Zeit brach ein. Jetzt, neuerdings ist es ganz kompliziert und es verlangt viel Arbeit und Mühe , um die einzelne schöne Sachen/ Angelegenheiten bis zum Ende zu führen.Dazu ist es nötig, einen riesigen/titanischen Wille zu haben. Frau Gulnasi schafft Bücher, Zeitschriften und Anthologien dank ihres Willens und ihrer Arbeitsamkeit. Man braucht jetzt einander nicht zu kritisieren, sondern einander ermuntern, Schulter an Schulten zu stehen und behilflich zu sein. Eben das ist die Pflicht von uns Einzellnen auch und das machen wir möglicherweise.

Sie kümmert sich jedesmal um uns.

Wir versuchen auch Frau Gulnasi bei der Verwirklichung ihrer besonderen Mission möglicherweise zu unterstützen und ihr dabeie zu helfen.

In meinem Leben habe ich mich mit vielen Radakteuren getroffen. Die beste Persnlichkeit unter ihnen , ehrlich gesagt, ist eben Frau Gulnasi.

Was es aber Frau Osiaschwili Liana angeht, hat mir sehr ein edler, hochherziger, groβmütiger Charakter der Arbeit und dieser Autorin gefallen. Die Hauptwürde des Briefes waren die poetische Gesichter und auch recht gesehene Persönlichkeit der Redakteurin.Diese Faktoren waren für mich schon ganz genug, sie bei der Veröffentlichung dieser Materiallien zu unterstützen. (An diesen Tagen hat mir auch die Stoffe von vielen Autoren gefallen).

Frau Liana hat auch über mich persönlich in einigen Episoden geschrieben. Ich habe mich über ihre Arbeit und auch diese Episoden sehr gefreut. Ich soll gestehen, es gefällt mir sehr, wenn man mich lobt.(Im Gegenteil, gefällt mich auch sehr, wenn ich auch die Anderen lobe).

Kurz, ich habe gesagt, Lianas Artikel soll veröffentlicht werden.

Jetzt kommt Kacha an die Reihe.

In ihrem Artikel hat die Autorin nach der Behandlung und Einschätzung der Persönlichkeit,Verdienste, Tätigkeit von Gulnasi hatte sie nach meiner Meinung, Kachas Schaffen mehr Platz geräumt, wo zahlreiche Autoren unserer Zeitschrift auch erwähnt waren. Darüber habe ich mich nicht gewundert, weil man am meisten an diesen Tagen in der Akademie über Kachas Poesie, seinen Auftritt sprachen.

Osiaschwili Liana hatte zwischen den Tätigkeiten von Barataschwili und Kacha solche Parallelle gezogen, daβ die Eigenen das, direkt gesagt, vermutlich nicht richtig verstehen und meinen Freund an dem geistigen Diebstahl/ am Plagiat beschuldigen könnten.

Dieser Artikel gefiel Kacha ungeachtet alles und bestand auf seinen Druck und seine Ausgabe, Veröffentlichung. Was es aber diese Episode anbetrifft, wo über ihn gesprochen wurde, hat er ihr damit in einigen Fällen nicht zugestimmt. Da er Barathaschwili für ersten Besten Lyriker hält, ist es für ihn eine groβe Ehre, ihn neben Barathaschwili zu erwähnen.

Die Wahrheit besteht darin, daβ Bazikadse Kacha ebenso ein sehr eigenartiger Künstler ist, wie jeder Mietglieder der Gruppe "Zgwari". Er hat aber auch sowohl die Weltkultur, als auch vor allem

die Errungenschaften der georgischen Kultur tief erlernt. Zu solchen Leistungen gehören auch eben die Tätigkeit von Rustaveli, Barathaschwili, Glaktioni, Graneli. Deshalb ist es nicht zu erstaunen, wenn man Parallelle zwischen den Schreiben dieser genialen Menschen und dem Scchreiben von Bazukadse Kacha, der ein selbstständiger und einer der ausgewählten, moderner Dichter ist, zieht, oder einen Vergleich zwischen ihnen anstellt. Man soll mich nicht so verstehen, alsob ich ein bestimmter Vergleich mache. Nein, Ich habe nur damit meine Meinung über eine Frage des Artikels

gesagt/mich geäuβert/

Das Geschick dieses Artikels ist positiv entschieden worden.

Das ist ein klares Beispiel aus dem Gulnasis Leben als Redakteurin, das verallgemeinert werden kann: Durch dieses Beispiel wird es auch ein gemeinsamer Grund, die gemeinsame Utermalung ganz klarer/ offener. Wie ich es einst erwähnt habe, ist Gulnasis Regierung als Chefredakteurin nicht diktatorisch, sondern demokratisch- mitarbeiterisch. Um unverbesserliche Fehler zu vermeiden, führt sie.bei der Lösung jeder aktuellen, brennenden Tagesfragen eigenartige Beratungen.

Die Standpunkte von den Anderen hört sie aufmerksam und eifrig zu und analysiert sie immer grudsätzlich und tief.

Auf diese Weise werden Gulnasis Entscheidungen formiert werden, die praktisch jedesmal fehlerlos sind.Sie ist stätts in der Lage in den verwickelten, verwirrten –Problemen-Labyrinthen eine goldene Mitte/ herauszusuchen.

Eines der Geheimnisse ihres Phänomens ist die harmonische Verschmelzung der Einfachheit mit der Komplizität, worüber ich schon gesprochen habe und die sich gut sowohl in der Persönlichkeit von Gulnasi, als auch in ihrer Tätigkeit zeigt.

Gucken Sie mal auf den Muster der weiblichen /frauenlichen Lyrick, die ganz einfac,h schlicht und neiv ist:

„Ich will trübes Wasser nicht trinken,
Und auch meine Durst mit dem fremden Quellwasser stillen...
Ich bin eine gute, ehrliche, wahrheitsliebende Frau
Warum hast du doch einen Winsch mich zu verraten?"

Es sind ganz einfache Zeilen, nichts Besonderes aber doch....

Diese Strophe hat doch geheimnissvolle, unverständliche, entzückende und bezaubernde Kraft, **Charme**. Lange habe ich daran gedacht, was mir konkreterweise an diesen Strophen gefiel;

Ich fragte mich selbst oft auf welche Weise mich dieser einfacher Versatz bezaubert hat?-Diese Frage blieb seit langer Zeit ohne Antwort.

Dann vertiefte ich mich in die Wahrheit.

Ich habe doch den Schlüssel für diese Strophe gefunden.

Ich habe diesen kleinen Strophen-Rätsel entziffert.

Es geht darum, daβ sich in diesen Zeilen die Persönlichkeit eines einfachen, groβartigen, groβzügigen Menschen gut zeigt.

Was mich und nicht nur mich im Allgemeinen fesselt, berückt ist eben diese durch die Dichtung wiedergegebene Person oder selbst die Persönlichkeit.

Jetzt stelle ich ihnen noch eine Strophe aus der Tätigkeit der groβen Künstlerin der kleinen Verssätzen vor:

„ Ich blicke auf die Sterne im Himmelsreich,
Die als rote Pilze entstandenn sind, .
Mit Hoffnung auf den Traum .
Est scheint mir, daβ
Einer davon stärker läuchtet.
Seine Wärme begleitet mich
Überall wohin ich gehe.“

Das Gedicht ist folgenderweise betitelt:“Zis Sauphleschi“ (Im Himmelsreich). Die Form /die Gestalt der Gedichtssprache erreicht solch eine Niveau, daβ man dazu in der Tat das Wort „Das Meisterwerk“ verwenden kann.

Ich habe gehört, daβ es einige Gedichte mit ähnlichen Inhalt gibt, Dieses Gedicht unterscheidet sich aber von allen besonders. Ich weiβ nicht genau, ob es unter den Gleichen einen Vorrang hat. Es ist wahrhaftig, daβ es wie die Königen über alle leuchtenden Sternen am Himmel herrscht.

Das Himmelsreich ist im Allgemeinen solch eine Welt, wohin sich jedesmal die Dichtersseele strebte und strib

Was schreibt in einem von seinen Gedichten Graneli Terenti, ein legendarer Mensch, den ich vielmals erwähnt habe :

„ Ich wende mich an die ganze Welt mit folgenden Worten:
Ich will fliegen.
Wie Gott, will ich überall sein.

პროზა

რევაზ მიშველაძე

წამება

რომანი

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №28-ში)

***

ქართლის მეფის სიმონ პირველის ელჩი და იმერეთის ახალგაზრდა მეფე როსტომი ვარციხის სასახლის აივანზე ისხდნენ.

გაზაფხული იწურებოდა.

ჭალაში ჩიტთა არეულდარეული ჭახჭახი ისმოდა.

დროდადრო ჯაგნარიდან ორი კურდღელი გამოხტებოდა, ჯერ დაბორკილებივით მიახტებოდნენ ერთმანეთს, უკანა ფეხებზე დამჯდარნი, ტუჩებს ტუჩებზე მიადებდნენ, მიიხედმოიხედავდნენ და ისევ მწვანედ აფეთქებულ კვადაცებში შევარდებოდნენ.

– ან შენ ვერ მეუბნები ზუსტად, რა დაგაბარა სიმონ მეფემ, ან რაღაც უბედურობაა ჩემს თავს. იმერეთის სამეფო ქართლის სამეფოს შემოუერთდესო, ხომ?

– დიახ, მეფეო, ასე დამაბარა.

– არი მერე ეგ ჭკუასთან ახლოს?

– რა მოგახსენოთ.

– აგერ ხარ შენ და ავწონდავწონოთ. ბაგრატიონი ბრძანდება თვითონაც და ბაგრატიონი ვარ მეც. ცალკე სამეფოა იმერეთიც და ცალკე სამეფოა ქართლიც, ხომ მართალია?

– ჭეშმარიტებაა, მეფეო.

– ჰოდა, თუ ჭეშმარიტებაა, რაღა მე შევუერთდე, ვეჟო, აწი, თვითონ შემომიერთდეს. ასე რავა შეიძლება. რას ჰქვია, იმერეთი ქართლს „შემოუერთდესო“.

ეს ბოლო სიტყვა როსტომ მეფემ წყრომით, ხაზგასმით წარმოთქვა.

– მოგეხსენებათ, მეფეო, სიმონ მეფე დიდი ხანია ცდილობს საქართველოს გამთლიანებას. ამ მიზნით შეირთო მან კახთა მეფის ლევანის ასული ნესტანდარეჯანი, ხოლო ახლახან თავისი ქალიშვილი ელენე სამცხის ათაბაგს, მანუჩარს მიათხოვა. ამით, რა ჩემი ახსნა გინდათ, ქართლის კავშირი განმტკიცდა კახეთთანაც და მესხეთჯავახეთთანაც. თუ იმერეთიც შემოგვიერთდებაო, სიმონ მეფე ბრძანებს, უფრო დიდი ძალა გვექნება და უფრო ადვილად დავამარცხებთ მტრებსო.

– რაც ზევით ბრძანე, სრული სიმართლეა, მაგრამ რომელ მტრებს დავამარცხებთო, რა ბრძანა?

– რა კითხვა უნდა, ოსმალებს, მეფეო.

– მეც მანდა ვარ, ოსმალები არც ისე დიდი ხანია იმერეთიდან ქართლში გადავიდნენ და, იქ დამარცხებულნი, უკან დაბრუნებისას ჩვენ მოგვრეჯგვავენ, როგორც სათაგურის ფიცარქვეშ მოყოლილ წრუწუნას. სიმონ მეფემ კარგად იცის, რომ ქართლკახეთს და იმერეთს სხვადასხვა მტერი ჰყავს: იმერეთს – ოსმალეთი, ქართლკახეთს – სპარსეთი.

– სიმონ მეფე ბრძანებს, იმერეთსაც და ქართლკახეთსაც საერთო მტრები გვყავსო. ამათ ორივეს ჩვენი მოსპობა სურთო. თუ ხანდახან რომელიმე მხარეს დაუყვავებენ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ერთმანეთს დაგვატაკონ, ერთმანეთი დაგვაჭმევინონ და ამით თვით იხეირონო.

– ეგ ბევრჯერ მომისმენია. მე არც ისე პატარა ვარ, როგორც სიმონ მეფეს ჰგონია. ხომ შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ქართლის მტრებს მთელი ღონე მივახარჯო და მერე ჩემი ხალხის დასაცავად ძალა აღარ დამრჩეს?

– იქეთაც და აქეთაც ქართველები არიანო, სიმონ მეფე ბრძანებს, ორივე მხარის დაცვა ჩვენი ვალიაო.

– იმერეთის „შემოსაერთებლად“ ახლა მესამეჯერ მოიწევს სიმონ მეფე, ორჯერ, არ დავმალავ, უკვე გვძლია და იმერეთი ქართლის ნაწილად გამოაცხადა, მაგრამ ჩვენი დამორჩილება, როგორც ჩანს, არც ისე იოლი აღმოჩნდა. რა უნდა, რატომ აიხირა იმერეთი?

– სიმონ პირველს იმერეთის დაჩოქება კი არა, როგორც მოგახსენეთ, საქართველოს ერთ მუშტად შეკვრა უნდა, მეფეო. შეიძლება, მე სწორად ვერ ვთქვი, ერთმანეთს შევუერთდეთო, საქართველოს შევუერთდეთო, საქრისტიანო გავაძლიეროთო, სიმონ მეფე ბრძანებს.

– რომელი საქრისტიანო? ხომ არ გავიწყდება, რომ მთავართა უმეტესობა კარგახანია გამუსლიმანდა.

– მოკრძალებით შეგახსენებთ, მეფეო, რომ სიმონ პირველი ათი წელი ჰყავდა ირანის შაჰს ალამუთის ციხეში გამომწყვდეული, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია, სიმონის ძმის დაუთხანისგან განსხვავებით, სიმონმა ათწლიან კირთებას გაუძლო და ჭეშმარიტ სარწმუნოებას არ უღალატა.

– ეგ ვიცი, გარეგნულად ასე ჩანს, მაგრამ იქნებ ბოლოს მაინც დაუზავდა სიმონ მეფე შაჰს და იქნებ საგანგებო დავალებით გამოიგზავნა საქართველოში.

– ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ, მეფეო? ათასჯერ პატიებას გთხოვთ, კითხვის შემობრუნებისთვის.

– რა და ყველასაგან მოულოდნელად რომ გათავისუფლდა ათწლოვანი პატიმარი და თან ქართლის მეფის ხალათიც ებოძა.

– მე ვინ მკითხავს მეფეთა განსჯას, როსტომ ბატონო, მაგრამ განა ხანდაზმული სიმონ მეფის მრავალწლიანი ბრძოლა ერთნაირად არაა მიმართული როგორც ოსმალეთის, ისე სპარსეთისკენ?

ვარციხის აივანზე სიჩუმე ჩამოწვა.

ლაქაშებიდან მარტოხელა წერო აფრინდა და იქვე, სულ რაღაც ასიოდე მეტრში, ჩაეშვა.

სტუმარმასპინძელი თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს.

– რა პასუხი ვამცნო, რას დამაბარებთ, მეფეო?

– როდის უნდა გაემგზავრო?

– იქნებ დღესვე გავბრუნდე. სიმონ მეფე თქვენს პასუხს მოუთმენლად ელოდება. მოგეხსენება, გრძელი გზა მიდევს, მთვარის ამოსვლამდე იქნებ უღელტეხილი გადავიარო.

– დღესვე პასუხის გაცემა გამიჭირდება, მარტო ხომ არ ვარ, სხვა არა იყოს რა, მანუჩარ დადიანს ხომ უნდა მოვეთათბირო. ამაღამ აქ მოისვენე და ხვალ გაუდექი გზას.

მეფე წამოდგა.

მეორე დილით, ცისკრის ლოცვის დამთავრებისთანავე, ელჩს სახლთუხუცესმა სიმონ მეფისთვის გადასაცემად ტყავის ბუდეში ჩადებული ფირმანი უბოძა და გზა მშვიდობისა უსურვა.

შროშას რომ გამოცდა, ელჩს გულმა არ მოუთმინა და გრაგნილი ამოიღო.

აი, რა ეწერა როსტომ მეფის წერილში:

„მეფეო,

ჩვენი საერთო ბაგრატოვნება თქვენდამი თანალმობას და თქვენი ჭარმაგი ასაკი – მოკრძალებას მავალებს, მაგრამ ამჯერად უნდა გაგაწბილოთ.

ჭეშმარიტებაა თქვენი ბრძანება შესახებ იმისა, რომ ორივე მხარეს საქრისტიანო საქართველოა და ერთმანეთის მიმართ ქრისტესმიერი სიყვარული გვმართებს.

დიაღაც, თანახმა ვიქნებოდით, ქართლთან გაერთიანების და საერთო დროშის ქვეშ ბრძოლისა, მაგრამ, მოგეხსენებათ, წყეული დრო და ვითარება ამჯერად ამის საშუალებას არ გვაძლევს:

ბაგრატის ციხეში გამაგრებული, იმერეთის სისხლისმწოველი ოსმალეთი ჩვენთვის შეჩვეული ჭირი არასოდეს იქნება და არ იფიქროთ, რომ ოდესმე მტრებს დავუზავდეთ, მაგრამ თქვენი მეფობის ქვეშ მოქცევის შემთხვევაში, იმერეთის ჭირი გაორმაგდება. თქვენ თქვენს უკან შეფარულად თუ აშკარად მდგომი ირანი შემოგყვებათ და ვაითუ, იმერეთგურიასამეგრელო ამჯერად ორი მოქიშპე ლომის შერკინების არენად გადაიქცეს.

ისე როგორც თქვენ, საქართველოს დავითის დროშის ქვეშ გაერთიანების სურვილს ჩვენც ფარულად გულით ვატარებთ, მაგრამ ერთიანი სახელმწიფოსთვის იქნებ სჯობდეს, უკეთეს ამინდს დაველოდოთ.

ხოლო, თუ თქვენსას არ დაიშლით, ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ უნდა გაუწყოთ, რომ ჩვენს შორის სამართლიან თუ უსამართლო დავას ხმალი გადაწყვეტს.

ჩვენ, იმერლებს, ათასი წელი არ მოგვსვლია აზრად, ქართლის დასაპყრობად წამოვსულიყავით და ამას არც ახლა ვიქმთ, თქვენ კი, ჯაბანლაჩრობა რომ არ შეგვწამოთ, გელოდებით ამ ბარათის მიღებიდან სამი დღის შემდეგ ქუთაისთან ახლოს, რიონის განაპირას, ოფშკვითის ველზე“.

ელჩმა ბარათი დაახვია, ტყავის ლუსკუმაში ჩადო და უბეში შეინახა.

* * *

სიმონ პირველი მთვარის შუქზე დიდხანს, უჩვეულოდ დიდხანს კითხულობდა იმერეთის მეფის როსტომის წერილს.

...და ოფშკვითის ომი არ შედგა.

ეს მოხდა ათას ხუთას ოთხმოცდაათ წელს.

თუმცა, სულ რაღაც ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, 1626 წლის შემოდგომაზე ქართველები ბაზალეთის ტბასთან მაინც შეებნენ ერთმანეთს.

ამჯერად უკვე სამკვდროსასიცოცხლოდ.

ბატონო სტუდენტებო

ძლიერთა ამა ქვეყნისათა ყოვლისწამლეკავ ვნებებაზე ისტორიის გაკვეთილები ვერ მოქმედებს.

საითაც გაიხედავთ, დანგრეულ ციხეთა ქონგურებს დაინახავთ.

დგანან ვალმოხდილი ციხენი ჩვენი გმირული წარსულის ძეგლებად.

სწორედ რომ მათი წყალობითაც მოვედით დღემდე.

მაგრამ, თუ იცით მაგალითი იმისა, რომ ქართულ ციხეს ქართველივე ანგრევდა და ამ „უცნაურ“ ნაბიჯს, რა გასაკვირიც უნდა იყოს თქვენთვის, გამართლება ჰქონდა.

მაშ, ყური დამიგდეთ:

* * *

1769 წლის 29 ივლისს ტოტლებენი, ერეკლე მეორის თხოვნით, იმერეთისკენ გამოეშურა, რათა სოლომონ პირველს თურქების გარეკვაში დახმარებოდა.

სიცხის გამო გენერალი იძულებული იყო ჯარი ხშირხშირად შეესვენებინა.

„ოტბოის“ დაძახებისთანავე ჯერ ცხენები ჩამწკრივდებოდნენ მტკვრის პირას ფრუტუნით და ენით ლაგამის ჩხრიალით. ცხენებს რომ დაარწყულებდნენ, მერე რუსის სალდათები შეესეოდნენ მიტოვებულ სოფლებს და ცაში ფრინველი, ხოლო მიწაზე შემწიფებული თავთავი თუ პანტაჭერამი არ გადაურჩებოდათ.

სურამის უღელტეხილს რომ აუყვნენ, ცოტა აგრილდა, მხედრიონმა სული მოითქვა და შორაპნამდე ვიწროები სულ „ბოჟე ცარია ხრანის“ სიმღერით ჩაიარეს.

ტოტლებენმა იცოდა, რომ შორაპანთან მაშველ რუსს თვით სოლომონ პირველი უნდა დახვედროდა.

თუმცა ჩემმა ფხიზელმა მკითხველმა აქ მწერლურ გამომგონებლობაში რომ არ დამადანაშაულოს, მოვუსმინოთ ტოტლებენის ფრანგ ადიუტანტს – შარლ დე გრაი დე ფუას:

„1769 წელი. იმერეთის მეფე სოლომონ პირველთან მიმავალი გენერალი ტოტლებენი და მისი თანმხლები პირები ქართლიდან იმერეთში გადავედით. 60 ვერსი ისე განვვლეთ, რომ კაცი არ შეგვხვედრია. რამდენიმე ნასოფლარი ადასტურებდა მხოლოდ, რომ ეს ქვეყანა დასახლებული ყოფილა... ბოლოს, მას შემდეგ, რაც მეტად ვიწრო გზებით გავიარეთ 200 ვერსამდე, შემოგვხვდა მეფე სოლომონი, რომელიც ჩვენს შესაგებებლად მოდიოდა. ამ მეფის ღატაკურმა იერმა, მისმა სამოსმა, თანმხლებმა ამალამ მის შესახებ შეგვიქმნა იმის შესაბამისი შეხედულება, რაც ერეკლემ უკვე წარმოგვისახა.

სოლომონს არც ერთი ქალაქი არ გააჩნდა.

დაახლოებით 150 კაცით, ტყეში ლტოლვილი, იგი 15 დღეზე ხანგრძლივად ერთსა და იმავე ადგილას არ ბანაკდებოდა იმის შიშით, რომ თურქებმა არ მოახელთონ, თვით თავის ქვეშევრდომებში დაეჭვებული, იგი ყაჩაღების წინამძღოლს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელმწიფეს“ (შარლ დე გრაი დე ფუა, 1985, 44).

ტოტლებენს მეორე ადიუტანტიც ჰყავდა. ეს გახლდთ საქართველოში რუსეთის საქმეთა რწმუნებული ანტონ მოურავოვი. იგი გვარტომით წმინდა წყლის ქართველი გახლდათ, მკითხველს ვთხოვ, „მოურავოვი“ მურავიოვში არ აერიოს. მოურავოვი ქართველია, მურავიოვი – რუსი, ანტონ მოურავოვი რომანოზ თარხანმოურავის შვილია. ხოლო რომანოზი, არც მეტი არც ნაკლები, გიორგი სააკაძის უმცროსი ვაჟის იორამის შვილიშვილი. რომანოზი 1724 წელს ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა მოსკოვში და იმის შემდეგ, როგორც ვახტანგის ამალის წევრთა უმეტესობა, რუსეთში დასახლდა, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის პატივსაცემად ანტონმა „მოურავოვი“ აირჩია გვარად, შევიდა რუსთხელმწიფის სამსახურში, მოიპოვა სამეფო კარის ნდობა და აი, „საქართველოში რუსეთის საქმეთა რწმუნებულის“ ხალათსაც გამოჰკრა ხელი.

მართალია, მისთვის ტოტლებენის ადიუტანტთარჯიმნის პოსტი“, ცოტა არ იყოს, დამამცირებელი იყო, მაგრამ ტოტლებენმა პირადად თხოვა და უარი ვერ უთხრა.

ახლა ტოტლბენის ქართველ ადიუტანტს ანტონ მოურავოვსაც მოვუსმინოთ:

„სოლომონს არც ერთი ქალაქი და დაბა არ გააჩნია.

ქუთაისი, შორაპანი, ბაღდადი და ცუცხვათი თურქებს უკავიათ.

იმერლები უკიდურესად ღატაკ და საწყალობელ მდგომარეობაში არიან.

თავადები და აზნაურები რუხი შალის სამოსს ატარებენ, ხოლო ქვეშევრდომი ხალხი თავნება, ამაყი და ურჩია...

რაც შეეხება საკუთრივ მეფე სოლომონის პიროვნებას, რომელიც 35 წლისაა. იგი საშუალო ტანისაა, სანდომიანი სახის, ულვაშებიანი, წვერს იპარსავს... ყველაზე უფრო გამბედავი, მამაცი მეომრის იერი აქვს. დატენილი თოფი, ერთი დამბაჩა, ხმალი და დიდი ხანჯალი მუდამ თან აქვს, როგორც ყველა იმერელს. საუბარში საკმაოდ სულსწრაფია. უბრალო იმერლებთან ურთიერთობაში არავითარ განსხვავებას არ ავლენს. ვინც მას პირადად არ იცნობს, ქვეშევრდომთაგან ვერ განასხვავებს“ (ანტონ მოურავოვი, დე გრაი დე ფუა, 1985, 88).

იმერელთა რაზმი რომ მოახლოვდა, ტოტლებენმა ჭოგრიტი ადიუტანტ დე ფუას გადააწოდა, შეხედე ერთი შეიარაღებული არიან, თუ არაო.

ადიუტანტმა დაამშვიდა, არა მგონია თავდასხმას აპირებდნენ, ქართველები არც ისე სულელები არიან ორმოცდაათი კაცით ოთხიათასიან ჯარს შეებრძოლონ, დიახ, თქვენო აღმატებულებავ, ორმოცდაათიც არ იქნებიანო.

შევჩერდეთ და დაველოდოთ, რა ვიცი... რა ვიცი... ეშმაკს თვალი არ აქვსო, ჩაილაპარაკა ტოტლებენმა და ხელი შემართა.

ჯარი დადგა.

ასე, ას ნაბიჯზე რომ მოახლოვდნენ, მხედრები ჩამოქვეითდნენ. ცხენებს აღვირი უნაგირზე გადაუგდეს და რუსებისკენ გამოაბიჯეს.

აშკარა იყო, რაზმი სამტროდ არ მოდიოდა.

მოვიდნენ და ფეხის განზე გადგმით, დოინჯშემორტყმით წინ გაუჩერდნენ გენერლებს.

მეწინავე ხუთმა კაცმა კი მკერდზე ხელის მიდებით და თავის დაკვრით გამოხატა სტუმრებისადმი პატივისცემა.

– რა გინდათ? – ჰკითხა მოურავოვმა.

– მივესალმებით რუსთხელმწიფის ჯარის მობრძანებას გენერალ ტოტლებენის წინამძღოლობით, – თქვა მკლავებზე აკრეფილ ჩოხოსანმა შავულვაშა ახალგაზრდა კაცმა.

მოგესალმებიან, უთარგმნა მოურავოვმა ტოტლებენს.

– ჰკითხე ერთი მეფე სოლომონი რატომ არ მოვიდა, – ჩაულაპარაკა ადიუტანტს ტოტლებენმა.

– თვითონ სოლომონმა რატომ არ იკადრა მოსვლაო, გენერალი გეკითხებათ, – ლამის ჩურჩულით გააგებინა მოურავოვმა მასპინძლებს.

– მე ვარ ბატონო, – ყოველგვარი სიამაყის გარეშე, ჩურჩულითვე მიუგო მეფემ.

– კი მაგრამ, ჩემიანები ხართ და არ გეწყინოთ, ასე როგორ წარგადგინოთ... რას იტყვის ეს კაცი. სამეფო ტოგას რომ თავი გავანებოთ, ერთი ხელი ნორმალური ტანსაცმელი რა გაჭირდა მეფეო, თქვენთვის, – აშკარად წუხდა მოურავოვი.

– ასე უფრო მოხერხებულად ვარ, თქვენი სახელი?

– ანტონი, ანტონ მოურავოვი.

– ასე უფრო მოხერხებულად და უსაფრთხოდ ვარ, ბატონო ანტონ, თვარა არც ისე დავსებული გახლავართ.

ანტონმა წარუდგინა სოლომონ მეფე ტოტლებენს და თან გულდასმით აუხსნა, რომ მეფეს ეს დაგლეჯილგაცვეთილი ჩოხა მასკირებაშენიღბვისთვის, სპეციალურად მოეძებნა, რომ თურქებს ვერ ეცნოთ, ხოლო აბეზარ მთხოვნელებს ზედმეტად არ შეეწუხებინათ.

– გასაგებია... გასაგებია... ტოტლებენმა კიერის შიგნით მათრახის ტარით კეფა მოიფხანა და სოლომონ პირველს ხელი ისე გაუწოდა, როგორც სოფლიდან ჩამოსულ ღარიბ ნათესავს ჩამოართმევდა გაქსუებული რუსგერმანელი ჩინოვნიკი.

***

ჯარი მწვანეყვავილას ჭალაში, უქიმერიონის პირდაპირ, რიონის მარცხენა ნაპირას დაბანაკდა.

ქუთაისი მაშინ ძირითადად უქიმერიონის გორაზე უქიმერიონის ციხესა და ბაგრატის ტაძრის ირგვლივ იყო გაშენებული.

ფერდობს რიონისპირამდე თურქი ასკერები იცავდნენ.

ერთი ბილიკიღა ჩასდევდა ქალაქს რიონამდე. სხვა მხრივ იგი ორმეტრიანი კედლით და მიწათხრილით იყო დაცული.

ჯარის გახაზირებას რომ მორჩნენ, სოლომონ პირველმა ტოტლებენი და მისი ამალა (სულ თხუთმეტიოდე სამხედრო მაღალჩინოსანი) ოქროს ჩარდახში, თავის სამეფო სასახლეში იწვია. სოლომონის სასახლე ქალაქგარეთ მდებარეობდა, იგი უშუალოდ ქუთაისის შიდა ნაწილს არ ეკუთვნოდა და თურქთაგან საიმედოდ იყო დაცული. კაცმა რომ თქვას, რაღაც დაუწერელი კანონის წყალობით, თურქები ოქროს ჩარდახს თავს არ ესხმოდნენ.

სანამ სუფრა გაიშლებოდა, სოლომონს უკვე მოესწრო გამოეკითხა ანტონ მოურავოვისთვის, ვინ იყო და ქართული ასე კარად საიდან იცოდა.

აგაშენა ღმერთმა, ჩვენიანი ყოფილხარ, ვეჟო, გიორგი სააკაძის ფრჩხილად არ ვღირვართ არც ერთი, ნახევრადხუმრობით ეუბნებოდა სოლომონ პირველი რუსთხელმწიფის დესპანს და თან მსახურთ სუფრის გაწყობის დაჩქარების განკარგულებას აძლევდა.

– ერთს ვიტყვი ახლა მე, – მიუბრუნდა მეფე მოურავოვს, – ეგენი რომ დათვრებიან, მერე სამხედრო თათბირი კი არა, ერთმანეთის ცნობა გაუჭირდებათ. ხომ არ ეწყინებათ, მივჯდეთ ეგერ ჩემს პალატში და მოვილაპარაკოთ, შენ უფრო იცი, ხომ აჯობებს ასე. თუ საჩოთიროა, ნუ ეტყვი... რა ვიცი... თვითონ ტოტოლებენი სვამს?

– სვამს, აბა რას შვრება.

– ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, ჩემს ნათქვამად ნუ ეტყვი. ვითომ შენ მოგივიდა ეს აზრი. ანდა, თუ გინდა, უთხარი ჩემნათქვამად. მეფე ვარ ბოლოს და ბოლოს.

ხუთიოდე წუთის შემდეგ სამეფო პალატში მუხის მრგვალ მაგიდას უსხდნენ.

ჩემი ფიქრითო, რუსთხელმწიფისადმი მადლობის აღვლენის მერე დაიწყო სოლომონ პირველმა, თურქებს სამას კაცზე მეტი არ უნდა ჰყავდეთ უქიმერიონის ციხეში, უკვე იციან, რომ საქართველოშიო რუსის ჯარი შემოვიდა და შიშის კანკალი აქვთ, მაგრამ ციხეს კბილებით დაიცავენ, რადგანაც მთელი ნაძარცვი განძეულობა, რაც საქართველოში და სხვაგანაც დააგროვეს, შიგა აქვთ თავმოყრილიო. ესეც არ იყოს, თურქებმა კარგად იციან, თუ უქიმერიონის ციხე დათმეს, ეს იმას ნიშნავს, რომ იმერეთიდან (და არა მარტო იმერეთიდან) ფეხი უნდა ამოიკვეთონო. ჩემი გეგმა ასეთია, თუ ბატონი რუსი გენერალი დამეთანხმება: უქიმერიონს ალყა შემოვარტყათ და რაკი გარედან მაშველ ძალას ვეღარ მიიღებენ, თურქები ერთ თვეში თვითონ ჩაგვბარდებიანო.

ტოტლებენს სოლომონის გეგმას რომ უთარგმნიდა, მოურავოვმა უკვე იცოდა, რომ ლოთი გერმანელი იმერეთის მეფეს კატეგორიულად არ დაეთანხმებოდა. ჯარის გამოკვების საქმე თვით გაძვალტყავებულ იმერეთსაც რომ აეღო თავის თავზე, თვით ტოტლებენი არ იყო ის კაცი, რუსის ჯარს რომ საალყო მდგომარეობაში ერთ თვეს გააჩერებდა. მან კარგად იცოდა „მეფის მამაცი არმიის“ ხასიათი, ერთ თვეში რუსის სალდათი გალოთდებოდა და უმართავი გახდებოდა.

– რამდენი ხანიო? ჰკითხა ტოტლებენმა თარჯიმანს.

– ერთ თვეს ამბობს, – მოურავოვს ხმაში ეჭვი ემჩნეოდა.

– ახლა ჩემი მოისმინოს, – ტოტლებენმა თეთრი, კოტიტა თითები ერთმანეთში გაუყარა და მაგიდაზე დააწყო, მე ხვალვე ვიწყებ იერიშს. თურქებს გონს მოსვლის საშუალება არ უნდა მივცეთ. დასავლეთის და სამხრეთდასავლეთის მხრიდან დილის რვა საათზე ოთხი ბატარეა ერთდროულად გახსნის ცეცხლს, ცოცხალი ძალით შეტევა ჯერ საჭირო არ არის. მოვრჩით!

ტოტლებენი წამოდგა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ სამხედრო თათბირი დამთავრებული იყო.

***

ტოტლებენმა თავისი სიტყვა შეასრულა.

მთელი დღე უშენდა რუსული ბატარეა უქიმერიონის ციხეს ცეცხლს.

თურქებიც ცეცხლითვე პასუხობდნენ.

სოლომონ მეფე თავისი ამალით რიონის ჭალიდან შესცქეროდა ამ საზარელ სანახაობას.

ქონგურებზე თურქ მეთოფეთა წითელი ქუდები სამიზნესავით ჩანდა.

„ახლა მაინც მოიხადონ ამ კვდარძაღლებმა ეს წითელი ბუხარქუდები“, ფიქრობდა მეფე და თან თურქთა სიჩაუქე და ბრძოლისუნარიანობა მოსწონდა კიდეც. ზუსტი დამიზნებით თურქები რუსის ჯარს ცოტა ზიანს როდი აყენებდნენ და სოლომონს მოეჩვენა, რომ წითელი ქუდები თურქებს ჯოხებზე ჰქონდათ დამაგრებული, რათა რუსებისთვის კვალი აერიათ.

საღამოსკენ თურქების მხრიდან კანტიკუნტი სროლა ისმოდა.

მზის ჩასვლამდე ერთი ციდა იყო დარჩენილი, როცა თურქებმა მთავარ ქონგურზე თეთრი დროშა გადმოკიდეს და დროშასთან გოგონებიც გამოფინეს თავშალთა ფრიალფრიალით.

„ეშმაკობენ თურქები, ქართველი მეძავები გამოიყვანეს, აქაოდა გნებდებითო“, გაიფიქრა სოლომონმა.

ნახევარ საათში ტოტლებენმა მეწინავე ფეხოსნებს იერიშზე წასვლა უბრძანა და სწორედ მაშინ გამართლდა ის, რაზეც სოლომონ პირველმა იეჭვა.

თურქულმა ბატარეამ ცეცხლი გახსნა და მოიერიშე რუსული რაზმი ფერდობს შეადუღა.

სროლა სრულ დაბნელებამდე გაგრძელდა.

ტოტლებენი და მისი ამალა გვიან დაბრუნდნენ ოქროს ჩარდახში.

სოლომონის მზარეულებს ხბო დაეკლათ და „ძვირფას სტუმრებს“ ელოდებოდნენ.

„რაო, ხომ არ შეგვიშინდნენ თქვენი კურდღელი თურქები. ჩვენი მოტყუება სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ, ხვალ გამოცდიან საკუთარ ზურგზე რუსული ხიშტის ძალას“, ამბობდა ტოტლებენი და სოლომონს მხარზე ხელს უთათუნებდა.

გენერალი კარგ გუნებაზე იყო.

რუსები რომ მილაგმოლაგდნენ, სოლომონ პირველმა ქაიხოსრო წერეთელი და პაპუნა ფალავანდიშვილი თავისთან იხმო.

– დამინგრევენ ბაგრატის ტაძარს, ე შობელძაღლები, ბაგრატს დანგრევა აკლდა? – თქვა მეფემ.

– მოხვდა კი, მართალია... ორი ჭურვი, ჩრდილოეთის კედელს მოხვდა, სულ კურცხალი მცვიოდა – პაპუნამ ჩურჩულით თქვა, სარკმელთან მივიდა და რიონს ჩახედა.

– ხომ არავინ შეგამჩნიათ, აქ რომ შემოხვედით?

– სასახლის კარის მცველთა გარდა არავინ.

– რუსებს ისე სძინავთ, ყურთან ზარბაზანი რომ დაუცალო ვერ გაიგებენ.

– უნდა წახვიდეთ ახლავე ციხისთავთან, ბიჭებო – ყრუდ ამოილაპარაკა სოლომონმა.

– იმე, თურქები ახლა ისე იქნებიან გამწარებული ულაპარაკოდ თავებს დაგვაჭრიან, – თქვა ქაიხოსრომ.

– ნუ გეშინიათ, ციხისთავს, ხოსროვ ფაშას მე კარგად ვიცნობ. უთხარით, სოლომონ მეფემ გამოგვგზავნათქო და ეს ჩემი სამეფო ბეჭედი უჩვენეთ, – მეფემ ბეჭედი წაიძრო და პაპუნას გადააწოდა, – უთხარით, რუსებს ხუთი ათასი სალდათი და ოცი ბატარეა ჰყავთთქო. წინააღმდეგობა უაზროათქო. სოლომონ მეფეს უნდა თქვენ სიცოცხლე შეგინარჩუნოთთქო. გამთენიისას ზედა მხრიდან საიდუმლო გასასვლელით, რომელიც კაკლის ხესთან ყორეთია ამოშენებული და იოლი გასანგრევია, გადით ციხიდან და თან წაიღეთ თქვენი ავლადიდებათქო. თანაც დაუმატეთ: სოლომონ მეფემ შემოგითვალათ, განძეულიდან რომელიც ჩვენი ძარცვით დააგროვეთ, ჩვენ იმდენი დაგვიბრუნეთ, რამდენადაც სიცოცხლე გიღირთთქო, – სოლომონ მეფემ ეს ბოლო სიტყვები ძლივს გააგონა შეთქმულთ.

– რომ არ დაგვიჯეროს? – ქაიხოსრო ფრიად შეჩქვიფებულშეეჭვებული ჩანდა.

– დაგიჯერებენ, სხვა გზა არა აქვთ. თუ ხოსროვ ფაშა გამოვიდა თქვენთან შეხვედრაზე, ხოსროვი ვაჟკაცია და მეფის სიტყვას ენდობა, თუ არა და, მერე რაც მოუვათ, თავის თავს დააბრალონ. რიბირაბოს ნუ დაელოდებითთქო, გააფრთხილე თურქები, დროზე შეჰკარით ბარგი და მოუსვით აქედანთქო, ჩვენი მცველები გარეთ დაგხვდებიან და გზას გიჩვენებენთქო, თან დაამატე, არც სოლომონს უნდოდა რუსეთის შემოსვლა, მაგრამ დრომ მოიტანათქო.

სამივენი ერთდროულად წამოდგნენ და ერთმანეთს ხელი მისცეს.

– აბა, არ დააგვიანოთ, ღმერთი გვფარავდეს.

სამივენი აღმოსავლეთისკენ შეტრიალდნენ და პირჯვარი გადაისახეს.

პაპუნა და ქაიხოსრო კატის ნაბიჯებით, გალეშილ რუს ოფიცრებზე გადალაჯებით გაიკრიფნენ სასახლიდან.

ოქროს ჩარდახის ვიწრო შუკაში ცხენების ფლოქვთა ცემა წამიერად გაისმა და მაშინვე შეწყდა.

... თურქებმა შუამავლები მძევლად აიყვანეს და თავი სამშვიდობოს რომ დაიგულეს, ორივენი, ქაიხოსროც და პაპუნაც უვნებელნი, მადლობით გაათავისუფლეს. თანაც მადლობის გარდა ერთი ხურჯინი ავლადიდება გამოატანეს სოლომონ მეფესთან.

***

დილით ტოტლებენმა ჭოგრიტით უქიმერიონის ციხე რომ დაათვალიერა, უამრავ თეთრ ბაირაღს ჰკიდა თვალი, მაგრამ იფიქრა, თურქები მატყუებენო და ცეცხლის გახსნის ბრძანება მაინც გასცა.

ერთი საათის გახსნილი არ იყო ცეცხლი, რომ მასთან კარავში პოლკოვნიკი ზიმზიმო-

ვი შევიდა და მოახსენა:

– თქვენო ბრწყინვალებავ, თურქები აღარ ისვრიან, ქონგურებზეც არავინ ჩანს, როგორ მოვიქცეთ?

– დაელოდეთ კიდევ ერთ საათს. კარგად დაზვერეთ იქაურობა, გაგზავნეთ შვიდკაციანი ჯგუფი იმის გასარკვევად, არის თუ არა ჩქამი ციხის შიგნით. თუ თქვენი ეჭვი გამართლდა, გაეცით ბრძანება და ფეხოსნებმა იერიში დაიწყონ.

– არის, თქვენო ბრწყინვალებავ.

პოლკოვნიკმა საფეთქელთან ორი თითი მიიდო. დეზს დეზი შემოჰკრა და გატრიალდა.

ნასადილევს მთელ ქუთაისს ესმოდა უქიმერიონზე გადმომდგარი რუსი მაცნის ბუკის ხმა და რუსი სალდათების ჟრიამული.

გამარჯვებული არმია ქუდებს მაღლა ისროდა.

სადილობამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა. ტოტლებენი და სოლომონ პირველი უქიმერიონს მრავალრიცხოვანი ამალით რომ მიადგნენ.

ჯერ გამარჯვება მიულოცეს ერთმანეთს, მერე ტოტლებენი გატრიალდა და ბრძანება გასცა, ციხის ყველა კუთხეკუნჭული გაეჩხრიკათ.

როცა მჩხრეკავებმა ტოტლებენს მოახსენეს, ციხე პირწმინდად გაცლილიაო, გერმანელი იმერეთის მეფეს მიუბრუნდა:

– რა ხდება? აკი აქ სამასი მეციხოვნე და უამრავი განძეული უნდა ყოფილიყო.

ტოტლებენს სამას თურქზე უფრო მეტად ალაფი აინტერესებდა.

– მე თქვენთვის უნდა მეკითხა, გენერალო, – მშვიდად მიუგო სოლომონ პირველმა.

ამ სიტყვებს რომ თარგმნიდა, ანტონ მოურავოვი მიმხვდარი იყო, რაც მოხდა, მაგრამ მას ვერ აეხსნა, მიხვდებოდა თუ არა ყოველივეს ეშმაკი გერმანელი.

მოურავოვმა თვალი გააყოლა სოლომონ პირველის მზერას.

სოლომონ მეფე ბაგრატის ტაძრის ხავსიან კედლებს შეჰყურებდა.

გიორგი სააკაძის შთამომავალს თვალებზე ცრემლი მოაწვა.

მეორე დღეს ტოტლებენმა თავის არმიას აყრისა და თბილისში დაბრუნების ბრძანება მისცა.

მან ისე დატოვა ქუთაისი, რომ მეფე სოლომონ პირველს არ დამშვიდობებია.

სამხედრო ეტლში მჯდომი იგი გზადაგზა კარნახობდა შიკრიკს ხელმწიფე იმპერატორისადმი გასაგზავნ პატაკს, სადაც სხვა სიტყვებთან ერთად ასეთი ფრაზაც მოგხვდებოდათ თვალში:

„ამათი ნდობა ერთ ნაბიჯზეც არ შეიძლება, თურქები თვით „მეფე“ სოლომონ პირველმა გააპარა უქიმერიონის ციხიდან...“

***

მეორე დღეს ოქროს ჩარდახის თეთრი გრანიტის უზარმაზარ მაგიდას მეფე და შვიდიოდე თავადი შემოსხდომოდა.

იქვე იყვნენ ქაიხოსრო წერეთელი და პაპუნა ფალავანდიშვილი, მაგრამ მათი წუხანდელი საგმირო საქმის შესახებ სხვამ არავინ არაფერი იცოდა.

– შევრცხვით, გაგვექცნენ რუსები, – თვალებში ირონია ჩასახლებოდა ქაიხოსროს.

– ნუ გეშინია, ისევ მოვლენ, არ მოგვანატრებენ თავს, – მეფე აქაფებულ რიონს ჩაჰყურებდა, – კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბატონებო, რავარც იქნა წაშავდნენ თურქები, უქიმერიონის ციხე თავისუფალია.

– ოღონდაც, ოღონდაც, რავარც იქნა, – კვერი დაუკრეს თავადებმა.

– ახლა, ერთი რამ უნდა მოგახსენოთ და კარგად დამიგდეთ ყური. ხვალ ქუდზე კაცი უნდა ვიხმოთ და უქიმერიონის, ბაღდადის, შორაპნის და ცუცხვათის ციხეები უნდა დავანგრიოთ.

სუფრაზე დუმილი ჩამოწვა.

ზოგს ეგონა მომეყურაო, ზოგმა, ღმერთო შეგცოდე, გაიფიქრა, სიხარულის ელდამ, ალბათ, სოლომონ მეფე ჭკუიდან შეშალაო.

– რაც ახლა მოგახსენეთ, ჩემი ნაჩქარევი გადაწყვეტილება როდი გახლავთ, ბატონებო, ამაზე სამი წელია ვფიქრობ და თქვენთან სამსჯელოდ და საკამათოდ არ გამომიტანია. ეს ჩემ ყველა ბრძანებაზე უფრო მტკიცე და შეუვალი ბრძანებაა. მორჩა და გათავდა. იკითხავთ, რატომ ვანგრევთო და მართალიც იქნებით. ამ ციხეებმა დაგვღუპა ჩვენ. ჯერ ერთი, ჩვენ რომ შევიყუჟებოდით ციხეში და მტერი ალყას შემოგვარტყამდა, რა გამაგრებულიც უნდა ვყოფილიყავით, ბოლოს მაინც სამარცხვინოდ დანებება გვიწევდა, თუ მტერი მოვიდოდა, დაიკავებდა ჩვენს მთავარ ციხეებს და იყო შიგნით მშენივრად დაცული. როგორ ფიქრობთ თქვენ, უქიმერიონში რომ ასი წელი იჯდნენ თურქები, რისი ბრალია? თვითონ მშვენიერი და ძნელად ასაღები უქიმერიონის. დამთავრდა ასწლიანი პარპაში უქიმერიონზე თურქების, ახლა რუსები შევლენ შიგ და იქნებიან ერთი ასი წელი მაინც, თუ მეტი არა. ჰოდა, ისე უნდა გავხადოთ ჩვენი საქმე, რომ შემოსეულ მტერს გამზადებული თავშესაფარი მაინც არ დავახვედროთ. ასე მესმის მე ჩვენი გასაჭირი, ჩემთვის თურქიც და რუსიც ორივე დამპყრობელია. ესაა ჩემი ბრძანება და თუ რომელიმეს უარი აქვს მომდგარი პირზე, ახლავე მითხრას. არ დაიჯეროთ, რომ ჩემზე მეტად გიყვართ რომელიმეს ეს უბედური საქართველო.

ვინ რას ეტყოდა,
კამათს ვინ შეჰბედავდა.

მეფე იყო და ბრძანებდა.

... 1769 წლის 8 აგვისტოს უქიმერიონის ციხეს კაჟის ურიებით ქართველები შესეოდნენ.

ჯერ გაუბედავად, ზანტად იქნევდნენ ურიებს. მერე და მერე, როცა ათისთავებმა აუხსნეს, მეფის ბრძანებაა, უფრო გულდაგულ მოეკიდნენ საქმეს.

ალბათ ახლის, უფრო დიდის და უფრო მკვიდრის აშენებას აპირებენო, ფიქრობდნენ მნგრეველნი და საუკუნოვან ქონგურებს მიწაზე ჰყრიდნენ.

ბატონო სტუდენტებო

საქართველოს გადარჩენის ერთმა ძნელმა მოსახვევმა რომ ერეკლე მეორის გულზე გაიარა, თქვენ კარგად მოგეხსენებათ.

რაკიღა ერეკლემ ბედი ქართლისა მტკიცედ გადაწყვიტა, მისთვის აღარ არსებობდა ჭოჭმანისა თუ მოთათბირების „დემოკრატიული საათები“.

თუმცა არცთუ იშვიათად იყო ერეკლე „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ რისხვაც.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №28-ში)

საკანში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ რამოდენიმე წუთის შემდეგ მყუდროება ისევ ჭუკიამ დაარღვია:

– შენ მართლა ვაჟკაცი ხარ ჩემო თენგიზ, არა მარტო ჩემს თვალში არამედ ყველა პატიოსანი ადამიანის თვალში, მაგრამ კანონი ასე როდი მსჯელობს. შენ უნდა მისულიყავი მილიციაში, დაგეწერა განცხადება და გაგეცხადებინა მომხდარი ვითარების შესახებ, დანიშნავდნენ გამომძიებელს და ბრიგადირს დაკითხავდნენ. ბრიგადირი უყოყმანოდ გადაიხდიდა გამომძიებლისაგან დასახელებულ თანხას, ასე რომ დედაშენის სიკვდილს თვითმკვლელობას მიაწერდნენ. გამომძიებელს ლუკმა გაუჩნდებოდა, ბრიგადირი სიკვდილს გადარჩებოდა და შენ ციხეს, აი ხომ ხედავ რამდენი უსიამოვნების თავიდან აცილება შეძლებულა?

– შენ ღადაობ, მაგრამ სიმართლე თუ გინდა ჩემთვის 104—ე კი არა 107—ე მუხლი უნდა მოეცათ და სულიერად აღელვების საფუძველზე უნდა გავესამართლებინეთ.

– არა თენგიზ, არ იყო ეგ მკვლელობა სულიერად აღელვების საფუძველზე ჩადენილი, შენ აუცილებლად დაწყნარდებოდი, სანამ ბრიგადირის სახლამდე მიხვიდოდი. აღელვება მაშინ იქნებოდა, თუ შენ ბრიგადირს სახლში წაასწრებდი, როდესაც დანაშაულს ჩადიოდა.

– ეს როგორ თამაზის დანაშაულია აღელვების საფუძველზე ჩადენილი და ჩემი განზრახ მკვლელობა? – თქვა თენგიზმა და მეოთხე მსჯავრდებულს გადახედა.

– დროა ასეთი ჩემო თენგიზ – თქვა თამაზმა და ნარზე ჩამოჯდა.

– დრო კარგია, რომ ბოროტად არ იყენებდნენ ძლევამოსილნი. – კამათში გამოწვევის სახით უთხრა თანგიზმა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, ისევ წყნარად სთხოვა თამაზს, თავისი ჩადენილი ბოროტმოქმედბის ირგვლივ ელაპარაკნა.

– ხომ მოგიყევით, რამდენჯერ უნდა მოვყვე ერთსა და იმავეს?

– კიდევ მოყევი ხომ არსად გეჩქარება? – ამჟამად ჭუკია ჩაერია მათ საუბარში.

– დედას რევმატიზმები აწუხებდა – ნაღვლიანი სახით დაიწყო თამაზმა – დიდი ვაი—ვაგლახით მამამ წყალტუბოს საგზური იშოვა და სამკურნალოდ გაუშვა. სულ ოცდღიანი საგზური ჰქონდა და მე და მამაჩემმა ამ დროს შუალედში ორჯერ მოვინახულეთ, თითქმის თავს კარგად გრძნობდა, მუხლების ტკივილს აღარ უჩიოდა და წამოსვლაც კი დააპირა სახლში, მაგრამ მამამ ურჩია დაემთავრებინა მკურნალობის სრული კურსი. ბოლოს დედაც დათანხმდა, მაგრამ როდესაც მამა დედას მოსაყვანად წავიდა, სახლში ავადმყოფი მოიყვანა, საბრალო დედა გაციებულა და ფილტვების ანთება დამართნოდა. საავადმყოფოში დაწოლაზე უარი განაცხადა და მამა იძულებული გახდა ექიმი სახლში მოეწვია. ექიმს გასამრჯელოც კარგად გადავუხადეთ და კიდევ დავპირდით პატივისცემას. ავადმყოფს მართლაც გამომჯობინება დაეტყო. წამოდგა კიდეც და მცირედი საქმის კეთებაც დაიწყო, მაგრამ ექიმს ხომ მკურნალობის კურსი უნდა დაემთავრებინა და არც შეუწყვეტია. 14 აპრილს, როგორც ყოველთვის ექიმმა დილით გამოიარა, საჩქაროდ გაუკეთა ვენაში ნემსი და წავიდა. დედას, ერთი წუთის შემდეგ ჩაეძინა, ასე არასოდეს არ უმოქმედია ავადმყოფზე წამლის შეშხაპუნებას და გამიკვირდა. ვნახე ცარიელი „ამპულა”, რომლიდანაც ექიმმა ხსნარი ამოქაჩა და დედას შეუშხაპუნა. ზედ არაფერი ეწერა და ყოველი შემთხვევისათვის ჯიბეში შევინახე. გავიდა ორი საათი, დედას ისევ ისე ღრმად ეძინა, ცუდად მენიშნა ყოველივეს და მამას ვუთხარი ექიმის მოსაყვანად წასულიყო. „არაფერია შვილო იძინოს, დაისვენოს და ძილში გამოჯანმრთელდებაო“ – მიპასუხა.

სუნთქვა თანადთან მისუსტდა. გულის ცემაც ოდნავ ისმოდა, მამასათვის აღარაფერი მითქვამს და იმის დაუკითხავად პოლიკლინიკაში გავიქეცი, საჩქაროდ მოვძებნე დედაჩემის მკურნალი ექიმი და ავადმყოფის მდგომარეობა შევატყობინე. ექიმს სახეზე ცვლილება შევატყვე, მაგრამ ჩემთვის არაფერი უპასუხია და იმ „დიპლომატში“ წამლების გადალაგებ—გადმოლაგება დაიწყო, რომელიც ჩვენთან ჰქონდა მოტანილი და საიდანაც დედას გასაკეთებელი ამპულა ამოიღო. ექიმის სახეზე

გაფითრდა, საჩქაროდ დაკეტა დიპლომატი და აჩქარებული ნაბიჯით გამომყვა. დედა აღარ სუნთქავდა, ექიმმა კი მაინც შეუშხაპუნა ვენაში რამოდენიმე ამპულა. შევატყვე გული აღარ მუშაობდა, „შპრიცში" აღარ იძლეოდა სისხლი სიგნალს, ექიმი კი ამპულას ამპულაზე აშრობდა და ამით თითქოს თვალს მიხვევდა მოვალეობის ბრწყინვალედ შესრულების მიზნით.

მივხვდი, რომ ექიმს წამალი შეეცვალა, სხვაგვარი ფიქრის არ მქონდა საფუძველი. გამორიცხული იყო ექიმს დედაჩემის ან ჩვენი ოჯახის მტრული ინტერესი ჰქონებოდა და როდესაც უკვე გვამისათვის, მორიგი ამპულა უნდა შეეშხაპუნებინა, ვიყვირე:

– „შეჩერდი მკვლელო, ცხედარს ნუღარ აწვალებ, მე შენ ამგვარივე სიკვდილით მოგკლავ!" – და ექიმს ყელში ვწვდი მოსახრჩობად. მაგრამ ის ფიზიკურად ძლიერი იყო, მალე დამიძვრა ხელიდან, თან წინ მამა გადამეღობა და მეზობლებმა კივილი შეჰქმნეს, ექიმმა სირბილით დატოვა ჩვენი ეზო და გაუჩინარდა. მე დედაჩემის ჯერ კიდევ თბილ გვამს დავემხე და ავქვითინდი...

თამაზი გაჩერდა, საკანში მდუმარება გამეფდა, ხუთ წყვილ თვალზე უმანკო ცრემლი კიაფობდა.

– შემდეგ? – იკითხა ჭუკიამ და იმის ამ ერთ სიტყვაში ნათლად იგრძნობოდა თუ როგორ ახრჩობდა ყელში მობჯენილი ცრემლის ბურთი.

– შემდეგ კი ყველაფერი ისე მოხდა როგორი ფიციც მივეცი დედას – განაგრძო საუბარი თამაზმა – მიცვალებული ერთი კვირის შემდეგ დავასაფლავეთ, სასაფლაოს კეთილმოწყობა მამაჩემს მივანდე. მე კი ის ამპულა რომლითაც დედაჩემი გარდაიცვალა ცენტრალურ ლაბორატორიაში მივიტანე და ერთ ნაცნობ ლაბორანტს გავასინჯე. „ვიადროლი" აღმოჩნდა. შევეკითხე თუ რა არის „ვიადროლი", მიპასუხა: – ნარკოზია, ძლიერმოქმედი დასაძინებელი წამალიო – წამოვედი და ერთი ნაცნობი აფთიაქარისაგან დიდი ხვეწნა—მუდარის შემდეგ ორი ცალი ამპულა შევიძინე.

იმ საღამოსვე ექიმის სამოთახიანი ბინის კარებზე დავაკაკუნე. ექიმი სახლში არ დამიხვდა, იმისმა ახლად შერთულმა მეუღლემ ტკბილად მიმიღო, მეც ტკბილად ვუთხარი: – თუ ნებას დამრთავდა ექიმს დაველოდებოდი. – მისაღებში შემიპატიჟა, ხილითა და კონიაკით გამიმასპინძლდა, ერთი სირჩა თვითონ დალია, ორი მე დავლიე და თბილმა სასიამოვნო სიომ დამიბერა ორგანიზმში. ალბათ ქალის ორგანიზმზედაც იმოქმედა კონიაკმა მოულოდნელად თმაზე ხელი გადამისვა, არ ავმდგარვარ, წელზე ხელი მოვხვიე და ჩემსკენ მოვიზიდე. წინააღმდეგობა არ გაუწევია და ტუჩებში დავეკონე. მთლად მოიმჩვარა და იატაკზე გაფენილ ნოხზე დაწვა...

შემდეგ ტუალეტი მოვიმიზეზე, ბოდიში მოვითხოვე და განვმარტოვდი. კინაღამ გადავიფიქრე განზრახული საქმის სისრულეში მოყვანა. დედის სახე წარმომიდგა და თვალწინ და საჩქაროდ ამოვ-ტუმბე შპრიცში ორივე ამპულიდან „ვიადროლი". შპრიცი გავამზადე და თაროზე დავდე. ამჟამად ქალი ტიტველ ტანზე ხალათმოცმული მელოდებოდა, მართლაც ლამაზი იყო და კინაღამ მეორედ გადავიფიქრე შურისძიება. ტუალეტიდან შპრიცი შეუმჩნევლად გამოვიტანე და ბამბაში შეხვეული კურტკის ჯიბეში შევინახე.

– შენ იცნობდი იმ ქალს? – მოულოდნელად შეეკითხა შმაგი და თამაზის თხრობა შეაწყვეტინა. ვინ იცის შეიძლება თავისი მდგომარეობა გაისიგრძეგანა და იმ ქალის სახეში შორენა დაინახა.

– კი ვიცნობდი. ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში. თუმცა ეს დიდი ისტორია არის და არა მგონია თქვენთვის საინტერესო იყო – თქვა თამაზმა და თხრობა განაგრძო.

– გვიან ღამით ექიმი მოვიდა. გადაღლილი ჩანდა, პირდაპირ მისაღებში შემოვიდა და რომ დამინახა მოულოდნელობისაგან ადგილზე გაქვავდა. ცოტა ხნის შემდეგ გონს მოეგო და წყნარად მითხრა:

– ვიცი რისთვისაც მოსულხარ, მაგრამ იცოდე მე შენ გაგანადგურებ, შეუსრულებელი დაგრჩება დედაშენის მძორთან დადებული ფიცი. – მითხრა და ჯიბიდან საოპერაციო დანა დააძრო.

უცებ ავენთე, როგორ თუ დედაჩემის უმწიკვლო სხეული მძორი იყო? გავიფიქრე, თქმით კი არა-ფერი მითქვამს და მეორე მხრიდან შემოვუარე მაგიდას დანის მუქარა რომ ამეცილებინა. ქალი გაოგნებული ხან ერთს და ხან მეორეს შემოგვყურებდა. ვერ გაეგო ჩვენს შორის თუ რა ხდებოდა, იქნებ ეგონა ჩვენი შერკინების მიზეზი თვითონ იყო და ლოყებზე ხელებშემოფდობილი კუთხეში იდგა და ცრემლად იღვრებოდა. ექიმი არ დაიბნა, მაგიდა ჩემს საწინააღმდეგოდ ამოატრიალა და ნახტომისათვის მოემზადა, მაგრამ მე კურტკის ჯიბიდან პისტოლეტის ამოღება მოვასწარი და ორი მეტრის მანძილიდან იმის შუბლს გავუსწორე.

– დააგდე დანა! – თითქმის ჩურჩულით ვუთხარიდა პისტოლეტის ჩამკეტი ღილაკი ცერით ჩირს ჩავწიე.

თავის სიძლიერეში დარწმუნებულმა დანას ხელი არ შეუშვა და საბედისწერო ნაბიჯი ჩემსკენ გადმოდგა, პისტოლეტის სამიზნე ოდზნავ შევახე, ტარს ხელი მოვუჭირე და საჩვენებელი თითით სასხლეტს დავაწექი. ტყვიამ მარჯვენა ყურთან გაუწივლა და მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული შიშველი

ქალის სურათი ტიციანის „დანა“ ჩამოფშვნა. ახლა კი იკადრა ექიმმა დანის ხელიდან გაგდება და მუხლებზე დაეცა.

– ნუ მომკლავ! – შესაბრალისი ხმით შემომღაღადა და ისე მოიქცა როგორც მორწმუნე, წმინდანის წინაშე.

– ტახტზე წამოწექი! – ვუბრძანე მე და მყისვე შეასრულა ჩემი ბრძანება. ექიმის ცოლს მოვუხმე და შპრიცი მივაწოდე, უბრძანე ვენაში გაეკეთებინა მეუღლისათვის. – „არ გაინძრე, ვუთხარი ექიმს“ და პისტოლეტის ლულა კეფაზე დავადე, მართლაც არ განძრეულა და „კურკამ“ ოსტატურად შეუშხაპუნა ხსნარი (ზედმეტ სახელად „კურკას“ ეძახდნენ ექიმის მეუღლეს, სწორი სახელი კი არ არის აუცილებელი იცოდეთ).

– ექიმს წინააღმდეგობა რომ გაეწია, ესროდი? – მოულოდნელად შეეკითხა ჭუკია.

– აუცილებლად! – უპასუხა თამაზმა და თხრობა გააგრძელა.

– ექიმს მალე ჩაეძინა, მე სიბრალული ვიგრძენი, მაგრამ შურისძიების შემდეგ შვებით ამოვისუნთქე. „კურკა” გავაშიშვლე და საძინებელ ოთახში გავედით. მართლა კარგი რამ იყო „კურკა” ულამაზესი, ოქროსფერთმიანი და უმაღლესი ტემპერამენტიანი. ჯონ გოლზუორთის თქმის არ იყოს: „თუ ქალი ოქროსფერი თმით არის დაჯილდოვებული, იგი უკვე ნახევრად მზეთუნახავიაო”. ამბობს იგი და სრულებით არ ვეთანხმები, რადგან „კურკა” ნეხევრად მზეთუნახავი კი არა მზეთუნახავი იყო. ალბათ ამიტომ შეინარჩუნა ექიმმაც, თორემ უნივერსიტეტიდან ერთ დროს გამორიცხვაც კი დაუპირეს მაღალი ტემპერამენტის დაუოკებლობის გამო. ასე რომ წუმპიდან ამოიყვანა, გარეცხა, გააშრო, გვარი მიცა და ოჯახი, მაგრამ ძუკნა – ძუკნობას მოიშლის? როდესაც „კურკა” ჩემს წინ შიშველი დადგა, თავის სილამაზეში დარწმუნებული შემეკითხა: – როგორი ვარ?

– ქედს ვიხრი თქვენი მშვენიერების წინაშე, არა მიწიერო, უცხო პლანეტელო ასულო, ვუპასუხე და გულში ჩავიკარი, ასეთი განცდის შემდეგ არცერთს არ გამოგვივიდა ის ღამე შესანიშნავი, მაგრამ მაინც ყველა ღამეზე მეტად სამახსოვროდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

მე მეტად განვიცდიდი, ვიცოდი ექიმს რაც დაემართებოდა, „კურკას“ კი უბრალოდ ჩაძინებული ჰგონია და მე მეხვევა, მოსვენებას არ მაძლევს, მალურჯებს და მეალერსება. როდესაც დამშვიდდა მეკითხება:

– ქმართან რომ რაიმე შემემთხვეს მიპატრონებ?

– დაუფიქრებელი შეკითხვაა. უკიდურესობებს ნუ მიმართავ თორემ წარმოდგენა დამეკარგება შენს ღირსებებზე, – ვუპასუხე მე და ოდნავ ვუბიძგე, ძლიერ იწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: – რატომ მე ხომ ლამაზი ვარ, უცხოპლანეტელი?

– კი, ლამაზი ხარ, მაგრამ სილამაზე მაშინ არის სათაყვანებელი, როდესაც საკუთრებას წარმოადგენს, დღეს ცხოვრებაც ლამაზია, მაგრამ მრავალი უღირსი ადამიანის ფეხქვეშ ითელება ეს სილამაზე! მე კი თქვენს სილამაზეს მამაკაცის თვალით კი არა, მხატვრის თვალსაზრისით ვუყურებ, ისე როგორც მოქანდაკე თავის ქმნილებას სრულყოფილი ფორმებით. – ვუპასუხე მე.

– შენში სილამაზის სიყვარული კი არა პოეტური მუზები ლაპარაკობენ, მესმის შენისთანა მტკიცე ხასიათის მამაკაცები როგორ გვიყურებთ ჩვენ, სუსტი ნებისყოფის ქალებს თქვენი ოლიმპიური სიმაღლიდან. ყველა სულელმა იცის, რა გრძნობით სულდგმულობთ ჩვენს მიმართ, მაგრამ დედაკაცების ალერსითა და ტკბილი დაპირებებით, ჩვეულებრივად ტყუვდებიან, მაგრამ ყველა მამაკაცი თუ თქვენა გგავთ, მაშინ შეიძლება თქვენი ვაჟკაცობისა და სიმამაცის უკანასკნელი ეტაპად საგიჟეთი ჩაითვალოს! – თუმცა ღმერთმა ნუ ჰქნას ყველა მამაკაცი შენ დაგემსგავსოს და არა ჩემს მეუღლეს, რომელმაც ჩემში ბრწყინვალედ დაინახა ქალის სრულყოფილება და მაპატია წარსული. – მიპასუხა მან.

– შენ კი დაუფასე სულგრძელობა? როდესაც მას მეზობელ ოთახში ტკბილად სძინავს, შენ მთელი ღამე არ გაძინებს ღალატზე ფიქრი, მე მგონია შენი მეუღლე სათნო გულისა და კეთილი ბუნების ადამიანია. ის სიბრალულმა აამოქმედა, რადგან ჭაობში იძირებოდა ერთ—ერთი ქართული სილამაზე და ერს ჯიშიანი დედა ეღუპებოდა, მან შენი გარდაქმნა, გაადამიანება განიზრახა, მაგრამ შეცდა. ალბათ არ იცოდა სილამაზეს, რომელსაც სათნოება და კლდემამოსილება არ ახლავს, აღფრთოვანებისა და ხოტბის ღირსი არასოდეს იქნება, იგი მამაკაცების ბუნებაში შთაგონების დამშრალ წყაროდ ითვლება. – ვუპასუხე მე და როდესაც ფანჯარაში რიჟრაჟი შევნიშნე ტანსაცმლის ჩაცმა დავიწყე. „კურკას“ ყელში ვაკოცე, იმედი აღარ მქონდა იმის მადლიერების, ის ძალზედ გაგულისებული იყო და ყინულივით ცივი მეჩვენა.

ფეხაკრეფით გამოვიარე მისაღები და ექიმს გადავხედა. ის გაუნძრევლად იწვა, დილის ბინდში გავრჩიე თუ როგორ შეპარვოდა სილურჯე მის ვაჟკაცურ თეთრ ქათქათა სახეს.

„კურკამ“ კარებამდე მომაცილა, ყოველგვარი ტემპერამენტის გარეშე მოვალეობის მიზნით ცივად მაკოცა და კარები მომიხურა. სახლში მოსვლა მოვასწარი და დასაძინებლად ვემზადებოდი, რომ პისტოლეტმომარჯვებული სამი მილიციელი ოთახში შემოიჭრა და დამაპატიმრეს...

– შე დალოცვილო შეპირებოდი იმ ქალს ოქროს მთებს, იქნებ არც კი გაგთქვამდა, არ აჯობებდა? – შეეკითხა ჭუკია.

– ცუდად გაქვს წარმოდგენილი ქალის სახე ჩემო ჭუკია, – უპასუხა თამაზმა – მე რომ „კურკას“ ყოველი წინადადება მიმეღო, ის იმავე დღეს სახლში დამიჯდებოდა, ეს არაფრი, მაგრამ თუ ქალმა შენი ცოტა მაინც საიდუმლო იცის, შეგაჯდება და ძირს არავითარ შემთხვევაში აღარ ჩამოხტება, მუდამ შიშში იქნები, რომ არ გათქვას შენი საიდუმლო. და ბოლოსა და ბოლოს მოსწყინდება დაჯაბნილ და დამცირებულ კაცთან ცხოვრება, ის ნამდვილ მამაკაცს დაუწყებს ძებნას და მაინც გაგთქვამს. თავიდან მოგიცილებს, ამიტომ ვამჯობინე ქალთან შინ პატიმრობაში ყოფნას ღირსეული პატიმრობა. ორ წელიწადს თამამად ძლებს ადამიანი და თქვენ როგორ გგონიათ? მე პატიმრობაში ვერ გავძლებ?

– როგორ ორი წელი მოგისაჯეს? განცვიფრებული მზერა მიაპყრო თამაზის შმაგიმ.

– ორი წელიწადი მომისაჯეს, თუმცა „კურკა” ყოველგვარ ღონეს ხმარობდა ჩემთვის დახვრეტა არ შეეცვალათ, სწორედ მან დარეკა მილიციაში და იმის წყალობით დამაპატიმრეს, შემდეგ გამომძიებელმა დამიპირისპირა და ყველაფერი „სიმართლე” ილაპარაკა. მოყვა თუ როგორ შევამტვრიე კარები, პისტოლეტის მუქარით თუ როგორ ვაიძულე თვითონ „კურკა” მეუღლისათვის რაღაც საწამლავი შეეშხაპუნებინა ვენაში, შემდეგ იმავე პისტოლეტის მუქარით თუ როგორ გავაშიშვლე და გავაუპატიურე. რა თქმა უნდა, უპირატესობა დაზარალებულის მხარეზე იყო და ძიებაც განზრახ მკვლელობით და ძალად გაუპატიურებით წარიმართა, მაგრამ მამაჩემმა სახლი გაყიდა, მოსამართლე დაწყნარდა, ხოლო მე აღელვების მუხლი მომარგო.

– კარგია! – თქვა ჭუკიამ, ხოლო შმაგიმ სევდიანად წაიღიღინა:

– სატანას ქვეყნად ვინ შეაშინებს
თვალი მტერია – თვალის
ზოგი ანგრევს და ზოგი აშენებს
ეშმაკმა უწყის ქალის!

საკანში გულის გამაწვრილებელი სიჩუმე გამეფდა, ჭუკიამ კედლიდან კარებამდის ორმეტრიანი ბოლთის ცემა დაიწყო.

ხმაურით გაიღო რკინის კარებში დატანებული რკინის პატარა „ფორტოჩკა”. ვახშამი მოიტანეს. სიმინდის ფქვილისაგან მომზადებული, ალუმინის ჯამზე დასხმული ერთი კოვზი ფაფა და ერთი ნაჭერი პური.

– ეს არის სულ ჩვენი საარსებო წყარო? – იკითხა შმაგიმ.

– აბა შენ სტუდქალაქში გაკეთებულ კერძს ხომ არ ელოდი?

კითხვითვე გასცა პასუხი ჭუკიამ და ხმამაღლა დაიყვირა: – ჰეი „კონგო” გამოდი ნარის ქვეშიდან, თორემ გვერდები დაგემტვრევა ბეტონის იატაკზე კოტრიალით და უვახშმოდაც დარჩები. – შემდეგ თანამოსაუბრეთ გადახედა და წყნარად თქვა: – თქვენ გგონიათ პატივს ვცემ ასეთებს „კონგო” რომ არის? მე ადამიანები მწამს ციხეშიდაც და თავისუფლებაშიც, საშიში ხალხია „კონგოს“ მაგვარი ორფეხა ცხოველები, ყოვლეგვარი უხამსობა არის მოსალოდნელი მაგათგან...

„კონგო” ყურებამდე მომღიმარი სახითა და კუდის ქიცინით გამოძვრა ნარის ქვეშიდან, კოვზის ერთი მოსმით გადასანსლა კუთვნილი ფაფა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– რას იზამ კონგო „მუცელს აღორებ ღორია, აქორებ – ქორიო“ – არის ნათქვამი და შენც უნდა შეეგუო ამ ყოფას.

ყველამ ხმამაღლა გაიცინა, მაგარმ მალე მიხვდნენ, რომ სასაცილო არაფერი იყო და ამ ერთი პატარა საპყრობილეს ოთხივე დგმურს ერთნაირმა სევდამ გადაურბინათ სახეზე. სიჩუმე ჩამოვარდა, ყველაზედ პირველად სახე თამაზის გაუნათდა, ეტყობოდა რაღაც იმედის მომცემი სიტყვა მოძებნა, შმაგის ხელი გადახვია და თქვა:

– იცით ბიჭებო რა არის? გაჭირვებამ არასოდეს არ უნდა შეაკრთოს ადამიანი, ჭირთა თმენა ქართველის მოგონილია, ჭირს მოთმინებით უნდა შევხვდეთ, ლხინს გაბედულად. გასულელებით კი არცერთმა არ უნდა გადაგვრიოს. „კონგომ“ რომ წინადადება წამოისროლა ის ქართველი კაცის იბრძნიდან მონაპოვარია და კარგადაც თქმული.

აი ეს ამბავი სადღაც წაკითხული მაქვს, მხოლოდ არ ვიცი რომელი ერის სიბრძნის წიგნიდან არის ამოღებული:

– „ერთმა კაცმა ყველა მწერის, ფრინველისა და ცხოველის ენა იცოდა, ერთ დღეს როდესაც გაბედულად მიაბიჯებდა შარაზე, ხმა შემოესმა: – შე ოჯახდასაქცევო კინაღამ ფეხი არ მომტეხე, ნელა ვერ გაივლიო“ – დაიხარა და ჭიანჭველა დაინახა, აიყვანა და ხელისგულზე დაისვა.

– რა გაყვირებდა? – ჰკითხა კაცმა.

– როგორ თუ რა მაყვირებდა, ძირს არ უნდა დაიხედო, რომ დააბოტებ მაგ ფეხებს? შენზედ უძლური რომ ვარ, იმიტომ უნდა დამჩაგრო და დამამტვრიო? – უპასუხა ჭიანჭველამ.

– ბოდიში ჩემო ბატონო! – უთხრა კაცმა.

– ნეტავი როდის მოისპობა სიტყვა „ბოდიში“ დანაშაულისათვის ძლიერთა შორის, ერთი – მეორეს ხოცავთ „ბოდიში“ ბატონო, ძარცვავთ „ბოდიში“ ბატონო, აუპატიურებთ „ბოდიში“ ბატონო, თითქოს თქვენი „ბოდიში“ სამკურნალო საშუალება იყოს მიცვალებულისა, დამტვრეულისა თუ გაჭირვებულისათვის! – უპასუხა ჭინჭველამ.

– კარგი, კარგი თითქოს თქვენთან ყველაფერი ისე იყოს აწყობილი როგორც ლაპარაკობ! – უთხრა კაცმა.

– სწორედაც ასეა. არ არსებობს ჩვენთან ძალმომრეობა, დამსვი ახლა ძირს და გამიშვი! – უთხრა ჭიანჭველამ.

– ვერ გაგიშვებ სანამ კდევ ერთ შეკითხვაზე პასუხს არ გამცემ!

– რა გინდა თქვი და მორჩი, სამუშაოზე ნუ მაცდენ, ქვეყნის საქმე მაქვს დღეს გასაკეთებელი.

– სწორედ ეგ მინდა შეგეკითხო. რაც თქვენ შრომობთ და მუშაობთ ჭამაშიდაც ასეთივე გაუმაძღარნი ხართ?

– ჭამით ცოტას ვჭამთ, წელიწადში მხოლოდ ხორბლის ერთი მარცვალი გვყოფნის!

– რატომაც არა მჯერა, აი შენ ხორბლის ერთი მარცვალი და დავინახავ თუ ერთ წელიწადს გეყოფა. მე შენ ერთი წლის შემდეგ გაგანთავისუფლებ! – უთხრა კაცმა, ჭინჭველა ბოთლში ჩასვა, ხორბლის ერთი მარცვალი ჩაუგდო და ბოთლს საცობი დაახურა.

გავიდა ერთი წელიწადი, ამ კაცს გაახსენდა, რომ ჭიანჭველა ჰყავდა დაპატიმრებული და გასანთავისუფლებლად წავიდა, მივიდა და ნახა, რომ ჭიანჭველას მხოლოდ ხორბლის ნახევარი ჰქონდა შეჭმული.

– ეს რა გიქნია ჭინაჭველა, – ჰკითხა კაცმა – რატომ მთლიანად არ შეჭამე ხორბალი?

– ერთი წლის წინათ ვიღაც გიჟმა კაცმა დამამტვრია, შემდეგ კი უდანაშაულოდ დამაპატიმრა და საპყრობილეში ხორბლის ერთი მარცვალი ჩამომიგდო, ეს ჩემთვის ერთი წლის სარჩო იყო. მაგრამ გამოვიზოგე, რა ვიცოდი ის გიჟი ადამიანი გამანთავისუფლებდა თუ არა ერთი წლის შემდეგ?“ – უპასუხა ჭიანჭველამ.

– ჰო და როდესაც ჭინაჭველას ამხელა აზრი და მოთმინების უნარი გააჩნია, ჩვენ ადამიანებმა უნდა მივბაძოთ ჭიანჭველას თუ ჭიანჭველამ უნდა მოგვბაძოს ჩვენ?...

– ეგ ჭიანჭველაზე კი არა ქართველ კაცზეა ნათქვამი. შრომობს დღე და ღამე, მაგრამ გასაძღომი ლუკმა არა აქვს – თქვა ჭუკიამ და ერთობ მხიარულება შემოიტანა საკანში თამაზის ნაამბობმა.

დილით საუზმის შემდეგ (თუ ამას საუზმე ერქვა) ზედამხედველმა შმაგი მგალობლიშვილი გამოიძახა:

– შენი ვექილი გეძახისო! – უთხრა და კარები ფართოდ გაუღო, უხმოდ გაჰყვა უკან ზედამხედველს, რომელმაც მისთვის კარგად ნაცნობ ოთახში შეიყვანა, აქ შმაგის მართლაც ყურებამდე მომღიმარი თავისი ადვოკატი შეეგება, მაგრად ჩამოართვა ხელი და მაგიდის ქვეშ შედგმული სკამი გამოუწია.

– დაბრძანდით ბატონო შმაგი! – ღიმილით უთხრა ადვოკატმა, მაგრამ შმაგის არ გამოპარვია თუ რამხელა მლიქვნელობა იმალებოდა ამ ღიმილში.

შმაგი უხმოდ დაჯდა.

– თქვენ კარგად მოგეხსენებათ – დაიწყო ადვოკატმა – რომ არასწორადგამოტანილი სასჯელის გასაჩივრების ათი დღის უფლება გაქვთ. წუხელი მთელი ღამე არ მძინებია, კასაციას ვწერდი. უმაღლეს სასამართლოს უნდა მივმართო, შემდეგ პრეზიდიუმს და სახლის გაყიდვა რომ დამჭირდეს უნდა გაგანთავისუფლო.

– გმადლობთ ბატონო გიორგი თანაგრძნობისათვის, მართლაც გეტყობათ თვალებში და სახეზე, რომ წუხელი არ გძინებიათ, მე კი ალკოჰოლის შედეგი მეგონა, თქვენ კი თურმე ჩემზე დარდში გაგითენებიათ. – უთხრა შმაგიმ და დამცინავი ღიმილი ძლივს შეიკავა.

– დიახ, მე თქვენ უნდა გაგანთავისუფლოთ, ქვეყანას უნდა დავანახო თქვენი უდანაშაულობა, ხომ თანახმა ხართ ჩემ მიერ დაწერილი კასაცია ჩემივე ხელით მივიტანო უმაღლეს სასამართლოში, იქ მე ნაცნობები და მეგობრებიც ბევრი მყავს, ასე რომ, არ გამიჭირდება თქვენი განთავისუფლება. არა თქვენ სხვაგვარად არ გამიგოთ, მე წინასწარ არ მინდა არც ერთი კაპიკი, აი რომ გაგანთავისუფლებ,

შემდეგ კი შენს სინდისზე იყოს. ახლა კი ცოტა რაღაც სამგზავრო ფული და კასაციის დაწერის გასამრჯელო თუ იქნება, თორემ მეტი არაფერი მინდა.

– უყოყმანოდ გეთანხმებით ბატონო გიორგი, მაგრამ მინდა ვიცოდე რამდენს შეადგენს წუხანდელი თქვენი ნახარჯი?

– არაფერს ბევრს, ქაღალდის ფასია, ათი ათასი მანეთი!

– ოო! კარგად მოგილხენიათ!

– თქვენი გულისათვის თორემ ამდენს სტუმარს რესტორანში შევყრიდი?

– წუხანდელი ღამე კასაციის წერაში გაგითენებიათ, ალბათ ამაღამ აპირებთ სტუმრებთან ქეიფობას, ხომ სწორია? იცი რას გეტყვი ბატონო გიორგი? როდესაც თქვენისთანა მლიქვნელები ცდილობენ თავისი შეცდომა დაანახვონ და თვალი აუხილონ კაცს, რომელსაც ეჭვიც არ ეპარება თავის პატიოსნებაში და უდანაშაულობაში, ამით ისეთსავე ცუდ სამსახურს უწევენ მას, როგორც გიჟს, რომელსაც ხუმრობა ჰგონია სასამართლოს გადაწყვეტილება. მე კი მადლობა ღმერთს, ჯერ არც გიჟი ვარ და არც თქვენ მიერ განაჩენის შეცვლის იმედი მაქვს. თქვენ დღეს ჩემთან გამოძალვის მიზნით მობრძანდით და სრულებითაც არ გაწუხებთ ჩემი ბედი, ჩემთან გულწრფელობას იჩენთ და რჩევას მეკითხებით, მაგრამ თქვენ ჩემზედ უკეთესად მოგეხსენებათ, როდის არის გულწრფელი ადამიანი, ალბათ მაშინ, როდესაც რჩევას თხოვენ ან ითხოვს სხვისაგან. რა თქმა უნდა, ერთის შეხედვით ისე ჩანს თითქოს რჩევის მთხოვნელი დიდი ყურადღებით ითვალისწინებს მეგობრის აზრს. თუმცა სინამდვილეში სურს, საქციელი მოუწონონ და თავი გაიმართლოს მავანთა წინაშე, რჩევის მიმცემი კი თავს იკატუნებს, (როგორც თქვენ, აქ მლიქვენელთა შორის განსხვავება არ არის) თითქოს მისდამი ნდობის პასუხად მთხოვნელს გულწრფელსა და უანგარო სამსახურს სთავაზობს, სინამდვილეში კი იმას ესწრაფვის რაიმეს გამორჩეს, გამოძალოს, მოატყუოს და უძლურთა გვამის გათელვით კოლეგების ქება დაიმსახუროს. – კარგად ბრძანდებოდეთ ბატონო გიორგი ანზორის ძევ! შეკითხვა გაქვს? არა? გთხოვთ უბრძანოთ გამიყვანონ!

ერთხანს გიორგი გაოგნებული შეცქეროდა შმაგის, შემდეგ როგორც იქნა ამოღერღა:

– მე ცუდად ვარ, გთხოვთ დაუძახოთ ზედამხედველს!

– მხეცების მხოლოდ სიკვდილის წინ ხდებიან ცუდად! – უთხრა შმაგიმ და ოთახის კარები გააღო, ორი ზედამხედველი კარებთან იდგა, ერთ—ერთმა შმაგი თავის საკანში დააბრუნა.

ორი კვირის შემდეგ შმაგი მგალობლიშვილი და ქურდი ჭუკია სიჭინავა რუსთავის შრომა—გამასწორებელ კოლონიაში მიიყვანეს. არა, აუტანელი და შეუგუებელი არაფერი არ არის ადამიანისათვის, მხოლოდ უდანაშაულო კაცისათვის არის ძნელი. გაუნათლებელი პირისაგან განათლებული ადამიანის დამცირება, ბრძანება, ყვირილი, გინება და ხშირ შემთხვევაში ცემაც კი. ასეთია „შრომით“ გამოსასწორებელი ადამიანის ბედი, რომელიც შრომა—გამასწორებელ კოლონიაში მოხვდება. მშრომელი კაცისათვის იოლია კოლონიაში ცხოვრება, ვის რა ემარჯვება უცებ მოუნახავენ შესაბამის სამუშაოს. მაგრამ განათლებული ადამიანისათვის ძნელია, მას როგორც მორალურად ასევე ფიზიკურად ესაჭიროება გარდაქმნა. გარდატეხა და მოუმზადებელი ნაბიჯის შედგმა მოულოდნელობით აღსავსე ახალ ცხოვრებაში, სადაც უნდა შეეგუოს დამცირებას გუშინდელი გამომცხვარი ბადრაგებისაგან და შეეჩვიოს ფიზიკურ შრომას.

სწორედ ასეთ პირობებში მოხვდნენ შმაგი და ჭუკია. პირველი ბრწყინვალედ განათლებული ადამიანი, რომელსაც ბავშვური შრომა თითქმის დავიწყებოდა და ფიზიკური შრომის ადგილი მსახიობის უსაზღვრო ნიჭს დაეკავებინა.

მეორე კი ქურდული ზნე-ჩვევების ბრწყინვალე მცოდნე და კანონით ეკრძალებოდა ფიზიკური შრომა იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელმაც ის დააპატიმრა. აქ კი განურჩევლად ერისა და სქესისა, მეცნიერებისა და უმეცრებისა ერთნაირი უპირატესობით სარგებლობს ყველა. კანონი კი შრომას მოითხოვს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გულნარა შოთაშვილი-ტაბატაძე

***

(გაგრძელება, დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ №27, 28-ში)

ლაპარაკით და ტირილით გული იჯერა, კარი დაკეტა და ახლა თავის ქოხს მიაკითხა. აქაც პაპას ხელი სჩანდა – ბაღი ბაღნარად ქცეულიყო, ქოხის გვერდზე ერთოთახიანი სახლი დაედგა, გვერდით კი ზვიადის ქოხი სამზარეულოდ დაეტოვებია თადარიგიან მოხუცს, თაროებზე საჭირო ნივთები დაეწყო, კარი ბოქლომით დაეკეტა. მთელი სოფელი ედგა თურმე პაპას გვერდით წამოწყებულ საქმეში, და ყველა იფარავდა ბაღსა და სახლს სტიქიისა და ორფეხა, თუ ოთხფეხა ნადირისაგან.

გაიხარა ზვიადმა, სოფლის სიკეთემ ის პატარა ყინულიც გაულღო, რომელიც ჯერ კიდევ ედო გულში... მეზობლები გულღია სიხარულით შეხვდნენ, ყველა თავისთან ეპატიჟებოდა ყმაწვილს, დარდიანი გული უდარდელი გაუხდა, სიხარულით აღტაცებული და ამაღლებული ვისაც საქმეში ხელის წახმარება დასჭირდებოდა, დაუზარებლად ეხმარებოდა და სილაღე და სიმხიარულე შეჰქონდა. დრომ თავისი გაიტანა – გულმა დარდი მოინელა, ცხოვრებაში ახლადფეხადგმულ ბიჭს, თავისებურად გაჰქონდა ცხოვრების ლელო.

ქალაქში წასვლის დრომ მოაწია. მთელი სოფელი გამოვიდა გასაცილებლად. ვისაც რა შეეძლო იმასა ატანდა ქალაქად ზვიადს, იცოდნენ არწივის მართვესავით მთის ბუდიდან აფრენილი ბიჭი ქალაქს დიდხანს არ შერჩებოდა და ნასწავლი, ხელობას დაუფლებული, საჭირო კაცად დაუბრუნდებოდა სოფელს. უხაროდათ, რომ არ დაიკარგა ობოლი ბიჭი და ხელით სატარებელი არ გახდა.

შვილის გასაცილებლად მალულად ტარიელიც გამოსულიყო, ორ ხეთა შორის მოფარებით ჩამდგარიყო და თვალცრემლიანი იგონებდა წარსულს. მორიდებულად მდგომი კაცი ვერავინ შეამჩნია, ვიდრე ცაცას ქაქანი არ გაიგონეს, მაშინ კი ყველა იქით მიტრიალდა.

– შე სამიწე, შვილი მოგენატრა? შვილი, თორემა შენც მამადა გთვლის შენმა მზემ. მეორე თვეა სოფელშია და არ მოგიკითხა, არ გინახულა, დაგიმიწდა ასეთი შვილი.

ტარიელმა წარბი შეიკრა, დაუტიტინა.

წარბი შეკარი თორემ შენმა სიკვდილმა შენი მეშინია. მიწამ კი გიყოთ პირი მამა-შვილს. სახლში წამოეთრიე სამარცხვინოდ, ბავშვივით ნუ სერობ სანახაობას, ნუთუ ვერ მიხვდი შენი მზე დიდი ხანია დაბნელდა და ხალხში გამოსასვლელი პირი აღარა გაქვს? ცაროს სიკვდილიც შენ დაგაბრალეს, შვილის მკვლელიც გაგხადეს.

ტარიელმა ვეღარ მოითმინა, ცაცას მკლავში ხელით სწვდა და შეუყვირა.

– დაიწვა შენი დამბადებელი, შენ გველად უნდა გაეჩინე განგებას და არა ქალად, იქნება დღეს უფრო ბედნიერი ვყოფილიყავი ჩემს შვილებთან, შენ რომ არ ყოფილიყავი ქვეყნად.

ცაცას გაუკვირდა ქმრის წინააღმდეგობა, შეცბა, ტარიელის ხელი მოიშორა და ის იყო თავისებურად კეტით დატრიალებას აპირებდა, რომ ზვიადი მთასავით აეყუდა წინ და ხელი დაუჭირა;

– არ გაბედო დარტყმა თორემ ციხე არ აგცდება, ისიც გეყოფა ასეთი ვაჟკაცი რომ დააბეჩავე – კეტი ხელიდან წაართვა, შორს გადაუგდო და ტარიელს მიუბრუნდა:

– გამარჯობა მამა! ხელი გაუწოდა, და მოლოდინით მიაჩერდა – სოფელი სულგანაბული ელოდა, რა მოხდებოდა, მიიღებდა ტარიელი შვილს თუ წინანდებურად ზურგს შეაქცევდა. შვილს შეებრალა მამა.

ტარიელი გაახარა და გააკვირვა შვილის შემობრუნებამ, ჯერ შეცბა, მერე მშობლიურმა სიყვარულმა დასძლია, ხელზე ხელი დაურტყა მოიწია და ყელზე მოეხვია, სამგზის გადაკოცნა და ცოლის სიკვდილის შემდეგ დღეს პირველად იტირა შვილის მკერდზე მიკრულმა. ზვიადმაც თავი ვეღარ შეიკავა და მამა-შვილმა ერთად გამოიტირეს თავისი დამწვარი წარსული, ტარიელს შვილისათვის ხელი არ გაუშვია, ისე მიუბრუნდა ხალხს, რომლებიც გარს შემოდგომოდნენ:

– ხალხნო ორი თვეა გარეთ არ მიშვებს გაავებული დედაკაცი, თურმე სცოდნია ჩემი შვილის სოფელში ყოფნა და მარიდებდა, არ მენახა. დღე კარს მიკეტავდა და ღამე სად გავიდოდი? ვისგან რას გავიგებდი? დღეს შემთხვევით კარი ღია დარჩა და მეც „ციხიდან“ თავისუფლად გამოვედი. მეზობლების გადაძახილს მოვკარი ყური „წამოდი ზვიადი გავაცილოთო“ და გულმა აქეთ გამომიწია. მაშ მე მამა ვარ? ჩემი ვაჟკაცი, ჩემი სიყრმის შვილი სოფელმა იშვილა და მე სახლიდან

გამიგდო ცაცამ? მითხარით, მირჩიეთ როგორ მოვიქცე, მომაშორეთ გველი ოჯახიდან, საშუალება მომეცით დავტკბე შვილის ცქერით და გულის ხვაშიადი გავანდო ძმასავით მოსწრებულ შვილს.. ხმა ამოიღეთ როგორ მოვიქცე? – იყვირა ტარიელმა. ცაცასთან მივიდა, ხელი მოკიდა ხალხის წინ გაჩერდა და მარტო მას მიმართა:

– ბევრი სიმწარე მახსოვს შენგან, ბევრი ცრემლი. ცაროს სიკვდილში ბრალი მხოლოდ და მხოლოდ შენ მიგიძღვის, სახლიდან გაგვრეკე, მერე ვის სახლიდან, დედაჩემის აშენებულიდან და დამშვენებულიდან. ბოლოს მამაც მამინაცვლად გვიქციე, ცხოვრება გაგვიმწარე და კეთილი ადამიანები რომ არა, დღეს არც მე ვიქნებოდი ცოცხალი. მიკვირს მამაჩემი ხმას რატომ არ იღებდა, სად დაკარგა ვაჟკაცობა და შვილების სიყვარული... ყველაზე მეტი ჭრილობა გულზე იმან მომაყენა, რომ ცაროს ავადმყოფობა არაფრად ჩააგდო მამამ, და არ მოვიდა. თურმე შენი ეშინოდა, ალბათ სიკვდილით ემუქრებოდი, სული ტკბილიაო – ნათქვამია და მამაჩემიც დამყოლი გახდა. აბა დედაჩემი ყოფილიყო ცოცხალი – სიკვდილი კი არა ვერაფერი გადაუღობავდა გზას, ფორთხვით მოვიდოდა და ცაროს სუნთქვითა და ალერსით მოარჩენდა – დიახ! დედაჩემის სიკვდილში და შენს დედინაცვლობაში წინდაწინ უნდა განეჭვრიტა ცაროს სიკვდილის აუცილებლობა – განა შეიძლება პატარას უდედოდ და უპატრონოდ გაზრდა – ზვიადმა ხალხს გადახედა, ყველა სულგანაბული უსმენდა მის აღელვებულ ნაამბობს და ბევრს ცრემლიც ჩამოსდიოდა თვალთაგან, მერე ისევ დედინაცვალს მიუბრუნდა – მაგრამ მიუხედავად ამდენი სიბოროტისა, სიკეთეც მახსოვს შენგან, ვიდრე დედინაცვალი გახდებოდი, სიყვარულით გვივლიდი ობლებს. ნუთუ ის მოჩვენებითი სიკეთე იყო და ბოროტების მეტი შენს გულში არაფერი ბოგინობდა? თუ ას ეარ არის და მე ვცდები, მოუხმე ადამიანობას და იქეცი ისევ იმ ქალად. შენ ეს შეგიძლია. თუ პირობას მომცემ, რომ მამაჩემს მოუვლი და ადამიანურად, მეუღლესავით მოექცევი, ყველაფერს გაპატიებ, დედად მიგიღებ და შენც შვილივით მომხედე, რატომ არ გინდა იფიქრო, რომ სოფელს შენი სიავქალობით შეაძულე თავი. გაგრიყეს. სიბერის დროს რას აპირებ? მგელივით უპატრონოდ მტერიც ნუ მომკვდომია – სული მოითქვა და ფიცივით წარმოთქვა – პირობას გაძლევ ამ კეთილი ადამიანების წინაშე, დედისა და დის საფლავს ვფიცავ, დედასავით მოგივლი. ვისწავლი და პატივისცემას არ მოგაკლებ.

ვიდრე ზვიადი ლაპარაკობდა, რეტდასხმულ ცაცას ერთი სიტყვა არ გამორჩენია ნალაპარაკებიდან. გულში ბობოქარი ზღვა უტრიალებდა. თავიდან უკეთურად არავინ იბადება და ცაცაც კარგი და უბოროტო დაბადა დედამ, ცხოვრების უკუღმართობამ გააბოროტა – ვიღაც უკეთურებმა ღამით მშობლები დაუხოცეს და თვითონ თექვსმეტი წლის ქალი გააუბედურეს. ვერავინ გაიგო ყაჩაღების ასავალ-დასავალი. ღამით ხშირად მიიპარებოდნენ ცაცასთან და თავს ირთობდნენ. მაშინ გადაწყვიტა, არავინ დაენდო, ვისაც მოერეოდა, დაეჩაგრა, გველივით დაეგესლა. ქურდობაც დაიწყო, თქმით ვერაფერს ამბობდა, ქურდები სიკვდილით ემუქრებოდნენ. არავინ იცოდა ცაცას ამბავი, არ იცოდნენ, რომ ღამეში, ზოგჯერ, ოთხ-ხუთ კაცს უწევდა ცოლობას, გააბოროტა უსამართლობამ. არაადამიანები, როგორც იყო ჩავარდნენ და ციხეში დაიხოცნენ. უფრო მეტად გაბოროტდა საყვარლებს მოკლებული ქალი და... მოშორდა მშობლიურ კერას და აქ მოვიდა... მსხვერპლად ტარიელ ზვიადაური ჩაუვარდა ხელში. ხშირად ფიქრობდა, რომ უდანაშაულო ოჯახს ესხმოდა თავს, იცოდა რომ ტარიელის ღირსი არ იყო, მაგრამ ბოროტება ვერ ალაგმა. ახლა მის გულში გარდატეხა ხდებოდა, ან ბოროტება უნდა დაეთმო ან მეზობლები და ოჯახი, ჰქონდა კი ოჯახი? მასში მიძინებულმა სიკეთემ წამოჰყო თავი და ცაცა მიხვდა, რომ გულის ყველა კუნჭული ვერ დაეჭირა შხამს. შეეძლო თავშეკავებით მოქცეოდა ქმარს და ის ტოტიც არ მოეჭრა, რომელზეც თვითონვე იჯდა. თუ ახლა ტარიელსა და ზვიადს ვერ შეეგუებოდა, მამა შვილს მიუბრუნდებოდა და მეორე ცოლს უყოყმანოდ დასთმობდა. მანაც თვალნათლივ წარმოიდგინა მარტო დარჩენა და გადაწყვიტა ეთვალთმაქცა, ამიტომაც განა ის თქვა, რაც გულში ედო, არამედ ის რაც იმ სიტუაციას შეეფერებოდა. ზვიადთან მივიდა და მხოლოდ მას მიმართა:

– შვილად მიგიღებ, თუკი შეგიძია დაივიწყო ის, რაც აქ ჩამოთვალე, მუხლებზე მოგეხვევი და პატიებას ისე გთხოვ – ამ სიტყვებით ისე სწრაფად დაიჩოქა და მუხლებზე აკოცა გონს მოსვლა ვერ მოასწრო ზვიადმა, ცაცა კი განაგრძობდა – ცაროც რომ ცოცხალი ყოფილიყო, მის წინაშეც ასე დავეცემოდი მუხლებზე და პატიებას შევთხოვდი. მე მახსოვს მისი პატარა ხელების სითბო ჩემს ყელზე, მისი სუნთქვა ჩემს ბალიშზე. მე ბუნებით ბოროტი არ დავბადებულვარ, ცხოვრებამ გამაბოროტა – ცაცას ყელში ცრემლები ეჩრებოდა, სიტყვებს დახშულად გამოთქვამდა, და თვალს არ აშორებდა ზვიადს, რომელმაც დედინაცვალი წამოაყენა და დაჩოქების უფლე-

ბა არ მისცა. – განსაჯეთ ჩემი საქციელი. მე ვიცი თქვენს წინაშე მართალი არა ვარ, გულის ვარამი ხომ ვინმეზე უნდა გადმომენთხია? თქვენ ჩამივარდით ხელში და მეც დრო აღარ დავკარგე, ცხოვრებისათვის სამაგიერო გადამეხადა, მაპატიე შვილო, ჩემი ბოროტება, შვილის სიყვარული მაგრძნობიე... – მერე ტარიელთან მივიდა და მხარში ამოუდგა – სთხოვე ტარიელ, პატიება, შენც დამნაშავე ხარ შვილების წინაშე, თავს ვერც შენ გაიმართლებ! სთხოვე დღეს ნუ წავა, თავისი სახლის ჭერიც გაახაროს სტუმრობით.

იმ წუთში ცაცამ ირწმუნა რომ სიკეთის გარდა აღარაფერი შეეძლო მოეტანა ტარიელისა და მისი ვაჟისათვის და ბოროტება აღარ იარსებებდა მის გულში. მისი ცრემლი იმჟამად მართლაც გულწრფელი და მშობლიურიც იყო, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი გახლდათ ის, რომ მცირედი წყენა იმ სიძულვილს ისევ არ გააღვიძებდა, ადამიანების მიმართ ცაცას გულში, რომელიც ბოროტებას ჩაეთესა მის გულში და ისევ შხამად არ გადმოენთხეოდა ზვიადს თავზე.

დრო გამოარკვევდა ყველაფერს.

იქნება ცაცაც ისევ ადამიანად ქცეულიყო.

ხალხი სიბრალულით უცქერდა ოჯახურ სცენას და ელოდნენ რას გადაწყვეტდა ზვიადი. არავინ ერეოდა საუბარში.

წარსულს მაინც ვეღარ დაიბრუნებდნენ და შეცვლიდნენ... ზვიადის წასვლა მეორე დღისათვის გადადეს. ტარიელის ოჯახში გაიშალა სამხიარულო სუფრა, სოფელმაც გაიზიარა მათი სიხარული. ზვიადმა დიდი ხნის შემდეგ პირველად დაიძინა საკუთარ ჭერქვეშ, სადაც ნათლად გრძნობდა დედისა და დის სუნთქვასა და სიახლოვეს.

ცოლ-ქმარს შორისაც გადნა დღემდე ფენებად დაწყობილი ყინული და ახალშერთულებივით ეფერებოდნენ ერთმანეთს. ზვიადის ჩარევამ და ტარიელის ხელის გამოღებამ უეცრად აღადგინა წონასწორობა, ოჯახში ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. ოჯახის უფროსად ტარიელი აღიარეს და ყველამ გულში გადაწყვიტა წარსული აღარასოდეს გაეხსენებიათ თუ ოჯახის ერთიანობა უნდოდათ, მაგრამ ცაცა...

ცაცა დილაადრიანად წამოდგა, ზვიადს ტანსაცმელი გაუსუფთავა, საქონელსა და ფრინველს მიხედა, საუზმე გაამზადა და აივანზე მდგარ სკამზე ჩამოჯდა. თითქოს რცხვენოდა წარსულის გახსენებისა. რა ახლოს იყო და თანაც რა შორს ის მტანჯველი წარსული. უკვირდა როგორ შეეძლო უგულოდ მოქცეულიყო? რა აიძულებდა? ფიქრებით შემოჯარულს ფეხის ხმა მოესმა და აივანზე ზვიადი გამოჩნდა.

– ადექი, შვილო?! შენ შემოგევლოს ცაცას სიცოცხლე, ჩემო ვაჟკაცო – დედინაცვალს თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა – ნეტა ცაროც ჩვენთან ერთად იყოს, ახლა, რა ბედნიერი ვიქნებოდი – რა უღმერთოდ და უგულოდ გექცეოდით ორთავეს! რა დამავიწყებს ჩემს დანაშაულს – ცრემლი მოიწმინდა და ჩუმი ხმით განაგრძო – მე გავგიჟდი, მამათქვენი რაღას ფიქრობდა? რა სიკვდილმა შეგვკრა ორთავე? რას ვერჩოდით უსუსურ ბავშვებს? შენ რომ მაპატიო შემი წარსული, მე ვერ ვაპატიებ ჩემს თავს, რაიმე ისეთი უნდა მოვიგონო სასჯელივით მივისაჯო – ვიტანჯო, ვეწამო, იქნება სული გავითავისუფლო ჯოჯოხეთისაგან.

ზვიადი ხმისამოუღებლად უსმენდა და მხოლოდ ის უთხრა – შეეცადე ამის შემდეგ მაინც დაიმსახურო მშობლის სიყვარული და თუ ცუდი შვილი გამოვდგე, დამსაჯე.

დედად თუ მიგულებ, დედობას გაგიწევ! – ტირილით მიეკრა მკერდზე ზვიადს და სლუკუნით თქვა. – მართლია ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მე გული ამოგლეჯილი მქონდა და უგულო ქალი ვერავის ვერ შევიბრალებდი, ვერც შევიყვარებდი. შენ დამიბრუნე ჩემი დაკარგული გული, შენ ჩამბერე ადამიანური სული და გონზე მომიყვანე, დღეს მე ისევ ის ცაცა ვარ დედ-მამის სიცოცხლეში რომ ვიყავი. ჩემი შიშით ბარტყს ვერავინ მოკლავდა, თვალებს დავითხრიდი ტირილით, მერე კი ბოროტმა ადამიანებმა ბოროტების მორევად აქციეს ჩემი წმინდა გული, სათამაშო ტიკინად, უნამუსო ქალად მაქციეს და გაუბედურებული მიმატოვეს, დღენიადაგ იმას ჩამჩიჩინებდნენ, როცა ჩემთან იყვნენ, სიკეთე არასოდეს დაგიფასდება, მხოლოდ ბოროტებით მოიმკი პატივისცემასა და ადამიანობასო.

– მე წარსულზე ანგარიშს არარ გთხოვ. მოდი შევთანხმდეთ მხოლოდ აწმყოთი და მომავლით ვიცოცხლოთ. სატანჯველი წარსული კი აღარასოდეს გავიხსენოთ, არც მომწერო და არც აღარაფერი თქვა დღეის შემდეგ, მეც დამშვიდებული შევუდგები სწავლას და დედისა და დის

სულს და ხსოვნას ვფიცავ, არავის მივცემ უფლებას ლაფში ამოსვაროს ჩემი ოჯახის ღირსება, ხოლო შენ შეეცადე გახდე ისეთი სათნო და კეთილი, როგორიც დედაჩემი იყო...

ცაცამ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და აგრძნობინა, რომ „გაუხარდა“ საროს ხსენება, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რა ქარიშხალი ტრიალებდა მის გულში, ძლივს შესძლო თავშეკავება, რომ არა სცემოდა და თვალები არ ამოეკაწრა მისთვის, ვინაც ცაცას ქალობის საზომად საროს სიკეთე და სათნოება მოიშველია. მიმალულმა ბოროტების ცეცხლმა ისევ დაიწყო გიზგიზი, ცაცამ არაადამიანური დაძაბვის ფასად გულში გადაწყვიტა ცვილის სანთელივით არავის ჩადნობოდა ხელში და შესაფერის მომენტში ბოროტებისათვის მიეცა გზა...

ზვიადმა თვალი ჰკიდა ცაცას სახეცვლილებას, ერთ წუთს თვალწინ გაურბინა დედის ხატებამ და მიხვდა ჭაბუკი, საროდ არასოდეს იქცეოდა ცაცა, საროს სიძულვილი ღრმად გამჯდარიყო ცაცას გულში და მკვდარი საროც მეტოქედ და ხელის შემშლელად მიაჩნდა. ზვიადმა სათქმელი გულში ჩაიბრუნა და გადაწყვიტა მთლიანად არ მინდობოდა დედინაცვალს.

ამით დამთავრდა მათი საუბარი. უკვე წასვლის დრო იყო, ფეხზე მდგომებმა წაიხემსეს და ტარიელი, ზვიადი და ზაქრო პაპა რკინიგზის სადგურისაკენ გაუდგნენ გზას.

სექტემბერი ილეოდა, მაგრამ ჰაერში სულის შემხუთავი სიცხე მაინც ტრიალებდა, ხის ფოთლები ნაადრევად გაყვითლებული და გასაცვენად გამზადებული. სიგრილეს ვეღარ იძლეოდა. ხმელი ბალახი ფეხქვეშ შარიშურობდა და უსიცოცხლოდ იკეცებოდა. ტერფის მიკარებისთანავე. სიცხისგან გასავათებული ჩიტები გაფუყულნი, პირდაღებულნი დახტოდნენ მიწაზე და გამვლელებს ფეხებში უვარდებოდნენ. უწყლობით შეწუხებული ბეღურები გახეთქილ მილიდან გადმომდინარე წყალში აფრთხიალებდნენ ფრთებს და სიცხეს ებრძოდნენ. ხვატით გაბრუებული ფრთაფარფატა პეპლები ღონეგამოცლილნი დაფრიალებდნენ და სიგრილეს მონატრებულნი ხის ტანს ებღაუჭებოდნენ ბუსუსიანი ფეხებით.

ქალაქ რუსთავის პროფტექნიკური სასწავლებლის ეზოში თავი მოეყარათ მოსწავლეებს და გაცხარებით კამათობდნენ, ყველა თავის აზრს გამოთქვავდა, ერთმანეთს ლაპარაკში ეჩრებოდნენ, მხოლოდ ერთი კენტად მდგომი, თვალტანადი ვაჟი დინჯად უსმენდა მათ კამათს და მთებს ისე გასცქეროდა თითქოს მათში ეძებდა ტოლთა პასუხს. ყველას მოსწონდა მისი სიდინჯე, თავდაჭერილობა და საქმისადმი სამართლიანი მიდგომა. მარტო ქალები კი არა, ვაჟებიც ხედავდნენ მის ღირსებას და თავისებურად აფასებდნენ კიდეც. მაგრამ ერთეულებს მეტიჩრად და ამაყადაც მოენათლად. ის კი იდგა, ფიქრიანი, თვალები ერთ წერტილზე მიეპყრო და გონებაში აჯამებდა წარსულისა და აწყმოს შედეგებს. მისთვის სულერთი იყო ვინ რას შეარქმევდა, დრო მოვიდოდა და გაუგებდნენ, არ იყო ჩვეული აჩქარებას.

ეს ვაჟი ზვიადი იყო, რომლის სმენა და გულისყური ამხანაგებისაკენ იყო მიმართული და მისი მგრძნობიარე გული ოდნავ ცვლილებასაც კი აღიქვამდა მის გარშემო და თუ შეეკითხებოდნენ პასუხი ყოველთვის ჰქონდა მზად, ხოლო თავის აზრს დაუკითხავად არავის აძალებდა, პირიქით სხივს აზრს აფასებდა.

ფიქრთა დენა ზარის ხმამ შეაწყვეტინა. ᲐᲧᲕᲔᲚᲐᲛ ადგილი დაიკავა და კარებში გამოჩნდა ომის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილი, მაღალი, თმაჭაღარა ბეჭებგანიერი მამაკაცი. Mმისი ალერსიანი გამოხედვა ყველას ერთნაირად ინადირებდა , ბავშვებს უყვარდა მისი მართალი, აზრიანი და ღრმად გაანალიზეული ლაპარაკი. გაკვეთილზე მოსწავლეები სულგანაბული ისხდნენ, ცდილობდნენ არაფერი გამორჩენოდათ ნათქვამიდან.

შემოსულმა მასწავლებელმა თვალი დინჯად მოავლო მოსწავლეებს, დასხდომის ნება დართო, მერე ჟურნალი გადაშალა და გვარების ამოკითხვას შეუდგა. ჯერ მხოლოდ მესამე გაკვეთილს უტარებდა ახალმოსულებს და უკვე ყველას გვარითა და სახელით იცნობდა. ასეთი გახლდათმამუკა ქავთარაძე.

ქავთარაძეს სწავლების საკუთარი მეთოდიც გააჩნდა – პირველ-ორ გაკვეთილს აუცილებლად მიუძღვნიდა ქალაქის გაცნობას, მის ღირსშესანიშნაობებს, განვითარებას და მომავალ პერსპექტივებს, რასაც ასე ასაბუთებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თეა კანდელაკი

ნეშომპალა

(ეძღვნება – ემიგრანტ გიორგი ალანიას და
საშობლოს მიწას იძულებით მოწყვეტილთ)

... იცით, კი, რა საშინელია წყვდიადში ყოფნა, ან, ბორკილის ხმა, სასოწარკვეთად რომ სწვდება სმენას?!. და ეს ბორკილი სულზე გადევს უკიდეგანოდ, უსასრულო მარწუხის დარად.

... იცით კი, რა საშინელია უხმოდ კივილი?! თითქოს გარემოც ჰაერში ახშობს გამომსკდარ ბგერებს, ბაგეებიდან გადმოხეთქილს ნიაღვარივით და სიპ კედლებზე შენარცხებული ასკდება მიწას. უფერო, უხმო,ხელთ შეუხები ტკივილი სულის...

მაშინ, კი, თითქოს ციანიდი დაგიდის სხეულს, ძოწისფერი სისხლის წვეთები იწამლება ნელ-ნელა და სიცოცხლეს კარგავს.

... იცით კი, რა საშინელია გტკიოდეს სული – ღვთივ ბოძებული, სათუთი და საოცრად სათნო?!

ამოგლეჯენ, გადააგდებენ ვით ნეშომპალას და თელენ ფეხით. უზელენ გულ-ღვიძლს და ვით ლუციფერს ქვეწარმავლის სახედ გარდაქმნილს, კვლავ ქუსლით სრესენ.

შებუდებულა ლოკოკინის ნაჭუჭში სული და მის გარშემო ამა ქვეყნის ავბედითი ბორბალი ბრუნავს... და სიყვარული მონატრების თეთრი სირმით წარსულისკენ საცალფეხო ბილიკებს აბამს...
... და ირევიან თვალწინ ტიტრები, ო, რარიგ ტკბილად და ცხელი შანთით ჟრუანტელად დაგიდის ძარღვში მონატრება და დაღავს სხეულს. მერე კი, სულმთლად აცახცახებულს თვალწინ გადუშლის გაშლილ ღელეებს.
ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა... ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა...

რა ტკბილი იყო ხელისგულივით გაშლილი მდელო, ნორჩი ბალახის ნაზი შეხება შიშველ ფეხებზე. სალათისფერი, მწვანე, ხასხასა... ახლაც იმგვარად მიღიტინებს ცრემლნარევი მოგონების სულის კიდეზე და ახლა უკვე, სიმწრისაგან იკრუნჩხება სხეულში რაღაც.
მომგლიჯეს ისე, ვით უგვანო სარეველას აგლეჯენ ყვავილს, რომ გაიხაროს, უფრო მეტად გაიშალოს და გაიდგას ფესვი... მაგრამ მე, მე ხომ... ეს, ვერავინ დაინახა ჩემი რაობა, თუ რა მინდოდა, იმ ყვავილების სიახლოვეს როცა იდგნენ, ასე ამაყად... მე კი მომთელეს. ჩემი სული ისევ-ისე დასტრიალებს მათ სილამაზეს. აი, სხეული... სხეული კი, ისევ მათთვის გარდაიქმნება, რომ ჩემმა სისხლმა, თითოეულმა ჩემმა უჯრედმა მათში იხაროს და გარდაქმნილი, ნაწამები ჩემი სხეული, ეკვრება მიწას, და იცრიცება მშობლიურ მიწას ჩაკონებული – ერთ არსი ხდება...

...აი, ეს მიწა! ნაწვიმარზე რომ მდაღავდა მისი სურნელი!
... აი, ეს მიწა, მამა-პაპის ნეშტებს რომ იტევს!
... აი, ეს მიწა! ვყვირი, მაგრამ ეს ყვირილიც აკვდება ექოს და ჩემი ცრემლი ცხელ კუპრივით ეღვენთება ჩემივე სხეულს.

მთის მწვერვალებზე მოჰქრის ქარი და თმებს მიწეწავს. მეც მკლავ-გაშლილი ვერკინები მუხთალ საწუთროს.
– როგორ გამრიყეს...
გადამაგდეს ასი მთის გაღმა.

ო, ღმერთო, რატომ? კიდევ რამდენხანს იბოგინებს აქ, ლუციფერი?!

... ამქვეყნიური ჯოჯოხეთი სხვა რაა ნეტავ, ნოსტალგიაზე მეტად მძიმე, აუტანელი?!.
შებუდებულა ლოკოკინის ნაჭუჭში სული და მხოლოდ ღამით, მთვარის სირმის ბილიკს მიჰყვება, ძალიან შორით, იქ, სადაც ბნელის დასალიერს, პაწაწინა ნათება მეფობს.
კვლავ ფეხშიშველი, ვით უწინ იყო, შეეხება ცვრიან ბალახს და იღებს საზრდოს, მერე ისევ ფეხაკრეფით მოიხილავს წმინდა საფლავებს, ჩამოჯდება მათ ცივ ლოდებზე და უსმენს სულებს.
– მოხვედი?!...
შენი სითბო გვაკლდა, შენი შეხება... შენზე ვლოცულობთ. მერე რა, რომ შორით გაგდევნეს.
ახლა მშვიდად ვართ, შენი სული ჩვენს სულებს ათბობს, რადგან მეტია სიყვარული, მეტია ნატვრა. ასე შორიდან მომდინარე დის ოხშივარი...
... რა მხურვალეა შენი ფიქრი, შენი ოცნება. მიწად ქცეულა, მტვრად ქცეულა ჩვენი სხეული. სული კი, ქვეყნის დამბადებელს მიბარებია... იქ რა იყავი, რას მოგვიტან ამ ქვეყნად ნეტავ, ამ მატერიას, აქ ყველა-ფერს მტვრის სახე აქვს და ჩამოიქროლებს დასი დიადი, და მათი ფრთების ნიავქარი ამ მტვერს გაფან-ტავს... და მხოლოდ სული რჩება მათ წინ – ნათლით მოსილი. შენი ყოველი გაფიქრება უფლის სახეა... ნუ დაღონდები...

... მაგრამ მე მოვალ ჩემს მიწაზე, ვით უწინ ვიყავ და ღრმად, ფესვებში ნეშომპალად ჩავეფინები...

06.28.2005

სრულყოფილება

საკუთარი თავის შეცნობა ყველაზე დიდი სრულყოფილებაა,
შემეცნება კი მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება და თუ ბოლომდე თავმდაბლობით შევიმოსებით,
შევიცნობთ ჩვენი
წარმომავლობის დასაბამის იდუმალებას და ჩვენი ამ ქვეყნად
მოვლინების მიზანს. სრულყოფილებასთან ზიარებას კი
გარდაცვალების წამი აგვირგვინებს.

გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)



ეი, გულშემატკივარი!

(მხიარულ თემაზე)

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. მეზობლები ჩემთან ვუყურებთ ტელევიზორს. ჩემი ქვისლი, ოთარი, ნასვამი შემოგვესწრო ერთ-ერთი მატჩის ყურებისას. ყურადღებით მიაყურა დიქტორს, მთელი აზარტით ჩაერთო თამაშში, ოღონდ, ჩვენგან განსხვავებით, იტალიის კი არა, მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებს უჭერდა მხარს. როცა „მისი საქომაგო“ გუნდის თავდამსხმელი „სკუადრა აძურას“ კარს ბურთიანად მიუახლოვდებოდა, ოთარი ფეხზე წამოიჭრებოდა და მთელი ხმით ღრიალებდა:-მიდით, ბიჭებო, მიდით!.. გენაცვალეთ!.. მაგრამ, როცა ბურთი კარს მაღლა გადაიფრენდა, ახლა ცუდად დამრტყმელს დაატეხდა თავს რისხვას.

ჩვენ, ყველანი, იტალიის ნაკრებს ვუჭერდით მხარს, ამიტომაც გაგვაოცა ოთარის მიკერძოებამ მოწინააღმდეგე გუნდისადმი. ვერ გაგვეგო, ბუნდოვნად მომზირალი ნაბახუსევი თვალებით ფერებს ურევდა, თუ თავის საქომაგო გუნდში ყველანი პელეები ეგონა. ბოლოს, იტალიის ქომაგობას რომ აღარ მოვეშვით, აქეთ შემოგვიტია:

– ყეყეჩები ხართ ყველანი!.. თქვენში მართლა ჩამკვდარა პატრიოტიზმი, ეროვნულობა!.. გადამთიელებს „ბალელშჩიკობთ“ და ქართველებს აგინებთ?..

– ვინ არიან, ოთარ, ქართველები?-გავიოცეთ ჩვენ.

– აბა, გლდანელები ვინ არიან?.. დიქტორი სულ ამას გაიძახის-გლდანელები დაჯარიმდნენ... ბურთი გლდანელებს აქვთო!.. საით იყურებით?.. რაო, აფრიკაში აღმოაჩინეს „გლდანი“, თუ მე ვერ ვერკვევი გეოგრაფიაში?

ყველას ხარხარი აგვივარდა.

...ჩვენს ნასვამ „გეოგრაფს“, თურმე, დიქტორის ხმა იავნანასავით რომ ჩაესმოდა ყურში, „განის“ ნაკრები „გლდანის“ ნაკრებად მოსჩვენებია და იმის მიუხედავად, რომ მის საქომაგო გუნდში ყველანი ერთმანეთზე შავი მარგალიტები იყვნენ, თავგამოდებით ქომაგობდა...

„ერა, შვილი, მეჩქარება“

(იუმორი)

ჩემი სოფლიდან (ახალშენი, სამაჩაბლო. გ. მ.) რაიონული ცენტრისკენ მიმავალ არჩილა პაპას დაჩაქჩაქებული სატვირთოთი ტოლიკა (თანასოფლელი) წამოეწია. გაუჩერა, კაბინის კარი გაუღო და წაყვანა შესთავაზა.

– არა, შვილო, მეჩქარება,-მიუგო არჩილა პაპამ და გზა ფეხით განაგრძო. ტოლიკამ ჩაიცინა და

მანაც თავისი გზა გააგრძელა...

ორიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ არჩილა პაპა ხედავს -ტოლიკა სატვირთოს ქვეშ შემძვრალა და ერთიანად მტვერში ამოგანგლული რაღაცას ეჯაჯგურება.

– ხომ გითხარი, შვილო, მეჩქარება მეთქი! – შესძახა არჩილა პაპამ და მანქანაზე გაბრაზებული კაცის პასუხს აღარ დაელოდა. ზნაურამდე ისე ჩავიდა, ტოლიკა აღარ წამოწევია.

ამბავი რაცის უძღურებისა

(მხიარულ თემაზე)

ორ დღეში ახალი წელი დგებოდა. გლდანის აგრარული ბაზრის ერთ-ერთი მაღაზიიდან ჩემმა ნაცნობმა, ირმამ, დამირეკა: მეზობელი მაღაზიის მეპატრონემ, რატიმ,

რამდენიმე დაკლული ღორი და ბურვაკი ჩამოიტანა სოფლიდან, ნაჭრებად ჰყიდის, იაფად, და თქვენთვისაც ხომ არ გადავანახვინო რომელიმე ნაჭერიო. მოვილაპარაკეთ...

რამდენიმე წუთის შემდეგ გამახსენდა-კარგა ხანია, სახლში ღორის თავის ყიდვას მთხოვდნენ და უკეთეს მომენტს ვერ ვინატრებდი. ახლა მე დავურეკე ირმას და ვთხოვე, ბურვაკის, ან ღორის ერთი ცალი თავიც გადაანახვინე-მეთქი. ირმამ დანაღვლიანებულმა მიპასუხა: რატის აღარაფრის თავი აღარ აქვსო!

– როგორ, სულ გაყიდა?-ვკითხე გაკვირვებულმა.

– კი!-მიპასუხა ირმამ.

ამ ბოლო სატელეფონო საუბარს შეესწრო ირმას მეზობელი მაღაზიის მეპატრონე,

თინიკო, რომელსაც, ირმას ბოლო პასუხები რომ მოისმინა (მას, ბუნებრივია, ჩემი ნალაპარაკევი არ ესმოდა), გაოცებისაგან თვალები (და ყურებიც!!!) გადმოსცვივდა...

ნახევარი საათის შემდეგ უკვე მთელი ბაზარი (ბაზარი, აბა, რის ბაზარია!) ჩურჩულით ლაპარაკობდა-რატის აღარაფრის თავი არ ჰქონია, ახალგაზრდა გოგომ თქვა დარწმუნებითო!..

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ყველაზე ბოლოს რატიმ გაიგო.

– მა ვუჩვენებ მაგას, რისი თავი მაქვს და რისი არა!-იყვირა გამწარებულმა და ირმას დაუწყო ძებნა...

„ავტობუსმა ჩაიარსსს!.."

(იუმორი)

ჩემს სოფელ ახალშენში (ზნაურის რაიონი, დღევანდელი სამაჩაბლო) 60-იანი წლების დასაწყისში ცხოვრობდა ისიდორე მ...ძის მრავალშვილიანი ოჯახი. მოგეხსენებათ ღარი-

ბი კაცის მდგომარეობა. ცოლ-ქმარი დაუღალავი შრომით ძლივს კვებავდა მოზრდილ ოჯახს, ისიც , დღეში- ორჯერ.

იმ ხანებში ზნაური-ცხინვალის ავტობუსი დღეში ორჯერ ასრულებდა რეისს-დილას და საღამოს. ჰოდა ისიდორესაც საათი ისედაც არ ჰქონდა და ბავშვებსაც სწორედ მაშინ დააპურებდნენ, როცა ავტობუსი ზნაურის მიმართულებით ჩაივლიდა ხოლმე. ბავშვები კი რისი ბავშვები იყვნენ-ერთთავად შიოდათ, ამიტომ ნაბოლარა ზალიკოც ერთთავად თუთის ხეზე ჰყავდათ შემომჯდარი, ავტობუსის ჩავლა რომ არ გამოჰპარვოდათ ორა-

სიოდე მეტრში გამავალ „ფოშტის გზაზე".

– დედა!.. ავტობუსმა ჩაიარააა!.. – ისკუპებდა თუთიდან ზალიკო და და-ძმებიც აჰყვებოდნენ – ავტობუსმა ჩაიარააა!..

ასე გრძელდებოდა წლობით. ოჯახს კი თანდათან უფრო მეტად გაუჭირდა, მინდვრის

მხალის, სიმინდის თუ ლობიოს ხარშვას ვეღარ აუდიოდა ოჯახის დიასახლისი. ბავშვებ- მა წონაშიც რომ მოიმატეს, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს ისიდორე: ცხოვრება წინ წასულიყო და დღეში ორის ნაცვლად უკვე ხუთჯერ ჩაიქროლებდა ხოლმე ავტობუსი ზნაურის მიმართულებით...

მას შემდეგ ჩემს თანასოფლელებში ასეთი ტერმინი დამკვიდრდა: რომ მოშივდებათ,

დიასახლისს ასე მიმართავენ-დედაკაცო! ავტობუსმა ჩაიარა!..

სერგი ლომაძე

ბოლო აკადემიური ღონისძიება

ოცდაექვსი ივნისის აკადემიური საღამოც არასდროს დამავიწყდება, როცა მირზას სახელობის ბიბლიოთეკას, რომელსაც ქალბატონი ქეთევან (ქეთი) კილურაძე ხელმძღვანელობს, ისევ ეწვივნენ სტუმრები ხელოვნება-მეცნიერების სამყაროდან.

აკადემიის მუდმივმა პრეზიდენტმა – ქალბატნმა გულნაზმ ხარაიშვილმა, ამჯერად რუსთაველები ასტუმრა თბილისს. ეს გახლდათ იქაური მეორე საჯარო სკოლა.

სკოლის დირექტორი გახლავთ – ქალ. ლალი ნაზღაიძე მოადგილე – ნატო ლეკვიაშვილი.

კლასის პედაგოგი –

მუსიკის პედაგოგი –

მართალი გითხრათ, მუსიკალური თვალსაზრისით (და საერთოდაც) ძალიან ძლიერად იყვნენ მომზადებულნი რუსთავის სკოლის მოწაფეები. ასეთი დიდებული მუსიკალური მზადყოფნა უიშვიათესი მოვლენაა. მათ რამდენიმე სიმღერა შეასრულეს ცოცხლად, უშეცდომოდ, ხმებში გაშლით, და გრძნობა ჩაწურეს თავიანთ გამოსვლაში. გაოგნდა დარბაზი ამ გოგო – ბიჭებით. სხვათა შორის, ერთ-ერთმა მათგანმა მირზა გელოვანის ლექსიც წაიკითხა მუსიკის ფონზე... მოკლედ, ამ ბავშვებმა მოიგეს ჩვენი გულები და კიდევაც დაიმსახურეს საჩუქრად ჟურნალ „ათინათის" ერთ-ერთი ნომერი წიგნითურთ, რომელიც სააკაძეზეა დაწერილი. ჟურნალებზეც წიგნებზეც, არაერთმა ადამიანმა დავტოვეთ ავტოგრაფი, – ბავშვებს უხაროდათ ავტოგრაფიანი საჩუქრები, და ჩვენც, რაღა თქმა უნდა, უარს არ ვეუბნებოდით ამ ვარსკვლავურ გოგო — ბიჭებს.

შემდეგ სამივე განყოფილების წამყვანები, მთლიანობაში, თვით ჩვენი ლიდერ-პრეზიდენტი გულნაზ ხარაიშვილი, და მე, ერთად ვიყავით.

ალექსანდრე ციხელაშვილი გადასცემს გულნაზ ხარაიშვილს თავის პორტრეტს

მეორე განყოფილება დიდი ნიკო ხერკელაძის გამოსვლას მიეძღვნა...

მინდა გითხრათ, რომ რაღაც სხვანაირად ვარ შემართული, შემოქმედებითად, ამ წელს.

ეს შემართება მომყვა საღამოზეც. ამ წელსვე ის ლექსი დავწერე, რომელსაც „სამყარო" დავარქვი. მას (ისევე, როგორც ჩემს „უმანძილობას" და ზოგ სხვა ლირიკულ ქმნილებასაც), კახა ბაციკაძემ უპირველესი ლექსი უწოდა. აქვე აღვნიშნავ, რომ კახამ გამოარჩია ჩემი რამდენიმე პოემაც, და, ვთქვათ, „ფოთოლცვენანი" უპირველეს პოემად აღიარა. მან კიდევ ერთხელ გამომარჩია ყველა ავტორს შორის, თუმცა იგი ხომ მეგობარია ჩემი, და ეს დაფასება, მისგან, არ გამკვირვებია...

მოკლედ, დიახ, შემართება არ მაკლდა ისედაც, ხოლო როცა გავიგე, რომ ბატონი ნიკო მოვიდოდა შემოქმედებით საღამოზე, კიდევ უფრო გავიხარე.

ბატონი ნიკო მრავალმხრივი პიროვნებაა, პოეტური სულის მხატვარი, მწერალი, ფილოსოფოსი, ყოველივეს იტევს თავის გონებაში. იგი უნივერსალია. ალბათ, შეიძლება შეხვდეთ მისი სიდიდის ქართველს, მაგრამ მასზე დიდ ქართველს, ალბათ, ვერ შეხვდებით. მართლაც რომ განსაცვიფრებლად დიადი გულ-გონების პატრონია ეს მზისნიერი, ღვთისნიერი ადამიანი, ეს რჩეული საზოგადო მოღვაწე, ხელოვანი-მეცნიერი.

და აჰა, შექმნა გრანდიოზული პოეტურ-პროზაულ-ისტორიული წიგნი – ეპოპეა „ცრემლში ნალესი ხმალი", ასე აღადგინა სახელ-დიდება გიორგი სააკაძისა, ხოლო გიორგისა და მისი შვილის წმინდანებად შერაცხვის საკითხი დღის წესრიგში დადგა. გენიალურ გიორგის იქნებ დღესაც გყავს მტრები, მაგრამ პაატას წმინდანად გამოცხადებას რაღა უდგას წინ, აი, ეს კი რთული სათქმელია.

გამოვიდა, საღამოზე, ბატონი ნიკო, და დატრიალდა ქარიშხალი ინტერესისა. დაისვა კითხვები, ხოლო ორ დიდებულ ადამიანს შორის – ნიკო ხერკელაძესა და ტიტე მოსიას შორის, ძალიან საინტერესო, ყურადსაღები პოლემიკა გაიმართა. საბოლოოდ ორივე მხარე გამარჯვებული დარჩა, ხოლო აღზევდა ხელოვნება და მეცნიერება...

საერთოდ, გამარჯვება-დამარცხება ძალზე პირობითი რამაა. მე, მაგალითად, პოეტურ პაექრობებში უამრავჯერ გამიმარჯვია, მაგრამ იმ პაექრობებს ჩემს წაგებებად ვთვლი (ან ვთვლი გაუქმებულ ბრძოლებად, გაუქმებულ, არშემდგარ შედეგებად), თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანი, რეალურად, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა ეპაექროს და არა – სხვებს. ადამიანმა საკუთარი პიროვნება უნდა დაამარცხოს, რათა პიროვნებავე ამაღლდეს. ნამდვილი მეტოქე მხოლოდ საკუთარი პიროვნებაა, მხოლოდ მასში ჩაბუდებული სისუსტეებია, ხოლო თუ ამათზე გაიმარჯვებ, – თუ საკუთარ სისუსტეებს დაამარცხებ, მაშინ იქნები მარადგამარჯვებული...

დიდებულად ჩაიარა ნიკო ხერკელაძის გამოსვლამ. საერთოდ, ბატონი ნიკო მშვიდი, წყნარი კაცია, მაგრამ ხანდახან აენთება ხოლმე ვარსკვლავივით, მზესავით, და იმ დღეს, ეს ლეგენდა-კაცი, რამდენჯერმე აენთო, ცეცხლი დააკვესა მისმა პიროვნულობამ, იდეა-აზრმა, თუმცა საბოლოოდ ისევე დინჯად, გულსრულად დააბოლოვა თავისი გამოსვლა დიდმა ხელოვანმა, როგორც დაიწყო. დრო მაინც მეტი სჭირდებოდა ნიკოსეულ ვრცელ თემას, ამიტომაც მას ისევ მოვიწვევთ აკადემიაში.

შემდეგ ქალბატონი ლიანა ოსიაშვილი გამოვიდა, რომელმაც სტატია მიუძღვნა ბატონი ტიტეს ერთ ლექსს. ის ლექსი, თავის მხრივ, ლეგენდარულ ბეჟან ხარაიშვილს ეძღვნება, რომლის სახელობის პრემიაც გადაეცა, იმ დღეს, ტიტე მოსიას.

ბეჟანი, გულნაზი, გვანცა, გიო ხარაიშვილი და კიდევ სხვანიც, – ხარაიშვილთა გვარმა დიდებული პოეტები უბოძა ერს, ხოლო ეს დინასტია, პოეტური დინასტია, ქალბატონ გულნაზის თქმით, მისიდან კი არა, მისი უმცროსი ძმიდან – ნაადრევად დაღუპული ბეჟან ხარაიშვილიდან იწყება, – ის იყო პირველი ნაღდი პოეტი ამ ხაზშიო, და ბავშვობიდანვე წერდაო, – ამბობს გულნაზი.

და აი, ბატონმა ტიტემ დაწერა ქმნილება ბეჟანის შესახებ. ქმნილება ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ლია ოსიაშვილმა, იგი, შედევრად გამოაცხადა. არც ვინმე შეჰკამათებია ამაში. ახლა მთელი დარბაზი ერთსულოვანი იყო, - მამა ამირანიც, რეზო ადამიაც, ლამზირა შეყილაძეც, ლეილა გაფრინდაშვილიც, გურამ გედევანიშვილიც და სხვებიც.

იმ დღეს ტიტე მოსიას შესახებ თბილად ისაუბრა ქალბატონმა ლუარა სორდიამ. იმ დღესვე, რამდენიმე დიდი ნაშრომის გამო, ჩვენს ლუარას გენიალური გრანელის პრემია გადაეცა.

როგორც იტყვიან: აქსიოს! აქსიოს! აქსიოს!.. დიახ, – ღირს არს!..

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გარდა თავისი კაპიტალური ნაშრომებისა (ვთქვათ – გალაქტიონზე, გრანელზე და სხვა კლასიკოსებზე), ქალბატონმა ლუარამ შექმნა წიგნი, რომელსაც აღვიქვამ, როგორც დიდი გვარის — ხარაიშვილების საგას. მალე იქნება ამ ახალი წიგნის განხილვაც. ეს იქნება ივლისში, და დიდი მოლოდინი მაქვს იმ დღისადმი. საერთოდაც, აკადემია, წინ, ბევრ რამეს გვპირდება...

P.S. აქვე წარმოგიდგენთ იმ მოწაფეების სიას, რომლებიც ივნისის ბოლო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ:

ლუარა სორდიას ახალი წიგნის პრეზენტაცია

2018 წელი მეშვიდე თვის (ივლისის) მეშვიდე დღე, ისევ ბიბლიოთეკა, დიდი მირზას სახელობისა, ბიბლიოთეკა, რომელიც კულტურის ერთ-ერთ გამოკვეთილ ცენტრად იქცა ქეთევან კილურაძის ხელმძღვანელობის ჟამს.

და აი, ივლისის შვიდში მგონი დასრულდა აკადემიის მერვე სამუშაო სეზონი დასრულდა იგი მირზას სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარებული სუპერსაღამოთი. მაშ, სექტემბრიდან ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემია მეცხრე სეზონს დაიწყებს („ზღვარი“ – მეოცეს, თუმცა ზოგნი, რიგ მიზეზთა გამო, ოცდამეხუთედაც კი ჩაგვითვლიან ახალ სეზონს, იციან, რა, ზღვარამდელი წარსული ჩემი საძმოსი).

ფილოლოგიის დიდოსტატმა – ლუარა სორდიამ, უზარმაზარი შრომების ავტორმა, თავის გამოკვლევებში ფილოსოფიურ წიაღსვლებსაც უხვად რომ იშველიებს, კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, როცა შექმნა წიგნი „სამების სამრეკლოდან”, სადაც მიმოიხილა ხარაიშვილთა დიდი გვარის სამი პოეტის – ბეჟანის, გულნაზის, გვანცას შემოქმედება. წიგნს ურედაქტორა ტიტე მოსიამ, რომელიც ასევე პროფესიონალი ფილოლოგი გახლავთ, ასევე დიდი მოსიყვარულე ფილოსოფიისა, და მხატვრულ ლიტერატურაშიაც კი დაუწერია გარკვეული ქმნილებები. მოკლედ, იგი ხელოვანი-მეცნიერია.

და აი, დაიგეგმა, შედგა კიდეც, ქალბატონ ლუარას წიგნის პრეზენტაცია. თავიდანვე ვიცოდით, რომ ეს შემოქმედებითი (მეცნიერულ-შემოქმედებითი) საღამო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნებოდა, ამიტომაც წამყვანის ფუნქცია, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია, ქალბატონ გულნაზის შევთავაზე, მაგრამ ამჯერად მან იუარა შეთავაზება, წამყვანობა კი მე მომიწია. ვიტყვი იმასაც, რომ კახა ბაციკაძე დასწრო ამ ღონისძიებას, ასე რომ, აკადემიის ძველი ტრიუმვირატი (გულნაზი, სერგი, კახა, ან – გულნაზი, კახა, სერგი) სრული სახით წარმოჩინდა. პრეზიდიუმში იყო მამა ამირანიც – აკადემიის ახალი ლიდერთაგანი (ასაკით, იგი, რაღა თქმა უნდა, უფროსი თაობის წარმომადგენელია. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ ჩვენს აკადემიაში გვიან მოვიდა). პრეზიდიუმს ამშვენებდა თვითონ ლუარა სორდიაც – წიგნის ავტორი.

რაც შეეხება თავჯდომარეთაგან (თანათავმჯდომარეთაგან) უპირველესი – მწერალი რეზო მიშველაძე, პირველივე რიგში იჯდა, მხატვარ რეზო ადამიას გვერდით. არც ნიკო ხერკელაძე, გურამ გედევანიშვილი და სხვები და სხვები აკლდნენ ამ რჩეულ საზოგადოებას. ერთადერთი ალბათ, ვინც ძალიან დააკლდა თვალს, მწერალთა კავშირი დირექტორატის (მმართველი-მდივნები, თანათავმჯდომარეები) ერთ-ერთი რჩეული წევრი — მაყვალა გონაშვილი იყო.

საღამო გაიხსნა (და დაიხურა) ძველი ფოლკ-ანსამბლის „ლაშარის" დიდებული გამოსვლით. ლეგენდარული შავლეგოსავით შავ ჩაიხებში ჩაამწკრივა შალვა ილურიძემ თავისი ჯგუფის წევრები და მთელი სულ-გული ჩადეს სიმღერებში.

ჩემს შესავალ სიტყვას სხვა გამომსვლელები მოჰყვა. ესენი ძალიან გამოცდილი ადამიანები იყვნენ, ლუარა სორდიამ, ტიტე მოსიამ, ბატონმა რეზომ და სხვებმა დიდებულად გაშალეს თემები, ხოლო ბატონმა ნიკომ და მამა ამირანმა თითქოს შეაჯამეს სათქმელი. საღამოზე ისევ გაიელვა კახას უბადლო ნიჭმა, ოღონდაც, ამჯერად, სიტყვის თქმის ხელოვნებაში. მე, ის და გიორგი ზუხბაია, სამივე, საერთოდ, მთავარი პერსონები ვართ ჯგუფ „ზღვარის" წიგნებიდ შექმნაში, იმ წიგნებისა, სიცოცხლეზე მეტად რომ მიღირს, ხოლო „ზღვარის" მუსიკალური ალბომების შექმნაში, რომელიც „მეფის გაუჩინარებიდან" იწყება და რიცხვით რვაა, იქაც სამნი ვაქტიურობდით, თუმცა კახა ძალიან გამოირჩეოდა. ალბომი „პოეზია" ასევე – „ჰამლეტის ვნებანი" და სხვანი, თუნდაც ამ ადამიანის გენიის გარეშე. მაგრამ ...

მაგრამ საღამოს მთავარი გმირები, იმ დღეს, ხარაიშვილები იყვნენ. ქალბატონმა გულნაზიმ სანათესაოს მოზრდილი ნაწილი წარუდგინა საზოგადოებას. ყველა განსაკუთრებით გაახარა ადრეწასული პოეტის-ბეჟანის შტოს დღევანდელმა სიკეთე-სინათლემ. (სხვათა შორის, ბეჟანის შვილს პირადად ვესაუბრე დიდხანს, – ღონისძიების შემდეგ). ხოლო თვითონ გულნაზ ხარაიშვილი საღამოს ცენტრალურ ფიგურად იქცა ისევ, და ღონისძიების გარკვეული ნაწილი, მისდაუნებურად მაგრამ მაინც, მთლიანად მისი ნიშნით წარიმართა.

საერთოდ, დღეს, როცა კულტურის სხვადასხვა დაწესებულებებს კრიზისი აქვთ, ეს დაწესებულებებიც და, ზოგადად, კულტურაც, აკადემიებს დაეყრდნო, და აკადემიათა როლი გადამწყვეტი გახდა. ამიტომაც მათზე, მითუმეტეს – მათ პრეზიდენტებზე ბევრი რამ გახდა დამოკიდებული. ჩვენი აკადემია, როგორღაც, ყველაზე აქტიურია, ამიტომაც გულნაზ ხარაიშვილის როლი განუზომელია, და ბევრი ადამიანიც, ორგანიზაციებიც (თუნდაც – დღევანდელ მწერალთა კავშირი) მასში ხედავს საიმედო დასაყრდენს. ქალბატონი გულნაზიც, რომელიც ბოლო ათწლეულში როგორც კულტურული სფეროს ავტორიტეტი, ძალიან აღზევდა, შეძლებისდაგვარად ეხიდება ყველას, მოგეხსენებათ, რომ თვითონ იგი სავსეა პრობლემებით, და დღემდე არ ვიცი, როგორ ახერხებს ინტენსიურ წინსვლას, შეუფერხებელ მუშაობას...

მაქვს ერთი ასეთი ლექსი - „მწვერვალი" („სტრიქონი- სისხლი") რომელიც არის ყვირილი დაუოკებელი სულისა, რომელიც სწრაფვაა უსასრულო სიმაღლისაკენ, მარადისობისაკენ, იმ სივრცისაკენ, სადაც სიცოცხლეც და სიკვდილიც ქრება და რჩება უმაღლესი უკვდავება. და აჰა, ლირიკული გმირი დაეძებს მწვერვალს, მიიწევს რა მისკენ, ხოლო ვერავინ, ვერაფერი აჩერებს მას... პოეტი, პოეზიაა ეს ადამიანი, მის ვენებშიც კი სტრიქონები დადის სისხლად პოეტურობაა მისი სამყარო...

და მე, ალბათ, არც ვიცი, რომელია ჩემივე საუკეთესო ქმნილება (ქმნილებები) ... დიახ, ალბათ, არც ვიცი...

მაგრამ საუკეთესო გზა – პოეზიაა, ქრისტეს გზა, რუსთაველის გზა...

დღეს, რეალურად, ამ გზაზე დგას ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემია, თავისი ღვაწლმოსილი ლიდერითურთ.

და ლუარა სორდიამ ზუსტადაც რომ საჭირო დროს შექმნა ეს წიგნი, სადაც წარმოჩენილია ქალბატონ გულნაზის დიდებული პერსონა.

მაგრამ ბეჟანის გარეშე ვინ თქვა ხარაიშვილთა პოეზია?

და ბეჟან ხარაიშვილის ხატებაც დაიტია წიგნმა;

ხოლო ვინ თქვა წარსული და აწმყო მომავლის გარეშე?

ხოდა, გვანცა ხარაიშვილიც დაიტია წიგნმა (სხვათა შორის, გვანცა მეუღლესთან ერთად იყო მოსული. მის მეუღლესაც ახლოს ვიცნობ).

და ასე შეიქმნა რკალი ხარაიშვილთა სამეულისა. ხოლო საღამოც, ის საღამოც, დარჩა აკადემიურ ისტორიაში...

ანზორ ჯაფარიძე

ალსარება

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№25-28-სა
და ანთოლოგიის მე-6 ტომში

***

დავიწყე მეორე გამოგონებაზე ფიქრი. გვყავდა პროფესორი კაცი გამყრელიძე, რომელიც წყლის ონკანების პრობლემებზე მუშაობდა, მას ჰქონდა გამოგონება; მსოფლიოში ყველაზე დიდი პრობლემა სასმელი წყალია, იღვრება უაზროდ, ვიყიდით იაპონურ, ფრანგულ, იტალიურ ლამაზ ონკანს გადასარევი დიზაინით, დავაყენებთ და ერთ თვეში წყალი მოწურწურებს, ეს ხდება გემებზე, უდაბნოებში, მთელ მსოფლიოში და საშველი არ არის, გამყრელიძემ გამოიგონა სასწაული, მილში მოვარდნილი ჭავლი პირდაპირ წყლის ონკანის სუსტ მგრძნობიარე რეზინის ნაწილს, ტყავის ნაწილს ეხეთქება ხან ცხელი და ხან ცივი, უცბად გამოდის მწყობრიდან... ჩვენმა პროფესორმა და ზოგიერთ საკითხებში ჩვენც გვიჭრიდა ჭკუა, აღმოაჩინა სასწაული, წყალი ისე შეიყვანა მილში, დაკეტვაში წინაამღდეგობას კი არ უწევდა, არ ეხებოდა, არამედ დაკეტვაში ეხმარებოდა და ამრიგად ის მგრძნობიარე დეტალები აღარ ზიანდებოდა, დააყენეს ჩაის ფაბრიკის დირექტორის სახლში, 2 წელი იმუშავა, მოვიდა კომისია, მოხსნეს და განაცხადეს: ეს ძველი კი არა, ახალი დაყენებულიაო. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჰქონდათ დანადგარი ავტომატური, სადაც დააყენებდნენ ონკანს და ავტომატურად იხსნებოდა და იკეტებოდა, წყლის ჭავლის ქვეშ გაუცვეთავიაო, მოსკოვში გავაგზავნეთ და 50 წელი არ მოიშლება, უბრალოდ, გვერიდება მეტს ვერ ვიტყვითო. ხოდა, ამ გამყრელიძეს თავის მობმა არ შეეძლო ორგანიზაციული საკითხებისათვის, ჩვენც ჩაგვრთო. აი ამ დროს გავიცანი ის კომპრომისების დიდოსტატი ბუღალტერიაში, მაგრად გათვითცნობიერებული პიროვნება, მაშინ ის მუშაობდა კუკიაზე “წყალმელიორაციას” ემსახურებოდა, დიდი ორგანიზაცია იყო, აი ამ გენიოსმა კაცმა აიტაცა იდეა, დაიწყო ამ საქმისთვის ცალკე საამქროს მშენებლობა, მახსოვს, მე მივლინებით გამაგზავნეს ქალაქ დნეპროპეტროვსკში “პრეს ფორმები” უნდა შემეკვეთა (აქ დიდი ქარხანა იყო წყლის ონკანების). თვით ქარხნის ხელმძღვნაელობაც ძალიან დაინტერესდა და აი ახალი საქმე — მე განვუცხადე ქარხნის ხელმძღვანელობას, თავისუფალი დრო მაქვს, ქარხანას კი უზარმაზარი თავისუფალი თანხები, და პარალელურად ახალი საქმე ხომ არ წამოვიწყოთ-მეთქი. დაინტერესდნენ. ეს ის დროა, “უძრაობის”, ჯერ 9 აპრილის ტრაგედია არ მომხდარა, ჯერ კიდევ უხვად არის შემორჩენილი საჭმელ-სასმელის სიუხვე, ხალხი ისეა გაზულუქებული დღედაღამ ფიქრობს სად დავისვენოთ და სად უკეთესი დრო გავატაროთ, თბილისის ახლო მახლო ადგილები ხალხს მოწყენილი ჰქონდა და ხომ არ შევქმნათ მაგალითად, გომბორისაკენ რაიმე დასასვენებელი ადგილი თავისი დამხმარე მეურნეობით-თქო: იდეა მოეწონათ, მე მქონდა ასეთი პროექტი — ბიზნეს გეგმა, ადგილიც შერჩეული მქონდა გომბორში სოფელ ოთარაანთ კარში, გამეხსნა საცხენოსნო ტურიზმი ტურიზმზე ამ დროს ჩამიჩუმი არ ისმოდა. აქედან გადადის საუკეთესო ტრასა — ბოჭორმის ეკლესია (თიანეთის გზაზე) “საქართველოში ალბათ ყველაზე მაღალ ადგილზე არის აშენებული, ყაზბეგის შემდეგ, საცალფეხო ბილიკით ვუკავშირდებით, ორი-სამი საათი გვინდა ეკლესიამდე რომ მივაღწიოთ; ეკლესია საკმაოდ გრანდიოზულია, დიდია და ულამაზესია, დაილოცა მისი მადლი. მე და ჩემი დები დედას და მამას ურმით დავყავდით, გამოუშვებდით ურემს, მთის ძირში სოფელია ბოჭორმა და ფეხით შევუდგებოდით დიდ აღმართს...

ეკლესიას შემორჩა ულამაზესი ფრესკები, ძალიან უნიკალური ნაგებობაა, კოლექტივიზაციის დროს (საგარეჯოს რაიონია ეს ადგილები) კოლმეურნეობის უღმერთო და გარეწარ, უწიგნურ მედროვე ხელმძღვანელებს დინამიტი აუფეთქებიათ და თაღის ნახევარი ჩამოუნგრევიათ. საოცარი რაღაც არსებობს, ამ მწვერვალზე, ჭა! რამ აიყვანა, რა მადლმა იქ წყალი ან ვინ მოიფიქრა აქ წყალი იქნებაო. — ჩაფიქრებული მქონდა ამ ტრასით ავიდოდით სიონის წყალსაცავზე. ავიდოდით თიანეთში, ლაშარობის ადგილებს მოვინახულებდით, თიანეთის სანახებს ვიხილავდით, შემდეგ ახმეტა, ცხრაკარა, ზეზვას და მინდიას სამშობლო "ალავერდი, იყალთოს აკადემია, წინანდალი — ალექსანდრეს საოცარი ბაღები, თელავი, ერეკლეს სახლ-მუზეუმი და შუამთა — ძველი და ახალი, ისევ გომბორი, ოთარაანთ კარი — ძალიან, ძალიან საინტერესო ტრასა იყო, ამ დროს, როგორც ზევითაც ვახსენე, ტურიზმზე და ასეთ იდეებზე ჩამიჩუმი არ ისმოდა. მე გავბედე და დავიწყე ამ საინტერესო საკითხზე ფიქრი, "წყალტუმბოსერვისის" ხელმძღვანელობამ აიტაცა ჩემი იდეა — შევქმენი საინიციატივო ჯგუფი, შევედი საგარეჯოს რაიკომის მდივანთან, მაშინ ცხონებული მედეა მეზვრიშვილი იყო, ახალგაზრდობაში ულვაშებმობიბინებული, ულამაზესი გოგო იყო; კომკავშირის რიგებში მან მიმიღო.

ქალბატონმა მედიკომ კარგად მიიღო ჩემი იდეა, აღფრთოვანდა, მე ვთხოვე: მომეცით ივრის პირას კაშხალთან სოფელი მოსაცური, რომელიც მიტოვებული ნასოფლარია — ერთადერთი მოხუცი ქალბატონიღა ცხოვრობდა — მომეცით ივრის პირას ოთარაანთ კარში 10 ჰა ფართობი და საინტერესო საქმეს წამოვიწყებ-მეთქი. ამ კუთხესაც დავასაქმებ და იმდენს შევძლებ საზღვარგარეთელ სტუმრებსაც ჩამოვიყვან-მეთქი. მედიკომ მომიწონა ყველაფერი, დავდე ბიზნეს-გეგმა — სამი ჰექტარი საგუბარი ივრის პირას, სანადირო ადგილები, დამხმარე ნაგებობები და მოსაცურში ტურიზმის ცენტრი ყველაფერი რომ შევათანხმე — დავიწყე საინიციატივო ჯგუფთან ერთად მუშაობა. გროზნოდან ტრაილერებით ჩამოვიყვანეთ 400 სული ჯიშიანი (შავ-ჭრელი ჯიშის) ღორი — ცოცხალი წონა 700 კგ-ს აღწევდა, პირველ ხანებში დამზადების წერტი იყო და მათ ეზოში დავბანაკდით, პარალელურად დავიწყეთ სათანადო ფერმის მშენებლობა, თითქმის თვენახევარში დავდგით (სხვას შეიძლება ერთი წელი დასჭირვებოდა) თანამედროვე საღორე, მოვაწყვეთ 30 დედა ღორზე დოლფარები, მაკე ღორების დასადოლებელი ადგილი, სასწაული იყო ისე შევაჯვარებინეთ კერატებს, რომ 2-3 დღის ინტერვალით იმშობიარეს (დაყარეს) და ერთდროულად 300 გოჭი გვეყოლა — 2-3 რაიონი მოდიოდა ჩვენი საქმიანობის სანახავად.

მახსოვს, 400 სულში ერთი ყორანივით შავი დაკოდილი ჭედილა იყო, თვალი დავადგი, ეს ნეკრესის ეკლესიის ზვარაკი შეწირულია მეთქი — ჩაწვებოდა საკვებურში და ისე ჭამდა, სასწაულად იმატებდა წონაში, დადგა ნეკრესში ლოცვის დღე (ნეკრესი ყვარლის რაიონშია, ერთადერთი სალოცავი მაღალ მთაზე, სადაც ღორს კლავენ შესაწირად, დიდი ლეგენდა არსებობს ამ ეკლესიაზე. უწინ ლეკიანობისას ციხე-სიმაგრის როლსაც ასრულებდა, ერთხელ ალყა შემოურტყიათ ლეკებს, დაიმშა ხალხი, აღარც წყალი აქვთ აღარც საჭმელი დღე-დღეზე უნდა გატეხილიყვნენ, აი, ერთმა მოიფიქრა — დაკლა ღორი და ტყავი გამოფინა გალავანზე, დაფრთხა ლეობა და ალყა მოხსნეს, აქედან მოდის ეს ტრადიცია).

ვფიქრობთ, ამხელა ღორს როგორ ავწევთ "უაზი" გვყავდა "ბორტებიანი", როგორ შევაგდებთ მეთქი და, აი, მძღოლმა უკანა ბორტი გადმოხსნა, ცოტა დაბალ ადგილას ჩააყენა მანქანა ისე, რომ "ბორტი" მიწას ეხებოდა და ჩვენი ზვარაკი თავის ფეხით ავიდა მანქანაზე, გავვოცდით ნეკრესში რომ ჩავედით, დანა რომ ჩაარტყეს მარტო მაშინ გავიგეთ მისი ხმა — აქ გვყავდა მთელი ჩვენი ხელმძღვანელობა, ხინკალიც კი გავაკეთეთ — საქეიფო მაგიდები არის და მთელი კახეთი ამ ტრადიციას ინახავს, უფრთხილდება.

***

მაპატიეთ, თხრობას გადავუხვევ,

ჩემს აღსარებაში ცოტა უფრო ვრცლად მინდა გესაუბროთ ქალბატონ მედიკო მეზვრიშვილზე, მე ასე ვიცი და ბავშვობიდან ასე დამრჩა მეხსიერებაში, ლოჭინის ხიდიდან არ არსებობს კუთხე, არ არსებობს ძეგლი, ციხე-ეკლესია ქ-ნ მედიკოს მადლიანი ხელი რომ არ შეხებოდეს, საგარეჯოს, გურჯაანს, თელავს, სიღნაღს მისი დიდი მოფერება ატყვია. მარტო ის რად ღირს —

თელავის თეატრის შენობა რომ შექმნა როგორც საკუთარი ძეგლი, არ არსებობდა გაჭირვებული მისი ხელი რომ არ მისწვდომოდა — მეგობრობა იცოდა, ბევრ ვაჟკაცს არ შესწევს მისი ერთგულობა, ყველა რომ შემოეცალა, ყველამ რომ უღალატა — მედიკო სიკვდილის წუთამდე ერთგული შერჩა ედუარდ შევარდნაძეს — არადა, მე მახსოვს, ერთ სუფრაზე ვართ ვალერიან ადვაძე, დიდი სვანი ვაჟკაცი ანზორ ჩარქსელიანი, ძალიან სერიოზული საზოგადოება. აირჩიეს თამადად ერთი ახალგაზრდა კაცი (სახელს შეგნებულად არ ვასახელებ), ამჟამად ეს კაცი მთავრობაში დიდი ფიგურაა — საჭმელი არ შეგვარგო – წამოხტება და შესძახებს — გაუმარჯოს პრეზიდენტს, გაუმარჯოს პრეზიდენტს — ედუარდს ადღეგრძელებდა დანამული თვალებით — არადა, დრო როგორც შეიცვალა, პირველი მან დაუწყო გინება: ეგ ასეთი და ისეთიო... ქალბატონი მედიკოსაგან ბევრმა უნდა აიღოს მაგალითი — ერთ დღეს სოფელში ვარ და მობილურ ტელეფონზე მესმის მედიკოს ხმა — ანზორი 28 აგვისტოს ეკლესიას ვხსნით და აუცილებლად უნდა დაესწროთო, ისე დავიბენი ვერც ხო ვთქვი და ვერც არა — გია არსენიშვილის ყოფილი გუბერნატორის ინიციატივით აშენდა ეს ლამაზი ეკლესია ზუზუმბოს მთაზე — ასე ჰქვია ამ მთას, სადაც კომუნისტები საბრალო ხალხს "რომლებსაც ხალხის მტრებს ეძახდნენ" გაუსამართლებლად ხვრეტდნენ და აი, მთელი ოჯახი დაგვპატიჟა, ჩემს მძახალსაც დავბატიჟებ, დამსახურებულ მხატვარს ომარ ჩიტალაძეს — დაიწყო გახსნის ცერემონიალი, აქ არიან თბილისიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, უცებ ვიღაც კორესპონდენტების ჯგუფმა შემომარტყა ალყა — ბატონო, როდის იწყებ ეკლესიის მოხატვასო, გავგიჟდი, როგორ გეკადრებათ, რაღაც გეშლებათ-მეთქი. იქვე მდგომ ჩემს მძახალს დავალაპარაკე — გაუკრვეველ სიტუაციაში ვარ — მთავრდება ცერემონიალი და ვინმე მილორავა მოვიდა ჩემთან, ქალბატონმა მედიკომ მე მომამაგრა, შუამთაში რესტორანში გაშლილია სუფრა 100 კაცზე და შენი სტუმრებიანად უნდა წამოხვიდეო — არ მომეშვა — გამიწყრებაო და წაგვიყვანა — მიმდინარეობს სუფრა — იღვრება სადღეგრძელოები და უცებ ქ-ნი მედიკო ადგა ფეხზე, ჩამჭიდა ხელი და მივყავარ თამადისაკენ (ბიძინა სონღულაშვილი იყო გუბერნატორი და მიმართავს — ბიძინა! ბიძინა! აი ეს არის ანზორ ჯაფარიძე, ვინც ეკლესია უნდა მოგვიხატოსო, მე გაოცებული მივმართავ: არა, ქალბატონო, რაღაც გაუგებრობაა, რაღაც გეშლება-მეთქი, მაგრამ ვინ გისმენს, ერთხმად მადღეგრძელეს, როგორც მხატვარი — წამოვედით ისეთი შეწუხებული. აღარ ვიცი რაღა ვქნა, ბოლოს ჩემმა მძახალმა გამომიყვანა გასაჭირიდან, მეორე დღეს შევედი ცხონებულთან, ავუხსენი ყველაფერი, თურმე ვიღაცას შეშლია (მაცხოვარი, რომ აღვადგინეთ და დედა ღვთისმშობლის ეკლესია) მხატვარიაო, უთქვამთ — მე წარვუდგინე ჩემი მძახალი — გაეხარდა — ჩემ მძახალს ჰყავს მეგობარი დათო ხიდაშელი ხატმწერი, უწმინდესის მხატვარი — შევთანხმდით, მე მათ დაბინავებას —კვებას-პატრონობას ვპირდებოდი — სხვა საშუალება არ მაქვს-მეთქი. ჩავიყვანე მხატვართა ჯგუფი — გააკეთეს ბრწყინვალე პროექტი, 12 ფურცელი ოქრო მიდის (ასეთი ტერმინი აქვთ მხატვრებს), საერთო ღირებულება 24 ათასი დოლარი ჯდება — გახარებულია ქალბატონი მედიკო, პროექტი მიიღო და მოიწონა კახეთის ეპისკოპოსმა მეუფე დავითმა (მახარაძემ). ვართ შემართული დღე-დღეზე უნდა დავიწყოთ მუშაობა და, აი, უბედურება! ქალბატონი მედიკო გაათავისუფლეს თელავის გამგებლობიდან. დარჩა ეს შესანიშნავი პროექტი განსახორციელებელი. მე აღარ ვიცოდი როგორ მომეხადა ბოდიში — წმინდა ნინოს ნათელი სულისათვის — 10 ეგზემპლარი სახარება გამოვიდა მთლიანად საქართველოში ხის მოჩუქურთმებულ ყდაში, ერთი ცალი მე დამითმეს ეკლესიაში შესაწირი ჩემმა მძახალმა ულამაზესი ჭედურობა გამიკეთა წმინდა ნინოს გამოხატულებით, ვილოცე, ბოდიში მოვიხადე მისი სიწმინდის წინაშე და მოკრძალებით შევწირე...

რა არ ვნახე, რას არ მივედ-მოვედე, ვცდილობდი ცხოვრებას არ ჩამოვრჩენოდი — უცნაური ხასიათი მქონდა, ყველაფერს ვგეგმავდი, ყველაფრის პერსპექტიულ გეგმას ვადგენდი, რაიმე მშენებლობა იყო თუ წვრილმანი საქმიანობაც კი, არ ვტოვებდი შეუსრულებელს, რასაც კი ჩავიფიქრებდი. დღეს აქტიურად ვკითხულობ პოლ ბრეგის სრულიად საწინააღმდეგო აზრებს, არ იფიქრო ხვალინდელ დღეზე, იფიქრე და იცხოვრე დღევანდელობით. დღესაც არ ჯდება ჩემი ცხოვრების წესებში, ეს მაგრამ ვინ არის მართალი ხომ უფალმა ღმერთმა იცის...

***

ღმერთო ნაცვრა მანაცრე და ნაცვრა შემისრული.

ვუბრუნდები ჩემს იდეას — "საცხენოსნო ტურიზმი". ვუბრუნდები დამხმარე მეურნეობის წარმოებას გომბორში; ოთარაანთკარში...

ყაბარდო-ბალკარეთიდან შემოვიყვანეთ "ანგორის" ჯიშის თხა — 100 სული — მაშინ, ჩვენს სასიქადულო მსახიობს, ერისშვილს ზურაბ ქაფიანიძეს თიანეთში ვიღაც მწერალთან ერთად ჰყავდა ეს ჯიში, ეს იყო საპარსი თხა, ანგორის ჯიშის, ძვირფასი მატყლი ჰქონდა, ფეხები არ უჩანდა, მატყლში ისე ჰქონდათ გახვეული — ზ. ქაფიანიძემ შარფების ქსოვა დააწყებინა ხალხს და დიდი წარმატებაც ჰქონდა — ჩვენი მეურნეობისა და განსაკუთრებით თხების სანახავად რაიონებიდან მოდიოდა ხალხი. შევიძინეთ ასი ოჯახი ფუტკარი (ფუტკარი ჩემი ჰობია) დიდი საქმიანობა დავიწყეთ; ორი ჭაბურღილი დავბურღეთ. ეს მხარე სასმელი წყლის გარეშე იყო დარჩენილი; დაიწყო აქტიური საქმიანობა. დავიწყეთ ფიქრი ოთარაანთკარიდან მაღლა მოსაცურამდე საბაგირო გზის გაყვანაზე. დაბლა ივრის პირას უნდა ყოფილიყო დამხმარე მეურნეობა სტუმრისათვის სამამულო პროდუქტი რომ მიგვერთმია, მაღლა ალპურ ზონაში ზამთარში სათხილამურო პირობებიც კი არის. მოსაცურში ვფიქრობდით კოტეჯებს სტუმრებისათვის, საჯინიბოებს, ცხენებს, ეგერებს, ოთარაანთ კარში მდებარე საგუბრებში (3ჰა-მდე იყო) ჩავსხით 1.5 ტონა ლიფსიტი — 6-7 თვეში 600-700 გრამიანი გახდა თევზი, ვიზუალურად ვითვლიდით და 50 ტონამდე ვანგარიშობდით, ტბორებში საბაგირო გზებით უნდა შეგვეყვანა სტუმარი და თავისი დაჭერილი თევზი კვების ობიექტზე მიგვერთმია სტუმრისათვის. თხის ნამატი, ღორის ნამატი, ფუტკრის შემოსავალი — საუკეთესო ღალიანი ადგილები იყო ვაშლისა და ცაცხვის ზონა — გეგმაში გვქონდა გარეული ღორისა და კურდღლის მოშენება — გარეულ მამალ კურდღლის შეჯვარება გვირჩია შინაურ დედალ კურდღელთან — მაშინდელმა მონკავშირის თავმჯდომარემ ოთარ წულუკიძემ — ჩემმა მეგობარმა — ძალიან გამოცდილი კაცი იყო. ასე შეჯვარებული კურდღელთან შედარებით სწრაფი გამოდიოდა და ადგილსაც ხშირად არ იცვლიდა — დაგეგმილი გვქონდა და უკვე ეგერებიც შერჩეული —რომლებიც მონადირეებს დახვდებოდნენ . მაგალითად ჩამოვიდა ოჯახი სულ ნახევარ საათში თბილისიდან დახვდა კომფორტული თბილი ბინა, კვების ობიექტი და სასროლი სტენდებიც კი დამწყების გასაწვრთნელად, ჯერ აქ ავარჯიშებდა ეგერი, შეასწავლიდა ნადირობის უსაფრთხოების წესებს და მერე გაუძღვებოდა სანადიროდ და სათევზაოდ, ძალიან საინტერესო და პროგრესული საქმე იყო — თავის ნანადირევს და დაჭერილ თევზს იქვე მოუმზადებდნენ კვების ობიექტში და მიართმევდნენ, მაგრამ "კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო" — დაიწყო 9 აპრილის მოვლენები, დაიწყო არეულობა, დაიწყო საბჭოთა კავშირის ნგრევა და ნანგრევებში ნელ-ნელა ჩვენც ვეფლობოდით, ამ დროს გადამიყვანეს კონტროლის პალატაში, ფაქტობრივად ჩემს დაწყებულ გამოგონებებს და ყველა წამოწყებას ჩამოვშორდი, დრომ და ჟამთასვლამ ყველა იდეა შეიწირა, გაიყინა ყველაფერი და ნელ-ნელა დაინგრა.

***

"წყთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, -
კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი"
მ. მაჭავარიანი

მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს.

პოლიტიკა და პოლიტიკოსები. ერთ დროს პოლიტიკაშიც მომიხდა თავის გაყოფა, ვალერიან ადვაძე — ეს უნიჭიერესი ადამიანი კენჭს იყრიდა პრეზიდენტობის კანდიდატად. 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. მე მთხოვა მისი მხარდამჭერი ვყოფილიყავი, წარმადგინა თელავის რაიონში, თელავის პრეფექტის კანდიდატად, კენჭს ვიყრიდით ავთო რცხილაძე (მედოლე), ზურაბ ქაფიანიძე, მე და კიდევ რამდენიმე კანდიდატი. სულ 7 კაცი. მე საერთოდ არასოდეს არ მიფიქრია

პოლიტიკოსობაზე, მეჯავრებოდა პარტიული სამუშაოებიც. ერთხელ თელავის კომკავშირის რაიკომის მდივნობას მთავაზობდნენ (როინ მეტრეველის კომკავშირის ცეკას მდივნობის დროს) და თავი ავარიდე — არ იჯდა ჩემს სტილში, ამ შემთხვევაში ვერაფერი ვთქვი ბატონ ვალერიანის ხათრით, დავიწყე ფიქრი, როგორ დამეჭირა მხარი ვალერიანისათვის, დღე და ღამე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, სად როგორ უნდა გამოვსულიყავი, შეხვედრებზე, ორგანიზაციებში, სკოლებში, ქარხნებში, ღვინის მარნებში. მორიდებული კაცი ვარ, მაგრამ ისე შევედი აზარტში, აღარაფერი მახსოვდა ამ კამპანიის მეტი — უკვე სისხლში და ხორცში ჯდებოდა პოლიტიკოსობა, ეს საზიზღარი და მავნე დაავადება. მართალს ვამბობ, პოლიტიკოსობა ყველაზე საზიზღარი დაავადებაა და ჩემიანს არავის ვუსურვებ ამ სენით დაავადებას.

ისევ სჯობს მიწა ვთოხნოთ, რაღაცას მაინც შევმატებთ ქვეყანასაც და ჩვენს ოჯახებსაც, მაგრამ პოლიტიკოსობით ავანტიურის, ზნედაცემული მატყუარობის მეტს ვერაფერს ვაკეთებთ, თუ სადმე უბედურება ხდება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ომი, ავადმყოფობა, შიმშილი თუ კარგად დავუკვირდებით, ყველაფერი პოლიტიკოსობის ზნედაცემული, ეგოისტური განდიდების მანიით შეპყრობილი თვისებების გამო ხდება.

ერთხელ სოფელ იყალთოს საშუალო სკოლაში მქონდა შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან და ინტელიგენციასთან, არ ვიცი, რას აღარ ვქადაგებდი — ზოგს ჩემს აზრს, ზოგს ბატონ ვალერიანისას კარგა ხანს ვმოძღვრე საზოგადოება უცბად ერთი ახალგაზრდა პედაგოგი კაცი ცინიკურად მისვამს შეკითხვას, პოლიტიკოსად თუ თვლი თავსო, ჯერ დავიბენი, გავშრი, მაგრამ უცბად იუმორი მოვიშველიე, პოლიტიკოსობისათვის გურულობაა საჭირო-მეთქი. მე კი კახეთში გაზრდილ-დაბადებული რაჭველი კაცი ვარ. იუმორში განვმუხტე სიტუაცია, თორემ ვინ იცის, როგორ გავბითურდებოდი.

ერთხელ ნაფარეულის ღვინის ქარხანაში დავნიშნეთ შეხვედრა, 2 საათზე უნდა შევხვდერილიყავი ხალხს — ათ საათზე მომიტანეს ინფორმაცია საათი შევცვალოთ, თორემ მრგვალი მაგიდის ლიდერები დარბიან რუპორებით და შეხვედრის ჩაშლას აპირებენო, მომხემარა მაშინდელი ღვინის ქარხნის დირექტორი მერაბ ხიდაშელი და თორმეტ საათზე შევხვდი ხალხს — გადავრჩი, უდიდესი წარმატებით მივდიოდი, ხმების დიდი რაოდენობა გროვდებოდა და მოულოდნელად ჩემმა ნათესავმა შემატყობინა, რომ სახლის აფეთქებას გიპირებენ თუ არ შეწყვეტ ამ კამპანიასო და შევუთვალე ბატონ ვალერიანს: - ნუ ჩაიდენ ცოდვას, ნუ დამღუპავ რაც გინდა ის დამავალე, ოღონდ ამ პოლიტიკანობას მომაშორე-მეთქი. არადა, ჩემს საფიცარ და სანატრელ დედას ვეღარ ვხედავდი, ცოლ-შვილს დავშორდი, ყველაფერი დამავიწყდა, დღე და ღამ მხოლოდ ამ სიბინძურეზე ვფიქრობდი, დაპირებები, დაპირებები, დაპირებები, ზოგი ტყუილი, ზოგიც მართალი — (მედოლემ) რცხილაძემ მიიღო ჩემზე მეტი ხმები და პრეფექტიც ის გახდა. ვალერიანს მე მაინც საკმაო ხმები შევმატე, შორს პოლიტიკა, შორს პოლიტიკოსები, ფრთხილად ძვირფასო მოქალაქეებო, დებო, ძმებო, მეგობრებო. ერიდეთ და უფრთხილდით ამ სენს — ეს უსაქმურების, მუქთახორების, მომხვეჭელების საქმეა.

დაიბადება ვიღაც ავანტიურისტი პოლიტიკოსი, გააბრიყვებს ცხვართა მცხონავთა საზოგადოებას და დაუწყებს გამოყენებას ყველანაირად, გვიყენებენ და თან დითირამბებს გვაძახებინებენ, როცა უნდათ მაშინ მიგვიშვებენ ხიშტით ხელში ერთმანეთის გამოსაფატრავად. გვხმარობენ და ვუძახით — ვაშა, ვაშა, ვაშას! ველოდებით ახალ ბრძანებას — რითი ვასიამოვნოთ. ცხვრები ვართ და ნამეტნავად გვსიამოვნებს მათი ბრძანება, თან ვუძახით — ღმერთმა შეგარგოთთქო. მაგრამ ცხვრის ფარას ყოჩი სჭირდება, გასაქეჩად კი ვაცია საჭირო და აუცილებელი, ადამიანები თვითონ ვიდგამთ უღელს, თვითონ ვირჩევთ სულის ამომხდელ მთავრობას, თვითონ ვეწირებით მსხვერპლად, ზვარაკად... მონები ვიყავით და მონები ვართ. ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, მაშინ, როცა შენი დაქირავებული მთავრობა, შენი არჩეული ლიდერები შენ უნდა გემსახურებოდნენ, დღედაღამ შენს ბედნიერებაზე უნდა ფიქრობდეს, პირიქით ხდება. მონებო, მონებო, მონებო, გონს მოვეგოთ, აღვიდგინოთ თავმოყვარეობა.

პოლიტიკა ქმნის ყოველგვარ სიბინძურეს, ყოველგვარ ჭუჭყს, სიმყრალეს. ეს მოდიოდა ათა-ბაბადან და დღემდის ვერ შევიგნეთ, ათასი ხრიკი, მეთოდი გააჩნია პოლიტიკოსს, რითი გა-

გაუბედუროს, დაგიმორჩილოს, თავის მსახურად და მარიონეტად გაქციოს, აბა გადავხედოთ ისტორიას.

***

შეიძლება მრავალ ენაზე ლაპარაკობდე, მაგრამ მხოლოდ ერთ ენაზე უნდა ახროვნებდე, მშობლიურზე.

ღმერთო ჩემო, როგორ ემგვანება ჩვენი დღევანდელი ყოფაქცევა, ზნე და ავი თვისებები ჩვენს წარსულს, ნუთუ დადგება დრო, აღვასრულოთ წმინდა ილია მართლის სიტყვები ოცნება: "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო", ჯერ იყო და მუსულმანური სამყარო გვაიძულებდა ჩვენი შვილები მათი მეურვეობის ქვეშ გაზრდილიყვნენ, ჩვენი უბედობისაგან განაწამები მეფეები მძევლად უგზავნიდნენ მეფისწულებს, შახებს, ფაშებს, სულთნებს, ულამაზეს ყმაწვილებსა და ქალწულებს, რომლებიც იზრდებოდნენ მუსულმანური ზეწოლის ქვეშ და საბოლოოდ თუ ეღირსებოდათ სამშობლოში დაბრუნება, მათ ქართული სული ამოხდილი ჰქონდათ და სამშობლოზე ფიქრი უარყოფილი — მზად იყვნენ გაეწირათ ყველაფერი, ოღონდ ტახტი და თანამდებობა ჩაეგდოთ ხელში და ემართათ უცხო სულით, დღედაღამ იმის ფიქრში იყვნენ, როგორ ამოეშანთა ყოველივე ქართული...

გაიარა დრომ და რუსეთის ვასალები გავხდით, ქართველები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ მეტს შეძლებდა რუსული სულის ჩათესლებას, ჩვენით ვუყოფდით თავს პირში ურჩხულს, თუ ვინმე რუსული სულის გარეშე დავრჩით, არ გაგვახარებდნენ, რუსულად უნდა დაგვეწერა განცხადება სამსახურში მიღებაზე, რუსულად უნდა დაგვეწერა ავტობიოგრაფიაც კი და ამას ჩვენივე გარეწარი რუსულ სულჩამდგარი მოხელეები გვაიძულებდნენ; მედროვენი სახლშიც კი აღარ კადრულობდნენ ქართულად საუბარს. გაივსო ქვეყანა რუსული სკოლებით, ზეიმობდა რუსული სული, რუსული კულტურა — ჩვენივე არაკაცების ხელშეწყობით და ზეწოლით... — ოხ, ღმერთო ჩემო, დღეს კი იმძლავრა ინგლისურენოვანმა, ევროპულენოვანმა გარეწრებმა — თუ ინგლისური არ იცი, არ გაღირსებენ არაფერს, თუ არ ჩაიდგი სული ევროპულ-ამერიკული...

ერთმანეთს ეჯიბრებიან დღეს მაღალჩინოსნები, ვინ მეტს გაიყვანს საზღვარგარეთ თავის სისხლსა და ხორცს, ვინ უფრო მეტად გაანათლებს უცხო წეს-ჩვევებით, ვინ უფრო გადააგვარებს ქართულ სულს, ვაი უბედური საქართველოვ. გაჭირვებამ, ლუკმა პურის ძებნამ ხომ ამოაგდო ქვეყანა... უცხოეთში გადახვეწილი ქართველი წელზე ფეხს იდგამს როგორმე შეისწავლოს იქაური წეს-ჩვევები, განათლდეს უცხოურად, ნელ-ნელა ამოიშანთება მისი სულიდან და გულიდან ყოველივე მშობლიური, ყოველივე წმინდა, მათ შორის — მთავარი მართლმადიდებლობა. დღეს ვდგევართ და გაოცებული გავყვირით: - რა ემართება ქართველ ახალგაზრდობას, სად გაქრა ქართული სული, რატომ ექმნება საფრთხე მართლმადიდებლობას! ვაი, უბედურო საქართველოვ, რას ფიქრობდი, როდესაც შვილს იწყვეტდი გულიდან და ვიღაცას უგდებდი ხელში სულის დასამახინჯებლად, საჯიჯგნად, შენი ტრადიციის და კულტურის ამოსაძირკვად; ერთ დროს მე ხშირად მიხდებოდა თამადობა, სტუმრიანი ოჯახიც მქონდა და ამავე დროს სამსახურებრივი მდგომარეობის გამო იძულებული ვიყავი უცხო სტუმრისათვის მე მემასპინძლა და ჩვენი ტრადიცია გამეცნო. ერთხელ თამადობის დროს სიტყვა გამექცა, მეგობრობის სადღეგრძელოს ვსვამდი და მეგობრობის მაგალითად რატომღაც უცხო თესლი მოვიყვანე, მაგრამ ვაი სირცხვილო, გვერდზე მჯდომმა დარბაისელმა კაცმა შემომიბღვირა, რომელ მეგობარზე საუბრობ, - უფროსი ძმა რომ კვდება და უმცროსი ძმა მის ცოლს შეჰყურებს მე დარმჩებაო? ტანში გამცრა, აღარ ვიცოდი როგორ შემესწორებინა ჩემი ბრიყვული წამონაძახი, ქართველი კაცი ხომ თავისი ხელით დაითხრის თვალებს არა მარტო ძმის, არამედ მეგობრის ცოლს რომ ავი თვალით შეხედოს, თუ სულიერად შეშლილი არ არის, უცხო ოჯახშიც რომ შევიდეს და თვალების ცეცება დაიწყოს ბინძურად, ჩვენი ტრადიცია, ჩვენი სანუკვარი წეს-ჩვევები, ჩვენი სულის დგმა სულ სხვანაირია, ამას გვინერგავდა დღედაღამ ჩვენი წინაპარი, ამას გვიდგამდა გულში ძეგლად ჩვენი ტრადიცია, აჭარაში ვიყავი სტუმრად ემილი შარაბიძესთან, ის მომიყვა, მთიანი კუთხიდან — ხულოს რაიონიდან იყო ჩამოსული: ერთ დღეს ბაბუაჩემმა შეგვკრიბა მთელი ოჯახი. და დავიწყეთ თუ რამ ძვირფა-

სი ნივთები გვქონდა ოჯახში მისი შეგროვება, გზის მხარეს ყველაზე ლამაზ, კომფორტულ ოთახში გადაგვატანინა და გამოგვიცხადა: ეს გზად გამვლელი სტუმრის იქნებაო და ყველაფერი ძვირფასი უნდა იყოს მათთვისო. დაილოცა, ღმერთო, ჩვენი წესი და ტრადიცია! აბა, გავიხედოთ ევროპაში მსოფლიოს ნებისმიერ მხარეში, წალეკა ეთერი სერიალებმა: სიბინძურემ, მათში მხოლოდ სიბილწეა, მრუშობა, აწყვეტილი სექსი დილით მამა წევს ერთიდაიგივე ქალთან და საღამოს შვილი, ვისი ცოლი ვისია, მათთვის აღარ არსებობს ქალიშვილობის ინსტიტუტი, აღვირახსნილი სექსია პოპულარული. ახალგაზრდა ჩამოუყალიბებელ ბავშვს მეტი რა უნდა, ჩაუდგამენ ასეთ სულს და მართავენ აღვირით როგორც სურთ, რაც მალე დაგვაკარგვინებენ ჩვენს მარგალიტებს, სათაყვანებელ წეს-ჩვეულებს მით მეტად გაიხარებენ, ფრთხილად ქართველებო, ნუ ვეფლობით ჭაობში, დავანებოთ თავი ერთმანეთის ქიშპობას, ჩვენი შევიყვაროთ, ჩვენს მარგალიტებს ვეფეროთ, უარი ვუთხრათ უცხო სენს! ჩვენი შვილი ჩვენთან აღვზარდოთ, პატივი ვცეთ ყველას რჯულს, მაგრამ ჩვენსას ნუ შევბილწავთ, შევინახოთ როგორც მსოფლიო ანტიკვარი, ნუ გვერიდება, მართლაც ჩვენ სულ სხვა ერი ვართ, სხვა სული გვიდგას, ვევედროთ უფალს გაგვაძლიეროს ამ ტრადიციების მტკიცედ დაცვისათვის... ჩვენი ქართული თესლის გაღვივებისთვის.

***

დასრულდა ნავთობბაზის ეპოპეაც და ვდგავარ გზაჯვარედინზე. ცარიელ-ტარიელი, ზღვაში ჩაძირული გემის ნაპირზე გამორიყული მეზღვაურივით.

ვფიქრობ უკან იმავე გზაზე დაბრუნება იგივე ტრაგედიაა, მარჯვნივაც განვლილი გზაა და მარცხნივაც საიდანაც ვერაფერი ვერ გამოვიტანე და აი დამრჩა ერთი გზა — მხოლოდ წინ, სოფელში — სოფლის მეურნეობაში, მიწის სიყვარულში, მიწის ყივილი მესმის — ვზივარ სამარშრუტო ტაქსში ჯერ კიდევ გაბრუებული, გაოგნებული ვარ ჩემი განვლილი ცხოვრებით, თავგადასავლებით და, აი, გაჩერდა ავტომობილი. მძღოლის გვერდით თავისუფალი ადგილი იყო და ერთი ახალგაზრდა გოგონა 16-17 წლის მძღოლს მიმართავს: - ძია, გურჯაანამდის თუ წამიყვანო, დაბრძანდიო და გაიბა მათ შორის საუბარი, საიდანღაც ამ გოგონას მამა მძღოლის ნაცნობი აღმოჩნდა, როგორ არის, რას საქმიანობს, ამ დროს როგორ შეეწყოო, ეკითხება მძღოლი, კარგადო, მამაჩემმა ღვინის მინი-მარანი გააკეთა და მთელი ოჯახი, ბიძები და ბიძაშვილები დაასაქმაო, ვმუშაობთ და ვცხოვრობთ როგორც დროს და ხანას შეეფერებაო, ხან ის ისაუბრეს, ხან ეს და უცბად დავინახეთ მიცვალებულს მოასვენებენ — ოხ, რამდენი ხალხი იღუპებაო,- დაიჩივლა მძღოლმა, გოგონამ უცნაურად მიმართა: იცი, ძია, დღეს უფრო ხშირად რა კატეგორიის ხალხი იხოცებაო? ვინც სკამზე დაბერებული კაბინეტში იჯდა დახავსებული, რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილი და ამ კაბინეტისა და სკამისათვის სხვა კანდიდატურა ვერც კი წარმოუდგენიაო — მოხსნიან, გადააყენებენ და განუტევებს სულს, აბა. რაღა მეშველებაო — მამაჩემმაო, მეღვინე ყოფილა, მოძებნა შესაფერისი საქმე, ერთი წუთითაც არ შედრკა და აი დღეს მთელი ოჯახი კმაყოფილი ვართო. გაოცებული ვუსმენ ამ პატარა თითისხელა გოგონას. უყვება, როგორ ამუშავებენ ვენახებს, უფრო მეტიც (დრო აქვთ და საუბრობენ) რომელი შხამქიმიკატები არ არის დასაშვები და რომელია ნაკლებეფექტური. მძღოლსაც ყვარებია დალოცვილი ვენახი და არის ერთი მიმოხილვა, აქაც ჩაყო ხელი უსულგულო მაფიამ თურმე, რა შენარევებს არ ურევენ ასე დანასისხლად ფასდადებულ წამლებშიო, ვშრომობთ, ხარჯის ვეწევით, კოლოსალურ თანხებს გვახდევინებენ 7-8-ჯერ ვწამლით ვენახს და შეგვჭამა ჭრაქმა და ნაცარმაო — არ არის სოფლის მეურნეობის მიმხედვარი პატრონი თორემ ჩვენ რაღა გაგვიჭირდებოდა, ჩვენს დალოცვილ მიწაზე უკულმა რომ გადაყარო თესლი წაღმა ამოდისო — ვზივარ და გაოცებული ვფიქრობ, ალბათ ღმერთმა მომიწყო შეხვედრა ამ ბავშვთან-მეთქი, - რატომ არ შეიძლება მეც ამ გზას დავადგე, რატომ არ დავიწყო მევენახეობა, მეღვინეობა, მემინდვრეობა მით უმეტეს, მიწა მეძახის, მე ხომ ეგრეთწოდებული კულაკის შვილიშვილი ვარ (მახსენდება ნიკო პაპა) — სამარშრუტო ტაქსი მიქრის კახეთის ლამაზ ტრასაზე, გადავყურებ ალაზნის ულამაზეს მინდორ-ველებს, ლამაზად, რიგებად ჩამწკრივებულ ვენახის ზვრებს, სისხლი დუღილს იწყებს, დაილოცე ღმერთო, გვიშველეთქო.

სანამ სოფელში ჩავალ, უკვე გამოიკვეთა ჩემი ცხოვრების ახალი მიზანი სოფლის მეურნეობა: - ეს ის პერიოდია მიწების პრივატიზაცია იწყება, მხოლოდ შეძელი და მიწას რამდენიც გინდა

იმდენს აიღებ. ჩემს სოფელს 100 კომლიანს — 600 ჰექტარზე მეტი მიწა აქვს — ამასთან დაკავშირებით აქ შევჩერდეთ და უკან დავიხიოთ: 1987 წელია, პარტიის წევრი და ფუნქციონერი ვარ, ჩინოვნიკი ხან ამ სფეროში და ხან იმ სფეროში, ჩემს სოფელს, როგორც მის ისტორიაში მოგიყევით, ესაზღვრება აზერბაიჯანული სოფელი 2500 კომლიანი. ეს სოფელი წმინდად, რუდუნებით ინახავს მუსულმანობას — თავის რელიგიას - შენდება მეჩეთები, შენდება სოფელი, დაუოკებელი მშრომელი ხალხია, დღე და ღამე შრომობენ, გამრავლების საუკეთესო პოტენციალი აქვთ — ააყვავეს თავიანთი ეკონომიკა. სოფელში რომ გაივლი, გაგიხარდება — ქალაქს ემგვანება — დუღს ცხოვრება, მემინდვრეობა, მემწვანილეობა, ვაჭრობა — რა გინდა სულო და გულო. ჩვენ ორ სოფელს შორის ახალი საზღვარი გამოიკვეთა — ჩემმა სოფელმა გადმოიწია დასავლეთით, გაძვალტყავებულია სულს ღაფავს, დილით თუ შუადღისას ჩემი სოფლელები მოლას ხმაზე ასწორებენ საათს. ერთი და იგივე დროს იწყებენ მეჩეთებში ლოცვას ჩემს სოფელში, რომ ჩავდივარ და მეზობელ აზერბაიჯანელებით დასახლებულ მდიდარ სოფელში გადავდივარ, თითქმის ჩვენი რაიონის ყველა სოფლიდან დგანან და სამუშაოს თხოულობენ, ზოგს ნაჯახი უჭირავს, შეშა ხომ არ გაქვს დასაჭრელიო, ზოგს ბარი და ნიჩაბი — მიწა ხომ არ გაქვს დასაბარიო, ზოგს თოხი და წარმოიდგინე ცოცხიც კი, დასაგველი ხომ არ გაქვს რაიმეო, შეშით დატვირთული მანქანები, ფიჩხით დატვირთული ურმები, მოკლედ დუღს და სჩქეფს ცხოვრება — ჩემი სოფელი კი თავისი უგერგილობით სულს ღაფავს, მეზობელ სოფელში მშენებლობის ბუმია, შენდება და შენდება საუკეთესო ბინები — სასახლეები — ღმერთმა მისცეთ, თავისი შრომით აკეთებენ.

თითქმის ქუჩაში უწყვიათ თავიანთი ქონება — თვითონ ხშირად სახლში არ არიან და აბსოლუტურად არაფერი არ ეკარგებათ, აბა, გადახედეთ ჩემს სოფელს, სახლებიდან ქვაბებს, ჯამებს შეშის ღუმელების ქურდობაც კი დაიწყეს, ღმერთო, ეს რა გვჭირს, რა გვემართება. ნუთუ ჯანსუღმა მართლა დამსახურებულად გვიწოდა "ერი ნული"-?

ახლანდელი საზღვარი გამოიკვეთა — დამშრალი, უწყლო რიყე, სადაც დგას მაცხოვრის სახელობის ეკლესია — ღმერთო გვიშველე — დგას-თქო ვამბობ და ფაქტობრივად საძირკვლიანად დანგრეულია. მომიჯნავედ მდგომი მცხოვრებლების გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდობა ანგრევს და აბინძურებს, გმინავს სოფელი, გმინავს ჩემი მორწმუნე ხალხი, ჩვენ ხომ არავის რწმენას და სიწმინდეებს არ ვეხებით, რატომ გვექცევიან ასე და აი მეც დღე და ღამ განცდებში ვარ, ამ ეკლესიაში (მაპატიე ღმერთო, ნაეკლესიარში) ჩემი სოფლის შვილები რომელიც კუთხიდან (გასულები) არ მოდიან მაცხოვრობას (გაზაფხულზე მოდის) უძლიერესი ეკლესია, აი, მეც მირეკავს ჩემი ხალხი — შენ თბილისში — ქალაქში გასული კაცი ხარ და იქნებ შენ მაინც მიიტანო გულთან და დასვა საკითხი სადაც შესძლებ და საჭიროაო. — აი კიდევ წუხელის რამოდენიმე სახლი აშენდა ჩვენი სოფლის მიწაზეო — ღამე არალეგალურად შენდებოდა სახლები.

წინასწარ მოიმარაგებენ სამშენებლო მასალებს, ქვას, ქვიშას, ცემენტს, აგურს, ერთმანეთს ეხმარებიან მშენებლობაში. ვფიქრობ, ვიტანჯები, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რომ არც ეს სოფელი არ შეურაცხვყო და ჩვენი ტერიტორია და სიწმინდეებიც დავიცვა, მივდივარ რაიონის ხელმძღვანელობასთან, შენ ამით ეთნოკონფლიქტს იწყებ, როგორც ჩანსო... ვარ ამ განცდებში და ერთ ღამეს სიზმარში, ვდგავარ ამ შებილწული, დანგრეული ეკლესიის კარებთან: ბარი მიჭირავს, ინსტინქტურად ჩავარჭე ბარი მიწაში და ჰოი, საოცრებავ, გაიპო მიწა და ვულკანივით ამოხეთქა ოქროს ლავამ, ამოიფრქვევა ოქროს მონეტები — ზოდები გავაყოლე თვალი ამ ოქროს ნათებას და აი სასწაული: გაიხსნა ცა და მოფრინავს ლამაზი მაღალი, თეთრ წვერებში, თეთრ სამოსში — მორთული, უფალი — თვით ღმერთი (ასე აღვიქვი) — მოფრინდა, ნარნარად დაბრძანდა ამ ეგრეთწოდებულ კარებთან და მომმართავს: ბარიტონით, ლამაზი ხმით: შვილო ანზორი, სად ეძებს შენი სოფელი სიმდიდრეს, თქვენი სიმდიდრე აი აქ არისო, და გაუჩინარდა, გამეღვიძა, ვარ უდიდეს განცდებში, ეს რა იყო, ეს რა მოხდა, რა და როგორ უნდა მოვიმოქმედო, ვეხვეწები ღმერთს, იქნებ კიდევ მიმანიშნო როგორ უნდა მოვიქცეთქო, სამი თვე ვიყავი ამ განცდებში, დედაჩემი მეკითხება — შვილო, რა ხდება შენს თავსო, ჩემი მეგობრები მეუბნებიან — რატომ შიეცვალეო ასე ვეწამები ვფიქრობ. ვთქვა თუ არა, რა გამოცხადებაც მქონდა და ბოლოს გადავწყვიტე, 1987 წელია, ჯერ კიდევ გამძვინვარებული ანტირელიგიური მოძრაობაა, ერთმანეთს ეჯიბრებიან კომუნისტები ვინ მეტ ანტირელიგიურს ჩაიდენს, მაცხოვარს უნდა მივხედოთ-თქო. 70 წლის იყო

დედაჩემი, რომ მოვუყევი ყველაფერი, პირველმა იმ ცხონებულმა დაიდო მხარზე ბარი და აბა შვილო, სოფელს მოუწოდეო, ხალხი გიჟდება, გაგრიცხავენ, ჩაგძირავენო . გაზაფხულია, გაცხარებული სასოფლო-სამეურნეო მუშაობის სეზონია. მე რომ 60-70 კაცი მიდგას გვერდში, თოხით, ბარით, "ლაფატკით", წერაქვით; კოლმეურნეობის ბრიგადირს 10-15 კაცი მიჰყავს სამუშაოდ მინდვრებში, მიწყრებიან, მსაყვედურობენ, სოფელს ღუპავო. მე არ ვიხევ უკან და, აი დავიწყეთ: - გავაკეთე პროექტი, გავასუფთავეთ მაცხოვრის გარშემო ბარდებში ჩამჯდარი ადგილი, გავიტანეთ რიყე, შემოვიტანეთ ნაყოფიერი მიწა, დავიწყეთ 1000 კვ მეტრიანი ეზოს მოწყობა — ვაშენებთ გარშემო ქვის გალავანს თავის სარტყლებით — რკინის მოაჯირით. ამოვიღეთ დიდი ორმოები (100 ორმომდე) და დავრგეთ კვიპაროსის ხეები მთლიანად ეკლესიის გარშემო — გალავნის გასწვრივ, მწკრივებში, ჩავიტანე ქოთნებით თბილისიდან დიდი რაოდენობით ბზის ნერგები (შემდგომში ეს ბზები მოგვპარეს), გავაკეთეთ ეზოში ბორდიურები, მწვანე მოლი დავთესეთ, ულამაზესი ეზო გამოვიდა; ეზოში გავაკეთეთ დიდი რკინის მაგიდა მრევლისათვის და შენობა-თავშესაფარი — ლამაზი კარები შევაბით ეზოს, ვკოცნით დანგრეულ კედლებს, ვერაფერს ვერ ვშველით; შევაგროვეთ ნანგრევები — შევალამაზეთ, გავიხადეთ ნიშად. ეკლესიის ნანგრევებზე ამოსულია უზარმაზარი აკაკის ხე (ეს წმინდა ხეა), რომელსაც თითქოს მხრებს ქვეშ აქვს ამოდებული ეს მთლიანი შენობა, ეზოს გარეთ აღვმართეთ 15 მეტრის სიმაღლის და 6 მეტრის განშტოების ჯვარი, რომლის ზედა ნაწილი (ჯვარი) ფოსფორით შევღებეთ, ღამე ცაში განათებულ კაშკაშა ვარსკვლავს ჰგავს — ერთი კილომეტრი ასფალტიანი გზა მივიყვანეთ და მაცხოვართან გავაჩერეთ - გზა, რომელსაც ეკლესიასთან მივყავართ — ვილოცეთ, გულწრფელად შევთხოვეთ უფალს ჩვენი გაჭირვებული სამშობლოს გადარჩენა და ვიფიქრეთ ასე შევასრულეთ უფლის ნება — მადლობა შევწირე უფალს, აი ასე გავიგე შენი გამოცხადება-მეთქი.

უფრო ზემოთაც ვისაუბრე ამ საკითხზე, მაგრამ კიდევ მინდა გავიხსენო ხაზგასმით დიდი რუდუნებით ვილოცეთ მთელმა სოფელმა, გავხსენით ვაკურთხეთ ეს წმინდა ქვები — შენობის ნარჩენი და დავწერეთ წერილი უწმინდესის სახელზე. ამ დროს საერთოდ არაფერი საეკლესიო-რელიგიური არ შენდებოდა, პირიქით, ჯერ კიდევ შეტევა იყო, ანგრევდნენ, ბილწავდნენ, უწმინდესო და უნეტარესო, ჩვენ, მთელი სოფელი (72 კაცი მორწმუნე აწერდა ხელს) გევედრებით მღვდელი მოგვცეთ, რომ შევაგებოთ ჩვენი ლოცვა და მართლმადიდებლური სიდიადე, უცხო რჯულს და წესს, დავიცვათ ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი შვილები, ჩვენი მომავალი.

ჩამოვედი თბილისში. მინდა შევიდე უწმინდესთან, წერილიც გადავცე და პირადად მოვუყვე ჩემი სოფლის და ჩემი ეკლესიების (3 უმშვენიერესი ძეგლი გვაქვს ღვთაება, ღვთისმშობელი და მაცხოვარი) შესახებ — გავიცანი უწმინდესის დაცვა, ვინმე გიორგი, გავიცანი ვინმე შორენა — ვთხოვ, იქნებ ნება დამრთოთ პირადად შეხვედრაზე-თქო, მაგრამ კერკეტი კაკლები აღმოჩნდნენ — ერთი კვირა ვიწვალე ყველა ზომა, ხერხი ვცადე და ბოლოს წერილი მათ გადავეცი უწმინდესთან გადასაცემი, და აი უგულობა — რამდენიმე ხანში ვღებულობ პასუხს მღვდლების დეფიციტის გამო ვერ ვაკმაყოფილებთ თქვენს თხოვნასო, - გადავირიე, გავგიჟდი, როგორ, ხალხი დღე და ღამ ოცნებობს მღვდელზე და ეს რა პასუხია-თქო. დავიფიცე, მღვდლის სახელს არც კარგად და არც ცუდად არ ვახსენებ-მეთქი, ხალხს მოვუწოდე (მე შეუგნებელმა ცოდვილმა) - მე ვარ მღვდელი და ვიღაც ავირჩიე ახალგაზრდა ეს დიაკვანი-მეთქი, მოდიოდა ხალხი, ჩემი სოფელი, მე ვჭრიდი ქადებს, მე ვუსრულებდი წესს — ერთად ვანთებდით სანთელს — ბარემ გავაგრძელებ და ერთ ძალიან მნიშვნელოვან ეპიზოდსაც გავიხსენებ ამ ყველაფერთან დაკავშირებით. აზრი რომ შეიკრას — გავიდა ძალიან დიდი დრო, უკვე 2003 წელია, მოულოდნელად გავხდი ავად — ვერც ვჭამ, ვერც ვსვამ — სასტიკად ვარ გაცივებული, ჩემმა ოჯახმა მაიძულა, ვაკეში "ლეჩკომბინატში" მიმიყვანეს ექოსკოპიაზე. და აი, ვხედავ, რაღაცას ეჩურჩულებიან ჩემს შვილსა და ცოლს, თურმე სიმსივნეზე შეჰპარვიათ ეჭვი, შარდის ბუშტზე უცხო წანაზარდს ვხედავთო — "არამიანცში" პირველ საავადმყოფოში დიდი სპეციალისტი არის ლაური მანაგაძე და იქნებ იმას აჩვენოთო. მომკიდეს ხელი და მეუბნებიან, - უნდა წაგიყვანოთ მანაგაძესთანო, ვიუკადრისე — რა წაყვანა მინდა, მე თვითონ წავალ-მეთქი, მაგრამ ძალიან დიდი რიგებია და არ ვიცით როგორ შეაღწევო, მე გავუწყერი, როგორ ექიმთან ველარ შევსულვარ-მეთქი — დავადე თავი და წავედი, ვზივარ, რიგს ვიცავ მდივანი ხან რას გვეუბნება, ხან რას, ოპერაციაზეაო, სტუმარი ყავს და რა

ვიცი. ის დღე ისე დაღამდა, ვერ შევედი. მეორე დღე გათენდა და, რას ვხედავ, სხედან ცოლ-ქმარი, უზით შუაში 12-13 წლის ბიჭი მტირალი — ეფერებიან, სიმწრის ოფლს სწმენდენ, რაშია საქმე, რა გიჭირთ-მეთქი, დაიწყეს ტირილი. — ბატონო, ერთი კვირაა აქ ვათენებთ და ვაღამებთ, დიაგნოზი დასმული გვაქვს — თირკმელში კენჭის გავლა აქვსო, მაგრამ ქირურგი გვეუბნება — სანამ ბატონ ლაურის გადაწყვეტილება არ გვექნება, ოპერაციას ვერ დავიწყებთო, მე მგონი გონება დავკარგე, მეც გამწარებული ვიყავი ჩემი ავადმყოფობით, თან ასეთი შეურაცხყოფილი, დამამცირებელი ლოდინით და ახლა ამათი გაჭირვება დამემატა, შევვარდი მდივანთან, რომელიც ყავას მიირთმევდა, არ ვიცი, რა არ ვკადრე, თქვე ბიუროკრატებო, თქვე გარეწრებო, ამას როგორ უყურებთ გულგრილად, ბავშვი ამ დღეშია და ამდენ ხალხს აბუჩად იგდებთ-მეთქი, ჩემს მეტი მტერი არ გინდათ მთელ შენს მანაგაძეებს-მეთქი, და წამოვედი გამწარებული, იმ ღამესაც ვიბორგე, როგორც იყო გავათენე, მეც ჯიუტი ვარ, მაშ ვერ უნდა შევიდე-მეთქი, მივედი და რას ვხედავ, შემომეხვივნენ ბავშვის მშობლები — შენ გაიხარეო ბატონო, - შენ რომ წახვედი, მაშინვე დაგვიძახა მდივანმა და შეგვიყვანა ლაური ექიმთანო და აი ახლა უკვე ოპერაციაზე გავყავართო — გაიღო კარები და მდივანი მეძახის: მობრძანდით, ბატონო, ლაური აქ არისო — შევედი, დაღვრემილი შემხვდა, რაშია საქმეო და ანალიზები გადავაწოდე, მსინჯავს, მე თან ვესაუბრები — დიაბეტიანიც ვარ, ამდენი და ამდენი მაქვს შაქარი-თქო და, იჭექა, - რა დროს შაქარზე ლაპარაკია, შენ იცი რა გჭირსო — რა, ბატონო) — რა და ჩამოყალიბებული სიმსივნე გაქვს შარდის ბუშტზეო. — გავშრი, ჩქარა, ახლავე ჩვენს ექოსკოპიაზე უნდა გაგატაროთო — თურმე წინა დღის ჩემი ნერვიულობა მთელ საავადმყოფოს გაუგია და განიცდიან ჩემს დიაგნოზსაც და მომხდარ ინციდენტსაც. ბატონი ლაურის ულამაზეს რძალი შორენა, რომელიც ექოსკოპიაზე მუშაობს, მეხვეწება და ბორჯომის ბოთლს მაწვდის — დალიეო. დავცალე როგორღაც და მეორე გამომიწოდა, ესეც ბიძია, გაიჭირვეო, უკვე მრცხვენია, ისე მთხოვს, რამდენიმე დღის უჭმელი ვარ, როგორი დასალევია მშიერზე. ბოლოს მითხრეს — ნახევარნი საათი დავიცადოთ და ისე გაგსინჯავთო. გამატარეს ექოსკოპიაზე და გახარებული ერთმანეთს ულოცავენ გადავრჩითო, ამ დროს კაბინეტში შემოვიდა ერთი ახალგაზრდა სიმპათიური კაცი, იმას მიცვივდნენ, აი, ბატონო დათო, შენ რომ იყავი, ზუსტად ასეთი მდგომარეობა შეიქმნაო — შემდეგ გავეცანით, ეს ახალგაზრდა პოლიციის პოლკოვნიკი დავით ლიჩელი აღმოჩნდა. დამისვეს დიაგნოზი, ყველაფერი წესროიგშია, - თურმე რომ ვერც ვჭამდი და ვერც ვსვამდი, შარდის ბუშტი ცარიელია და შეკუმშული, აი ეს ნაოჭები მოეჩვენათ უცხო სხეულად — შემდეგ ლაურისაც, მის ვაჟიშვილ გიორგისაც (მაშინ დოცენტი იყო, ქირურგი), შორენასაც ძალიან დიდი მადლობა გადავუხადე და პატიება ვთხოვე — გამოვედით გარეთ და ეს დათო ლიჩელი გამეცნო. მოყვა თავისი ისტორია და ხაზი გაუსვა იმას, რომ ეკლესიას ვაშენებთ და ბედნიერი კაცი ვარო. ჩამოაგდო მღვდლებზეც საუბარი . მე განვუცხადე, მღვდლები არ მიხსენოთ-მეთქი, ეკლესიაში ხომ დადიხარო? - რა თქმა უნდა, გულწრფელად ვლოცულობთქო. — მაშინ, დამდე პატივი და სიონში წავიდეთ, ერთად ვილოცოთო, შევთანხმდით, შევდივართ სიონში, ვხედავ დგას ერთი ულამაზესი, უმშვენიერესი მღვდელი ლამაზი თეთრი წვერ-ულვაშით, მაღალ გაბრწყინებული აღნაგობით და წირვას ატარებს. ვუსმენ და ვინუსხები, ბარიტონია, ტაძარი ექოს აძლევს. უფრო ლამაზს და მომნუსხველს, ვერაფერს ნახავს კაცი, აი ვთქვი ჩემს გულში ეკლესიის მსახური ასეთი უნდა იყოს-მეთქი — ფეხს ვერ ვიცვლი, დათო ლიჩელი თურმე აკვირდება ჩემს რეაქციას, ბედნიერად თვლის თავს, რომ შემომაბრუნა ამ ცხოვრებისაკენ. ჩვენ ძალიან ახლო მეგობრები და სულიერი ძმები გავხდით, დიდი პიროვნება და დიდი ძმა მყავს.

აი, დამთავრდა წირვა, ეს სიმპათიური მღვდელი ჩვენსკენ გამოემართა, დათოს ახლო ნაცნობი ყოფილა, მე რომ მომიახლოვდა, ლამის ფეხები მომეკვეთა და გუნებაში ვთქვი: ეს არის ალბათ ჩემი ბედისწერა-მეთქი. გამაცნო დათომ მამა ამირან ამირანაშვილი, შესანიშნავი მოსაუბრე, თავისუფალი ყოველგვარი გადაპრანჭვისგან, გადავწყვიტე ამ დღიდან სიონში მევლო. ყოველ ორშაბათს მივდივარ,. ვანთებ სანთელს, მომაქვს ნაკურთხი წყალი და გულწრფელად ვინანიებ ჩემს ცოდვებს, ყველაზე მეტად იმას, რომ თვით უწმინდესსაც კი ვემდუროდი. შემდგომში ჩემმა მოძღვარმა ამირან ამირანაშვილმა ამიხილა თვალი. შენი წერილი არ წაუკითხავს უწმინდესს, ის ვიღაც უსულგულოებმა წაიკითხესო და ასეთი პასუხიც მათგან მიიღეთო. დავიჩოქე, უფალს შევ-

თხოვე, - ცოდვილი ვარ, ვაღიარებ-მეთქი. ალბათ ახლა პირველი თაყვანისმცემელი ვარ რელიგიის მსახურებისა, თუმცა მღვდელი მაინც არ მოგვცეს. მე და დათო ლიჩელი უახლოესი მეგობრები გავხდით, მამა ამირანი კი ჩემი ძვირფასი მოძღვარი.

მამა ამირანმა მომცა ყოველივე რელიგიური, რაც სულს სჭირდება, ადამიანური, ბუნებრივი, ღვთიური; მამა ამირანმა შემძინა თავისი მრევლი, გავეცანი მრავალ კეთილშობილ მორწმუნე ადამიანს და, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტად მივუახლოვდე უფალს, ვცდილობ მოვინანიო ცოდვები, ყოველდღიურად ვრწმუნდები — ცოდვილი ვარ, ცოდვილი ვარ — დავით ლიჩელს ვუმადლი, მრავალი სულიერი ძმა შემძინა, ვეღირსე მოძღვარს, ვეღირსე იმას, რომ მღვდელი ვაღიარე და ვირწმუნე უფალი ღმერთი, მოწიწებით ვცემ თაყვანს მის მადლსა და ძალას, მეგობრების დეფიციტი არასოდეს მქონია, გულის გადაშლის, საიდუმლოს განდობის, გულის გათბობისთვის საჭირო ძმები ბევრი მყოლია, მაგრამ ჩემი სულიერი ძმები სულ სხვანი არიან, და თანაც ამ სიბერეში...

მამა ამირან ამირანაშვილი 25 წელიწადი რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი იყო, ოპერის მომღერალი — ბარიტონი, მოცეკვავე — სასწაული წარსულის კაცია, მოვლილი აქვს მსოფლიო, შემდგომში მისი ნაცნობ-მეგობრები მიყვებოდნენ ახალგაზრდობაში რუსთაველზე რომ გაივლიდა თურმე, ქალების არმია მიჰყვებოდა. ერთხელ მაინც შევავლოთ თვალიო,- სულ ცოტა დრო გავიდა და მამა ამირანი და დათო ლიჩელი (21 სექტემბერი იყო ღვთისმშობლის დიდი დღესასწაული — ლამაზი, ჩვენგან ხელშეხებული (აღდგენილი) ეკლესია გვაქვს) — ჩამობრძანდნენ. მღვდელს მონატრებული მთელი სოფელი გამოვიდა, ლამაზი წირვა ჩატარდა — გვიკურთხა 15 მეტრის სიმაღლის, ფოსფორით შეღებილი ჯვარი, რომელიც ღამე ანათებს. მოლამ შემომითვალა: - ლოცვას რომ ვიწყებ, ხმა მეხლიჩება, ჯვარის აურა მოქმედებსო, ვინ არის ის კაცი, მუსულმანური და ქრისტიანული სამყარო რომ გაყოო.

ულამაზესი დღესასწაული ჩავატარეთ, შემოიარა შუამთის ეკლესიები: იყალთო, წინანდალი, ეს დაუვიწყარი არის ჩემს მეხსიერებაშიც და ჩემი სოფლის ისტორიაშიც, თანასოფლელები მთხოვენ, იქნებ კიდევ ჩამოიყვანო, კიდევ გვაღირსო მღვდელიო. ამ ყველაფრისათვის კიდევ ერთხელ მადლობას ვწირავ უფალ ღმერთს და ჩემს სულიერ ძმას დავით ლიჩელს.

***

ოდესღაც ვფიქრობდი ეს წერილი გადამეცა პატრიარქისათვის, ვერ შევძელი, ალბათ ვთავხედობ, მაგრამ ძალიან მინდა ჩემი ფიქრი და ნატვრა მივიდეს ეკლესიის მესვეურებამდე.

ავტორი

ვაგლახ, რამდენმა ჯერ არ იცის, რომ იღვწის ფუჭად
დიდება შენსა მოთმინებას, თეთრო ქაღალდო,
ადამიანი თვალებს რომ ხუჭავს,
ის სწორედ მაშინ ახელს თვალებს,
მაგრამ რაღა დროს.

მ. მაჭავარიანი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს საქართველოს ეკლესიების მღვდელმსახურებს!

უწმინდესო და უნეტარესო, ეკლესიების ძვირფასო მღვდელმსახურნო წინასწარ ბოდიშს გიხდით, გთხოვთ შემინდოთ კადნიერებისათვის.

დღევანდელმა დუხჭირმა ცხოვრებამ, ერის დამცრობამ და გათითოკაცებამ, საკუთარი სტომაქის უზრუნველყოფამ, გაუბედურებულთა ხვედრის არ გაზიარებამ, ნუგეშისცემა ზედაც

კი ხელის აღებამ, გააუბედურა და ისედაც გაპარტახებული ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანა, დადგა დრო ზარები დავარისხოთ, ქუდზე კაცი დავირაზმოთ, საერო თუ სასულიერო პირები, ვისაც ხელეწიფება, დავდგეთ ჩვენი გადაშენების პირას მდგომი ხალხის გვერდში; უწმინდესო და უნეტარესო, ძვირფასო მღვდელმსახურნო, გაივსო ქვეყანა უცხო თესლით, ჯერ კიდევ ჩვენსას — ზღვისპირეთს კალიასავით მოედო ვითომ დამსვენებელი უცხოელები, მათი ძირითადი მიზანი კი ერთია — ხელში ჩაიგდონ, ჩაეთესლონ ჩვენს ედემში. ჩვენს უფლისმიერ ნაბოძებ სამოთხეში, ჩვენი ჯიში და ჯილაგი, ჩვენი ლტოლვილები ამოვაგდეთ, არ გავახარეთ; ბათუმში, ქობულეთში დროებითი თავშესაფარებიდან ქუჩებში გამოვყარეთ, უცხო თესლს კი იდეალური პირობები შევუქმენით, ბიუროებიც კი გავუხსენით მიწისა და ბინების შესყიდვის გასაადვილებლად, ხელში ჩასაგდებად. ჩვენი ლტოლვილები დამცირებული, განადგურებული, გოდებით შეჰყურებენ ამ საშინელებას. გავიხსენოთ უწმინდესო და დიდო მღვდელმსახურნო, როგორ მოიწევდნენ აფხაზეთის მიწაზე, ვაზგენას ხელდასმით, როგორ იგდებდნენ ხელში ჩვენს ძირძველ მიწას — აფხაზეთს, არ ზოგავდნენ დიდ ოქროს, შემდეგ ამ ყოველივემ რა დიდი როლი ითამაშეს აფხაზეთის გაუბედურებაში, მის დაკარგვაში.

თუ სასწრაფოდ არ შევაგებეთ თქვენი ლოცვა-კურთხევა, თქვენ და თქვენმა სასულიერო სამსახურმა არ დაგვმოძღვრა, იღუპება ერი! იქნებ გამონახოთ დრო და მოუსმინოთ პროვინციებშიც ხალხის გოდებას, კვნესას, დაიმშა, უსასო გახდა ერი. პატრონი აღარ შერჩა სოფელს, მიწას, წყალს, ბუნებას...

1987 წელს თელავის რაიონის ერთ პატარა სოფელში, ახატელში, რომელიც ოდესღაც დიდი ყოფილა, მუსლიმანების მიერ დანგრეული ყორედ ქცეული მაცხოვრის ეკლესიას, უფლის შეწევნით შევძელით და ხელი შევახეთ, აღვადგინეთ; მოვაწყვეთ ათასი კვადრატული მეტრის ფართის ეზო, ეს იყო უდაბნო — რიყე — გაპარტახებული ადგილი. გავამწვანეთ დავრგეთ კვიპაროსის ხეები, მთელ ტერიტორიაზე, მიწა შევიტანეთ, ავაგეთ, აღვმართეთ 15 მეტრის სიმაღლის ჯვარი, რომელიც ფოსფორით შევღებეთ, ღამე ცაში გამოკიდებულ ვარსკვლავს ჰგავს, შეევედრეთ უფალს დავეფარეთ უცხო რჯულის შემოსევისაგან, ჩვენს მიწაზე ჰყვავის და იფურჩქნება უცხო თესლი, ჩვენ მონუსხულნი და უძლურნი შევყურებთ მათ სიძლიერეს, მათი სასულიერო პირი მოლა, დღედაღამ ლოცულობს, დიდ საქმეს აკეთებს თავის ერისათვის, ჯიშისათვის. მოძღვრავს, თავს დასტრიალებს თავის ერს, მკაფიოდ გვესმის მოლის ლოცვა, “შეძახილი”, ჩვენი ხალხი საათს ასწორებს მოლის მოძახილზე. ჩვენ კი ღმერთსა და სასულიერო სამსახურს შევღაღადებთ; ნუგეშს, იმედის გაცოცხლებას, მაგრამ არსაიდან ხმა...

მაცხოვრის ეკლესიის ეზოს მოწყობასა და ჯვრის აღმართვისთანავე, მირჩიეს გამეკეთებინა მორწმუნეთა სია თქვენს სახელზე, 72 მორწმუნემ მოაწერა ხელი თქვენთან გამოსაგზავნ წერილს სადაც უმორჩილესად გთხოვდით მღვდლის მოვლინებას, ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ მძვინვარებდა ანტირელიგიური მოძრაობა, მემუქრებოდნენ პარტიიდან გარიცხვას, საზოგადოებისგან მოკვეთას...

პატარა ას კომლიან სოფელს — ახატელს, რომელიც სიღარიბეში იღრჩობა და იცლება ხალხისაგან, სამი უძლიერესი ეკლესია-სალოცავი გააჩნია, აქედან ერთ-ერთი ღვთაება მოქმედი იყო ჯერ კიდევ 30-იან წლებში, გვყავდა მღვდელი (იოსები) სტალინის თანაკურსელი, ეკლესიაში დიდი ბიბლიოთეკა არსებობდა, მაგრამ იმდროინდელმა ბნელმა ძალებმა მოსპეს ყველაფერი, საიმედოდ შემოგვრჩა ღვთაება, ღვთისმშობელი და მაცხოვარი, რომელსაც თავს ვევლებით. სამწუხაროდ, მღვდელი არ მოდის სოფლის სიდუხჭირისა და სიღარიბის გამო, თავის რჩენა ხომ უნდათ, იქნებ რაღაც ფორმა გამოინახოს მათ სარჩენად, მოსაზიდად,

წერილი მღვდლის მოთხოვნისა, მე მოვიტანე სიონის ეკლესიაში 1987 წ., მაგრამ თქვენთან ვერაფრით ვერ შემოვაღწიე, შემიქმნეს ბარიერები, იძულებული გამხადეს წერილი თქვენი დაცვისათვის გადამეცა. სულ ცოტა ხანში ვღებულობ უსულგულო, დამამცირებელ პასუხს: - მღვდლების დეფიციტის გამო ვერ ვაკმაყოფილებთ თქვენს თხოვნასო.

მადლობა თქვენ უწმინდესო და უნეტარესო, მადლობა უფალს, სამებაში, სვეტიცხოველში, სიონში, ჩვენს უძვირფასეს გაბრწყინებულ სალოცავებში მღვდლების სიმრავლეს ვხედავთ, გული სიამაყით გვევსება, ეს უფალი ღმრთისა და თქვენი დიდი დამსახურება არის.

მღვდლები ღარიბ-დაქცეულ, დაცარიელებულ სოფლებს არ ეკარებიან,. ღარიბი და გაუბედურებული მრევლი ავიწყდებათ მხოლოდ მოწოდება-შთაგონება იმისი, რომ მოდით უპოვარნო, უსახსრონო, უქონელნო, გაუბედურებულნო, გაფუფუნებულ-გაზულუქებულნო ჩვენთან ერთად დადექით გაბრწყინებულ ეკლესიებშიაო და თანაც ცენტრებშიო, ცოტა უხერხული ხომ არ არის, რატომ არ მივიდეთ ჩვენს გაუბედურებულ-გაჭირვებულ ხალხთან, რატომ არ მივიდეთ სოფელთან, მიტოვებულ ეკლესიებთან (ყარაჯალაში 3 ეკლესიაა დარჩენილი, შებილწული, დანგრეული), რომელიც ფაქტობრივად დაინგრა, წაიშალა, იმედი დაკარგა, რატომ?!. სამძიმრის თქმაც გვიჭირს?!.

გაგვანადგურა სეტყვამ, გაგვანადგურა წარღვნამ, გაგვანადგურა გადასახადებმა გაგვანადგურა საწვავის სიძვირემ, ტექნიკის უქონლობამ, შხამქიმიკატების და სასუქების კატასტროფულმა ფასებმა და ამავე დროს, ფალსიფიკაციამ; გადავიხდით ვენახის სამკურნალო წამლებში კატასტროფულ ფასებს და შედეგს ვერ ვხედავთ, სამამულო პროდუქტის რეალიზაციაზე საუბარი ხომ ზედმეტია, ნუთუ არ შეიძლება ამ ყველაფრის გულთან მიტანა?!. ნუთუ არ შეიძლება სოფლის მცხოვრებლებთან (სანამ კიდევ ვინმე დარჩა) პირისპირ შეხვედრა?! ნუთუ არ შეიძლება სამძიმრის თქმა მაინც, ნუთუ არ შეიძლება ვანუგეშოთ და შევუძახოთ თქვენთან არს ღმერთი! თქვენთან ვართ ჩვენც, ერი-ბერი თქვენს გადასარჩენად ვიბრძვით-თქო?!. რწმენა და იმედი გავუცოცხლოთ... ნუთუ არ შეიძლება სოფლებიდან აყრილი მოსახლეობის დაიმედება, ნუგეშისცემა, თქვენს გვერდით ვიდგებით-თქო. ცოტა სოფელშიაც გავიხედოთ, თუ სოფელს იმედს გავუცოცხლებთ, ხალხი დაუბრუნდება მიტოვებულ კერას, აღმოცენდება გენოფონდი, თავკომბალა ქალაქი განიმუხტება, ჩვენი ეროვნული პროდუქტი შეიქმნება, გაჯანსაღდება მოსახლეობა, აღარ მივიღებთ უცხოური შხამებით გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს და ცხოვრებაც ისევ კალაპოტში ჩადგება.

ნუთუ არავინ დაინტერესდება ჩვენი სოფლის მეურნეობით, 15 წელიწადია ვეძებ გზას როგორ განვაახლოთ შაქრის ჭარხლის წარმოება მოყვანა-ოდესღაც ქართლი და კახეთი ხომ ამ დიდი დარგით ცხოვრობდა, უმუშევრობაა, ხალხი მშიერი დადის, რასაც ვაწარმოებთ გვიჭირს მისი რეალიზაცია თუ რაიმე მოვიყვანეთ.

ადრეც და მით უმეტეს ახლა, როდესაც შაქირს დიდი დეფიციტი იწყება, ვიღაც მონოპოლისტის შიშით, ეს დარგი ვერ წამოგვიწევია. კუბისა და ამერიკის ლერწამს ამუშავებს აგარის ქარხანა. ქართლი და კახეთი მთლიანად დასაქმდებოდა ჭარხლის მოყვანის ისტორია შევისწავლე კახეთში და უწინ ჩვენს მამა-პაპას 200-250 ტონა ჭარხალი მოჰყავდათ ერთ ჰექტარზე.

ნუთუ არავინ დაინტერესებულა ალაზნის სარწყავი არხის დაშრობით, რომლის გაყვანაზე მილიარდებია დახარჯული. კახეთი ირწყვებოდა ქედებამდის, შირაქის ველებამდე, დაქსელილი იყო სოფლები, მინდვრები. სამი წელიწადია დააშრეს არხი, საქონელი ეხოცებათ პაპანაქება სიცხეში უწყლობით, გაპარტახდა მემინდვრეობა, მებოსტნეობა. კახელებს მწვანილი, კიტრი, პომიდორი ენატრებათ. თურქულს ჭამენ, ვიღაც ჩინოვნიკი ზის და ელოდება დიდ ფულებს. მხოლოდ მაშინ გამოუშვებს არხში წყალს, ფულს რომ მიიღებს. ვის ნაშრომს ეპოტინებიან? ალაზანი კი მიგრიალებს აზერბაიჯანში ბედნიერ ქვეყანაში, ჩვენი უგულო კაცები მხოლოდ საკუთარ სტომაქზე ფიქრობენ.

შირაქისაკენ, ალაზნის წყალო!
გეძახის ხორბლის დედა ქართული,
გეძახის ყანა, გეძახის კალო,
გეძახის მიწა ფერდაკარგული.

შირაქისაკენ, ალაზნის წყალო,
ხარ ამაგდარი, ხარ დაქანცული,
მაგრამ გეძახის არხილოსკალო,
გეძახის ველი გადახანძრული.
.....

შირაქისაკენ, ალაზნის წყალო!
ყანის გოდებამ მიწა დაჰფარა,
გეძახის ველი, გეძახის კალო,
ნუ მივატოვებთ ცის ანაბარა.

ირაკლი აბაშიძე

ეს ლექსი მიუძღვნა პოეტმა ალაზნის არხს.

*****

მე ვწერ დღეის მდგომარეობას

სად დაიკარგე ალაზნის წყალო,
ნეტა ვიცოდე, ვინ გადაგრია,
აბაბინებულ შირაქის ველებს
უდაბნოს ხვატი შემოერია.

ბაყბაყ დევებმა გააღეს ხახა,
ან პატრონი გვყავს ძალიან გლახა,
გადაიბუგა კახეთი, ძმაო,
აბა, მითხარი, რაღა ქნას ხალხმა!

შენ, უსულგულოვ, ოხერტიალო,
წყალი უაზროდ, რომ ხეტიალობს,
ცოტა მოუჭი მუცელს ქამარი,
არ დაგჭირდება ბევრი წამალი.

კოკოითმა რომ წყალი დაკეტა,
ეს საქართველო ხომ მთლად გახელდა,
ალაზანი რომ გადაგვიკეტეს
ვის დაუმადლოთ ჩვენ ეს "სიკეთე"!

ეს ალაზანი ჰქუხს და მოგელავს,
აზერბაიჯანს აფრქვევს მალამოს,
კახელი გლეხი თვალს მოიჩრდილავს
დამშრალს არხს გასცქერს დილა-საღამოს.

ა. ჯაფარიძე

ნუთუ არ გრცხვენიათ კოკოითზე, დაუძინებელ მტერზე რომ გავკივით წყალი დაგვიწყვიტაო, ჩვენ ბიუროკრატ ხელმძღვანელობაზე კი ხმას არ ვიღებთ, როდემდის, როდემდის შეიძლება ამისთანების და სხვა მძიმე საკითხების ატანა. შეიძლება მშრალად, უგულოდ, იმის თქმა, ეს საკითხები მე არ მეხებაო? — ვინ უნდა დაარისხოს ზარები, მაშ აღარავინ გვყოლია გულშემატკივარი (ვხოცავთ ერთმანეთს, შორს ვდგევართ სეირის მაყურებლები).

უწმინდესო და უნეტარესო, თუ დაინტერესდებიან თქვენი სამეურნეო სამსახურის კომპეტენტური პირები, სხვებთან ერთად მეც წარმოვადგენ ჩემს საგულისხმო მოსაზრებებს, რომლებიც იქნებ რაღაცაში წაადგეს ჩვენს ხალხს. იქნებ დავარისხოთ ზარები, დავიძრათ სოფლისაკენ, მოვაწყოთ აქციები. მსვლელობები, წირვები, ვილოცოთ ჩვენს დედაზე, მარჩენალ სოფელში, ქუდზე კაცი, დავუბრუნდეთ დედა სოფელს, გავაცოცხლოთ, კერა გავათბოთ. იმედი გავუღვიძოთ ხალხს, რწმენა განვუმტკიცოთ, ვაგრძნობინოთ, რომ მიტოვებული არ არის არც ღმერთისა და არც ღმერთის მსახურებისაგან.

აი, ასეთი აზრის გამოთქმა გავბედე რელიგიის მსახურთა გასაგონად და გულთან მისატანად, მე მყავს მოძღვარი, ამირან ამირანაშვილი, რომელმაც მომაბრუნა ამ ცხოვრებისაკე, ეკლესიებს ვეხებოდი, დაჩოქილი ვლოცულობდი და გულგატეხილი ვიყავი სასულიერო სამსახურზე, მიზეზი ზემოთ მოგახსენეთ, მამა ამირანმა დამარწმუნა, რომ ეს წერილი ჩემგან გამოგზავნილი უპასუხისმგებლო, უგულო კაცებმა მიიღეს და პასუხიც ასეთივე მოგწერესო. მე მოვინანიე ჩემი უგუნურება, კიდევ ერთხელ გთხოვთ, მომიტევოთ ჩემი კადნიერებისათვის. ჩემი მოძღვრის ლოცვითა და ხელდასმით, მე სერიოზული ნაბიჯები გადავდგი სოფლის მეურნეობაში, მე და ჩემი სულიერი საძმო ერთად დაგვაყენა თავის მფარველობის ქვეშ ჩვენმა მოძღვარმა და დავიწყეთ მიტოვებულ სოფლებში, სალოცავებში სიარული, წირვების ჩატარება, სულიერ საზრდოს მოშიებული, მოწყურებული ხალხი მამა ამირანს ფეხებში უვარდება, ევედრება არ მიგვატოვოთ, კიდევ ჩამობრძანდითო. ვიწყებთ ფიქრს ჭარხლის შაქრის წარმოებაზე, საეკლესიო მამულებზე, მეღვინეობა-მევენახეობაზე — მეფრინველეობაზე, მეცხოველეობაზე.

უწმინდესო და უნეტარესო, მუხლს ვიყრი თქვენს წინაშე.

გთხოვთ შენდობას. გთხოვთ, მღვდელი დაუბრუნოთ სოფელს. მისი წირვა-ლოცვა გავაგონოთ მიტოვებულ, დანგრეულ უგულოთა მიერ ხელყოფილ ეკლესია-მონასტრებს.

***

დღეს დღევანდელ ეპოქაში, ჯერ მთლიან მსოფლიოში და შემდეგ ჩვენს პატარა ერს, მცირემიწიან ქვეყანას სოფლის ყადრი გვაკლია — აუცილებელია ყველაფერი გადავდოთ და მივხედოთ სოფლის მეურნეობას, თუ არ გვინდა ქვეყანა თავზე დაგვენგრეს. შევეშვათ გენმოდიიფიცირებულ თესლს, პროდუქტებს, ნუ გავახარებთ უცხო ხილს — ჩვენსას გავუფრთხილდეთ, ჩვენს მამა-პაპეულს, ძვირფასს, ეს ხომ მსოფლიოში არ მეორდება, ჩვენი ხილი, ჩვენი ბოსტნეული ხომ შეუდარებელია, კარგი ეკონომისტი, კარგი სოფლის მეურნე კაცი ჩვენს ქვეყანას ხილით, ბოსტნეულით, მეყვავილეობით შეინახავდა, ვინ არ მიირთმევს ჩვენს ატამს, ჩვენს ყურძენს, ჩვენს მწვანილს, ქართული სურნელი რომ ამკობს. დღევანდელ საჰაერო გადაზიდვებში რა გვიჭირს რომ ჩვენც გავიტანოთ, კი არ შემოვიტანოთ...სად არის დიღმის კიტრი, ჭოპორტის პომიდორი, წავკისის, დიღმის და წყნეთის მეყვავილეობა, ჩვენგან მიედინება მილიონები უცხოეთიდან შემოზიდულ შხამმოჭარბებულ პროდუქტებში. ერთხელ თელავში ჩამოსული ემიგრანტი ჯიმშერ ღვინიაშვილი დავპატიჟე, ამერიკიდან, კალიფორნიის შტატიდან იყო — ლამაზი ეზო მაქვს კახეთში, აუზი, ნაირნაირი ხე-მცენარეები, მაგიდის გარშემო კიტრი და პომიდორი — უკვე შემოსული, მოსაკრეფი. ვზივართ ვსადილობთ; ჩანს ბროწეულის დახუნძლული ტოტები, ულამაზესი სანახაობაა; უცებ ბატონმა ჯიმშერმა პომიდორი მოწყვიტა, დაყნოსა და გაცხარებით დაუწყო ჭამა, შემდეგ კიტრი მოწყვიტა და მოგვმართა, ხალხნო, თუ გრძნობთ, თქვენი მიწის მადლსო, რა სურნელოვანია, ეს რა ბედნიერებაა, ამერიკაში ყველაფერი უხვად გვიყრია, მაგრამ თუნდ ფუჩეჩი გიჭამია ძროხასავით და თუნდაც იქაური ხილი და ბოსტნეულიო. აი ამას არ ვუფრთხილდებით და თურქულს მივირთმევთ.

***

დავბრუნდეთ ჩემს მაცხოვართან

გადის ცოტა დრო მშენებლობის დასრულებიდან და იწყება ინგლის-საქართველოს ნავთობმაძიებელთა ერთობლივი კომპანია; იზვერება ალაზნის პირიდან (მაცხოვრის ამოსწვრივ) 35 კილომეტრიანი ზოლი — გურჯაანის რაიონში მთავრდება ისტორიულ სოფელ ჭერემში, როდესაც მაცხოვრის ეზო-გარემოს მშენებლობა გვქონდა, ჩემს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს (კაკო გერმანიშვილი იყო) ვთხოვე, აქ, ახატელის და ყარაჯალის მიჯნაზე მომიზომეთ 2-3 ჰექტარი მიწა-მეთქი, გადაირია თავმჯდომარე, შენ სოფლისთვის ამდენ რამეს აკეთებ და ეს ხრიოკი როგორ შემოგბედოო. ვენახს მოგცემთ თუ გინდა, რაიმე საუკეთესო მიწასო, - არა მე მინდა აქ ამ მიჯნაზე ჩავასო ნიშანი და დავაწერო ანზორ ჯაფარიძის ნაკვეთითქო. დამეთანხმა, რამდენიმე კაცმაც აიღო აქ ადგილები და მიჯნა შეიკრა) - ამის შემდეგ ჩვენს მიწაზე სახლი აღარ აშენებულა.

დაიწყეს სადაზვერვო სამუშაოები, ალაზნის პირიდან მოყვებიან, ბურღავენ ავტომანქანაზე დაყენებული მინი-ბურღებით, 15-16 მეტრზე ჩადის მილი და შემდეგ კაფსულას აგდებენ მილში — ფეთქდება კაფსულა და აკუსტიკით განისაზღვრება მგრძნობიარე ხელსაწყოებზე, სად რა ფენა არის — მოყვებიან, არსად არაფერი ჩანს და აი, მოადგნენ ჩვენი მაცხოვრის მიდამოებს — 7-8 კილომეტრი აქვთ უკვე დაზვერილი — მოადგნენ ჩემს ნაკვეთს, ჩაუშვეს ბურღი და გადაირივნენ — რაღაც სასწაული ხდებაო, და აი, მეორე ბურღით იქავე ისევ ჩემს ნაკვეთში და დაიწყო ჩემი ძებნა ვისია ეს ნაკვეთიო — მოცვივდნენ ჩემს სახლში, ჩემი ცოლშვილია ამ დროს იქ, მე თბილისში ვარ — წაუყენეს წინადადება, კონტრაქტი გავაფორმოთო — ჩემმა მეუღლემ უთხრა: - ჩვენ არაფერი ვიცით, ჩემი ქმარი თვითონ მენავთობეა და მას დაგალაპარაკებთო, ჩამოვედი — ვხვდები ინგლისელებს — თარჯიმანი მითარგმნის: - იცით, აქ რა პროგნოზირდება? ერთი ალაზნისხელა ტოტი გადის ნავთობისო, დავდექი მუხლებზე და დავიწყე ლოცვა, გაგიჟდნენ ეს კაცი რას აკეთებსო — მე იმ წუთას უფალი ღმერთის გამოცხადება გამახსენდა:

აი, თურმე რაზედ მიმანიშნა: - შვილო ჩემო ანზორი (ბარიტონით) სად ეძებს შენი სოფელი სიმდიდრეს, თქვენი სიმდიდრე აი აქ არისო — კომუნისტების დროს 1970-1975 წლებში ქართველი მენავთობეები ამ ადგილებში ატარებდნენ ძიებას, დადგეს უზარმაზარი საძიებო კოშკი და 4-5 წელი დიდი ჯგუფი მუშაობდა, ჩავიდნენ დიდ სიღრმეზე და გაჩერდნენ, დაირხა ხმები, ჩვენმა გეოლოგებმა შეგნებულად შეიკავეს თავიო — აი ამ მიტოვებულ ჭაბურღილთან — მილიდან ამოჟონავდა წყალი — მაცხოვრის ეზო რომ მოვაწყვეთ და ნარგავები დავრგეთ ამ უდაბნოში, მორწყვა იყო საჭირო — ამიტომ და ამ მიზნით მიტოვებულ მილს სარქველი გავუკეთეთ. დავხურეთ და წამოვაცვით პლასტმასის მილი — 500 მეტრზე მიწაში ჩავმარხეთ, რომ არ მოეპარათ და მოვიყვანეთ მაცხოვართან წყალი, დავდგით რკინის ძარა, რომელშიც 2,5-3 ტონა წყალი ჩადიოდა, ერთ ღამეში ივსებოდა და ჩემი სოფელი მორიგეობით რწყავდა ნარგავებს — ერთი დილას მივედით და რას ვხედავთ: მილიდან მოწანწკარე წყალს ცეცხლი უკიდია, თურმე თათრის ბავშვს ასანთი მოუკიდებია, აი, კიდევ საბუთი იმის დამადასტურებელი, რომ აქ დიდი ნავთობის მარაგი ინახება — ერთ დღეს ისევ მშენებლობას ვუბრუნდები, 60 კაცი მუშაობს, წყალი მშენებლობისთვის ავტოცისტერნით გვაქვს მიტანილი — შუადღეა და გათავდა, - ხალხმა შემომძახა: აი, ანზორ, წყალი გათავდა და გაგვიშვი, ჩვენი საქმეც გვაქვსო — არ ვიცი რატომ მაგრამ ინსტინქტურად ვიღრიალე, ფეხი არ მოიცვალოთ, წყალი ახლავე გექნებათმეთქი, - ჰოი, სასწაულო, გავიხედ-გამოვიხედე, დაბნეულმა, ვეძებ გზას როგორ მოვიქცე და ვხედავ დამშრალი წყლის კალაპოტში მოგრიალებს წყლის ნაკადი — დამშრალი საგუბარი აავსო და დაწყდა...

დავესიეთ ვედროებით, დავიწყეთ ცისტერნაში ჩასხმა, ხალხი გაოცებული იწერს პირჯვარს და მეკითხება: - რა იცოდი, წყალი რომ მოვიდოდაო... რა თქმა უნდა, წყალი ვიღაცამ დაღვარა, მაგრამ ასეთი დამთხვევა როგორ ავხსნათ. კიდევ ერთს გავიხსენებ: - შემატყობინეს, სამი ძირი კვიპაროსი ვიღაცამ მოგვპარაო, - ჩამოვედი სოფელში გამწარებული, ეს ვინ გარეწარმა ჩაიდინამეთქი, ჩემმა სოფლელებმა მირჩიეს — სიმწვანე და ასეთი ნარგავები ჩვენს მეზობლებს ძალიან უყვართო და იქნებ იქ მივაგნოთო.

დავიარეთ გორხანა ასე ჰქვია მათ სასაფლაოს და, რას ვხედავთ, ვიპოვნეთ ახლად დარგული ეს სამი ხე — მივადექი მაშინდელ საბჭოს თავმჯდომარეს, ძალიან შეწუხდა — ეს როგორ ჩაიდინესო, თვითონვე მოათხრევინა, აჰკიდა ზურგზე და სოფელში ჩამოატარა, ასე გაგიკეთებთ ყველას, ვინც იმ ეკლესიას შეეხებითო — მოიტანეს, თავისი ხელით დარგეს და სანთლები აანთეს, ღმერთო გვაპატიეო...

მაპატიე მკითხველო, ახალა ისევ უნდა დავუბრუნდე ჩემს ქალაქიდან სოფელში ჩამოსვლის საკითხს, მივდექ-მოვდექი, ავწონ-დავწონე, ვფიქრობ რით დავიწყო, ასე გაძვალტყავებული, გაფცქვნილი ვარ — მიწები მომცეს, ვენახები მომცეს, რა თქმა უნდა, არენდით, მაგრამ სად ვიშოვნო ფული, მიწას დამუშავება უნდა, მოვლა უნდა. რაც მთავარია, რეალიზაცია უნდა. ვფიქრობ, სად გაუკეთო რეალიზაცია; ღვინოს, მზესუმზირას, სიმინდს და აი, ჩემი უდიდესი ფილოსოფიური მიგნება: - მე თვითონ უნდა შევქმნა ამ ყველაფრის სარეალიზაციო უბანი (დარგი) — აქედან წარმოიშვა იდეა რესტორნისა და მაღაზია "ბერების ზვარის" შექმნისა. აი, კონვეიერი სოფელი — სოფლის პროდუქტები და ქალაქში ჩემი საკუთარი სარეალიზაციო საშუალება — გლეხი გონიერია, ძლიერია, შეუძლია მიწასთან ჭიდილი, მაგრამ წელში წყვეტს და ინტერესს უკარგავს ის, რომ პატრონი არ ჰყავს გზის მიმთითებელი, რეალიზაციაში დამხმარე, ვინმეს ცოტათი მაინც რომ სტკიოდეს გული, ეს საქმეც არ არის შეუძლებელი, ცხონებულმა, ერის დიდმა შვილმა, ერის უწმინდესმა კაცმა გენიოსმა ილია მართალმა (ჭავჭავაძემ) იმ ცხენებისა და ურმების ეპოქაში სასწაული მოახდინა სოფლის მეურნეობაში, მიხოს, მევენახეს უთხრა: - შენ გააშენე ვენახი, მოიყვანე მოსავალი, დააყენე კარგი ღვინო, ლევანას უთხრა: - შენ მოამზადე ურმები, რუმბები (ხარისა და კამეჩის ტყავისგან სითხის გადასატანი ჭურჭელი), სარქისას ეუბნება, სირაჯს, შენ ადგილზე მოგართმევენ საუკეთესო ღვინოს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს, მიხო და სარქისა ერთმანეთს არ იცნობდნენ, ლევანას საშუალებით ხდებოდა ფინანსური ოპერაცია, ამრიგად, სამივე მხარე ბედნიერი და კმაყოფილი იყო, ჩვენ კოსმოსის ეპოქაში ვცხოვრობთ, დიდი, დაუძლეველი პრობლემა გაგვიხდია ჩვენი ნაშრომის და ნაწვალის რეალიზაცია. დიდმა ილიამ ამხანაგობები შექმნა და სოფელი გააცოცხლა.

არ არის ეს საქმე ძნელი და გადაუჭრელი, 2003 -2004 წლები იყო. მეგობრებმა მათ შორის ჩემმა მოძღვარმა მამა ამირანმა, რომელიც დიდ ხანს ბათუმში ასლან აბაშიძის თხოვნით წირავდა —

მთხოვეს შენი ღვინოებით, შენი ტრადიციებით, იქნებ ბათუმში ჩავიდეთ და სასიკეთო საქმე გავაკეთოთ ბათუმელებისათვისაც და შენთვისაც. გადავწყვიტე ჩასვლა, წავიყვანე ჩემი მზარეული, ჩემი მუსიკოსი, ჩემი ბუღალტერი, ჩემი მიმტანები და ერთ-ერთ რესტორანში "არ დაიდარდო" ჰქვია, ადლიაშია, დავიწყეთ მუშაობა —ჩემს ღვინოებზე და არაყზე გიჟდებოდა ხალხი, დავიწყეთ რესტორნის რეკონსტრუქციაც, მოვაწყვეთ საქართველოს ყველა კუთხე — ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო-აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი სამცხე-საათაბაგო, ფშავ-ხევსურეთი, მთიანეთი, სვანეთი, ძველი ფეოდალური საქართველოს დროშები დავკიდეთ ყველა კუპეზე — შემოვიარე ბათუმის რესტორნები და რას ვხედავ — ღვინოს ვერც მიამგვანებ, ისეთ სასმელებს სთავაზობენ ხალხს დეფიციტია ნატურალური ღვინის, ამავე დროს, ჩემი ხალხი ადლიაში ერთ ძალიან კარგ ოჯახში ნიჟარაძეებთან დავაბინავეთ (ქირით) მეც, როდესაც ჩავდიოდი ჩემი ოთახი მქონდა — მანდარინისა და ლიმონის დიდ პლანტაციაში იდგა ეს სახლი. ზამთარია და მანდარინის ხეები დაუკრეფავია — ვეკითხები ოჯახის პატრონს ქ-ნ ერმინეს, რატომ არ კრეფთ-მეთქი — სად წავიღოთ, რომ დავკრიფოთ, არადა, ამ დროს, კახეთში — ერთ კილოგრამ თხილისოდენა მწვანე მანდარინში ვიღაც ჭკვიანი ვაჭარი 2 ლიტრ ღვინოს თხოულობს და აძლევენ კიდეც სიხარულით. ვფიქრობ, ეს რა ხდება — რატომ ვიქცევით ასე. ამ საქმის გამოსწორება ხომ შეიძლება-მეთქი, ვთხოვე მამა ამირანს — იქნებ მთავრობის რომელიმე წევრს შემახვედრო — წამიყვანა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ქალბატონ ნაზი მიქელაძესთან (პროფესორია) გავეცანით და გადმოვაფრქვიე ჩემი იდეები — ვესაუბრები: ქალბატონო ნაზი, კახელი გლეხი ყურძნისა და ღვინის რეალიზაციაზე ტირის, აჭარელი და ზღვისპირელი ციტრუსების რეალიზაციაზე, რა იქნება ბათუმში ერთი წარმომადგენლობის მაგვარი ცენტრი შევქმნათ კახელებისთვის და კახეთში პირიქით — აჭარის და ზღვისპირეთის სუფთა ნეიტრალური ღვინო ენატრება და კახელ კაცს ზამთარში ციტრუსების მწვანე ფოთლებს რომ დაანახვებ, ნერწყვებს ყლაპავს-მეთქი — ჩვენ სადა გვაქვს იმდენი ციტრუსი ან იმდენი ღვინო ჩვენს აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთს და ჩრდილოეთს რომ ეყოსთქო — ქალბატონმა ნაზიმ მდივანს კარები დააკეტინა, გარეთ არ გავიდეს ეს ხმა, თორემ ამ იდეას სხვა მიითვისებს, ნაწყენი არ დამრჩეო — შემომთავაზა ბათუმში სათანადო ადგილს წარმომადგენლობისთვის მე მოგიხერხებო — შენ წადი და კახეთში შეათანხმეო — ჩამოვდივარ თელავში ვხვდები ქალაქის გამგებელს, ვუხსნი საკითხს ვაწვდი იდეას წარმომადგენლობის შესახებ — კახელი კაცი ზღვაზე დასასვენებლად რომ მიდის, კომფორტი რომ დახვდეს, წარმომადგენლობაში მივა და მზამზარეული დახვდება. ბინა, კვება — აქვე იქნება რესტორანი კახური კუთხური სამზარეულოთი, კახური მინი მარანი, თონე, ჩურჩხელები.

კახური კოლორიტი, ეთნოგრაფიული კუთხე, ანალოგიურად თელავში აჭარის წარმომადგენლობა — რათა უკეთ გაიცნონ კახეთი —ეს ბარაქიანი კუთხე — თავისი მაღალი კულტურით, სამწუხაროა, მაგრამ მე გამიგონია ადლიაში წყალწაღებულ ოჯახებს სხვადასხვა კუთხეში რომ სთავაზობენ ჩასახლებას, სადაც გინდა გამიშვი — კახეთს ნუ შემომთავაზებო, მე შემხვედრია ასეთი კურიოზიც: - ერთი გურული მძღოლი მყავდა კახეთში, იყალთოში წაყვანილი და დიდ სუფრაზე მეკითხება — ფეხზე ადგომით ისმებოდა სადღეგრძელო, ბატონო ანზორ, სად ვართო - იყალთოში-მეთქი, - არა, რომელი კუთხეაო, კახეთი, რამ დაგაბნია-მეთქი, თურმე პირველად ყოფილა. წამოსვლისას გზაში გამომიტყდა, მე კახელებზე სულ სხვა წარმოდგენა მქონდაო — ასე მეუბნებოდნენ, კახელი უნდა იყოს: დაბალი, ჯმუხი, შავი — სუფრაზე უნდა ეყაროს მთელ-მთელი ქათმები — ხონჩებით ხაშლამა და აქ ეს რა ვნახე, ფეხზე რომ ადექით, ყველაზე დაბალი მე ვიყავი და ქალაქშიც იშვიათად მინახავს ასეთი სილამაზე სუფრაზე — ხოდა, გამგებელს ვუხსნი კარგი იქნება ქართველმა კაცმა თავისი კუთხე-კუნჭული კარგად შეისწავლოს და ამ საქმეში ეს წარმომადგენლობები ძალიან შეუწყობს ხელს-მეთქი. კარგი კაცი იყო. ეს საკითხი მთავრობაში დავსვა თუ არა, თუ გამჟღავნდა — ამასთან აღარც შენ მიგასუნინებენ და აღარც მეო — არ გასულა ორი-სამი დღე და გამოდის ტელევიზიით ერთი მაღალჩინოსანი კახელი და გვმოძღვრავს — უნდა გავაკეთოთ ხიდი კახეთსა და აჭარას შორისო — უნდა მოვფინოთ საქართველოს ყველა კუთხეებში სამამულო პროდუქტიო — თუ ჩვენ ნატურალური ღვინოს გავყიდით, ჩვენი ვენახების გაზრდა მოგვიწევს გაჩეხვა კი არაო, - ღაღადისი — ღაღადისად დარჩა. მე ბათუმიდან წამოვედი შეურაცხყოფილი, დამცირებული, რაც ჩავიტანე წამოღება კი არა, ისიც იქ დამრჩა...

გაგრძელება იქნება

ხათუნა ჩიტაძე

საბიბლიოთეკო კვირეული ქალაქ ხაშურში

საბიბლიოთეკო კვირეული საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა ხუთი მაისიდან თერთმეტი მაისის ჩათვლით, რომელშიც, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებამაც მიიღო აქტიური მონაწილეობა. (ბიბლიოთეკის დირექტორი, – მარინე დიდებულიძე.)

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, 5 მაისს, გაიხსნა საბიბლიოთეკო კვირეული, სადაც ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებამაც მიიღო მონაწილეობა. კვირეული შემდეგი რიგითობით წარიმართა:

1. ხელოვანი ბიბლიოთეკარები.

2. წარმოაჩიე შენი ბიბლიოთეკა.

ჩვენ, ღირსეულად წარვსდექით საბიბლიოთეკო საზოგადოების წინაშე, წარვადგინეთ ხელით ნაქარგი წიგნი, რომელიც ჩვენმა თანამშრომელმა, ხათუნა ჩიტაძემ დაამზადა. აგრეთვე წარდგენილი იყო, ნახატები, ნაქარგები, ხელით მოხატული სააღდგმო, დეკორატიული კვერცხები. გამოფენას ამშვენებდა სურამის ბიბლიოთეკის ,,სიცოცხლის ხე", და კიდევ სხვა, თვალსაჩინო ნამუშევრები. დამთვალიერებლის დიდი მოწონება დაიმსახურა თემატიკასთან სიზუსტით არებულმა და დიდი პროფესიონალიზმით შესტულებულმა ნაქარგმა წიგნმა.

გამოფენაში მონაწილეობდნენ მარინე დიდებულიძე, ლეილა მარგველაშვილი, ნინო კახიშვილი, ხათუნა ჩიტაძე და ნინო შილაკაძე.

გამოფენაზე წარდგენილი იყო პრეზენტაცია საბიბლიოთეკო ინოვაციებზე, წარმდგენელი გახლდათ ქალბატონი მარინე დიდებულიძე. საზოგადოების ყურადღება და შექება დაიმსახურა იმ ფაქტმა, რომ კვირაში შვიდივე დღე ხაშურის ბიბლიოთეკა მუშაობს დილიდან საღამომდე და მზადაა მიიღოს მკითხველი, ასევე ამუშაოს კლუბები და წრეები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კვირეულის გახსნაზე, ყველაზე მრავალრიცხოანი წარმომადგენელი ჩვენი ქალაქიდან გახლდათ, სულ 19 თანამშრომელი.

ჩვენ, ხაშურის მნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები მადლობას ვუხდით ამ პროექტის იდეის ავტორს, ქალბატონ ინგა ლორიას და ყველა ორგანიზატორს. გამომცემლობა ,,წიგნი+ერის" დირექტორმა, ქალბატონმა მზია რაზმაძემ საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნაზე ღირსეული წარმოდგენისათვის საჩუქრად გადმოგვცა საჩუქრები მხატვრული წიგნების სახით, რისთვისაც ვუხდით მადლობას.

7 მაისს, ხაშურში საბიბლიოთეკო კვირეული ,,წარმოაჩინე შენი ბიბლიოთეკა" – გახსნილად გამოცხადდა. საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა, ქ–ნ მარინე დიდებულიძემ, ღონისძიების ფარგლებში ფართო საზოგადოებას წარუდგინა საანგარიშო მოხსენება ვიდეორგოლების დახმარებით.

ბიბლიოთეკის ,, ილია ჭავჭავაის" სახელობის დარბაზში, ნუცა ჩიტაძის ნახატების გამოფენა განთავსდა, რომელსაც საკმაო მნახველი ჰყავდა. ხაშურის მთავარი ბიბლიოთეკა ქალაქ ხაშურის მე–6 საჯარო სკოლის შემოქმედ მოსწავლეებსაც მასპინძლობდა. მოსწავლეებმა წაიკითხეს საინტერესო, მხატვრული ნამუშევრები და საყვარელი მწერლების შემოქმედება. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა, რომელთაც გაალამაზეს საღამო. (ხელმძღვანელი – ფატი სადაღაშვილი.) კვირეულის მონაწილენი დაჯილდოვდნენ მადლობის სიგელებით და წიგნებით. ქალბატონმა ინეზა ელისაშვილმა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის სახელით, მოსწავლეები საჩუქრებით დააჯილდოვა.

რვა მაისს, საბავშვო ბიბლიოთეკასტან არსებული თეატრალურ–მუსიკალური წრის ბავშვები, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან და მშობლებთან ერთად, თავის თანატოლებს, საზღვრისპირა სოფელში, წაღვლში ესტუმრნენ, წაღვლის საჯარო სკოლაში, სადაც ჩაატარეს კონცერტი, იმღერეს, წარმოადგინეს მინი სპექტაკლი და წაუკითხეს ლექსები. ამ დღის ორგანიზების მხარდაჭერისათვის ბიბლიოთეკა მადლობას უხდის ხაშურის მუნიციპალიტეტს და კულტურის სამსახურს, აგრეთვე საგანმანათლებლო რესურსცენტრს და წაღვლის სკოლას გულთბილი დახვედრისათვის.

ხაშურის საბავშვო ბიბლიოთეკასთან არსებულმა თეატრალური წრის ბავშვებმა, 11 მაისს კოსტიუმირებული მსვლელობა მოაწყეს ქალაქში. ზღაპრის გმირებმა სხვადასხვა ორგანიაციებსა და დაწესებულებებში დაარიგეს

ბიბლიოთეკის ბუკლეტები და მოსახლეობას მოუწოდეს, აქციით: ,,აჩუქეთ ერთი წიგნი ბიბლიოთეკას!“ აშკარა იყო მოსახლეობის მზაობა და მხარდაჭერა მსვლელობისას.

ამავე დღერს, ცხრამუხის ბიბლიოთეკაში მოსწავლეემა წარმოადგინეს კომპოზიცია, ,,მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აანთებს“, რომელიც აფხაზეთში დაღუპულ, ღიმილის ბიჭის, იური ცუცქირიძის ხსოვნას მიეძღვნა. ბავშვებმა ყვავილებით შეამკეს სამშობლოსათვის დაღუპულთა საფლავები.

დღის ბოლოს, კალიგრაფიისა და სწრაფი კითხვის კონკურსის გამარჯვებულები შესაბამისი მადლობის ბარათებით დაჯილდოვდნენ.

14 მაისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა საბიბლიოთეკო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება, ხაშურის ფართო საზოგადოების თანდასწრებით, სადაც, ქ-ნ მაკა დიდებულიძემ წარადგინა დასკვნითი ანგარიში ,,კვირეულიდან კვირეულამდე“.

ამ ყველაფერთან ერთად, გვინდა, მკითხველს გავაცნოთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება არის თანამედროვე ტიპის კულტურულ-საინფორმაციო ცენტრი, რომელიც მრავალფეროვან, თანამედროვე სერვისებს გვთავაზობს. ბიბლიოთეკა 95000 რაოდენობის წიგნად ფონდს ფლობს, მათ შორის უცხოენოვან ლიტერატურასაც. ბიბლიოთეკა თანამედროვე კომპიუტერული სისტემით არის აღჭურვილი, რომელიც მკითხველისთვის დიდი კომფორტია. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს სხვადასხვა საინტერესო კლუბები: წიგნის მოყვარულთა კლუბი ,,საუბრები ბიბლიოთეკაში“, ,,მაძიებლები“, ,,კულინარიის კლუბი“.

ხაშურში არსებული სტუდია „ჯადოსნური ქალაქი“

ხაშურის სამუსიკო სკოლის დიდ დარბაზში ჩატარდა ორი საანგარიშო კონცერტი სტუდია ,,ჯადოსნური ქალაქის“ მონაწილეობით. (ხელმძღვანელი ხათუნა ღვალაძე). ხათუნა გახლავთ ხაშურის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო

განყოფილებისა და სტუდია „ჯადოსნური ქალაქის“ხელმძღვანელი,პიანისტი, პირველი საჯარო სკოლის მუსიკის პედაგოგი. იგი აქტიურად არის ჩართული ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ხშირად მართავს კონცერტებს, საღამოებს, სალონურ შეხვედრებს და სხვა.

ხათუნა ღვალაძე დაიბადა 1970 წელს, სწავლობდა რკინიგზის მეოთხე საშუალო სკოლაში. დაამთავრა ზ.ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედი 1989 წელს, იმავე წელს ჩაირიცხა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კოსერვატორიაში, საფორ-ტეპიანო განყოფილებაზე. გამართული აქვს სოლო კონცერტები თბილისსა და ხაშურში.ხშირად მართავს თავის მოსწავლეებთან ერთად სოლო კონცერტებს.(საფორტეპიანო განყოფილება)იგი ასევე მღერის ხაშურის სამუსიკო სკოლასთან არსებულ ქალთა ტრიოში.

23 ივნისს სამუსიკო სკოლის დიდ დარბაზში ჩატარდა ,,ჯადოსნური ქალაქის“ სოლისტის, თეკლა ხარაზიშვილის სოლო კონცერტი. მაყურებლის წინაშე შესრულდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორების სიმღერები.(მარიკა კვალიაშვილი, გია მაჭარაშვილი, ვაჟა დურგლიშვილი, ინოლა გურგულია, ლილიკო ნემსაძე, ბიძინა კვერნაძე). ასევე შესრულებულდა პოპური ცნობილი ქართველი კომპოზიტორების სიმღერებიდან. აღსანიშნავია პოპური გ.ცაბაძის მიუზიკლიდან ,,ვერის უბნის მელოდიები“, რომელშიც მონაწილეობდნენ ,,ჯადოსნური ქალაქის“ პატარა აღსაზრდელები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონცერტზე სტუმრად გახლდნენ ცნობილი კომპოზიტორები: მარიკა კვალიაშვილი, ნუნუ გაბუნია, გია მაჭარაშვილი, მუსიკოსები: ნინო ბოჟაძე და მაია ჭუმბაძე, ასევე, ტელევიზია „ერთსულოვნების“ჟურნალისტი მაკა ხურციძე და მსახიობი ალეკო თეთრაშვილი.

კონცერტი წარიმართა სრული ანშლაგით. კონცერტსსტუმრობნენ ხაშურის მინიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელი პირები და ხაშურის ინტელიგენცია.

სტუდია ,,ჯადოსნურ ქალაქს“ საფუძველი ჩაეყარა 2014 წელს. თავდაპირველად მონაწილეობდა 23 მოსწავლე 7-დან 12 წლამდე.სტუდიის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის მუსიკათმცოდნე ინგა ხრიკაძეს.კონცერტზე შესრულდა გ. ცაბაძის ,,ვერის უბნის მელოდიები“ ფორტეპიანოს თანხლებით. (კონცერტმაისტერი ხათუნა ღვალაძე). მომდევნო წლებში წრე გაფართოვდა და გადაიქცა თეატრალურ-მუსიკალურ სტუდიად, გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, მუშაობა ბავშვებისათვის უფრო გახდა საინტერესო და მრავალფეროვანი.. სტუდიაში მოსწავლეები დაყოფილია ასაკობრივ ჯგუფებად. განტვირთვის მიზნით შედგა პროგრამა, სადაც მოსწავლეები კლასიკური ნაწარმოების ფონზე ქმნიან წარმოსახვით მანუშევრებს და ეს შთაბეჭდილებებიგადააქვთ ნახატებზე. (დაწყებითი ჯგუფი 4-5 წელი).

სტუდია ,,ჯადოსნური ქალაქი“ მონაწილეობას იღებს უამრავ ღონისძიებაში, აქედან აღსანიშნავია დელფიადები, საქველმოქმედო კონცერტები და ფორტეპიანოს თანხლებით სალონური კონცერტები.

,,ჯადოსნური ქალაქი“ სექტემბრის დასაწყისიდან აცხადებს მოსწავლეთა მიღებას და სიყვარულით უხსნის კარს ხელოვან და მუსიკის მოყვარულ ბავშვებს.

მზეგული ტყეშელაშვილი

შელოცვა ღამე

ჩემი მშობლები საბჭოთა პერიოდში იყვნენ დაბადებული. მიუხედავად ამისა გულის სიღრმეში მორწმუნენი იყვნენ, რასაც მათი მშობლების დამსახურებად მივიჩნევ.

ყოველი დაძინებისას მამა პირჯვარს გადაიწერდა და იტყოდა: ღმერთო, შენ მიმყოფე ჩემი ცოლ–შვილი კარგადო! თითქმის იმავეს აკეთებდა დედაც და სხვა მხრივაც ეტყობოდათ, რომ არა მარტო სწამდათ, არამედ შიში და მოკრძალებაც გააჩნდათ ღვთის მიმართ.

სხვათა შორის , არც ბაბუამ დ არც ბებიამ წერა –კითხვა არ იცოდა, მაგრამ ფლობდნენ შინაგან კულტურას; რაც მათ ქცევასა ,სიტყვა–პასუხში და მიმართვის ფორმაში აისახებოდა. საუბრისას ხშირად ხმარობდნენ გამოთქმებს: „შენ ხარ ჩემი ბატონი“, „რას ბრძანებ“, „ როგორც ინებებთ“, „ბოდიში მომითხოვია“, „ თუ ღმერთმაც ინება“ და ა.შ.

შესანიშნავი მეურნე იყო ბაბუა. კარგი მოლაპარაკე და სასურველი თამადა. ზეპირად იცოდა ბევრი ზღაპარი და თქმულება, რომელსაც ისე საინტერესოდ მოყვებოდა, რომ ათჯერ მოყოლილს მეთერტმეტედაც სიამოვნებით მოისმენდით.

ბებიაც მეოჯახე ქალი იყო. ძველი ყაიდის; თანდაგაყოლილი ოჯახსა და ქმარ–შვილზე. კარგად მახსოვს,– ბებიამ ერთსტროფიანი ლექსი დაგვასწავლა ბავშვებს და გვირჩია : თუ ამ ლექსს ძილის წინ წარმოვთქვამდით და პირჯვარსაც გადავიწერდით, – ცუდ სიზმრებს აღარასოდეს ვნახავდით და დილით ჩიტივით წამოვფრინდებოდით ზეზე. ახლაც მახსოვს ეს ლექსი:

დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავსტუმალს დამესვენება!

წელიწადის თვეებს, როგორც ბებია, ასევე ბაბუაც ძველქართულით იტყოდა: აპნისი, სურწუნისი, მირკანი, იგრიკა, ვარდობისთვე, თიბათვე, მკათათვე, მარიამობისთვე, ენკენისთვე, ღვინობისთვე, გიორგობისთვე და ქრისტესშობისთვე , – ჩამოგირაკრაკებდნენ თითებზე.

წელიწადის უმშვენიერეს დროს – შემოდგომას მოიხსენიებდნენ, როგორც „ სთველს“. კარს მოგვადგა სთველიო; ტაროსი შეიცვალაო,– იტყოდნენ ამინდის შეცვლისას. ბავშვებს კი ამ სიტყვებისა ნაკლებად გაგვეგებოდა და , უბრალოდ ვიცინოდით!

ერთხელ ბაბუას ვკითხე:

– ბაბუა წერა–კითხვა რომ არ იცი, ცოლი როცა შეირთე, ხელი როგორღა მოაწერეთ შენ და ბებიამ– მეთქი.

– ხელის მოწერა არ იყო მაშინ. ეკლესიაში მღვდელმა დაგვწერა ჯვარიო; – იყო პასუხი.

დაქორწინებისას რომ ხელს აწერდნენ,– ეგ ვიცოდი. რაც შეეხება ჯვრის წერას,– ბაბუასაგან გავიგე პირველად.

ახლა **შელოცვა ღამის** შესახებ. თვით ტერმინი, ალბათ ჩემმა მშობლებმა თავის მშობლებისგან ისწავლეს. მე კიდევ, როგორც დამამახსოვრდა, ზუსტად ისე მოგიყვებით:

„შელოცვა ღამე“–ს ცამეტი იანვრის ღამეს ეძახიან (ყოველ შემთხვევაში ეძახდნენ) ქვემო იმერეთის სოფლებში. მეორე დღეს (თოთხმეტ იანვარს) ძველით ახალი წელი უნდა გათენდეს. ამ ღამის შესახვედრად თადარიგს ადრიდანვე იჭერდნენ. ჯერ ბინას დააწკრიალებდნენ საგანგებოდ, მერე კი ვახშმის მომზადებას იწყებდნენ. ყოველივე ამას ქალები აკეთებენ მოზრდილი გოგონების ჩართულობით. მამაკაცები კი ძირითადად შეშის, წყლისა და ღვინის საქმეს განკარგავდნენ; რაშიც დიდი ბიჭებიც(თუ ასეთები იყვნენ ოჯახში) შველოდნენ.

შელოცვა ღამის შესახვედრად მამა ორ–სამ კარგად ჩასუქებულ დედალს დაკლავდა. ერთი დედლისგან მოზრდილ ქვაბში დედა შავ ხაჩოს გააკეთებდა. არაჩვეულებრივი ხელი ქონდა დედას და გემრიელ კერძებსაც ამზადებდა. მიუხედავად ამისა, მეჩვენებოდა, რომ შელოცვა ღამისთვის გაკეთებულ ხარჩოს განსაკუთრებული გემო ჰქონდა და ღომთან ერთად მის ჭამას არაფერი სჯობდა!

ამ ბედნიერი დღისთვის, უფრო სწორად ღამისთვის, – დიდ გობში ჩადებდნენ საშობაო ღორის თავს (რა თქმა უნდა მოხარშულს) ; გასუფთავებულ მოსახარშ დედალს (დედლებს) , მჭადებს, პურს , ხაჭაპურებს, ტკბილეულს (ჯანჯუხი, ტკბილი კვერი, მურაბა ქილით, კანფეტები...) და ხილს.

სანოვაგით სავსე გობს გვერდით ცოლიკაურის ღვინით სავსე დოქს მიუდგამდნენ. დაანთებდნენ სანთლებს. ერთ სანთელს გობზე მიამაგრებდნენ, მეორეს ხორცით (ხარჩოთი) სვსე ქვაბს,ხოლო მესამე სანთელი საღვინე დოქზე კიაფობდა!

ყოველივე ეგ ვიზუალურადაც ლამაზი იყო და სიუხვის დატვირთვაც ჰქონდა.

მერე, ოჯახის უფროსები კერიის (ჩვენს შემთხვევაში ბუხრის) წინ ჩაიმუხლებდნენ, პირს აღმოსავლეთით იზამდნენ და ლოცვას აღავლენდნენ:

– ღმერთო მშვიდობა მოგვეცი და ბარაქას ნუ გამოულევ ჩვენს ოჯახს. მატება იყოს და უდროოდ ნურავის წაიყვან!

გადაიწერდნენ პირჯვარს; გობს, ქვაბს და დოქს წაღმა დაატრიალებდნენ და იტყოდნენ:

– ასე წაღმა იაროს ჩვენმა ოჯახმაო და მხოლოდ ამის შემდეგ მივუსხდებოდით სუფრას. ამჟამად უკვე ღვინით დაილოცებოდნენ უფროსები და ღმერთს ბედნიერ ახალ წელს, –ოჯახისა და ქვეყნის სიძლიერეს შესთხოვდნენ. სურვილის შემთხვევაში შეგვეძლო ბავშვებსაც გვეთქვა რაიმე; დაგველოცა ან სურვილი ჩაგვეთქვა...

და ყოველივე ეს ხდებოდა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში; როგორც იმერნი იტყვიან:
გაგანია კომუნისტების დროს!

ნინა ბებია

მარჯვე და საქმიანი ქალი იყო ნინა ბებია.სუფთა და წესრიგის მოყვარული.უთენია რომ გაიღვიძებდა იმის ენასა და ხელებს გაჩერებულს ვერ ნახავდით!ისეთი გემრიელი ხელი ჰქონდა, ისეთ კერძებს ამზადებდა, რომ თითებს ჩაიკვნეტდით პირდაპირ!

–ასეთი მწარე წყევლა რომ არ იცოდეს,ჩემს ნინას ქალი ვერ აჯობებდა სოფელშიო. იტყოდა თედო ბაბუა მეუღლის მისამართით და ულვაშებში ჩაიცინებდა.ცოტა ხნის შემდეგ ხუმრობის კილოთი დაამატებდა:

–შეჯიბრი მაინც ტარდებოდეს ეფექტურ წყევლაში, ჩემი ნინა აქაც არავის დაუთმობდა პირველობასო!

–სავარცხელი გამომიტანე, გოგო,– შენ გოუფარცხალდი შენს ბებიას!მიაძახებდა ნინა ბებია თმაგაბურძგნილ შვილიშვილს და, ჯერ შავი თუთით გათხუპნილ ხელ–პირს დაბანდა, მერე კი თმებს დავარცხნიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მეორეს გასძახებდა: შეშა მომიტანე, ბიჭო, –შენ გაგაშეშა ჩემმა გამჩენმა!კეცები უნდა გავახურო, –შენ გაგიხურდა გვერდები!

–გოგო ლილია, –ახლა მესამეს გადასწვდებოდა,–შენ გაგილილდა ეგ სახე! რას ჩააცივდი მაგ ბჟოლის ხეს; ძირს ჩამეეთრიე, არაფერი მეიწიო!

ქათამი რომ ქათამია, ნინა ბებია იმასაც კი, თავისებურად მიაწყევლიდა:

–აქშა, შენი სისხლი გაშრა!

მეტად ორიგინალური მაინც ქმრის დაწყევლისას იყო:

–კიდევ არ დააჭედე ხომ საღორეს კარებს ლურსმანი,–შენი კუბოს ლურსმანი დავაჭედე რაც შეიძლება ადრე და მალე ააა?!

იტყოდა ნინა ბებია და დოინჯს შემოირტყამდა!

ერთხელ, როცა თედო ბაბუა ვენახს სხლავდა,– თავს ნინა ბებია წაადგა და პიდაპირ შეუტია:

–რით ვერ გეიგე, რომ წვიმა დეიწყო. შენ დაგმარხე მიწაში წვიმის დაწყებისას!!

– დამაცადე, ქალო, ერთი ძირიღა დამრჩა, არ ღირს დატოვება. დინჯად თქვა თედო ბაბუამ და საქმე გააგრძელა.

მოხდა ისე, რომ თედო ბაბუაზე ადრე ნინა ბებია გაემგზავრა ამა სოფლიდან.

...როდესაც მესაფლავეებმა კუბოს სახურავის დასაჭედებლად ჩაქუჩი და ლურმანი მოიმარჯვეს,– მოულოდნელად წვიმამ წამოუშინა!

აი, მაშინ კი უმტყუნეს მუხლებმა თედო ბაბუას და, რომ არა მეზობლის კაცი, ნინა ბებიასათვის გათხრილ საფლავში იგი ურო მალე აღმოჩნდებოდა!

ზოგი ჭირი

კეთილი და მზრუნველი ქალი იყო მამიდა.წყნარი და მოსიყვარულე.თაფლივით ტკბილი ენა ჰქონდა და მასთან სტუმრობა ყველას გვიხაროდა.

მამიდაჩემის სოფელი გორა,როგორც სახელიდანაც ჩანს,მაღლობზე მდებარეობს.სოფლის შუა გულში,მაღალი მთის ძირში,ბუნებრივი წყარო მორაკრაკებს,რომელიც ისეთი ცივი და გემრიელია,რომ მის დალევას არაფერი სჯობია.

იშვიათად მინახავს ისეთი შეხმატკბილებული წყვილი, როგორც მამიდა და მისი მეუღლე იყვნენ.ისიც თავის მეუღლესავით სტუმართმოყვარე და ალალ–მართალი კაცი იყო. ხატოვანი გამონათქვამი:,,ფერი ფერს და მადლი ღმერთსო" –მათზე იყო ზედგამოჭრილი.

მშვენიერი ოჯახი ჰქონდათ. გამართული ოდა–სახლი ოთხი ოთახით და დიდი სამზარეულოთი, რომელშიც ბუხარი იყო ამოშენებული და ცალკე შესასვლელიც ჰქონდა. თუმცა სამზარეულოში ჩასვლა სახლის დარბაზიდანაც იყო შესაძლებელი.

თვითონ ოდას აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონდა შესასვლელი კიბე, ხუთსაფეხურიანი, რომლისგანაც ჯერ აივანზე მოხვდებოდით, შემდეგ დარბაზში და ოთახებში. ზაფხულობით მთელი ოჯახი აივანზე სადილობდა და ვახშმობდა.

ოდის მარჯვენა მხარეს ტალავერი იყო გამართული, სადაც, დასავლეთის მხარეს ჭურები იყო ჩამარხული. სტუმრებისთვის საგანგებოდ გაშლილი ლამაზი სუფრაც მინახავს ამ ტალავერში.

რა ხილი გინდოდა, რომ ამ ეზოში არ ყოფილიყოს. ვენახის გაყოლებაზე ალექსანდრე მსხალი, ხურმა და კარალიოკი იყო ჩარგული. ვენახის ბოლოში, მთელს სიგრძეზე და ღობის გასწვრივაც წვრილი ხილი. ეზოში იდგა აგრეთვე გულაბი, ბია, ლეღვი, უნაბი, თხილი და ნიგოზი.

სახლის გასწვრივ ე.წ. მცვივანა ხურმა ედგათ ტკბილი და წვრილი ნაყოფით. ეს ხურმა გვიან მწიფდებოდა და ზამთრის პირზე (ზამთარშიც კი) მისი ტოტები ნაირ–ნაირი ფრინველით იყო სავსე.

ორი ვაჟი იზრდებოდა ოჯახში. ორივე გულკეთილი, თავაზიანი და ზრდილობიანი ახალგაზრდები იყვნენ! ამდენი დრო გავიდა და ახლაც მიმძიმს მათი წარსულ დროში მოხსენიება,რადგან ძალიან ახალგაზრდები წავიდნენ ამა სოფლიდან!

დღემდე მიკვირს (არა მარტო მე, არამედ ყველას, ვინც ამ ოჯახს იცნობდა) თუ როგორ გაიმეტა განგებამ ეს ღვთისნიერი ცოლ–ქმარი და ორივე ვაჟკაცი უდროოდ გამოაცალა ხელიდან!

უფროსს ორი ვაჟი დარჩა; უმცროსს კი ქალ–ვაჟი.

გატყდა ცოლ–ქმარი. სიცოცხლემ აზრი დაკარგა მათთვის. ოდნავი შვება რაც შეიძლებოდა ჰქონოდათ ,– შვილიშვილების დანახვა იყო…

ენით აუწერელი სიკეთე მახსოვს მამიდაჩემისაგან, რომლის აღწერა კი არა , უბრალოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა . ამიტომ მხოლოდ ერთს გავიხსენებ:

ჩემს ბავშვობაში საქართველოში (უფრო ქალაქებსა და რაიონის ცენტრებში) ბლომად ცხოვრობდნენ ებრაელები, რომლებიც ვაჭრობით იყვნენ განთქმულნი. არონია გამყიდველი (ასე ვეძახდით ბავშვები) მახსოვს რომელიც ტომრით ამოიტანდა რაიონის ცენტრიდან ტანსაცმელს (უფრო ბავშვებისას) და სოფელ–სოფელ დაატარებდა გასაყიდად.

ერთხელ, როცა მამიდასთან გახლდით სტუმრად , არონია გამოგვეცხადა ტომრით სავსე ტანსაცმლით. შინდისფერი ,, ბლუზკა" მომერგო და მომეწონა ძალიან. თუ მამიდას გემოვნებას ვენდობით, მიხდებოდა კიდეც! ჰოდა , გადაწყვიტა გავეხარებინე . ეგ ზედა ჩასაცმელი ჩემთვის ეყიდა. მაგრამ დახეთ უბედურებას ,– მამიდას ფული არ აღმოაჩნდა!

–ჯანჯუხებს ხომ არ ინებებთ, ჩემო ბატონო, ფულის სანაცვლოდ?! თხილისაა, თანაც ძალიან გემრიელი; ოჯახისათვის გავაკეთე . მორიდებით შეაპარა მამიდამ არონიას.

რამდენიმე წელი ვიწონებდი თავს მამიდაჩემის ნაყიდი სამოსით და არც ფერი დამავიწყდება მისი და არც ის, თუ როგორი რბილი იყო; ფაფუკი და მსუბუქი; რომ იტყვიან,– მუჭში დაიჭერდი!

დიდხანს იცოცხლეს მამიდამ და ბიძიამ შვილებმკვდარი მშობლების (თუ მათ სიცოცხლეს სიცოცხლე ერქვა!) პირობაზე და ღვთის ნებით, მამიდა პირველი გაემგზავრა თავის შვილებთან. სულ მალე ბიძიაც გაუყვა ცოლ–შვილისკენ მიმავალ გზას!

არ მინდა, რომ თხრობა ამით დავამთავრო . ჯერ ,, ზოგი ჭირი რომ მარგებელია " , –ამ გამონათქვამის ჭეშმარიტებაში მსურს დაგარწმუნოთ:

გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე მამიდას განგებამ ,, შვებად" სკლეროზი მოუვლინა. რადგან უფროსი შვილის ვაჟები ძალიან ჰგავდნენ თავიანთ მამა–ბიძას (ერთი ერთს, მეორე კი მეორეს) და მამიდაც დრო და სივრცე უკვე არეული ჰქონდა ,– შვილიშვილებს თავისი შვილების სახელითცმიმართავდა, შვილებად აღიქვამდა!

აი, ასე ,, ხარობდა" მათი დანახვისას სიცოცხლის ბოლომდე!

19. 08 2018 წ

ბატონების სტუმარი

იმერეთში, როცა მოზარდს საყმაწვილო სენი შეეყრება,– ბატონები დაუბრძანდაო, იტყვიან.

ჩვენც დაგვიბრძანდა წითელა ბატონები, თან ოთხივე დას ერთდროულად.

ოთახის ყველაზე ნათელ კუთხეში მოუწყვეს ბატონებს ხონჩა და რა გინდა , რომ იქ არ ელაგა: მურაბა პატარა ქილით, ფოჩიანი (უმეტესობა წითელი ფერის) კანფეტები, ჯანჯუხები, ტკბილი კვერი (გამომშრალი ფელამუში); ლოყაწითელი ვაშლები, წითელი ბაფთები და ასეთივე ფერის ბუშტები! წყლიან ლარნაკში კი ახალ– ახალი ყვავილები ელაგა.

ოჯახში (რომელსაც ბატონები უბრძანდებოდა) ბატონების ნებართვის გარეშე არაფერი გაკეთდებოდა. სულ ბატონობით, ბოდიშებითა და მოწიწებით მიმართავდნენ:

– შენი მუხლ–კალთის ჭირიმე, ბატონებო! ესა და ეს საქმე რომ გავაკეთო, ხომ არ გამიბრაზდები?!

–რა მოგართვა, რას ინებებ. ესა და ეს საჭმელი ხომ არ გესიამოვნება?! და ა.შ.

–ოთხივე ერთდროულად იკადრეს ბატონებმაო! – იტყოდა დედა და სიტყვა „იკადრეს" განსაკუთრებული ტონალობით წარმოსთქვამდა. და მერე, როცა ბავშვებს სიცხემ აგვიწია და მადაც დავკარგეთ, – დედა და ბებია წარამალა გვიცვლიდნენ შუბლზე ძმრიან ტილოს.

– ექიმი ხომ არ მოგვეყვანა?! მორიდებით თქვა დედამ, როცა ერთ–ერთ დას სიცხემ ოცდაცხრამეტამდე აუწია.

–ბატონები გაბრაზდებაო, შორს დაიჭირა სიტყვა ბებიამ და დედას გასამხნევებლად, იმედიანად თქვა:

–ღმერთი არ გაგვწირავს. მალე დაუწევს ბავშვებს სიცხე და მადაც გაეხსნებათო.

სწორედ ამ ყოფაში ვიყავით, როცა ეზოში ვიღაცა შემოვიდა და დაიძახა. მალე, დედა ოთახში შემოუძღვა წითელ კაბაში გამოწყობილ განო ბებიას.

ბატონებთან მიღებული ქალი იყო განო ბებია. არ ყოფილა შემთხვევა, რომ განო ბებიას მისვლის შემდეგ ბატონებს თავი უკეთესად არ ეგრძნოთ. რის გამოს დიდ პატივს სცემდნენ სოფელში.

ხაჭაპურები მოგვართვა სტუმარმა, რომელიც იმით განსხვავდებოდა ჩვეულებრივისაგან, რომ ზემოდან ოთხი წითელფოჩიანი კანფეტი ჰქონდა ჩარჭობილი და... ძალიან უხდებოდა!

აბა, ტაში ბატონებსო! შესძახა განო ბებიამ შემოსვლისთანავე და ჩვენი მოწონებილი ხაჭაპურები მაგიდაზე დადო. ვიღაცამ პატეფონი მომართა და სტუმარმაც გაშალა ხელები! ისე მოხდენილად ჩამოუარა განო ბებიამ, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდით! ამის დამნახავმა ბავშვებმა თვალები ვჭყიტეთ და მერე, საწოლზე წამომჯდარნი,– დიდხანს ვუკრავდით ტაშს!

ბოლოს დედა გაიწვია განო ბებიამ საცეკვაოდ. დედამ ჩვენ გადმოგვხედა. ჩვენ კიდევ, თავის დაკვრით თანხმობაც გავეცით და თხოვნაც: არ გაეწბილებინა სასურველი სტუმარი.

ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მივხვდი, რომ ბატონების ხათრით ჩაიცვა განო ბებიამ ის წითელი კაბა. სხვა დროისთვის კი, მის ახოვან ტანზე მუქი კაბები უფრო მინახავს.

წასვლის წინ განო ბებიამ ოთხად გაგვიჭრა საჭაპური (ოთხივე ნაჭერს თითო კანფეტი ამშვენებდა) და სათითაოდ ჩამოგვირიგა. ჩვენც მადიანად შევექეცით და ზედ ტკბილი კვერიც დავაყოლეთ.

ეგ იყო და ეგ. როგორც იმერეთში იტყვიან, პირი აგვეხსნა და მეორე დღესვე მერცხლებივით წამოვფრინდით საწოლიდან!

ლეილა გაფრინდაშვილი

ხალისიან-სევდიანი ფერები

დრო ძალზე მნიშვნელოვანია და ღირებული. ხშირად ვამბობთ:

„დროში ვერ ჩავეტიე“, „დრო ვერ გამოვძებნე“ და ა. შ. მაგრამ,როდესაც გრძნობ,წრფელი მეგობრობის სურვილით გეპატიჟება (ვგულისხმობ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს) საკუთარ ოჯახში, მხოლოდ იმისათვის, რომ შენ გასიამოვნოს, მოგეფეროს და დედობრივი სითბოც კი გაგრძნობინოს, თუნდაც თანატილმა, ამ შემთხვევაში გული თვითონ გკარნახობს:

„მოიცალე, წადი,იქ სითბოა, სიყვარულია,შემოდგომის ხალისიან-სევდიანი ფერებია,თვალს რომ დაგიამებს,გრძნობებს აგიფორიაქებს,გაგახალისებს და შენი მამულის მოსაფერებლად განგაწყობს“.

ასეთი გულისკარნახით დავადექი გზას ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის შემოთავაზებით ქართლისაკენ.

როგორც მას სჩვევია, გეგმა-გრაფიკი შედგენილია, ტრანსპორტის საკითხი მოგვარებულია.ილია ზაქარაშვილი წაგვიყვანს საკუთარი ავტომობილით,უანგაროდ, იმედიანად და უპრეტენზიოდ.

ქალბატონ გულნაზს, როგორც საერთოდ იტყვიან, ასი თვალი და ასი ყური აქვს. იგი მუდამ ძიებაშია,აღმოაჩინოს ნიჭიერები, (განსაკუთრებით ახალგაზრდებში) მერე დააკვირდეს, ჩაეძიოს, შეაფასოს და ღრმა ანალიზის შემდეგ შესთავაზოს, თავისსავე დაარსებულ ჟურნალ „ათინათით“გააცნოს მათი პოეზია თუ პროზა ფართო საზოგადოებას.სწორედ ასე აღმოაჩინა მან ილია, რომელიც საუკეთესო ლექსების ავტორიცაა და წესიერი, ზრდილი ახალგაზრდაც.

დავადექით გზას ატოცის წმინდა გიორგის ტაძრისაკენ. საჭეს ილია მართავს, გვერდით ძმა უზის,შალვა ზაქარაშვილი. ამ ბიჭებს გულით, სიტყვით, დედობრივი გრძნობით ვეფერებით,მე, გულნაზ ხარაიშვილი და ლამზირა შეყილაძე. აი, უკვე შემაღლებული ფერდობიდან დაგვცქერის 1903 წელს აგებული ატოცის ტაძარი. მეჩქარება, შეგრძნება მაქვს, ჩემი ლოცვით შევეწევი ქვეყანას, ოჯახს, ავადმყოფს,გაჭირვებულს... ალბათ იგივე განწყობა აქვს ყველას.

ტაძარში რესტავრაცია მიმდინარეობს, ხელოსნები მუშაობენ. მორიდებით ვთხოვთ მამაოს, ტაძარში შეგვიშვას.მამა სერაფიონი უფლებას გვაძლევს ვილოცოთ, სანთლები ავანთოთ.მდუმარედ ვლოცულობთ.თითქოს არც გვეთმობა აქაურობა.

ლამზირა შეყილაძე, იზო ტეფნაძე, ქეთინო ლონღაძე და გულნაზ ხარაიშვილი

მსუბუქი, ნელი ნაბიჯებით გვაცილებს მამა სერაფიონი. ტაძრის ეზოს კიბეებს მივუყვებით, ჩვენს ცნობისმოყვარეობას საზღვარი არა აქვს. მამაო სიამოვნებით გვაცნობს ტაძრის ისტორიას და თვით სოფელ ატოცს. ყველანი შვებას ვგრძნობთ, არავითარი დაღლა. ახლა კი ისევ დრო... მნიშვნელოვანი და ღირებული. ჰო! რომ შეიძლებოდეს, მთელი დღე დავდგებოდი ამ მაღლობზე და სიამოვნებით ვუცქერდი ქართულ სოფლებს, თითოეულ სახლს,ეზოს, მთას, ველს, მდინარეს, ყვავილს, ბუჩქს...

მაგრამ, აქვე გულისტკივილიც ჩასაფრებულა, თანაც უსაზღვრო და უკიდეგანო, როდესაც სულ ახლოს ხედავ შენს მიწაწყალზე გავლებულ მავთულხლართებს და მინიშნებებს, რომ ეს ტერიტორია რუსეთისაა.ეს კი ისეთი განცდაა, სურვილი გიჩნდება პირისაგან მიწისა აღგავო მტერი.

გეგმის მეორე ნაწილი სტუმრობაა ქალბატონ გულნაზის ოჯახში.ვერ იგრძნობ, რომ აქ მხოლოდ დროდადრო იხსნება კარი.პირიქით,ისე სწრაფად იშლება სუფრა, სუფრა, რომელიც სავსეა ქალბატონ გულნაზის ნახელავით, სოფლის ბარაქით,გაიკვირვებ, როდის ასწრებს ამ ყველაფერს ეს ქალბატონი.

ვაცილებთ ახალგზრდებს, ილიას და შალვას, სოფლის ნობათით ხელდმშვენებულებს, მერე კი ტკბილი საუბარი, ფუსფუსი და პოეზია.თენდება,ვიდრე მე და ლამზირა ვიცვამთ და დაბლა ჩავდივართ, ქალბატონ ქეთევანს (გულნაზის რძლის დედა, მეზობელი სოფლიდან) უკვე საუზმე გაუმზადებია, გულნაზიც თავის საქმეებშია ჩართული. გვანებივრებენ ორივენი.მე და ლამზირა ვცდილობთ დავეხმაროთ, მაგრამ, შეირგეთ სტუმრობა, დაისვენეთო-გვეუბნებიან ქალბატონები.

ლამაზად გატარებული სამი დღე სოფელ კოდაში. ლოცვა ღვთისმშობლის ტაძარში. ტკივილის გარეშე ალბათ სიხარულსაც ფასი არ ექნებოდაო, ვამბობთ ზოგჯერ, მაგრამ რატომ ასე ახალგაზრდა,ბრგე ვაჟკაცი? დიახ! სასაფლაო, ორმოცი წლის ვაჟის (გულნაზის შვილი) სურათს ვუცქერთ და, მერე თითქოს თვალს ვერ ვუსწორებთ ცრემლიან დედას. ვდუმვართ, რა უნდა ვუთხრათ სანუგეშოდ? მე და ლამზირასაც სველი გვაქვს თვალი. შინ ვბრუნდებით და ვფიქრობ,ღმერთს ამ ტკივილის დასაძლევად უბოძებია ძალა ქალბატონ გულნაზისათვის,რომ შეეჭიდოს საქმეს: ჯუმბერ ლეჟავას აკადემია, ჟურნალი „ათინათი“, პოეზია, გარდაცვლილი ძმის სათანადო პატივის მიგება, ქალაქი, სოფელი და ამასთან ერთად მოფერება მოყვასისა. სწორედ ამ მოფერების და ტკბილი ურთიერთობების დამსახურებაა, რომ ქალაქისაკენ მომავალთ, სოფლის ნობათით დატვირთულთ, ხელს გვაშველებენ და გვაცილებენ ქალბატონ გულნაზის ნათესავები, მეზობლები.

ამ დღეებში მზე, წვიმა და ღრუბელი ისე ცვლიდნენ ერთმანეთს, თითქოს სათითაოდ ცდილობდნენ შეეღწიათ ჩვენს შეგრძნებებში,რათა უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გაეხადათ ჩვენი იქ ყოფნა.ძაღლი ლომაც კი მუდამ ფეხებთან გვიჯდა, ჭკვიანი თვალებით გვიცქერდა და გვესათუთებოდა.

ლამზირა შეყილაძე, იზო ტეფნაძე, ცირა შუბითიძე, გულნაზ ნარაიშვილი გიორგი სხირტლაძე

მამა სერაფიმი (ატოცის წინამძღვარი) და ლამზირა შეყილაძე

თამაზ ცაბუტაშვილი

მათხოვარი

ტელეფონის წკრიალმა გამოაღვიძა, ხელის ინსტიქტური ფათურით, სიგარეტი მოძებნა, მოუკიდა, თამბაქოს იისფერი კვამლი ღრმად ჩაისუნთქა და ჭერზე დაკიდებულ ჭაღს უაზროდ მიაშტერდა, ტვინს ყოფადობაში დაბრუნება აცალა და ფიქრებში ჩაიძირა...

გუშინდელი დღე, მივიწყებული კინოფირივით ამოტივტივდა. ამოტივტივდა მის ცხობიერებაში – მთაწმინდა, თეთრწითელ-კოპლებიან კაბაში გამოწყობილი გოგონა, რომელიც მყუდროდ მოკალათებულიყო საბაგიროს ვაგონის ხის სკამზე და ცნობისმოყვარე მზერას არ აცილებდა, ხანდახან მოძალებული ეშმაკური ღიმილის დასაფარავად კი ოდნავ ჭორფლიან ცხვირს წამდაუწუმ იების თაიგულში მალავდა... ლამაზი იყო, დიდი ცისფერი თვალებითა და ოქროსფერი კულულებით, რომელიც ნებიერად ჩამოშლოდა ახლად აკვირტებულ მკერდზე და მთლიანობაში ძველი ზღაპრიდან გამოპარულ ფერიას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავს. საბაგიროს ვაგონი მწერალთა პანთეონთან გაჩერდა. ანგარიშმიუცემლად ჩამოვიდა და „მამადავითისკენ“ მიმავალ ასფალტიან გზას მოწყენილი გაუყვა. ტაძრის კარიბჭესთან შეჩერდა, ამოვლილი აღმართის გამო აჩქარებული გულისცემის დაწყნარებას დაელოდა, შემდეგ პირჯვარი გადაისახა და ტაძარში შეაბიჯა. უჩვეულო სიმშვიდე იგრძნო, თაფლის სანთლის და საკმეველის სუნმა, სასიამოვნოდ გააბრუა. იქაურობა ცნობისმოყვარე თვალებით მოათვალიერა, მერე სანთლები იყიდა და ტაძარს სიღრმეში, ამბიონის წინ დაბრძანებულ ღვთისმშობლის ხატს სასოებით და მოწიწებით აღვსილი მიუახლოვდა. უეცრად საკუთრი „მე“-ს შეგრძნება დაკარგა, საერთოდ დაავიწყდა რა უნდა ეთხოვა ღვთისმშობლისათვის, რისთვის ამოვიდა „მამადავითზე“ და წამით თავისი ვინაობაც კი ძლივს გაიხსენა.

ალბათ კიდევ დიდხანს იქნებოდა, ასე დაბნეული და გაბრუებული მამა ზენონის ხმას რომ არ გამოერკვია... „ – რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მადლისაითა საფარველსა ღმრთისა ზეცისაითა განისვენოს, პირქუას უფალსა...“ – მოძღვრის ხმას ტაძრის გუმბათი, რაღაც არაამქვეყნიურ აკუსტიკასა და ჟღერადბას ანიჭებდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა რომ ლოცვას მამა ზენონი კი არა ვიღაც ადამიანის გონებისაგან მიუწვდომელი და უხილავი არსება, ზეციდან ჩამოსძახოდა კაცთა ცოდვებისგან დამძიმებულ დედამიწას... აზროვნება დაუბრუნდა, სანთლები აანთო, მუდარით სავსე თვალებით, ღვთისმშობლის ხატს კიდევ ერთხელ ახედა და ტაძარი, ნელი ნაბიჯით დატოვა. გარეთ გამოსულმა საოცარი შვება იგრძნო. თითქოს მხრებიდან უსაშველოდ მძიმე ტვირთი მოეხსნაო, მთაწმინდის გრილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და მწერალთა პანთეონისაკენ ამავალ გზას აუყვა. სასიამოვნო ამინდი იდგა ნოემბრის ძალადაკარგული მზის სხივები სათუთად ეალერსებოდა მიმავალი შემოდგომის კაეშანსა და ახლადაწყებული ზამთრის სუსხის მოლოდინში, ოდნავ შესამჩნევი სიო ძირს ჩამოცვენილ ხმელ ფოთლებს წამდაუწუმ აკრთობდა და აშრიალებდა. „ვაჟას“ საფლავთან შეჩერდა, ერთხანს მდუმარედ უცქერდა პოეტის განსასვენებელს, შემდეგ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, მგოსნის გულზე ღვიძლი მიწა, ორივე ხელით ძალუმ მობღუჯა, მუჭებში ააოშა და გაერიდა... კარგა ხნის მანძილზე დაგროვილი ბოღმა ერთბაშად მოებჯინა ყელში და ამ უცნაურ ეიფორიაში ჩავარდნილმა ყვირილამდე მიღწეული ხმით, არაადამიანური ტონალობით, ამოიგმინ-ამოიყმუვლა, შემდეგ მუჭებში შერჩენილი მიწა ისევ საფლავს დაუბრუნა, მძიმედ წამოდგა, მუხლისთავიდან მტვერი ჩამოიბერტყა და საბაგიროს გაჩერებისკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა.

გზაში დაუოკებელი წყურვილი იგრძნო, ოღონდ წყლის კი არა ღვინის, თიხის ფილაში აქაფებულ-აშხეფებული „რქაწითლის“ დაუოკებელი წყურვილი, ნიკალას მთვრული ნაბიჯით შემოვლილი ავლაბრის ქუჩებში ხეტიალი და ბინდის ჟამს, მეტეხის თავზე მოხატული ნამგალა მთვარის დღეგრძელობა მოუნდა, სიყვარულის სადღეგრძელოს დალევა და მთელი ქვეყნიერების გულში ჩახუტება მოსწყურდა... საბაგირომ დაიგვიანა, ამ უეცარ აღტკინებით ანთებულს, თითოეული წუთი საუკუნედ ექცა, როდის-როდის გამოჩენილ ვაგონში სპონტანურად შეაბიჯა, ხის სკამზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

ჩიტაძის ქუჩის დაღმართი, თითქოს ჩაირბინა, პირველსავე შემხვედრ ტაქსს წინ გადაუდგა, კარი ნერვიულად გამოგლიჯა და წინა სავარძელში ხვნეშით ჩაეხეთქა, მისი საქციელით გაკვირვებულ მძღოლს, გონზე მოსვლა არ აცალა და სხაპასხუპით მიაყარა – რიყეზე, რესტორან გურჯაანში მიმიყვანე და რაც შეიძლება სწრაფად, გაიშნიკებისა ნუ შეგეშინდება თუ გაგაჩერეს მე გავცემ პასუხსო...

– რა იყო ძმაოჯან, ცუდი ხომ არაფერი? მოვალეობის მოხდის მიზნით ჩაეკითხა მძღოლი და მანქანა ადგილიდან ოსტატურად მოწყვიტა.

– არაფერი ძმაო, უბრალოდ ცოტა გული მტკივა და ეგაა, მოკლედ უპასუხა მან და მხოლოდ მაშინღა გადახედა მძღოლს, რომელსაც დიდი კეთილი თვალები და ხშირი შავი ულვაში ტიპიური თბილისელი ქურთის შესახედაობას აძლევდა.

– ვაა!!! იძახი გული გტკივა, კიდე რესტორანში წავიდეს ეგრე სად არის ჰა? რა ვქნა, ამ ქართველების ვერაფერი გაიგოს კაცმა – ყველანი იძახის არა ვსვამ, ცუდათა ვარ, ხელში ყოველდღე ყანწი უჭირავს, ჩემი ყველა მეზობელი იძახის უჩივის, სტუმრად მივიდეს, სუფრაზე ჩიტის რზე არ მოაკლოს, ყველა იფუზებიან პატიოსანი არის, თითო კაცი ხუთი საყვარელი არის, ფულს ყაირათი არ იციან, არ იციან და არც თავის გაფრთხილება უნდებიან და ეგ არის რაღა... აი მამაჩემი ერთი საწყალი ზაპოშნიკი იყო, ბევრი ფული არა ჰქონდა, მაგრამ ყოველდღე არაყს სვამდა, მე ვეუბნებოდი არ დალიო, ის მაინც სვამდა, მერე იმფაქტიმ დაარტღას, საძღალი, მაშინ დაასაფლავეს – ისე კარგი კაცი იყო, შვიდი შვილი გაზარდოს იმ საცოდავმა განა... – დაამთავრა მონოლოგი მძღოლმა.

– არა უშავს რა აზიზოვიჩ! მამა მოკვდა შენ დარჩი, შენ წახვალ, შენი შვილები დარჩებიან, მერე იმათი შვილები და ასე და ასე ყოფილა წუთისოფლის კანონი, ასე მოდის ათადან და ბაბადან და ასე იქნება ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე ალბათ. – ღიმილით დამოძღვრა მძღოლი და მამის სიკვდილის გამო ჭირის თანაზირაობისა და სოლიდარობის ნიშნად მხარზე რამოდენიმეჯერ მეგობრულად დაარტყა ხელი.

ავტომანქანამ ქვით მოკირწყლული დაღმართი, ქვიანი გზისთვის დამახასიათებელი დრაგუნ-ხმაურით ჩაამთავრა, მარჯვნივ გადაუხვია და რესტორან „გურჯაანის“ წინ დაამუხრუჭა, მძღოლს ხუთიათასმანეთიანი გაუწოდა, ავტომობილიდან გადმოვიდა და ხურდის მოლოდინში სიგარეტს მოუკიდა.

– აქამდე ორი ათასია, ძმაო! – შენთვის ათას ხუთასი იყოს მოიმადლიერა მძღოლმა, – დაჭმუჭნული კუპიურები, ხურდაში დანანებით მიაწოდა და კეთილი ღიმილით დაემშვიდობა. ჯიბიდან მთელი ფული ამოიღო და გადათვალა – ორმოცი ათასამდე იყო, – მეყოფა გაიფიქრა მან და რესტორანში აუღელვებელი კაცის იერით შეაბიჯა, თვალებით კუთხის მაგიდა მოძებნა, სკამი უხმაუროდ გამოსწია ახლად მოკიდებული სიგარეტი საფერფლის კიდეზე ჩამოდო, დაჯდა და ოფიციანტის მოსვლას დაელოდა.

რესტორანში მაგიდებიც და სკამებიც, მოხარშული მუხის ხისგან დამზადებული ღვინის კასრების იმიტაციას წარმოადგენდა, ძველი ქართული აგურით აშენებულ ფართო სვეტებს აგურითვე მოკირწყლული იატაკი ერწყმოდა და აქ შემოსულ სტუმრისთვის, ქართული სულის სტუმართმოყვარეობისა და წეს-ჩვეულებების ერთიანი სინთეზის სიდიადესა და ჰარმონნიულობას, უსვამდა ხაზს. დარბაზში განთავსებული ათიოდე მაგიდიდან, სულ ორი იყო დაკავებული. ერთს, თამბურის იისფერ კვამლში გახვეული წყვილი უჯდა, რომლებიც ერთმანეთს სიყვარულის მარადიულობაზე ცხარედ და ცოტა არ იყოს ზედმეტი გულმოდგინებით ეკამათებოდნენ, მაგიდას კი გაუხსნელი შამპანურის ბოთლი და გამოცდილი მზარეულის ხელით გაწყობილი ეგზოტიკური ხილის ასორტი ამშვენებდათ...

დარბაზის სიღრმიდან მისი მაგიდისკენ, ნაძალადევი ღიმილითა, ოდნავ მომეტებული თეძოების რხევით ასე ოცდაათიოდე წლის ოფიციანტი გამოემართა, ახლოს მოსულმა, თავი დაუკრა და მენიუ მიაწოდა, – მოეჩვენა რომ ეს ღიმილი ძალიან ჰგავდა, მანიკენის ღიმილს, უნივერმაღ თბილისის ვიტრიანში დადგმულ მანიკენის არაფრისმთქმელ ღიმილს, – „იუდას“ ღიმილი – გაიფიქრა მან და გააჟრჟოლა. და ისე რომ ოფიციანტისათვის არ აუხედია ორი მწვადი, კონიაკი და ერთი ბოთლი ლიმონათი შეუკვეთა, ბოსტნეულის სალათთან ერთად, მენიუ უკან გაუწოდა, ახალ სიგარეტს მოუკიდა და საუზმის მოლოდინში, ისევ ფიქრებში ჩაიძირა, მისდა გასაკვირად ოფიციანტი მალევე მობრუნდა და შეკვეთილი საუზმე მაგიდაზე ოსტატურად გააწყო, კონიაკი ღვინის ჭიქაში დაისხა და სულმოუთქმელად გადაჰკრა, სხეულში საოცარმა სითბომ დაუარა, მწვადის ნაჭერი აიღო და უხალისოდ გაღეჭა, კაცმა რომ თქვას არც შიოდა, კიდევ ერთი ჭიქა დაისხა და ისიც პირველის გზას გაუყენა, მერე სკა-

მის საზურგეს მსუბუქად მიჰყრდნოდა იქაურობა კიდევ ერთხელ მიათვალიერა... შეყვარებლი წყვილი წასულიყო, აულაგებელ მაგიდას კი ნახევრად დაცლილი შამპანურის ბოთლი, ორი სანახევროდ გამოცლილი ჭიქა და შუაზე გაჭრილი წითელი ვაშლი შემორჩენოდა, რომლის ნახევრები საოცრად ჰგავდნენ ადამიანის გულს, სისხლისაგან დაწრეტილ გაფართოებულსა (გაფერმკრთალებულ) და გაფერმკრთალებულ გულს, როემლიც ყასაბმა ვეება დანით, ორ თანაბრად ნაწილად გაყო, მაგრამ შამფურზე აგება დაავიწყდა... მაგიდიდან გაცოცხლლებლი ნატურმორტი უმზერდა, რომლის დახატვას, თვით „ვანგოგიც“ კი არ ითაკილებდა...

გვერდით მაგიდაზე კი სიყვარულს, ძმობასა და კუბოს კარამდე ერთგულებას ეფიცებოდნენ, უკვე გვარიანად შემთვრალი ინტელიგენტები და ყველას, რატომღაც სუფრის თავში მჯდომარე შავწინდებიანი ქალიშვილისკენ გაურბოდა თვალი, რომელსაც ფეხი ფეხზე გადაედო, ნებიერად მიყრდნობოდა სკამის საზურგეს და ყელმოღერებული იქ მყოფთ შველივით რიგ-რიგობით უღიმოდა. ეს უკანასკნელი, მშვენივრად გრძნობდა ღვინით გალეშილი მამრების ამღვრეულ მზერას, მის შიშველ მუხლისთავებზე რომ იმსხვრეოდა და ვითომდა მოსაჩვენებლად უსაშველოდ მოკლე ქვედაბოლოს წამდაუწუმ ისწორებდა, რითაც უფრო მიმზიდველს ხდიდა თავის სიშიშვლეს, ვიდრე ფარავდა, უცხო ადამიანიც კი მიხვდებოდა და შეატყობდა, რომ სუფრას რომელიმე საწარმოს ან კომბინატის თანამშრომლები უსხდნენ, მდივარ მემანქანიდან დაწყებული და დირექტორამდე დამთავრებული, – რადგანაც ყველა მათგანი ნაძალადევი ღიმილითა და მოჩვენებითი კრძალულობით, სუფრის თავსი მჯდომარე, ღორივით ჩასუქებულ ნაცრისფერ პიჯაკიან მამაკაცს გულმოდგინედ შესციცინებდა და დათაფლული ხმით – ნოიჩად იხსენიებდა. ის კი თავის მხრივ, ხან შუბლშეკრული და ხანაც ღიმილიანი სახით წარმოთქმული რეპლიკებით აჯილდოვებდა იქ მყოფთ და სამსახურშიც და სუფაზეც, თავის უპირობო უპირატესობას, ამ მედიდური მოქცევით გამოხატავდა...

უეცრად, ნოიჩად წოდებული ფეხზე წამიჭრა, გამარჯვებული ოლიმპიელის პოზა მიიღო და შთამაგონებელი ბარიტონით დაიწყო: – პატივცემულო საზოგადოებავ!!! სიჩუმეს ვითხოვ... – სიჩუმე!!! ჩვენს სათაყვანებელ ნოიჩს მოვუსმინოთ! – ქალბატონო მანანა! ძალიან გთხოვთ! – გაიჭაჭა შავპიჯაკიანი, შუახნის მამაკაცი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ სამსახურშიც და სუფრაზეც მოიჩის მოადგილე უნდა ყოფილიყო – მან მაინცდამაინც ქალბატონ მანანას მიმართა, რომელსაც იმ წუთას, საერთოდ არ ამოუღია ხმა, სამაგიეროდ მის ვნებიან მუხლისთავებს, ზარხოშით ანთებული თვალები, კიდევ ერთხელ დაანათა. – ნოიჩმა „ნაპოლეონის“ სიდინჯითა და „ნერონის“ მედიდურობით – კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი „ბრძოლის ველს“ – ყრუდ ჩაახველა და შთამაგონებელი და დამაჯერებელი ტონით დაიწყო.

– პატივცემულო საზოგადოებავ!!! ამ პატარა სასმისით და დიდის გრძნობით მე მინდა, ერთი მოსაფერებელი და ჩვენი მანანასავით ჩასახუტებელი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, – ქალბატონი მანანა ოდნავ შეიშმუშნა და წამოჭარხლდა კიდეც, თუმცაღა სიწითლემ მალევე გადაუარა, – დიახ მეგობრებო!!! განაგრძო ნოიჩმა – მე მინდა ამ ჭიქით, ყველა გაჭირვებულების შველისა ვთქვა – აბა ერთი წამით ყველანი ჩავუფიქრდეთ იმ დიდ გაგებასა და ადამიანობას, რომელსაც ეს ჩვენი მოსაფერებელი დები და ძმები განიცდიან, შენ გენაცვალე ნოიჩ!!! თქვენს ენაპირსა და დიდსულოვნებას შემოვევლეთ! თქვენს ოქროს გულსა და გამჭრიახ გონებას გაუმარჯოს ჩვენო დიდებულო მეცენატო, აყაყანდნენ ნოიჩის „მჭერმეტყველებით“ გაცვიფრებული სუფრის წევრები და უკვე დიდი ხნის დამუშავებული კომბინაციის მიხედვითა და თანახმა – არაერთგზის რეპეტიციების, დოზის დამუშავებული ტაში, ფეხზე დგომითა და აღტაცების შეძახილებით ერთხმად დააგრიალეს, ამის შემხედვარე ნოიჩს, თავის ვეებერთელა გული ჯერ აუჩუყდა – მერე ყელში მოებჯინა და სარკის წინ ნავარჯიშები, ცრემლების მარგალიტები თვალებიდან წამწამებზე, წამწამებიდან ლოყებზე, ლოყებიდან კი ღაბაბზე ჩამოუცოცდა – და ასევე, არაერთხელ ნავარჯიშები გაბზარული ხმით განაგრძო – ყველა ის ავადმყოფი და ლოგინზე მიჯაჭვული მინდა დავლოცო, ვინც საავადმყოფოს ფანჯრებიდან უმზერს, გაზაფხულზე ნორჩი კვირტების აფეთქებასა და მერცხლების ლივლივს, მაგრამ წამოდგომა და გარეთ გამოსვლა არ შეუძლია, – განა ციხის კრებისგან განსხვავებით, საავადმყოფოს კკარები, სულ ღია არ არის მეგობრებო?! მაგრამ იქიდან გამოქცელი ადამიანი თუ გინახავთ ვინმეს??? – როგორ არა ნოიჩ!!! მეზობელი მყავს ერთი, ბავშვი რომ შეეძინა მშობიარობის საფასური ვერ გადაიხადა და ცოლი და ბაღანა ჩუმად გამოაპარა საავადმყოფოდან, უადგილოდ წამოაყრანტალა თითივით გალოკილმა და გამხდარმა ყავისფერპიჯაკიანმა ინტელიგენტმა, რომელიც თავის უცნაურად მიწკურულ თვალებს კეხიან ცხვირზე დასკუპებლი, პენსნესმაგვარი სათვალიდან – აცა-ბაცად აცეცებდა და აშკა-

რად ეტყობოდა, რომ რეალობის ორბიტიდან კარგა ხნის წინ იყო მოწყვეტილი და იქაურობას, მხოლოდ სუფრის მიზიდულობის ძალის წყალობითღა შემორჩენოდა და უცხო (რეალაობას თანამგზავრივით უვლიდა გარეშემო).

ნოიჩმა მრისხანედ გადახედა არამკითხე მოამბეს და უფრო გულსაკლავი და დამაჯერებელი ტონით განაგრძო... – დიახ მეგობრებო!!! – ამ სასმისით, მე მინდა ყველა იმ ოთხკედელშუა მოქცეული პატიმრისა და იმ ვაჟკაცების სადღეგრელო შევსვა – ვინც ციხის გისოსებიდან ცრემლმორეული თვალებით უცქერს თავისუფლებას და საკუთარი ცოლ-შვილისა და ახლობლების ნახვა ენატრებათ! – მეგობრებო მე კიდევ ერთხელ დიდის გულისტკივილით მინდა გავიხსენო ის ხალხი, ვისაც დღეს დღეობით ლუკმა პურის შოვნაც კი არ შეუძლია და შიმშილით რომ არ დაიხოცნენ დღე და ღამე მაწანწალა ძაღლებთან ერთად, ნაგვის ყუთებში პურის ნატეხებსა და საჭმლის ნარჩენებს დაეძებენ – რადგან ისინი თავიანთი უპოვრობის გამო, არც მეზობლებს არც ნათესავებს და არც ნაცნობ მეგობრებს, აღარ ახსოვთ და ასე არიან ღვთისგან და კაცთაგან მიტოვებულები...

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იმჭერმეტყველებდა ნოიჩი რესტორნის ღია კარებში, შავებში ჩაცმული სამოცდაათიოდე წლის დედაბერი, რომ არ შემოლასლასებულიყო, ერთ ხელში ტილოს გაზუნტლული ჩანთა, მეორეში კი ხორკლიანი და უხეში ხელჯოხის მაგვარი ნედლი ხის ტოტი ეჭირა. ფეხზე ცალ-ცალი კალოსში ეცვა, ერთ დროს ლამაზი და ეშხიანი სახე, უწყლოდ დარჩენილ ყვავილივით ჩამოსჭკნობოდა, ჩამოხმოდა, ჭუჭყიანი შავი თავსაფრიდან ადგილ-ადგილ გამოსჩროდა ჭაღარა თმები და წირპლებით სავსე თვალებს, შეშინებული, აქეთ-იქით აცეცებდა. ბოლოს, როგორც სჩანს გამბედაობს მოიკრიფა, მის მაგიდის გვერდით ჩაუარა და ინტელიგენტების სუფრისაკენ გაემართა, თუმცა ბოლომდე ახლოს მისვლა ვერ გაბედა და ასე ორი ნაბიჯის სიშორიდან, მოქეიფეებს, ცოდაოდენი პური და ქათმის ხორცი სთხოვა. შორიდანაც კი კარგად დაინახა, თუ როგორ წამოენთო ნოიჩს სახე, როგორ დაახეთქა ღვინით სავსე ფიალა მაგიდაზე რაღაც ამაზრზენი და შეურაცხმყოფელი ტონით იღრიალა – ზოიაა!!! – ქალო – ზოია მეთქი!!! – მაცლით თუ არა პურისჭამას თქვე ოჯახდაქცეულებო! – არა, – რა გინდათ! საერთოდ აღარ უნდა დავდგა ფეხი, ამ დასაქცევ რესტორანში თუ რაია?!! რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილოთ ეს ოხერი ქალი, აღარ შემოუშვათ რესტორანში თქვა!? – ყარს ეს უპატრონო – შეჩვენებული, ჭამის მადა წაგვიხდინა კაცო, ააქოთა აქაურობა ამ ოჯახამოსაწყვეტმა და ეს არის. აქ ექსტაზში შესული ნოიჩს პირიდან დუჟი გადმოეღვარა და ვეებერთელა ღიპზე შემოტმასნილი თეთრი პერანგი დაულაქავა, ამის შემხედვარე შავპიჯაიანმა, ნოიჩს სასწრაფოდ მიაშველა და მარტონი რომ ყოფილიყვნენ ალბათ სიამოვნებითაც კი მოწმენდდა დირექტორს ნიკაპზე და პერანგზე ჩამოღვრილ უწმინდურობას – ქალო, ზოია! – არ ცხრებოდა ნოიჩი – ახლავე გაათრიეთ ეს ასუნებული ქალი აქედან თვარა, ხვალიდან არც ჩემი და არც ჩემი მეგობრების ფეხი აღარ იქნება ამ დასაქცევ რესტორანში იცოდე!!! ნოიჩის ყვირილზე, უკანა კარიდან ვეება მზარეული გამოგორდა და სიფათით დედაბრისკენ გასწია – ქალო! – რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, რომ აქანე შემოთრეული აღარ გნახო თქვა?!! რეიზა უმწარება ამ პატიოსან საზოგადოებას პურ-მარილს შე შეჩვენებულო, გამაგებინა იქნება?!! – არაფერი დამიშავებია შვილო! ცოტა პური და ხორცი ვთხოვე შვილო, ნამეტანი მომშივდა ნენა, ხომ იცი, ჩემი შვილები მოსკოვში არიან და... აკანკალებული ხმით სცადა, თავის მართლება მოხუცმა და საცოდავად მოიბუზა.

– მოსკოვი არა მაიაკოვსკი არ გინდა შენე!!! არც შვილები გყავს და არც ვინმე პატრონი და გულისდამწველი თვარა ასე არ იკანკალებდი ქუჩა-ქუჩა, მაი ზღაპრები შენს წინაპრებს მოუყევი „საიქიოში“ რომ მიხვალ, ახლა კი აქედან გაეთრიე თორემ... აქ როლში შესულმა „მზარეულმა“ კონტროლი დაკარგა და ისედაც კინკილზე მდგარ დედაბერს, თავისი ტორებით ზომაზე მეტად უბიძგა. მოხუცი გულაღმა დაეცა აგურით მოკირწყლულ იატაკზე და განწირულის ხმით ამოიგმინა – ვაიმე დედა! – მათხოვრის კვნესამ რესტორნის ყველა კუთხე-კუნჭული წამიერად მოიარა და გასასვლელს მიაწყდა – იმ წუთას კი სადღაც შორს, ერთი სოფლის ნიშადაკარგულ საფლავში, დედაძელის — დედის ძვლები შეტოკდა, და თვალებმილამბულმა დედის თავისისტომ – ღვთისმშობელსა და იესო მაცხოვარს, მოხუცებული და გამათხვორებული შვილის ტანჯვის შეწყვეტა – ცოცხალი ადამიანივით შეჰღაღადა.

მზარეული, რომელიც ასეთ შედეგს არ მოელოდა, წამით დაიბნა. შემდეგ ძირს დავარდნილ მათხოვარს ზურგიდან მოუარა გაქონილი ხელები მოხუცს იღლიებში ამოსდო და მისი მომჩვარული სხეული უკუსვლით გაათრია რესტორნიდან – ჩემი ხელჯოხი – ამოილუღლუღა მოხუცმა და ყრუდ ამოიგმინა. რადგან მძიმედ დაცემისაგან გაბრუებულს – მეტყველება უჭირდა. მზარეულმა მათხოვარი,

ეზოს ბოლოში, ცენტრალურ ჭიშკარს მიღმა გაათრია, ხელები დაიბერტყა და ჭუჭყის სპეციფიკური სუნით შეწუხებლმა დიდი გადააფურთხა. შემდეგ ვალმოხდილი კაცის იერით ისევ რესტორანში დაბრუნდა – ნოიჩ წოდებულს მომხდარი გაუგებრობისთვის დიდი ბოდიში მოუხადა და უკანა კარში, ხვნეშა-ხვნეშით გაუჩინარდა..

მეზობელ მაგიდაზე ქეიფი გაგრძელდა, და დაუპატიჟებელიი სტუმრის ჯინაზე, გაჭირვებულების სადღეგრძელო განსხვავებული სასმისით კერძოდ ლიტრიანი ყანწით – ერთსულოვნად შეისვა – რის შედეგადაც ქალბატონ მანანას შავწინდებიან ფეხები ახლა უფრო აქტუალური და დაუფარავი ინტერესის საგანი გახდა. რომ არაფერი ვთქვათ მის გამჭვირვალე და საკმაოდ შელიფ დეკოლტეზე რომელიც მის ფეხებს ღირსეული კონკურენციას უწევდა – სკამიდან ოდნავ წამოიწია და ჭიშკრისკენ გაიხედა – დედაბერი წამომდგარიყო – იქიდან კარგად არ ჩანდა მაგრამ გუმანით მიხვდა რომ დედაბერი ტიროდა...

– ზოიაა!!! – დაიღრიალა ნანახით შეწუხებულმა და საკუთარი ხმა ეუცნაურა, ზოიად წოდებული, თითქმის სირბილით მოუახლოვდა მის მაგიდას და წინა ინციდენტის გამო, გვარიანად შეშინებულმა – მომეტებული თავაზიანობით იკითხა, თუ რა ნებავდა ბატონს – ჯიბიდან ხუთიათასიანი ამოირო და ისე, რომ ოფიციანტისათვის, არც კი შეუხედავს – კბილებში გამოსცრა: – ერთი მოხარშული დედალი და სამი შოთის პური დანარჩენ საუზმესთან ერთად, მაგ ტილოს ჩანთაში ჩააწყვეთ და იმ მოხუც ქალს გადაეცით, აქედან ქუჩაში ძაღლივით რომ გაათრიეთ და უყავარჯნოდ დატოვეთ – ზოიად წოდებული მორჩილად გაემართა დავალების შესასრულებლად.

– დაინახა როგორ წამოენთო ნოიჩს სახე, როგორ გველნაკბენივით წამოხტა სკამიდან, დამცინავი მზერა როგორ მიაპყრო მის მაგიდას და მისდამი დამახასიათებელი შთამაგონებელი ტონით დაიწყო: – შენ ბიძიკო! ეტყობა პირველადა ხარ ამ რესტორანში, მიტომ თანაუგრძნობ მაგ გაწუწკებულ დედაბერს, არა თუ გგონია, რომ ჩვენ ნაკლები შესაძლებლობები გვაქვს მაგისთან წუპაების გასაკითხ-დასაპურებლად – მართლაც რომ ნამეტანი შემცდარი ხარ ბიძიკო და ეგაა...

– პასუხის გაცემა არც კი უფიქრია, ხელის ოსტატური მოძრაობით – ვითომ სიგარეტს იღებდა – პიჯაკის მარცხენა მხარე ოდნავ გადასწია, რა დროსაც ოპერაიულობაში გასუსულმა „მაკაროვის“ ტარმა გამოანათა...

იარაღის დანახვაზე ნოიჩს ლაპარაკის სურვილი მყისეულად გაუქრა გველნაკბენივით შებრუნდა სუფრის წევრებისაკენ და ვითომც აქ არაფერიაო – ოდნავ იხტიბარგატეხილი ტონალობით ახალი სადღეგრძელოს შესავალი წამოიწყო...

ტელეფონი გულისგამაწვრილებელ წკრიალს განაგრძობდა. ფიქრებიდან გამორკვეულმა, ყურმილი უხალისოდ აიღო და ახლადგამოღვიძებული კაცის სიზარმაცით უპასუხა: – ბატონო!!! – ბატონის მოგცემ შენ – შე ბუნების შეცდომა და ჩემი ტვინის და სისხლის მომწამვლელო, – სადა ხარ ადამიანო – ნახევარ საათზე მეტია რომ გირეკავ და ყურმილს შეგნებულად არ იღებ! კიდევ გამოიბრუჟე არა წუხელ და ახლა, პახმელიაზე ბრძანდებით არა ბატონო კაპიტანო – უკაცრავად ვარ თქვენს ბრწყინვალებასთან – ცივი ბორჯომი რომ არ გამოგიგზავნეთ, – არა ვერ გავიგე – შენ საერთოდ ვინმე ან რამე გადარდებს ამ ქვეყანაზე ჰა – შენ არაყ-კონიაკის ბურთავ შენა ჰა?! – გამაგებინე ადამიანო შენ მკვლელობის სამმართველოს ინსპექტორი ხარ, თუ ძველი კლუბის ყარაული – ყოველდღე ეგრე რუსი ვანიასავით რომ ილეშები ჰა? – აქ სულისმოსათქმელი პაუზა გააკეთეს – დაამთავრე? ირონიული ტონით შეეკითხა რამოდენიმე წამით გულისმოსაბრუნებლად გაჩუმებულ განყოფილების უფროსს – ანაღვლეს!!! – უარესად გაცოფდა განყოფილების უფროსი – მე ლამის ყურმილი გადავყლაპო ნერვიულობისაგან და ეს ერთუჯრედიანი ელემენტი კი უკვე მასხრადაც მიგდებს – არა მერე იტყვიან დიმიტროვიჩმა კაცი რატომ მოკლაო – მთლად გაცოფდა განყოფილების უფროსი და კიდევ ერთი იძულებითი პაუზა გააკეთა.

– არ დამილევია დიმიტროვიჩ!!! ცუდათა ვარ – სიცხე მაქვს – უნებურად იცრუა მან.

მერე და შე „ოჯახაშენებულო, ტელეფონი დაილია, იმის ღირსი აღარა ვარ, რომ დამირეკო და შემატყობინო – ოდნავ მოლბა მკვლელობის განყოფილების უფროსი. ხომ იცი რამდენი „გაუხსნელი“ გვაქვს ყელში გაჩხერილი, მითხარი ვინ გამოიძიებს შერლოკ ჰოლმსი, მეგრე – წლის ბოლოს რომ მოდის ერთ თვეში ხომ იცი არა?!

– ვიცი დიმიტრიჩ, ვიცი!!!

ჰოდა თუ იცი, აწიე ერთი ადგილი და აქამდე მოდი, ისეთ ფრანგულ წამალს დაგალევინებ, რომ ცხოვრებაში სიცხე აღარ აგიწევს – საფრანგეთის ელჩის მძღოლმა მაჩუქა. ამ დილას – სახლიდან

რომ გამოვდიოდი, ჩემს დაბლა ცხოვრობს დოლიძეზე – ორი ბოთლი მიჰქონდა და ერთი ცალი მე მისახსოვრა – ისე რამდენი ხანია მეც მინდა პოლიკლინიკაში მისვლა – ამ ბოლო დროს და მხედველობაც საგრძნობლად დამაკლდა – ეტყობა ამდენმა ღამის თენებამ და ძაღლივით ქუჩაში გდებამ დაიბეტი გამიჩინა – კარგი გელოდები – ცოტა მალე მოდი, ნუღარ დააგვიანებ – უკკვე მამაშვილურად დაუყვავა დიმიტრიჩმა და ყურმილი დაკიდა. ის იყო საწოლიდან წამოდგომა დააპირა რომ ტელეფონმა ისევ დაიწკრიალა – სადა ხარ კაცო, უკვე თხუთმეტი წუთია გირეკავ და სულ დაკავებას მაძლევს – უსაყვედურა მეწყვილემ – დიმიტრიჩს ველაპარაებოდი

– რაო შეგიხურა ერთი ადგილი?

– ისე რა...

– დილიდანვე ეტყობოდა, ხასიათზე რომ ვერ იყო, პირიდან სულ ცოფებსა ჰყრიდა, მივლინების ფურცელზე რის ვაი ვაგლახით მოვაწერინე ხელი ბუღალტერიიდან სამივლინებო ოქმი ამეღო.

– სად მიდიხარ?

– ქუთაისში, ალბათ ხვალ დილით ადრე გავალ, – ხო მართლა წუხელ გამთენიისას ჩვენს უბანზე ავარია მოხდა.

– მერე?

– რაღა მერე, ვიღაცა სავარაუდოდ დილის ოთხიდან ხუთის შუალედში, დაუდგენელი მარკის ავტომანქანით, ზედ მეტეხის ხიდზე დაეჯახა, ფეხით მოსიარულე ასე 70-ოდე წლის დედაბერს და ადგილზევე მოკლა, ასე ექვსი საათი იქნებოდა მორიგე ჯგუფს რომ შემთხვევის ადგილის დასათვალირებლად გავყევი, – საშინელი სანახავი იყო ის უბედური, ახლოს ვერ მივედი ისე ყარდა, გულაღმას, მოკრუნჩხულ ხელებში ჩანთაჩაბღუჯულს დაელია სული – ორმა ჯანიანმა მილიციელმა ძლივს გამოაგლიჯეს ხელიდან... – აბა თუ გამოიცნობ რა იდო ჩანთაში?

– რა იდო?

– რა და ერთი ცივად მოხარშული დედალი, თუშური ყველის მოზრდილი ნაჭრები და სამი გამტკიცული შოთის პური – ბიჭო რა ვიფიქრე თუ იცი? მეც მათხოვრობა ხომ არ დავიწყო თქვა, ასე მოხარშული დედლლებითა და შოთის პურებით თუ გამიკითხავს კეთილი ხალხი, ყოველდღე – დამდგარა ჩემი და ჩემი ბაღნების საშველი და ეგაა!!!

– დედაბერს რა ეცვა?!

– რაო, რა მკითხე?! – დედაბერს რა ეცვაო?! კაცო! შენ ამ დილობიზა თავი ხომ არაფრისთვის მიგირტყია?! მე რა ვიცი რა ეცვა, ერთი იმის პატრონი დედაც, ჯობია დროზე მოხვიდე სამსახურში, თორემ წელან დიმიტრიჩი იყო შემოსული და ვირზე უკუღმა შემსვა, – ბიულეტენზე გასვლა მინდა და შენი და ცაბუტაშვილისნარი ერთუჯრედიანების გამო ვერ გავდივარო. – დროზე მოდი თუ ძმა ხარ და თვითონ გაერკვიე, ის უბედური ვინ იყო და რა ერქვა, მე მივლინებაში ვარ ხვალიდან....

ყურმილი დაკიდეს. თავი უხურდა, მუქ ყავისფერ ფანჯრებში საერთოდ ვერ აღწევდა დღის სინათლე, მხოლოდ ერთი ბეწო, ნემსის სიმსხო მზის სხივი შემოპარულიყო ფარდებსშუა დატოვებული ღრიჭოდან, ირიბად ეცემოდა აულაგებელი საწოლის და ახლად შებინდებულზე, მაყვლის ბუჩქზე მოციმციმე ციცინათელას მოაგონებდა კაცს...

P.S. სადღაც შორს კი ერთი სოფლის სასაფლაოს მიტოვებულ საფლავში, დედაბრის დედის თვალებამოღებული თავისქალა, ცოცხალი ადამინივით იცრემლებოდა, დიდი ხნის უნახავ, მთლად გაჭაღარავებულ შვილს „ძვლებში“ იკრავდა და ღვთისმშობელსა და მამაზეციერს მადლობას სწირავდა...

2016 წლის 21 ნოემბერი

„ვუძღვნი. ბატონ ნოდარ ქინქლაძეს რომელშიც ამ ნაწარმოების შექმნის საშუალება და პირობები შემიქმნა, რითაც მეორე სიცოცხლე მაჩუქა!!!

მთავარანგელოზისა და წმინდა გიორგის მადლი არ მოგიშალოთ ჩემო საყვარელო ადამიანო...
მადლიერებით: თამაზ ცაბუტაშვილი

ციცინო ჩხაიძე

ანბანური ინცევრიალები

გაგრძელება
დასაწყისი: ჟურნალი „ათინათის“ № 23, 24, 25, 26, 27, 28

შთაგონება

შარშანწინ, შუადღისას შეგამჩნიე, შუშაბანდიდან შორეთს შეჰყურებდი. შემოგხედე და შინაურულად შემოგმღერე:

– „შავთვალა და შავწარბებაა...“.

შინაურულობამ შიგნით შემოაღწია, შუაგულში შევიდა, შეიყუჟა, შიგ შებუდდა და შეიმალა. შიგადაშიგ შეფართხალდებოდა და შემახსენდებოდი.

შენმა შორეულობამ შემშალა და... შიში შემეპარა.

●

შარშან, შემტევ შევარდნად შეგიცანი. შეშინებული შეყვარებული შემოგყურებდი. შეგნიშნე, შველა შეგეძლო და... შეშლილმა შეყვარებულმა შეგევედრე.

შეთავაზება შენებურად შეიგრძენი და შენც შემპირდი.

შეგატყვე, შენშიც შემოვაღწიე, შენც შემიგრძენი, შენშიც შევბუდდი.

●

შეპირება შეასრულე.

შემოდგომაზე, შაბათს, შინ შემომიფრინდი და შემომიტანე შენეული შემართება და შთაგონება.

შიში შემეკვეცა, შემომეცალა, შეშინდა და შებრუნდა.

შებრუნდა და... შორს, შორეულ შორეთს შეეკრა.

შევხმატკბილდით.

„შეთანწყობით“ შევთანასწორდით.

19.02.2015 წელი. თბილისი.

ჩანჩქერთან

ჩოჩორით ჩაქჩაქებდნენ ჩაფსკვნილი ჩირიკო და ჩამომდნარი ჩიკოტელა. ჩუღურეთში ჩანჩქერთან ჩამოქვეითდნენ. ჩალისფერი ჩოხა „ჩამოკონკოდათ“.

ჩრდილში ჩამოსხდნენ.

ჩაიღიღინეს.

ჩამოიარეს ჩოჩხათელმა ჩანჩურა ჩარჩებმა. ჩექმები ჩაეცვათ. ჩეროში ჩანთა ჩამოკიდეს. ჩანჩქერთან ჩამოუსხდნენ ჩირიკოს და ჩიკოტელას. ჩალმაზე ჩამოარიგეს ჩაროზი*, ჩამიჩი და ჩურჩხელები. ჩარექით ჩამოასხეს ჩასაცეცხლებელი.

ჩვენებური „ჩარირამა“ ჩაიმღერეს ჩაბჟირებულებმა.

ჩაჩუმდნენ.

ჩაფსკვნილმა ჩათვლიმა.

20.04.2003 წელი. ბათუმი.

ცეროდ ცოიდა

ცუცხვათელი ცაცია ცაცო, ცალუღლად ცხოვრობდა.

●

ცხრისა – ციცქნა და ცისფერთვალება ცაცო ცელქობდა.

ცამეტისა – ცნობისმოყვარე ცაცო ცოდნის ცათამბჯენებზე ცქვიტად და ცოცხლად ცოცავდა.

ცხრამეტისა – ცქრიალა ცაცო, ცხარე ცხოვრებას ცოხნიდა.

---

* ჩაროზი – პირის ჩასატკბარუნებელი, დესერტი, ტკბილეული, ხილი.

ცეროდენა ცოდვისშვილებისთვის ცხენისმიერი ცხოვრებით ცხოვრობდა და ცოდვილობდა.
ცრუ და ცოდვამადლიან ცხოვრებაში ცეცხლმოკიდებულს ცხარე ცრემლები ცვიოდა. ცელმომარჯვებული ცეცხლგამძლეობდა და... ციმ-ციმ ცაც ციაგდებოდა. ცაცოც ცოცხლდებოდა.

●

ცოტ-ცოტაობით, ცხოვრებაგაწამებული ცაცო, ცოტავდებოდა.

●

ციოდა.
ცერად ცრიდა.
ცაცო ცახცახებდა.

●

ცხოვრობდა...
ცოდვილობდა...
ცოცხლობდა...

22.04.2015 წელი. თბილისი.

ძეობა ძიმითში

ძლივს ძეობაა ძიძიგურებთან ძიმითში.
ძვალწვრილი ძაძუ ძიძადაა ძმისშვილთან და ძალაგამოლეულს ძილქუშით ძინავს ძმის ძესთან.
ძახილია ძმის:
– ძერა! ძერა ძარასთანაა! ძაღლიშვილი ძერა!
ძაძუ ძილბურანშია და ძლივძლივობით და ძაგძაგით ძარასთანაა.
ძერა და ძაღლი ძიძგილაობენ.
ძაღლი ძლევს ძერას და ძერაც ძირსაა ძარასთან.
ძლევამოსილი ძაღლი, ძუნძულით, ძელურთან, ძველმანზე, ძვალს ძიძგნის.

25.01.2015 წელი. თბილისი.

წყნეთიდან წაღვერში

წელამდე წვერებიანი, წყნეთიდან წაღვერში, წამლისთვის, წაღებით წავიდა.
წაღვერთან წვიმა წამოეწია. წამოუშინა და წამოუშინა. წვერებიდან წვეთები წყაროს წყალივით წანწკარებს. წურავს წვერებს წვერებიანი.

●

წვერებიანს წყალი წვივამდე წვდება. წმინდაწყლის წარღვნაა. წყალმა წაღები წააძრო და წაართვა.
წვალობს წვერებიანი.
წაიქცევა და წვალებით წამოდგება. წაიქცევა და... წამოდგება.
წისქვილს წააწყდა წამლად.
წამოეშველნენ წისქვილიდან... წაახემსეს, წამოაწვინეს, წამოსასხამი წამოახურეს.
წამიერად წაეძინა წვერებიანს.
წამოხურდა. წნევისგან წუხდა.
წამოჯდა.
წყლისთვის წამოდგა.
წაიბორძიკა – წნევამ წააქანა.
წყალი წაწრუპა და წაწვა.
წამღერების წყურვილი, წყლის წისქვილის წრებრუნვამ წარიტაცა.
წასვლის წაიმღერა.
წაიმღერა და წავიდა.
წამიერად წავიდა.
წაიღო წერილი.

28.12.2014 წელი. თბილისი.

დიდი მოგზაურობა

ჯუმბერ ლეჟავა

(დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ № 26, 27, 28-ში)

მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის თვალსაზრისით ჩვეულებრივი აფრიკული დონისაა... გამოირჩევა ეთნიკური შემადგენლობის მრავალფეროვნებით. სპორტის სახეობებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში – უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთით და შემდეგ კრივით... ქვეყანას აქვს შესანისნავი უნივერსიტეტები და სტადიონები დედაქალაქ აბეჟასა და ქალაქ ლაგოსში. ლაგოსი ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია არამარტო აფრიკის კონტინენტზე, არამედ მთელს მსოფლიოშიც..

ნიგერიელებს საინტერესო ტრადიციები, და ნაციონალური მუზეუმები აქვთ ლაგოსსა და სხვა ქალაქებში. ბოლო წლებიში ნიგერიელები სახელმწიფოში აბრუნებენ მსოფლიოში მიმოფანტულ საგანძურს — ხელოვნების ნიმუშებს. სამწუხაროდ, აქაც არ ცხრება ომები და ხშირია სამხედრო გადატრიალებები, რაც ამუხრუჭებს ქვეყნის აღმასვლას. ყურადსაღებია, თუ სად ვცხოვრობდი ლაგოსსა და აბეჟაში და რა თავგადასავლები გადამხდა...

ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მალის რესპუბლიკაში ჩემი ჩასვლის ისტორიაც თავისებურად მიმზიდველია. მალიმი ჩემი თავგადასავალი ერთ მოგზაურობად ღირს... ამ ქვეყანაში გაცნობილი ფრანგების ერთ ჯგუფთან მეგობრობა დღესაც გრძელდება, მაგრამ მქონია ისეთი შეხვედრებიც, რომლებიც იქვე დასრულებლა. მალის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს... მალიში სიბრმავის პანდემიაა. აქ, მიზეზთა და მიზეზთა გამო, იოლად ბრმავდება კაცი. როგორ გადავურჩი დაბრმავებას თავად?.. ოდენ აბუეტობისგან ჩემი გადარჩენის გამოც შეიძლება მალიში ჩემი „ექსპედიცია“ საინტერესოდ ჩაითვალოს, რადგან მკით-

ხველს, რომელსაც მომავალში მოუწევს ბალიში მოგზაურობა, გასათვალისწინებელი ექნება ჩემი რჩევები.

ურთულესი გზით და უმძიმეს კლიმატურ პირობებში ჩავედი ბურკინა-ფასოს დედაქალაქ ვაგადუგუში. გზა გამირთულა იმანაც, რომ ველოსიპედის კბილანები გაცვდა და ჯაჭვი ხშირად სრიალებდა. ამ ქვეყანაში მთის ველოსიპედის არცერთი ნაწილი არ იყიდება. როგორ გამომიყვანა მდგომარეობიდან ფედამწვარმა ვირმა?..



ჯუნგლებში სხვადასხვა ტომები ცხოვრობენ. ერთ-ერთი ტომიდან ზანგმა ქალმა სასმელი წყალი მთხოვა, ორი წლის შვილისთვის მინდაო. ბოთლი მთლიანად მივეცი, მე კი უწყლოდ დავრჩი.

ბურკინა-ფასო გამოირჩევა ლოკალური კლიმატით, რადგანაც მის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებს ძალიან განსხვავებული გეოგრაფია აქვთ. ჩრდილოეთით უდაბნოა, სამხრეთით კი – სავანები. ასეთი ბუნების გამო განსხვავებულია ფლორაც და ფაუნაც...

ქალაქის დიდი მანძილებით დაშორებისა და აუტანელი ბუნებრივი პირობების გამო მოგზაურს ურთულესი ექსტრემალური პირობები ექმნება, ამიტომ ხშირად მრავალრუცნობიანი განტოლების ამოხსნა მიხდებოდა... უცნაური ქალაქია უაგადუგუ. წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ქვეყანა უღარიბესია, განათლების დონე — დაბალი, მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — მოკლე! და... ასეთი ქვეყნის დედაქალაქში მეთხუთმეტე საუკუნეში დაარსებული უნივერსიტეტი! ხომ პარადოქსია?.. მინდა დავამატო, რომ ქვეყანაში განუვითარებელია სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, რაც მიუთითებს სახელმწიფოში მოსახლეობის დაბალ სოციალურ დონეზე. ამგვარი პირობებისა მიუხედავად, მოსახლეობის გამრავლების თვალსაზრისით, ბურკინა-ფასო ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ქვეყანაა აფრიკის ტერიტორიაზე... ეს სახელმწიფო ყურადღებას იქცევს მოსახლეობისა და რელიგიურ მიმართულებათა ნაირგვარობით.

ბურკინა-ფასოდან ნიგერიის რესპუბლიკისაკენ, მაღალი ტემპერატურებისა და ტენიანობის გამო, ძნელი გზა მედო... ნიგერიის ტერიტორიაზე კი იგი უფრო გამირთულდა, რადგანაც კლიმატი აქ ტროპიკული და უდაბნოსეულია, ხოლო სამხრეთით — სუბეკვატორული. ქვეყანა რელიეფურად ერთ-ერთი ყველაზე უსწორმასწოროა... ამ ქვეყანაში ჩემი თავგადასავალი საინტერესო იმანაც გახადა, რომ ხშირად მიწევდა ველოსიპედის მხრებზე აკიდებული, ან მიწოლით ტარებაც. ამან ძალიან დამღალა... საინტერესო შეხვედრები მელოდა დედაქალაქ ნიამეიში, როგორც სახელმწიფო, ასევე დედაქალაქიც, რთულად ასათვისებელი და დასაძლევი აღმოჩნდა, ამიტომ, კითხვის ნიშნებით რომ არ გადაგღალოთ, სჯობს, ნიგერში ჩემი მოგზაურობის შესახებ სრულ დღიურებს დაელოდოთ.

ჩადის რესპუბლიკაში სიარული სულ ქვიშიანი გზებით მომიწია. გზების სირთულემ და საჰარის უდაბნოს სიცხეებმა უარყოფითად იმოქმედა ჩემს ენერგიულობასა და გამძლეობაზე. ვცდილობ, ამ პრობლემებზე არ ვიფიქრო და მთელი ყურადღება სხვა მთავარ პრობლემაზე — დედაქალაქ ნჯამენაში ჩაღწევაზე გადავიტანო. ქალაქი მომეწონა — რა თქმა უნდა, აფრიკის დონეზე. იქნებ სხვა რამის გამოც?.. ჩაი ვუკანური კრატერებითა და ცვალებადი ლანდშაფტის ზონებითაა ცნობილი. ქვეყანაში განვითარებულია სოფლის მეურნეობა, რასაც დიდად უწყობს ხელს მდინარეები — შარი და ლოგონე, ასევე ჩადის ტბაც. ეს ჰიდრორესურსები ერთიანობაში მძლავრ სარწყავ სისტემას ქმნიან. ისინი ნავიგაციისთვისაც გამოიყენება...

მოსაყოლი ჩემს შეხვედრებზე, განცდილსა გადატანილზე, ასევე ჩადის საინტერესო ისტორიაზე, ბუნებაზე, ხალხზე, კულტურაზე, განათლებასა და არქიტექტურაზე — მართლაც ბევრი მაქვს.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში 1999 წლის 27 ოქტომბერს ჩავდივარ. ენჯამენადან ბანგიმდე 1200 კმ-იანი სიგრძის გზა რთული და საინტერესო თავგადასავლებით გავიარე... ამ ქვეყანაში ლომები ცოტანი არიან, მაგრამ გზაზე ხშირი ფირნიშები მძღოლებს აფრთხილებს: „ფრთხილად, გზაზე ლომებია!“

ბანგიში თითქმის ერთი თვე დავყავი, რადგანაც ზედიზედ ორჯერ მომწამლეს საჭმლით. ერთ შემთხვევაში — სომეხმა მფრინავებმა. ვინ იყვნენ ისინი და რატომ ჩაიდინეს ეს?.. იქნებ ეს მზარეულთა ნახელავი იყო?.. არა!.. რატომ არ წამიყვანეს საავადმყოფოში?.. რატომ დამაყენეს თავზე რუსეთის ფედერაციის საელჩოს ექიმი? რისთვის მომაკითხეს სასტუმროში სამჯერ, გინდა თუ არა, ერთად ვივახშმოთო? თითქოს ვგრძნობდი, რაღაცას მიპირებდნენ და სამივეჯერ უარით გავისტუმრე აბეზარი მთხოვნელები. მეორე დილით, გასვლას რომ ვაპირებდი, ისევ მომინდა ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად...

ყოველივე ამის შესახებ მინდა წაიკითხოთ ჩემი დღიურები და დასკვნაც ერთად გავაკეთოთ

ბანგიდან კამერუნის რესპუბლიკის დედაქალაქ იაუნდეში, შემდეგ ესეკში და დუალაში ჩავდივარ.

კამერუნი ეთნიკური ჯგუფების ნაირგავრობითა და სახელმწიფოში სასაუბრო ენატა სიჭრელით გამოირჩევა მსოფლიოში. ის მთელ კონტინენტზე ერთ-ერთი ყველაზე ნესტიანი და წვიმიანი ქვეყანაა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1000მმ-მდეა. ქალაქი იაუნდე არამხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკური დედაქალაქია, არამედ ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის ცენტრსაც წარმოადგენს...

მრავალფეროვანია ქვეყნის რელიგიური შემადგენლობაც...

დუალაში მნიშვნელოვან შეხვედრებთან ერთად უჩვეულო თავგადასავლებიც მქონდა... აქ გავიცანი და დავუახლოვდი ერთ-ერთი გემის მფლობელს, რომელმაც გემზე ღამის გათევის უფლება მომცა, სანამ ღუზას არ აუშვებდა და გეზს ეკვატორული გვინეის დედაქალაქ მალაბოსკენ არ აიღებდა. იქ რამდენიმე დღით შეჩერდებოდა და სან-ტომე და პრინციპეს დემოკრატიულ რესპუბლიკისკენ გაცურავდა. ურია წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონდაო, — სწორედ ამ ქვეყანისკენ ვაპირებდი მოგზაურობას. შევთანხმდით, რომ სან-ტომე და პრინციპეში ერთიანად გადავუხდიდი მგზავრობის თანხას. დავიწყე მეზღვაურის ცხოვრებით დღეების გაყვანა... დაულაში გატარებულლი დღეებიც დასამახსოვრებელია...



პირობის თანახმად, დაულაში ოთხი დღის ყოფნის შემეგ, გემით კუნძულ ბიოკოზე, ქალაქ მალაბოში — ეკვატორული გვინეის დედაქალაქში გადავედი. გემზე გაცნობილი 18 წლის ზანგის გოგო შემდეგ სასტუმროში მეწვია... აქ რამდენიმე დღე დავყავი. მერე კონტინენტური ეკვატორული გვინეის ქალაქ ბატაში ჩავედი. აქ გავიარე ათდღიანი საგანგებო ვარჯიშების ციკლი, რაც შემდგომში გაბონისა და კონგო ბრაზავილის ურთულესი გზების დაძლევაში დამეხმარა... ამ ქვეყანაში არსებულ რეჟიმისა და რთული პოლიტიკური ვითარების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრაციაშია წასული. ბატადან კუნძულ ბიოკოზე, ქ. მალაბოში ვბრუნდები, საიდანაც სან-ტომე და პრინციპეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მივემგზავრები.

ეკვატორული გვინეის ქალაქ ბატაში ნორმალურად ჩავფრინდი. არ გაიკვირვოთ, თუ რისთვის ვიყენებ სიტყვას „ნორმალურად“... პასუხს ამის თაობაზე მომავალში მიიღებთ...

მანძილი ლიბრევილამდე არცთუ მცირეა და ადვილად დასაძლევი. ამიტომ, ყოველი დღის მარშრუტს, სერიოზული ანალიზი სჭირდება. ახალმა გეგმამ გაამართლა. ურთულესი ბუნებრივი პირობებისა და ძნელად დასაძლევი გზების მიუხედავად, უვნებლად ვაღწევ გაბონის რესპუბლიკის დედაქალაქ ლიბრევილს...

კუნძულოვან სახელმწიფო სან-ტომე და პრინციპეში ჩემი ოთხდღიანი მოგზაურობა საინტერესოდ წარიმართა. აფრიკის ქვეყნებს შორის იგი ყველაზე პატარა სახელმწიფოა. ამ ჯუჯა ქვეყანამ XV საუკუნიდან, – დღიდან მისი სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა, – მუდმივ განთმანთავისუფლებელ ბრძოლებში გაატარა ცხოვრება! მხოლოდ 1975 წელს მიაღწია საუკუნოვან საწადელს – მშვიდობიან ცხოვრებას. კუნძულლ სან-ტომე და პრინციპეს მოსახლეობა განსაკუთრებით დაუმორჩილებელი იყო. ამ თვალწარმტაც კუნძულზე მომხიბვლელია თვით დედაქალაქი სან-ტომე და ბევრი სხვა რამ...

კარგა ხანს მომინწია გემზე ცხოვრება და მოგზაურობა. გემის მფლობელმა, როდესაც ანგარიშის გასასწორებლად მივედი, მითხრა: შენ ჩვეულებრივი ადამიანი არ ყოფილხარ, ფულს როგორ გამოგართმევო, თანაც დაუმატა: თუ რამეთი შემიძლია დახმარება, მითხარი და უკან არ დავიხევო. „არც თქვენ ყოფილხართ ჩვეულებრივი ადამიანი, რადგან სიკეთის დაფასებაც გცოდნიათ, რაც, სამწუხაროდ, იშვიათი თვისება გახლავთ! ყველაფრისათვის მადლობელი ვარ. ამაგს კი არასოდეს დავივიწყებ!“ – ვუთხარი და მხარზე ხელი მეგობრულად დავკარი. გემიდან ველოსიპედი ჩამოვიტანე, მაგრამ ფეხი არსად გამიდგამს. მხოლოდ მაშინ დავტოვე პორტი, როცა გემმა გასვლის ნიშანი მისცა. კაპიტანს ველარ ვხედავდი, მაგრამ დამშვიდობების ნიშნად მაინც ავუწიე ხელი და ჩუმად, გულში, ზურგის ქარი ვუსურვე ოკეანის უსასრულლობას მინდობის. ამის შემდეგ ავმხედრდი ჩემს „მერანზე“ და გადასაღამებლის საძებრად გავეშურე...

იცით, რა ძნელია შეჩვეული გარემოს, პირობების, წრის და სიტუაციის უეცრად გაქრობა? რა მძიმე წარმოსადგენია, სიცოხლეში ეს ყველაფერი აღარასოდეს რომ არ განმეორდება და ისე გაქრება, როგორც უდაბნოს ქვიშაზე დაცემული ბედუინის ჩრდილი აფრიკის უფსკერო, ღამეული ცისქვეშ. მერე მთელი გზა, მთელი სიცოცხლეც კი, ყოველივე ეს მოუშუშებელ ნოსტალგიად, სევდისა და მელანქოლიის უსალბუნო ტკივილად გაგვყვება და ყოველი გახსსენებისას სახიერად გამოგვეხატება სადღაც, უმისამართო სიცარიელეს მიჩერებულ თვალთა მინებზე. სწორედ მაშინ გამჩნევენ ირგვლივ მოფუსფუსე ადამინაები კაეშანს და რატომღაც მთელ ამ ნაღველს უსაგნო სევდას დარქმევენ ხოლმე.

ხშირად ვამბობთ ქართველები: ფული ხელის ჭუჭყიაო. ეს რომ ბილ გეითსთან, კოისაკისთან, ან ვინმე დორანში ჩავარდნილ ადამიანთან ხმამაღლა განაცხადო, სამყაროდამსხვრეულად ჩაგთვალონ იქნებ... იქნებ, მართლაც ჰქონდეს ფულს უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა? მითუმეტეს, იმ მოგზაურისათვის, მარად უცხო ცის ქვეშ რომ უწევს გათენება. მხოლოდ ველოსიპედის ორ სატერფულს რომ დაყრდნობია და უპოვარის ფუთით უსაშველო გზებს რომ დადგომია ყარიბად? ... იქნებ, მაგრამ .... იმ მომენტში ჩემგან ფულის არ აღება ოდენ ეკონომიკური ხელის გამართვად არ ჩამითვლია. იგი სხვა იყო... სულ სხვა, სხვა შრეების ფასეულობა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია მატერიალურობასთან. ვინ იცის, მავანი და მავანი როგორ შეაფასებს ამას, მაგრამ მე ამ ფაქტს ყოველგვარი პრაგმატულობის მიღმა ვაყენებ და წმინდა ეთიკის სფეროში გადამაქვს...

მოკლედ, ამ საკითხს კვლავ მივუბრუნდებით საჭირო ადგილას და საჭირო დროს. ახლა კი... გზა!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე

საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში

1. ნანეიშვილი, ა. სოფლის ბიბლიოთეკა [ბიბლიოთეკების როლი სოფლის მასწავლებლების განვითარებისთვის] // დროება, 1830, XII, 30. N 273 .– გვ. 2-3.
2. ახალი წიგნების მაგაზინი ტფილისში... [ტერმიქელიანის მიერ გახსნილი წიგნის მაღაზია სამკითხველო დარბაზით] // (საქმ., 1863, N3 .– გვ. 121-123).

3. საჭირო ამბები {რა დღეებში და საათებშია ღია თბილისის საზოგადო ბიბლიოთეკა ...} // დროება, 1869, I, 23, N4 .– გვ. 4.

4. განცხადება [თბილისში ი. ივანოვის სამწიგნობრო და საკითხავი ოთახის პირობები] // დროება, 1870, VI, 29, N47 .– გვ. 4.

5. ნიკოლაძე, ნ. სამწიგნობრო და საკითხავი ოთახი თბილისში [გახსნილი ი. ივანოვის მი-ერ] // დროება, 1880, XI, 29, N47 .– გვ. 2.

6. შინაგანი ცნობები [კავკასიაში საბლაღოჩინო ბიბლიოთეკების დაარსების შესახებ] // დროება, 1870, II, 26, N8 .– გვ. 1.

7. თბილისის რეალურ გიმნაზიაში გაიხსნა შეგირდებისათვის ბიბლიოთეკა [შეძენილი როგორც სასკოლო თანხით, ისე მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემოწირული ფულით] // დროება, 1871, IV, 30. N17 .– ჩV. 3.

8. წერეთელი, აკაკი. უფალო რედაქტორო! ქართული ხელნაწერები ს ბედი. კერძო პირების კოლექციები [გრიგოლ წერეთლის მიერ შეგროვილი მდიდარი ბიბლიოთეკა და მისი შვილის ალექსანდრეს უპასუხისმგებლობა საზოგადო-ების წინაშე] // დროება, 1871, VII, 17, N88 .– გვ. 2-3.

9. წერეთელი, აკაკი. სასიამოვნო ამბავი [ქველმოქმედების მნიშვნელობა; სამეგრელოს თავადი ნიკოლოზის ბიბლიოთეკისა და მისი არქივის შესახებ; ძველი ხელნაწერი წიგნების ბეჭდვის განზრახვა და ამ საქმისთვის სტამბის დაარსების აუცილებლობა] // დროება, 1872, II, 11, N6 .– გვ. 1-2.

10. ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკა // დროება, 1873, XI, 16. N45 .–

.– გვ. 3.

11. ბეჯითად ვიცით, რომ ... [ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის მიერ ბიბლიოთეკისა და სამკითხველო კაბინეტის გახსნის შესახებ] // დროება, 1873.
X, 26, N42 .– გვ. 2.

12. „ჩვენ შევიტყვეთ ...“ [განსვენებულ ალექსანდრე წერეთლის ქართული ხელნაწერი ბიბ-ლიოთეკის ბედი] // დროება, 1873, V, 25, N20 .– გვ. 2.

13. „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისში...“ [ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიო- თეკის დიდი წარ-მატება] // დროება, 1873, XII, 28, N404 .– გვ. 2.

14. „19 აპრილს თბილისის...“ [მომრიგებელი მსაჯულის მიერ ი. ივანოვის დაჯარიმება ბიბ-ლიოთეკაში აკრძალული ლიტერატურის აღმოჩენისათვის] //
დროება, 1874, IV, 26, N420 .– გვ. 2.

15. ქუთაისის მოამბე. ქ. ქუთაისი, 22 ივნისს 1874 წ. [ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ] // დროება, 1874, VI, 28, N429 .– გვ. 3.

16. „ერთი ჩვენი იმერელი კორესპონდენტი გვწერს...“ [ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკიდან იაფფასიანი წიგნების გავრცელება, ასეთივე წიგნების გავრცელება ე. ხე-ლაძის მიერ გურიასა და სოფელ დიღომში; ქართუ-ლი წიგნების გამავრცელებელთა წრე თბილისში] // დროება, 1875, XI,22, N120 .– გვ. 2.

17. დღიური [სოფელ იყალთოში ქალთა წრის ინიციატივით ბიბლიოთე-
კის დაარსება და ურთიერთდამხმარე სალაროს შედგენა] // დროება, 1875, V, 9, N52 .– გვ. 1.

18. „იმერეთიდან გვწერენ ...“ [ალექსანდრე წერეთლის ქართული წიგნე-ბის ბიბლიოთეკა. თხოვნა მისი მემკვიდრე ნ. წერეთლისადმი, რათა შეადგინოს
ბიბლიოთეკის კატალოგი] // დროება, 1875, VII, 19, N79 .– გვ. 1.

19. დღიური [გაზეთ „კავკაზის“ ცნობა თბილისის ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების არსებობის შესახებ] // დროება, 1876, ხი, 12, N122 .– გვ. 1-2.

20. „ერთადერთი ცოტათი ხეირიანი ბიბლიოთეკა იყო ჩვენს ქალაქში უფ. ივანოვისა“ [ამ ბიბლიოთეკის შესყიდვა აბგარ ივანოვის მიერ] // დროება,
1877, II, 16, N18 .– გვ. 1.

21. [ჭიჭინაძე] მთაწმინდელი, ზ. ქვათახევის ბიბლიოთეკა // დროება, 1877, XI, 11, N180 .– გვ. 3.

22. „ჩვენ მოგვიხდა ახლად გამოცემული პირველი წიგნი იმ „პატარა ბიბლიოთეკისა...“ [პირველი წიგნის შინაარსი და იაკობ გოგებაშვილის წინა-სიტყვაობა] // დროება, 1878, IV, 26, N 149 .– გვ. 2.

23. დღიური [ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების კატალოგის შედგენა] // დროება, 1879, VI, 1, N 113 .– გვ. 2.

24. დღიური [სომხური წიგნების ბიბლიოთეკის დაარსების განზრახვა თბილისში] // დროება, 1879, VIII, 2, N159 .– გვ. 1-2.

25. დღიური [ხელნაწერი წიგნების ბიბლიოთეკა მცხეთაში. თუშეთიდან გამოგზავნი პერგამენტზე ნაწერი IX საუკუნის ქართული წიგნები] // დროება, 1879, VIII, 23, N175 .– გვ. 1.

26. დღიური [ქართული ბიბლიოთეკა. დ. ზ. ბაქრაძის ინიციატივით მუზეუმის დაარსების განზრახვა] // დროება, 1879, X, 17, N214 .– გვ. 1-2.

27. ახალი ამბები [ქართული არქეოლოგიური ბიბლიოთეკისა და მუზეუმის წესდების შედგენის განზრახვა დავით ბაქრაძის მიერ] // დროება,
1880, II, 24, N43 .– გვ. 1-2.

28. ახალი ამბები [შემოწირულება მეტეხის ციხის ტუსაღთა ბიბლიო-თეკას] // დროება, 1880, V, 6, N95 .– გვ. 2-3.

29. ახალი ამბები [მეტეხის ციხის ტუსაღთა ბიბლიოთეკისათვის შემო-წირული წიგნების სია] // დროება, 1880, V, 15, N102 .– გვ. 2.

30. ახალი ამბები [მეტეხის ციხის ტუსაღთა ბიბლიოთეკისათვის შემო-წირული წიგნების სია] // დროება, 1880, V, 17, N104 .– გვ. 3.

31. ახალი ამბები [მეტეხის ციხის ტუსაღთა ბიბლიოთეკისათვის ალ. სარაჯიშვილის მიერ შემოწირული წიგნების სია] // დროება, 1880, VI, 9, N117 .– გვ. 2-3.

32. ახალი ამბები [[მეტეხის ციხის ტუსაღთა ბიბლიოთეკის შესახებ] // დროება, 1880, VI, 23, N132 .– 2-3 ჩV.

33. ახალი ამბები [ივ. ახალშენიშვილის მიერ შემოწირული წიგნები
[მეტეხის ციხის ტუსაღთა ბიბლიოთეკისათვის] // დროება, 1880, V, 28. N112 .– .– გვ. 1-2.

34. ახალი ამბები [მეტეხის სატუსაღო ბიბლიოთეკისათვის წიგნების შემომწირველთა სია] // დროება, 1880, IX, 26. N204 .– გვ. 1-2.

35. ახალი ამბები [მეტეხის პატიმართა ბიბლიოთეკისათვის შემოწირუ-ლი წიგნები] // დროება, 1880, XII, 3, N255 .– გვ. 1-2.

36. დღევანდელს „კავკასში“ დაბეჭდილია... [დ. პ. ფურცელაძის წერილი
მცხეთის ბიბლიოთეკის შესახებ] // დროება, 1880, III, 25, N66 .– გვ. 2.

37. ლომოური, ივანე. კაცთ-მოყვარე საზოგადოებისადმი [თხოვნა, შემოსწირონ წიგნები მეტეხის ციხის პატიმართა ბიბლიოთეკას] // დროება, 1880, IV, 29, N89 .– გვ. 2-3.

38. [მესხი, სერგეი] ს. მ. ქართული წიგნთ-საცავი [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დადგენილება ქართული წიგნსაცავის გახსნის შესახებ] // დროება, 1880. IV, 8, N76 .– გვ. 1-2.

39. „მეტეხის ტუსაღების ბიბლიოთეკისათვის...“ [არს. კალანდაძის მიერ შემოწირული წიგნების სია] // დროება, 1880, V, 14, N101 .– გვ. 3.

40. „მეტეხის სატუსაღო ბიბლიოთეკისათვი...“ [საზოგადოების მიერ სემოწირული წიგნები] // დროება, 1880, V, 24, N109 .– გვ. 1-2.

41. ნანეიშვილი, ა. სოფლის ბიბლიოთეკა [ბიბლიოთეკების მნიშვნე-ლობა სოფლის მასწავ-ლებელთა განვითარებისათვის] // დროება, 1880, XII, 30, N273 .– გვ. 2-3.

42. „რუსულ გაზეთს რუსსკი კურიერში“ დაბეჭდილია...“ [იოანე გრუზინსკის სურვილი თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა მისმა მემკვიდრეებმა გადასცენ „ქარ-თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“] // დროება, 1880, X, 17, N219 .– გვ. 1.

43. სატუსაღოს ბიბლიოთეკა [ი. ლომოურის მიერ დაარსებული მეტეხის ციხის ბიბლიოთე-კა] // დროება, 1880, IX, 26, N204 .– გვ. 1.

44. ტუსაღებისათვის [ი. ლომოურის წერილი შემოსწირონ წიგნები მეტეხის ციხის ბიბლიო-თეკას] // დროება, 1880, V, 2, N92 .– გვ. 1-2.

45. ქართული ბიბლიოთეკა [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ- რცელებელი საზოგა-დოების“ გადაწყვეტილება ქათული ბიბლიოთეკის გამარ-თვის შესახებ] // დროება, 1880, VI, 20, N129 .– გვ. 1-2.

46. შაურის ბიბლიოთეკა [იაფფასიანი ქართული წიგნების გამოცე-მის საჭიროება] // დროება, 1880, VI, 29, N137 . - გვ. 1.

47. „ჩვენ შევიტყვეთ...“ [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე- ლებელი საზოგადოე-ბის“ გადაწყვეტილება ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ და ი. მეუნარგიასთვის ხელნაწერე-ბის შეგროვების მინდობა] // დროება, 1880, IV, 8, N76 .– გვ. 2.

48. ძველი წიგნების ბიბლიოთეკის დაარსების მოსურნე. წერილი ბ-ნ ზაქ. ჭიჭინაძისადმი [მის მიერ გაყიდული ძველი წიგნების სიის გამოცხადების შესახებ] // დროება, 1880, VII, 24, N157 .– გვ. 3.

49. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო-ების“ ბიბლიოთეკის წე-სი // დროება, 1880, VI, 14, N124 .– გვ. 3

50. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადობა. ბატონ ზაქარია ჭიჭინაძემ საზოგადოების ბიბლიოთეკის სასარგებლოდ შემოსწირა ... [18 სახელ-წოდების წიგნი] // დროება, 1880, X, 10, N124 .– გვ. 3

ხელოვნება

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ნამდვილი ამბავი

ოჯახი

დრამატული პიესა VI მოქმედებად ვუძღვნი ჩემს უსაყვარლეს ბებიას – ანნა შუმანს (დედის დედას) და აწ გარდაცვლილ მშობლებს გრიშა (გრიგოლის – გარდაიცვალა 1995 წლის 2 იანვარს) და ელენეს გარდაიცვალა 2015 წელს 28 მარტს) – მათი შვილი და შვილიშვილი – მზიური (მზექალა) დათიაშვილი – აფ-ციაური.

მოქმედება II

სურათი IV

(სანგარშიდაჭრილები და დახოცილები ყრია) გერმანულ სამხედრო ტანსაცმელში (I მსოფ-ლიო ომისათვის დამახასიათებელი ფორმა) ჩაცმული სანიტარული ჯგუფი დადის და ცხედრებს ათვალიერებენ. ყურში გმინვის ხმა ესმით, და დაჭრილს ვიღაცის ხელი შეეხო).

I გერმანელი – სუნთქავს (ხელით სინჯავს და თავი მიაქვს სახესთან)

IIგერმანელი – ფეხში და მხარშია დაჭრილი, შეიძლება გადარჩეს, უგონოდაა, ჩანს ბევრი სის-ხლი დაუკარგავს. (ორი ადამიანი სწევს და მიაქვთ)

სურათი V

გერმანელთა საველე ჰოსპიტალი

გრიშას (ხმა) – თვალი რომ გაახილა და იქაურობას მოავლო, გრიგოლი მიხვდა, რომ სამშობ-ლოდან შორს იყო, გულში რაღაცა ჩასწყდა და ამოიგმინა.

გრიგოლი – (გმინვის ხმა) მოღალატის სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია. (ყვირის ქართულად)

გრიშა (ხმა) – ხმაურზე ოთახში ფერშალი შემოდის.

ფერშალი ქალი (ახალგაზრდა) – რა მოხდა ძვირფასო, რატომ ბორგავ, ჭრილობა გაწუხებს?

(პალატაში დაჭრილები წვანან)

ფერშალი – (სცენა – გრიგოლი წევს. თავზე ფერშალი ადგას. რაღაცა შეხვეულს ხსნის და აწვდის „ბუტერბროდს“

გრიგოლი – (პირს არიდებს, თავს გადასწევს – უარს ეუბნება)

გრიშა (ხმა) – ფიქრობს: რატომ მექცევა ასე, რა სურს, რა უნდათ ჩემგან?

ფერშალი (ხმა) – ბულიონს უსხამს ჭიქაში და აწვდის.

გრიშა (ხმა) – გრიგოლის ძალიან შია, მაგრამ უარს ეუბნება, მეორე დღეს იგივე მეორდება.

ფერშალი – (ღიმილით შემოდის) მიმართავს ავადმყოფებს, თერმომეტრებს ურიგებს) როგორ ხართ?

დაჭრილები – კარგად, ჩინებულად.

(უახლოვდება გრიგოლის) – როგორ ხარ ჭაბუკო?

გრიგოლი – (შეაგებებს თავის სახელს გრიგოლი!

ფერშალი – ძალიან კარგი, გრიგოლი, რადგან შენ უკვე ლაპარაკი შეძელი, ჭამასაც შეძლებ (და ხელჩანთიდან თეთრ ტილოში შეხვეულს იღებს, ხსნის და აწვდის ღვეზელს)

გრიშა (ხმა) – ერთი კვირის მშიერ გრიგოლს საჭმლის სუნი აღიზიანებს მაგრამ უარის ნიშნად თავს აქნევს.

ფერშალი – (აწვდის ბულიონით სავსე ჭიქას)

გრიშა (ხმა) – გრიგოლი ვეღარ უძლებს შიმშილს და სვამს

გრიგოლი – (ჭიქას უბრუნებს) – Vie heisen Sie

ფერშალი – (გაკვირვებული წარბებს სწევს მაღლა) – Sehr gut. Ich heise Anna.

გრიგოლი – სად ვარ? (ყვირის) ნუთუ?..

გრიშა (ხმა) – ფერშალმა ქალმა თუმცა ქართული არ იცოდა, მიხვდა რა აწუხებდა უცხოელ ჯარისკაცს და გასამხნევებლად გერმანულად უპასუხა.

ფერშალი – ნუ ნაღვლობ ომში ყველა ჯარისკაცი ერთნაირად დასანანია. მალე ნახავ შენს სამშობლოს. (აქ ჩამატება სცენა) (დაჭრილები წვანან. ფერშალი მათ შორის დადის და ზოგს სიცხეს უსინჯავს, წამალს აძლევს, ნემსს უკეთებს, წამოაყენებს და ა.შ.) – წასვლისას ემშვიდობება – რომ მოვალ კარგად დამხვდით!

გრიშა (ხმა) – გავიდა დრო. ბაბუა გრიგოლი მაინც ვერ შეეჩვია უცხო ატმოსფეროს, მით უმეტეს, რომ როგორმე მაინც დაეღწია თავი ამ მოჩვენებითი უცხო სიმშვიდისათვის, ერთ წუთსაც არ შორდებოდა თავიდან თავისი სოფელი, მშობლები, ახლობლები. გავიდა კიდევ ერთი თვე. გრიგოლის მომჯობინება დაეტყო, (ურთიერთობა მუნჯური იქ მყოფ დაჭრილებთან პალატაში) გერმანულ ლაპარაკსაც შეაჩვია ყური. თავადაც ახერხებდა ზოგჯერ პასუხის გაცემას. თითქოს გახალისდა კიდეც გერმანელი ცქრიალა ფერშალის ხმით, წკრიალა ლაპარაკით და მზრუნველობით. აი ისიც (დერეფნიდან ისმის ხმა. პალატაში ექიმი და ფერშალი შემოდიან)

ექიმი – ყმაწვილო, როგორ გრძნობ თავს? –

გრიგოლი – ჩინებულად შემიძლია ისევ დავუბრუნდე ფრონტს

გრიშა (ხმა) – გრიგოლი ფიქრობდა როგორმე გამოეღწია თავი მტრის ბანაკიდან.

ექიმი – თქვენი ჭრილობები ჯერ კიდევ მოსაშუშებელია. ჰოსპიტალში გაჩერება კი არ შეიძლება. (აკვირდება გრიგოლის სახეს, სინჯავს, ფეხზე წამოაყენებს) იქნებ ჩემთან, სახლში გირჩევნია, დიდი ეზო და პატარა მეურნეობაც მაქვს. ცოტახანს გაერთობი.

გრიშა (ხმა) – გრიგოლი ფიქრობდა ნეტავ რა აქვთ გულში, მე ერთი უბრალო მეომარი ვარ, იქნებ მცდიანო და უპასუხა:

გრიგოლი – ჩემი საქმე ბრძოლაა, თუ შინ დაბრუნება მიწერია, ჩემს მეურნეობას უფრო ჩინებულად მივხედავ.

ექიმი – (ეცინება) ნება შენია ყმაწვილო, მე მხოლოდ სიკეთე მსურს. (გადის)

ფერშალი – რა დაუკვირვებელი ხარ ფრიგოლი? ამ გაგანია ომის დროს ყველა ღვთისმორწმუნე იმაზე ფიქრობს კაცი არ მოვკლაო და შენ ისევ იქ მიგიწევს გული? – რატომ გაუბედე ამ კეთილ კაცს უარის თქმა?

გრიგოლი – ჩემო კარგო ანნა (ამოიოხრებს) თქვენთვის კი არის სიკეთე, მაგრამ, რატომ ჩემს გულშიც არ იხედებით, ვინ იტყვის გრიგოლი მოღალატე არაარ?

ფერშალი ანნა – ღმერთი ხომ არის მოწამე, გერმანელმა ჯარისკაცებმა უგონოდ, დაჭრილი, თითქმის მკვდარი მოგიყვანეს ჰოსპიტალში.

გრიგოლი – დააჯერებ მერე მაგას ვინმეს, იქ, დიდ რუსეთში? ანდა (გააგრძელებს დუმილს) ჩემს საყვარელ საქართველოში?

ანნა – ვერ გავიგე? რომელია შენი სამშობლო, რუსეთი თუ საქართველო?

გრიგოლი – (აღტაცებით) საქართველო, ჩემი ზღაპრული იმერეთი.

ანნა – თუ შენ ამ კაცს დაუჯერებ, ბევრ სიკეთეს ნახავ, თუ არა და... (დუმს) შენს თავს დააბრალე.

გრიგოლი – ვინ არის ეგ კაცი, რას გადამეკიდე ნეტავ?

ანნა – (დუმს მერე ცრემლიანი თვალებით შეხედავს) ეს კაცი მამაჩემია

გრიგოლი – მამაშენი?!

ანნა – ჰო, რა არის აქ გასაკვირი? (თან ცრემლიან თვალებს იწმენდს)

გრიგოლი – არა, ვერ წარმოვიდგენდი, თუ შენ ასეთი კეთილი იყავი.

ანნა აღტაცებით შეხედავს და თან ფიქრობს.

გრიშა (ხმა) – და გრიგოლის უფრო ღრმა გრძნობა გაუჩნდა ანნას მიმართ. (გრიგოლი ფიქრობს, დუმილის შემდეგ, მოულოდნელად გადაწყვეტს)

გრიგოლი – მე დავთანხმდები, აუცილებლად დავთანხმდები, ოღონდ ჩემი სამშობლო ვნახო. (ანნა ღიმილით გადის).

სურათი VI

იდილიური მუსიკა (სასურველია ბახის)

გერმანული ეზო, სახლი, შინაურები: ბებია, ბაბუა, მოსამსახურეები ანნას დედა, და და ძმები) შედიან ეზოში: ექიმი ანნა და გრიგოლი ცალი ყავარჯნით.

ანნა – აი, ჩვენი უცხოელი ჯარისკაცი, ისეთი კეთილია, ისეთო რომ . . .

ბებია ანნასი – ჰო, ჰო, ჰო! რამდენს გვეტიკტიკება ეს გოგო (ცერად შეხედავს გრიგოლს, რომელსაც ეზოსკენ მიუპყრია თვალი)

ექიმი – ვახშამზე საპატიო სტუმარი გვეყოლება (შეხედავს გრიგოლს ღიმილით)

და ანნასი – შორეული საქართველოდან არა, ჩემო დაიკო! (გრიგოლი უხერხულობას გრძნობს, ყველა სათითაოდ ართმევს ხელს და ეცნობიან).

ექიმი – ანნა, დაათვალიერებინე შენს ძვირფას ტყვეს (ღიმილით) ჩვენი ეზო, იქნებ მოეწონოს. ჰო, მართლა (მიუტრიალდება მეუღლეს ხელს მოხვევს) ძვირფასო შემომიტანე კაბინებტში დღევანდელი ფოსტა.

მეუღლე – ახლავე, ძვირფასო (ორივენი შედიან სახლში, სხვებიც მათ მიჰყვებიან)

ანნა – (გრიგოლის ხელს ჩაჰკიდებს) წამოდი გავისეირნოთ!

ბაბუა ანნასი – წადით ანცებო გაისეირნეთ (ფანჩატურშიზის და ყალიონს ეწევა) თან თავისთვის ჩაილაპარაკებს: ომს თქვენთან რა უნდა (ამოიოხრებს)

ანნა – ეს ჩემი საყვარელი ყვავილნარია. შეხედე რა ლამაზი ვარდია ესეც ველური ზამბახები, ნაზი იები... ნეტავ როგორია შენი საქართველო? იქ თუა ასეთი ყვავილები?

გრიგოლი – (ფიქრებიდან ერკვევა) იცის და მერე როგორ, იქ წელიწადის ყოველ დროს ყვავის ყვავილი, იმერეთში, სადაც მე ვცხოვრობ. (და წაიღიღინებს)

„ოქტომბერში, თუ ჩვენს მხარეს გაგივლიათ,
შეამჩნევდით, მიმობნეულს მინდორ-ველად,
პაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია.
იმერეთში ეძახიან საპოვნელას...

ანნა – რა თქვი? (თვალებში შესცი‌ცინებს გრიგოლს) რა უცნაური სახელია „საპოვნელა“

გრიგოლი – ჰო, საპოვნელა, ანუ რასაც ეძებ და იპოვნი.

ანნა – ესეიგი შენ ჩემი საპოვნელა ხარ (თან იცინის) მეც გეძებე, გეძებე და გიპოვნე.

ხმა სახლიდან – ახალგაზრდებო, ვახშამზე გელოდებით.

გრიშა (ხმა) – მეორე დღე ჩვეულებრივად დაიწყო. ყველამ თავის საქმეს მოკიდა ხელი. გრიგოლმა ეზოში სეირნობა განაგრძო, რადგან ფეხზე ჭრილობა ჯერ არ მოშუშებოდა. გავიდა დრო. ერთ დღეს როცა ეზოს ათვალიერებდა, დიდ ცოცხლს მოჰკრა თვალი. აიღო და დაგვას შეუდგა, უცებ რკინის ფულის გროვას წამოედო. აკრიფა და მაგიდაზე ფაქიზად დაალაგა.

გრიგოლი – მაინც არ მენდობიან (აწყობს მაგიდაზე ფულებს და გულისტკენით იხსენებს სამშობლოს) „სადაურსა სად წაიყვან ბედო ... “ ღმერთო! – ნეტავ რას ფიქრობენ ჩემზე? როდის გნახავ ჩემო საქართველო, ჩემო სკანდე (ქართული „საპოვნელას“ ფონზე იმერული პეიზაჟები ეკრანზე)

გრიშა (ხმა) – ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელი, პატრონის ანცი ქალიშვილი ანნა მოსვენებას არ აძლევდა გრიგოლის ხან აქედან მოუვლიდა, ხან იქიდან.

გრიგოლი (მოქმედებაში) – (ერთხელ, ბაღში საქმით დაღლილი გრიგოლი მინდორზე გაშხლართულიყო ზეცისთვის თვალები მიეპყრო, თეთრი წერო ცას მიტმასნოდა. გრიგოლმა თავი სამოთხეში იგრძნო. თვალები დახუჭა. უცებ ყურში რაღაცამ დაუღიტინა.

– ანნა შენ? – ონავარო (წამოიძახა გაბრაზებულმა) წამოხტა და დაედევნა გაქცეულს (ანნა სიცილით გარბოდა) გრიგოლი დაეწია დაიჭირა და გულში ჩაიკრა. ატირდა, ტიროდა ანნაც. გული რომ იჯერეს, სახლში შევიდნენ – ვახშამზე გაბუტულებივით ისხდნენ. თავჩაქინდრულები.

დიდი ბაბუა – რა გაბუტულებივით სხედხართ რა მოგივიდათ?

ექიმი – (ექიმმა შენიშნა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია მათი ხასიათის ცვლილებებს, მე ისე შევითვისე და შევისისხლხორცე ეს უცხო ბიჭი ჩემი შვილებიდან არ ვარჩევ. ძალიან მიხარია, რომ ის ზრდილი, ერთგული, შრომისმოყვარე და ძალზე პატიოსანი ახალგაზრდაა. იმდენად პატიოსანია, რომ იწვის თავის აგონიაში და ხვაშიადი ვერ გაუმხელია, რადგან უცხოელია და ერიდება ჩვენი, ბევრს ფიქრობს სამშობლოზე და თავის ხალხზე, არც ტყუის... (გრიგოლი ტყვიანაკრავივით წამოხტება და გარეთ გავარდება, ანნა დაედევნება)

ანნა – სად მირბიხარ, გაიქცევი განა? – შენ არ მასწავლე: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“

დიდი ბაბუა – (გარეთ გამოსული ეძახის და ორივეს სახლში აბრუნებს) მოდით შვილებო, ახალგაზრდობა ვის არ გამოუცდია. (მოკრძალებით შედიან)

ექიმი – ჩქარი ხარ ბიჭო (გრიგოლის) მაგრამ მაინც მიყვარხარ. თუ შენ წინააღმდეგი არ იქნები, უფლებას გაძლევ შეირთო ჩემი საყვარელი ქალიშვილი ანნა.

გრიშა (ხმა) – გრიგოლმა თავი ასწია, სიხარულისაგან თვალები გაუფართოვდა, სახე აეწია, აელეწა, მივიდა და სასიმამროს წინ მუხლებზე დაიჩოქა, თავი დახარა და მის ფეხებს უნდა მოხვეოდა რომ ...

ექიმი – შენში დიდი ხანია დავრწმუნდი, შვილო. დამილოცნიხართ (ფეხზე წამოაყენებს და გადაეხვევა. (იდილიური მუსიკა გადადის საქორწილო-რიტუალურ მუსიკაში გერმანულ მოტივზე ეკლესიაში)

გრიშა (ხმა) – ამ ქვეყნად უპირველესმა ადამიანთა შორის ურთიერთობის კელაპტარმა – სიტყვამ, როგორც ამას ჩვენი მოძღვარი იესო ქრისტე გვასწავლის, წარმოშვა ხალხთა შორის სიყვარული – ძალა, რომელსაც ფაქიზი მოვლა სჭირდება, ამ გრძნობით გადაინასკვა ქართული და გერმანული სული. ერთ კვირაში გრიგოლის და ანნას ჯვრისწერა შედგა გერმანულ ეკლესიაში.

დრო სწრაფად მიჰქროდა.

სურათი VII

გრიგოლი – (ოთახში, სავარძელში ზის და გაზეთს კითხულობს, ანნა ქსოვს, ფეხმძიმედაა). სამშობლო, ნეტავ რა მდგომარეობაა ახლა ჩემ სამშობლოში, ვინ იცის რას ფიქრობენ სახლში.

ანნა – უკვე რვა წელი გავიდა, წერილიც კი არ გაგიგზავნია. როგორმაინტერესებს შენი სამშობლო, ლამაზია?

გრიგოლი –

„ქალივით ლამაზი, მკაცრი და ფაქიზი,

შერწყმული მთა-ბარი იით და ნარგიზით,

ბრძენთა თქმულს ხავერდის ხალიჩა ჰფენია, კაშკაშა ლაჟვარდი ტატნობის მშვენია,

ასეთი სამშობლო მე შორს დამრჩენია!

ანნა – ოო, როგორი შეყვარებული ხარ შენს საქართველოზე (ხმა გაებზარა) ვაი!

გრიგოლი – (წამოხტება) რა მოხდა? რა მოგივიდა?

ანნა – არაფერი, არაფერი. მგონი (მუცელზე ხელს იდებს)

გრიგოლი – ექიმი, ექიმი ჩქარა! (მოცარტის პრელუდია, ალიაქოთი სახლში, ბავშვის ტირილის ხმა, ყველა ფეხზე დგება, გარბიგამორბიან)

ხმა (შინამოსამსახურის) – გოგოა, გოგო! ლურჯთვალა და ქერა.

გინეკოლოგი – შეგიძლიათ ნახოთ ბავშვიც და დედაც, ორივე კარგად გრძნობენ თავს.

გრიგოლი – (ხელებს მაღლა აღაპყრობს) ღმერთო, რა ბედნიერი ვარ დღეს, ნეტავ სულ ასე ბედნიერი ვიყო!

– ოო, სამშობლოვ! ჩემო იმერეთო, სკანდე.

ექიმი – (თავისთვის) ეს ბიჭი ძალიან განიცდის სამშობლოდან მოწყვეტას, რაღაც უნდა ვიღონო, არაფერი დაემართოს.

– გილოცავ, გილოცავ ჩემო ქართველო! (ეხვევა)

აბა, ახლა ნათლობისათვის მოვემზადოთ.

გრიგოლი – (ღიმილით და გაკვირვებით) ასე მალე?

ექიმი – კი, ჩემო გრიგოლი, ჩვენ ქრისტიანები ვართ, კათოლიკები და ჩვენს სახლში მოუნათლავი ბავშვის გაჩერება არ შეიძლება. ნათლიასაც გამოვძებნით. ეს საქმე მე მომანდეთ. (გადის)

გრიგოლი – მაშ, ხვალ ნათლობა გვაქვს (შერბის ანნასთან)

– გილოცავ ძვირფასო (ეხვევა დედას და ბავშვს)

ანნა – რა ბედნიერები ვართ გრიგოლი, ერთი გოგონა უკვე გვყავს სამი შვილი კიდევ უნდა გავაჩინო. მე მინდა ორი გოგონა და ორი ბიჭი გვყავდეს, ჩემი მშობლებივით.

გრიგოლი – ჰო, გენაცვალე (სიცილით). იცი, მამაშენმა თქვა, მალე ნათლობა გვექნებაო, არაქრისტიანი ჩვენს ოჯახში არ შეიძლება იყოსო (ენამოჩლეფით თითს ადებს ლოყაზე შვილს)

ანნა – ასეც ვიცოდი, ასეთი წესია ჩვენთან, ბავშვი დაიბადება თუ არა, მაშინვე ნათლავენ.

ლია ბალანჩივაძე

სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა წინასაკონცერტო რეპეტიციის საკითხისათვის

მუსიკალურ-საშემსრულებლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ არცერთი, თუნდაც დიდი გამოცდილების მქონე, მაღალი დონის, კარგად მომზადებული შემსრულებელი არ არის დაზღვეული წარუმატებელი სასცენო შესრულებისგან, თუ ის, როგორც სუბიექტი მზად არ არის შესრულებისათვის. შემსრულებლის „ფორმაში შესვლა„ არ გულისხმობს მხოლოდ ცოდნა-ჩვევების აქტუალიზაციას, საშემსრულებლო აპარატის წესრიგში მოყვანას, მუსიკალური ნაწარმოების შესრულებაში მიღწეული დონის შენარჩუნებას, არამედ იმის ორგანიზაციასაც, რაც შესრულების დონის სრულად გამომჟღავნებისათვის არის საჭირო. ეს უკანასკნელი მხოლოდ შემსრულებლის ოსტატობის დონეზე არ არის დამოკიდებული, მისი წარსული გამოცდილებით არ არის განსაზღვრული, არამედ იმითაც, რაც შემსრულებელში, როგორც სუბიექტში ხდება სცენაზე გასვლამდე.

შემსრულებლის ფსიქოლოგიური მზაობის შექმნა ღრმად ინდივიდუალური პროცესია, რადგან ყოველი ადამიანის, მითუმეტეს ხელოვანის, პიროვნება განუმეორელია. ეს პრობლემა თეორიულადაც დაუმუშავებელია. შესრულებაში არასტაბილურობის ასახსნელად მუსიკალურ პედაგოგიკას არ მოეპოვება უფრო ზუსტი ტერმინი, ვიდრე „სცენიურობაა„, რომელიც ყოველგვარ მეცნიერულ შინაარსს არის მოკლებული. იგივე შეიძლება ითქვას „სცენის შიში„-ს შესახებაც, რომელიც, ჩვენის აზრით, შემსრულებლის მზაობის რომელიღაც ნაკლოვან მხარეზე მიუთითებს. ზოგიერთი პედაგოგი საერთოდ გამორიცხავს „სცენიურობის„ შეძენის შესაძლებლობას, რადგან მას თანდაყოლილ თვისებად მიიჩნევს. ასეთ შემთხვევაში, რა შინაარსიც არ უნდა ჩავდოთ „სცენიურობის„ ცნებაში, იგი ვერ აგვიხსნის წარუმატებელი შესრულების ფაქტებს.

მზაობის პრობლემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს საკონცერტო შესრულების ხარისხზე სარეპეტიციო შესრულება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა რეპეტიციაზე ნაწარმოების კარგად შესრულებით ზიანს ვაყენებთ საკონცერტო შესრულებას და პირიქით, ხარვეზების მქონე სარეპეტიციო შესრულებას მოსდევს ბრწყინვალე საკონცერტო გამოსვლა. სწორედ ასეთ პრაქტიკაზე დაყრდნობით გაჩნდა გამონათქვამი: „თუ გენერალური რეპეტიცია ჩავარდა, სპექტაკლი კარგი იქნება„.

ნათელია, რომ საჭიროა ზრუნვა რეპეტიციის იმგვარად ორგანიზების, რეპეტიციის ისეთი ფორმის შერჩევის შესახებ, რომელიც საშუალებას მისცემს შემსრულებელს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენოს სცენაზე.

ჩვენ ყურადღება მივაქციეთ წინასაკონცერტო მზაობის შექმნის არსებული ხერხების ნაკლოვან მხარეებს სამუსიკო პედაგოგიკაში და ვცადეთ მზაობის ოპტიმალური ვარიანტი მოგვეძებნა. ჩვენი მიზანი იყო შესრულების ეფექტურობის ამაღლების გზების დადგენა და მისი გამოყენება სასწავლო-მეთოდურ პრაქტიკაში. რეპეტიციის სხვადასხვა ფორმების გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა გვეცვალა შემსრულებლის მზაობის დონე და სარეპეტიციო და საკონცერტო შესრულებათა ურთიერთმიმართების ფონზე გვეკვლია მზაობის და შესრულების ეფექტურობის ურთიერთობის პრობლემა.

ეს პრობლემა ქართულ ფსიქოლოგიაში მოიაზრება, როგორც განწყობის და ქცევის ურთიერთობის პრობლემა. „ქცევა უშუალოდ განწყობით არის განსაზღვრული... ის, რაც უნდა მოხდეს მომავალში, ე.ი. როგორ უნდა მოიქცეს გარკვეულ პირობებში ცოცხალი არსება, ეს უკვე მანამდეა სუბიექტის განწყობაში მოცემული, სანამ ქცევა დაიწყებოდეს„ - წერს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, მსოფლიოში ცნობილი განწყობის ფსიქოლოგიის შემქმნელი - დ.უზნაძე.

თუ ქცევის წარმოშობა, მიმდინარეობა, ცვალებადობა დამოკიდებულია განწყობის წარმოშობის, მიმდინარეობის, ცვალებადობის კანონზომიერებებზე, მაშინ სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ქცევის ეფექტურობას განსაზღვრავენ განწყობაში მომხდარი ცვლილებები ქცევის დაწყებამდე და ქცევის პროცესში. შესაბამისად, საშემსრულებლო ქცევის ეფექტურობაც უნდა ცვალებადობდეს იმის მიხედვით, თუ როგორ ცვალებადობენ მისი შესატყვისი განწყობის მახასიათებლები. ჩვენ შეგვქონდა ცვლილებები შემსრულებლის განწყობაში სარეპეტიციო შესრულების მეშვეობით. ამას ვაღწევდით

განწყობის ფაქტორებზე - მოთხოვნილებაზე და სიტუაციაზე ზემოქმედებით. იგულისხმებოდა, რომ ამით ვცვლიდით მზაობის დონეს. განწყობის ობიექტურ ფაქტორზე - სიტუაციაზე ზემოქმედება ხდება და აუდიტორის არსებობა - არარსებობის მეშვეობით, ხოლო სუბიექტურ ფაქტორზე - მოთხოვნილებაზე ზემოქმედებისთვის ვიყენებდით რეპეტიციის სხვადასხვა ფორმებს.: ერთ შემთხვევაში შემსრულებელს სცენაზე გასვლამდე უტარდებოდა სრული რეპეტიცია, მეორე შემთხვევაში ნაწილობრივი, ხოლო მესამეში ნაწარმოები სრულდებოდა ურეპეტიციოდ. ნაწილობრივი რეპეტიციის იდეა გაგვიჩნდა „შეწყვეტილი ქცევის ეფექტის„ ანალოგიით, რომელიც ფსიქოლოგიაში ცნობილია, როგორც ზეიგარნიკის ეფექტი. ცდები ჩატარდა კონერვატორიისა და სამუსიკო სასწავლებელთა სტუდენტებზე.

ჩვენ დავადგინეთ, რომ ნაწილობრივი რეპეტიცია წარმოადგენს საშემსრულებლო აქტივობის ეფექტურობის ოპტიმალურ პირობას. მან განაპირობა მომდევნო საკონცერტო შესრულებათა მაღალი დონე. წარუმატებელი საკონცერტო გამოსვლები მოჰყვა სრულ რეპეტიციას, ხოლო ურეპეტიციო შესრულებებმა დაიკავეს ადგილი ნაწილობრივ და სრულ რეპეტიციების მომდევნო შესრულებათა შორის.

კვლევის შედეგები გამოქვეყნებული გვაქვს ჩვენი სამეცნიერო მუშაობის დასაწყის პერიოდში.

ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცდები ჩატარებული გვქონდა სამუსიკო სასწავლებლის და კონსერვატორის სტუდენტებზე, (სამუსიკო სკოლებს მაშინ არ შვხებივართ), მოგვიანებთ გაგვიჩნდა ინტერესი, ქცევის ეფექტურობის ამაღლების ჩვენეული მოდელი გადაგვეტანა სამუსიკო სკოლის მოსწავლეებზე და შგვემოწმებინა იმუშავებდა თუ არა იგი ამ ასაკობრივი კატეგორიის შემსრულებლებთან, ანუ დაკვირვებოდით, ხომ არ არის სასკოლო ასაკი განსხვავებული სპეციფიკის მატარებელი და შესაბამისად, ხომ არ იჩენენ თავს აქ ისეთი კანონზომიერებები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი შემდგომი, ჩვენს მიერ უკვე ნაკვლევი ასაკობრივი კატეგორიებისთვის.

ეს კითხვა ლოგიკური იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ სამუსიკო სკოლის მოსწავლეების ინტერესი მუსიკისადმი, სავარაუდოდ, უნდა განსხვავდებოდეს შინაარსეულად იმ ინტერესისგან, რომელიც აქვთ სამუსიკო სასწავლებლის (კოლეჯის) და კონსერვატორის სტუდენტებს ამ დარგისადმი, როგორც მომავალი პროფესიისადმი. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებთან შედარებით სტუდენტთა მზაობის დონის ამაღლებაზე ზრუნვა უფრო ადვილად უნდა ხერხდებოდეს. მოსალოდნელი იყო, კიდევ უფრო რთულად ყოფილიყო საქმე დაწყებითი კლასების მოსაწვლეებთან (6-დან, 9-წლამდე ასაკი). კითხვის ნიშნები დაესვა აგრეთვე ჩვენს წარმოდგენაში ნაწილობრივი რეპეტიციის მეშვეობით შემსრულებლის შფოთვის დონის დაქვეითების ფაქტსაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ადრინდელ ცდებში.

განსაკუთრებით ხელისშემშლელ გარემოებად გვეჩვენებოდა ის, რომ რეპეტიციების ჩატარების დროს ცდისპირს კარგად უნდა განესხვავებინა ერთმანეთისგან ნაწარმოების სანოტო ტექსტის უბრალო გამეორება ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ნაწარმოების შესრულება, რასაც მკაცრად ითხოვდა მისგან ექსპერიმენტატორი. ეს ნიშნავდა იმას, რომ მოსწავლეს ნაწარმოების დაკვრასთან ერთად,

ევალებოდა მისი, როგორც შემსრულებლის ნაწარმოებში „ჩართულობის„ კონტროლი. ძნელი წარმოსადგენი იყო, რამდენად შეძლებდა ამას დაწყებითი კლასების მოსწავლე.

წარმოიშვა ვარაუდი: შესაძლოა, ჩვენს მიერ მიგნებული შესრულების ეფექტურობის ამაღლების საშუალება გამოუსადეგარი იყოს სამუსიკო სკოლებისათვის.

ამ ვარაუდის გამართლება გარკვეულწილად ჩრდილს მიაყენებდა ჩვენს ადრინდელ ცდებს, თუმცა მისი მონაცემების და მიღებული შედეგის სანდოობაში ეჭვს ვერ შეიტანდა შედეგების განზოგადოების კუთხით კი იგი პრობლემებს ნამდვილად შექმნიდა.

ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკით ბოლო წლების მანძილზე ვიმუშავეთ სამუსიკო სკოლის მოსწავლეებთან. მათი საკონცერტო შესრულების ხარისხის ასამაღლებლად ვიყენებდით ნაწილობრივ რეპეტიციას და ამ რეპეტიციის მომდევნო საკონცერტო შესრულების ხარისხს ვადარებდით ურეპეტიციო და სრული რეპეტიციების შემდგომ საკონცერტო შესრულებათა დონეს. სტუდენტებთან ჩატარებული ცდების ანალოგიურად, ვაკვირდებოდით, აღმოჩნდებოდა თუ არა აქ ზეიგარნიკის ეფექტი.

სამუსიკო სკოლაში ჩვენი მუშაობის შვიდწლიანმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ დაბალ ასაკშიც იგივე რეალობასთან გვაქვს საქმე, რაც სამუსიკო კოლეჯსა და კონერვატორიაში გვქონდა. დავრწმუნდით, რომ იგივე გავლენას ვიკვლევდით სკოლაში, სხვა ასაკობრივი კატეგორიის ცდისპირებზე. კანონზომიერებებიც იგივე დადგინდა, რადგან ამ რეალობას ადრინდელ ცდებში ნაკვლევი რეალობისგან განსხვავებული, სპეციფიკური არაფერი არ აღმოაჩნდა. სურათი იმდენად ნათელი იყო, რომ ცდების მონაცემთა სტატისტიკურ დამუშავებამდე უკვე უარყოფილი იქნა ჩვენს მიერ ზემოთ დაშვებული ვარაუდი.

დასკვნებიც, შესაბამისად, წინამორბედი ცდების იდენტური გვაქვს:

1. ნაწილობრივი რეპეტიცია სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა სასცენო აქტივობის ეფექტურობის ოპტიმალური პირობაა.
2. აღნიშნულ აქტივობაში დადასტურდა ზეიგარნიკის ეფექტი მზაობა, რომელიც საფუძვლად უდევს საკონცერტო შესრულების ნაწილობრივი რეპეტიციის შემდეგ, დიფერენცირებულად ორგანიზებულია, მტკიცეა, ხოლო სრული რეპეტიციის შემდეგ დიფუზურია, ცუდად ორგანიზებულია და სუსტი.

შესაბამისად, ნაწილობრივი რეპეტიცია განაპირობებს მაღალი ხარისხის საკონცერტო შესრულებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე - შრომები ტ. III-IV თბილისი 1964
2. დ. უზნაძე - ქცევის ფორმები, შრომები. ტ. V, თბილისი 1967
3. ლ.ბალანჩივაძე - მუსიკალურ-საშემსრულებლო ქცევა და მისი მოტივაცია „მაცნე„, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, თბილისი 1983, N2

გოგი ფაცაცია

სიმონ ზაქარაია



სად იყვნენ იმ პერიოდში ჩვენი წინაპრები პელაზგები და კოლხები?

„პელაზგები მატერიკული საბერძნეთის უძველესი ტომები არიან. ღმერთების კულტი საბერძნეთში პელაზგების შემოღებულია, დიოსკურების, ჰერას, ვესტას, თემიდას, ქარიტების და ნერეიდას ღმერთების სხვა კულტები პელაზგებმა შემიღეს საბერძნეთში.“

ჰეროდოტე

„პელაზგები ითვლებიან უძველეს ხალხად ყველა ტომის მამათავრად“.

სტრაბონი

„პელაზგები – იყვნენ რა ბერძნების მასწავლებლები, ტრადიციულად ღვთაებრივ ხალხად ითვლებოდა, თავიანთი ბერძული დამწერლობა ძველმა ელინებმა პელაზგებისაგან მიიღეს. აქვე რაც არ უნდა გაიკიკვირდეს უძველეს ფინიკიურ ალფავიტს პელაზგურს უწოდებენ.“

ა. ნოგოვიცინი – რუსეთი

„ისტორიული ცხოვრების დასაწყისში ჩვენ ვხედავთ ევროპული ელადის მთლიან ცენტრს, გარემოცულს ქვეყნის მოსახლეობით, პელაზგებისა და იონელთა შერევიგან შედგენილს“

ერნესტ კორციუსი (გერმანია)

ატიკის დაბლობის შუაგულში ბუნებრივი შემაღლება კარგად გამაგრებული და დაცულია, სადაც უძველეს დროიდან იყო ქალაქის ცენტრი, „აქვე იყო თავმოყრილი უძველესი სალოცავები. გორაკზე დღესაც არის შემორჩენილი ციკლოპურ ნაგებობათა ნაშთები, რომელთაც, ათენელები წინამორბედ მოსახლეობას – პელაზგებს აკუთვნებენ“. (ოთ. ლორთქიფანიძე). ან კიდევ ძვ.წ. VI-IV სს. როცა ღმერთების პანთეონი და საერთოდ აღმშენებლობა მიმდინარეობდა, მაშინ „ათენში მრავალი კოლხი ხელოსანიც მოღვაწეობდა, არისტოტელეს ცნობით თურმე: „სახალხო ორატორები მთელ დღეს ატარებდნენ ჯამბაზების წარმოდგენათა ყურებაში და ბორისთენედან ან ფასისიდან ჩამოსულებთან ლაყბობდნენ.“ ფასისი ხომ ანტიკური კოლხეთის ერთ-ერთი უძველესი და მთელს ანტიკურ სამყაროში კარგად ცნობილი ქალაქი იყო. სხვათაშორის ათენში პელაზგებთან ერთად მრავალი კოლხი ხელოსანი მოღვაწეობდა. უცნობ კოლხ ოსტატს მოუხატავს დიდი ზომის სამყურა კერამიკული ლარნაკი, ე.წ. „ჰიდრია“, რომელიც ამჟამად ბერლინის მუზეუმშია დაცული, მას ახლავს წარწერა: – „კოლხმა გამაკეთა“. კოლხი ოსტატის მიერ კიდევ ერთი ათენში დამზადებული ნახელავი დღეს კოპენჰაგენის მუზეუმშია დაცული. ამას დაუმატებდი იმ ფაქტს, რომ დაპყრობილ და თავის ქვეყანაში მონებად ქცეულ ჩვენი ცივილური კოლხი და პელაზგი წინაპრები, რამდენ შედევრებს შექმნიდნენ, მაგრამ მათი სახელები დაკარგულია.

ილია ჭავჭავაძის ქანდაკება

გიორგი ლარიაშვილის მიერ ხელოვნებაში, შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის შერჩეული ძირითადი თემები მუდამ აქტუალურია, მაღალზნეობრივი, ეროვნული, პატრიოტული იდეით დატვირთული, ხოლო შესრულებული ნაწარმოების არსი უდაოდ თვითმყოფადია.

გ. ლარიაშვილი წერს, რომ „ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე განუზომელია, ამდენად ამ დიდი ქართველის ფიგურაზე მუშაობისას დამჭირდა საკმაოდ ვრცელი მასალის გაცნობა“.

ამ ვრცელ მასალებს შორის ილიას თანამედროვე, ყოფილი თანამშრომელი გაზეთ „ივერიაში“ 1886-1890 წწ. ჟურნალები „მოამბე“ და „ჯეჯილი“ და სხვ. მწერალი და პუბლიცისტი იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებები“. იაკობი ილასთან საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიც მდივნის მოვალეობას ასრულებდა. ილია, რომ ერის მამა იყო დიდი და დიდი წინამაძღოლი, ეს მრავალმხრივ ცნობილია, მაგრამ მოქანდაკე აქ განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს „მოგონებების“ იმ ნაწილზე, რომელიც ილია სგარეგნულ აგებულებას აგვიწერს.

აი, რას წერს თავის „მოგონებებში“ ბატონი იაკობი: – „ილიას ოცი წლის განმავლობაში ახლოდ ვიცნობდი, მინახავს სხვა და სხვა გარემოებაში, სხვა და სხვა მდგომარეობაში. ყველა შთაბეჭდილბათ, რაც ჩემს გულში ჩარჩენილა ამ ხნის განმავლობაში, ერთად შეკრებილს, შეფარდებულს მთლად ჩამოსხმულს, გადმოგცემთ და ვგონებ, რომ ეს დაახლოებითი სინამდვილე იქნება ილიას სურათისა.

ილია

ილია დაბალი ტანისა იყო, ჩასხმული, კარგად ჩასქელებული, ამ ტანზე იჯდა თავი, ილიას თავი, რომელიც საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიასის ქანდაკებისა (რაზედაც ჩვენ ზემოთ ვწერდით სზ) გაშლილი და გადატკეცილი შუბლი, გამოქანდაკებული ცხვირი, მრგვალი, მოძრავი ნესტოებით, თვალები ჭკვიანი, მეტყველი, ილიას თვალები, ხან ლმობიერნი, სათნოიანი, როდესაც მეგობრულად გამოიყურებოდნენ, ხან არა ამქვეყნიური, ზეციურნი, როდესაც შემოქმედების სივრცეში დაცურავდნენ ხან მრისხანენი, ცეცხლისმფრქვეველნი, როდესაც მტერს შეებრძოდა, – წარმოიდგინეთ ყველა ეს და თქვენ თვალწინ გეყოლებათ ცოცხალი ილია.“

ახლა შევხედოთ ილიას სხვა გარემოში, როდესაც ის შემოქმედის სიტუაციაში იმყოფება: „თვალები ცოტა მიბნედილად, ლმობიერად, ზეაღმაცქერით გამოიყურებოდნენ, ტუჩებზე რაღაც ნეტარების ღიმილი უთამაშდება, სახე ნაზად განათებული ჰქონდა, იფიქრებდით, სახე შარავანდედით აქვს დაგვირგვინებულიო“.

ჩვენ აქ შევჩერდებით ილიას მანსვეტშვილიასეულ, გარეგანი ფორმის ბობლო აღწერას, რომელიც ალბათ ყველაზე უფრო რეალურ დახასიათებას და ვფიქრობთ, რომ მოქანდაკე ლარიაშვილს ყველა ეს მომენტი აქვს გამოყენებული თავისი ძვირფასი ქანდაკების ასაგებად.

ახლა ცოტა რამ ქანდაკების შესახებ, გ. ლარიაშვილს თითქმის დასრულებული ქონდა მუშაობა ილიას ქანდაკებაზე და თავის სახელოსნოში ერთხელ კიდევ გარს უვლიდა მის მიერ შექმნილ საამაყო ფიგურას. სწორედ ასეთ დროს სახელოსნოს ნახევრად ღია კარიდან შემოდის ჟურნალისტი თამარ თიხაიშვილი და ხედავს, რომ სახელოსნოს ცენტრში აღმართულია ილია ჭავჭავაძის ქანდაკება, მის წინ მორიდებით, როგორც ყველა ქართველი იდგა ბატონი გიორგი და თვალებით შესცინებდა მისეულ ილიას ფიგურას. იმ ერთ წამში რა ნახა ჟურნალისტის ჭკვინმა თვალებმა – „მოქანდაკესა და ქანდაკებას შორის ჩუმი დიალოგი“, ამის დანახვა გარეშე პირისაგან ყველაზე დიდი შეფასებაა ხელოვანისათვის, როცა ეს გაზეთი წავიკითხე უცბად გამახსენდა ფიდიასის სიტყვები, რითაც ის მიმართავს მის მიერ შექმნილ შედევრს – ზევსის ქანდაკებას – „კმაყოფილი ხარ თუ არა შენ, ზევსო?“ და თანხმობის ნიშნად ზეცაში ჭექა-ქუხილი გაისმა. მე ამით არც დიდი მართლმადიდებელ ქრისტიან ილიას შევადარებ წარმართ ზევსს და არც ფიდიასს გაუთანაბრებ ლარიაშვილს, მაგრამ უძველეს დროიდან დღემდე ხელოვანებსა და მათ მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს შორის უდაოდ არსებობს რაღაც ორგანული კავშირი, რადგან ხელოვანი მასში თავის სულის ნაწილს ათავსებს მაში, ეს მეცნიერების მიერ დიდი ხანია აღმოჩენილი და დადასტურებულია.

ერთი სიტყვით ბატონო გიორგი, ილიას შენეულ ძეგლს ჩვენ რიგითი დამთვალიერებლები ვეუბნებით – „კმაყოფილი ვართ თქვენეული ილიათი.“

იაკობ გოგებაშვილის „ქანდაკება“

როგორც ილია ჭავჭავაძე, ასევე იაკობ გოგებაშვილი ყველა ქართველის მით უფრო ხელოვანის მუდმივი ზრუნვის ობიექტი უნდა იყოს. მათი შემოქმედებითი სივრცის განახლება, მიზნების მუდმივად გაცოცხლება ერის უკვდავყოფას ნიშნავს

ახლა ისევ მივმართოთ გ. ლარიაშვილის მიერ დამუშავებულ ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროს, რომელიც ეკუთვნის ილიასა და იაკობის თანამედროვეს იაკობ მანსვეტაშვილს.

აი, მისი „მოგონებებიდან“ ამონარიდი, რა სწერს იაკობ გოგებაშვილზე:



„ი. გოგებაშვილმა სამსახურს სამუდამოდ თავი მიანება და სავსებით საქვეყნო საქმეს შეუდგა სამოსწავლეო ასპარეზზე. განიზრახა ქართული სახელმძღვანელოების და სახალხო წიგნების შექმნა და გავრცელება. არ იფიქროთ – წერს ი. მანსვეტაშვილი – რომ ეს პატარა საქმე იყო, პირიქით, გოგებაშვილის მხრივ ასეთი ნაბიჯი უფრო ღვაწლშემოსილებას, თავის განწირულობას ემსგავსებოდა. ნუ დაივიწყებთ, რომ საცხოვრებლად მას არაფერი გააჩნდა. სამსახურიდან გამოდევნის გამო „ცარიზმის არასანდო პირი“ ულუკმაპუროდ დარჩა, შემწეობას არსაიდგან მოელოდა, და არც მიიღებდა წყალობას, მეტად თავმოყვარე და ამაყი კაცი იყო.მაგრამ არ შეუშინდა სიმშილს, არ შედრკა, მტკიცედ დადგა ცხოვრების ეკლიან გზას და მედგრად გაემკლავა უმადურ წუთისოფელს, ოღონდ თავის დედა აზრისათვის არ ეღალატნა. შემდეგ ი. მანსვეტაშვილი წერს – გოგებაშვილი მართლაც გაძლიერდა ხალხის თვალში; რამდენი თაობა აღიზარდა მის „დედა-ენაზე“ და „ბუნების კარზე“. სად მოიპოვებოდა ისეთი ალაგი იმერეთს თუ ამერეთს, მთელ საქართველოში, რომ გოგებაშვილის სახელი არ სცოდნოდათ. მერე დასძენს, რომ – ვეჭვობ, რომ, ქართულ წერა-კითხვის გავრცელებაში გოგებაშვილზე მეტი ღვაწლი მიუძღოდეს თუნდ ილიას და აკაკის. მათი ნაწერები თუ ათასობით ვრცელდებოდა მთელ საქართველოში, გოგობაშვილის წიგნებიდან ათიათასობით ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას. მე დანამდვილებით ვიცი წერს ი. მანსვეტაშვილი, რომ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია 1880-1890 წლებში ყოველ წლივ ყიდიდა; ოც-ოცდახუთიათას ცალს „დედა-ენას“ და ხუთ-ექვს ათას ცალ „ბინების კარს“.

დიდი სამსახური გაუწიეს გოგებაშვილის წიგნებმა ქართველ ხალხს. დიდის ღირსებისა იყვნენ ეს წიგნები თავის დროზე, დიდის ნიჭით შედგენილნი, ყველას უნებლიეთ უღვიძებდნენ მეტის ცოდნის სურვილს, სწავლის გაგრძელებას და გაძლიერებას. მე თვითონ „დედა-ენამ“ და „ბუბების კარმა“ შემაყვარეს ქართული წიგნი – გამაცნეს საქართველოს ისტორია, გეგოგრაფია. მაშინდელ სკოლებში ხომ ქართული ენის ხსენებაც კი აკრძალული იყო. აი, საიდან გამოდის გიორგი ლარიაშვილის შემოქმედების სათავე, როცა ის თავის სამოღვაწეოდ აქტუალურ, ეროვნული იდეით სავსე თემებს ირჩევს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“

გიორგი ლარიაშვილის ბარელიეფური ნაწარმოები ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია მის შემოქმედებაში. იგი არც აქ ღალატობს თავის პოზიციებს თემის არჩევანში და ამჯერადაც მისი ეროვნული თემა სტანდარტული ფენომენია. მართალია აქტუალური თემის არჩევა, ბევრად განსაზღვრავს მის საბოლოო შედეგს, მაგრამ ამასთან ერთად შემოქმედის საშემსრულებლო, დახვეწილი უნაკლო ოსტატობა, უდაოდ ნაწარმოებს ქმნის სრულყოფილს. საბედნიეროდ ამ ურთულეს ნაწარმოების აღსრულება დიდებულია, მიუხედავად იმისა, რომ ბარელიეფზე ასეთი გენიალური პოეტისა და მისი მერანის გამოსახვის ფორმის შერჩევა უდაოდ პრობლემურია.

ყოველი ხელოვანი ვინც ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი გენიალური „ მერანის“ ქვაში გაცოცხლებაზე იფიქრებს, ეს მრგვალ მაგიდაზეა თუ ბარელიეფზე, ის უნდა ეყრდნობოდეს იმ გენიალურ სტროფებს, რომლითაც მან (ნიკოლოზმა) ადამიანის აზროვნების

ზოგადკაცობრიული ბარიერი გადალახა და გაუკვალავი გზით ახალ სამყაროში შეიჭრა მეტეორივით: აი ისიც „გასწი გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი“, ეს ის ბედის სამძღვარია ანუ საზღვარი, რომელიც ადამიანის აზროვნებას ზღუდავდა ათასეული წლების განმავლობაში და ნიკოლოზ ბარათაშვილმა – „და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება, და ჩემს შემდგომად, მოძმესა ჩემსა, სიძნელე გზისა გაუდვილდეს.“ აი, ეს „განწირული სულისკვეთება“ უნდა აისახოს მოქანდაკის ნაწარმოებზე და ეს მეტნაკლები ოსტატობით შეძლო გიორგი ლარიაშვილმა. ბარელიეფზე გამოძერწილი ფიგურები, სახის გამომეტყველება იდეის ასრულების იდენტია.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიგონო ერთი მცირე დეტალი, რომლიც ამ თემას ეხება. გასული საუკუნის 80-იან წლებში მოსკოვში სამსახურეობრივი საქმიანობასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი მივლინების დროს, სასტუმრო „მოსკოვში“ შევხვდი მწერალთა დელეგაციას საქართველოდან, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ნოდარ დუმბაძის ხელმძღვანელობით, მეორე დღეს, საღამოს დუმბაძეს შემოქმედებითი შეხვედრა მოუწყეს მოსკოველმა კოლეგებმა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. რა თქმა უნდა სტუმარ-მასპინძელთა შეხვედრა მაღალ დონეზე წარიმართა, არც მეორე ნახევარს აკლდა შემართება და ლაზათი. მე როგორც ავღნიშნე მინდა ერთი დეტალი გავიხსენო ამ შეხვედრიდან. დარბაზიდან ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა ასეთი შეკითხვა დაუსვა დუმბაძეს: რა აზრის ბრძანდებით თარგმანზეო? ბატონმა ნოდარმა მშვიდად უპასუხა: როგორც სხვა მწერლები და სპეციალისტები მეც დადებითად ვაფასებ თარგმნის ხელოვნებას, მაგრამ შემდეგ ცოტათი აღელვებულმა დუმბაძემ თქვა, რომ ზოგიერთი მთარგმნელი უხეშად ამახინჯებს ნაწარმოების დედანს. ამის მაგალითად მან მოიყვანა ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური ლექსის „მერანი“, ნათარგმნი ვიღაცის მიერ რუსულ ენაზე. ნათარგმნის შინაარსი დაახლოებით ასეთი გახლავთო თქვა მან – ვიღაც ნიკოლოზმა (ნიკოლოზ ბარათაშვილი) კარგად ჩაიცვა, ზურგზე ნაბადი მოიხურა, თავზე ფაფახი მოირგო, შეჯდა თავის ცხენზე და გააჭენ-გამოაჭენაო, ამით ის თქვა ბატონმა ნოდარმა, რომ მერანი არც ცხენია, არც რაში, ან რომელიმე ფეხმარდი ცხოველი, არამედ ესაა გენიოსი პოეტის აზრის ორეული, რომელიც კვეთს ქარს, აპობს ზღვებსა და ოკეანეს, ზემოდან გადაუქროლებს კლდეებსა და ღრეებს და ციუ სამყაროს ეწვევა.

ამდენად გ. ლარიაშვილის მიერ ბარათაშვილისა და მისი მერანის გამოსახულების ვარიანტი ბარელიეფზე, ერთ-ერთი საუკეთესოდ შეიძლება შეფასდეს. მთავარი ისაა, რომ ამ ვარიანტის მიხედვით თავგანწირული პოეტი და მისი მერანი უახლოვდებიან კაცობრიობის აზროვნების იმ ნეტარ ოცნებას, რომელსაც „ბედის სამძღვრის“ გადალახვა ქვია.

„ბალერინა“



გიორგი ლარიაშვილის მორიგი ქანდაკება „ბალერინა“ არის ბალეტის სცენაზე მიმდინარე ცეკვიდან ერთი შეჩერებული წამი, ანუ პირუეტის პროცესის ქვაში გაცოცხლება. ამ ქანდაკებაში ბალერინა იმდენად მსუბუქი, ჰაეროვანი და არტისტულია, რომ იგი ქმნის ჭეშმარის სცენურ სახეს, რომელიც დამშვენებულია ბუნებრივი სინაზით და მშვენიერებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ქანდაკების ავტორი კარგად ერკვევა საბალეტო ხელოვნების საიდუმლეობაში, სასცენო რეჟისურაში.

ამაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს, რადგან ხელოვნება ერთნაირადაა მშობელი მხატვრის, მოქანდაკის, მსახიობის და კიდევ სხვა, ამიტომ ამ დარგის პროფესიონალებს ერთმანეთის კარგად ესმით. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ როცა გიორგი ასეთ პროფესიონალური დონის ქანდაკებებს ქმნის, ეს კანონზომიერიც უნდა იყოს, რადგან ის ამავე დროს პროფესიონალი მხატვარიცაა.

ქანდაკება „გამარჯვების“ შესახებ

გიორგი ლარიაშვილის მიერ სადიპლომო დაცვაზე წარდგენილი ქანდაკება „გამარჯვება“ ერთ-ერთ ბრწყინვალე და საუკეთესოა ქართველ ეხლოვანთა მსგავს

ნაწარმოებებს შორის. იგი ჭიდაობის ასპარეზის გამომსახველია და მე, როგორც დამთვალიერებელი უკეთესს ვერ ვინატრებდი.



დიპლომის დაცვა. გამარჯვება

რითი არის ქანდაკება – „გამარჯვება“ მნახველთა მომაჯადოებელი? უპირველეს ყოვლისა ქანდაკების ფორმა თმიდან, ფეხის ფრჩხილებამდე ქართულია, კეთილი, ძლიერი, რომლისთვისაც გამარჯვება მისი სულის ნაწილია, მისი ორეული.

ქართველი ერი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისადმი დაუოკებელმა სწარფვამ და გაუტეხელმა შემართებამ მოიყვანა დღემდე. როდესაც დაუკვირდებით მოქანდაკე ყმაწვილს – გიორგი ლარიაშვილს და მის მიერ გამოძერწილ ქანდაკება – „გამარჯვებას“, რომელიც მის წინაა აღმართული, ტყუპის ცალივით ჰგვანან ერთმანეთს, სახის გამომეტყველებიდან ჩანს, რომ ორივეს იდეალი გამარჯვებაა, ისე ბრძნული ნათქვამია – ნებისმიერი ნაშრომი არსებითად მისი ავტორის პორტრეტისა და ხასიათის გამომხატველიაო, სრულიად ვეთანხმები.

დიდი კმაყოფილებით უნდა ვთქვა, რომ ჯერ კიდევ სტუდენტმა გ. ლარიაშვილმა ბრწყინვალედ გაართვა თავი მის მიერ დასახულ მეტად რთულ ამოცანას, შეექმნა ჭეშმარიტი ქართველი გამარჯვებული ჭაბუკი ფალავნის სრულყოფილი პორტრეტი. პასუხი ცალსახაა, მან პრაქტიკულად შექმნა გოლიათის ეს ფიგურა და ამით გვირგვინი დაადგა ბევრ სწორუპოვარ ქართველ ფალავანს, რომლებმაც უკვდავყვეს ქართული სპორტი და მათ შორის ჭიდაობა, მთელს მსოფლიო არენაზე.

ახლა ცოტა რამ ლარიაშვილის საშემსრულებლო ხელოვნებაზე. მე მართალია ამ დარგის სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ გამოცდილება მკარნახობს, რომ გ. ლარიაშვილი ამ ქანდაკების შესრულებისას ავლენს სრულყოფილი პროფესიონალ ოსტატის თითქმის ყველა თვისებებს, უპირველეს ყოვლისა ქანდაკების სახელწოდება „გამარჯვება“ და მისი რეალური გარეგნული შესახედაობა (Внешный вид) ერთმანეთთან სრულ ჰარმონიაშია. ეს ახალგაზრდა ხელოვანის დიდი გამარჯვებაა, მოჭიდავის გულმკერდისა და მუცლის არის დაკუნთული აგებულება პირდაპირ ცოცხალი სპორტსმენის იდენტური აღნაგობაა, ხოლო მისი გაშლილი მკლავები მთის არწივის ძლევამოსილი ფრთები, რომლითაც იგი ზღუდავს და ბოჭავს ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგესაც კი. რაც შეეხება ქვედა კიდურებს ეს გოლიათი ფალავანი პირდაპირ პირამიდებზე დგას, ამდენად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ქანდაკება სულიერი და ფიზიკური სიძლიერის და გამარჯვების სიმბოლოა. ბრავო გიორგი!

და მაინც მინდა გიორგი ლარიაშვილს ასეთი, ალბათ ლოგიკური კითხვა დაუსვა– რა საფუძველი ქონდა მას, ახალგაზრდა, ჯერ კიდევ დამწყებ ხელოვანს, მტკიცედ განეზრახა, შეექმნა ქანდაკება, რომელსაც შემდეგ მას „გამარჯვება“ უწოდა, რა წყაროებით საზრდოობდა მისი ჩანაფიქრი ამ მიზნის განსახორციელებლად? ამ კითხვას ერთადერთი პასუხი არ უნდა ქომდეს, პირველი ალბათ ისაა, რომ პერსპექტიული ახალგაზრდა საკმაოდ ღრმად უნდა იცნობდეს თავისი ერის ისტორიას, კარგად უნდა ფლობდეს ქვეყნის სპორტულ მიღწევებს და მათ შორის ჭიდაობის ეროვნულ ფენომენს.

მეორე – არანაკლებ მნიშვნელოვანია არჩეული პროფესიისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა.

მესამე – ყველა ზემოაღნიშნულის დამაგვირგვინებელია შრომისმოყვარეობა.

ახლა აქ მოვიყვანოთ ის ძირითადი მამოძრავებელი ძალების შესახებ ფაქტები, რამაც განსაზღვრა გიორგის მიერ არჩეული თემის აქტუალობა და შემდეგ მისი ბრწყინვალედ განხორციელება. ძველი დროიდან ქართველები არა მარტო ბრძოლის ველზე ჯაბნიდა მოწინააღმდეგეს, არამედ საჭიდაო სარბიელზეც იცავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას. ჭიდაობა მისთვის იყო საიდუმლო საზომი ერთეული, რითაც იგი მართავდა მოწინაარმდეგის შესაძლებლობებს, მათ შინაგან ბუნებას.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: 400 წლის წინათ, მატიანის ცნობით სულთან-მურად III-ის სასახლეში, თურქების მიერ დაპყრობილ სამცხედან მოუყვანიათ თავადი ძმები მანუჩარ და ყვარყვარე ათაბაგები. ეშმაკმა სულთანმა ტყვეები ძვირფასი სტუმრებივით მიიღო და პურ-მარილიც გაუმართა, სადაც უცხო ქვეყნის წარმომადგენლებიც (ელჩები) ესწრებოდნენ. მათ შორის ყოფილა გერმანიის ელჩი ვინმე შვაიგერი. გერმანელს ძალიან მოწონებია ქართველი თავადი ყვარყვარე და სულთანისათვის უთქვამს „ასეთი მოხდენილი და ლამაზი ვაჟკაცი არასდროს მინახიაო." მურად III-მ ქართველ ძმებს შესთავაზა მუსულმანობა მიეღოთ და სამაგიეროდ სამცხეში თავის წარმომადგენლად დააბრუნებდა. ამ შემოთავაზებას უფროსი ძმა მანუჩარი მაშინათვე დასთანხმდა, მაგრამ ყვარყვარემ უარი განაცხადა. ახლა სულთანმა სხვანაირ ხერხს მიმართა, ყვარყვარეს უთხრა, რომ შენ მგონი მოჭიდავეც ყოფილხარ, თუ ჩემს ფალავანს წააქცევ მაშინ სჯულსაც შეგინარჩუნებ და ქართველად დარჩებიო. ამ შემოთავაზებას ყვარყვარე სიამოვნბით დათანხმდა, გაიმართა ჭიდაობა, თურქ გოლიათს წელს ზემოთ ტიტველი კანი ქონით ქონდა გაპოხილი და ყვერყვარეს უჭირდა მისი დაჭერა და მკლავებში მომწყვდევა... და ბოლოს გამწარებულმა ყვარყვარვარემ კისრული უქნა მოწინააღმდეგეს, თეძოზე გადმოიღო და ხალიჩაზე ბეჭდებით გააკრა. დამსწრე თურქმა თანამემამულეებმა იღრიალეს არასწორი ხერხით წააქციაო და ჭიდაობა უნდა გაგრძელდესო, მაგრამ დამარცხებული თურქი ფალავანი პირველი მივიდა ყვარყვარესთან და გამარჯვებულის ხელი აუწია. დათქმის თანახმად ყვარყვარემ ქართველობაც შეინარჩუნა და სარწმუნოებაც დაუტოვეს.

ქართველი მოჭიდავეების დიდ წარმატებების შესახებ საერთაშორისო არენაზე რომლებიც გამოდიოდნენ დიდ საბჭოთა ქვეყნის მრავალეროვანი ხალხის (255 მლნ) სახელით. მათ შორის ყველაზე საპატიო ადგილი ქართველ მოჭიდავეებს უკავიათ.

აი ისინიც:

პირველი ოლიმპიური ჩემპიონები თვაისუფალ ჭიდაობაში – დავით ციმაკურიძე და არსენ მეკოკიშვილი;

პირველი სამგზის მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში და პირველი ოლიმპიური ჩემპიონი – გივი კარტოზია;

პირველი მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ვახტანგ ბალავაძე;

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში – შოთა ჩოჩიშვილი;

პირველი მსოფლიო ჩემპიონი სამბოში – გენადი მიროტაძე და სხვა.

შემდეგ ჩამოვთვლით ლეგენდარულ მოჭიდავეებს: რომან რურუას – ხუთგზის მსოფლიუო ჩემპიონს; ლევან თედიაშვილს – ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს, რისთვისაც იგი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით; მსოფლიო ჩემპიონები შოთა ხაბარელი, როსტომ აბაშიძე, ვლადიმერ რუბაშვილი, თეიმურაზ აფხაზავა და სხვები და სხვები.

სპორტის დამსახურებული ოსტატი მოსკოველი აიდინ იბრაჰიმოვი წერდა, რომ ქართველ მოჭიდავეებს ხშირად ხალიჩაზე ორთაბრძოლა საკუთარი სცენით მიყავდათო, ამის შემდეგ სრულიად გასაგები უნდა იყოს გიორგი ლარიაშვილის მიერ შერჩეული სადიპლომო თემა „გამარჯვება".

გიორგი ლარიაშვილის მიერ ქვაში გაცოცხლებული ბიუსტი _ ბეჟან ხარაიშვილი

დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ჟურნალ „ათინათში" მუშაობის პერიოდს, როდესაც ნაწყვეტებად ვეცნობოდი ახალგაზრდა, უკვე ჩამოყალიბებული პოეტის ბეჟან ხარაიშვილის ლექსებს, ხოლო მოგვიანებით მის წიგნს – „ ხვედრი პოეტთა". რომელიც გამოსცა ჟურნალ „ათინათის" მთავარმა რედაქორტმა მწერალმა, ბეჟანის დამ გულნაზ ხარაიშვილმა. გულდასაწყვეტი ისაა, რომ აღმავლობის გზაზე მტკიცედ მდგარი ასეთი პერსპექტიულ ახალგაზრდა პოეტს საწყის ეტაპზე ტრაგიკულად კარგავს დედა-სამშობლო.

მე მქონდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო, თუ რა დიდი ზეიმითა და პატივგებით უწოდა სკოლის პედკოლექტივმა და სოფლის მოსახლეობამ ბეჟან ხარაიშვილის მშობლიურ ხვანის სკოლას მისი სახელი. ამ დიდი ღონისძიებას ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე. ამ ღონისძიების შემდეგ კიდევ უფრო უკვდავი გახდა ახალგაზრდა პოეტის ნათელი სახე.

გიორგი ლარიაშვილს თავისი ნიჭი, პატივისცემა, ოსტატობა და შრომა არ დაუკლია ბეჟანის ამ შესანიშნავი პოეტის ბიუსტის შექმნაზე, რითაც ერთხელ კიდევ გააცოცხლა მისი ლამაზი და ვაჟკაცური სახე.

მე, რა თქმა უნდა აქ ბეჟან ხარაიშვილის ლექსების განხილვას ვერ შევუდგები, მხოლოდ შემოვიფარგლები მასზედ მიძღვნილი ლექსებიდან შევარჩიო, ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი პოეტის ლამზირა შეყილაძის ალალ-მართალი ლექსი – „ჩვენი ქვეყნის გულმხურვალე მამულიშვილს, დიდ პოეტ აწ გარდაცვლილ ბეჟან ხარაიშვილს“:

„... შენი ლექსების თეთრ სიწმინდეში,
სამშობლოს ხსნის გზას ჟინით ეძებდი,
ოცდაათი წლის ყმაწვილობაში,
გენიოსობა როგორ შეძელი!
სამშობლოს გულში ისევ ანთიხარ,
ამაყად დადის შენი სახელი,
ჩვენი ტკივილი, ჩვენი დარდი ხარ,
ხატ-სალოცავი, წმინდა კანდელი.“

კასპის იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ეკლესია

გიორგი ლარიაშვილს, როგორც პროფესიონალ მოქანდაკეს ათ წელზე მეტია ვიცნობთ და პატივს მივაგებთ მის შემოქმედებას, რაც ამ მცირე მოცულობის წიგნში ნაწილობრივ დავაფიქსირეთ, მაგრამ მას როგორც პროფესიონალ მხატვარს ნაკლებად ვიცნობდით. ამ რამდენიმე ხნის წინ გავიგეთ, რომ ბატონი გიორგი კასპის რაიონულ ცენტრში ახალაგებულ იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ეკლესიის მოხატვას აწარმოებსო. ჩვენ ფაზისის აკადემიის მეგობრებს ძალიან დაგვაინტერესა მისმა განზრახვამ, ჭეშმარიტად ღვთიურმა შემართებამ და მას გოგი და მე ვეწვიეთ კასპში შემოქმედებითი მუშაობის დროს. მაშინ გიორგს მთელი დაგეგმილი სამუშაოს 30 % თუ ქონდა შესრულებული, მაგრამ ხელოვნების მოყვარული კაცისათვის სრულიად საკმარისი და გასაგები იყო მისი განსაკუთრებული ნიჭისა და საშემსრულებლო ხელოვნების მაღალი ოსტატობის სიღრმე. კედლებზე ფრესკების გამოსახვის განსაკუთრებული ხედვა, მაგრამ სულ სხვა ხიბლია, როცა ეკლესიის კედლები სრულიად მოიხატა და შეიქმნა ერთიანი სრულყოფილი ხედი. დამთვალიერებლები უდაოდ დიდ სულიერ ამაღლებას იგრძნობენ. უნდა ითქვას, რომ კედლებზე გამოსახული ფრესკები მთელი სიფაქიზითა და სინატიფით აღვსილნი, ამეტყველებულები გვიცქერდნენ. ამ სულიერ ამაღლებულ ნახატებს ჩვენ ერთი პატარა ლექსიც მიუძღვენით, აი მცირე ნაწილიც: „ეკლესიაში შესულებს, გადმოგვყურებდენ ფრესკები, გვეგონა აი საცაა, უნდა დატოვონ კედლები...“ ამით იმის თქმა გვსურს, რომ სალოცავად შესული მრევლი სულიერად ერწყმის თავის სალოცავებს, ღმერთს, ღვთისმშობელს, უკვდავ წმინდანებს, ანგელოზებს..., ესაა სალოცავებისა და მლოცველების სულიერი ერთიანობა, რაც უდაოდ აამაღლებს ადამიანს, რაც მხატვარ-ხელოვანის ღვთიური მადლითაა განპირობებული.

ბატონი გიორგი, რომ უნიჭიერესი ხელოვანი არის, ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, მაგრამ მისი შვილი ხატია და ხატიას მეუღლე არჩილ სარჯველაძე ეს სრულიად ახალგაზრდები, ამ დონის პროფესიონალური ხელოვანები ყოფილან ეს ჩვენთვის სიახლე იყო. ვიხილეთ მათი ხალასი ნიჭის ძალა, ახალგაზრდების უნაკლო საშემსრულებლო ხელოვნება. მადლობა ღმერთს, რომ ასეთი თაობა ეზრდება სამშობლოს.

გვინდა აქ ისევ გავიმეოროთ წინა თავში ბერძენი ორატორის ეპიკტეტის მსგავსად და მნახველებს მივმართოთ: „წადით ყველა, წადით კასპში, რათა იხილოთ გიორგისა და მისი შვილების მშვენიერი ქმნილება, არ დაუშვათ, რომ ვერ ნახოთ ასეთი დიდებული მოხატულობა.“

ცოცა რამ კონკრეტულად მოხატულობის შესახებ....

როცა ეკლესიის შიდა სივრცის მოხატვა-მორთულობა გულდასმით და დიდი შემართებით დავათვალიერეთ მივხვდით, რომ ხელოვანთა ჩანაფიქრი – ფრესკების მოხატვის სიმშვენიერე, მათი სტრატეგიული განთავსება, როგორც კედლებზე, ასევე მთლიანად ინტერიერში, შეიცავდა რაღაც სიახლეს, რაც მნახველთა ზემაღლებულ განცდებს იწვევს, იმ მიზნით, რომ უფრო ღრმად გავრკვეულიყავით ინტერიერის მორთვის სიფაქიზეში, მივმართეთ ჩვენს მეგობარს პროფესორ გიორგი ლარიაშვილს: მან გამოთქვა მადლიერება კასპელი პატრიოტისა და მეცენატის, მწერლისა და მრავალმხრივი შემოქმედის უშანგი ლარიაშვილის მიმართ, რომელმაც მისცა მას უფლება და ყოველმხრივ შეუწყო ხელი ახალნაგები ეკლესიის ინტერიერის მოხატვისათვის, და შემდეგ დასძინა – „ჩვენი შემოქმედება, როგორც მხატვრული სტილით, შემოქმედებითი ძიების სიღრმით დაფუძნებულია ძველი ქართული ფრესკის ეროვნულ ტრადიციებზე. იგი ამავე დროს ორგანულ კავშირშია პალეოლოგთა ეპოქის, ბიზანტიის, მაკედონიის, რუსეთის, სერბიის და სხვა სლავურ-მართლმამდიდებლურ ქვეყნების მოწინავე მიმართულებებთან. ჩვენ შევეცადეთ – ამბობს ბატონი გიორგი – კომპოზიციები უფრო დინამიური, სიმეტრიულად კარგად გაწონასწორებული და ჰაეროვანი ყოფილიყო, მვედრის პერსონაჟები ყოველდღიური სულიერი ემოციებით დატვირთული და ჰარმონიულად შერწყმული ერთმანეთთან“.

პროფესორ გიორგი ლარიაშვილის ამომწურავმა განმარტებებმა სიცხადე შეიტანა ეკლესიის შიდა სივრცის მოხატვა-მორთულობის არსში.

მალე მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი მიიღებს დიდ სულიერ ზეამაღლებულ საჩუქარს, რომლებსაც მიანიჭებს ეკლესიის ინტერიერში განხორციელებული ფრესკების სიმშვენიერე, რაც მხატვართა მაღალ ინტელექტუალურ ხელოვნების დონეზე მეტყველებს.

და ბოლოს ღვთიური კაცის უშანგი მოსიაშვილის შესახებ:

უშანგი მოსიაშვილს, ძირძველ კასპელს, რამდენიმე წელია ვიცნობთ ფაზისის და ქალდეას აკადემიებიდან. ბატონი უშანგი უდაოდ დიდი პატრიოტი და მეცენატი პიროვნებაა, ამასთან ერთად ეს გონებაგახსნილი ადამიანი შესანიშნავ მოთხრობებს და ლექსებს წერს და აქვეყნებს მრავლატირაჟიან წიგნებს. ყოველ ადგილობრივ თუ ჩამოსულ ადმიანებს აღაფრთოვანებს მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შექმნილი სამხატვრო გალერეა, რაზედაც ჩვენ გვსურს ცალკე დავწეროთ მცირე მოცულობის ბროშურა. ამ გალერეას ჩვენ ვუწოდეთ კასპის „ერმიტაჟი“.

გულიადა სანოძის ბუნეფისი

პოეტის დედას

ქალბატონ გულიადა სანოძეს

გაგა გომართელი

7 ივლისი, 2016

ალბათ ღმერთი ამშვიდებდა
შენ გულს მილეწ-მოლეწილს
როცა ქარის გახდი დედა
და გამზრდელი პოეტის

გახსოვს როგორ გიხაროდა
ქროლვა ქარბუქებისა
ბუნება რომ ზეიმობდა
შობას ფიქრთა მეფისას

ირღვეოდა მოზაიკა
სივრცე სუნთქვას კარგავდა
როცა ჩვილთან მუზა იდგა
როცა გვირგვინს ადგამდა

მასთან ერთად გაიარე
ხვედრის მძიმე სავალი
მარტოობა შეიყვარე
და სიმწარე მრავალი

როცა მუზა შოლტით გვემდა
და სიფხიზლე ემძიმა
ღამეებს რომ ათეთრებდა
მხოლოდ შენ არ გეძინა

ვერვინ იგრძნოს დედის გარდა
დარდის გულის წრიალი
შენ პოეტის დედა ხარ და
ხვედრის თანაზიარი.

ალბათ ღმერთი ამშვიდებდა
შენ გულს მილეწ-მოლეწილს,
როცა ქარის გახდი დედა
და გამზრდელი პოეტის...

პატივისცემით და სიყვარულით

გაგა გომართელი

მაია ფეიქრიშვილი

* * *

ხალხისგან ბოძებული ყველა ჯილდო სასიამოვნო და საამაყოა. ქალბატონ გულიადასათვის კი ყველაზე დიდი ჯილდო მისი შვილები... იაგო და ედუარდ უგულავები არიან.

იაგო უგულავა ხატმწერია. მის მიერ არაერთი ქართულიი ტაძარი იქნა მოხატული. განსაკუთრებული სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ იაგო არის შემოქმედი იმ ხატისა, რომელმაც სავანე დაიდო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ბერძენი არქიმანდრიტის კლავდიუსის დაკვეთით საქართველოში უნდა დაწერილიყო წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის ხატი. ხატის შექმნის იდეა მონაზონ ნინო თალაკვაძეს ეკუთვნის. ხატის შექმნა კი იაგოს მიანდვეს. ხატმწერის თქმით „ხატის შექმნის პროცესში სრულად იქნა გათვალისწინებული ჯვრის მონასტრის ინტერიერი და ფერთა გამა. შესაბამისად, ნაკლები ოქრო და მეტი სისადავე ამშვენებს წმინდანის ხატს“. ხატზე წმინდანებს სავედრებელი ლოცვა მხედრულადაა შესრულებული.

2016 წლის 14 მაისს, ხატის ჩაბრძანების აღსანიშნავად, ჯვრის მონასტერში წირვა ქართულ ენაზე წარიმართა. წირვა აღავლინა არქიმანდრიტმა სერფიმმა სვეტიცხოველის ვაჟთა გუნდთან ერთად.

წმინდა ხატმა ადგილი ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის მოპირადპირე სვეტზე დაიჭირა.

პოეტი **ედუარდ უგულავა** დაიბადა 1973 წელს, სოფელ გორდში. 1999 წელს დაამთავრა კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი, ლიტერატურის სპეციალობით. 2004 წელს კი დაასრულა მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის მაგისტრატურა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ასევე რედაქტორად: გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, „მერანი“. არის ხუთი პოეტური კრებულის ავტორი: „გულში შენ ხარ“, „ეს შენა ხარ – მომავალი ჩვენი“, „თუ გეყვარები“.

ედუარდ უგულავას ლექსები მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. პოეტური დანიშნულებაა ქართული სიტყვის სიმშვენიერე და სიმდიდრე ამოამზეუროს და ყველას გააცნოს. დიდი სიყვარულით ეფერება პოეტი იმ სიტყვებს, რომლებიც დედისადმი – გულიადა სანოძისადმი – აქვს მიძღვნილი:

დედაჩემო...

ვღონდები, ჩემზე დარდით და
ლოდინით დაღლილს გხედავ.
მე არა მიშავს, ნუ წუხხარ,
შენ... შენ როგორ ხარ, დედავ?!
ამბობ, გაფრინდნენ მერცხლები,
ჭკნება ყვავილი მინდვრის,
რომ შენც ბერდები, ცხოვრება
მიდის, თავის გზით მიდის.

მაინც გვირილის სუნი გაქვს
(მამას სუნი აქვს მაჭრის).
გეტყვი, ვიდრემდის სამარეს
ბედი ჩემთვისაც გაჭრის,
რაც მიწერია, რასაც ვწერ,
კიდევ რაც უნდა ვწერო,
შენი ცრემლები და ჩემი
სისხლია, დედაჩემო!

2009

ედუარდ უგულავას ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „ქეთევან დედოფალი“. იგი პირველად ნაკითხურ იქნა ქრისტიანული პოეზიის მეორე ფესტივალზე რომელიც სამების ტაძარში გაიმართა. ლექსი ფესტივალის გამარჯვებული გახდა, ხოლო ედუარდ უგულავა წმინდა ნინოს ღირსეული მატარებელი. პოეტმა დიდი დედა-დედოფლის სახება, მისი სიწმინდე, სიმტკიცე და შეუვალობა ნაზად მიაწოდა მკითხველს და იგი დააფიქრა ნარსულზე. პოეტმა კიდევ ერთხელ უთხრა საზოგადოებას, რომ უკვდავია ქართველი ერი, რომელსაც ჰყავს ასეთი წმინდანი, ქრისტესთვის თავდადებული და ნადედოფლარი:

„ ... ისმის – „მოჰყავთ“ და
სისხლისფერ ჯალათებს
იბერიის დედოფალი მოჰყავთ.
რწმენა მისი სხვა
სიმტკიცის ფასია,
მზერა მისი სხვა
სიმშვიდის არის...“

ლექსით პოეტმა შეგვახსენა, რომ არ არსებობს დავიწყებული გმირული წარსული, რომ იგი მუდამ ცოცხლობს ხალხის წიაღში:

„ლამის იქცეს ფერფლად.
ფრესკის სადარი,
სექტემბრის მზეს ოფლი
დასდის სიმწრის,
დედოფალი,
სანახევროდ დამდნარი,
ანთებული სანთელივით იწვის“.

ლექსი აღსავსეა პატრიოტული ლირიზმით.

ედუარდ უგულავას ლექსები გვასაზრდოებს რწმენით. იგი ნათელი მომავლისაკენ გვიხმობს, რომ ვემსახუროთ სიკეთეს, სიყვარულსა და სათნოებას.

მინდა პოეტს ვუსურვო, კიდევ უფრო მეტად გაშალოს ფრთები, ამღერდეს და ამზიანდეს. ახალი შედევრებით გაგვახაროს მისი მკითველები. ჩვენ კი, მისი მიწა-წყლის, მისი კუთხის შვილები სიამაყიტ აღვივსებით და ღვთიური მადლით დამშვენებულ პოეზიას კიდევ უფრო გატაცებით დავეწაფებით.

ხონის სახალხო თეატრის მსახიობს ქალბატონ გულიადა სანოძეს ახლახან „ქართული კულტურის ამაგდარის“ წოდება მიენიჭა, ვულოცავთ ამ დიდ და დამსახურებულ ჯილდოს!

სხვადასხვა პიროვნებების შეფასებები

ჰარმონიულად შერწყმული

ქართული თეატრის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ჯერ კიდევ ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალური დღესასწაულები შეიცავდა თეატრალური ხელოვნების ელემენტებს, ხოლო უფლისციხეში აღმოჩენილი ანტიკური პერიოდის სათეატრო ნაგებობა, თავისი სცენითა და მაყურებლისთვის განკუთვნილი ნაწილით, ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში კარგად იცნობდნენ თეატრალურ-სანახაობით კულტურას. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული თეატრი ჩაუდგა სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. რუსეთის იმპერიისგან დევნილი და აკრძალული ქართული ეროვნული დროშის გამოტანა ქართველებმა მხოლოდ თეატრის სცენაზე შეძლეს. „ქართული თეატრი ქართველთათვის ბევრის სიკეთის მომასწავლებელი“ — ბრძანებდა დიდი ილია ჭავჭავაძე.

თეატრის უდიდესი აღმზრდელობითი როლი აქვს დაკისრებული. მსახიობის გარადასახვასა და ოსტატობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დაგვაინტერესებს ამა თუ იმ გმირის ცხოვრებითა და საერთოდ, ეპოქის სულისკვეთებით.

ხონის სახალხო თეატრში მოღვაწეობს ქალბატონი გულიადა სანოძე. იგი ერთი გამორჩეული, მაყურებლის საყვარელი მსახიობი და დეკლამატორია. იმპროვიზაციის ნიჭი და სცენისაკენ სწრაფვა პატარაობიდანვე იზიდავდა მას. მას ჰქონდა საკუთარი ხედვა, მრწამსი, თეატრის განუზომელი სიყვარული. სკოლის მერხიდანვე ოცნებობდა მსახიობობაზე, გატაცებული იყო მხატვრული კითხვითა და თეატრით.

„ჩემი მეზობლები და თანატოლები გაიხსენებენ, სულ პატარა როგორ ვმსახიობობენ, სულ პატარა როგორ ვდგავარ ეზოში სპექტაკლებს. სცენას ბებიების ჭრელი თავშლებით ვაწყობდით. ალბათ სასაცილოები ვიყავით, მაგრამ მაშინ თავი დიდი მსახიობი მეგონა... მე ხომ ფანატიკურად მიყვარდა თამაში“. – იხსენებს მსახიობი. მართალია, თეატრალურ ინსტიტუტში ვერ მოხვდა, მაგრამ ბედის მადლობელია, რადგან ხონის სახალხო თეატრში აღიზარდა და ჩამოყალიბდა როგორც მსახიობი, გულიადა სასცენო ხელოვნებას, პლასტიკას, მეტყველების კულტურას დაეუფლა სიკო ვაჩნაძის, საშა ყვინჩიას, გიორგი რატიანის, თორნიკე მარჯანიშვილისა და სხვათა ხელმძღვანელობით.

გულიადას ჰობია ხელოვნება. მასში კარგი მოქალაქეობა, ორგანიზატორული ნიჭი, კომპეტენტურობა, სიახლის მაძიებლობა. იგი ქართული ლექსისა და მწერლების მიერ შექმნილი გმირთა სახეების სცენიდან მაყურებლამდე მიტანის და მათი აღფრთოვანების ოსტატია. მის მიერ წაკითხულ ლექსებს, თეატრალური გმირების განსახიერებას საყოველთაო აღიარება მოჰყვა. მსახიობი ცდილობს გმირის განსახიერებისას თქვას სიმართლე, დაამკვიდროს სამართლიანობა და მხატვრულად წარმოსახოს მეგობრობის კეთილშობილური ზრახვები, მას ოჯახმა, გარემომ ჩაუნერგა შრომის, წიგნისა და ადამიანის სიყვარული. გულიადა თავგამოდებით ზრუნავს, რომ ხელოვნებამ არა მარტო ასახოს, არამედ აღზარდოს კდიეც მოქალაქეობრივი თვისებების მქონე ადამიანი.



ქალბატონმა გულიადამ მთელი თავის შრომა და ღვაწლი მშობლიური ხონის თეატრს შელია. აქ შექმნა სახასიათო, დრამატული თუ ჰეროიკულ სახეთა მთელი თაობა. პირველი დებიუტი რეჟისორ მარკი ბახტაძის ხელმძღვანელობით შედგა პიესაში „თანამედროვე თემაზე“. ამ სპექტაკლში გულიადამ შეასრულა სოფლელი ქალის მაკრინეს როლი და მოწონებაც დაიმსახურა. 1971 წელს სიკო ვაჩნაძემ დადგა შალვა რადიანის პიესა „იდეა გაიმარჯვებს“. მასში გულიადამ ეპიზოდური როლი ითამაშა.

მსახიობ მერი ბარაბაძესთან ერთად გულიადამ შექმნა შესანიშნავი სახე ბრანდონ ტომასის პიესაში „მილიონერი დეიდა“, სადაც დამაჯერებელი ოსტატობით წარმოაჩინა გმირი და პლასტიკური მეტამოროზის კარგი უნარი გამოავლინა.

გულიადამ მთავარი როლი შეასრულა გურამ ბათიაშვილის პიესაში „ლალი, სიყვარული და სხვები“. მისი მსახიობური ნიღაბი იყო ემოციური, ცოცხალი, შთამბეჭდავი, ამ პიესას მოჰყვა მიტროფანოვის „მკვლელობა სადგურზე“ და აკაკი გეწაძის „დიადი მომავლისათვის“, სადაც გულიადამ გოგიას როლი შეასრულა. იგი იყო დაუდგრომელი, ანცი, რითაც ხაზი გაუსვა თავის სასცენო დახელოვნებას.

მარიკა ბარათაშვილის პიესაში „ფრთხილად, სასიკვდილოა“ გულიადამ 12 წლის გოგონა ითამაშა და თვით პიესის ავტორის ხოტბა და შექება დაიმსახურა. მსახიობის პლასტიკამ, გამართულმა მეტყველებამ დიდი ემოცია გამოიწვია მაყურებელში. ეს სპექტაკლი დაიდგა თბილისში, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში, რასაც დიდ წარმატება მოჰყვა.

გულიადამ ასევე წარმატებით ითამაშა სპექტაკლებში: – „ადამიანი დაბრუნდა“ (ავტორი ა. აბშილავა) ტარიელ ხაჟალიას მიერ დადგმულ პიესაში „ჩემი სიდედრი“, ნოდარ წულეისკირის - „მსხვერპლი“. მასში გულიადამ შეასრულა ნესტანის როლი და გამოხატა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გაჩაღებული ეროვნული მოძრაობისათვის დამახასიათებელი შეუდრეკელობა, ემოციურობა, მშობლიური ენისა და მამულისადმი უსაზღვრო სიყვარული. იგი მზად იყო თავიც კი გაეწირა ამ ღირებულებათა დასაცავად.

1987 წელს გულიადამ ითამაშა მურმან ფურცხვანიძის მიერ დადგმულ ჯოკომეტის პიესაში „დამნაშავის ოჯახი“. მისი როლი მგზნებარე სიყვარულის ფავორიტად გამოვიდა. მისი გმირი ჰგავდა შვილების დასაცავად ყალყზე შემდგარ ძუ ვეფხვს, როლის გარეგნული ელვარებას ზუსტად ეთანხმებოდა მსახიობის მიერ გამოძერწილ შინაგან სიმტკიცეს. იგი თითქოს მოუწოდებდა მამაკაცებს, დახმარებოდნენ ქალებს, დარაჯად დადგომოდნენ მათ.



გულიადასთვის ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი გამოდგა ვ. კანდელაკის პიესაში „მაია წყნეთელი“ მთავარი როლის შესრულება. პიესა დადგა საქართველოს სახალხო არტისტმა, რეჟისორმა გიორგი რატიანმა. სპექტაკლში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისშიც. პიესის წარმატებას გამოეხმაურნენ ცნობილი რეჟისორები და მსახიობები: გიგა ლორთქიფანიძე, გურამ საღარაძე, კოტე ნინიკაშვილი, ქეთევან კიკნაძე, რომელმაც გულიადა ელენე ყიფშიძეს შეადარა. არ მეგონა ელენე ყიფშიძის შემდეგ ყვავილებს თუ ვინმეს მივართმევდი, მაგრამ შენ ეს დაიმსახურე, – უთქვამს ქალბატონ გულიადასთვის.

სპექტაკლის რეჟისორი გიორგი რატიანი წერდა „გულიადა სანოძე მაიას როლში უბრწყინვალესი იყო. თავის შეუპოვრობითა და მოწოდებით ნამდვილი მაია გახლდათ. გულიადას მაია საქართველოს მასშტაბით შექმნილი მაიების ხუთეულში შედის არადა მაია წყნეთელს ქართულ სცენაზე თამაშობდნენ: ელენე ყიფშიძე, სალომე ყანჩელი, ბელა ჯაფარიძე, კინოში კი განუმეორებელი ლეილა აბაშიძე.“

გულიადას მაია იყო ქართველი ქალის ბრძოლისა და თავგანწირვის ნათელი ნიმუში. ქალი, რომელიც იბრძვის სიმართლისათვის, სამშობლისათვის. „ისაა სპექტაკლის მთავარი პერსონაჟი. მისი ჟესტი, მიმიკა დამაჯერებელი იყო. მისი პლასტიკა საოცრად ითვისებდა დრამატიზმს“ – წერდა ბატონი ავთანდილ ფაილოძე.

თეატრმცოდნე კ. ნინიკაშვილი წერდა, რომ „სპქტაკლის წარმატების საწინდარია მსახიობ გულიადა სანოძის მიერ განსახიერებული მაია წყნეთელის სცენური სახე. იგი უშუალოდ, ემოციურად წარმოადგენს სამშობლოს სიყვარულით გულანთებელ ხმალი რომ ააღებინა ხელში. მისი პათეტიკური ჟესტიკულაცია ზომიერია და სიყალბეში არ გადადის“.

2003 წლის შემოდგომაზე, ხონში, გამართულ ტრადიციულ იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე წარდგენილი იქნა გიორგი რატიანის „მაია წყნეთელი“. ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის გულიადა სანოძე ფესტივალის დიპლომით დაჯილდოვდა.

მსახიობ გულიადა სანოძისათვის ყველაზე გამორჩეული და სახასიათო როლი ყოფილა სპექტაკლში „ბიჭო, გოგია“ განსახიერებული როლი. „ჩემთვის ყველაზე ახლობელი რეჟისორ გიორგი რატიანის სპექტაკლში „მაია წყნეთელი“ შესრულებული როლია. მისი თამაში არასოდეს მომბეზრდება. ჩემი ახლობლები იცინიან ხოლმე: გულიადა 100 წლისაც რომ გახდეს, მაინც მათე ბიჭად დარჩებაო“ – ამბობს მსახიობი. ამ როლის შესრულებისას ქალბატონი გულიადა 53 წლისა იყო. ყველას გასაოცრად იგი სცენაზე ყირაზე გადადიოდა. „შპაგატში“ ჯდებოდა. ერთხელ სცენიდან მუხანათურად ჩამოვარდა, მაგრამ თამაში მაინც განაგრძო.

მსახიობი ყველა როლისთვის საგანგებოდ ემზადება. თვითონ არჩევს საჭირო კოსტიმსა და რეკვიზიტებს. მას არც გრიმიორი სჭირდება. მადლიერი მაყურებელი დიდად აფასებს მსახიობის შემოქმედებას. 2012 წლის ივლისში გამართულ თემურ ჩალაბაშვილის 60 წლის იუბილეზე ცნობილ ადამიანებთან ერთად გულიადა აირჩიეს „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ ეროვნული საზოგადოების საპატიო წევრად.

არ ყოფილა იოლი გულიადას ცხოვრება, არც იოლად დაუდგამს თავზე გვირგვინი. იგი 12 წელი ხონის ადგილობრივი რადიომაუწყელობის დიქტორი იყო. 20 წელი — საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი. ამავდროულად კი ქართული ლექსის შესანიშნავი დეკლამატორი გახლავთ. იგი არასოდეს წუწუნებს ყოველთვის იმედიანი და ენაწყლიანი სითბოსა და სიყვარულს თესავს ირგვლივ. გორდის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს უნერგავს ქართული ლექსისა და ხელოვნების სიყვარულს.

ინეზა კიკაბიძე, ჟურნალისტი

ხიხარული, რომელიც მინდა გაგიზიაროთ

მიილია კიდევ ერთი ვარდობისთვე, გულგახსნილი სილამაზე გაზაფხულის, სხვადასხვა ფერით, ჯიშით, სურნელით გაჯერებული ზეობა ცისა და მიწის – დღეს ასე ვინ წერს ან ვის სცალია ამისთვისო, – იტყვის ვიღაც და ჩააშტერდება ზიზღით, ბოღმით აფეთქებულ ფეისუქსა თუ მედიასივრცეს, ისევ ქუჩა, ქვასროლიობა! აცრემლებული ტიტები და გაშიშვლებული ჭრილობები მარტის... აპრილის... მართლაცდა, რა დროს გაზაფხულია. ეს ვინ არის?! სად როკავს და რას ზეიმობს ძმაზე ამხედრებული ბოროტი შემოთესლილი – ვაიმე, შვილო, სადამდის? – ოთხივ კუთხით ბორგავს შიში გადაჯიშების, ყოფნა-არყოფნის, ყალყზეა ყველა; ამ დროს – სიტყვა, ერთადერთი, დროზე ნათქვამი და... ბოდიში იხსნის ქვეყანას. ეს მერამდენედ! მადლობა უფალს, რომ გათენდა დღე ამაღლების, ოჯახის და სიწმინდის გადარჩენის. მწყემსმთავარი ლოცავს სამწყსოს და თანაგანცდას ერთობას. მერე, როცა შებინდდა და დაღლილმა დღემ მიიძინა, ვარსკვლავებმა გადაანათა ედემისდარი ეზო სამების, სიჩუმე კი გაარღვია ლექსმა, სიმღერამ, ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში აჟღერებულმა, იქ ვერც მაღალი რანგის სტუმრებს ნახავდით ვერც ე. წ. ცნობად სახეებს და ვერც მოთამაშე ტელეკამერებს, იქ მოკრძალებული საღამო შედგა, 17 მაისთან დაკავშირებული და ორი ოჯახი შეხვდა ერთმანეთს, ვარკეთილში, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან არსებული სკოლა „ივერიონის“ ფოლკლორული ჯგუფი მგალობლები, სასულიერო პირები, ტაძრის ქტიტორი და წინამძღვარი დეკანოზი იაკობ უშიკიშვილი თავისი მრევლის, ერთი დიდი ოჯახის სახელით მასპინძლობდა ხონის მაღალმთიანი გორდიდან მოწვეულ გულიადა სანოძისა და ჯამლეტ უგულავას ოჯახს, თბილისში მოღვაწე ორი სახელოვანი ვაჟკაცის, იაგო და ედუარდ უგულავების მშობლებს. ედუარდი პოეტია, ხუთი კრებულის ავტორი, გალაკტიონის პრემიის ლაურიატი. იაგო კი ხატმწერია. მამა იაკობის სულიერი შვილი. ტაძრის სამრეკლო მოხატა ვარკეთილში. სამების მთავარანგელოზის ეკლესიაშიც ნახავთ მის ნამუშევარს. ყველაზე დიდი საოცრება კი ისაა, იერუსალიმის წმინდა მიწაზე ორი ხონელი შეხვდა ერთმანეთს. გასულ საუკუნეში პოეტი აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე მეცნიერთა ჯგუფთან ერთად ქართველთა ჯვრის მონასტერში აღმოაჩენს შოთა რუსთაველის ფრესკას, დღეს კი მის გვერდითაა დაბრძანებული თამარ მეფე, იაგო უგულავას ხელნაწერი ხატი, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გაგზავნილი. როცა ამას იხსენებ და შვილებს უქებ მშობლებს, ვერსად ნახავთ მათზე მდიდარს და ბენდიერს. როცა ბავშვები მღერიან და პაწაწინა ჩოხოსნები შემოგცქერიან, უფლება არ გაქვს უღალატო უმანკოებას. ისინი კი, ვინც გზას ასცდა ოჯახის თუ ჩვენივ მიზეზით, იქნება ჯერაც არ არის გვიან, ვეცადოთ სავსე, ფრთაშესხმულივით იდგა ქალი, დედა, მსახიობი, ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდა, რომ სამების დიდ ტაძარში ლექსად დაიღვრებოდა, თემურ ჩალაბაშვილის სანთელივით დაიღვრებოდა, თემურ ჩალაბაშვილის სანთელივით დაიწვებოდა, თავისი ვაჟის პოეტურ ხოლვას, ქეთევანის წამებას წაგვიკითხავდა და შოთა ნიშნიანიძის შედევრს, თევდორე მღვდლის თავგანწირვას შეგახსენებდა. იდგა სიფრიფანა მსახიობი ქალი თავის მაია წყნეთელთან ერთად და თითქოს მის ხმლით კვეთდა სუთნქვაშეკრული დარბაზის სივრცეს. მისი ხმა ჟღერდა მაღალ რეგისტრში და ყოველ სიტყვას ამერ-იმერის გასაგონად წარმოთქვამდა – რომ ერთია ღმერთი ენა და სამშობლო, როგორც დედაა ერთადერთი და შეუცვლელი. და გალობდნენ მგალობლები, ფანდურზე ამღერებული ბავშვები. – გადავრჩებით? – ამ კითხვის დასმაც კი მკრეხელობაა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში – ამბობს მამა იაკობი, მრევლის დამპურებელი ღვთისკაცი, ღიმილითაც რომ იმედს ასხივებს. ამაყი ვიყავი და გულდაწყვეტილიც, რომ შემთხვევით მოვხვდი ამაღლება დღის საოცარ საღამოზე და ყვავილიც ვერ მივართვი ქალს, რომელმაც ძმათაომის დროს, უმძიმეს პირობებსი შვილების გზაზე დაყენებაც შეძლო და მატი სულის გადარჩენაც. ის საღამო სურპრიზი იყო გულიადა სანოძისთვის და ხონის სახალხო თეატრში მოღვაწეობის 50 წლის იუბილეც, 16 წლის გოგოსთვის ქრისტინე იყო პირველი როლიც და ნათლობაც. სამოციდან ორმოცდაათი მთავარი როლი ითამაშა. ღირსების ორდენი, საკავშირო ფესტივალის ორგზის ლაურიატობა და ოქორს მედალი მოსკოვსი. გამოსვლები საქველმოქმედო საღამოებზე, დიდი მსახიობების გვერდით დგომა და მათგან მაღალი შეფასებები – ეს ყვევლაფერი წარსულია, მაგრამ ნაწილი მისი ცხოვრების. და რა ხდება დღეს. ის ისევ დგას ხონის თეატრის სცე-

ნაზე, ხელმძღვანელობს ლიტერატურულ წრეს და ზრდის ბავშვებს ხონშიც და გორდშიც. მეუღლესთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობს სოფელში. იქიდან ეხიდება შვილებს და მათი წარმატებით ხარობს.

ვიდრე ქალია დედაბოძი და ოჯახი ჰგავს ოჯახს, ვიდრე არსებობს თანადგომა, თუნდაც ერთი ისეთი კაცის, როგორც ვახტანგ წივწივაძეა. უმადურობა ცოდვაა... და მადლობა ასეთ ადამინებს.

გადავარჩებით! რა თქმა უნდა, გადავრჩებით!

მურმან გელენიძე

გზა ტაძრისკენ....

გულიადა სანოძე
ხონის სახალხო თეატრის მსახიობი
დაბადების წელი 1950
1968 წლიდან მუშაობს ხონის სახალხო თეატრში.
შესრულებული აქვს 60-მდე დიდი თუ პატარა როლი.

2018 წლის 17 მაისს, სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში შედგა ხონის სახ. თეატრის მსახიობის, გულიადა სანოძის შემოქმედებითი საღამო. ღონისძიების მოწყობის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელია დეკანოზი იაკობ უშიკაშვილი (ვარკეთილის „ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი).

შემოქმედებითი საღამო ეძღვნებოდა ია ვაშაძეს.

სიტყვით გამოვიდნენ: გიორგი რატიანი – საქართველოს სახალხო არტისტი, თემურ ჩალაბაშვილი – პოეტი, მიხეილ ზაქარიაშვილი – კომპოზიტორ-შემსრულებელი, ჯუბა ღებელი – პოეტი, გაგა გომართელი – პოეტი, მაია მიქაია – პოეტი, მურმან გელენიძე – მხატვარი, ბელა ალანია – პოეტი, ედუარდ უგულავა – პოეტი; ბოლო შემაჯამებელი სიტყვით დამოვიდა დეკანოზ იაკობ უშიკაშვილი.

შემოქმედების საღამოზე პერიოდულად მონაწილეობდა – ვარკეთილის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის სკოლა-ტაძართან არსებულ „ივერიონის“ ფოლკლორული ჯგუფები – მგალობელთა გუნდები. ხელმძღვანელები: თინათინ ხუჭუა და ნანა ახმეტელი.

გულიადა სანოძის შემოქმედებითი საღამო ნამდვილ დღესასწაულად იქცა. დარბაზი გადაჭედილი იყო მაყურებლებით, დასაჯდომი ადგილები მთლიანად დაკავებული იყო. დანარჩენი დარბაზის ორივე ფრთა შევსებული იყო ფეხზე მდგომთა მიერ. მე მრავალი ღონისძიების მონაწილე ვიყავი სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, მაგრამ ამდენი მაყურებელი არასოდეს მინახავს, შეიძლება ეს შევადარო გაზაფხულის – მაისის, გულწრფელი ყვავილიობის დღესასწაულს. ქალბატონ გულიადას ყოველი გამოსვლა დამუხტული იყო საოცარი ამაღლებული ენერგიით. ის სანთელივით იწვოდა და თითოეულ მაყურებელს საოცრად აღაფრთოვანებდა. ეს იყო ნამდვილი ნოვაცია. უფლის ტაძარში თვით უზენაესის წყალობით უხილავი სული მისტიკურ გარდასახვაში წარმოაჩენდა ამაღლებულ, დიდ მსახიობს განცდებით, ბრწყინავლე შეუდარებელი ხმით. ჰარმონიული მოძრაობით – ზოგჯერ დინამიური, ზოგჯერ კი სტატური მონუმენტური დგომით. მან მაყურებლებში გააცოცხლა ჩვენი წინა თაობის ლეგენდარული მსახიობების ცეცხლოვანი როლის შესრულება (ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი, ლეილა აბაშიძე და სხვები). ყოველივე ეს ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. ეს ერთი მიმართულება – მსახიობის ნიჭის გამოვლენის-გარდასახვის უნარი და სხვა... რაც უკვე ავღნიშნე.

მეორე მიმართულება – ოჯახის ინსტიტუტი: მან გორდელებს და საქართველოს აღუზარდა ორი უნიჭიერესი ვაჟკაცი – ერთი ედუარდ უგულავა (ახალგაზრდა) პოეტი – გალაქტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურიატი და მეორე – შესანიშნავი ხატმწერი იაგო უგულავა, რომლის მიერ შესრულებული ფრესკებით მოხატულია მრავალი ეკლესია-მონასტერი – საქართველოში.

დედის როლი – შვილების აღზრდაში რა კარგად მიესადაგება პატრიარქის სიბრძნეს.

ამონარიდი ეპისტოლედან: „ცოდნის მიღება საჭიროა, უფრო მეტიც, აუცილებელია დედა განათლებული იყოს, მაგრამ ეს ცოდნა და განათლება, პირველ რიგში, თავის შვილებს უნდა მოახმაროს“ – (ილია მეორე).

ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მარტო შესანიშნავი მსახიობია – არამედ ღირსეული დედაცაა.

დიდ აღფრთოვანებას იწვევს ქალბატონ გულიადა სანოძის მიერ შესრულებული როლები და შემოქმედებითი „იერარქიის“ ნუსხაც: „მკვლელობა სადგურზე“, „ლალი“, „სიყვარული“ და სხვა...

„ადამიანები და ბილიკები“, „ქრისტე“, „ბიჭო გოგია“, „თოფი და სიყვარული“, „დამნაშავის ოჯახი“, „ფრთხილად სასიკვდილოა“, „მე, ცოლი და სიდედრი“, „მსხვერპლი“, „იდეა გაიმარჯვებს“, „შეწყვეტილი დიალოგი“, „სამიდან ექვსამდე“, „რომეო და ჯულიეტა“, „მაია წყნეთელი“ და სხვა...

სცენა სპექტაკლიდან „ქრისტინე“

1983 წელს დაჯილდოვდა რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების საპატიო სიგელით.

1985 წ. გახდა საკავშირო ფესტივალის ლაურიატი.

1987 წ. მიენიჭა რესპუბლიკური დათვალიერების ოლიმპიადის ლაურეატის წოდება.

1987 წ. საკავშირო ფესტივალზე დაჯილდოვდა და გახდა ოქროს მედლის მფლობელი.

2003 წ. „თეატრალური იმერეთი“, „მაია წყნეთელის“ ქალის მთავარი როლის შესრულებისათვის დაჯილდოვდა და საქართველოს მასშტაბით „მაიას“ როლის საუკეთესო შემსრულებელთა სამეულში მოხვდა. ხონის სახალხო თეატრში, საქართველოს სახალხო არტისტმა, გიორგი რატიანმა ოთხი პიესა დადგა – „ყვარყვარე თუთაბერი“, „რომეო და ჯულიეტა“, „მე, ცოლი და სიდედრი“ და „მაია წყნეთელი“. სერიოზული მთავარი როლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქ-ნ გულიადას წარმატებებში, პროფესიონალ მსხიობად ჩამოყალიბებაში, უდიდესი როლი მიუძღვის საქართველოს სახალხო არტისტს ბატონ გიორგი რატიანს, მარკი ბახტაძეს.



გიორგი რატიანი

მარკი ბახტაძე

2001 წელს დაჯილდოვდა „ღირსების მედლით“.

2016 წელს დაჯილდოვდა და გახდა „ღირსების ორდენის კავალერი“.

ასევე პარალელურად ორი ათეული წელი იმუშავა რადიოს დიქტორად, სახელმწიფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად.

2016 წელს სოფელ გორდში ჩამოაყალიბა ლიტერატურისა და ხელოვნების სალონი.

ამჟამად ხონის სახ. თეატრში ლიტერატურის წრის ხელმძღვანელია.

ქალბატონ გულიადას შესაძლებლობები – მისი საოცარი ენერგია, კომუნიკაბელურობა, მუდამ მომღიმარი – გასხივოსნებული სახე, ადამიანთა სიყვარული, ერის ღირსების დაცვა, ჭეშმარიტი მამულიშვილობა, კარგი შვილების აღზრდა, საოცარი არტისტიზმი – გარდასახვის უნარი, რაც ბევრ მსახიობს არ აქვს და რაც მთავარია, ღვთივბოძებული ნიჭი! აი, მისი უპირველესი სავიზიტო ბარათი.

მაშ გზა დაულოცოთ ქალბატონ გულიადას და ვუსურვოთ მრავალი შემოქმედებითი გამარჯვება – ჩვენი ერის! საქართველოს! სადიდებლად!

ვულოცავთ!

ქ-ნ გულიადა სანოძეს ვულოცავთ საქართველოს მწერალთა კავშირის წოდებას „კულტურის ამაგდარი“, რომელიც ამ დღეებში მიენიჭა მსახიობს, რომელმაც 50 წელი გაატარა სცენაზე. დედას – ორი ჭეშმარიტი მამულიშვილის – პოეტისა და ხატმწერის აღმზრდელს, მეუღლეს, მეგობარს, მრავალი ღირსებით შემკულ ჭეშმარიტ ქართველ ქალბატონს, რომელსაც ამ დღეებში შესანიშნავი საღამო-შეხვედრა მოუწყვეს სამების ტაძარში და, რომელიც მიეძღვნა 17 მაისს – ოჯახის სიწმინდის დღეს.

მართლაც, გულიადა სანოძისა და ჯამლეტ უგულავას ოჯახი გამორჩეულია ყოველმხრივ. ბედნიერია დედა, რომელიც კითხულობს ერთი შვილის ლექსებს, ლოცულობს მეორე შვილის მიერ მოხატულ ტაძარში და ამაყია შვილები, რომელთაც ჰყავს ასეთი სახელოვანი, საამაყო დედა, მშობლები....

გაზეთ „ხონის“ რედაქცია

სცენის დედოფალს, გულიადა სანოძეს

ბუნებამ დაგაჯილდოვა
არა რა დაინანაო,
სცენის ეშხით და ლაზათით
მოგქარგ-შეგამკო მრავლადო.
დგახარ სცენაზე ქალ-ღმერთი,
მომნუსხე სულს ეამაო,
ველარ დავმალე ცრემლები
ჩუმჩუმად მომეძალაო.
გავითავისე ხელოვნის,
შემოქმედების ძალაო,
აღმასვლა ზეცად ციალი
ტაძარში დამებადაო.

აქ აბიბინდა ქართველის,
სისხლით მორწყული ყანაო,
მსხვერპლად შეწირეთ დიდება,
ზეცას წვდებოდა თანაო.
ახალგაზრდობის დამოძღვრით,
დარბაზმა შეგიყვარაო,
ცეცხლი დაანთე ისეთი,
ვინ შეგკადრებდა კმარაო...
ბედნიერია ის ერი
ვინაც კელაპტრად აგანთო,
გელვაწოს მრავალი წელი
სცენის ეშხო და ლაზათო.

ნაზიბროლა გახოკიძე-ჩიხლაძე

ჯუმბერ ლეკვას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია და ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია ულოცავს გულიასა სანოძეს ამ დიდ აღიარებებს და უსურვებს დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს.

მედიცინა

ავთანდილ კურდღელაძე
ფერია კურდღელაძე

ადამიანთა დაავადებები და მისი ფიტოთერაპია

ოფი – ქართულში თეთრ ნერგს ეძახიან, ქვემო იმერეთში – სკვილენჯის, სპილენძის, აჭარაში – ყავაღის.

ოფი საკმაოდ მაღალი, 20-30 მ-მდე ხეა, ქერქი ნაცრისფერი აქვს, ფოთლები მომრგვალებული, სამკუთხედი ან რომბული, ბოლო წვეტიანი, კიდეები ხერხისებურადაა დაკბილული. ქვემოდან ბაცია, ზემოდან მუქი მწვანე, ყვავილობს მარტ-აპრილში შეფოთვლამდე, დამტვერიანება ხდება ქარის საშუალებით. თესლი მაის-ივნისში მწიფდება, მრავლდება ფესვამონაყარით და თესლით, საკმაოდ სწრაფად იზრდება. გავრცელებულია მდინარისპირა ჭალებში. გვხვდება მთიან ადგილებშიც ზღვის დონიდან 1600 მ-მდე. სინათლის მოყვარული და ყინვაგამძლეა.

სამკურნალოდ გამოიყენება ოფის კვირტები, რომელიც უნდა შეგროვდეს ყვავილობის დაწყებამდე აღმავალი მთვარის დროს.

მცენარე ტანინების შემცველია.

ტრადიციული მედიცინა სამკურნალოდ იყენებს რევმატიზმის, პოლიართრიტის, ნიკრისის ქარის საწინააღმდეგოდ და სიცხის დამწევად. კვირტებს აქვს ანტისეპტიკური და სპაზმოლიტური თვისება, ხსნის ნერვული სტრესით გამოწვეულ კუჭ-ნაწლავის ტკივილს, გულძმარვას. ეფექტურია ბრონქიალური ასთმის შემთხვევაში და როგორც ამოსახველებელი საშუალება.

დამზადების წესი: ორი ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ მშრალ კვირტებს ასხამენ 1,5 ჭიქა მდუღარე წყალს, აჩერებენ 15 წუთს და წურავენ 3 ფენა მარლაში.

მიღება: ერთი დღე-ღამის განმავლობაში მცირე რაოდენობით.

გარეგანად გამოიყენება მალამოს სახით.

უკუჩვენება: ცნობილი არ არის.

ოშოშა – კახეთში ოშოშოს ეძახიან, იმერეთში – ოშოშუას, ლეჩხუმში – ვოშოშეს, გურიაში – ოშმეშას, საინგილოში – ჟინჟირალაის, სამეგრელოში – ოშოშიას.

ვითარდება ღობის ძირებში, ტყის პირებში, უყვარს ნესტიანი ადგილი, გავრცელებულია მთელ საქართველოში.

მცენარე შეიცავს ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ქოლინს, წებოს, მწარე ნივთიერებებს, ღვინის მჟავას.

ოშოშას ნახარშით და ნაყენითაც იკურნება მოტეხილობა, ნაღრძობი, სიმსივნეები, გაბინძურებულ წყლებსაც კი ასუფთავებენ ნახარშის ან ნაყენის ჩაწვეთებით.

პიტნა – სამეგრელოში პიტინეს, სვანები მინთოორს ეძახიან.

მრავალწლიანი, ძირიდანვე დატოტვილღეროიანი ფესურიანი მცენარეა. საქართველოში გვხვდება კულტივირებული და ველური სახის ფორმები.

სამკურნალოდ გამოყენებისას ტრადიციული მედიცინა პიტნის სახეობებს ყურადღებას არ აქცევს. თუმცა ველურ სახეობას უფრო მეტ უპირატესობას აძლევენ (ორსულ ქალებს არ ურჩევენ).

ჩვენი აქცენტი უფრო ბაღის პიტნაზეა გადატანილი. გამოიყენება მიწისზედა ნაწილი.

მისი შეგროვება ხდება ყოველთვის, როცა ამონაყარი გააქტიურებულია აღმავალი მთვარის ფაზაში.

მცენარე შეიცავს ეთერზეთებს, მენთოლს, იზოვალერიანს და ძმარმჟავას ეთერებს, მიკროელემენტებს – სპილენძს, მაგნიუმს და სხვა.

ტრადიციული მედიცინა სამკურნალოდ იყენებს – უძილობის, ზემო სასუნთქი გზების ანთების, სტენოკარდიის, ნაღვლის ბუშტის ანთების, პირში ცუდი სუნის დროს.

დამზადების წესი: 2 სუფრის კოვზ მშრალად დაქუცმაცებულ ნედლეულს ასხამენ 1 ჭიქა ოთახის ტემპერატურის ანადუღარ წყალს.

მიღება: 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში თბილი სახით 15 წუთით ადრე ჭამამდე.

უკუჩვენება: არტერიული ჰიპოტენეზია.

მისი ხშირად მიღება მაღალ დოზებში არ შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში იწვევს ტკივილს გულის არეში.

ჟოლო – ფშავში ჟოლის ეძახიან, მთიულები – მჟვალის, მოხევეები – ქუბის, ხევსურები – ღვაფის, თუშები – ღვაფას, ზემო რაჭაში – ჟოლას, ინგილოები – ქურაის. სულხან-საბა სოფად მოიხსენიებს. ჭანები – დაძი კანდღუს, მეგრელები – იმღვას, ბაღიშ მუყის, სვანები ინღას უწოდებენ.

ჟოლო 1,5 მ სიმაღლის ნახევრად ბუჩქია. ერთწლიანი ვეგეტატიური ყლორტები ბალახოვანია, ხოლო ორწლიანი გამერქნებული გენერაციული (ნაყოფის მომცემი), რომელიც ნაყოფის მსხმოიარობის შემდეგ ხმება. ტოტებზე განლაგებულია ხშირი და რბილი ეკლები. ყვავილობს ივნისში ხან ივლისში, დამოკიდებულია რა სიმაღლეზეა ზღვის დონიდან. ყვავილობის შემდეგ ნაყოფი მწიფდება 35-40 დღეში, ფერით წითელია, იშვიათად ყვითელი, მეტად გემრიელი და სურნელოვანია. გავრცელებულია ზღვის დონიდან 2500 მ სიმაღლეზე, უყვარს ნახანძრალი ადგილები, ტყის პირები, ნესტიანი ადგილები, თუმცა დაჭაობებულ ადგილს ვერ იტანს.

სამკურნალოდ იყენებენ ნაყოფს და ფოთოლს.

ნაყოფი უნდა შეგროვდეს მომწიფების პერიოდში სავსე მთვარის ფაზაში. ფოთლის შეგროვება ხდება აღმავალი მთვარის ფაზაში.

მცენარე შეიცავს შაქარს (გლუკოზა, საქაროზა და სხვა) ლიმონის, ვაშლის, სალიცილის მჟავებს, C, B_2, B_6 ვიტამინებს და ეთერზეთებს, კალიუმის, სპილენძის, რკინის მარილებს და სხვა.

ტრადიციული მედიცინა სამკურნალოდ იყენებს სისხლანკებობის, გაციების, პნევმონიის, პირღებინების, ათეროსკლეროზის, ქრონიკული რევმატიზმის, შაქრიანი დიაბეტის, ბრონქიალური ასთმის და სხვა დროს.

დამზადების წესი: 1 სუფრის კოვზ მშრალად დაქუცმაცებულ ნედლეულს ასხამენ 1 ჭიქა ოთახის ტემპერატურის ანადუღარ წყალს.

მიღება: 1/3 ჭიქა 4-5-ჯერ დღეში.

უკუჩვენება: ვისაც პოდაგრა ან ნეფრიტი აქვს, არ ურჩევენ.

სალათა – სულხან-საბა ორბელიანი მოიხსენიებს ყრდელის სახელწოდებით.

ერთწლიანი კულტივირებული მცენარეა, გარეული სახით არ გვხვდება. მისი ფოთლები ფესვის ყელიდან ბუჩქადაა ამოსული. მისი სამშობლო ბრაზილიაა.

სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლები, მისი შეგროვება ხდება სავსე მთვარის დროს.

სალათის ფოთლები შეიცავს შაქრებს 4%-მდე, ცილებს, ვიტამინებს: B_1, B_2, B_6, F, PP, K, C, P, E, A და ასკორბინის მჟავას, კალიუმის, კალციუმის, რკინის, ფოსფორის მარილებს.

მედიცინაში გამოიყენება ავიტამინოზის, შაქრიანი დიაბეტის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადების, უძილობის, პოლიომელიტის, ქრონიკული გასტრიტის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს.

დამზადების წესი: 1 სუფრის კოვზ ახალდაქუცმაცებულ ფოთლებს ასხამენ 1 ჭიქა მდუღარე წყალს და აცდიან გაცივებამდე, შემდეგ წურავენ 3 ფენა მალაში.

მიღება: 1/3 ჭიქა დღეში 2-ჯერ ჭამის წინ 20 წუთით ადრე.

უკუჩვენება: არ გააჩნია.

სალბი – მწავალწლიანი ნახევრად ბუჩქია 30-80 სმ სიმაღლემდე. საქართველოში კულტივირებულია.

სამკურნალოდ გამოიყენება ფოთოლი. ფოთოლს აგროვებენ ივნისიდან ოქტომბრამდე აღმავალი მთვარის ფაზაში.

შეიცავს ეთერზეთებს, ფლავონოიდებს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინ P, PP-ს, ალკალოიდებს, ფიტონციდებს, მთრიმლავ და სხვა ნივთიერებებს.

ტრადიციული მედიცინა სამკურნალოდ იყენებს ცხვირ-ხახის ანთებითი დაავადების, სტომატიტის და სასუნთქი გზების კატარის, სეკრეტორული ფუნქციის დაქვეითების, დაჩირქებული წყლულების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების, გაზების დაგროვების დროს.

ნახარშს ამზადებენ ასე: 2/ს კოვზ მშრალად დაქუცმაცებულ ნედლეულს ასხამენ 1 ჭიქა ოთახის ტემპერატურის ანადუღარ წყალს.

მიღება: 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

უკუჩვენება: ორსულობა, ნეფრიტი ხანგრძლივად მიღება არ შეიძლება.

სელიჭა – კახეთში ნისკარტის ეძახიან.

სელიჭა მრავალწლიანი მცენარეა, იზრდება 90 სმ-მდე.

ყვავილები ყვითელი ფერისაა, აღმამდგომი, კენწეროში მჭიდრო მტევნებშია შეკრებილი. ყვავილობს ივნისიდან სექტემბრამდე. იზრდება მთის შუა სარტყელამდე, მთის ტყიან ზონაში, როგორც სარეველა და რუდელარული მცენარე მდელობსა და მინდვრებზე, ტყისპირებში, გზებისა და ბილიკების პირას, საქართველოს ყველა რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ მას გავრცელების ფართო არეალი აქვს, მარაგი მაინც მეტად მცირეა.

გამოიყენება მიწისზედა ნაწილი. მისი შეგროვება ხდება აღმავალი მთვარის დროს ყვავილობის პერიოდში.

სელიჭას ღერო და ფოთლები შეიცავს ალკალოიდ პეგანინს, ფიტოსტერინს, ასკორბინის მჟავას, კაროტინსა და ორგანულ მჟავებს.

ტრადიციული მედიცინა იყენებს როგორც საფაღარათო და შარდმდენ საშუალებას.

მომზადების წესი: 2 ს/კოვზ მშრალად დაქუცმაცებულ ბალახს ასხამენ 1 ჭიქა მდუღარე წყალს, დგამენ 10-15 წუთს, წურავენ, უმატებენ შაქარს გემოვნების მიხედვით.

მიღება: 1 სუფრის კოვზი 2 საათში ერთხელ.

მცენარე შხამიანია და მოითხოვს სიფრთხილეს.

სვია – ზემო იმერეთში ფშალას ეძახიან, გურიაში – ფშალოს, აჭარაში – შრალაის, ჭანები – ბარდი ბინეხის, სამეგრელოში – მაფშალიას, სვანები – ფშალაის, სვიჯს, მესხები – გარმაშოს.

მრავალწლიანი მხვიარა მცენარეა. ორსახლიანი, ე.ი. მდედრობითი და მამრობითი, მცენარეები ცალ-ცალკე იზრდება, ღერო წახნაგოვან-ხაოიანია, მისი ფოთლებიც საკმაოდ ხაოიანია, ყვავილობს ივნის-ივლისში. იზრდება ტყეებში, ტყიან ხევებში, ტყის ნაკადულებისა და მდინარის ნაპირებზე.

სამკურნალოდ გამოიყენება გირჩა და ფოთოლი.

გირჩა გროვდება სავსე მთვარის ფაზაში.

ფოთოლი იკრიფება აღმავალი მთვარის ფაზაში.

გირჩები შეიცავს ფისებს, ეთერზეთებს, მწარე ნივთიერებებს, ვიტამინ B_1-ს, ალკალოიდებს და სხვა.

ტრადიციული მედიცინა სამკურნალოდ იყენებს კლიმაქსის, ნევროზების, უძილობის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, გასტრიტის, კანისა და ფილტვის ტუბერკულიოზის, თირკმელისა და საშარდე გზების ანთებითი პროცესების, თმის ცვენის დროს.

მომზადების წესი: 2 ს/კოვზ მშრალად დაქუცმაცებულ გირჩას ასხამენ 0,5 ლ მდუღარე წყალს, აჩერებენ 2 საათს და წურავენ.

მიღება: 1/2 ჭიქა 4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

უკუჩვენება: მცენარე შხამიანია, დიდი დოზებით მიღება არ შეიძლება.

სვინტრი – თუშეთში დათვთჟოლაის ეძახიან, სამეგრელოში – მარიალეს, სვანეთში – ქისლადს.



მრავალწლიანი ერთღეროიანი მცენარეა, იზრდება 20-40 სმ სიმაღლის, ღეროზე კვერცხისებური ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, ამიტომ ფოთლები სიმძიმის გამო მიწისკენაა გადახრილი. ქვემოდან მთელი ღეროს სიგრძეზე ჩამოკიდებულ თეთრ ყვავილებს ივითარებს, ყვავილობს, მაის-ივნისში. გავრცელებულია დაფერდებულ მეჩხერ ტყეებში, აკაციებში და სხვაგან.

სამკურნალოდ გამოიყენება ფესვი, შეიცავს ალკალოიდებს, შეგროვება ხდება დაღმავალი მთვარის ფაზაში.

ტრადიციული მედიცინა იყენებს გარეგანად ნაღრძობის, რევმატიზმის, რადიკულიტის, ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, ბუასილის დროს.

ნახარშს ასე ამზადებენ: 50 გრ ნედლ ფესვებს (შეიძლება გამშრალიც, თუმცა ნედლი ფესვების მსგავსი ეფექტი არ ექნება) ასხამენ 0,5 ლ წყალს, ადუღებენ, აცივებენ, წურავენ.

გამოიყენება საფენების სახით.

სტაფილო – ინგილოები აბაჟურს ეძახიან, მეგრელები – სტამფილოს.

ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბოსტნეული კულტურა. საქართველოში გარეული სახით გვხვდება, ევროპაში, აზიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში საკმაოდ ბევრია.

სამკურნალოდ გამოიყენება ძირები თესვიდან პირველ წელს. მას მიწიდან იღებენ გვიან შემოდგომაზე დაღმავალ მთვარის ფაზაში.

მცენარე შეიცავს ვიტამინებს – C, K, PP, A, B_2, B_6-ს, ორგანულ მჟავებს, ფიტონციდებს, ცხიმოვან და ეთეროვან ზეთებს, კუმარინებს, სახამებელს, კალიუმს, კალციუმის, მაგნიუმი, სპილენძისა და ბარიუმის მარილებს.

ტრადიციული მედიცინა სამკურნალოდ იყენებს ავიტამინოზის, სისხლნაკლებობის, გულ-სისხლძარღვთა დაავადების, შეკრულობის, ჰემორიის, შარდკენჭოვანი დაავადების, ასკარიდების, გაცივების დროს.

მიღება: პირდაპირ საჭმელად სუფთად გარეცხილი უმი სახით. შეიძლება მისი გამოწურული წვენის მიღება და კერძებში შერევა.

უკუჩვენება: წყლულოვანი დაავადების გამწვავება, ენტერიტების, დროს, დიდმა დოზამ ბავშვებში შეიძლება გამოიწვიოს კაროტინული სიყვითლე, კანის შეფერილობა ყვითლად.

ტირიფი – ქართლში ნერგს ეძახიან, კახეთში – წნორს, ჯავახეთში – ტილიფს, მესხეთში – ძეწნის, ჭანები – სოუთის, მეგრელები – ზინჭონის, ძერწის, სვანები – გუნწვიშს, ჩიჯინს.

საკმაოდ დიდი ხეა. მისი სიმაღლე 25-30 მეტრამდე არწევს. ფოთლები ზედა მხრიდან პრიალაა, ქვემოდან ნაცრისფერი, ბუსუსიანი, მოკლეყუნწიანია, ბოლო წვეტიანი, ლანცეტაა. ყვავილობს აპრილ-მაისში ფოთლის გაშლასთან ერთად, ადრე მოყვავილეა.

ძალიან ადვილად შეიძლება მისი ვეგეტატიურად გამრავლება, უყვარს ტენიანი ადგილები.

სამკურნალოდ გამოიყენება ქერქი.

უნდა შეგროვდეს აღმავალი მთვარის ფაზაში.

მცენარე შეიცავს ფისოვან ნივთიერებებს, ცხიმოვან ზეთებს, ვიტამინ C-ს.

ტრადიციული მედიცინა იყენებს მალარიის, გაცივების, ტუბერკულიოზის, პლევრიტის, მოწამვლის, სიყვითლის, თავის ტკივილის, რევმატიზმის დროს.

წამალს ამზადებენ ასეთნაირად: 3 სუფრის კოვზ მშრალად დაქუცმაცებულ ქერქს ასხამენ 1 ჭიქა ოთახის ტემპერატურის ანადუღარ წყალს.

მიღება: 1 სუფრის კოვზი 4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

უკუჩვენება: უცნობია.

ტუხტი – მესხეთ-ჯავახეთში თუხტს ეძახიან, ლეჩხუმში – დუხტს, რაჭაში – ვირიმოლოქას, აჭარაში – ფოხვერს.

ტუხტი მრავალწლიანი, ბალახოვანი, 1-1,5 მ სიმაღლის მცენარეა. მთლიანი მცენარე მონაცრისფროა და ხშირი, წვრილი ბუსუსებითაა დაფარული. საშუალო ზომის წითელი ფერის ყუნწიანი ყვავილები თავმოყრილია ღეროს წვერში, ხშირ, თავთავისებურ ყვავილედში.

ტუხტი უფრო ხშირად გვხვდება ნესტიან ადგილებზე, ტბებისა და მდინარეების ნაპირებზე, დაბლობ და ვაკე ადგილებშიც. ყვავილობს ივლის-აგვისტოში, ხარობს მთელ საქართველოში.

სამკურნალოდ გამოიყენება ტუხტის ფესვი, იშვიათად ფოთოლი და ყვავილი, ფესვი უნდა შეგროვდეს გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე, დაღმავალი მთვარის ფაზაში.

მცენარე შეიცავს ნახშირწყლებს, გლუკოზას, სახამებელს, ცხიმოვან ზეთებს, ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს და დიდი რაოდენობით ლაბის.

ტრადიციული მედიცინა სამკურნალოდ იყენებს: ზემო სასუნთქი გზების ანთების, მწვავე გასტრიტის, ენტერო, კოლიტის, ფაღარათის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, პირის ღრუში წყლულების დროს.

ნახარშს ამზადებენ ასე: 2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ნედლეულს ასხამენ 1 ჭიქა ცხელ წყალს, ადუღებენ ნელ ცეცხლზე 3 წუთს, აგრილებენ და წურავენ თბილს.

მიღება: 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამის დროს ცხელი სახით.

ან 20 გრამ მშრალ და დაქუცმაცებულ ფესვებს ასხამენ 1 ჭიქა ცივ წყალს, დგამენ 8-10 საათს, წურავენ.

მიღება: 2 სუფრის კოვზი 5-ჯერ დღეში.

უკუჩვენება: უცნობია.

ფარსმანდუკი – ქართლში, კახეთში, ფშავში მელიკუდას ეძახიან, ქიზიყში – თავყვითელას, ხევსურეთში – ციცასკუდას, მთიულეთში – მელაგუნდას, მოხევეები – მკერვალას, საჭრელას, თუშები – წყლულის ბალახს, მესხეთში, ჯავახეთში, აჭარაში – ყვავისკუდას, რაჭაში, იმერეთში – კრავიკუდას, ლეჩხუმში – თაგვიკუდას, ინგილოები – წყილი ბალახს, სვანები – მუღმურილს.

ფარსმანდუკი 120 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომ ღეროიანი მრავალწლიანი მცენარეა, ღეროს ქვედა ნაწილში, განლაგებული ფოთლები ყუნწიანია, კენწეროს მიმართულებით ფოთოლის სიდიდე თანდათან მცირდება. ყვავილები ფოთოლის იღლიებიდან ამოსულ ტოტების ბოლოებზე ფარისებრ ყავილებადაა შეკრებილი. ყვავილობს ივნისიდან ოქტომბრამდე. ნაყოფი მომწიფებას იწყებს სექტემბრიდან. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად.

სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი და ყვავილი.

მისი შეგროვება ხდება ყვავილობის პერიოდში აღმავალი და სავსე მთვარის ფაზაში.

მცენარე შეიცავს პოლისაქარიდებს, C, K ვიტამინებს, კარიტონს, ეთერზეთებს, მთრიმლავ და მწარე ნივთიერებებს, ქაფურს, მინერალურ მარილებსა და სხვა.

ტრადიციული მედიცინა სამკურნალოდ იყენებს მეტეორიზმის, დაბალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ჰიპერტონიული დაავადების, მენსტრუაციის დარღვევის, ჭრილობების, დიათეზის, ეგზემების, ბრონქიალური ასთმის დროს.

დამზადების წესი: 2 სუფრის კოვზ მშრალად დაქუცმაცებულ ნედლეულს ასხამენ 1 ჭიქა ოთახის ტემპერატურის ანადუღარ წყალს.

მიღება: 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში 30 წუთით ადრე ჭამამდე.

უკუჩვენება: ორსულობა.

შენახვის ვადა 5 წელი.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

ოჯახი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-6 ტომებსა და
ჟურნალ „ათინათის“ №№22-28-ში

1. ის თუ რატომ ხდება მამაკაცის მიერ ქალზე (დედაკაცზე) მიჯაჭვა, ქალისადმი არაეთიკური ინტერესების გაღვივება. საკუთარი ინდივიდუალური სულის დაზიანების ხარჯზე ამ გაღვივებული ინტერესების დაკმაყოფილება საბოლოო ჯამში ქალის (დედა კაცის) საკუთარი ინდივიდუალური სხეულისთვის კერპად, მიზნად, „ღმერთად“ გადაქცევით.

ეს კი ხდება იმიტომ, რომ მამაკაცმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ მამა ღმერთის მიმბაძველმა) მამა ღმერთის ჯეროვნად დაფასება ვერ შეძლო (недооценил) და საკუთარი ინდივიდუალური სულის მნიშვნელოვნებით (საკუთარი სიჭკვიანის დემონსტრირების სურვილით) დაავადდა, რის გამოც თვითრეალიზაციის დაუოკებელი სურვილით შეიპყრობა. ხოლო სულიწმიდის (დედა ღმერთის) ზედმეტად გადაფასება (переоценил) მოახდინა და საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მნიშვნელობის იგნორირებით (საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მიერ საკეთებლისგან განზე განდგომით, ამის ვინმეს მხრებზე გადადების მცდელობით) ფანატიზმით დაავადდება, რის გამოც ჰარმონიზირება ავტომატურად წყდება და უკვე მიღწეულში კი გართობის (დროის მოკვლის), განცხრომის ანუ ვნების (ავხორცობის) სურვილით შეიპყრობა, რის გამოჩინებასაც, დანახვებასაც ზედმიწევნით, გულდაგულ (тщательно) ცდილობს დამალოს.

2. ის თუ რატომ ხდება ქალის მიერ მამაკაცზე მიჯაჭვა, მამაკაცისადმი არაეთიკური სურვილების გაღვივება, საკუთარი ინდივიდუალური სხეულის დაზიანების ხარჯზე ამ გაღვივებული ინტერესების დაკმაყოფილება, საბოლოო ჯამში, მამაკაცის საკუთარი ინდივიდუალური სულისთვის კერპად, მიზნად, „ღმერთად“ გადაქცევით.

ეს იმიტომ ხდება, რომ ქალმა (დედა კაცმა) (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ სულიწმიდის, დედა ღმერთის მიმბაძველმა), სულიწმიდის, დედა ღმერთის ჯეროვნად დაფასება ვერ შეძლო (недооценила) და საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მნიშვნელოვნებით (საკუთარი ემოციურობის დემონსტრირების სურვილით) დაავადდა, რის გამოც გამოჩინებულობის, აღიარებულობის დაუოკებელი სურვილით შეიპყრობა, ხოლო მამა ღმერთის ზედმეტად გადაფასება (переоценила) მოახდინა და საკუთარი ინდივიდუალური სულის მნიშვნელობის იგნორირებით (საკუთარი ინდივიდუალური სულის მიერ საკეთებლისგან განზე განდგომით, ამის ვინმეს მხრებზე გადადების მცდელობით), ფანატიზმით დაავადდა, რის გამოც ევოლუცირება, სრულყოფილებისკენ სწრაფვის მცდელობა ავტომატურად წყდება და ევოლუციის ბუტაფორიად გარდაიქმნება, მატერიალური კეთილდღეობის ზრდის გაუმაძღრობით ანუ სიხარბის სურვილით შეიპყრობა. სულიერი წინსვლის აუცილებლობის ინსტინქტი, უპირობო რეფლექსი მუშაობს მასში, მაგრამ სამწუხაროდ, უკვე გადაგვარებული, მუტირებული ფორმით. ეს ქალში იმპროვიზაციულად ჩასახული სურვილების დაკმაყოფილებაა. ხოლო მამაკაცი კი ამ სურვილების დაკმაყოფილების საშუალებაა ქალისთვის. აი, რატომ ხდება ქალის მამაკაცზე მიჯაჭვა.

3. ის, თუ რატომ ხდება მამაკაცის მიერ საკუთარ ინდივიდუალურ სხეულზე მიჯაჭვა, მამა ღმერთისადმი არაეთიკური სურვილების გაღვივება. საკუთარი ინდივიდუალური სხეულის დაზიანების ხარჯზე ამ გაღვივებული ინტერესების დაკმაყოფილება, საბოლოო ჯამში, საკუთარი ინდივიდუალური სულის კერპად, „ღმერთად“ გადაქცევით, თვითგაკერპებით.

ეს იმიტომ ხდება, რომ მამაკაცმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონსტიტუციურად მამა ღმერთის მიმბაძველმა) მამა ღმერთის ზედმეტად გადაფასება მოახდინა (переоценил) და საკუთარი ინდივიდუალური სულის მნიშვნელობის იგნორირებით (საკუთარი ინდივიდუალური სულის საკეთებელზე დამოკიდებული გახდა სხვებისთვის ამ საკეთებლის უხეში დაძალების მცდელობით), ფანატიზმით დაავადდა, რის გამოც ჰარმონიზირების კეთების პროცესმა სახე შეიცვალა და ჰარმონიზირების ბუტაფორიად გადაიქცა, დისჰარმონიის კეთებად, კონკრეტულად თუ გნებავთ, ანუ ბოროტების სურვილით შეიპყრობა, რის გამოჩინებასაც, დანახვებასაც ყველანაირად ცდილობს.

რაც შეეხება სულიწმიდასთან მიმართებას, აქ მამაკაცმა სულიწმიდის (დედა ღმერთის) ჯეროვნად დაფასება ვერ შეძლო (недооценил) და საკუთარი ინდივიდუალური სხეული მნიშვნელოვნებით (საკუთარი ინდივიდუალი სხეულის, „მე“-ს მატერიალური ნაწილის მთელს არსებულ მატერიაზე უპირატესობის მიღების მცდელობით) დაავადდა, რის გამოც ძალმომრეობის, უპირატესობის მოპოვების, ყველასა და ყველაფრის თავის სხეულზე დაქვემდებარების სურვილით შეიპყრობა, ანუ პატივმოყვარეობისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილით შეიმოსა.

4. ის, თუ რატომ ხდება ქალის (დედაკაცის) მიერ საკუთარ ინდივიდუალურ სულზე მიჯაჭვა, სულიწმიდისადმი არაეთიკური ინტერესების გაღვივება, ინდივიდუალური სულის დაზიანების ხარჯზე ამ გაღვივებული ინტერესების დაკმაყოფილება. საბოლოო ჯამში, საკუთარი ინდივიდუალური სხეულის კერპად, „ღმერთად“ გადაქცევით, კერპთაყვანისმცემლობა.

ეს იმიტომ ხდება, რომ ქალმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონსტიტუციურად სულიწმიდის (დედა ღმერთის) მიმბაძველმა) სულიწმიდის ზედმეტად გადაფასება მოახდინა (переоценила) და საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მნიშვნელობის იგნორირებით (საკუთარი ინდივიდუალი სხეულის მიერ საკეთებელზე დამოკიდებული გახდა გარემოს მიერ ამ საკეთებლის არ ქმნისას, ყველასა და ყველაფრის განკითხვით), ფანატიზმით დაავადდა, რის გამოც ევოლუციერების პროცესმა სახე შიეცვალა და მისი საპირისპირო ანუ ინვოლუციის სახე მიიღო. ანუ ობიექტური რეალობის უსამართლობად მონათვლის სურვილით შეიპყრობა, რის გამოჩინებასაც, დანახვებასაც ყველანაირი გზებით ცდილობს.

ამ ქალმა მამა ღმერთის ჯეროვნად დაფასება ვერ შეძლო (недооценила) და საკუთარი ინდივიდუალური სულის მნიშვნელოვნებით (საკუთარი ინდივიდუალური სულის მიერ, საკუთარი „მე“-ს ინდივიდუალური სულიერი ნაწილის მიერ მთელს არსებულს სულიერებაზე უპირატესობის მიღების მცდელობით) დაავადდა. რის გამოც თვალთმაქცობით, მლიქვნელობით, ეგოცენტრული უგულობით, მაამებლობით და ყველასი და ყველაფრის საკუთარ ინდივიდუალურ სულზე დაქვემდებარების სურვილით შეიპყრობა, ანუ დაზარალებულობის, პატივაყრილობისა და მონური მდგომარეობის დანახვების სურვილით შეიმოსა.

აი, ამ ე. წ. შენიშვნების გათვალისწინებით, როგორც მამაკაცის, ისე ქალის (დედაკაცის) პირობებში, სრულიად საკმარისია ადამიანად მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული სრულიად გათავისუფლდეს თავისში არსებული უპირობო რეფლექსებისაგან და საკუთარი „მე“-ს გადაგვარებული მუტირებული ნაწილი ღვთიურ ბუნებას დაუბრუნოს. ამ ადგილიდან უკვე დაიწყება იმის ჩამოყალიბება, თუ რა უნდა აკეთოს ადამიანად მატერიალიზირებულმა ცოცხალმა არსებამ, როგორც მამაკაცის, ისე ქალის შემთხვევაში. მოდით, შევხედოთ ამ ქმედების, როგორც პროცესუალური აქტის, კონსტიტუციურ მხარეს. სამყაროს კონსტიტუციაში უზენაეს ფასეულობად მოიაზრება უფალი ღმერთი, მამა ღმერთი, ამ სამყაროში შემავალი ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის დაწესებული, რომელსაც ინდივიდუალიზმის რაიმე ნიშანწყალი გააჩნია. ეს თვით სულიწმიდასაც (დედა ღმერთსაც) და მათ შვილსაც ღვთის ძესაც კი ეხებათ უცილობლად. ის ცნების სახით ასე ჟღერს: ***<u>გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.</u>***

და, აქვე, ამ უზენაესი ფასეულობისგან არა განდგომილად, მასზედ და მისი გაგრძელებულობის სრულად ასახულ გამოვლინებად მოიაზრება სულიწმიდა, დედა ღმერთი, ამ სამყაროში შემავალი ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის დაწესებული, რომელსაც ინდივიდუალიზმის რაიმე ნიშანწყალი გააჩნია. ეს ეხება უკლებლივ ყველას, გარდა მამა ღმერთისა, რამეთუ სულიწმიდა დედაა აბსოლუტურად ყველასი და ყველაფრისა ღვთის ძის ჩათვლით, მაშინ როცა მამა ღმერ-

თისთვის, ადამიანური ტერმინოლოგიით, ის მეუღლეა, ცოლია მისი. სულიწმიდის როგორც ღვთიური დედის ინტერესი საკუთარ „შვილებს“ შორის უთანხმოებისა და დაპირისპირების აღმოფხვრაა და ცნების სახით კონსტიტუციური მუხლის კონსტატაცია, გადმოცემა და დაფიქსირება შემდეგნაირია:

გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისი.

აი, ახლა კი შესაძლებელი ხდება ჩამოყალიბება — რა უნდა აკეთოს მამაკაცმა (ქალისგან განსხვავებულად) და ქალმა (მამაკაცისგან განსხვავებულად).

1. მამაკაცმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონსტიტუციურად მამა ღმერთის მიმბაძველმა) მამა ღმერთის ჯეროვნად დაფასება უნდა შეძლოს (должен дооценить), მისი როგორც ჭეშმარიტად უზენაესის მნიშვნელობა უნდა შეიგრძნოს, იმ მდგომარეობამდე უნდა მივიდეს მამა ღმერთთან მიმართებაში, რაც აქვს ცოცხალ არსებას, ვიდრე შეფასებას დაიწყებს და გულისხმიერს, გრძნობისმიერს მიჰყვება, ანუ მამა ღმერთის რიამენაირ შეფასებაზე აბსოლუტურად უარი უნდა თქვას და მთელი თავისი არსებით უნდა მიენდოს მას. ამის ქმნის შემდგომ საკუთარი სიჭკვიანის დემონსტრირების, ყველანაირი სახის თვითრეალიზაციის სურვილი სრულიად გაუქრება მამაკაცის ინდივიდუალურ სულს (***ვინაიდან გზის რაობაზე და საზომ და დამკვალიანებელ ღირებულებებზეა ლაპარაკი მხოლოდ და მხოლოდ ამის გამოა გამოყენებული რადიკალური ზღვრის დაფიქსირება საბოლოო შედეგობრივი რაობის დასანახვებლად***) და იმ შინაგან მდგომარეობას დაიმკვიდრებს, რაც სუფევს რწმენის ხილულ წარმოჩინებამდე და რის საფუძველზეც ყალიბდება ჭეშმარიტი, სარწმუნო, ღვთიური რწმენა.

მამაკაცმა (როგორც საკუთარი „მე“-ს მიერ კონსტიტუციურად სულიწმიდისთვის (დედა ღმერთისთვის) სიამოვნების მიმნიჭებელმა, საჭირო და აუცილებელი მოქმედებების, საკეთებლის კეთების, სიკეთის მქმნელმა) სულიწმიდის ზედმეტად გადაფასება არ უნდა მოახდინოს (должен не переоценить), საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მნიშვნელობა, ჭეშმარიტი მნიშვნელობა უნდა აღიქვას (საკუთარი ინდივიდუალური სხეულის საკეთებლის ვინმეს მხრებზე გადადებას არც უნდა ღებულობდეს თუნდაც წამიერი ფიქრის გაელვებაში, რომ ეს დასაშვებია მისთვის) და შემდგომ ამისა აღქმულით და აღთქმულით უნდა იხელმძღვანელოს მატერიალურ გარემოსთან მიმართებაში. ამის ქმნით, უკვე, ნებით თუ უნებლიეთ, გარემოს ჰარმონიზაცია მამაკაცის მხრიდან ავტომატურად მოხდება და გარემოს მიერ უკვე მიღწეულ დონეს ევოლუცირების თვალსაზრისით წინ წაიყვანს. ***ვინც შეძლებს ზედმეტად არ გადაფასებას, ის სასურველი იქნება ყველასთვის და ყველაფრისთვის, მთელი მატერიალური გარემოსთვის***. ეს იქნება მამა ღმერთის ნების გამოვლინების საშუალებად გადაქცევის ფენომენი, რაც მამაკაცისთვის თავისთავად თვითრეალიზაციის, თვითგამოვლინების საუკეთესო (შეიძლება თავისუფლად ითქვას — მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისთვის იდეალურ) ფორმასა და ვარიაციას წარმოადგენს. საბოლოო ჯამში კი, იმ გარეგან (გარემოს თვალებით დანახვას თუ ვეცდებით) მდგომარეობას დაიმკვიდრებს, რაც სუფევს რწმენის „ხილულად“ წარმოჩინების შემდგომ და რის საფუძველზეც ყალიბდება ზოგადი ცნობიერება, ჭეშმარიტი ზოგადი ცნობიერება ყოველგვარი პირადი ინდივიდუალური, იმპროვიზირებული ინტერპრეტაციების გარეშე. ეს არის მამა ღმერთისა და სულიწმიდის ჭეშმარიტად მსახურების უმაღლესი ზედმიწევნითი ფორმა მამაკაცის მხრიდან, მათი ნების გამოვლინება მამაკაცის მიერ მათთვის ყველაზე მისაღები სახით და მათი მხრიდან ჩნდება სურვილი აქ მოყვანილი ე. წ. თვითრეალიზაციის რეალურ ცხოვრებაში განხორციელებისა. უკვე მათი მხრიდან ხდება კურთხევა ანუ ყველანაირი დახმარება ამ ქმედებათა ჩარჩოებში არსებულ გამოვლინებაში უშუალოდ დახმარებისა და ყველანაირად ხელის შეწყობისა. თუ მამაკაცი აღიარებს რეალურად თავის „მე“-ში მათ ერთადერთ მამად და დედად, ისინი აღიარებენ მას თავის ღვიძლ შვილად. ნებისმიერი მატერიალიზირებული, ან თუნდაც არამატერიალიზირებული, ცოცხალი არსებისთვის ამაზე დიდი პატივი და ბედნიერება არ არსებობს. თუმც, ამ დონის მიღწევა ძალიან, ძალიან ძნელია.

(გაგრძელება იქნება)

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ტიტე მოსია

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხისათვის მე-19 საუკუნეში

შოთა რუსთაველის გენიალური პოემის ტექსტის დადგენის საკითხი მთელი XIX საუკუნის მანძილზე მეტად აქტუალური იყო. ამიტომაც ერთობ აქტიურად განიხილებოდა იგი. ამას საფუძველი ჩაუყარა სახელგანთქმულმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ. საუბარია პეტერბურგში 1841 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტვაობაზე, რომელიც ბროსეს ეკუთვნის აქ იგი შეეხო პოემის 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემას, რომელიც კრიტიკულ გამოცემად მიიჩნია. აქვე მან დააყენა ჩამატებათა საკითხი.

მარი ბროსე „წინასიტყვაობაში“, სხვა საკითხებთან ერთად, პოემის ტექსტის საკითხსაც შეეხო. შეუნიშნავს გადამწერ—მწერალთაგან მისი დამახინჯება: „დიდის სიხარულით იყო მიღებული „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა მიერ და დიდი პატივიც დასდვეს მის დამწერსა, რომელიცა ჰსჩანს იმით, რომ წიგნი ესე მარტოდ ერთადერთი სხვათა მრავალთა პოემათა შორის შენახული იყო აქამომდე, თუმცა, როგორც ზემოთ ვსთქვით, მცირედ გარყვნილი რომელთამე მწერალთაგან“.[1] აქვე ბროსე მიგვითითებს 48 სტროფზე, რომელიც მას 1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისთვის“ ჩაუმატებია, ვახტანგისეული გამოცემისაგან განსხვავებით.

„წინასიტყვაობის“ ავტორი იქვე განაგრძობს: „სტიხნი, რომელნიცა ჩვენ ახალს დაბეჭდვილში ჩაუმატეთ, იპოვებიან მხოლოდ რომელთამე ხელნაწერებში, მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენივრად თქმულა და „ვეფხისტყაოსანსაც“ ეთანხმება. თუმცა სწორეთ არ ვიცით, ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ, რომ ჩაგვებეჭდა და ამიტომაც ჩავუმატეთ“.[2] ბროსე აქვე გვამცნობს: „ამას გარდა, პარიზში რომ სამეფოს ბიბლიოტეკაში ხელნაწერი არის, რომელიც 10 წელი წინ ვახტანგ მეფის დაბეჭდვილს „ვეფხისტყაოსანზე“ იყო დაწერილი. იმათშიც ინპოვებიან ზემოთხსენებული ლექსნი“.[3]

კიდევ ერთ ნაწყვეტს დავიმოწმებ „წინასიტყვაობიდან“, „ასე და ამგვარად ბევრს გამოუცვლიათ ადგილ—ადგილ „ვეფხისტყაოსანი“. შემდგომად ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ერთი ვინმე ციციშვილი ყოფილა, ნანუჩად ზედ. წოდებული ვახტანგ VI მეფის წინ, რომელსაც მოუგონია და თვითონ გაუკეთებია სხვა რიგად „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო, სადაცა შეურთამს ცამეტის პუნკტით ათას ხუთასი სტიხი. სტიხნი ესე პარიჟის ხელნაწერშიაც იპოვებიან და ეგრეთვე უცხო ამბები ჰსწერია. ამ ახალ დაბეჭდვილში არ ეგებოდა მათი დაბეჭდვა, ამიტომ რომ რუსთველისა არ იყვნენ და ამას გარდა დიდი განხილვაც უნდოდა“.[1]

მარი ბროსე აფრთხილებს „ვეფხისტყაოსნის“ მომავალ გამომცემელთ: „ზემოხსენებულნი მომატებანი პირველ ჩვენ დავბეჭდეთ, ამიტომ რომ მრავალთა სწავლულთა ქართველთა მოეწონებოდათ. ძველ ხელნაწერებშია იპოვებოდნენ და ამის გარდა რაოდენნიმე მომწერნი ამ წიგნზე გვთხოვეს არ დატევება მათი. თუ კიდევ როდესმე დაიბეჭდება „ვეფხისტყაოსანი ნანუჩას მომატებაც და სხვა რა ეკუთვნიან ამ წიგნს, თუ გინდ რუსთველისა არ იყოს, განხილვით უნდა დაიბეჭდოს.[2]

ბოლოს მარი ბროსე შენიშნავს, რომ „ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდვილს „ვეფხისტყაოსანში“ მრავალი ტიფოგრაფიული ცთომილებანი იპოვებოდნენ, ჩვენ გავასწორეთ და თუ რაოდენნიმე ცთომილებანი დარჩნენ ჩვენს ნაშრომში, წამკითხველთაგან შენდობას ვითხოვთ“.

---

[1] რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 63
[2] იქვე, გვ. 63–64
[3] იქვე, გვ. 64
[1] რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 63
[2] იქვე

1842 წელს დავით ჩუბინაშვილი პეტერბურგში ერთ—ერთ ჟურნალში (**ჟმნპ**) ბეჭდავს წერილს „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებას მიაქცევს 1841 წლის გამოცემის რედაქციულ მუშაობას. აქ საბურობს ინტერპოლატორ ნანუჩა ციციშვილზე და მის მიერ შეთხზულ „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებაზე. აღნიშნავს, რომ დასახელებულ გამოცემაში იგი არ შეიტანეს, როგორც მხატვრული თვალსაზრისით უვარგისი ტექსტი. აქვე დავით ჩუბინაშვილი შენიშნავს, თუ როგორ გამორჩენია თურმე ვახტანგ მეექვსეს 48 სტროფი, რაც ჩამატებულ იქნა 1841 წლის გამოცემაშიო.[3]

დავით ჩუბინაშვილი მოკლედ ჩერდება „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემაზე და აღნიშნავს, რომ თხზულების დასტამბვისას გათვალისწინებული და შედარებული იყო მრავალი ხელნაწერი. ვახტანგის მიერ გამოცემული პოემა შედგებაო 1589 სტროფისგან (მექანიკური შეცდომაა, უნდა იყოს 1587 — ტ.მ.), მოცავს 285 გვერდს, შენიშვნებიანად კი — 359 გვერდს.[4]

1853 წელს პლატონ იოსელიანის რედაქციით ქვეყნდება არჩილ ბაგრატიონის საისტორიო ეპოსის ნიმუში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, სადაც ერთგან ვკითხულობთ:

„ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყია, წმიდა რამ აუმღვრევია,
მასთან რად წერდა მის ლექსსა, სირეგვნე მით მორევია.
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია“.[1]

ეს სტროფი XIX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენით დაინტერესებულ პირთ შეახსენებდა ინტერპოლატორ ნანუჩა ციციშვილს, როგორც რუსთველის პოემაში დამატებათა ავტორს, თხზულების გამოცემისას ამ ჩანართებისაგან რომ გაწმენდილიყო იგი.

„ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ თარგმანს დართული აქვს მთარგმნელის კაზიმირ ლაპჩინსკის წინასიტყვაობა (შეცდომით მიეწერებოდა ა. ხოძკოს), სადაც ჩვენს საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „რუსთაველის ქმნილებას საუკუნეების მანძილზე ასწორებდნენ და ავსებდნენ ჩანართებით.მარტო ციციშვილმა რუსთაველის პოემის 1500 ტაეპი ჩაასწორა თუ გადააკეთა. ამგვარი მანია „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ საქართველოში ლიტერატურულ მოდად იქცა, შეიქნა ერთმანეთისაგან განსხვავებული უამრავი ხელნაწერი, რომელთა თავმოყრა, შეჯერება და ბეჭდური სახით გამოცემა მოხერხდა 1712 წელს... ვახტანგ მეექვსის მიერ ჩატარებული მუშაობა ტექსტის დახვეწა—დაზუსტების თვალსაზრისით არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. მასში გვხვდება აშკარა ჩანართები“.[2]

ამის შემდეგ კ. ლაპჩინსკი შეგვახსენებს პოემის მარი ბროსეს გამოცემას, სადაც მეცნიერმა თვითონ ჩაუმატაო ყალბი სტროფები. 1841 წლის გამოცემას: „ქართული პოემის სრულად თარგმნა უცხოურ ენებზე ჯერ ადრეა. ამ დროის დადგომას წინ უნდა უსწრებდეს თვით ქართველთა მეცნიერული ხასიათის კეთილსინდისიერი მუშაობა, რომელიც დამყარებული უნდა იყოს ქართული ენის ისტორიის ღრმა, საფუძვლიან ცოდნაზე, ფართო არქეოლოგიურ ძიებებსა და ესთეტიკურ გრძნობაზე, რომ ეს უკანასკნელი ასპექტი აუცილებელია და ღრმა განსწავლულობა საკმაო არაა, ამაში გვარწმუნებს მ. ბროსეს გამოცემა. ამ მეცნიერმა, რომელსაც სხვადასხვა სფეროში უდიდესი დამსახურება მიუძღვის, არა თუ არ განტვირთა ტექსტი (იგულისხმება რუსთაველის პოემის ტექსტი — ტ.მ.) ჩანართებისაგან, არამედ თვით ჩაუმატა რამდენიმე ყალბი სტროფი“.[3]

როგორც ცნობილია, კ. ლაპჩინსკის პოემის პოლონურ ენაზე თარგმნაში გიორგი ერისთავი ეხმარებოდა. ეტყობა, მან გაარკვია პოლონელი მთარგმნელი „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართების რაობაში. თუმცა რატომღაც ეს საყვედური არ გავრცელებულა დავით ჩუბინაშვილის, თეიმურაზ ბაგრატიონის, ზაქარია ფალავანდიშვილის მისამართით, რომლებთან ერთად ბროსე ამზადებდა თხზულებას გამოსაცემად.

---

[3] **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ჟურ. **ჟმნპ**, 1842, №8, ეს წერილი განმეორებით გამოქვეყნდა გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“9 1850 წლის ოქტომბერში იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 17

[4] **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, გვ. 196–197

[1] სიტყვა ძველთა და ახალთა საქართველოს მოლექსეთათვის, თქმული მეფისა არჩილისაგან, წიგნში; ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა, აღწერილი ლექსად **არჩილისგან (პ. იოსელიანის** რედაქციით), ტფ. 1853

[2] **კ. ლაპჩინსკი,** „ვეფხისტყაოსნის“ პოლონური თარგმანის წინასიტყვაობა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, გვ. 60–61

[3] იქვე

1875 წელს თბილისში მეექვსედ დაისტამბა „ვეფხისტყაოსანი“. მას ახლავს გამომცემელთა „შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემის გამო“.[1] შესავალში ნათქვამია: „ჩვენ შევადარეთ ეს ძველად დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი (ვახტანგის გამოცემა) ახლად გამოცემულებს და დავრწმუნდით, რომ ახლებზედ უფრო სწორი არის, თუმცა სტამბის შეცდომებით სავსეა“. გამომცემელნი აკრიტიკებენ 1841 წლის გამოცემაში 48 სტროფის ჩამატებას. მით უმეტეს, ეეჭვებოდათ თუ რუსთაველის კუთვნილებად არ მიაჩნდათო გამომცემელ—რედაქტორებს აღნიშნული სტროფები, იქვე განაგრძობენ: „ეს პოემა უამისოდაც ერთობ დამახინჯებულია სხვა—და—სხვათაგან, რომელთაც თავისებურად გადაკეთებებისა და შევსებისათვის უღვწიათ და გაკეთების მაგიერ გაუფუჭებიათ მშვენიერი თხზულება“.[2]

პოემის 1875 წლისგამომცემელნი იწონებენ 1867 წლის გამოცემის ტექსტის ზოგ დამახინჯებულ წაკითხვათა გასწორებას. პოემის ტექსტის გამოცემის ისტორიის მცოდნეთ კარგად მოეხსენებათ, რომ 1867 წელს თბილისში დაისტამბა რუსთაველის თხზულება გ. წერეთლისა და დიმ. ყიფიანის მცდელობით, შეიცავს 1563 სტროფს. საინტერესოა მისთვის დართული „მოკლე განსამარტებელი ლექსიკონი“.[3] ეს იყო რიგით მეხუთე გამოეცმა.

როგორც გ. იმედაშვილი შენიშნავს: „ამ გამოცემის ტექსტი ავტორებს შეუდარებიათ ვახტანგის გამოცემასთან და ჩამოუცილებიათ სხვა გამოცემებში გაპარული დამახინჯებული ადგილები და დამატებული სტროფები“.[4]

1877 წლის 16 აგვისტოს მეცნიერებათა აკადემიაში წაკითხულ მოხსენებაში მარი ბროსე ქართული მწერლობის მიმოხილვისას „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებსაც (1712, 1841, 1846, 1867, 1875) შეხებია, ასევე ვახტანგის გამოცემის კომენტარებს, პოემაში ჩანართ—დანართების საკითხს.[5]

ვ. ზოტოვი თავის წიგნში „ქართული ლიტერატურა“ შეეხო „ვეფხისტყაოსანს“, კერძოდ, პოემის 1712 წლის გამოცემას, მიიჩნია იგი წარყვნილი ხელნაწერის საფუძველზე დაბეჭდილად, როგორც 1678 წლის შაჰნავაზის ნაქონ ხელნაწერად. აქვე ზოტოვი საუბრობს მკვლევართა მხრიდან ვახტანგის კომენტარების კრიტიკაზე.[1]

როგორც ზემოთ არაერთხელ ითქვა, 1880 წელს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დღის წესრიგში დადგა უმნიშვნელოვანესი საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით. იმავე წლის ნოემბერში გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, იონა მეუნარგიას მოწოდება ქართველი საზოგადოებისადმი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში მონაწილეობის მიღებისა და დახმარების აღმოსაჩენად. ისინი თხოვნით მიმართავენ პოემის ტექსტის დადგენის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გამოჩენილ მოღვაწეებს: გ. ორბელიანს, ი. ყიფიანს, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვ. ორბელიანს, გ. წერეთელს, ს. მესხს, პ. უმიკაშვილს, გ. დადიანს, გ. ერისთავს და სხვ.

საზოგადოებისადმი მიმართვის ავტორები აქვე წარმოადგენენ თავიანთ მიზანს და გეგმას: „ჩვენი განზრახვა არის: შევათანხმოთ „ვეფხის—ტყაოსანი“ სხვა—და—სხვა ვარიანტებთან, რაც აკლია, შევმატოთ ტექსტს და რაც ნამეტანია, გამოვაკლოთ. თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არა აქვს ნება და არც შეუძლია უბრალო რამ ცვლილება მოახდინოს „ვეფხის—ტყაოსანში“ თუ ეს ცვლილება არ იპოვება თვითონ პოემის სხვა და სხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვა და სხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა—იქ მართლწერის ნიშნების შესწორება“.[2] ასევე, მათ გეგმაში შედიოდა პოემის დამატებათა ავტორების ვინაობის გამორკვევა. მიმართვის ავტორები საზოგადოებისაგან მოთხოვენ თხზულების ხელნაწერების მოწოდებას.

კომისია 1881 წლისგანმავლობაში ეწეოდა დაძაბულ მუშაობას, სხდომათა მასალები იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში“.

1880 წელს პ. კარბელაშვილი გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს წერილს „შოთა რუსთაველის „ვეფხის—ტყაოსნის“ განგრძობა“. იგი აცხადებს, რომ მის განკარგულებაშია „ვეფხისტყაოსნის“ უცნობი ხელნაწერი, რომელიც ჩანართების შემცველია და უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს. პ. კარბელაშვილი უჩვენებს ცალკე ჩამატებულ ტაეპთა რაოდენობას და ჩანართი თავების სათაურებს. იგი გვამცნობს, რომ ეს ხელნაწერი შეიცავს 314

[1] **შ. რუსთაველი,** მეექვსედ დაბეჭდილი, **არსენ კალანდაძისა** და ამხ—გან, ავტორის სურათით, თფილისი, 1875
[2] იქვე
[3] **შოთა რუსთაველი,** ვეფხის—ტყაოსანი, ტფილისი, 1867
[4] **გ. იმედაშვილი,** რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 57
[5] იქვე
[1] **ვ. ზოტოვი,** ქართული ლიტერატურა, 1877, იხ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 61
[2] გაზ. „დროება“, 1880, 18 ნოემბერი, №241, გვ. 1–2

სტროფს. საუბარია პოემის ჩანართი სტროფების რაოდენობაზე. მისი თქმით, ეს ჩანართები ზოგ შემთხვევაში კარგად ავსებენ „ვეფხისტყაოსანში“ თითქოს არსებულ ხარვეზებს და ლოგიკურად ამთავრებენ პოემის ბოლოს, რომელშიაც იგრძნობაო ერთგვარი დაუმთავრებლობა. (ეს 314 სტროფი ბეჭდურ გამოცემებში არ მოიპოვება, ცხადია, იმჟამინდელ გამოცემებში — ტ.მ.).

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ რედაქცია. წერილი უავტოროა. ეს არის გამოხმაურება პოემის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოებისადმი მოწოდებაზე. ანონიმი ავტორი მიესალმება კომისიის შექმნას, „რომელიც განსაკუთრებით იმ განზრახვით შესდგა, რომ ყოველის მხრით შეასწოროს ეს დიდებულის პოეტის დიდებული ქმნილება“.[1]

1880 წლის ჟურნალ „ივერიაში“ ქვეყნდება „ვეფხის—ტყაოსნის“ გაგრძელება“. სარედაქციო შენიშვნაში ვკითხულობთ: ეს „გაგრძელება“ ვეფხვის ტყაოსნისა მოგვივიდა პ. კარბელაშვილისაგან... გვგონია, რომ ეს გაგრძელება რუსთაველს არ დაუწერია.[2] აქვე მოცემულია დანართი თავების სათაურები (გაგრძელებათა ტექსტი შეიცავს 308 სტროფს). ამ სათაურებს ზემოთაც შევეხებით და კვლავ გავიმეორებთ:

1. ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა
2. აქა ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება
3. ქორწილი ტარიელისა და ნესტან—დარეჯანისა
4. აქა ტარიელის დასნეულება და ხვარაზმშასაგან სისხლისათვის მოხდომა
5. ესმა ინდოთ მეფესა მოსვლა ხვარაზმელთა ინდოეთში
6. გამარჯვება ხვარაზმთა მეფისაგან ინდოთ ლაშქართა ზედან
7. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილ და ფრიდონთან საშველად
8. მოსვლა ავთანდილისა და ფრიდონისა ტარიელის საშველად
9. აქა ავთანდილისა და ფრიდონის წასვლა ხვარაზმშას საომრად
10. ომი ზედ დასხმით ხვარაზმთა ინდოთ, არაბთა და თურქთა ზედა
11. ანდერძი ტარიელისა ოდეს მიიცვლებოდა მის ჟამის ნათქვამი
12. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა ნესტან—დარეჯანისა
13. ანდერძი ავთანდილისა სიკვდილის ჟამსა
14. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა
15. მოსვლა ფრიდონისა და ტირილი ძმობილთა მისთა

1880 წლის 18 ნოემბერს გაზეთ „დროებაში“ დაანონსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობას შეუდგა 1881 წლის დამდეგიდან. როგორც ზემოთაც ითქვა, სხდომების მიმდინარეობის მასალები იბეჭდებოდა „დროებაში“. პირველ სხდომაზე დაუდგენიათ, რომ იწერებოდეს „ვეფხისტყაოსანი“ და არა „ვეფხვის—ტყაოსანი“. ე.ი. „ვ“ ასო ამოღებული ყოფილიყო პოემის სახელდებიდან. თხზულების „დასაწყისში“ (პროლოგი) შეუტანიათ 12 შესწორება. ასევე, დაუდგენიათ სტროფის ბოლო ტაეპში „და“—ს გამოტოვება.[1] მეორე სხდომაზე გაურჩევიათ პოემის პირველი თავის 52 სტროფი, რომლებშიც შეტანილი შესწორებანი მოყვანილია პარალელურად.[2] მესამე სხდომაზე დიმიტრი ყიფიანს შემოუტანია წინადადება: „მართლწერაში ზმნიზედას დაჰყვება „**დ**“ და არა „**თ**“ (უნდა საქებრად და არა საქებრათ).

აკაკი წერეთლის წინადადებით 76-ე სტროფში უნდა დარჩეს „მოესროდეს“ და არა „მიისროდეს“. 46-ე სტროფში უნდა დარჩესო „ტკბილთა ხმათა“ და არა „მათთა ხმათა“. აქვე უმსჯელიათ ორთოგრაფიულ გასწორებაზე.[3]

მეოთხე სხდომა ჩატარებულა 27 თებერვალს. განუხილავთ 22 სტროფი. უმთავრესად ორთოგრაფიული ხასიათის შესწორებები შეუტანიათ.[4]

დანარჩენ სხდომებზე (სულ 16) განუხილავთ მთელი რიგი სტროფებისა და ტაეპებისა. უმსჯელიათ მაჯამურ რითმაზე „ასადაგეს“, გაუსწორებიათ მთელი რიგი სიტყვები. გასწორებათა ნიმუში: ბალახში—ბადახში; ოთხ—

[1] გაზ. „დროება“, 1880, 16 ნოემბერი
[2] ჟურ. „ივერია“, 1880, № III, გვ. 3-35
[1] გაზ. „დროება“, 1881, 12 თებერვალი
[2] გაზ. „დროება“, 1881, 17 თებერვალი
[3] გაზ. „დროება“, 1881, 26 თებერვალი
[4] გაზ. „დროება“, 1881, 1 მარტი

ხმით—ოთხ ახმათ. მიუღიათ ზოგადი მითითება, რომ საცა არის პოემაში „თუმცა“, „მაგრამ“, დაიწერება „თუცა“, „მაგრა“. ჩამოთვლილია გასწორებები და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან გამორიცხული სტროფები.

სხდომას დაუდგენია: ჰ—ს სიტყვებში: ჰსთქვა, ჰსდის, გამოსჩნდა, დაჰსთხოვა, პოემაში არ ეხმარათ იმის გამო, რომ „რუსთაველის დროში არ იხმარებოდაო“. ასევე, სიტყვა „რომელსა“ გაუსწორებიათ — „რომელთ“.

მეცამეტე სხდომაზე (1881 წლის 31 მარტი) პ. უმიკაშვილს გაუკეთებია განცხადება: საზოგადოებას უნდა განემარტოს, რომ ჩვენი მიზანი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გასწორება კი არ არის, არამედ მხოლოდ ხელნაწერთა ვარიანტების ერთმანეთთან შეთანხმება.[5]

1887 წელს თბილისში მერვედ დაისტამბა „ვეფხისტყაოსანი“. მას წამძღვარებული აქვს შენიშვნა, სადაც აღნიშნულია: „ეხლანდელი მერვე გამოცემა გადმოიბეჭდა მეექვსე გამოცემიდან, რადგანაც ის უფრო შესწორებული და უნაკლო იყო სხვებთან შედარებით“.[6] ეს შენიშვნა იმას ათვალისაჩინოებს, თუ რა ყურადღება ექცეოდა პოემის შესწორებულად და შედარებით უნაკლოდ გამოცემას, რადგანაც კარგად იცოდნენ თხზულების ინტერპოლატორთა მიერ დაზიანებული ტექსტის არსებობის შესახებ და ცდილობდნენ უნაკლოდ მის დაბეჭდვას.

XIX საუკუნეში, ქართველებთან ერთად, არაერთი უცხოელი იყო დაინტერესებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენით. ერთ—ერთი მათგანი გახლდათ ე. ვეიდენბაუმი. იგი წუხდა, რომ პოემას საუკუნეთა მანძილზე განუცდია წარყვნა და საჭიროება ითხოვდა დიდ ფილოლოგიურ მუშაობას მის აღსადგენად.[1]

ზემოთ არაერთხელ ვილაპარაკეთ იონა მეუნარგიას თაოსნობით შექმნილ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიას მუშაობაზე. კომისიის ტექსტის ვარიანტების შედარებისა და წაკითხვათა დადგენისათვის უხელმძღვანელია 22 ხელნაწერით, რომელიც შეგროვებული იყო იმჟამინდელ დაწესებულებებსა და ოჯახებში. როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, 1712 წლის ვახტანგისეული და 1841 წლის ბროსესეული გამოცემის შემდეგ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა წარმოადგენს სპეციალური კომისიის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პირველ ცდას.

1888 წლის გამოცემას ბოლოში დართული აქვს შენიშვნა „გამომცემლისაგან“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის მომზადების შესახებ მოკლე ცნობებით (ეს გამოცემა ჩემს მოკრძალებულ ბიბლიოთეკას ამშვენებს): „პირველი აზრი სურათებიანი „ვეფხის—ტყაოსნის“ დაბეჭვდისა დაიბადა მაშინ, როდესაც იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი სხვა ვარიანტებთან. თუმცა ძველის—ძველი ეგზემპლიარი არ აღმოჩნდა — კომისიისგან მოპოვებული უძველესი გადაწერილა 1646 წ. — მაინც კომისიამ სხვა—და—სხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრი გამოარკვია, ძველებური მართლ—წერა შეძლებისამებრ აღადგინა და ძველებური ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო“.[2]

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი გვამცნობს: „როცა „ვეფხის—ტყაოსანს“ ვარჩევდით და ტექსტებს ვასწორებდით, ხმის უმეტესობით ვწყვეტდით საქმეს და ხშირად მისთანებიც იძლეოდნენ ხმას, რომელთაც ქართული არ იციან მართალია, ძალიან აურ—დაურიეთ საქმე — „შადი“ — „შარდად“ აღვიარეთ, მაგრამ ჩვენი ხომ გავიტანეთ და მეტი რა გვინდოდა“.[3]

როგორც ადრეც მივუთითეთ, გ. საძაგელოვი—ივერიელი გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილს „ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“, სადაც იგი საუბრობს პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის სარედაქციო მუშაობაზე და მიუთითებს ნაკლზე, რომელიც ვერ აიცილესო. მას მხედველობაში აქვს აღდგენილი ტექსტის ქვეშ ყველა ვარიანტის მოყვანის აუცილებლობა. ასევე აკრიტიკებს 1888 წლის პოემის ტექსტის გამოცემას ნუმერაციის გარეშე. იგი აგრეთვე მიანიშნებს პოემის ოცამდე გამოცემაზე, თუმცა ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულაო პოემის ტექსტის დადგენაში.[1] ამასთანავე, გ. ივერიელი გვიზიარებს მის მიერ ნანახი პოემის ახალი ხელნაწერის აღწერას. მოაქვს პარალელური ადგილები განსხვავებული წაკითხვებისა. გვარწმუნებს, რომ ეს ხელნაწერი გარკვეულწილად

[5] გაზ. „დროება“, 1881, 3 აპრილი

[6] **შოთა რუსთაველი**, ვეფხის ტყაოსანი, ტფილისი, 1887

[1] **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 127

[2] **შოთა რუსთაველი**, ვეფხის—ტყაოსანი, გამოცემული გ.დ. ქართველიშვილის მიერ; ტფილისი, 1888

[3] **ა. წერეთელი**, თეატრის გარშემო, გაზ. „კვალი“, 1893, 17 იანვარი

[1] **გ. საძაგელოვი—ივერიელი**, ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა, გაზ. „ივერია“, 1895, 3 მაისი

იძლევა უკეთეს წაკითხვას ცნობილ ტექსტთან შედარებით. ეხება რამდენიმე სტროფს, რომელიც ტექსტს სიტუაციის მიხედვით აკლია, ეს კი ავსებს.[2]

ალექსანდრე სარაჯიშვილმა შექმნა მონოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“, რომელიც 1895–1901 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბეში“. გ. იმედაშვილის თქმისა არ იყოს, ალ. სარაჯიშვილი ყალბი ადგილების გამორკვევაში მიმართავს მხოლოდ პირადი გემოვნების პრინციპს, დამყარებულს კონტექსტის გაგებაზე.[3] გამოდის, რომ იგი თავისებურად ცდილობდა პოემის ტექსტის დადგენას და ყალბი აგილებისაგან მის გაწმენდას. ალ. სარაჯიშვილის აზრით, დაახლოებით ერთი მესამედი უნდა გამოაკლდესო „ვეფხისტყაოსანს“ ყალბი ადგილების სახით. მის ნაშრომს დავუბრუნდებით, როდესაც საუბარი გვექნება პოემის ინტერპოლაციებზე.

ალ. სარაჯიშვილის წერილებს გამოხმაურებია მ. გიორგაძე. მისი შენიშვნით: ვიდრე ყალბის, მქმნელებს გამოვარჩევდეთ „ვეფხისტყაოსანში“, საჭიროა რუსთაველის წინა პერიოდის ენისა და ლიტერატურის შესწავლა, რომ თვით რუსთაველის სტროფები ყალბის მქმნელებს არ მივაწეროთ.[4] მ. გიორგაძემ მომდევნო წერილშიც „შოთას განქიქება“[5] მკაცრად გააკრიტიკა ალ. სარაჯიშვილი, რომლის კონცეფციას მთლიანად შემცდარი უწოდა. მან უმართებულოდ გამოაცხადაო რუსთველური სტროფები ყალბის ნახელავად, რასაც არავითარი საფუძველი არ გააჩნიაო.

1899 წელს მეთოთხმეტეჯერ გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსანი“ ვლადიმერ ყიფიანის მიერ. ტექსტს ნუმერაცია არ გააჩნია, შეიცავს 1602 სტროფს. ბოლოში დართულია რუსთაველისათვის მიწერილი სამი ლექსი: „იამბიკო ესე თქმული რუსთველის მიერ, ზედა — წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ღვთის—მშობლისასა“; „ზრდილობა და გვარიშვილობა, თქმული შოთა რუსთაველის მიერ“.[6]

ზაქარია ჭიჭინაძე გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ „მცირე შენიშვნაში“ ლაპარაკობს ერევნის გუბერნიაში ნაპოვნ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერზე და მის ერთგვარ მნიშვნელობაზე პოემის ტექსტის დადგენისათვის. საჭიროდ მიიჩნევს მის გამოყენებას „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის დროს.[1]

დასკვნისათვის: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხი უაღრესად აქტუალური იყო XIX საუკუნეში. პირველად ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე დაინტერესდა ამ პრობლემით, ასევე დავით ჩუბინაშვილიც. მათი მიზანი იყო მომავალი გამოცემისას პოემის გაწმენდა ჩანართებისა და დანართებისაგან ინტერპოლატორთა შესრულებით. იგივე აზრისა იყო პლატონ იოსელიანიც. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს უცხოელებმაც. აღნიშვნის ღირსია პოემის პოლონურად მთარგმნელი კაზიმირ ლაპჩინსკი, რომელიც წუხდა თხზულების ტექსტის დამახინჯების გამო გამყალბებლების მხრიდან. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი მომდევნო გამომცემელი (გამომცემელნი) შეძლებისამებრ ცდილობდა წინა პუბლიკაციებთან შედარების საფუძველზე ჩანართ—დანართი ადგილებისაგან ტექსტის გაწმენდას.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის იონა მეუნარგიას თაოსნობით შექმნილ კომისიას, რომელსაც პოემის ვარიანტების შედარებისა და წაკითხვათა დადგენისათვის უხელმძღვანელია 22 ხელნაწერით. ეს იყო სპეციალური კომისიის მიერ განხორციელებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პირველი ცდა 1881 წლისათვის. თუმცა ამ მცდელობას უნაკლოდ არ ჩაუვლია.

---

[2] იქვე, შდრ. **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 189–190
[3] **გ. იმედაშვილი**, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 189
[4] იქვე, გვ. 214
[5] გაზ. „ივერია“, 1899, მარტის თვის ნომრები
[6] **შოთა რუსთაველი**, ვეფხის—ყატოსანი, ვლადიმერ ყიფიანის მიერ, ტფილისი, 1899
[1] **ზ. ჭიჭინაძე**, მცირე შენიშვნა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, 3 მარტი

ლუარა სორდია

ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებული. „ველი“ გალაკტიონის სახისმეტყველებაში

არსებობს აზრი, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ინფორმაცია სამყაროსა და ცოცხალ არსებათა შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს ველი შეიძლება წარმოადგენდეს დედამიწის პროგრამასაც. ადამიანი, რომელიც შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გავიდეს და აღიქვას სხვისთვის მიუწვდომელი ინფორმაცია.

ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კავშირს მიწიერ და ზენარულ სამყაროებთან. ისინი დედამიწის იონოსფეროს უკავშირდებიან და ამით განსაზღვრულ ინფორმაციას ღებულობენ.

აღმოსავლური სამყაროს მხატვრულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ თხზულებებში იმთავითვე არსებობდა საინფორმაციო ველის ცნება და ადამიანის ზნეობრივი სიწმინდე ითვლებოდა, მაღალ სულიერ განვითარებასთან ერთად, კოსმიური კავშირის უნარების განვითარების უმთავრეს პირობად.

ლაო-ძის „დაო დე ძინის“ მიხედვით, „მარადიული სათნოებით ავსილი ადამიანები“ იქცევიან „სამყაროს ხილულ ველად და, ვინც ველია სამყაროსი, მარადიულ დეს ეუფლება“(გვ. 99, 197).

„ბჰაგავად-გიტაში“ არის სპეციალური თავი: „ველსა და ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა“, რომელშიც ნათქვამია: „კურთხეულმა ბრძანა: „ეს სხეული, კაუნტეა, ველად იწოდება, ხოლო

რომელი მას საცნაურყოფს – ბრძენთა მიერ ველის მეცნაურად იწოდება“ (გვ. 83) „მოკლედ განმარტებული ველი ცოდნა და ცოდნის საგანია“, ველის უფალი კი ღმერთია“ (გვ. 88, 90).

„ბჰაგავად-გიტას“ კურუქშეტრის ბრძოლის ველი სულის ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენს (გვ. 123).

რაჯნეშის „ტანტრას“ მიხედვით, საინფორმაციო ველს „მიღების დაბლობი“ ეწოდება და აქაც ზნეობრივი სიწმინდეა მასთან მიახლების პირობა.

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება „ცეცხლის ალების ველი“, „მდელო, ყვავილებით სავსე წალკოტი“.

გოეთეს „ფაუსტში“ „ამწვანებულ ველად“ არის სახელდებული ენერგეტიკული ველი.

ბოდლერის „ამაღლებაში“ საინფორმაციო ველს ეწოდება „აისის ჭალა“, „სინათლის აუმღვრევი ველები“.

ტერენტი გრანელი „ბნელ ველზე“ აცნობიერებს არსებობას.

ეგვიპტურ მკვდართა წიგნში მოიხსენება – იალუს მინდორი, რომელიც სამოთხის ექვივალენტი იყო.

მიუთითებენ, რომ არსებობს აგრეთვე „შავი მაგიური ველი“.

უმდაბლესი ასტრალური შრეების მომრავლების შედეგად პლანეტა მძიმედ არის დაავადებული და წარმოქმნილია „შავი მაგიური ველი“, რომელიც გზას კეტავს იმ სამყაროებისკენ, რომელთაც შეუძლიათ დაეხმარონ პლანეტას. თუ ვერ გაირღვევა ეს ბნელი ველი, დედამიწის არსებობა დასრულდება (ელენე რერიხი).

გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც დაჯილდოებული იყო ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენალური ნიჭით, ხშირად უკავშირდებოდა როგორც დედამიწის, ისე ზეცის („ცათა მდელოს“) საინფორმაციო ველს და შეიცნობდა ჩვეულებრივთათვის შეუცნობელს და მიუწვდომელს.

პოემა „მშვიდობის წიგნის“ „ცათა მდელო“ ანუ კოსმიური კავშირის ველი ანგელოზის საუფლოა. იქიდან ევლინება მარიამ ღვთისმშობელს გაბრიელ მთავარანგელოზი და ამცნობს ძე ღმერთის მოვლინების საიდუმლოს.

ზეცის მდელოზე კეთილი ნების ანგელოზები ბინადრობენ და საყოველთაო ჰარმონიას ამკვიდრებენ: „ცის ანგელოსი დაჰღიღინებს დანამულ მდელოს, ნიავი ნელი ვარდს გაფურჩქვნილს ესალბუნება“ (სასაფლაოზე).

ზეცის „მშვილდის“, ზეცის „ისრის“ (უზენაესის) არეშია მუდამ ეს სიმბოლური მდელო და ზეცის შვილი პოეტი სწორედ ამ ამმაღლებული ხმებისაკენ მიილტვის: „ისევ ის მშვილდი დაჰხარის მდელოს. იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი, იმ სადღეგრძელოს“ (მაისის ისრით).

ალერსის ღმერთის (იესოს) უხმო ველში გასვლისას მდუმარე პოეტი საღვთო „ნისლის წამოსასხამით“ იფარება და „ღამის ღამით უხილავ გზებს“ – უზენაესს ელტვის, მისი სიყვარულით თვრება: „ალერსთა უხვი და უხმო ველი დამფარავს ნისლთა წამოსასხამით და დათრობაში ამ ღამის ღამით, უხილავ გზებით შთავა ყოველი“ (გობელენი).

„აყვავილებული ველების“ სანატრელ შემოგარენში პოეტს ეცნაურება „ჩრდილი ყოველი“, ვარდები თუ „სიტყვები გულზე დასაქსოველი“ (აყვავებულ ველებს სალამი).

დუმილში აგნებს პოეტის სული – „თვალებდალურჯული იალქნები“ სიზმრისეულ ველს და „ოქროს ზღაპრის“ ხიბლით გვაჯადოებს: „სიზმარს აბარია ველი შენაფერი. ეხლა ყველაფერი ოქროს ზღაპარია. არც ხმა, არც ჩურჩული, ბინა-მინაგნები, თვალებდალურჯული თრთიან იალქნები“ (ეს მშობლიური ქარია).

„ხავერდოვან მდელოზე“ სახლობენ მოჩვენებები, სხივნაკრავი სახეები, აქაა საბრძოლო ლელო, გატაცების, აღტაცების ასპარეზი (ბინდი ღამისა გაჰქრა).

პოეტს „იმედთა მდელოზე“ ევლინებიან „მოგონების წმინდა აჩრდილები“ და სიცოცხლე ენიჭებათ გენიოსის კალმით: „მსურს გავაცოცხლო იმედთა მდელო და მოგონებათ წმინდა აჩრდილი სიცოცხლის ჰანგით ავამეტყველო“ (წარწერა წიგნზე).

„ათასფრად მოქარგულ ტურფა ველზე“ ეგულება პოეტს მანუგეშებელი „ციური ცვრით დანამული ვარდ-ყვავილები“ (ათასფერად მოქარგული).

იდუმალ ველებზე ისმენს პოეტი საღმრთო ნიავის ზღაპარს, ახალი გზების, ახალი სიტყვების ძახილს: „უცებ გაცოცხლდა ირგვლივ ყოველი, ველებს აღელვებს ნიავი მშვიდი, ამოიშალა ძველი სიტყვები, ახალი გზებით მიდის რაინდი“ (ჩამავალი მზე).

გაღვიძებული და აყვავებული ველი „სიცოცხლის ვარდის“ გაფურჩქვნას ამცნობს, ნეტარი მხარის, წმინდა ცის შუქის რწმენით ავსებს: „ველნი ჰყვავიან, გულო, დაწყნარდი, ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება... არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე. იღვიძებს ველი საგაზაფხულო, დაწყნარდი გულო, დაწყნარდი გულო!“ (გრძნობათა ფერფლი).

პოეტი არის მთებისა და ველების ტიტანი, „თოვლიანი მთების ვნების რკალი“ (ავრორა).

ყოველგვარ ძალაზე დიდია ღმერთის – „სიხარულის“ – ძალა, რომელიც განიცდება „ჭიქით“ – მარიამის საშუალებით და მათი ღვთაებრივი საიდუმლო კი „სიზმარულ ჭალაში“ დავანებულია: „აღემატება ყოველგვარ ძალას, რომ სიხარული დასცალოს ჭიქით, რაც ამოძრავებს სიზმარულ ჭა-

ლას შორს, სასიმინდე ყანების იქით“.

სიზმრებისა და ოცნების ველის საიდუმლოს არაგვის ქარი ხდის საცნაურს: „სიზმრებში ხვეულს მეოცნებე გადაშლილ ველებს არაგვის ქარი საამურად აამეტყველებს“ (არაგვის ქარი).

იდუმალი ველი წარსული საუკუნის მოვლენებსაც აგრძნობინებს პოეტს: „აგე, იმ ველად, სადაც რამი და თუთუნია, როგორ მიგრძვნია, რანაირი საუკუნეა“ (აგე, იმ ჩრდილქვეშ).

„ცათა მდელოდან“ ევლინებიან გალაკტიონს ქრისტე, მარიამი, ანგელოზები, „ნანატრ ედემებში“ მთა და ველის ფონზე ესმის სიხარულის ღმერთის ხმა, როგორც დიდებული მომავლის უვერტიურა: „მესმის ბილიკთა სიხარულით გადანაზაფრი უვერტიურა“ (სიშორით შენით).

ღამის მზე უნათებს პოეტს, ლურჯ ბურუსში გახვეული ტყე-ველი წინაპარი მხედრის სიმღერას ასმენინებს და სამარადისო ძალით ავსებს ეს უცნაური გამოცხადება (თვალუწვდენელი, შორი, ვრცელი, დაუსაბამო).

მზიდან მოვლენილი, მზეზე მლოცველი, „ერთადერთი, მშვიდი, ფარული წიგნის“ ავტორი ველებში იჭერს არტისტი ქარის ხმას, ჭადრის გულმწარე შრიალს, არ ეკრძალება ქვეყნის კორიანტელებს და „ცეცხლიან აზარფეშით“ (მარიამის სიმბოლოა „აზარფეშა“) სვამს მზის (ღმერთის) სადღეგრძელოს (შემოდგომაა).

პოეტისათვის იმთავითვე მახლობელი ყოფილა „ველთა ხალისი“ და ბავშვობაშივე განუცდია ედგარისა და ნოვალისის გვერდით ყოფნა: „...ოდესმე, ჯერ ისევ ბავშვი, ვგრძნობდი, რა არის ველთა ხალისი და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“ (ის ადგილები).

ენერგეტიკულ ველზე სხვადასხვაგვარი ინფორმაციები ეძლევა ნათელმხილველს.

„ციერთა სოფლად“, „ცის დასავალის“ ვერცხლისფერ გზაზე, ვარსკვლავების სავალთან გაშლილი ველი ობლობის, პირამიდების მსხვრევის და ნანგრევების გამო ტკივილს აცხადებს (მზის ჩასვლა).

ლექსში „შენ რაღას იტყვი?“ წარსულის დაბინდულ საინფორმაციო მდელოზე მოჩანს და ცოცხლდება ქართველთა ტრაგედია 1956 წლის 9 მარტს, „ცრემლის წყარო“, ჭვარტლიანი ღამე, ვაზების კვირტისა და ლიახვის ზვირთის წუხილი, ისტორიის ჩრდილი, მზის მწუხარე ნათება.

„მთაში“ „შეტაკებები მკაცრი და მწარე ეფინებიან ველებს მზიანებს, გამოჭრილი აქვთ ყელები მინდვრებს, როგორც დაღუპულ ადამიანებს“.

ლექსში „მამული“ ნელი ნიავით იხსნება საინფორმაციო ველი და ვენახში სასხლავით ხელში მოჩანს ზეციური მამა – „მოხუცი მამა“ – ქრისტე.

საინფორმაციო ველი წარსულშიც იხსნება და ქრისტეს ჯვარცმისას ბაღში, მდელოში სიოს ავი სისინი და საშემოდგომო ნეშოს კვდომის მაცნე შრიალი ესმის პოეტს საქართველოში (მას გახელილი დარჩა თვალები).

„ველთა ზღაპარი“, რომელსაც მთვარიან ღამით ჰყვება სიო, ის იდუმალი ინფორმაციაა, მხოლოდ ერთეულები რომ იღებენ: „სიო, სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს მეუბნება“ (მე და ღამე).

ლექსში „საღამო“ ოდესღაც აყვავებული მინდორი მწუხარების საუფლო გამხდარა, გაზაფხულის სხივი, უკვდავების სახე გაუჩინარებულა: „გამოიცვალა სახე ნარნარი უკვდავების გამომხატველი, აწ გაზაფხულმა სულ დაკარგა ის ძველი ძალა, სხვაგვარის მწუხრით შებურვილია მთა, ტყე და ველი“.

სინანულს იწვევს მაისის ველის გახსენება: „მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა, სხვაგვარი ღელვით ღელავდა ველი, მაისი იყო, მთას მოჰხვეოდა ნაზ გაზაფხულის მთრთოლვარე ხელი“.

„გაზაფხული“ ღმერთის სახელია. რწმენას განუდგა კომუნისტური ეპოქა და ამით უარი უთხრა სიკეთეს, სიყვარულს, სათნოებას.შემოდგომის მდელოს დარდს უგზავნის ენკენისთვე: „ო, ენკენისთვე ეპარება დარდივით მდელოს“ (ფოთლების ლანდი). შემოდგომის მოლოდინს ამხელს „ჩაფიქრება მთა და ველის“.

ია-ვარდების, ზეციური ბედნიერების მოლოდინის ადგილიც ველია: „ველნი... გაფანტავს დარ-

დებს, იმ ია-ვარდებს და სილაჟვარდეს ტვირთად დაგადებს“ (მშვიდობის წიგნი).

ცნობილია, რომ ნათელმხილველ ვანგასთვის მხოლოდ გარკვეულ ადგილას და გარკვეულ დროს იხსნებოდა კოსმიური კავშირის არხი.

გალაკტიონის საინფორმაციო ველი ყოველთვის მშობლიური ადგილებში ამხელს საიდუმლოს.

„გადაფრენაში“ ლიხის კალთებს იქით გადაფენილი ველია, ფაზისის კიდეა ნათელხილვის ადგილი.

პოეტის ამქვეყნიური არსებობის სავანე – მთაწმინდა და ნარიყალაა იდუმალი ფიქრების მიგნების ადგილი: „ფიქრებით ძველით სუნთქავდა ველი, მთაწმინდა იგი და ნარიყალა“ (განთიადზე კი).

საოცნებო ველი სასურველი ჩრდილებითა და ქარაგმებით ხან არაგვის ნაპირია, ხან თუშ-ფშავ-ხევსურეთის ფონზე იწყება ცის გახსნის, უცნაური მოსვლის ბედნიერება (არაგვი).

სიზმრით და ოცნებით სავსე ველებს არაგვის ქარი აამეტყველებს და წარმოშობათა ცისფერ საიდუმლოს უამბობს, მომავალი აყვავილების ბედნიერ წამებს აზიარებს: „სიზმრებში ხვეულს მეოცნებე გადაშლილ ველებს არაგვის ქარი საამურად აამეტყველებს.. ღელავენ ველნი, ჯეჯილები და ყვავილნარი, ყვავილებს ოდნავ შეეხება ბაგეზე ქარი, რათა აიღოს და გადასცეს მსუბუქი მტვერი – წარმოშობათა საიდუმლო ნაზი, ცისფერი“ (არაგვის ქარი).

არაგვი, ალაზანი, მთაწმინდა, ფაზისი – საერთოდ მშობლიური ადგილებია – იდუმალთან, დაფარულთან ზიარების ადგილი.

„ციურთა სოფლის“ ველზე გადის პოეტის ვარსკვლავთსავალი გზა (მზის ჩასვლა).

ლექსში „როცა გარშემო ღამე ბნელია“ – უცხო მდელოს თეთრ ყვავილს – „უცხო ასულს“ – მარიამს მოელიან სანუგეშოდ და ოცნების თანაზიარად „მარადი ძმობილები“ – პოეტები საქართველოსი.

გალაკტიონი ირწმუნება, რომ „არის ნანატრი ედემები სიკვდილის სწორი მზე, მთა და ველის“...

პოეტის გზა ახალი ველიდან იწყებოდა და უარყოფდა რა ყოველივე დრომოჭმულს, აღთქმული მხარისკენ მიემართებოდა: „არის გზა, ჩვენგან არჩეული გზა გაქანებათა ახალი ველი, სადაც იწყება აღთქმული მხარე, სადაც ქვეყანა თავდება ძველი“.

„ბჰაგავად-გიტაში“ „ველის მეცნაური“ ეწოდება სამყაროს „ცოდნა-სიბრძნით დაუნჯებულებს“.

გალაკტიონი ჭეშმარიტად იყო „ველის მეცნაური“, უზენაესთან მიახლებული ნათელმხილველი, მისთვის მარადჟამს ყვაოდა იდუმალი ველი, გამუდმებით ეღვიძა მის საგაზაფხულო ველს მიწაზეც და ზეცაშიც.

ლია წურწუმია

კულტურის არსი

კულტურა ადამიანის შემოქმედებაა. ამიტომ კულტურა ადამიანის არსებობის პირველი დღიდანვე არსებობს, კერძოდ, Homo Sapiens-ის ე.წ. კულტურული ადამიანის გაჩენიდან, მაგრამ კულტურის თეორიული გააზრება სულ რაღაც 3 საუკუნეა არსებობს (ვგულისხმობთ, კულტურის შესახებ სისტემური ცოდნის აგებას). თუმცა ანტიკურ სამყაროში იყო აზრი, შეხედულებები კულტურულ მოვლენებზე – ადამიანის აღზრდაზე, ხელოვნებაზე, სულიერებაზე და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულტურაზე პირველი თეორიული ნაშრომი XVIII ს.-ის გერმანელ ფილოსოფოსს ჰერდერს აქვს: „იდეები კაცობრიობის ფილოსოფიის ისტორიისათვის“. ჰერდერისათვის კულტურის უპირველესი ნიშანია ენა, ადამიანის მიერ ცხოველის მოშინაურებაც. მისი მტკიცებით, ევროპელი ხალხების სამშობლოა აზია, ამიტომ კულტურის სამშობლოც აზიაა, ბერძნებმა დამწერლობა აღმოსავლეთიდან აიღეს. ჰერდერი პირველი დაუპირისპირდა „ევროპოცენტრიზმის თეორიას“. ჰერდერი არ იზიარებს კულტურის სწორხაზოვანი აღმავლობის თეორიას, მასში ადგილი აქვს აღმშენებლობასაც და ნგრევას, კულტურა მთებიდან გამოვარდნილი ჩანჩქერია, ჩვენ დროდადრო ვქანაობთ მარჯვნივ და მარცხნივ და ვეცემით, მაგრამ მაინც წინ მივდივართ.

თუ ციცერონმა კულტურის ცნებაში „აღზრდა“, „წვრთნა“ იგულისხმა, XVII ს.-ში სამოელ პუფენდორფმა კულტურის მთავარ ნიშნად ბუნებასთან დაპირისპირება იგულისხმა, ე.ი. ბუნებას უპირისპირდება კულტურა, როგორც მისგან განსხვავებული, ადამიანის მიერ შექმნილი. ამდენად, ადამიანის საქმიანობის პროდუქტად იქნა გაგებული კულტურა. ახალი დროის ფილოსოფიაში კულტურა ბუნებრივ მდგომარეობას დაუპირისპირდა, როგორც ადამიანის შექმნილი\, ბუნებასთან დაპირისპირების ნიშნად.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი იმანუილ კანტი (XVIII ს.) კი თავის ფილოსოფიას, როგორც სისტემას, ისე აგებს, რომ ადამიანი და კულტურა მთავარი პრობლემა გახადა. კანტი ახალგაზრდობაში ასტრონომიითა და მექანიკით იყო გატაცებული, ლექციებს კითხულობდა კენისბერგის უნივერსიტეტში სხვადასხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინაში. ფილოსოფოსობით უკვე ასაკში დაინტერესდა. 1781 წ. გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი „წმინდა გონების კრიტიკა“. (კანტი დაიბადა 1724 წ. გარდაიცვალა 1804 წ.) პირადი წერილებიდან მეგობარ შტეინდლისადმი ვიგებთ მისი ფილოსოფოსობის მთავარ მიზანს. „მთავარ კითხვაზე: „რა არის ადამიანი?“ პასუხის მისაღებად სამი ამოცანა უნდა გადამეჭრა: 1) რა შეიძლება ვიცოდე? რისი შემეცნება შეუძლია ადამიანის გონებას? ე.ი. გავარკვიო ადამიანის გონების შემეცნებითი შესაძლებლობა. 2) რა უნდა გააკეთოს ადამიანმა, რაა მისი მოვალეობა? 3) რისი იმედი უნდა ჰქონდეს ადამიანს? ეს სამი კითხვა მოითხოვს სამ ფუნდამენტურ წიგნს. მეც დავიწყე...“ პირველ კითხვაზე პასუხი საძებნია „წმ. გონების კრიტიკაში“. მეორე კითხვაზე პასუხი წიგნშია: „პრაქტიკული გონების კრიტიკა“, მესამე კითხვას პასუხი კანტის რელიგიისადმი მიძღვნილ შრომებშია და მესამე წიგნში „მსჯელობის უნარის კრიტიკა“, რომელშიც კანტი ადამიანის შემოქმედებით სფეროზე საუბრობს: ესთეტიკურ სამყაროზე, ესთეტიკურ გემოვნებაზე, ადამიანის შემოქმედებით თავისუფლებაზე, როგორც გენიოსის ხვედრზე. „გენიოსი ბედის ნებიერია“, – ამბობს კანტი. სწორედ კანტი უდებს სათავეს ადამიანის ფილოსოფიურ კვლევას და ეხება კულტურას, როგორც ადამიანის თავისუფალი ქმედების პროდუქტს. სწორედ კანტის ეპოქაში, ე.ი. XVIII ს-ში გაჩნდა სიტყვა Homo Sapiens, – რომელიც ადამიანს გონების მიხედვით განასხვავებს ცხოველისგან, აზროვნება (ფართო გაგებით — ცნობიერება) ადამიანის უპირატესობაა. XX ს.-მ ადამიანის აღსანიშნავად შემოიტანა სიტყვა Homo faber, – „მკეთებელი, საქმიანი ადამიანი“, ხოლო მოგვიანებით, ჰაიზინგა შემოიტანს ახალ ტერმინს „Homo laudens“ – „მოთამაშე ადამიანი“. ყველა ეს განმარტება სხვადასხვა ნიშნით ახასიათებს ადამიანს, საერთო კი ისაა, რომ ყველგან აქცენტი კეთდება ადამიანის გონიერებაზე. ადამიანი აქტიურია, იგი თავის გარშემო სინამდვილის, ბუნების გარ-

დაქმნას ცდილობდა ყოველთვის. მისი საქმიანობა კულტურულად შეიძლება ჩაითვალოს მიზანმიმართული, გეგმაზომიერი მოქმედების შედეგად. მაგრამ XIX ს.-ის ფილოსოფიაში, განსაკუთრებით საუკუნის ბოლოს, როცა ჰეგელის რაციონალიზმის საპირისპიროდ „სიცოცხლის ფილოსოფია“ შეიქმნა, როგორც მიმდინარეობა (ნიცშე, ფროიდი, შპენგლერი, შოპენჰაუერი, კირკეგორი), ყველა ასე არ ფიქრობდა.

კანტისა და ჰეგელის მიერ ადამიანის, როგორც კულტურის შემოქმედის, მთავარ ღირებულებად (უპირატესობად) გონიერების აღიარებას არ ეთანხმებოდა ნიცშე, რომლის აზრით, ადამიანი „ბუნების ხალტურაა“, ჯერ კიდევ „ჩამოუყალიბებელი ცხოველია“. ადამიანის ბუნება გაიგება ინსტიქტურ საფუძველზე, ამიტომ საჭიროა ადამიანი დაუბრუნდეს ბუნებრივი ინსტიქტების სამყაროს. ნიცშე თავის ცნობილ წიგნში „ტრაგედიის დაბადება მუსიკიდან“ „აპოლონური“ და „დიონისური“ საწყისების დაპიპისპირებაზე საუბრობს. შემოქმედებითი ცხოვრებისათვის დიონისური საწყისია — მეამბოხე, დაუმორჩილებელი. XX ს.-ის ევროპაში კი დიონისური საწყისი სრულად გამქრალია, მეტობს აპოლონური საწყისი, როგორც რაციოს საფუძველი, ამიტომ ადამიანი მეცნიერებას მიჰყვება, ტექნიკას აფეტიშებს, ზნეობის ნორმებს არღვევს, სულიერებას კარგავს. ეს კრიზისის მაჩვენებელია. XX ს.-ში სულიერების კრიზისზე საუბრობენ რუსი მეცნიერი ბერდიაევი, ევროპელი ოსვალდ შპენგლერი, ჰაიდეგერი, სარტრი და სხვ. მიუხედავად ადამიანის მომავლის სხვადასხვაგვარი გაგებისა, XX ს.-ის მოაზროვნეები შეთანხმდნენ, რომ ადამიანი სულიერების ძალით არის დამაგრებული ყოფიერებაში. ადამიანის სულიერება არის სწრაფვა სულიერი ღირებულებებისადმი. ღირებულებები ანუ ადამიანისათვის ფასეულობანი ხან მითოსში ვლინდებოდა, ხან რელიგიაში, ან ხელოვნებაში, ხან მეცნიერებაში. ეს უმეტესად სულიერი ღირებულებები იყო, რასაც კულტურას ვუწოდებთ. კულტურის ისტორია ადამიანის აზროვნების ამოქმედების დღიდან დაიწყო. როგორი იყო ეს გზა? დავიწყოთ თავიდან. ადამიანის, როგორც „ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილის“, განსაკუთრებულობა ქრისტიანობამ აღნიშნა. ადამმა და ევამ დაკარგეს სამოთხე, დაიწყეს ცხოვრება საკუთარი შიშით, რისკით და ცდილობდნენ შეექმნათ ახალი სამოთხე მიწაზე. მაგრამ ამისათვის მათ არ ჰქონდათ მატერიალური, ენერგეტიკული, სულიერი რესურსები. ბიბლიიდან ცნობილია, თუ რამდენჯერ დაარღვია ადამიანის მოდგმამ კეთილი ნება და წინ აღუდგა ღმერთს თავისი ცოდვებით. ღმერთმა მოუვლინა სოდომი და გომორი, ბაბილონის გოდოლის ნგრევა, წარღვნა, შემდეგ თავისი ვაჟი — ქრისტე — გამოუგზავნა ადამიანს ცოდვების გამოსასყიდად. მაგრამ ქრისტეს მოვლინება ნიშნავდა, თუ როგორ დაემკვიდრებინათ სამოთხე — სიმშვიდე და ჰარმონია — დედამიწაზე. ეს იყო სიყვარულზე აგებული ურთიერთობა ადამიანებს შორის. შუა საუკუნეებში ქრისტიანული მორალით მოაწესრიგეს ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობა. ადამიანის ღვთის ხატად და მსგავსად გამოცხადებამ ადამიანს ამაღლების, სულიერი განწმენდის გზა აჩვენა. შემდეგ მოვიდა რენესანსი აღმოსავლეთით და დასავლეთითაც. რენესანსის ადამიანი ცდილობდა ღვთის იმედით და ხელდასხმით, საკუთარი ძალებით იდეალები რეალობად ექცია. იდეალს ჰქმნიდა და რეალობას სასურველ, ჯერარსულ სიბრტყეში წარმოიდგენდა. მაგრამ რენესანსულმა მსოფლმხედველობამ მალე კრიზისი განიცადა, იგი ელიტარულ, მხოლოდ შემოქმედებით სფეროში გავრცელდა. ამ მსოფლმხედველობამ ვერ მოიკიდა ფეხი სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ ინსტიტუტებში, იგი ვერ გახდა სოციალურ ფენებში პოპულარული.

ახალმა დრომ (XVII ს-დან) ევროპაში გააცნობიერა, რომ სამოთხის აშენება მიწაზე არ შეიძლება მხოლოდ სულიერი სიმაღლიდან, ამისათვის საჭიროა მატერიალური ფუნდამენტი, ამიტომ უნდა განვითარდეს ვაჭრობა, აღებ-მიცემობა, მრეწველობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. სწორედ ამას მოწმობს ბეკონის ფრაზა „ცოდნა ძალაა“! ან დეკარტე: „ადამიანი არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი აზროვნებს (დეკარტე). აზროვნება და მით მოპოვებული ცოდნა, - აი, ძალა, რასაც უნდა გადაერჩინა ადამიანი, რომ იგი ბუნების თავისუფალი მეფე გამხდარიყო. სპინოზა იტყვის: თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა — სწორეს ეს იდეა აიტაცეს განმანათლებლებმა. მათი აზრით, სამყაროს გარდაქმნას საფუძვლად უნდა დაედოს არა ღირებულებათა იერარქიის სქემა (ადამიანებს არ ძალუძთ ჩაწვდნენ ამ სქემას, რადგან იგი მხოლოდ ღმერთისთვისაა მისაწვდომი), არამედ ადამიანის გონების მოსაზრებულობანი, გონება და ცნობიერება. ასეთი ხედვა ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის რაციონალიზმია, რომელიც პრაგმატულ გაანგარიშებას გამოხატავს. სად მიიყვანა ადამიანი გონების კულტმა? – „ღმერთის სიკვდილთან“, XX საუკუნის ფაშიზმთან, საბჭოთა ინკვიზიციასთან, სიცოცხლის გაუფასურებამდე. რატომ იყო

ჰარმონიული ელადის სულიერი კულტურა? იგი იკვებებოდა მოწესრიგებული, ჰარმონიული, კეთილ კოსმოსზე წარმოდგენით, რომელიც მითოსური წესრიგიდან იღებდა სათავეს. ყველაფერი ღმერთზეა დამყარებული. ამაზე პასუხს პლატონთან მივიღებთ. მისი ე.წ. ესთეტიკური ტრიადა, რომელშიც ყველა ღირებულება — გნოსეოლოგიური, ესთეტიკური, იგივდება ზნეობრივთან — სიკეთესთან. რენესანსმაც აიტაცა ეს ტრიადა, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ თავისუფლების სფეროში — ხელოვნებაში – შეძლო. რენესანსმა იდეალი მოგვცა ამქვეყნად სამოთხისა, ციური კოშკები ააგო იმის მანიშნებლად, თუ რა შეუძლია ადამიანს, რა პოტენციალი აქვს ადამიანს, თუკი მას აუცილებელი მატერიალური, სოციალური, ეკონომიკური საშუალებები ექნებოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რენესანსმა გეგმა მოხაზა, მაგრამ საშუალებები არ აღმოაჩნდა, სწორედ ამაშია მისი ტრაგიზმი, ტიტანიზმის მსხვრევა, პესიმიზმი. რენესანსმა ჭკუა ასწავლა კაცობრიობას, რომ ადამიანური კულტურის შენობის აშენება არ შეიძლება სახურავიდან, იგი საძირკვლიდან უნდა დაიწყო.

ასე რომ, კულტურის ასაშენებლად ადამიანს სჭირდება როგორც მიზნობრივ-იდეალური, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ ღირებულებათა იერარქიის გათვალისწინება. სულიერი და მატერიალური მხარეების სინთეზი კულტურაში სულიერების პრიმატით გამოვლინდება. სულიერებამ თუ არ გადაწონა მატერიალური, კულტურა დაიღუპება, კრიზისი დაუდგება. სწორედ ამიტომ ამბობს შპენგლერი — ცივილიზაცია კულტურის კვდომაა.

კულტურა შემოქმედებითი პროცესია, ადამიანის სინკრეტული მოღვაწეობის შედეგი. ადამიანის მოღვაწეობა 5 სახისაა: 1) შემეცნებით-ინფორმაციული, 2) შეფასებით-ღირებულებითი, 3) პრაქტიკულ-გარდაქმნელი, 4) კომუნიკაციური, 5) მხატვრულ-შემოქმედებითი. ადამიანის მოღვაწეობის ყველა ეს სახე მისი ფსიქიკის შემდეგ უნარებს ეყრდნობა: 1) შემეცნებითი — აზროვნების უნარს, 2) შეფასებით-ღირებულებითი — განცდა-გრძნობას, 3) პრაქტიკულ-გარდამქმნელი — წარმოსახვას, ფანტაზიას, 4) კომუნიკაცია — სხვისკენ სწრაფვის უნარს, 5) მხატვრულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უნარს მოითხოვს: აზროვნებას, განცდას, წარმოსახვას, კომუნიკაციას.

ადამიანის მოღვაწეობის კულტურული სტატუსი მისი თავისუფალი შემოქმედებითი არჩევანით გამოიხატება. ეს მოღვაწეობა არის არა ინტუიციური — ინსტიქტური, დაპროგრამებული გენეტიკურ-მემკვიდრეობით, არამედ შეგნებული, მიზანდასახული. იდეალის შესაბამისი ადამიანის კულტურული მოღვაწეობა გულისხმობს: ადამიანმა გააკეთილშობილოს თავისი სოციალური გარემო და ამასთან ერთად თავისი თავიც. ამისი მაგალითი ისტორიამ იცის, მართალია, XIX ს-მდე ადამიანი არ იყო მზად აქტიურად დაპირისპირებოდა საზოგადოებას, როგორც ინდივიდი, პიროვნება, ფილოსოფიამ მკვეთრად სწორედ ამ საუკუნეში გახსნა პიროვნების შინაგანი სამყაროს საიდუმლოებანი — ეს რომანტიზმმა გააკეთა, მაგრამ ამისათვის ნიადაგი რენესანსმა მოამზადა — რენესანსი იყო პირველი კულტურული რევოლუცია ადამიანის მსოფლმხედველობაში, როცა აღმოაჩინა „ადამიანი ადამიანში“. რენესანსმა გაამძაფრა ევროპული კულტურის გეზი პიროვნული თავისუფლების აღიარების თვალსაზრისით — ესაა შემდეგ გამოხატული დეკარტესთან, „მე ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“, ჰამლეტის რეფლექსებში, რემბრანდტის ავტოპორტრეტებში, ბერკლის სუბიექტურ იდეალიზმში, რუსოს „აღსარებაში“.

ღმერთი — ადამიანი — ცხოველი. ამ ტრიადაში კულტურა მხოლოდ ადამიანს სჭირდება, იმიტომ, რომ ადამიანი ქმნის კულტურას. ღმერთი ყოველ კულტურაზე მაღლაა, ცხოველი კულტურის მიღმაა, ადამიანს კი თავისი არასრულფასოვნების, არასრულყოფილების გამო შემოქმედებითი ძიება აურჩევია. შემოქმედებით საქმიანობაში იგი თავის არსებასაც ქმნის. მაძიებლობისათვის მას ნება და გონება ებოძა. სადაც ადამიანია, იქ კულტურაა. ადამიანის სასიცოცხლო მიზანი სწორედ კულტურულობისკენ სწრაფვაა — რაც შეიძლება ჩამოირეცხოს ბიოლოგიური წარმონაქმნები და მეტი სულიერებით შემოქმედებითი გარემო შექმნას. კულტურა მაშინ ცოცხლობს და ფუნქციობს, თუ მას გამოიყენებენ და გამომყენებელიც მხოლოდ ადამიანია. ისტორიული კულტურები იღუპებიან და ქრებიან ძირითადად ორ შემთხვევაში: 1) როცა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად ხდება არსებული კულტურული ღირებულებების მსხვრევა და გადაგვარება — გადაგვარებულ კულტურას ვერ გამოიყენებ, რაც მის კვდომას იწვევს; 2) როცა კულტურის რეალიზატორი ხალხი თვითონ ქრება პირისაგან მიწისა, ასპარეზიდან ქრება და მის მიერ შექმნილი კულტურული ძეგლები, სამუზეუმო ექსპონატებად რჩება მხოლოდ. კულტურა დროში იქმნე-

ბა. კულტუროლოგიური დრო განსხვავდება კოსმოლოგიური დროისაგან. კოსმოლოგიური დროის ნაწილებს შორის (აწმყო, წარსული, მომავალი) არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, კულტუროლოგიურ დროში კი ღირებულებითი კავშირია, თუმცა ორივე გულისხმობს მემკვიდრეობითობას. დროში განხორციელებული კულტურა ისტორიას ქმნის.

კულტურის სუბიექტი არის ადამიანი, რომელიც საზოგადოების, ერის წარმომადგენელია. ამიტომ კულტურას ქმნის მთელი საზოგადოება, მთელი ერი. ადამიანის ცხოვრების საზრისის შესახებ რამდენიმე კონცეფცია არსებობს:



ადამიანი, როგორც სამყაროს ორგანული ნაწილი, მოკვდავია, მაგრამ უკვდავია თავისი საქმეებით, შემოქმედებით ადამიანთა ხსოვნაში. ადამიანი ტრიალებს საზოგადოებაში. საზოგადოება ესაა ადამიანების ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები, მთლიანი, ერთიანი სისტემა, რომლის განვითარებაზე მოქმედებს გეოგრაფიული ფაქტორი, დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური, ეროვნული და სხვ. საზოგადოების ცნება არ ემთხვევა სახელმწიფოს ცნებას. სახელმწიფო იძულების აპარატია, იგი პოლიტიკური ორგანიზაციაა.

კულტურა საზოგადოებაში არსებულ ინსტიტუტებს, საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ზნეობრივ, რელიგიურ, ესთეტიკურ, შემეცნებით და სხვა სახის შეხედულებებს მოიცავს. კულტურის ეს შემადგენელი ნაწილები მოქმედებენ მის განვითარებაზე. ეს ზემოქმედება სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე სხვადასხვაგვარია. მაგალითად, შუა საუკუნეებში კულტურის განვითარებაზე მთავარ ზეგავლენას რელიგია ახდენდა, ეგვიპტური კულტურაც რელიგიამ შექმნა.

კულტურა არის სულიერი, მატერიალური, სოციალური.

მატერიალური კულტურა მაჩვენებელია ადამიანის მიერ ბუნების ათვისების პრაქტიკული დონისა. სულიერი კულტურა არის ადამიანის სულისა და გონის მთელი სიმდიდრე. კულტურას ყოფენ დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებად. XX ს-ში წინა პლანზე გამოდის „კულტურათა დიალოგის“ თემა. კულტურის მორფოლოგიური სტრუქტურა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: მატერიალური, სულიერი და სოციალური. თითოეულ სახეში შესაბამისი ღირებულებაა განხორციელებული. მატერიალური კულტურა ადამიანის მატერიალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. იგი იმ საგანთა ერთობლიობაა, რომელიც ადამიანის არსებობის საშუალებას წარმოადგენს, იგი ადამიანის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდება.

სულიერი კულტურა ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ეს უმთავრესად ხელოვნება, მეცნიერება, რელიგია და ზნეობაა. უმაღლესი სულიერი ღირებულებები იდეალის სახით ჯერ კიდევ პლატონმა წარმოგვიდგინა თავის „იდეების თეორიაში“ სიკეთე, მშვნიერება და ჭეშმარიტება — ამ იდეებიდან (ასე უწოდებს პლატონი), ყველაზე მთავარია სიკეთე. მშვენიერება, სიკეთე, ჭეშმარიტება მიზანღირებულებებია, რომლებიც ადამიანს აიძულებენ, მოუწოდებენ

თავიანთი უნარები მათ განხორციელებას მოახმარონ. ასეთ ღირებულებებს უნივერსალურს ეძახიან და მათ განხორციელებას ადამიანი მიმართავს მითოსში, ხელოვნებაში, ზნეობაში, რელიგიაში, მეცნიერებაში. სოციალური კულტურა საზოგადოებრივ ურთიერთობაში ვლინდება — შრომით, პრაქტიკულ საქმიანობაში. სოციალურ კულტურაში შედის საზოგადოებრივი მოვლენების, დაწესებულებების, ინსტიტუტების ერთობლიობა, საზოგადოებრივ-სოციალური ურთიერთობანი: გენდერული, ოჯახური, ნათესაური, პატრიოტული და სხვ. სხვადასხვა ერს განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ერთი და იმავე მოვლენებისადმი. მაგალითად, თუ ქრისტიანისათვის ოჯახი, ერთცოლიანობა, ქორწინება ჯვრისწერით მაღალ ღირებულებას წარმოადგენს, სხვაგან საპირისპიროა. კულტურაში არის რაღაც ცვალებადი და რაღაც მუდმივი. ამას კარგად აჩვენებს ტრადიციისა და ნოვაციის დინამიკა, აჩვენებს ღირებულებათა მონაცვლეობა დიაქრონულ და სინქრონულ ჭრილში.



ამ სქემიდან ჩანს, რომ ადამიანი ერთდროულად ბუნების ნაწილია და საზოგადოებისაც. იგი ბიოსოციალური მოვლენაა, იგი წარმოქმნის მესამე სფეროს კულტურას. მაშინ ასეთ სქემას მივიღებთ:



ადამიანი ბუნების საპირისპიროდ კულტურას ქმნის ორი ასპექტით: უტილიტარულითა და ესთეტიკურით. ეკოლოგიური გარემოს კულტურიზაცია სარგებლობის მიზნით უტილიტარიზმია, ბუნების „შელამაზება“ კი ესთეტიზმია. კულტურა ადამიანმა თავისი შემოქმედებითი ძალებით შექმნა, მოახდინა თავისი გონითი ღირებულებების რეალიზაცია იმისათვის, რომ გამიჯნულიყო ცხოველთა სამყაროსგან. რა არის მთავარი, რითაც მიაღწია ადამიანმა კულტურაში ჩაექსოვებინა თავისი ჩაექსოვებინა თავისი შემოქმედებითი უნარები? ესაა სულიერება. ამიტომაც სულიერება არის კულტურის პირველი მახასიათებელი ნიშანი.

სულიერება ადამიანის ინდივიდუალობას უკავშირდება. რენესანსი იყო ის პირველი კულტურული რევოლუცია ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობაში, რომელმაც მსოფლმხედველობრივი გადატრიალებით სულიერება წამოაყენა ადამიანის შემოქმედებითი პროდუქციის განმსაზღვრელ ნიშნად.

კითხვა: თუ რა არის სულიერება? — ძალზე რთულია. მასში არ მოიაზრება მხოლოდ გრძნობადემოციური მხარე ადამიანისა. სულიერება არც თვითმოძრაობის გამომხატველია (ამ ნიშნით ცხოველით თვითმოძრავია, ე.ი. სულიერია?) სულიერება ისეთი მაღალი ინსტანციაა, რომელიც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს და მის ცნობიერებით თავისებურებას გულისხმობს.

ადამიანის სპეციფიკა სწორედ მის ცნობიერებაშია, რომლის უნარები ცალ-ცალკე კი არ მოქმედებენ, არამედ ერთდროულად. ამიტომ სამივე უნარი აძლიერებს ადამიანის აქტივობას. აი, სწორედ ეს უბიძგებს მას ახალი ღირებულებების შექმნისაკენ. შემოქმედებითი აქტივობა ადამიანის თავისუფლებას გულისხმობს. ამიტომ თავისუფლება არის კულტურის წინსვლა-განვითარების მაორიენტირებელი. კულტურა შემოქმედებითი შრომაა, ახლის, ჯერაარსებულის შექმნაა. ჩვეულებრივი შრომა

ადამიანის ვიტალურ, უტილიტარულ, ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. შემოქმედებითი შრომა კი, რომელიც ახალს, მანამდე არარსებულს ქმნის, კულტურას ქმნის. კულტურა სულიერ ღირებულებაზეა ორიენტირებული.

ღირებულება გარკვეულ შეფასებასა და არჩევას გულისხმობს. არჩევანი კი თავისუფალი ნების ნიშანია. ამრიგად, ღირებულებითი მიმართება თავისუფლებასთან არის კავშირში. კულტურის დონის კრიტერიუმად გამოცხადებულია არა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკური აღმავლობა, სოციალური გამოცოცხლება, არამედ თავისუფლება ანუ არჩევანის უფლება.

კულტურა ღირებულებაში განხორციელებული ადამიანის შემოქმედებითი უნარებია.

ღირებულების ცნება პირველად ეკონომისტებმა იხმარეს — ინგლისელმა ეკონომისტებმა: ადამ სმიტმა და დავით რიკარდომ. შემდეგ მარქსმა შემოიტანა იგი თავის „კაპიტალში“ „ზედმეტი ღირებულების“ ცნებაში. ფილოსოფიაში XIX ს.-ში 1882 გერმანელმა ფილოსოფოსმა ლოტცემ შემოიღო. ღირებულების თეორია, როგორც ფილოსოფიის ნაწილი, დღეს „აქსიოლოგიად“ იწოდება. თვითონ ღირებულების ცნების შინაარსი ანტიკურ სამყაროში კარგად ესმოდათ. მაგალითად, პლატონის ფილოსოფია მთლიანად ეთიკურ ღირებულებას, „სიკეთეს“ ემყარება. პლატონმა დაასახელა სამი უმაღლესი ღირებულება — სიკეთე, ჭეშმარიტება და მშვენიერება — რომლებსაც იდეას უწოდებს და თვლის, რომ ეს სამი – „ესთეტიკური ტრიადა“ – უმაღლესი იდეაა, რომელიც მხოლოდ გონებით მისაწვდომია, რადგან მაღლა იდეათა სამყაროშია მოთავსებული. ტერმინს „აქსიოლოგიას“ ბერძნული სამყარო არ იცნობს, იგი XX ს.-ში ვინდელბანდმა შემოიტანა შეფასების თეორიის სახელწოდებად.

რა არის ღირებულება? ის, რაც მხოლოდ ადამიანისთვის მნიშვნელობს, რაც საზრისეულია, საზრისს კი ადამიანი ანიჭებს ამა თუ იმ საგანს, მოვლენას. ღირებულება ფაქტი არაა, ღირებულება არც საგნის რომელიმე თვისებაა, ფერი ან ფორმა. ღირებულება არ დაიყვანება საგანზე, იგი იდეალურსა და რეალურს შორის არსებობს, ღირებულება საგანს ენიჭება ადამიანისგან იმ მნიშვნელობის გამო, რაც ამ საგანს აქვს ადამიანისათვის. რიკერტის სტატია: „ცხოველის ღირებულებანი და კულტურის ღირებულებანი“ ასხვავებს ღირებულებებს და კულტურის ღირებულებათა შორის უმაღლესად რელიგიურ ღირებულებებს მიიჩნევს.

ღირებულების საკითხს სხვადასხვა ფილოსოფიური დისციპლინა განიხილავს როგორც შეფასების ობიექტს: ფილოსოფიის ნაწილი — აქსიოლოგია — ღირებულების არსებას, რაობას არკვევს. ესთეტიკა ესთეტიკურ ღირებულებას — მშვნიერებას, მისი გამოვლენის ფორმებს სწავლობს. ეთიკა — ზნეობრივ ღირებულებებს, რომელთაგან უმაღლესი სიკეთეა, მაგრამ არის სხვა ღირებულებებიც ეთიკური შინაარსის (სათნოება, სიმამაცე, ბოროტება და სხვ.) ღირებულება მხოლოდ დადებითი შინაარსის არაა.

ღირებულებათა გარკვევისას უნდა გავიხსენოთ: ადამიანს სინამდვილესთან ორგვარი დამოკიდებულება აქვს: 1) შემეცნებითი — აინტერესებს რა არის ეს საგანი? 2) შეფასებითი — როგორია ეს საგანი ადამიანთან მიმართებაში? — კეთილია თუ ბოროტი, მახინჯი თუ ლამაზი. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანს აინტერესებს არა მარტო გაარკვიოს თავისი შემეცნებითი მიმართება სამყაროსთან, არამედ შეფასებითიც. გავიხსენოთ, რომ ფილოსოფიის წარმოშობის პირველი დღიდანვე კოსმოსისადმი მიმართული იყო ეს ორი მიმართება — შემეცნებითი და შეფასებითი. ადამიანი არის შემმეცნებელი და შემფასებელიც. შეფასების მომენტში ადამიანი საგნებსა თუ მოვლენებს მოწონების ან დაწუნების პოზიციებიდან აფასებს.

კულტუროლოგია ღირებულებას განიხილავს, როგორც კულტურის მაორიენტირებელ ძალას. ნ. ჭავჭავაძე წიგნში „კულტურა და ღირებულებანი“ კულტურას განსაზღვრავს როგორც განხორციელებულ ღირებულებას. კულტურა არის ღირებულების სახით რეალიზებული ადამიანის გონი.

ღირებულებასთან დაკავშირებით საინტერესოა იმანუილ კანტის მაგალითი: კანტს მოაქვს ორი მსჯელობა მაგალითად: ვარდი წითელია და ვარდი მშვენიერია. პირველ შემთხვევაში მსჯელობა ლოგიკურია და იგი ცოდნას იძლევა საგნის ფერის შესახებ. მეორე მსჯელობა კი შეფასებითი ანუ ესთეტიკურია, იგი ადამიანისათვის ვარდის სილამაზის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ამ მსჯელობაში ვარდის ღირებულება ჩანს. მადენად, ღირებულება საგნის მნიშვნელადი მხარეა. კულტურა საზოგადოებაში იბადება ღირებულებების სახით.

ღირებულებების სახით რეალიზდება ადამიანის გონითი შესაძლებლობები კულტურაში. კულტურის ელემენტები დროსა და სივრცეში არსებობენ, ქმნიან მემკვიდრეობით ღირებულებებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა ისტორიის მანძილზე, მას შეიძლება „ლოკალური კულტურული

უნივერსალიები“ ვუწოდოთ, რადგან ისტორიის მანძილზე არ იკარგებიან და ყველა ეპოქაში მუშაობენ, როგორც კულტურის ფენომენები ერთი ერის არსებობის მანძილზე და ამ ერთი ერის შიგნით (მაგალითად, ვაზის კულტურა, ქართული სუფრის კულტურა, ოჯახური ტრადიციები, მუსიკალური მრავალხმიანობა). ლოკალური „კულტურული უნივერსალიების“ არსებობას განაპირობებს ე.წ. „კულტურული არეალის“ არსებობა. ასეთი კულტურული არეალი იყო ძველად ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურული არეალი, სადაც სამი ტიპის კულტურა ჩამოყალიბდა: ეგვიპტური, შუამდინარეთისა და ანტიკურ-ბერძნული. ამ კულტურათა შორის მსგავსების ნიშანი ძნელი შესამჩნევია თანამედროვე დონეზე. ეგვიპტური კულტურა ჩაკეტილი კულტურაა, მიუხედავად ამისა, შუამდინარეთის გამოვლით იგი ევროპულშიც შემოვიდა. მაგალითად, „ოქროს კვეთის“ პრინციპი.

შუამდინარეთმა ერთგვარი ხიდის როლი შეასრულა ეგვიპტურსა და ევროპულ-ბერძნულ კულტურათა შორის. უფრო მეტი მსგავსება არსებობს ე.წ. ღია კულტურებს შორის (ისეთები, რომლებიც გავლენას ახდენენ მეზობელ კულტურაზე), მაგალითად, ხმელთაშუა ზღვის რეგიონის კულტურებში მსგავსების საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქართულ მუსიკალურ მრავალხმიანობასა და სარდინულ მუსიკალურ მრავალხმიანობას შორის მსგავსება. ასეთი მსგავსების საფუძველზე შემუშავდა ე.წ. „კულტურული უნივერსალიები“. ამ ცნებაში იგულისხმება ის ნორმები, ღირებულებანი, წესები, ტრადიციები, რომლებიც ყველა კულტურას ახასიათებს მსოფლიო მასშტაბით, მიუხედავად გეოგრაფიული განსხვავებულობისა, ისტორიულად ცვალებადი დროისა.

ადამიანის ფილოსოფიური ბუნება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვაგვარად იყო გაგებული. ამის შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, ახლა ადამიანი კულტურასთან მიმართებაში განვიხილოთ.

დავეთანხმოთ არისტოტელეს, რომ ადამიანი ბიო-სოციალური არსებაა („პოლიტიკური ცხოველი“ – არისტოტელე). იგი ცნობიერებით განსხვავდება სხვა სულიერი არსებებისგან სამყაროში. მაგრამ ეს არაა მთავარი, ადამიანის განსაზღვრების ყველაზე მართებული ფორმა XX ს.-ში შემუშავდა: ადამიანი კულტურის შემომქმედია. იგი ქმნის მიზანდასახული საქმიანობის შედეგად (რაც ცნობიერების დამსახურებაა) მეორე სინამდვილეს, ბუნებისაგან განსხვავებულს. კულტურა მისი შრომის პროდუქტია, შემოქმედებითი შრომის პროდუქტი. ადამიანი ახალს ქმნის, რომ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება. ამას აკეთებს როგორც ბარბაროსული, ისე კულტურული ფორმით, მთავარია როგორია მისი ღირებულებითი ორიენტაცია რა ღირებულებებს სცემს პატივს.

კულტურის შემოქმედი ადამიანისათვის აუცილებელია თავისუფლება ანუ არჩევანის უფლება. თავისუფლების ცნების უამრავი განსაზღვრება შეიძლება დასახელდეს: სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ეროვნული, სოციალური და ა.შ. არც ერთი განსაზღვრება არ არის სრული. დავიწყოთ იქიდან, რომ ადამიანის თავისუფლება უწინარესად მოქმედებაში ვლინდება. ფიზიკური შეზღუდულობა არ ნიშნავს, რომ ადამიანი არაა თავისუფალი. თავისუფლება ნების არჩევანია, რაც შინაგან თავისუფლებას გულისხმობს. პატიმარი, საკანში გამომწყვდეული, შესაძლოა, შინაგანად თავისუფალი იყოს, ანუ სწორი არჩევანი გააკეთოს ღირებულებათა შორის: არ უღალატოს საკუთარ მრწამსს, არ გასცეს მეგობარი, არ უღალატოს სამშობლოს და ა.შ. მსგავსი მაგალითებით სავსეა მსოფლიო ლიტერატურა. ცხოველი შეზღუდულია თავისი მოთხოვნილებებით, მას არ აქვს ნება, ე.ი. ცნობიერება. რენესანსის პერიოდის მოაზროვნე, იტალიელი პიკო დელა მირანდოლა (XVI ს.) თავის ტრაქტატში „ღირსების შესახებ“ წერს ღმერთის სახელით: „მე შენ შეგქმენი სხვა სულიერი არსებების მსგავსად, მათგან განსხვავებით მოგეცი მხოლოდ არჩევანის უფლება — ნება. შენ შესაძლოა მატლივით იხოხო მიწაზე და ბოროტებას ემსახურო, შეგიძლია ჩემამდე ამაღლდე. ეს შენი არჩევანია“, – მიმართავს ღმერთი ადამიანს. გენიალური შემოქმედი შინაგანად თავისუფალია, რომელიც მას აძლევს უფლებას მიუხედავად არახელსაყრელი სოციალური ვითარებისა, იდეოლოგიური წნეხისა, თავის შემოქმედებით პრინციპებს არ ღალატობს, ქმნის მიუხედავად აკრძალვისა, შეზღუდვებისა. ასე იყო ისტორიულად განსხვავებულ ეპოქებში, მონათმფლობელურში, შუა საუკუნებში თუ XX საუკუნეში. გავიხსენოთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და მისი გმირი არსუკიძე... ფირდოუსი, პუშკინი, რუსთაველი, გალაკტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი.

დასასრული შემდეგ ნომერში

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

პრეზიდენტური სიყვარული

მრავალმა წელმა და წყალმა გადაიარა ჩემს უცნაურ ლიტერატურული ცხოვრების კალოზე. სენსაციური რა არ შემხვედრია, მაგრამ ხალხს, დიდს, პატარას, ქალს, კაცს, ერთი ქალი ასე უყვარდეთ, ასეთიც არა მსმენია..

ისიც სათქმელია, რომ ხალხის სიყვარულს ვერა რეგალიანნი სურვილისამებრ ძალოსნობით ვერ ითანიებენ, რადგან მათი სურვილი და ნება უზენაესი, მიუწვდომელი და თუნდაც ამოუწურავ შეუსწავლელი რომაა, რის სამტკიცებლად მათს სასიყვარულო, პატივსაცემ პირვნებას დავასახელებ, რომლის ძალოსნობის მთელი ავლადიდება, მცირე საცხოვრებელი, კურთხეული კალამი, შვილურჩენელი სევდა და სწორედ ხალხის განუზომელი, ხალასი სიყვარულია. თუმცა პრეზიდენტია, მაგრამ არა ქვეყნიერების სარჯულებელ-სათვინიერებელი რეგალიისა, არამედ იმ მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიისა, რომელიც მსოფლიო პიროვნების, ვოიაჟ ჯუმბერ ლეჟავას სახელს ატარებს და როლმის კარიც ყველა სეგმენტის მეცნიერისათვისაა ღია.

ჯკანონი უზენაესია, მეტადრე იმ სიყვარულისა, რაც დღევანდელი კომპიუტერული ეპოქის, უმაღლესი განვითარებისა და განათლების ბომონდისა ანუ პარნასისაა, ვინც სიყვარულს და თაყვანს მიაგებს პრეზიდენტს, პოეტ გულნაზ ხარაიშვილს, თანაც მარტო ზეპირ სიტყვიერად კი არა, ისეთ წყალგაუვალ დოკუმენტით, რომელსაც მსოფლიო აღმაფრთოვანებელი, ქარიზმატული მუხტის ლექსი ჰქვია, ადამიანებს დაბადებიდანვე ანუ ენაჩლიქობიდანვე რომ ასწავლიან და რომლის წერაც თითქმის ყველა წიგნიერს გიჟმაჟობის პერიოდში მაინც რომ უცდია.

ბოლო ორმოცდაათიოდე წლის განმავლობაში, ხუთ უგვირგვინო მეფის გვარად, (თანაც მათივე თქმით ლეკვი ლომისა რომაა სწორი,) მესიტყვე ქალ მეფეთა შორის რამოდენიმე სახელდება: ანა კალანდაძე, მარიკა ბარათაშვილი, მაყვალა გონაშვილი, ნაზი კილასონია, მედეა კახიძე, გულნაზ ხარაიშვილი. ისინი, ვინც ბოლო წლების ნაციონალური ლიტერატურის ჭაპანს ღირსეულად ეწეოდნენ და ეწევიან.

ამჯერად, ერთ-ერთ თანამედროვე ხალხისგან, მეფედ აღიარებულ, თავმდაბალ, შავსამოსა (მამა ამირან ამირანაშვილი: მძიმედ მოისხავ შავ მანდილს მხრებზე, / ვეფხვის დედასთან ადიხარ ღამით, / შვილმკვდარნი ერთურთს მიუსამძიმრებთ, / ღამის კოშმარი მთავრდება ამით,) პოეტ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილზეა აქცენტირება, არამარტო მისი პირადი პატრიოტული შემოქმედების ანუ ათიოდე დასტამბული პოეტური კრებულის გამო და ან ბრწყინვალე „ათინათის“ და ანთოლოგიის რედაქტირების გამო, არამედ უმაღლესი ცოდნის, სიკეთის თესვის, მოზომილი სიტყვის, ენციკლოპედისტობის და სხვა მრავალ კურთხეულ-ღირსეულ ქმედებისთვის, მადლიერმა ხალხმა იმდენი საპოთეოზო, საფეტიშო ლექსი მიუძღვნა, რომ ყველას მაგალითად მოყვანა გამორიცხულიც კია, თუმცა ზოგ მათგანს გვერდს ვერ აევლება და რომელიც მარტო ლექსად კი არა, პროზადაც რომაა წარმოჩენილი. შეუძლებელი ისიცაა ამ ხალხის აზრის კონცენტრაცია დაიყოს ჟანრებად ვინ მეფეს, ვინ ღმერთს, ცოდნის მოძღვარს, სითბოს და სიყვარულის მრფქვეველს, სამშობლოს მოყვარულ გმირს, დედოფალ გულნაზის, ხალხის მალამოს, დილის მზის ცვარს, ვინ მზეს და ყვავილს ადარებს, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ჩოქვით შემოსავლელი საქართველო ყვავილების, მზის და მელექსეთა ქვეყანა რომაა, სულ რომ არ დავასახელო საგურამოელი, ქუთათური, ფშავი, მესხი თუ სხვა უამრავი მელექსეები.

თუმცა კია, როგორც ის არ არსებობს ხალხს რაიმე ძალით ათქმევინო, არც ის ძალა არსებობს სათქმელი დააშლევინო.

სწორედ ამიტომ მოვიყვან ნაწილობრივ მაინც მათგან ნათქვამ მაგალითებს:

აი რას ღაღადებს ახალგაზრდა პოეტი ქეთევან ნათელაძე ლექსში „ხუთი მაისია“ : / და თქვენ სულ სხვას უმზერთ ლამაზ სამყაროებს, / თავად უფალთან და ლექსთან თანაბრდები. /

პოეტი ნაზი კაპანაძე კი ლექსში „ჟურნალისტი“ ბოლოს მტკიცედ აკონკრეტებს, გულნაზი ღმერთს თუ რატომ აგონებს: / დაჩაგრულების შენახარ მცველი, / მათი ტკივილი გჭინჭრავს გაღონებს, / გამოიარე შრომის ქარცეცხლი, / აი ამიტომ ქალღმერთს მაგონებ. / პოეტი ლევან გვიჩიანი კი, ლექსში „თამარის ენით“ ამბობს: / კალმის მახვილით ბოროტი მარგლე, / შენს ლამაზ ბაღში ახარე ვაზი, / თამარის ენით ლოცულობ, გვლოცავ, / ვით დედოფალი სათნო გულნაზი. /

ფაზისის საერო აკადემიის აკადემიკოსი, პოეტი იამზე ჭელიძე ერთ-ერთ ლექსში ამბობს: / შენს ლამაზ სულში მარად მზე ენთოს, / ბედნიერი ვარ აწ გეთქვას ღმერთი. / მომდევნო ლექსს იწყებს ასე: შენი ლექსები გრძნობით დამთვრალი, / ვხედავ ხმაურობს მეფურ სამოსით. / უსათაურო ლექსსაც ასე იწყებს: / მოვდივარ შენსკენ, იქნებ სული გამილამაზო, / მეც ავიზიდო ლექსის წერად და სადარბაზოდ, / ვიგრძნო ღრმადაა სიამენი და რომანტიკა, / მაგ შენს ხილვაში აღტაცება რომ მომენიჭა, / შუქგაუმქრალო, მადლიანო ფერი გდევს ღმერთის. / ამათ მსგავსია სტრიქონებიც: / მეფური სიტყვა მეამა ძლიერ, / კვლავ ჩავწვდი სიღრმით შენს სახე იერს. /

მრავალი ლექსი აქვს გულნაზისადმი მიძღვნილი ქალბატონ იამზეს, სადაც მსგავს შედარებანი იკითხება. თან ქალბატონისაგან ქალბატონისადმი მიძღვნილი ამდენი საპოთეოზო ლექსი ქართულ პოეზიას არ ახსოვს.

პოეტი ანზორ ჯაფარიძე თავის მიწიერებას და გულნაზის ღმერთთან ამაღლებას ამტკიცებს ლექსში „დედა გულნაზი“ : / ჩვენ აქ მყოფები ნათლადა ვხედავთ, / როგორ ამაღლდი გულნაზი ღმერთთან, / ხელშემართული იბრძოდი ბედთან, / პირნათელი ხარ ერთან და ბერთან,/

ღმერთქალად თვლის გულნაზის პოეტი თინათინ ხაბურზანია: / ყველას ტკივილის დარდისა, / და სიყვარულის დედა ხარ, / გთვლი ეტალონად ქალისა / და პოეზიის ღმერთ ქალად. /

ველზე ყაყაჩოებს რომ ვერ დათვლი, ის ვერ დაითვლება აგრეთვე იმ პოეტთა ნათქვამები ვინც ქალბატონ გულნაზის სხივსა და სითბოს უფასებს. პეტრე ჯაჯანიძე ლექსში „ალმასი“ ამბობს: / ბევრი პოეტის მუზის მურაზი, / თუმც ლამაზია, გულქვაა თითქოს, / უნდა გაიცნო, არის გულნაზი, / ყველასთვის აფრქვევს სხივსა და სითბოს. / პოეტი ვლეილა გაფრინდაშვილი სათნოებას უფასებს ღმერთად და მეფედ წარმოსახულ გულნაზის: / მამულს უძღვნა ზემო იმერეთმა, / ქალი, დედა, პოეტი და ბურჯი სათნოების სამოსით შეამკო, / მოუხატა გული მხატვრის ფუნჯით. /

მშვენიერ პოეტ ლამზირა შეყილაძის ტრიუმფია, როცა ერთ სტროფიან ლექსში გულნაზის მაღალფანტაზიურად მზის სითბოს ძალა ისე არგუნა თითქოს მისი რეგისტრირებული საკუთრება ყოფილიყოს, თუმცა პოეზიის კარმიდამოს წარმოსახვაში ყველაფერი მოსულია, თანაც ერთ სტროფში პოემისოდენა სათქმელიც რომაა ჩატეული, მაგრამ ერთ ქალს მთელი დედამიწა გაათბობინო, თანაც ოთხ სტრიქონში, ეს უკვე კულმინაციაა: / მთა მწვერვალებზე თოვლი იდო, / ფერმკრთალი მთვარე სიცივით თრთოდა, / დედამიწაზე შენ რომ არ იყო, / ამ ცივ სამყაროს რა გაათბობდა. /

თამარ ჭელიძე არამარტო ქალღმერთად და მეფედ ხედავს გულნაზის, მისი სიკეთის წყაროთიც იხიბლება: / შენ მსურს დაგარქვა უშრეტი სიკეთის წყარო, / მოხვიო ხელი ყველა ჩაგრულს და დააწყნარო. /

პოეტი ნელი გიუნაშვილიც გულნაზის სიყვარულსა და ალერსზე ბაასობს: / აფრქვევ ყველას ალერსსა და სიყვარულს, / ცხოვრებაში არ იტოვებ სინანულს, / ყველას გინდა უთანაგრძნო დროულად, / გაუკვალო გზები ამავდროულად, /

რა გამოლევს თამარ ჭელიძის ლექსებში ასეთ სტრიქონებს: / რადგან განწყობა შენ შემოგაქვს მკაცრ ცივ ფერებში, / ადამიანურ ადამიანს ღრმად ეფერები, / ..მხიარულების დედოფალო, ცისკრის მეუფევ, / შენი ხმა ვიგრძენ, სითბომბჯენი სიღრმით მე უკვე. /

ხალხის მალამოდ ხედავს გულნაზის ეთერ ფირცხალავა: / მე შენ ქედს გიხრი ძვირფასო ქალო! / ლექსის ზღვა ხარ და გულის დაისი, / ხალხის მალამოვ, დილის მზის ცვარო! / მომილოცია ხუთი მაისი. /

საჩხერე ჭიათურის გაზეთ „საშევარდნოს“ რედაქტორი მაია ტყემალაძე გულნაზის სიკეთეზე და შრომაზე ამბობს: „რაა სიცოცხლე“, ხშირად უსვამს ამ კითხვას საკუთარ თავს და უკვე პასუხობს, რომ ამქვეყნიური ყოფა წამია, ერთი გაელვებაა და სწორედ ამ გაელვებისას უნდა დაშვრე სიკეთედ, მოყვასისა და ხალხის სამსახურად..

ნინო რეხვიაშვილი, ფილოლოგი, ჟურნალ „რაჭველების“ რედაქტორი წერილში „თუ დაგჭირდები ვიქცევი საბნად“, ამბობს: თითოეული თვენი წიგნი მთლიანად თქვენი შემოქმედება ნიჭიერებისა, სითბოს, სიკეთისა და სათნოების გასხივოსნებაა.

პოეტი ანა ქველიძე წერილში „ დედა ვარ? გმადლობ უფალო სხვა რაღა მინდა?“ გულნაზის სიკეთეზე შემდეგნაირად ამბობს: „გამოირჩევა ხელის გულზე დადებული სიკეთით, მისი სულგრძელობა, ღირსეულობა, თანადგომის გასაოცარი უნარი ამშვიდებს ჩემს თვალსა და გულს“..

ადამიანები ვუკვირდებით ერთმანეთის სიტყვებს, მაგრამ რატომღაც უფრო მეტ ყურადღებას გარდაცვლილთა ნათქვამს ვანიჭებთ. Mმწერალი აწ მარადიულ სასუფეველში მყოფი გულნარა შოთაშვილი წერილში: „რადაო? იკითხავთ“, თითქოს ლიტერატურულ ანდერძივით ტოვებს ნათქვამს: გულნაზ ხარაიშვილი უაღრესად ეროვნული, მამულიშვილური, მეგობრული, დედობრივი, გაჭირვებულის ხელის წამხმარე, ნიჭიერი და გაზომილი მთქმელია საჭირო და აუცილებელი აზრისაა და მისი საქციელი ყალიბში აბრუნებს ცხოვრების უკუღმართობით გასავლიდან ამოვარდნილ ადამიანს, ოღონდაც მისწვდეს და მისი სიხარულ-ტკივილიანი დრეები გაითავისოს. (რასაც თავისთავზე გამოცდილი პოეტი შალვა ილურიძეც ადასტურებს).

პოეტი თინათინ ხაბურზანია სიკეთეზე პოეტური ენით ასე საუბრობს: / ჩემმა სიკეთემ თუ შენში იხარა, / შენმა კი ჩემში ღრმად გაიდგა ფესვი, / ასეთ სიყვარულს მტრობა კი არა, / ვერ მოერევა უფალი ღმერთი. /

პოეტი ელისო ფიჩხაია ლექსში „სამოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით“, სამშობლოს მოფერებაზე ამბობს: / თქვენი ლექსები ალბათ სულის სიმშვიდეა, / სიკეთეა-გულს რომ მადლით ავსებს, / ..თქვენ სამშობლოს სულ სხვა გვარად ეფერებით, / სიყვარულიც სულ სხვა გვარი იცით. /

აი რაა თქმული ერთ-ერთ ლექსში გულნაზ ხარაიშვილზე: / სიკეთე ფინოს ამ ქვეყანაზე, / აი იმისი ხვაშიადია. / ხოლო ლექსში „გულნაზი ქალის ხვედრი“ თინათინ ხაბურზანია ამბობს: / სიძულვილი რომ სიყვარულით უნდა ალაგმო, / ეს შენებრ წმინდა და გულნაზი ქალის ხვედრია. /

პოეტი დარეჯან მიმინოშვილი სევდის მალვასა და სიცოცხლის ფრქვევაში ხედავს გულნაზის სიკეთეს: / სევდას მალავ და სიცოცხლეს აფრქვევ, / ფიქრის გარეშე ნეტავ როდის ხარ? /

განსვენებული გიზო ჭელიძე განსაკუთრებული სიზუსტით ხედავდა გულნაზიში სიკეთეს: / გვალაღებ, გვართობ, მეგობართ კრებას, / სიკეთე არის შენში ბარდნილი, /

ერთ-ერთი ავტორი კი გულნაზის სიკეთეს იმად აფასებს, რომ მას „ღმერთს და კაცსშუამავალს უწოდებს“, პროზაულ წერილში.

საქვეყნოდ აღიარბული პოეტი საბა მოძველი გულნაზის ჟურნალის სახელს უწოდებს და ასე გამოხატავს მის სითბოს: / შენ ხარ სითბო უსაზღვრო, / გულში შუქად ანთიხარ, / გულნაზო და სულნაზო, / ჩვენი ათინათი ხარ, / შენს გზას ქვია სინათლე / რადგან მზესთან ბინადრობ / ასე იათინათე, ასე გეათინათოს.. /

ხან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს პოეტები სპორტულ ესტაფეტასავით გადასცემენ ერთმანეთს, თანაც საპირისპირო სათქმელს. მაგალითად უშანგი მოსიაშვილი თუ ქალბატონ გულნაზიში ვაჟკაცობას ხედავს: / თქვენი ქალობით აკვირვებთ ყველას, / ბევრი ვერ იგებს თქვენს ცრემლის დენას, / ბევრს დაუმტკიცე რომ ვაჟკაცი ხართ, / თავაწეული მიტომ დადიხართ, / ზოია ვაშაკიძე კი სწორედ საპირისპიროს ამტკიცებს გულნაზიში: / ..სიხარულის მზით აგევსოს, / გული ტკივილით ნაისრი, / დიდხანს ამკობდე ჩვენს მამულს, / ქალური სიდარბაისლით. /

ყველასთვის განსხვავებული და საყვარელი, უნიჭიერესი, ასაკოვანი (პოეზიამ და სიყვარულმა ასაკი რომ არ იცის) ქვეყნიერების, წუთისოფლის მოტრფიალე გურამ ჭავჭანიძე, რომელიც ორენოვანი პოეტია გულნაზის ამდაგვარ სატრფიალოთი ამკობს: / ..მე ვეტრფი გულით, სულით ლამაზებს, / დამილოცნია მათი მისია, / ვინც წუთისოფელს გამილამაზებს, / ჩემი გულის თქმაც სწორედ მისია. / (ჩამეთვალოს თემის გადახვევად, სამწუხაროა, რომ კალამს არ ძალუძს ვიდეოთვალის მისია შეასრულოს, როცა გიორგი ჭავჭანიძე და ყველასთვის უნაზეს-უსაყვარლესი პოეტი ლამზირა შეყილაძე (ხანდახან რომ გაწითლდება) „სამიჯნურო“ დუეტს რომ ასრულებენ ხოლმე საკუთარი ლექსებით, სამწუხაროა ისიც რომ კალამი ვერ იტვირთავს ჭავჭანიძის ხმის ტემბრისა თუ დიქციის გადმოცემას, როცა ეს მცხოვანი რომეოს როლს ისე მოერგება ხოლმე

რომ მსოფლიოს ვერცერთი უცნობილესი ოსკაროსანი მსახიობი ვერ შეასრულებს ამას, რის ინსენირებაც ქალბატონი გულნაზის აკადემიის სხდომებზე ხანდახან იმართება ხოლმე და რის აღქმაც მხოლოდ თვალებს და ყურებს თუ ძალუძთ..)

ბიოლოგიისა დაᲥიმიის რეპეტიტორი, უსაყვარლესი, ღრმა ქართული სასიტყვეთის მბოჭავი, პოეტურ ხედვათა პროფესიონალი, პოეტი ლეილა ვადაჭკორია გულნაზის შეხვედრით კმაყოფილი, გულისამაჩუყებლად დარჩენილი ცხოვრების იებით მორთვას ისახავს და თანაც თავმდაბლობით თავის თავს ალეგორიულ პატარა ფოთლად წარმოსახავს გულნაზის ხეივანში: / ახლა ცას ვხედავ ღია ფერებში, / დარჩენილ დროსაც იებით მოვრთავ, / შენ მომეც ძალა მეც მეშრიალა, / შენს ხეივანში პატარა ფოთლად. /

არც მანანა მიქაძეს გასჭირვებია გულნაზის ზებუნებრიობის წარმოსახვა და ამბობს: / საწაულებრივ, ზეცის კიდესთან დააყენა უფალმა პოეტი ქნარით. / რაც შეეხება პოეტ ანა ბეინაშვილისთვის გულნაზი რთვლიანობის თაფლით შეუცნობადი ზღაპარია: / შეუცნობადია ზეცა, / ბოლო კეთილია ზღაპრის, / წუთისოფელმა შესვა, / შენი რთვლიანობის თაფლი. /

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერეთის საჯარო სკოლის დირექტორის ლეო კვიჟინაძის პოეტური ხედვა კლასიკოსთა ხედვას ეპაექრება, რადგან ჩვეულებრივს კი არა მხოლოდ ალპურ მდელოზე უკრეფს ვარდებს გულნაზის და თანაც ქვეყნის მტრის ჯინაზე: / დავეშვებოდე ვიდრე მიწაზე, / ალპურ მდელოზე დაგიკრეფ ვარდებს, / და ჩვენი ქვეყნის მტრების ჯინაზე, / მთის მწვერვალიდან მოგიძღვნი ლექსებს. /

ადამიანთა მკურნალი, წონადი პოეტი ქალბატონი ნაილი ხარაიშვილი გულნაზისადმი მიზრვნილ ლექსში „რედაქტორს“, ყველაგან განსხვავებული ხედვით ანებიერებს და წრფელი მგრძნობელობით გადმოგვცემს ასე უბრალოდ სათქმელი წოდების – რედაქტორის უდიდეს და უდიადეს მისიას: / მწერალი თავის ნაფერებ ფიქრებს შენ ჩაგაბარებს, / ცისკარზე ერთი კარგი ლექსიც თუ კი შობილა, / უნდა მონათლო, ლექსს ჩააცვა მადლის პერანგი, / სულის საზომი რომ არ დარჩეს დედიშობილა. / ხოლო მანანა ზაზიკაშვილი მოკლე კონკრეტული პოეტური ნათქვამებით რომაა ცნობილი, ანუ გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის ოსტატია, ამიტომაა რომ ერთ სტროფში ზეციურ პოეტად გამოჰყავს ქალბატონი გულნაზი: გული-ოქრო, სული-წმინდა, / სულ შენს თავზე ამობრწყინდა, / „ათინათის“ რედაქტორო, / ცაში ფრენა არ მოგწყინდა? /

ყველა თავისებურად, გულიდან ამოსული სიტყვებით ეფერება გულნაზის. Გმათ შორის ლეილა შუბითიძეც: / ..არ ვიცი რა გისურვო ასე თბილს, / ახლობელს, რომ ყველა საჩუქარი, სითბოთი გადავწონო. /

საინტერესოდ მიუდგა გულნაზის დახასიათებას არაჩვეულებრივი ხედვის მფლობელი პოეტი ვაჟა აქიმიშვილი, რომელმაც გულნაზის ცოდნის მოძღვარი და ცის ანგელოზი უწოდა: / აქვს სითბოება ცის ანგელოზის, / თვალთა სხივები მზესთან სადარი, / ღვთის ყურადღებით გამოირჩევა, / ყველას შეიცნობს ისე რაც არი. /

აშუღი პოეტი, თავისი ბულბულ ჰანგებით, ყველას დამატკბობელი შალვა ილურიძე, გულნაზის ლექსზე მუსიკაც რომ შექმნა, ასე ესათუთება ყველასათვის სატრფიალო ქალბატონს, სადაც წინასიტყვაობაში ამბობს: ასეთი ადამიანები გვატანინებენ ყოველგვარ გაჭირვებას და სიმწარეს, რათა დავიბრუნოთ ჩვენ ჩვენი დაკარგული ადამიანური ღირსებები, ლექსი კი ასე იწყება: / გულო გულნაზო, ეს ორი სიტყვა, / გული და ნაზი ჩავიწან სულში, / დიდ პოეტი და დიდი ქალი, / რომ ჩავიტიე პატარა გულში. /

გულნაზისგან, უსიტყვოდ, თვალებით ფერებნაჩვევი, პოეტი ელისო ფიჩხაია ლექსით ეუბნევა გულნაზს: / დამიჯერე, საამაყო ბევრი რამ გვაქვს, / თქვენს მეგობრებს, თქვენს ფერებას ნაჩვევს, / მოალერსე თვალებით რომ შემოგვცქერი, / უსიტყვოდაც გვეუბნები სათქმელს. / ჩხუბიანი თვალები მარტო მე მინახია გულნაზისი, როცა მსაყვედურობს ჩემზე ნუ სხვაზე წერეო, მე არაფერს ვწერ, მხოლოდ სხვის დოკუმენტურ ნაწერს ვიმეორებ.. არ ვთქვა პოეტ ტარიელ მუმლაძისთვის გულნაზი ლეგენდაა მეთქი? მაშინ ლექსმა თქვას თავად: /..„შენი კალმის სიდიადე, / იკურთხება განგებით, / პოეზიის ფართო გზა გაქვს, / აწეული თაღებით. / სჩანს შენს გზაზე შენი ნიჭი, / სხივანთებულ გზებს ფენდა / და კიდევაც ამ ლესებით / ქალი იქეც ლეგენდად. /

აქროსტიქით გულნაზის ტკბილად ეფერება პოეტი ცინარი-მარიამ ხმიადაშვილიც: / ვ-აი დარდს თვენთან ჭიდილში, / ი-ს ვერ დაგჯაბნის მტრობითა, / ლ-ოცვით უფალს ვთხოვ მოგმადლოს, / სიცოცხლე მრავალ წლობითა. /

წერილში, „წმინდანის მადლით ცხებული ნიჭი“ მწერალი ნათელა გოხელაშვილი გულნაზის ცხოვრების ეპიზოდებს აღწერს: „უეცრად იდუმალმა ხმამ გაიშრიალა ილოცე წმინდა ბერის საფლავზე და სასწაულს მოგივლენსო.. წმინდანის საფლავთან იდუმალმა ხმამ გამოაფხიზლა – მამა გაბრიელის მადლით შენ პოეტი ხარ! დიდება შენდა ღმერთო, დიდება შენდა“, სამჯერ გამოთქვა ღვთის სადიდებელი ლოცვა და ექსპრომტი წაიკითხა..

ვინმეს მადლების გადმოსვლის და ხატების ცრემლების თომასავით ნაკლებად შეიძლება სჯეროდეს, მაგრამ გულნაზის კეთილშობილებას მხოლოდ ზებუნებრივი ძალა წარმართავს. წიგნი ბოლომდის წაკითხული არა გაქვს მისი, მეორეს გამოსცემს, ერთი მოკლე წერილი და ფარატინა ლექსი არა გაქვს წესიერად დამთავრებული, შემდეგ „ათინათს“ გამოსცემს. წლების უკან მაგარი თოვლები და ყინვების დროს ხალხი სახლებში რომ შეიყუჟა, ვურჩიე – ხვალ თბილისში არ წახვიდე მეთქი. მეორე დღეს დარეკვისას, „ ჟურნალს ვაკაბადონებო“, რაც უკვე იქ ყოფნას ნიშნავდა. გულნაზის ზებუნებრივი ძალის მუხტვა აძლიერებს, რითაც აამაღლა ბევრიც, გვარებს როგორ დავასახელებ, ისინი გულნაზის გარეშე იქნებოდნენ, მაგრამ ისეთნი ვერა, როგორც დღეს არიან ცნობადნი, ამაღლებულები, თავის კალამში დარწმუნებულები.. ამ ღვთისნიერმა მრავალს აუხდინა პოეტური ხვაშიადი, პოეტ აქიმიშვილისა არ იყოს, მრავალს აჩუქა თვითრწმენა.

მთლიან დედამიწის ყვავილებივით ვერ დაითვლებიან პოეტები, ვინც სასიტყვეთის ყვავილებში გულნაზის ხედავენ. სათქმელის შესამოკლებლად რამდენიმეს დავასახელებ მხოლოდ. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, მოკლედ კი არა გრძლადაც ვერ დაამთავრებ მათზე სათქმელს. რუსუდან-ანასტასია კალანდაძე: / ..ვუცქერი იას, შენ გხედავ მასში, / ვიცქერ ღიღილოს, გრძნობებით სავსეს, / ყველა ყვავილში შენ შეგიცანი, / ყველა ყვავილში შენ დაგინახე. / ..და შენი სული შერთვია ზეცას, / სამშობლოსათვის თავდადებული, / ქართველი ქალის მთელი მშვენება / ყველა შენშია დავანებული. / იმასთან ერთად, რომ შესაშურია რუსუდანის ასეთი სტრიქონები გულნაზისადმი მიძღვნილი ჩემი ერთი ძველი ლექსი გამახსენდა, რომლის ბოლო სტროფია: / და ჩრდილავ ყველას, / მიჯნურ ვარდსაც და, / ია- იებს და ბიბლიურ დეკას.. / და წიგნი არა.. / და ლექსიც არა.. / ცოდნით ეტოლვი ბიბლიოთეკას.. /

პოეტი რუსუდან-ანასტასია კალანდაძე, მომდევნო ლექსიშც ვარდში ხედავს გულნაზის: / ..ქართული სულის დიდო დარბაზო, / სულ სიყვარულით მოგიძღვნი ვარდებს.. / მასაც შენსავით ახლავს ეკლები, / შენსავით ებრძვის ტკივილს და დარდებს. /

გარდა სითბოსი და სიყვარულისა: „მისი შემოქმედება უზადო ნიჭიერებაზეც გვესაუბრება და ბრმად გითრევს იმ სამყაროში, რომელიც შეზავებულია რეალობითა და მხატვრული ხერხებით“. ეს სიტყვები არის წერილიდან: „ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილის შემოქმედება უსათუოდ დიდ ნიჭიერებაზე გვესაუბრება“. და რომელიც დაწერილია დამსახურებული ფილოლოგი ნათია მოსიძის მიერ.

წერილში, „მხოლოდ ორიოდ სიტყვა კარგ ქალბატონზე“ მსახიობი ლარისა ხაჭაპურიძე, ნაწერის მხატვრულობისთვის მამაპაპურ ანდაზას იშველიებს და წერს: „რაც შეეხება თქვენს მიერ გაკეთებულ სიკეთეს გახსოვდეთ! სანთელს-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს“.

„ქალბატონო გილნაზი! თქვენ ყოველგან სითბოს აფრქვევთ, მხარში უდგახართ პედკოლექტივს და იბრძვით სწავლა აღრზდის -მაღალი მაჩვენებლებისათვის, როგორც ცაში ცისარტყელა გამოჩნდება ხოლმე, ისე გამოჩნდები კოლექტივში, სიხარული და ბედნიერება შემოგაქვს“. ეს სიტყვები კი ეკუთვნის სამართალმცოდნეობის მეცნიერებათა პროფესორს დარიკო ონიანს.

/ თქვენი პოემა პოეტო, / გულში გვიკიდებს გენიას, / იგი ცრემლების ზღვა არის / და სიმწრით მოსასმენია. / ეს სტროფი პოემა „მდუღარე ცრემლის“ პასუხად მიუძღვნა გულნაზის ვანო მეგრელმა.

მშვენიერ ლექსში, რომლის სათაურია „იყოს ლოდინი“, ბოლოს ავტორი ნანა ყალიჩავა ესაუბრება გულნაზს: / იმ აყვავებულ ვარსკვლავთ ხომლებში, / ერთი ვარსკვლავის სხივთა რონინი, / შენ მოგანიშნებს ბედნიერ წუთებს, / იმედს რომელსაც ჰქვია ლოდინი, /

ცამეტი წლის ლექსს: „გულნაზ ხარაიშვილს“ პოეტი გიული შალიკაშვილი გულნაზის, გულის სიმებად რომ აღიქვამს, ასე იწყებს: / ფიქრის მკერდზე დილის ნამი, / შენი ლექსებივით ბრწყინავს, / მე პოეტად გაგიცანი, / და გაგაბი სულში სიმად. /

უფრო მეტიც, ყოვლის შემფერებლად წარმოუდგენია მწერალ, აკადემიკოსს გარი ჩაფიძეს გულნაზი და ლექსში მამაკაცურად ესალბუნება: / მე შენ გეტყვი ვერ შეიშნობ სიხარულს. / მე შენ გეტყვი, წუხილს ვერ შეიფერებ.. / მე შენ გეტყვი ვერ გაიგებ სიკეთეს, / მე შენ გეტყვი გაგაოცებს ღალატი, / განა თვალში ახლა გამოიხედე. / შენ ყველაფრის იცი ავან-ჩავანი, სიცოცხლეა, სიცოცხლეა მთავარი. /

ეთერ ფირცხალავა ხალხურ მოტივზეც ესაუბრება გულნაზის: / რადგან პოეტი თავად ხარ, / ლექსებს არ გეტყვი ბევრსაო, / ხუთ მაისს დაბადებულხარ, / დაულოცნიხარ ღმერთსაო. /

თუ არა დოკუმენტური მასალების დართვა-დასახელება, შეიძლებოდა ოპონენტს ეფიქრა რომ ჩემგან გაზვიადებულ სითბოს ფრქვევაზეა საუბარი, მაგრამ აი რას ამბობს ქეთევან ცაბაძეც: „ქალბატონი გულნაზი არის არაჩვეულებრივი ადამიანი, გამოირჩევა, როგორც კეთილშობილი და უაღრესად განათლებული ადამიანი“

ვინ იცის, რა შესჩივლა ქალბატონმა გულნაზიმ მეუფეს, მამა ამირან ამირანაშვილს, რაც ყველასთვის საიდუმლოდ რჩება. რადგან ლექსში „ფიქრის ხეივანი“, ერთ-ერთ სტროფში მეუფე ამბობს: / ვინ გაგაშავა, მოგშხამა, დაგწვა, / ჩვენ გულს გვითუთქავს შენი ცრემლები, / გიზგიზა კოცონს მალე ჩააქრობს, / შენი წიგნი და შენი ლექსები. /

მონაზონი იონა გულნაზს უწერს: „ჩემო გულნაზ ხარაიშვილო, დაჯილდოებული ხართ წმინდა სალოსისა და აღმსარებლის ბერი გაბრიელის მადლით, რომელმაც მოგანიჭათ ის პოეტური ნიჭი და სიმტკიცე, რომელიც დღეს შენი ცხოვრების სამარადჟამო მოგზაურია“.

პოეტ ნანა ყალიჩავამ ქალბატონ გულნაზს მრავალი ლექსი მიუძღვნა, ერთ-ერთ ფილოსოფიურ, ყოვლისმთქმელ ანუ კაცთან და ღმერთთან გამოცდაჩაბარებულ გულნაზის ლექსში „თქვენ გამოჭერით სარკმელის“ ბოლოს გულნაზის თითქმის მთელ ბიოგრაფიას ლაკონურად აკონკრეტებს: / ჩავლილი წლებიც ღირსეულად მოისადავე, / კაცთან და ღმერთთან ჩააბარე ყველა გამოცდა, / შენ მარტოდ-მარტომ გაიარე გზა უძნელესი, / მაინც შეძელი საკუთარი სარკმლის გამოჭრა. /

ხოლო რაც შეეხება, ჟურნალისტი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადოება აკადემია „ ქალდეას“ ვიცეპრეზიდენტი ბატონი სიმონ ზაქარაია ამბობს გულნაზიზე: „ ბოლოს, პოეტ გულნაზ ხარაიშვილის პოეზიისა და ცალკეული ლექსების ღრმად გაცნობის შემდეგ, შემიძლია ვთქვა რომ იგი ნამდვილად პროფესიონალი ხელოვანია, ჩამოყალიბებული ქართველი პოეტი ქალი, რომელმაც ახალი ლექსებით ღირსეული ადგილი დაიკავა საამაყო ქართველ პოეტთა შორის“.

პროფესორი ვახტნგ თორაძე წერილში „თვენმა ლექსმა გამაოცა“ ამბობს: „დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ პოეტ გულნაზ ხარაიშვილის მართლაც ახალი სიტყვაა ოცდამეერთე საუკუნის ქართულ პოეზიაში, ბოლოს კი იმით დავასრულებ, რითაც დავიწყე – ქალბატონო გულნაზ! თვენმა ლექსმა გამოცა“.

ლაგოდეხის ნომერ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლის თამაზ აფაქიძის ინტერვიუში კითხვაზე: ქალბატონო მაყვალა რას იტყვით ჟურნალ „ათინათის“ შესახებ? დღევანდელობის ანუ ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლების პოეზიის პირველ ქალ მეფედ აღიარებული მაყვალა გონაშვილი, რომელიც არამარტო ყველასადმი სითბოს, ღიმილისა და სილამაზის ეტალონია, ბოჰემა გულნაზის გმირად რაცხავს და კითხვაზე პასუხობს: ჯერ მინდა მის რედაქტორზე გითხრათ ორი სიტყვა, გასაკვირია როგორ ახერხებს ეს ქალბატონი ამდენს ჩვენს დროში, ეს გმირობის ტოლფასია. აქედან გამომდინარე მინდა ვუსურვო მთავრობის მხრიდანაც და მეცნიერებიდანაც მეტი თანადგომა და მხარდაჭერა.

თქმას გააჩნია ვინ იტყვის, რადგან ერთი პროფესორის, ერთი ჟურნალისტის, ერთი ფილოსოფოსის, ერთი აკადემიკოსის, ერთი ჭეშმარიტი პოეტის, ერთი მწერლის, ერთი დოქტორის, ერთი რედაქტორის, დამსახურებული ფილოლოგის, რჩეული პედაგოგის, თავად მეფედ აღიარებული პოეტის, ჩამოთვლილ თუ ჩამოუთვლელ პროგრესული ელიტის ნათქვამი, ათიათასობით ნათქვამის ტოლია. სხვა თუ არა, როგორც ამდაგვარი წერილის ფორმატის დოგმატური მტკიცე კანონი, გულნაზისადმი მიძღვნილი საფეტიშო აზრებიდან, თითო-ორორი სიტყვაა ამოკრებილი, და ალბათ წარმოსადგენია მათ აზრთა მთლიანი გადმოცემა, რამხელა ტომეულს დაისაჭიროებდა.

გამორჩეული უნიჭიერესი ახალგაზრდა, უკვე აღიარებული პოეტი ეროდი ასანაშვილი, იგივე აქროსტიქის ამ საუკუნის შეუდარებელი, უბადლო მეფე, გულნაზის ჭეშმარიტ პატრიოტიზმს ასე აფასებს: / ვ-ადიდებ შენთა შემართებულ სულის დიდებას, / ი-სტორიული განვლილი გზა წამოაჩოქე, / ლ-ექსებით იწვი სამშობლოზე ფიქრით დაღლილი, / ს-ამშობლოს გულში შენი სახე ამოაქსოვე. /

ცნობილი ცხოვრებისეული ფაქტია, ადამიანთა უმრავლესობა ზოგი გარეთ, ანუ საზოგადოებაში, ზოგი სახლშია კარგი. ჩგულნაზი ყველგან კარგია, ყველგან უყვართ. ნათესავთ მისი ლექსი გრილ სიოდ ეჩვენებათ.წერილში: „ჩემო სასიქადულო რძალო“, ჯიმი სხირტლაძე წერს: ლექსის კითხვისას ისეთი გრძნობა მქონდა თითქოს კარჩაკეტილი ოთახიდან აივანზე გავედი და გრილი სიო მელამუნებოდა.. აფერუმ შენს ნიჭს ყველაფერში. 1. საქმეში ერთადერთი და დაუღლელი. 2. შვილებისათვის გულმხურვალე. 3. შვილიშვილებისთვის გულჩვილი. 4. პოეზიისთვის „გულნაზი“. ახია სხირტლაძეებზე ასეთი შესანიშნავი და საამაყო რძალი რომ გვყავხარ! იცოცხლე და იმრავლე შენი მონაგრით. უღრმესი პატივისცემით ოჯახის სახელით ჯიმი სხირტლაძე.

აი რას ჰყვება ელგუჯა სხირტლაძე „ჩემს საყვარელ ბიცოლას გულნაზ ხარაიშვილს“: მერამდენედ მევსება გული სიამაყით, გთხოვთ მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ, ჩვენი ნათესაური კავშირის გამო. ვხედავ ბიცოლას და ჩემი ბავშვობა მიდგება თვალწინ, მუდამ წიგნებში ჩაფლული.. ჩვენც წიგნის სიყვარულს გვასწავლიდა და გვავალებდა ბევრი გვეკითხა. მრავალი ავადმყოფის მკურნალსა და გაჭირვებულის დამხმარეს. იმთავიღვე იგრძნობოდა მასში მადლი ღვთიური. – ლექსი მდინარესავით მომდის ოღონდ დრო მქონდესო, არაერთხელ უთქვამს ჩემთვის ბიცოლას. დაე მრავალი წლის მანძილზე ათბობდეს ჩვენს გულებს მისი შემოქმედება და აქვე მის მიძღვნილ ლექსსაც შემოგთავაზებთ შემოკლებით: .. / თვალწინ მიდგია ჩემი ბავშვობა, / აურაცხელი შენი ამაგი, / მეგობარივით მედექი გვერდში, / ხან დედა იყავ და ხან დაქალი. / ..შემოქმედის გზა რთულია ვიცი, / ია და ვარდი გქონდეს შარაზე, / ბევრმა თუ არა მე მაინც ვიცი, / ქვეყნად რამდენი ნორჩი აღზარდე. /

სწორედაც ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილის ხედვა გულნაზიზე დამაინტრიგებელია ვისაც მთლიანი ქართული სასიტყვეთის თითოეული სიტყვის ძირეული მაჯისცემა სამრეკლოსავით, დიოპტრის სიზუსტით რომ ესმის, ვისაც რენდგენივით შეუძლია ლექსის თუ ცალკეული წინადადების თემიდასეულად აწონა თუ ზუსტად გაშიფრვა. სწორედ ამიტომაა „ფიქრის ხეივანში“, უშიშრად ფანტაზიის ეტლით რომ დასეირნობს: „სადაც სევდის და იმედის ცისარტყელაც ერთმანეთს ესალმებიან“. აი ერთი შტრიხიც, მისგან ქალბატონი გულნაზის ფანტაზიის ალეგორიულ ხატვისა: „უსმენ ქალბატონ გულნაზის და სიცოცხლის დიდი სურვილი იბადება შენში, მჯერა ეს არის მუდმივი არსებობის ღირებულება და გმატებს ბრძოლის უნარს. მასში მე არ დამინახავს სუსტი ქალი, მე დავინახე დედა-ქალი, ქალი-ბერმუხა“..

პოეტ იზა ჭიკაიძის გულნაზისადმი ლექსში „სამგზის ნათელბრწყინვალება“ უკვე ყველაფერს სათაურშივე გაუწყებს, თუ როგორ წარმოუდგენია მას ყოველისთვის მისათუთებელი დედად და მამულად წარმოდგენილი ქალბატონი: / მდაბალი და ნათელგონი, / სიტყვა მახვილ მჭრელიაო, / ვითარ დედა და მამული, / ჩემი მოსაფერიაო.. /

ერთ-ერთი სტატიის „კრიტიკით არა სიყვარულით ვამბობ“, ბოლოს ამოიკითხავთ გულნაზისადმი მიძღვნილ ლექსს: / ქართულ ღრმა სიტყვის სიბრძნე თუ ხიბლი, / შენთვის რომაა ტკბილი რომანი, / ანთოლოგიაც და „ათინათი“, / ორივე შენი შვილი რომ არი. / თან ცხოვრების გზის იგავ-არაკნიც, / ჭკვიან კალამით რომ აგიხსნია, / მჯერა ქალს ერის სამსახურისთვის, / ბრწყინვალე ვარსკვლავს რომ გაგიხსნიან. / აქ კომენტარი ზედმეტია, ხოლო წერილში „ გენიოსური ლექსი“, გულნაზიზე სწერია, რომ მისი სტრიქონები შედარებულია გასული საუკუნის სუპერ-წარმატებულ მეფე პოეტის ედგარ პოს სალექსო ჟესტსა თუ კონცეფციაზე.

ქალბატონი გულნაზის თანამოქალაქე ჟურნალისტი თინა-თინ სიყმაშვილი რომელიც ცნობილია სხვაზე სიკეთის თქმის სიტყვაძუნწობით, იგი წერილის სათაურშივე ამჟღავნებს გულნაზისადმი თავის ხიბლს, რომლის სათაურია „როცა სულიერებას ემსახურები, ყველას ტკივილს უძლებ.. წიგნის ქომაგიდან – აკადემიის პრეზიდენტობამდე“. რომელშიც სულიერების იმ თბილ სათქმელს ამბობს, რაც ვრცელი წერილის შინაარსშია გადმოცემული. (გულნაზი სითყვაძუნწსაც ათქმევინებს თავის საკადრისს.)

ზეინაბ ასისტიშვილი თავისებურად ეფერება ლექსით თავის საყვარელ რედაქტორს. მას გულნაზის სიკეთე, დღის და ღამის შუქურად წარმოუდგენია: / ფარხმალს ნუ დაყრი კეთილო დედავ, / დიდხანს იცქირეთ იმედის თვალით, / თქვენი სიკეთე ბევრი და ბევრი, / შუქუა არის დღისა და ღამის. /

ახლა კი ისეთ ფაქტს წარმოვაჩენ, რაც ცისკრის ვარსკვლავივით ბრწყინავს, ვულკანის ცეცხლივით კაშკაშებს და რაც რამდენიმე ხნის უკან სამკვიდროდ მიიღო ქართულმა ლიტერეტურამ. ეს არის ქალბატონ გულნაზისადმი მიძღვნილი, არც მეტი, არც ნაკლები, წიგნი „გზა მწვერვალისკენ“, რომელიც ავტორია სიტყვებისა: „მზე არის ცაზე, ყვითელი ერბო, / დამდნარი ერბო, / დიდ ლურჯ ტაფაზე“, / ასეთი სურათის ამსახველი, პოეტი, ფილოსოფოსი ქართული ლიტერატურის და დედაგულნაზის შემფასებელი ამ წიგნში მაქსიმალურად შლის ფრთებს, უნივერსალი სერგი ლომაძე. ცქებას ნახვა სჯობიაო და მოვისმინოთ სერგიზე გულნაზისგან დატოვებული შთაბეჭდილებები ამ წიგნიდან: იგი როგორც ლიდერი, როგორც მმართველი აბსოლუტურად თავისებური და თავისთავადი ფენომენია (გვ.9) ოკეანესავით გრანდიოზულად მასშტაბურია იგი საქმენი, რომელთაც შესჭიდებია და ხანდახან პირდაპირ მარტოდაც კი შერჩენია ეს უტეხი ქალბატონი, მეოცნებე იდეალისტი (გვ11). იშვიათად საქართველოში პოეტი ქალი, რომლის შემოქმედებაც ამგვარ მომწონებია. როდესაც გულნაზის ლექსებს ვკითხულობ, ვფიქრობ: აბა ნეტა რომელი ქალი დაწერდა ასე? და წარმოსდგება ფიქრებში დიდებულ ქალთა სახეები: ანა კალანდაძე, მედეა კახიძე, ესმა ონიანი, ლია სტურუა თუ სხვები – დიდი პოეტები (გვ22). თანაც მარტო მე ხო მარ ვაქებ ქალბატონ გულნაზს. იგი თითქმის ყველასგან აღიარებული ადამიანია დღეს (გვ23). მართალი გითხრათ ყოველთვის მეღიმება, როდესაც ჩვენს ჟურნალს ან ანთოლოგიას მწვავედ აკრიტიკებენ ხოლმე (გვ104). ამაზე კი ბატონო სერგი ამონაწერით გიპასუხებთ: „ზოგისთვის კრიტიციზმი კრეტინიზმში გადადის. ეს ფრიად დამახასიათებელია გონებრივად ვიწრო ადამიანებისთვის, რომელთაც ქმნილებაში ხინჯის ძიება უფრო აინტერესებთ ვიდრე ჭეშმარიტებისა“.

ბატონი სერგი წერილში „მზისფერი პოეზიის აღიარება“ ერთ-ერთ სტრიქონში ქალბატონ გულნაზიზე წერს: „ჩვენ ყველას გვმართებს ასეთი ქალბატონის აღიარება,“ ეს წერილი საკმაო წლების უკანაა გამოქვეყნებული.

გარდა აღნიშნული წიგნისა რომელშიც ბატონი სერგის მიერ ქალბატონი გულნაზის ნაწინასწარმეტყველარი გზა იყო მწვერვალისკენ აღწერილი, სხვა უამრავი წიგნია მიძღვნილი გულნაზისადმი. მაგალითად პროფესორმა ლუარა სორდიამ ქალბატონ გულნაზს მიუძღვნა წიგნი, რომლის სათაურია „მადლშემოსილი“ , ამ ვრცელი წიგნის ციტირებაზე არას გავაგრძელებ, რადგან სათაური თავად განსაზღვრავს მისი ვრცელი შინაარსის მეცნიერულ განზომილებას.

ახლა კი შეგახსენებთ გულნაზისადმი მიძღვნილ აქროსტიქით დაწერილ ჩემს ლექსს, რომლის სათაურია „გულნაზ ხარაიშვილს“ და რომელიც საკმაო წლების უკან გამოქვეყნდა: / გ-ულით დაგაქვს საქართველოს დიდება, / უ-ნდა შენი დავიღალოთ ფერებით, / ლ-ამაზ ჰანგით რომ უგალობ ქვეყანას, / ნ-აზ გრძნობით და მინდვრის ყვავილ ფერებით. / ა-ზარფეშა პოეტისა ღვთით გერგო, / ზ-არებს რეკენ შენეულა რითმები, / ხ-არ სამშობლოს ქალი ლექსით მეხოტბე.. / ა-ნას შემდეგ პირველად რომ ითვლები. / რ-არიგ გშვენის მასე წმინდა მანდილი, / ა-ქროსტიქის ფერ-მადლშიც არ იჭრები../ ი-სევ ლექსის თბილი ფრთების კამარით, / შ-ენი სტროფის ბნკარით ღმერთთან იჭრები. /ვ-იამაყებ რადგან დღეის დღეობით, / ი-ვერიის წმინდა „ათინათი“ ხარ. / ლ-ამაზ რითმის, ლექსთა ბაირაღებით, / ს-აქართველოს დიდ ჩირაგდნად ანთიხარ. /

არა ხელმწიფეს, არა იმპერატორს, რას უნდა მიეწეროს ამდენი ხალხისგან ერთი ქალის უანგარო სიყვარულს? ჩულნაზისგან გენიოსურ, კეთილპოეტურ ჰიპნოტიზირებულ შთაგონებას თუ უბრალოდ წმინდა მამაპაპური ანდაზის ახდენას: „რასაც დასთეს იმას მოიმკიო“? ან ლარისა ხაჭაპურიძისა არ იყოს, „სანთელ საკმეველი გზას არ დაკარგავსო“? იქნებ ამ ზებუნებრივ კითხვებს თავად ზებუნებრივ ძალოსანმა საზოგადოების მომჯადოებელმა, რებუს-მაგვარმა გულნაზიმ თავადვე უპასუხოს?

დიახაც! ამომწურავი პასუხია სარკმელგამოჭრილ გულნაზისგან, არაჰაეროვან, ქრობად, მოწმედასაჭიროებულ სიტყვიერ ფაქტით, არამედ იმ დოკუმენტით რაც პოეზიის ცის ნაჭუჭიდან შავსამოსასაგან ჩვენამდისაა ჩამოტანილი და რასაც სამარადჟამოდ თანაც ჯვარედინრითმიანი,

მაგიური ლექსი ქვია, რომელსაც სიტყვასავით უკან ვეღარასდროს წაიღებს და აი ეს ბირატერალური მშვენიერი უკვდავიც:

დედაბუნებამ დამამადლა სიკეთის თესვა
ენას სულ ვეტრფი, მამული მიყვარს, ზღვა ლურჯი ფერის,
მრავალჟამიერ უნდა ვთქვა და სასმისი შევსვა,
მე?.. სიყვარული შემიძლია სხვა არაფერი
მე შემიძლია გულდაჭრილის გაჯანმრთელება
სულ დავრდომილთან მომინდება მყის მოფერება,
დედამ სიკეთე ჩამილაგა ჩუმად უბეში
და ამ საწუთროს მინდა მივცე ბედნიერება.

ეს სახალხო, ზეციური აჟიოტაჟი დედამისის „ბრალი“ ყოფილა ბუმერანგივით გულნაზისთან უკან დაბრუნებული.

ღმერთს ხალხი უყვარს, რომელთა შორისაა ქალბატონი გულნაზი, ხოლო თავად გულნაზი ღმერთს ასიათასმაგად იმად უყვარს, რომ იგი თავისსავე შექმნილი ხალხის უსპეტაკესი, უსათუთესი სიყვარულია და რაოდენადაც იგი თავის სამართლიანი ხედვითაა ცნობილი, სწორედ ამიტომ მაგიური მუხტის ამხელა ძალოსნობა იმად არგუნა ამ ერთ ქალს, აკეთებინოს საერო საქმეები და რითაც მან ამდენ ხალხს გამაოგნებელ, ბირატერალურ პლატონური სიყვარყლით შეაყვარა თავი კიდეც.

წერილის ბოლოს კვლავ, დიდი ქართული სასიტყვეთის მონომეტრის მფლობელი გულნაზის არგუმრნტირებულ ნათქვამს მოვიყვან მაგალითად: / რომ მომაშოროთ მედლები და სატიტულეთი, / დამტოვოთ მარტო, წიგნებით და ჩემი ლექსებით.. / იქ მიგროვდება ყველა ერთად ცა და ხმელეთი, / რომელსაც ნაზად, ქალურობით ვეალერსები. / სიკეთის მთესველს ღმერთი მიყვარს ყველაზე მეტად.. / ზღაპარსაც გიწერთ.. თუმც არა ვარ დიდი მწერალი, / ლექსი შვილია, საზრუნავად ეს დამემატა. / მე ლექსთან ერთად მსურს დავიპყრო ყველა მწვრვალი. /

ალოგიკური იქნება ამის არ თქმა, ქალბატონო გულნაზ! თქვენ უმაღლესის მწვერვალი დაიპყარით, რასაც დედამიწის ყველაზე რთულფენომენური, ადამიანთა გულმპყრობელობა ჰქვია. ეს კი თქვენს სფეროში იმ კაშკაშა ვარსკვლავის მოწყვეტას ნიშნავს რაც, ისტორიულ ერთეულ მეფედ თუ შეიძლეს უწყალო ჟამთა ვითარებაში.

ეს კი იმან განაპირობა რომ თქვენ პოეზიის სამბრძანებლოში დროებით კი არა, მამა გაბრიელისგან სამუდამო საშვი რომ გაქვს ბოძებული..

Lali Ratiani
Professor, Doctor deutscher Philologie
Suchumer Staatlichen Universität

SEMANTISCHE VERBINDUNGEN UND DISTRIBUTIONELLE EIGENSCHAFTEN DER SPRACHLICHEN EINHEITEN IM DEUTSCHEN

Der Systemcharakter der Sprache zeigt sich in der wechseleitigen Aufeinanderbezogenheit und in den gegenseitigen Relationen der sprachlichen Einheiten und Erscheinungen. Deshalbwegen ist es interessant zu äussern, in welchem Zusammenhang die sprachlichen Phänomene –Antonymie und Synonymie miteinander stehen.

Die Relationen zwischen den synonymisch-antonymischen Paradigmen stützen sich vorallerdings auf folgende ausschliessende Faktoren.Es sind: strukturelle Anzeiger des Wortes, die Stileigentümlichkeiten, die Relationen der antonymischen Reihe.

Traditionellerweise wird das Phänomen der Synonymie als Wörter mit der identischen oder ähnlichen Bedeutung dargestellt. Obwohl sich die Definition bewährt hat, ist darin ein wesentlicher Umstand—die Sinnstruktur des polysemantischen Wortes ausser Acht gelassen. Es ist möglich in dieser Struktur für jede konkrete Bedeutung ein entsprechendes Synonym auszusuchen. Davon ausgehend wäre es absolut wahr die Synonyme als Wörter des gegensätzlich-logischen Inhaltes zu betrachten, die miteinander in einer oder mehreren Bedeutungen zusammenfallen.Es ist zweckmässig bei der Synonymiebestimmung die Rolle der Distribution nicht zu vergessen. zB. für die Synonyme -„***bekommen-erhalten***“-ist hauptsächlich ähnliche Distribution charakteristisch. Sie werden sich im syntagmatischen Schnitt mit denselben konkreten oder abstrakten Substantiven anschliessen---„*einen Brief, Geld, ein Buch, eine Antwort bekommen /erhalten“*.Es gibt aber eine Reihe der Substantiven, die mit einem beliebigen Wort *„bekommen*“ oder „*erhalten“*kongruiren. Die Eigentümlichkeiten der lexikalischen Bedeutung bedingen nicht so selten die Notwendigkeit der maximalen Präzisierung des antonymischen Phänomens und die Lösung seiner Qualifikationsprobleme. Der Unterschied zwischen den Synonymen wird auch in stilistischer Hinsicht bezeichnet. Der stilistische Unterschied wird in den Paaren fixiert, wo ein Glied einen neutralen sprachlichen Ausdruck der logischen Verben schildert, zweites Glied aber- eine expressiv gefärbte Einheit des selben Begriffs bezeichnet:das Gesicht-das Antlitz/poet/, der Kopf-das Haupt/gehob./der Mund–die Fresse/vulg./, im georgischen:sikwaruli-trphoba, schekwarebuli-satrpho, poeti-mgosani **u.v.a.**

Die für die Synonymie charakteristische oben aufgezählte alle Merkmale sind für jede Vertreter der synonymischen Reihe bei der Feststellung ihrer Übereinstimmung mit den antonymischen Einheiten zu berücksichtigen. Beim Auswählen der antonymischen Paare ist nicht zuzulassen solch einen Umstand zu vernachlässigen, dass es nicht immer möglich ist, die lexikalische Einheit einer bestimmten synonymischen Reihe durch die andere beliebige Einheit denselber Reihe zu versetzen. Soviel beim gegenseitigen Wechsel der synonymischen Wörter die Redewendung vorwiegend eine unterschiedliche Schattierung einnehmen wird. Auf diese Weise werden die distributionellen Eigentümlichkeiten des konkreten antonymischen Paares beschränkt. Die Einschaltung des differenzierenden Wortes in die synonymische Reihe verursacht ausserdem die Veränderungen der existierenden bilanzierten Relationen zwischen den gegenübergestellten Mitgliedern und gibt ihnen eine ebenso unterschiedliche Schattierung. Demzufolge wird die Absolutheit der Antonymie in Übereinstimmung mit Synonymität zerstört und ihre gegenseitige Versetzung scharf eingegrenzt..z.B.das Antonym des Adjektivs „*zukünftige“*-„*bevorstehende“*-gibt dem antonymischen Paar parallel mit dem offiziellen Ton zusätzlich eine semantische Schattierung, im konkreten Fall die Bedeutung „*des Wartens*“ , die im semischen Bestand des Adjektivs „*zukünftig*“ nicht aufgefasst wird. vergl. *zukünftig-in der Zukunft eintretend, bevorstehendes –etw. zu erwartendes: zukünftige/bevorstehende Wahlen*-aber *zukunftige und*

*nicht bevorstehende Frau, zukunftiger und nicht bevorstehender Schwiegersohn.*Im solchen Fall werden die distributionellen Angaben bei der Konkretisiertung der antonymischen Einheiten eine entscheidende Rolle spielen.

Das Obenerwähnte ist bei der Feststellung der konkreten antonymischen Einheiten zu beliebigen Mitglied der synonymischen Reihe zu berücksichtigen. Die Analyse der synonymischen Relationen im Rahmen der synonymischen Paradigma bildet eine wahre Grundlage für die Abgrenzung des Sinnenunterschiedes unter den Wörtern und deutet zugleich auf die Existenz der semantischen Verbindung zwischen diesen zwei aussergewönlichen Erscheinungen. Es ist klar, dass es in solchen Fällen nicht zu zulassen ist, die distributionellle Eigentümlichkeiten zu vernachlässigen. Die Richtigkeit der wechselseitigen Relationen der Antonymie und Synonymie bestätigt auch die Meinung, dass ein Wort als wahre Antonym zu zweiten betrachtet wird, wenn es die Substitution dieses Wortes in die identische Distribution durch die Wörter mit den entgegengesetzten Bedeutung möglich ist.z.B.*eine normale, gewöhnliche, übliche Sache≠eine anormale, abnormale, ungewöhnliche unübliche Sache.*

Analogische Relationen der Aufeinanderbezogenheit der antonymisch-synonymischen Reihen werden im Rahmen des polysemantischen Wortes bei der Feststellung der oppositionellen Relationen und beim Aussuchen der Einheit mit oppositionellen Semantik für jede einzelne Bedeutung abgesondert.Das Wort mit einigen Bedeutungen ist in der Lage die oppositionellen Relationen mit einer Reihe von Wörtern herzustellen. Die Verbindungen solcher Art werden oft als Wortketten oder Wortreihen erwähnt. Sie enthalten die Wörter mit direkt und ubertragener Bedetungen und werden als klares Beispiel betrachtet, dass für jede einzelne Bedeutung des polysemantischen Wortes seine antonymische Einheit ausgesucht werden soll und das die antonymischen Relationen realisierendes Wort gegen das Zweite Wort synonymische Reihe der lexikalischen Einheiten eines bestimmten Inhaltes bilden kann, wo sich diese Einheiten voneinander nur durch die zusätzlichen Sinnschattierungen unterscheiden. Für derartige Schattierungen ist oft Expresivität eigen.

Die Behauptung hat sich bewährt, dass die Bestimmung der synonymischen Relationen oft als Grundlage der Feststellung des Umfangs der semantischen Struktur der Antonyme betrachet werden kann und ermöglicht den Sinnesunterschied zwischen den Einheiten der antonymischen Reihe zu Äussern, die Spezifik zu erforschen und objektive Schlussfolgerungen zu ziehen. Die Notwendigkeit die Analyse dieses Charakters zu verwirklichen, wird durch die Existenz der bestimmten semantischen Verbindung zwischen den Antonymen und Synonymen bedingt. Durch die Untersuchung der Antronymie und Synonymie in gegeseitiger Verbindung werden auf der Ebene der Gegenüberstellung die Relationen zwischen diesen aussergewöhnlichen Erscheinungen konkretisiert.

Die Notwendigkeit, die Analyse in bezeichneter Hinsicht auszuführen, bezeugt auch eine wahre Tatsache, daβ durch nichts die Gegenüberstellung zwischen den Antonymen in solchem Grade geäuβert wird, wie es die Präzisierung der Wörter ist, die mit ihnen in synonymischen Relationen stehen und umgekehrt; trotz ihrer wechselseitig ausschlieβender Natur, soll sich eine vollständige Schilderung des Wesens der Antonymie, in Verbindung mit der Synonymie erreignen, weil als eine der Eigentümlichkeiten der Antonymie die Übereinstimmung mit der Synonymie anerkannt wird.

Die Behandlung der Antonymie in Verbindung mit den Synonymen ermöglicht die objektiven Untersuchungsergebnisse zu bekommen, den Charakter der zwischen zwei voneinander radikal unterschiedlichen Erscheinungen existierenden Relationen zu konkretisieren und sich ihre Spezifik zu offenbaren.

Für die beliebigen Glieder des antonymischen Paares werden entsprechende synonymische Einheiten oder die Reihen derartigen Einheiten ausgesucht werden. Wenn die Reihe der synonymischen Einheiten eines Mitgliedes mit der Reihe der synonymischen Einheit des zweiten Gliedes in eine rückbezügliche Relation steht, wird in diesem Fall mehrdimensionale Antonymie abgeteilt werden. Wenn sich die Entgegenstellung der oppositionellen Paare zu einer Einheit im Rahmen nur einer synonymischen Reihe zeigt, ist die Synonymie eindimensional. Die bezeichneten Relationen werden als Gattung zweir

wechselseitigen ausschließenden Verbindungen behandelt, die zwischen den Wörtern der synonymisch-antonymischen Paradigma existieren, ***radiale*** und ***lineale.*** Unter der radialen Verbindung ist das Eintreten eines linken Gliedes des antonymischen Paares in gegensätzlicher Verbindung mit den überwiegenden Mehrheit der synonymischen Einheiten des zweiten–rechten Gliedes und die Bildung eines unterschiedlichen Paares vom antonymischen Anfangspaar zu verstehen. Die lineale Verbindung wird im Rahmen einer bestimmten Bedeutung in Verbindung einer konkreten Einheit der synonymischen Reihe eines Gliedes mit einem konkreten Einheit der synonymischen Reihe des zweiten Gliedes hergestellt werden.

Durch die Analyse der Relationen zwischen diesen zwei auβergewöhnlichen sprachlichen Erscheinungen offenbart ihre ebenso gegenseitige Aufeinanderbezogenheit, was sich klar bei der Feststellung der antonymischen Relationen zwischen den synonymischen Reihen des Wortpaars: **kühn-zaghaft** zeigt. Die Synonyme des ersten Gliedes dieses Paares sind: **unerschrocken, verwegen, wagemütig, wag(e)halsig, mutig, tollkühn, tapfer.** Die Synonyme des zweiten Gliedes dieses adjektivisches Wortpaares sind: **feige, zaghaft, verzagt, ängstlich, zaghaft, verzagt, feige,**

zaghaft, verzagt, ängstlih, besonnen, vertnünftig, vorsichtig, gefahrlos, ungefährlic, mutlos, bang, kleinmutig, ängstlich, feige, furchtsam, zaghaft, verzagt, besonnen, vorsichtig, vernünftig, feige, mutlos, zaghaft, verzagt, furchtsam, bang, kleinmut, ängstlich. Zwischen den synonymischen Reihen dieses adjektiwischen Wortpaares werden antonymische Relatione nfestgestelt werden.

Die vorgelegte derartige Analyse bestätigt vor allem die Verbindung dieser zwei bedeutenden sprachlichen Erscheinungen –Antonymie und Synonymie, deutet auf die Existenz der wechselseitigen Aufeinanderbezogenheit zwischen ihnen. Durch die Synonyme ist es möglich die Qualität der Antonymität mit maximaler Präzisierung festzustellen–je in mehreren Fällen die oppositionellen Relationen der synonymischen Einheiten eines Gliedes des antonymischen Paares mit den synonymischen Einheiten des zweiten Gliedes geäuβert werden, desto höher die Qualität der Antonymität der Glieder ist.

Auf die Existenz der gegenseitigen Verbindung zwischen der Antonymie und Synonymie zeugt auch die Behauptung, daβ sowohl das Erste als auch das Zweite Glied des antonymischen Gliedes in der Lage ist, in einer identischen Distribution eine beliebige Einheit der synonymischen Reihe dieses Gliedes zu versetzen.

Die zweite Abart der Verbindung zwischen den Einheiten des synonymisch-antonymischen Paradigmas stellt eine l**ineale** Beziehung dar, die vorwiegend durch zwei lexikalischen Einheiten formiert wird-das erste Glied des Paares ist primär, bzw. Ausgangspaar, das zweite –das durch die derivativen Elementen erzeugte Wort. z.B. *Erfolg-Mißerfolg; beschädigt-unbeschädigt. blühen-verblühen, freudig-freudlos.* Die Realisierung der oppositionellen Semantik wird in solchen Einheiten dem wortbildenden Mittel auferlegt, sofern die Identität der Stämmensemantik von den gegenübergestellten Einheiten ihre Polarität völlig ausschliesst.

Sowohl synonymische als auch antonymische Relaitonen werden nicht nur unter den neutralen, sondern auch funktionalen lexikalischen Einheiten hergestellt werden, derer Semantik durch Ähnlichkeit mit der konkreten Funktion des bestimmten Gegenstandes bzw. der Erscheinung motiviert wird. z.B. in der semantischen Struktur des Substantivs „*der Kopf*“ ist eine der Varianten abgetrennt: „*Leitung, Führung, geistiges / seelisches , intelektuales Zentrum“,*was eindeutuig auf die Funktion des bezeichneten Organs „*der Kopf“ –„die Leitung der Menschenhandlungen deutet.* Auf diese Funktion beruht sich die Fixierung solcher Wörter als Synonyme, wie: *der Leiter, die Leitung, der Führer, die Spitze; der Kopf/ Leiter /Führer der illegalen organisation in Sachsen war im August verhaftet worden; Dieser Mann bildet den Kopf /die Leitung des Unternehmens.*

*Ä*hnlicherweise wird das Substantiv „*der Fuβ*“ behandelt werden, dessen Funktion ist, den Körper im vertikallen Zustand darzustellen, ihn zu tragen.;*der Fuβ= tragender Teil von Gegenständen, tragender Teil von Einrichtungsgegenständen*. Auf Grundlage der Funktionsidentität wird dieses Substantiv nicht nur in Verbindung mit den Lebewesen verwendet.z.B. *die Füsse des Kindes, des Alten, des Hundes, der Katze und* viele andere, sondern auch bei solchen Substantiven, die Nichtlebewesen bezeichnen, z.B. *der Fuβ des Sessels, der Säule, des Turms, des Berges, der Druckseite, des Denkmals, des Burges, der Lampe, des Glases u.a.*

Es sei hervorgehoben, daβ mit den Substantiven *„der Kopf“, „der Fuβ“* die antonymischen Relationen in jedem einzelnem Fall verschiedene lexikalische Einheiten aufnehmen,was durch die konkreten Semantik des Ausgangsmitglieds des oppositonellen Wortpaares realisierte Bedeutung bedingt wird. Als Antonyme des Lexems *„der Kopf*, der das Körperteil bezeichnet,sind in den speziellen Woerterbuechern die Woerter – *Leib, Körper, Rumpf, Fuss* fixiert; Mit der Bedeutung *„der Anführer,“ „der Oberhaupt“ wird dem Wort „der Kopf“ „der Gemeine, der Soldat “ entgegengesetzt.Ä*hnlicherweise werden die Antonyme zum Wort *„der Fuss“* ausgesucht; jeder einzelnen Bedeutung dieses Wortes werden verschiedene Einheiten gegenuebergestellt*; vergl.;Fuβ des Tisches≠ die Decke des Tisches , der Fuβ der Saeule≠ das Kapitel der Säule, der Fuβ des Menschen≠der Kopf der Menschen, der Fuβ des Berges≠ der Gipfel des Berges , der Fuβ der Druckseite≠der /untere/Rand der Seite.*

Während der Belehrung der antonymischen Relationen ist es nötig, zufolge der oben ausgesagten Meinungen, die Spezifik solcher Erscheinungen, wie- *Antithese, Enantyosemie, Synonymie* - in jeden einzelnen Fällen zu berücksichtigen, die mit der Untersuchungseinheit verbunden sind. Hier soll auch die semantische Struktur der antonymischen Wortpaare benannt werden

გამოყენებული ლიტერატურა

1. Agricola **E.Wörter und Wendungen.Wrterbuch zum deutschen Sprachgebrauch.Leipzig. 1992.**
2. **Agricola Chr. Wörter und Gegenwörter.. Antonyme der deutschen Sprache. Veb. Bibliographisches Institut**
3. **Bündig K D. Deutsches Wörterbuch. 1996**
4. **Duden-Deutsches Universal Wörterbuch A-Z. Duden Verlag /Mannheim/Wien/Zürich. 1983.**
5. **Görner H. Synonym-Wörterbuch.Leipzig VEB. Bibliographisches Inst. 1986.**
6. **Klappenbach R. Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Akademie Verlag. Berlin. 1970-1979.**
7. **Климова Л.И. Антонимические значения полисемантических слов в современном русском языке. Автореферат. Ленинград.1975.**
8. **Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Akademie Verlag. Berlin. 1970-1979**
9. **Wahrig G. Deutsches Wörterbuch. Mosaik Verlag. GMBN lexikothek 1980.**
10. **Schippan Th. Einführung in die Semasiologie VEB, Leipzig. 1975**

ლალი რატიანი

ენობრივი ერთეულების სემანტიკური კავშირები და დისტრიბუტიული თავისებურებები გერმანულში

რეზიუმე

ენობრივი ერთეულების ურთიერთზემოქმედება ვლინდება განსაკუთრებულ ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის, ორ რიგად წარმოდგენილ, როგორც სინონიმიური ისე ანტონიმიური პარადიგმების ფარგლებში. მათ შორის აღინიშნება ურთიერთგამომრიცხავი მიმართებები, რომლებიც დაფუძნებულია აზრობრივი სხვაობის ხასიათზე, სიტყვის სტრუქტურულ მარკერებზე, სტილურ თავისებურებებზე, ანტონიმიურ-სინონიმიურ რიგთა მოცულობაზე.

სინონიმების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ენობრივი ერთეულების ანტონიმიურობის ხარისხის მაქსიმალური სიზუსტით დადგენა. ანტონიმიური წყვილის როგორც ერთ, ისე მეორე წევრის იდენტურ დისტრიბუციაში შეიძლება ჩაენაცვლოს ამ წევრის სინონიმიური რიგის ნებისმიერი ერთეული. როგორც სინონიმიური, ისე ანტონიმიური მიმართებები მყარდება არა მხოლოდ ნეიტ-

რალურ, არამედ ფუნქციურ ლექსიკურ ერთეულებს შორისაც. სინონიმიურ მიმართებათა განსაზღვრა ხშირად ანტონიმთა სემანტიკური სტრუქტურის მოცულობის დადგენის საფუძვლად გვევლინება.

Ratiani Lali

Semantische Verbindungen und distributionelle Eigenschaften der sprachlichen Einheitem im Deutschen

Resüme

Die Aufeinanderbezogenheit der sprachlichen Einheiten zeigt sich im Rahmen der in zwei Reihen dargestellten lexikalisch-semantischen Sondergruppen sowohl synonymischer als auch antonymischer Paradigmen. Die ausschliessenden Relationen zwischen ihnen stützen sich auf den Charakter der Sinnenunterschieds, strukturellen Anzeiger der Wörter und auf den Umfang der antonymisch-synonymischen Reihen.

Durch Synonymen wird es möglich, die Antonymiequalität der sprachlichen Einheiten mit maximaler Präzisierung festzustellen. Das Erste als auch das Zweite Glied des antonymischen Gliedes kann in einer identischen Distribution eine beliebige Einheit der synonymischen Reihe dieses Gliedes versetzen. Die sowohl synonymische als auch antonymische Relationen werden nicht nur zwischen den neutralen, sondern auch funktionalen lexikalischen Einheiten hergestellt werden. Die Bestimmung der synonymischen Relationen ist oft als Grundlage des Umfangsfeststellung der semantischen Struktur der Antonymie angesehen.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ქართველები ირანში

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-27-ებში
და ანთოლოგიის მე-5,6 ტომებში)

ირანის გზამ დამიდაგა გული,
დამეხუთა ყაენთანაც სული.
ხალხური

ქეთევან დედოფლის წამების შემდგომი პერიოდი მარტყოფის ბრძოლამდე

ყიზილბაშთა შემოსევებმა კახეთი ფიზიკური განადგურების პირას მიიყვანა. ამას ერთვოდა კახეთის დიდებულთა უუნარობა და მოუმზადებლობა მტრის დასახვედრად – მათ ვერ მოახერხეს ნაწილობრივ მაინც შეეჩერებინათ ირანიდან წამოსული ყოვლის-წამლეკავი ნიაღვარი, რამაც მეფე თეიმურაზის დედა-დედოფლისა და ორი შვილისა და კიდევ ათასობით ქართველის სიცოცხლე შეიწირა.

ქეთევან დედოფლის წამების ჟამს სააკაძე ირანში იმყოფებოდა და, ცხადია, თავისი თვალითაც ნახავდა; გიორგისთვის ეს საშინელი განცდა იქნებოდა;

ქართველთა სათაყვანებელი დედოფლისათვის ამ უდიდესი სატანჯველის მიყენებას არ შეიძლებოდა ძირფესვიანად არ შეერყია მთელი ბუნება ისეთი შემართების კაცისა, როგორიც სააკაძეა; დიაცს შეეძლო ამხელა თავდადება სამშობლოსათვის, ხოლო გიორგი სააკაძეს? ჰოდა, სამშობლო მიწის ყივილი მასაც მალე დაუყენებს კარგი შვილობის გაწევის შესაძლებლობას. ქართველი დედოფლის საჯარო შეურაცხყოფა და წამება იყო ალბათ ერთ-ერთი წინა პირობა იმ დიდი ეპოპეისა, რომელსაც მარტყოფი ჰქვია.

1624 წლის 13 სექტემბერს შირაზში გოლგოთის შესადარი წამება მოხდა, ქრისტიანული და არაქრისტიანული მსოფლიო გაოცებამ მოიცვა. შაჰის ასეთ ზნეობრივად შემზარავ ნამოქმედარს უნდა მოჰყოლოდა ადექვატური საპასუხო რეაქცია ქართველებისა. ქეთევან დედოფალი ყველასთვის საკუთარ დედასთან ასოცირ-დებოდა და უკიდურესად დიდ შურისმგებლურ სიმწარეს დაბადებდა.

1624 წლის 13 სექტემბერი ქართველთა დაუმორჩილებ-ლობისათვის შაჰ-აბასის მიერ ხორკლიანი ხელით გაწნული სილა იყო მუდამ სიკვდილს მაცქერალი სააკაძისთვის.

ქეთევან დედოფლის წამების თვე, სექტემბერი, ბრწყინავს საეკლესიო დღესასწაულებით:

11 სექტემბერი – იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის ხსენების დღე;

19 სექტემბერი – წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის ხსენების დღე;

21 სექტემბერი – ღვთისმშობლის, წმიდა მარიამის შობის დღე;

26 სექტემბერი – წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის ხსენების დღე.;

27 სექტემბერი – ჯვართამაღლება.

... გაივლის სრული 6 თვე და 1625 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, ქეთევან დედოფლის წამებით გამოწვეული გაუნელებელი სინანული მარტყოფის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების სიხარულით გაგრძელდება,

მაგრამ ეს გამარჯვება ისევ ითხოვს მსხვერპლს. ვინ არის შემდეგი,

ეს მხოლოდ გიორგი სააკაძემ იცოდა.

ისკანდერ მუნში წერს, რომ „მოურავ-ბეგი მხოლოდ დროისა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს, მას ხელი არასოდეს აუღია ქრისტიანობის რჯულზე“.

ზურაბ ერისთავი,
საიმედო დასაყრდენი მარტყოფის ბრძოლაში

1619 წელს, ნუგზარ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, არაგვის ერისთავობა მისმა უფროსმა შვილმა ბაადურმა მიიღო. ზურაბ ერისთავმა არ ცნო არაგვის მბრძანებლის უფლებამოსილება და სპარსეთში წავიდა გიორგი სააკაძესთან. ის ცოლისძმასთან ახლო ურთიერთობაში იყო და სააკაძესაც მომავალ ბრძოლებში დიდად ეიმედებოდა – მისი ძლიერი აღნაგობა, შეუპოვარი ბუნება, შემართება იყო პირობა იმისა, რომ სააკაძის გვერდით არაგვის ერისთავი დიდად საჭირო სამსახურს გაუწევდა საქართველოს.

სააკაძემ შაჰ-აბასს წარუდგინა ზურაბი. „ირანის ლომზე“ კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ძვალმსხვილსა და ძარღვმაგარ არაგვის ერისთავს. „შაჰისაგან ხელდასხმული ზურაბი, – ამბობს ისქანდერ მუნში, – მალე წამოვიდა საქართველოსკენ. მას თან ახლდა შაჰისგან გატანებული შაჰისევანთა რაზმიც“. როგორც კი მისმა ძმამ ბაადურმა შეიტყო, ზურაბი მოდისო, თავის ცოლშვილიანად დასავლეთ საქართველოში გადავიდა და საჩინოს შეაფარა თავი.

შაჰის წყალობით ზურაბი გახდა არაგვის საერისთავოს ბატონ–პატრონი, გიორგი სააკაძის მხარში ამოდგომით კი – მეტად დაახლოებული ანგარიშგასაწევი პირი სპარსეთის კარზე. ე.ი. ცბიერი შაჰისაგან ესოდენ დიდი წყალობით დავალებული ზურაბი გახდა მისთვის მნიშვნელოვანი საიმედო დასაყრდენი საქართველოში. 1624 წლის შუა ზაფხულში ზურაბ ერისთავი გიორგი სააკაძესთან ერთად ისევ შაჰის კარზე იმყოფებოდა. აბასს ეჭვი არ ეპარებოდა ზ. ერისთავის ერთგულებასა და საიმედოობაში, მას და გიორგი სააკაძეს გააცნო ირანული ჯარის ახალი სრულყოფილი შეიარაღება, თოფ-ზარბაზნები. სახეგაბადრული „ირანის მზე“ ულვაშებზე ხელის გადასმით ამჟღავნებს დიდ კმაყოფილებას. ამაყია, რომ მისი ჯარი უძლეველია, მრავალი ქვეყანა დაუპყრია და დაუმორჩილებია ირანის გავლენისათვის, თან სააკაძეს გადახედა და გააგრძელა: რომ არა მისი სახელოვანი სარდლები მოურავ-ხანი, ყორჩიხა-ხანი, იუსუფ-ხანი ისა-ხან ყორჩიბაში, ირანი და მისი მზე შაჰ-აბასი ამდენ წარმატებას ვერ მოიპოვებდნენ, რომ შაჰი დიდად მადლიერია მათი და დიდი ალაჰის შთაგონებით ისინი მუდამ ირანულ უძლეველობასთან ერთგულების სამსახურში იდგებიან.

„ზურაბსაც მიუღია მონაწილეობა ირანის მტრების წინა-აღმდეგ გამართულ ბრძოლებში, მაგრამ ახლა უფრო მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა დაგვისახა დიდმა ალაჰმა: აღმოსავლეთ გურჯისტანი ჯერ კიდევ მოუთვინიერებელი დაგვრჩენია და შენ, ზურაბ ერისთავო, დიდი ალაჰის შთაგონებით გეძლევა საშუალება ირანსა და შენს მეგობარს „ირანის მზეს“, შაჰ-აბასს დაუმტკიცო შენი მადლიერებაო“.

სმენადქცეული გიორგი სააკაძე მალულად ადევნებდა თვალს, თუ რა გავლენას ახდენდა შაჰის სიტყვები ზ. ერისთავის ანგარებიან გულზე. ამ ეტაპზე რადიკალური სხვაობაა ერისთავის შაჰისადმი თანაგრძნობასა და სააკაძის მომავალ სამამულიშვილო გეგმას შორის, ზურაბმა გიორგის განზრახვა ჯერ არც იცის.

გიორგი სააკაძე მისთვის ჩვეული სიდარბაისლით უსინჯავს ფხას ირანული ხმლისა და შუბის სიმტკიცეს. მან სთხოვა შაჰს გამოეცადა ირანული ფოლადის სიმტკიცე, შაჰმა ნება დართო. სააკაძისაგან მოჩვენებითი ძლიერებით მოქნეულმა ხმალმა ნაპერწკლები გაყარა ჩალმიან მუზარადზე და იქ მყოფთა აღტაცებაც გამოიწვია. გიორგი სააკაძემ ამ შემთხვევისათვის განსაკუთრებული წრთობით გააკეთებინა ხმალ-მუზარადი. სინამდვილეში ირანული იარაღი ასე მტკიცე არ ყოფილა (მოხუცები გვიამბობდნენ: წინაპრები იგონებდნენ, რატომღაც მარტყოფის ბრძოლაში ქართული მახვილი ყველივით ჭრიდა სპარსულ ხმალსო).

შაჰ-აბასმა განსაკუთრებული დავალება მისცა ყორჩიხა-ხანს, კახეთის მოსახლეობა მთლიანად გაეწყვიტა, ქართლელები კი აეყარა და ირანის გზისთვის გაეყენებინა.

მუსტაფა ნაიმას ცნობით, შაჰმა ყორჩიხა-ხანს უბრძანა, გიორგი სააკაძესთან შეთანხმების გარეშე არაფერი გაეკეთებინა, მეორე მხრივ, დალოდებოდა მის საიდუმლო მითითებებს.

სააკაძე ყორჩიხა-ხანს მრჩევლად მოჰყვება, მასთან ერთადაა ზურაბ ერისთავიც. შაჰმა ჩვეული საზრიანობით გიორგი სააკაძის შვილი პაატა და ზურაბ ერისთავის მეუღლე თავისთან დაიტოვა.

გიორგი სააკაძის აჯანყების გეგმა, რომლისთვისაც იგი დიდხანს ემზადებოდა მხოლოდ ქართლის კათალიკოსმა და წილკნელმა ეპისკოპოსმა პართენმა იცოდნენ, ზურაბ ერისთავსაც კი საქართველოში შემოსვლისას შეატყობინეს.

წარმოუდგენელია ზურაბისათვის ღალატი შაჰისა, ვინც აღაზევა და უანგაროდ დასვა არაგვის ერისთავად. აქ სააკაძის შენიღბული მონდომებაც არის ჩაქსოვილი შაჰის ნდობის მოსაპოვებლად. ქედმაღალი ერისთავი შაჰის მოღალატეს არ დაინდობდა და ფიზიკურადაც კი გაუსწორდებოდა, მის პატივმოყვარე ბუნებაში ჩანს ასეთი ხასიათი. მას, ზურაბს, უკვე არაგვის ერისთავი ერქვა, ეს მისთვის საოცნებო ტიტული „ირანის ლომმა“ უბოძა და დაუმტკიცა, ამდენად, ზურაბისათვის შაჰის მტერი მისი მტერიც იყო.

და ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი, ვინც ღრმად დააფიქრებდა ზურაბს საქართველოს ბედიღბალზე და შაჰის სამსახურად გადაგებულ მის ამპარტავან და ანგარ გულს საქართველოს სასიკეთოდ შემოატრიალებდა.

შაჰის ერთგულების დასამტკიცებლად ზურაბს საქართველოს საზიანოდ, ქართლის ასაყრელად და სპარსეთში გასარეკად უნდა ემოქმედა. ეს ამოცანა დაუსახა შაჰ-აბასმა ირანში, როდესაც სათათბიროდ შემოიკრიბა ყორჩიხა-ხანი, სააკაძე და ზურაბ ერისთავი.

1625 წლის თებერვლის დასაწყისში შაჰის კარგად მობილიზებული, ვითომ ქორწილის მაყრიონად წამოსული სპარსული 30 ათასიანი ლაშქარი საქართველოსკენ დაიძრა. ხუმრობა ხომ არ იყო, შაჰი თავის შვილიშვილს, ისა-ხან ყორჩიბაშის ასულს სვიმონ-ხანს ატანდა ცოლად! ამხელა ჯარი ჯერ არ დასჭირვებია საქართველოზე სალაშქროდ შაჰს, მაგრამ ახლა, გარდა კახეთისა, ქართლიც მოსათვინიერებელი გამხდარა.

მოდის სააკაძეც და მოაქვს კაეშნით დამძიმებული გული და ჯვარი. იცის, რა ელოდება მის შვილს პაატას, წინასწარ იცის ისიც, რა სჭირდება მის სამშობლოს.

შაჰის მაყრიონი? – სიძე სვიმონ-II საზეიმო ზანზალაკებით მოადგა თბილისს.

მაყრიონი ებევრათ საქართველოში, სააკაძე ცდილობდა, დაერწმუნებინა მოსახლეობა, რომ ამ ჯარის სიმრავლე მათვის საზიანო არ იქნებოდა, „ნურც რაი ფიქრი გაქუსთ, ეს საქმე მე დამადევითო“..

რამდენიმე დღე მართლაც იყო საზეიმო განწყობა, ნადიმი, სიმღერა, ყაბახის სროლა, ჭიდაობა. რა მოთავდა ჟამი ქორწილისა, ყორჩიხა-ხანმა სააკაძესთან შეთანხმებით, როგორც შაჰისგან ჰქონდათ დავალებული, თბილისიდან აჰყარა ყიზილბაშობა და მუხრანთან ახლოს, აღაიანის ველზე დაიბანაკა.

აქ უნდა შეასრულოს ყორჩიხა-ხანმა შაჰის მომდევნო ბრძანება. არ დაუხანებია, სასწრაფოდ გაგზავნა მალემსრბოლი კახეთში, შეუთვალა: „შაჰის დავალებით იმერეთს ვაპირებ გალაშქრებას და ყველა, ვისაც ხელში მახვილის აღება შეუძლია, გამოცხადდით მუხრანში სპარსულ ჯართან ერთად იმერეთში საომრადო“.

შაჰის ფარული დავალებით, ყორჩიხა-ხანს „თანად–გომისა და სამსახურისათვის“ კახელები ვითომ უნდა დაესაჩუქრებინა, ცალ-ცალკე იწვევდნენ კარავში. გულდანდობილად შესულებს ჩასაფრებული ჯალათები იქვე კართან სჭრიდნენ თავს. ცხადია, შაჰი და ყორჩიხა-ხანი სააკაძეს არც გააგებინებდნენ, რომ ასე ულმობლად აპირებდნენ ქართული სისხლის დაღვრას. კახელებმა მალე იკრეს ღალატის სუნი, მიხვდნენ რომ განწირულები იყვნენ, ხმლით გაარღვიეს სპარსული ჯარის რკალი და სამშვიდობოს გავიდნენ. ჩაიშალა შაჰის გეგმა, მოესპო ყველა ბრძოლისუნარიანი კახელი, რომ მათ შემდგომში ქართლის აოხრება-გადასახლებაში ხელი არ შეეშალათ.

ყიზილბაშებმა ამის შემდგომ კიდევ უფრო გააძლიერეს გიორგი სააკაძის თვალთვალი. სააკაძეს, ცხადია, ექნებოდა იმის ფიქრი, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ყიზილბაშთა ვერაგობა ზურაბ ერისთავზე და გზას ეძებდა მისი გულის კარისკენ, როგორ აეხსნა აჯანყების გეგმა, რომ დაეთანხმებინა. აკი ნახა ზურაბ ერისთავმა ირანში ყოფნის დროს აყრილ-გადასახლებული კახელები, ირანის მოსახლეობას მონებად და მუქთა მუშახელად რომ ექცია. ხვდებოდა ზვიადი ერისთავი შაჰ-აბასის ბოროტი გულის წადილს, მაგრამ მისგანვე იყო დასაჩუქრებულ-დავალებული და საკუთარ ტყავს უფრთხილდებოდა, მაგრამ ხომ ჰქონდა მას, როგორც ქართველს, გულისგულში ტკივილი, მოუშუშებელი ჭრილობა, ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულით გამოწვეული.

გიორგი სააკაძემ ამ ქართულ ტკივილს დაუმიზნა თავისი სათქმელი.

სიფრთხილით შეარჩია სასაუბრო დრო, ტაქტიკა და ფოლადნარევი ხმით უთხრა: „ჩემი და შენი შეთანხმებით საქართველო უნდა გადავარჩინოთ შაჰ-აბასისგან განად–გუ–რე–ბას, ეს, როგორც შენც ხედავ, ვითომ სამოყვროდ შემოსული ყიზილბაშთა ლაშქარი ისე უნდა გავჟლიტოთ, ამბის მიმტანიც კი არ დარჩეს ცოცხალიო“.

ზურაბ ერისთავს სახე აელანძა, გაშეშდა, თითქოს ვერც მიხვდა, რას ითხოვდნენ მისგან. გონს რომ მოეგო, პირველი ის იკითხა, ცოლი სპარსეთში რისთვისღა დავტოვეო.

სააკაძემ მოკლედ მოუჭრა: „არავინ უწყის, რის ფასად დაგვიჯდებოდა ეს მოსაზრება, ჩემი განზრახვა სპარსეთში რომ გამენდო შენთვის, შაჰი ცოლს მაინც არ გამოგატანდა, ხომ კარგად იცი ირანელთა ეჭვიანობა. შენ ცოლს სწირავ, ჩემო ზურაბ, მე შვილს, აბა ჩემს გულშიც ჩამოიხედე! პაატა შაჰმა მომგლიჯა გულიდან და მძევლად დაიტოვა! ცოლის ხელახლა შერთვა შეიძლება, მე კი ვინ დამიბრუნებს ჩემს შვილს, მაგრამ ღვთის ბოძებული ეს შანსი თუ ხელიდან გავუშვით, სულ გაგვინადგურდება ქართლიცო“.

ზურაბ ერისთავი ორჭოფულ მდგომარეობაში მოექცა, ბოლოს ისევ ხერხს მიმართა გიორგიმ: „შენ ერთ-ერთი ღირსეული ერისთავი ხარ აღმოსავლეთ საქართველოში და იმსახურებ კიდევაც მეფის მოყვრობას. მოვიკრიფოთ აზრი, მე მოვახერხებ, რომ მეფე ლუარსაბის და შეგრთო ცოლადო“.

ლუარსაბის მოკვლის შემდეგ ლელასთვის აუტანელი გამხდარიყო იმ კაცის ცოლობა, ვინც ასე დაუნდობლად გაწირა მისი ძმა. შაჰმა ამით ისარგებლა და ლელა-თინათინი თავის ერთგულ ფეიქარ-ხანს, კახეთის მმართველს გადაულოცა.

სააკაძის სიტყვებმა მაგიური ძალით იმოქმედა ზვიადი ბუნების ერისთავზე და მყისვე მოულბო გული. ისინი გულმხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს და ერთგულების ფიციც დასდეს.

აჯანყების მტკიცე ღერძად მოაზრებული ზურაბ ერისთავი სააკაძის იმედად იქცა. მას ჰყავდა ბრძოლებში კარგად ნაწრთობი მთიელთა ლაშქარი, რომელიც მარტყოფის ველზე მთავარი საბრუნავი, ეროვნული ენერგია გახდა. იმედის ვარსკვლავი უკვე ამონათდა საქართველოს ცაზე.

ზურაბ ერისთავის 6 ათასი მებრძოლი მარტყოფისათვის უკვე ხმალ-შუბს ფხას უსინჯავდა.

მოთმინება ბედისწერასავით თან დაჰყვა სააკაძეს, ითმენს 1612 წლიდან, როცა საქართველოდან გაძევებული შეეფარა ირანის შაჰის კარს, როგორც დევნილი, მოღალატეთა ხელით უკვე მკვდარი, იავარყოფილი.

იქაც შაჰის ნდობის მოსაპოვებლად თავი ჰქონდა გადადებული, სიკვდილს შესცქეროდა, ითმენდა საქართველოსთვის მის მიერ იძულებით არგაწეული ამაგის თორმეტწლიან ვარამს, ეძებდა შაჰის მიერ დახლართული ხვანჯებიდან და განსაცდელისაგან თავის დასაღწევად გზებს...

დიდი ნებისყოფა სჭირდება გიორგის ახლაც, 1625 წელს, როცა სულ ახლოსაა მიზანთან, რომელიც ბოლომდეა მისაყვანი. 30 ათასი ხმალალესილი ყიზილბაში მეომარი შუა ქართლშია დაბანაკებული და ბრძანებას ელოდება, რომ თვალისდახამხამებაში აფთრებივით შეესიონ მოსახლეობას.

სააკაძე ძალიან ფრთხილობდა, რომ მისი თითოეული სიტყვა, აზრი, ფსიქოლოგია, მოძრაობა მტრისათვის საეჭვო და შესამჩნევი არ გამხდარიყო.

მტერი კი, მოგეხსენებათ, ორივე მხრიდან მრავლად ჰყავდა.

ირანელი სარდლების ჩასაფრებული თვალი გიორგის ჩრდილივით დასდევდა, მიყურადებამ შედეგი გამოიღო. ყიზილბაშები მიუხვდნენ სააკაძეს გულისწადილს,... ყორჩიხა-ხანმა შაჰ-აბასთან მალემსრბოლი აფრინა და აცნობა სააკაძის საქმიანობა. შაჰის პასუხი იყო: სააკაძეს თავი მოჰკვეთეთ, სასწრაფოდ აჰყარეთ და ირანისკენ გამოირეკეთ ქართლის მოსახლეობა, წინააღმდეგობის გამწევი კი ცოცხალი არ გაუშვათო.

გიორგი სააკაძე ირანში შაჰ-აბასის დამჯერე და მისი მიზნების შემსრულებელი იყო, ამიტომაც გამოაყოლა ყორჩიხა-ხანს თანამრჩევლად საქართველოში, მაგრამ თავის ქვეყანაში გიორგი შაჰისათვის უკვე არასანდო გამხდარიყო. ეს იყნოსეს სპარსელმა სარდლებმაც, ამიტომ გახდა საჭირო კაცის სასწრაფოდ გაგზავნა თეირანს, როგორ მოქცეულიყვნენ,...შაჰ-აბასის თანხმობის გარეშე სააკაძის მოკვლა მათ არ შეეძლოთ.

გიორგი ის კაცი არ იყო, დაეჭვების გარდა, სხვა დამადასტურებელი საბუთი შეექმნა მტრისთვის. დაეჭვება ყორჩიხა-ხანისათვის შაჰის გეგმების შეუსრულებლობას ნიშნავდა, რაც მის ავტორიტეტს ჩრდილს მიაყენებდა. გიორგი ელოდა, რომ დღეს თუ ხვალ ყორჩიხა-ხანი შაჰ-

თან კაცს გაგზავნიდა, ისიც იცოდა, რა დროში ჩააღწევდა მალემსრბოლი ირანს, იქიდან კიდევ რა დროს მოანდომებდა უკან დაბრუნებას.

სააკაძემ ნადირობა მოიმიზეზა, ლოჭინის ხევის სანახებში გავიდა და იქ ელოდებოდა ირანიდან დაბრუნებულ ფაიქს, რომელიც მალე გამოჩნდა. გიორგიმ იგი შეიპყრო, ათქმევინა, რომ ყორჩიხა-ხანის გაგზავნილი იყო და მასთან მიეჩქარებოდა; შემდეგ მოკლა და უბიდან შაჰის უსტარი ამოუღო.

ზურაბ ერისთავის 6 ათასიანი რაზმი 30 ათასიან სპარსულ ჯარს ვერ მოერეოდა, ამიტომ სააკაძემ საჭიროდ ჩათვალა შაჰ-აბასის წერილი გაეცნო ხალხისათვის და თუ ვინმე კიდევ არ ენდობოდა იმის გამო, რომ 12 წელი მტრის სამსახურში იდგა, მათი ეჭვებიც გაეფანტა და ერთიანი დიდი ლაშქარი შეეკრიბა.

გიორგის ჩანაფიქრმა გაამართლა და სასურველ შედეგი გამოიღო. მას დრო სჭირდებოდა, მომწიფება იმ მოვლენებისა, რაც გამარჯვებას მოიტანდა.

როგორც ვიცით, სპარსული ჯარის თბილისში მოსვლისთანავე სვიმონ-ხანისა და ისა-ხან ყორჩიბაშის ასულის ჯაჰანბანუს ქორწილი და დიდი მოლხენა გაიმართა. რამდენიმე დღის შემდეგ სააკაძის რჩევით დედაქალაქი დატოვეს და მუხრანთან გადავიდნენ. დავალებული აქვთ, ქართლი ააოხრონ, მაგრამ თითქმის ერთი თვე გადის და მტერი უმოქმედოდ რჩება. სპარსი ჯარისკაცები ოცნებობენ, როგორ ჩაიგდებენ ხელში ქართველ ქალებსა და სიმდიდრეს.

ორივე მხარის შუა, ხმლის პირზე სიარულის ფასად მუხლჩაუხრელად იღვწის სააკაძე.

ყოფნა-არყოფნის ჟამი იწურება.

ყიზილბაშებს გაუგრძელდათ და გაუძლიერდათ ეჭვი სააკაძის მიმართ.

მართალია, იგი ირანში ლტოლვილი იყო, მაგრამ დიდი და ღირსეული სარდალი გახლდათ და შაჰ-აბასის კარზე განსაკუთრებული ადგილი ეჭირა.

მაშინდელ აზიაში ირანი გამორჩეული და ანგარიშგასაწევი ქვეყანა იყო. შაჰ-აბასს „ირანის მზეს“, „ლომს“, „მზეზე მაღალსაც“ უწოდებდნენ. გიორგი სააკაძის დამსახურებითაც ამ 12 წელიწადში შაჰის გავლენა და სიდიადე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ ძალიან გაიზარდა.

დასასჯელი რომ ყოფილიყო, განა შაჰ-აბასი საქართველოში გამოუშვებდა სპარსული ჯარის თანასარდლად ყორჩიხა-ხანთან ერთად?!

განა ასეთი სიფრთხილითა და სიზუსტით იმიტომ მუშაობდა მიზნის მისაღწევად წლების მანძილზე, რომ თავმოსაკვეთად გაეხადა საქმე და არ განეხორციელებინა ის სანუკვარი მიზნები, რასაც გულისგულში ფარულად ინახავდა! როგორც კი მიეცა საშუალება და ფეხი შემოდგა ქართულ მიწაზე, თავის თანამოაზრე პატრიოტებთან ერთად უკვე პრაქტიკულად შეუდგა მათ შესრულებას.

შაჰისათვის სრულიად საკმარისი იყო ყორჩიხა-ხანისაგან მხოლოდ ეჭვის ნიადაგზე (ფაქტს გიორგი არავის მისცემდა) გაგზავნილი ცნობა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ვითარებაზე, გიორგი სააკაძე შაჰ-აბასისთვის უკვე ხელისშემშლელი არასასურველი პირი გამდარიყო, – ამის გამო ბრძანა მისი სასწრაფოდ თავიდან მოცილება.

შაჰის წერილმა ადრესატამდე ვერ მიაღწია. ამით სარგებლობდნენ მოურავი და ზურაბ ერისთავი და თავიანთ თავს შაჰის გეგმების ერთგულ შემსრულებლად აცხადებდნენ. დროის მოგებას ცდილობდნენ, რომ ყველაფერი გაეთვალათ და აჯანყება უშეცდომოდ ჩაეტარებინათ.

შაჰი ქართლიდან ყორჩიხა-ხანის მოქმედების შედეგს ელოდა, ყორჩიხა-ხანი – შაჰის პასუხს, როგორ მოქცეოდნენ სააკაძეს. ირანელი სარდლების ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა ხელსაყრელი იყო ქართული აჯანყების სულისჩამდგმელებისათვის.

გამოცხადება ანტონ მარტყოფელისა

სააკაძეს სამშობლოს გადასარჩენად, ცხადია, უფალი უძღოდა, წმიდა გიორგის, დიდი სეხნიის ძალითა და მხარში დგომით.

ქვეყნისა და ერის ხსნა მუხანათი მტრისაგან მხოლოდ სააკაძისა და მის გვერდით მდგომთა ფანატიკური სიყვარულისა და თავდადების შედეგი კი არ იყო, არამედ მარიამ ღვთისმშობელი ფარავდა თავის წილხვედრ ქვეყანას; მისი და წმიდა სამების შეწევნით ბევრჯერ გადავრჩით და გენეტიკურად მივიღეთ გამძლეობის დიდი რწმენა!

გიორგი სააკაძე აღაიანის ველზე დაბანაკებულ სპარსეთის ჯართან ერთად იმყოფებოდა.

ღამით კარავში სიზმრად ანტონ მარტყოფელი გამო–ეცხადა და აუწყა:

„გიხაროდეს, გიორგი, უზენაესი მისია ქვეყნის ხსნისა შენ გაკისრია, მხოლოდ იქ, მარტყოფის ველზე უნდა მოხდეს აღთქმული ფიცის აღსრულება, ეს დღე უნდა იყოს ხარების დღესასწაული, უფლის ნებით განსაზღვრული. ბრძოლის ჟამს, ღვთის დახმარებით, ძალა მოგემატებათ ქართველ მეომრებს, ხელი გაუშეშდებათ და უძლური შეიქმნება მტერი!“[1]

ანტონ მარტყოფელის გამოცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გიორგი სააკაძეზე. მან ზ. ერისთავთან და ქართლელ დიდებულებთან შეთანხმებით და მხურვალე მოწონებით გადამწყვეტი შეტევისათვის შეარჩია ეს ნეტარი დღე – 7 აპრილი – დღე ხარებისა.

* * *

ყორჩიხა-ხანის ბრძანებით სააკაძეს და ზურაბ ერისთავს ბანაკს გარეთ ქართველებთან ურთიერთობა შეზღუდული ჰქონდათ, ამიტომ ქართლის მესვეურები დაიბარეს, თითქოსდა იმისთვის რომ ქართლელთა ირანში გადასახლებისათვის თადარიგი დაეჭირათ; სინამდვილეში დააზუსტეს აჯანყების გეგმა, რომელიც სააკაძემ შეადგინა.

აჯანყების სამზადისის ბოლო დღეები იყო, ყოველი წამი, დრო, ცნობა ფარული დაძაბულობით აისახებოდა აჯანყებულთა მოქმედებაში.

მოურავმა და ზ. ერისთავმა შემოიკრიბეს ირანელი სარდლები და აუწყეს შემდეგი:

– ვინაიდან კახეთის მოსახლეობა დასუსტებული და შემცირებულია, ქართლელებს კი ირანული მახვილის გემო ჯერ არ უნახავთ და მძლავრობენ, ამიტომ, მათგან თავდაცვის მიზნით, უმჯობესია, კახეთის მხარეს, მარტყოფის ველებზე გადავინაცვლოთ და იქიდან შევუტიოთ ქართლსო.

ირანელებმა მოიწონეს მოურავის წინადადება და სასწრაფოდ ბანაკის აყრა ბრძანეს. სვიმონ-ხანის ქვისლს ანდუყაფარ ამილახვარს აჯანყების ორგანიზატორები ვერ ენდნენ და თავისი ცოლ-შვილით თერგის ხეობაში, არშის ციხეში გამოკეტეს, გააცალეს ქართლს. განგებ გააკეთეს ასე, თითქოს ამილახვრის ოჯახის ჩასასმელი ციხე ქართლში არ მოიძებნებოდა და შემდეგ კარგადაც გამოიყენეს (იხ. ქვემოთ).

მარტყოფის ველზე დასცეს ბანაკი ყიზილბაშებმა.

სააკაძის გვერდით არიან გულანთებული პატრიოტები, მისი უფროსი ვაჟი ავთანდილი, ელია დიასამიძე, პაატა ხერხეულიძე, პაპუნა ვაშაყაშვილი. ისინი ბანაკის შიგნით იმყოფებიან. პირველი გადამწყვეტი დარტყმაც მათ უნდა მიიღონ.

ცოტა ხნით ადრე გ. სააკაძემ მოინახულა თავისი ერთგული თანამოაზრე, მცხეთელი მხატვარი იესე კარგარეთელი, მათ შეადგინეს გეგმა-ნახატი, თუ როგორი თანმიმდევრობით გააანაწილა ყორჩიხა-ხანმა აღაიანის ველზე ყიზილბაშთა კარვები. ასევე მოხდებოდა მარტყოფის ველზე დაბანაკების დროსაც. ირანელები კარვებისთვის ადგილს სტრატეგიული თვალსაზრისით არჩევდნენ. ჯერ უნდა დაედგათ მთავარსარდლის კარავი, შემდეგ მისი მოადგილე-მრჩევლების, ათასისა და ასისთავების და ბოლოს რიგითი მეომრების კარვები გაენაწილებინათ. შემოსული მტრის გულში ყოველთვის არსებობდა ფარული შიში ქართველთა მოულოდნელი თავდასხმისა.

გ. სააკაძეს მთელი ცხოვრება ომში ჰქონდა გატარებული და მეომართა დისლოცირების, სათადარიგო ღამისთევის, კარვებისთვის სასურველი ადგილმდებარეობის შერჩევის დიდი გამოცდილების პატრონს ამ მხრივ სათანადო პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა ირანელთა ჯარში. მას უნდა განესაზღვრა, როგორ დაიდგმებოდა კარვები.

მხატვარმა კარგარეთელმა სააკაძის მითითებით შეადგინა კარვების განაწილების გეგმა, შეარჩიეს ადგილი ცხენების დასაყენებლად, განსაზღვრეს, თუ რა მანძილით იქნებდნენ დაცილებული ცხენები კარვებისაგან. გიორგის უნდოდა შეტევის დაწყებამდე მოესხლიტათ ირანელთა ცხენები, რომ ძილ-ბურანში მყოფი ირანელები უცხენოდაც დარჩენილიყვნენ და ამითაც მოეპოვებინათ უპირატესობა ყორჩიხა-ხანის ჯარზე – დამფრთხალ, ქვეითად მყოფ ყიზილბაშებს დიდი წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ექნებოდათ.

[1] წმინდა ანტონ მარტყოფელი ერთ-ერთია იმ 13 ასურელ მამათაგან, რომლებიც მე-6 საუკუნეში საქართველოში შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ. ქრისტიანული სარწმუნოების სამსახურში და ლოცვაში ატარებდნენ დღეებს. წმინდა ანტონს დღევანდელი სოფელი მარტყოფი და მისი შემოგარენი ხვდა წილად, იქ ააგო მონასტერი და დასახლდა.

გიორგი სააკაძე ოთხ ენაზე მეტყველებდა. მშვე–ნივრად იცნობდა საომარი ხელოვნების ისტორიას, დიდ პატივს სცემდა ალექანდრე მაკედონელს. მისგან აღებული მაგალითით ქართველ მეომრებს მოუწოდებდა, ბრძოლის დროს ცმოდათ ყავისფერი, მუქი წითელი, მუქი მომწვანო ან შავი ფერის შალის ტანისამოსი, იმიტომ, რომ სისხლი მუქ ტანსაცმელზე ნაკლებად წითლად ჩანს, ღია ფერის სამოსზე კი მკვეთრად და უარყოფით ფსიქოლოგიურ ზეგავლენასაც ახდენს მეომრებზე.

შაჰ-აბასსაც კარგი საბრძოლო პრაქტიკა ჰქონდა, თავის წინამორბედთა ცოდნა-გამოცდილებასაც ეყრდნობოდა, ამიტომ მის ჯარში ყოველ მეორე ირანელ მეომარზე განსაზღვრული იყო ორი ცხენი საკვებთან ერთად. მძაფრი შეტაკებების დროს, როგორც ცნობილია, ცხენებიც იხოცებოდნენ ან იჭრებოდნენ. ასეთ დროს უცხენოდ დარჩენილი მეომარი მეორე სათადარიგო ცხენით სარგებლობდა. ხდებოდა პირიქითაც: მეომარი იღუპებოდა, ცხენი გადარჩებოდა და სათადარიგო ჯგუფში გადადიოდა.

მარტყოფის ველზე ყორჩიხა-ხანის მეომრებს საშუალოდ 45 ათასამდე ცხენი ეყოლებოდათ, თარაქამული არაბული ჯიშისა, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა, როგორც მუხლმაგარი და ამტანი.

დათა ხიზამბარელი გვიამბობდა, მარტყოფის ომის შემდეგ ქართველებს დიდი ალაფი – ათასობით ცხენი, თოფი, ტყვია-წამალი, საომარი აღჭურვილობა და მრავალი სხვა დარჩათო.

ბრძოლის წინადღეს გიორგი სააკაძემ შეკრიბა ქართული ჯარის მეთაურები, იესე კარგარეთელს გეგმა-ნახატი წარუდგინა. დაწვრილებით განიხილეს და აწონ-დაწონეს, რა წინააღმდეგობა შეიძლებოდა შეხვედროდათ, გაინაწილეს, ვის რა დავალება უნდა შეესრულებინა. ქართველებს ერთი შეცდომის უფლებაც არ ჰქონდათ, ყველაფერი ზუსტად, გეგმის მიხედვით უნდა გაეკეთებინათ, რომ ამდენი ხნის სამზადისი და ნაფიქრ-ნააზრევი წყალში არ ჩაყრილიყო.

მართლაც, მარტყოფის ბრძოლა იმდენად კარგად იყო ორგანიზებული, იმ ერთ დღეს ქართველებმა 27000 ირანელი მეომარი გაანადგურეს.

ქეთევან დედოფლის წამების დღიდან 6 თვეზე ცოტა მეტი იყო გასული. შაჰ-აბასმა დედოფალს ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისათვის არგუნა მოწამებრივი აღსასრული – გიორგი სააკაძემ და ქართველმა ერმა ქრისტიანულ დღესასწაულზე, ხარება დღეს ჯარების განადგურებით გასცეს შაჰს ამის პასუხი.

დადებულია უზენაესი ფიცი – დღე ხარება

შენ გენაცვალე, გიორგი
კაცი ხარ კარგის ჭკუისა,
ომებში გამოსადეგო
როცა სამშობლოს უჭირსა
ხალხური

მტრედისფრად ინათებდა თუ არა, მტრის ბანაკს უნდა შემოდგომოდა ქართული ლაშქარი. სააკაძისგან ორივე შვილის სიცოცხლეა გამეტებული; სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე არიან ავთანდილი აქ, მარტყოფში და პაატა, თეირანში მძევლად დატოვებული.

1625 წლის 7 აპრილის ხარება უნდა გათენებულიყო, მაღალი ღმერთი დასცქეროდა ზემოდან საწუთისოფლოს.

გარინდებულიყო მარტყოფი, მეწამულ სილუეტად ჩანდნენ ცის ფონზე სპარსული ნახევარმთვარიანი კარვები, ღამე დამშვიდებულნი ელოდნენ გათენებას, ყორჩიხა-ხანის კარავი კაკლის გვერდით, ბექობზე იდგა, აქედან ხელისგულივით ჩანდა ირანული ბანაკის კარავთა რიგები. ღამის სიჩუმეში ბუკიოტის გამყინავი ხმა ავისმაუწყებლად ეფინებოდა მაჰმადიანურ სუნთქვას.

მეხის გრგვინვასავით შეიჭრა ქართველთა ლაშქარი ირანელთა სადგომებში. ყიზილბაშთა გნიასისგან შეზანზარდა მარტყოფის ველი. სარდლებგანადგურებულმა ირანულმა არმიამ საომარი ორიენტაცია დაკარგა, ჯეროვან წინააღმდეგობას ველარ უწევდნენ გავეშებულ ქართველებს; ბრძოლაში დაილეწა და დაიგრიხა ირანული ფარ-ხმალი. უთენია დაწყებული ბრძოლა დაღამების ხანს დამთავრდა. ყიზილბაშთა გვამებით მოიფინა მარტყოფის ველ-მინდორი.

„ესრეთ მისცა ძლევა ღმერთმან ქართველთა და გაემარჯვათ: ამოწყვიტეს, გააქცივეს და იქმნა გამარჯვება დიდი“ („ქართლის ცხოვრება“).

ხარება ზეიმობდა საქართველოში, გამარჯვების ზარები გუგუნებდნენ პაატა სააკაძის სამშობლოში.

სწორედ ამ დღეს საქმით დაუმტკიცა გიორგიმ თავის ხალხს, რომ ირანში წლების მანძილზე ყოფნის მიუხედავად, ისევ ქართველად და ქრისტიანად, დიდი იმედი დაუბრუნდა თავის ქვეყანას.

ხარება დღეს შეტორტმანდა და მიწაზე დაენარცხა შაჰ-აბასის ბოროტება, მასთან ერთად ჩასვლისკენ გადაიხარა მზე ირანისა.

მარტყოფის ომის ორგანიზატორთა გეგმაში შედიოდა კახეთიდან, კერძოდ, ხორნაბუჯიდან და ყარაბაღიდან ირანული ჯარების განდევნა-განადგურება. ბრძოლის მეორე დღეს სააკაძე და ზ. ერისთავი ქართული ჯარით ხორნაბუჯისკენ გაეშურენ. ლელა-თინათინზე მეოცნებე მარტყოფის ბრძოლაში გამარჯვებული ზურაბ ერისთავი ფრთაშესხმული მიისწრაფოდა ფეიქარ-ხანის სადგომისკენ.

ფეიქარ-ხანს გაეგო მარტყოფში ირანული ჯარის დამარცხება, სასწრაფოდ ხორნაბუჯიდან გაცლა ამჯობინა, გულგახეთქილმა მტკვარი გადალახა და ცოლთან, ლელა-თინათინთან ერთად ბარდავისკენ მიაქროლებდა ცხენს.

ზურაბ ერისთავი ამაოდ ცდილობდა ოცნებაში უკვე ცოლად შერთული ლელა-თინათინი მეტოქისათვის წაერთმია.

მარტყოფში სახელოვანი და ფეიქარ-ხანისაგან დაჯაბნილი, იმედგაცრუებული ზ. ერისთავი გიორგი სააკაძესა და ქართულ ჯართან ერთად ხორნაბუჯისკენ შემოტრიალდა. ციხიდან დატყვევებული ყიზილბაშები გამოიყვანეს ნადავლთან ერთად. ენერგიამოზღვავებულმა სააკაძემ განჯასა და ყარაბაღში შერჩენილ მტერს შეუტია. ბევრი მისი ხმლის ანაწერა გახდა, დანარჩენებმა სიკვდილს ტყვეობა ამჯობინეს. ქართველმა მეომრებმა ფარჩა-ატლასით დატვირთული მრავალი აქლემი იგდეს ხელთ.

ქართლ-კახეთში, ყველგან, სადაც კი ხმალი მიუწვდა, გიორგი სააკაძემ დაშალა ყიზილბაშური კრაზანის ბუდეები. თბილისის დედაციხეში გამაგრებული ირანული გარნიზონი კი პოზიციის დათმობას არ აპირებდა.

თაბორის მთის ძირიდან და ლეღვთახევის კლდოვანი ნაპირებიდან სააკაძის მეომრებს დედაციხეზე იერიში იერიშზე მიჰქონდათ, მაგრამ უშედეგოდ. სააკაძის რჩევით ციხიონს შეუწყვიტეს წყალი, რომელიც სოლოლაკის ქედიდან მოედინებოდა თიხის მილებით, მოკლე დროში ირანული გარნიზონი უნდა ჩაბარებულიყო.

გარსოა ჭანოაშვილსა და გიორგი გორგიჯანაშვილს კაენისათვის მიეყიდათ ცოდვილი სული, ორივეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყიზილბაშთა სარდალთან. უწყლობით შეწუხებულმა ციხისთავმა მეგობრებს მიმართა, მათაც აღარ დაახანეს და ღამით ისევ გააწყვეს აყრილი წყლის მილები. ირანელებმა უხვად დაიმარაგეს წყალი. მზის ამოსვლისას სააკაძის რაზმელებმა შენიშნეს ხელახლა გაწყობილი წყლის მილები და ისე მოარღვიეს, დიდი დრო დასჭირდებოდა მათ ხელახლა აღდგენას.

მოღალატეთა ავი ჟინი სამშობლოს ხშირად ართმევდა სასიცოცხლო ენერგიას. ყიზილბაშებისათვის „დოსტობით“ გაწეულ ღალატში წილნაყარი გარსოა ჭანოაშვილი და გიორგი გორგიჯანაშვილი წითელი სამოსით ამხნევებდნენ შაჰის მეციხოვნეებს, შავად თუ გამოეწყობოდნენ, ფრთხილად იყავითო, ანიშნებდნენ.

დედაციხეში გამაგრებული ირანელები გატყდნენ უწყლობით, ერთ-ერთმა მეციხოვნემ გათქვა წყლის ხელახლა მიმწოდებელნი. თბილისელი მოქალაქეების მოთხოვნით სააკაძემ სათანადოდ დასაჯა მოღალატენი.

თბილისის დედაციხე ყიზილბაშებისაგან გათავისუფლდა და ქართველებმა ჩაიბარეს.

* * *

მარტყოფში ირანული ჯარის დამარცხების ცნობამ საგანგაშოდ ჩააღწია ირანში. შურისძიების ჟინმორეულმა შაჰ-აბასმა პაატა სააკაძის მოკვეთილი თავი გამოუგზავნა მამას.

გაქვავებული იდგა გიორგი სააკაძე შვილის მოკვეთილ თავთან. ეს იყო წმიდა მსხვერპლი, უფლის ნიშნით გაღებული საქართველოს ხსნისთვის, თავგანწირვა და გლოვა მაღლით მოვლენილი...

ვისაც არ შეუძლია თავმოკვეთილი შვილის შემყურე სააკაძის გულის გმინვის მოსმენა, როგორც საკუთარი სხეულის ნაწილის თავისთავში შეგრძნება, ასეთი კაცი ვერასოდეს ჩასწვდება გიორგის ნამეხარი, თვითგვემული ცხოვრების დედააზრს.

ქვეყნისათვის თავდადება, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დაყენება, განა მარტო თავი სიახლობლების სიცოცხლესაც, უკიდურესი თავგანწირვა სულს წმენდს, ასპეტაკებს და ამაღლებს.

მარტყოფის ბრძოლის შემდეგ სააკაძე ორი დიდი უკიდურესობის წინაშე დადგა: გამარჯვებით ამაღლებული მისი სული ზეიმობდა თავის ქვეყანასთან ერთად და ამ გამარჯვებას ლუკმა პურივით უნაწილებდა ერთმანეთს ქართველი მოსახლეობა; მეორე უკიდურესობა შვილის ტრაგიკული აღსასრული იყო.

ჩვენი ისტორიკოსები, მკვლევარები, რომელთაც მთელი გულმოდგინებით შესწავლილი აქვთ შაჰ-აბასის ეპოქა და საქართველო-ირანის პოლიტიკური ურთიერთობები, პირველ რიგში ეყრდნობიან შაჰის კარის მეისტორიე ისქანდერ მუნშს, რომელიც წვრილად აღნუსხავდა ირანში მომხდარ ყველა მოვლენას.

კახეთში შაჰის ლაშქრობების აღწერისას, ჩვენს ისტორიკოსებს თავიანთ ნაშრომებში მაშინ არსებულ მოვლენათა დასადას-ტურებლად მოჰყავთ იქანდერ მუნშის ცნობები, როგორც პირველი სარწმუნო ობიექტური წყარო.

ისქანდერ მუნში ასახელებს კახეთის ბრძოლებში მონაწილე სარდლების გვარ-სახელებს, ირანელთა ჯარის რაოდენობას, მათ წარმატებულ თუ წარუმატებელ ბრძოლებს.

ახსენებს თეიმურაზს, მის სიჯიუტეს, შაჰთან გამოცხადებაზე უარს რომ ამბობდა და კახეთის აოხრებაშიც მას სდებს ბრალს. ამართლებს შაჰის კახეთში ჩატარებულ ოპერაციებს, ასე ვთქვათ, რბილ ფონს უქმნის შაჰ-აბასს.

ისქანდერ მუნში მოიხსენიებს ხოსრო-მირზას, მის ყველა მოქმედებასა და ნაბიჯს საქართველოში შაჰისაგან წარმოებულ ბრძოლებში.

ისმება კითხვა: რატომ არ აღნიშნავს ისქანდერ მუნში 1614-1617 წლებში გიორგი სააკაძის არც სახელს, არც ყოფნას და არავითარ მონაწილეობას კახეთის ლაშქრობებში? – მას სულ მცირედი მიზეზიც რომ ჰქონოდა, სააკაძის წინააღმდეგ, განა გამორჩებოდა ან დაინდობდა, მაგრამ ირანელი მეისტორიე ვერ მოიგონებდა იმას, რაც არ მომხდარიყო.

ასევე ობიექტურია ისქანდერ მუნში, როცა 1625 წლის მარტყოფის ომის შემდეგ აუგად იხსენიებს ბედუკულმართ ისლამის მტერს, ირანის ჯარების გამანადგურებელ მოურავ-ბეგს: „ისეთი ზარალი, რაც ირანმა მიიღო სააკაძისაგან, 40 წელია არ მოსვლიაო“.

ესაა სინამდვილე, ხოლო იმ დროის ქართველ დიდებულთა მიერ სააკაძის წინააღმდეგ ატეხილი ქარი, სამწუხაროდ, დღესაც ქრის და გულსა და გონებას უციებს ზოგიერთს, ვითომდა სააკაძე შაჰის ერთგულების გამო მოსისხლე სპარსელებთან ერთად ქართლის ასაოხრებლად მოსულიყოს! მაშ, რა უნდა ექნა გიორგის, როცა მოჩვენებითი ვითომ ერთგულების აუცილებელი გამოვლენის გარდა სხვა გზა არ ჰქონდა და გადამწყვეტ დროსა და მომენტს ელოდებოდა, რომ რადიკალური დარტყმით შეეტრიალებინა ბედი ქართლისა.

ირანელთა ჯარში მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ კიდეც სისხლმოწყურებული მტრის ჯარისკაცები და მართლაც მიეყენებინათ ზიანი მოსახლეობისათვის, დაზღვეულიც ვერავინ იქნებოდა. იგივე კახეთში პირველი შემოსევისას, შაჰ-აბასმა გააფრთხილა თავისი მეომრები, მოსახლეობისთვის არ ევნოთ, „მშვიდობიანად გავა კახეთიდან ირანული ჯარიო“ – მოსახლეობის ყურადღების მოდუნების მიზნით, რომ ხალხი არ გახიზნულიყო სამალავებში). მიუხედავად ამ აკრძალვისა, ირანელებმა მაინც დაღვარეს მოსახლეობის სისხლი, შაჰმა ასეთებს მუცლები დაუფატრა და ჯარისკაცთა წინ დააყრევინა, როგორც შაჰის ბრძანების შეუსმენლობისთვის სასტიკად დასჯილნი.

...ახლაც ქართლში არიან ყიზილბაშები და ამ მძაფრ ვითარებაში, როდესაც სულ მალე დიდი მოსახდენი უნდა მოხდეს, – იწყება ირანული ჯარების განადგურება – რის მომზადებასაც სააკაძემ კოლოსალური დრო და ენერგია შეალია, განა როგორი მოქმედება იქნებოდა მისგან უფრო დიდი და მრავალმნიშვნელოვანი – უცაბედად ემოციების მოზღვავების ფონზე, დაეხოცა ათეულობით ყიზილბაში და თვითონაც უმიზნოდ შეკვდომოდა მტერს? ჩაითვლებოდა ასეთი ნა-

ბიჯი სააკაძისაგან გმირობად? რომ არა მისი მართლაც მოწამებრივი მოთმინება, ხომ გაიზიარებდა ქართლიც კახეთის მწარე ხვედრს?!

მარტყოფის ომამდე მოსისხლე მტრებსაც სწორედ იმიტომ შეურიგდა გიორგი, მთავარი და უცვლელი, საქართველოს გაერთიანების ქვეცნობიერი იდეა მოეყვანა სისრულეში. მეორე მხრივ, მტრისაგან თავდაცვის მიზნით ერთსულოვნება ყოფილიყო ქართველ ხალხში და დაქსაქსულობისაგან თავის დაღწევა გარანტირებული ჰქონებოდათ.

სააკაძეს არა თუ ქართველი მოსახლეობისათვის ზიანი მიეყენებინა, თავისი ოჯაის დამაქცევართათვისაც კი სამაგიეროს გადახდა არ უცდია არასოდეს.

გიორგი სააკაძის ოჯახს პირადი დიდი უბედურებაც ჰქონდა. ქართველმა ხალხმაც ღირსეულად იგლოვა იგი – პაატას თავი ჯერ ნოსტეს, მისი დაბადების ადგილას მიიტანეს, და სააკაძის ნასახლართან კოშკის წინ აბიბინებულ მწვანეზე დაასვენეს. იგლოვეს მისი ქართული ცის უნახაობა. დევნილი ბავშვობა, უცხო მიწაზე მისთვის ნამღერი „იავნანა“. დაიქუხა, გაზაფხულის წვიმა ცრემლებად დასტიროდა პაატას ნათელ სახეს. სრულიად ქართველმა ერმა, წმიდა ცრემლებით გააცილა და ერთაწმინდის ეკლესიას მიაბარა პაატას წამებული ნეშთი.

ზედწოდება „დიდი მოურავი“ ქარით მოტანილი არ იყო გიორგისთვის. იგი იმ ზღვის ფსკერიდან არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან, სიტყვის აზრის მიმნიჭებელი კი სულია. „დიდი მოურავი“ სწორედ მარტყოფის ბრძოლის მოგებით აღტაცებულმა ხალხმა შეარქვა მას და არა მხოლოდ გამარჯვების, არამედ გოლგოთის შესადარი დათმენისათვის, მის გარშემო შექმნილი მდგომარეობა რომ ითხოვდა ისეთი დიდად შემძლე სულისაგან, განგებას მის მძლავრ სხეულში რომ ჩაესახლებინა.

„დიდი მოურავიც“ სამარადჟამოდ მიემატა ქვეყნისათვის თავდადებულ ქართველთა გვარსახელებს.

1625 წლის მარტყოფის აჯანყების გმირის გიორგი სააკაძის პიროვნების, მისი ქარიშხლიანი ცხოვრების შესახებ ბევრს აუღია კალამი და ძირის-ძირობამდე ჩაღრმავებულა. არც გასჭირვებიათ, მიეკვლიათ სამშობლო მიწის სიყვარულის სათავეები, რითაც საზრდოობდა სააკაძის სული.

ჩვენს გმირთა სულები დღეს ქართული გმირული სულის წყაროდ მოდიან და მორაკრაკებენ, თავიანთი ენით გვესაუბრებიან წარსულზე, უსიტყვო მეხსიერებაში რომ შემოუნახავთ. ჟამთა სვლაში ისინიც იმღვრეოდნენ, სხვასაც ამღვრევდნენ, მაგრამ ყოველ ამღვრეულობას დასასრულიც მოსდევს, – ამღვრეულ წყაროს არავინ დალევს დაწმინდებამდე, გონებაარეულ ადამიანსაც არავინ უსმენს დამშვიდებამდე!

ერთი ამბავი გამახსენდა: ყაზბეგში ვიყავი ათენგენობაზე. თამადამ მაღალი ინტონაციით წარმოთქვა სადღეგრძელო „შამღვრევამდე გაგვიმარჯოს ქართველებოო!“ და ლექსი მოაყოლა. საბედნიეროდ, დღემდე არ გამქრალა ჩვენს მთაში გმირობისა და პოეზიის უნარი. თითქმის მუდმივად ომებში ყოფნამ და ხშირად ერთმანეთთანაც შუღლმა ფოლადივით გამოაწრთო მათი ხასიათი. ხმალი, იარაღი ზოგადად, მათი ყოფის განუყრელი ნაწილი იყო, ასევე – პოეზია. ლექსით იწონებდნენ თავს, ლექსით მიჯნურობდნენ, გმირობდნენ და იმარხებოდნენ კიდეც. მარტყოფის ომშიც ძირითად საომარ ძალას ზურაბ ერისთავის დროშის ქვეშ მდგომი მთის მოსახლეობა წარმოადგენდა. სწორედ ზურაბ ერისთავისა და მისი არაგველების ერთსულოვნებას დაეყრდნო სააკაძე და სასურველი გამარჯვებაც მოიპოვეს.

მარტყოფის ბრძოლის შემდეგ გიორგი სააკაძის გადაწყვეტილებით ოსმალეთის საზღვართან მყოფ თეიმურაზ პირველს აცნობეს გამარჯვება და ქართლ-კახეთის მეფობა შესთავაზეს.

„ვერ გაიხარა მტერმა ჩვენზედა!“...

(გაგრძელება იქნება)

ოჯახური გენეოლოგია

მ. დათიაშვილი-აფციაური

წიგნმა მაჯოვნინა!

„ღიბრაძეები“-ს გვარის გენეალოგიის
წარმომადგენელი მზიური დათიაშვილი

დედა – სამყაროს შემაერთებელი ხიდი, სიყვარულისა და მოთმინების აპოგეა. დედამ გვასწავლა და გვიძღვნა: სიკეთე, სილამაზე და ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ.

დედა და დედაჩემის დედა „Anna Schumann“-ი რომ არ ყოფილიყო, მე ამ სტატიას არ შევქმნიდი.

დედაჩემი – ელენე გრიგოლის ასული ღიბრაძე, დედით შუმანი, დაიბადა 1922 წელს აპრილის თვეში (ზუსტი ცნობა მისი დაბადების შესახებ არ გვაქვს) გერმანიაში, შუმანების ოჯახში. მისი დედა „Anna Schumann“-ი იყო, პირველ მსოფლიო ომში მოქმედი ჰოსპიტალის მთავარი ექიმის ქალიშვილი, რომელიც მამასთან ერთად მედდად მუშაობდა ამავე ჰოსპიტალში და როცა 1914 წლის პრუსია-რუსეთის ომში გაწვეული გრიგოლ ღიბრაძე (დედაჩემის მამა) მძიმედ დაჭრილი მოხვდა გერმანელთა ჰოსპიტალში გონება დაკარგულ ჯარისკაცს პირველი შველა Anna-მ გაუწია უფლის წყალობით.

დედაჩემმა ელენემ თავისი მამისაგან, გრიგოლისაგან მონაყოლი გადმოგვცა შვილებს: გრიგოლისა და Anna-ს ღრმა და ტრაგიზმით აღსავსე სიყვარული, რაც ჩვენი მეხსიერებიდან არ წაიშლება.

ელენეს დაბადების შემდეგ, მისმა გერმანელმა ბაბუამ (ცნობები არ გვაქვს მისი სახელისა) და წლების შემდეგ, ოჯახური მდგომარეობისა და გვარიც ახლა აღმოვაჩინეთ, შესახებ) ხელი შეუწყო გრიგოლს სამშობლოში დასაბრუნებლად. და 9 წლის „ტყვეობიდან“ თავდახსნილი გრიგოლი თავის მშობლიურ სკანდეს, დაახლოებით 1922 წლის შემოდგომაზე ეწვია (უზუსტესად, შესაძლებელია გაზაფხულზე) მეუღლით Anna-თი და შვილით Hellen-ით (მოფერებით სახელი Hellen). მაგრამ ერთი წლის შემდეგ Hellen-მა დედა Anna დაკარგა. იგი მოწამლეს.

კომუნისტური რეჟიმისაგან გრიგოლი ისე იყო შეშინებული, რომ მეუღლის სიკვდილი ვერ აცნობა მის მშობლებს გერმანიაში.

გაოგნებულმა გრიგოლმა რამდენიმე ხნის შემდეგ სხვა ცოლი შეირთო (სამარიტელი ჭანტურიძე) და Hellen-ი იზრდებოდა დედინაცვლის ხელში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ელენ-ი მუშაობდა კოლმეურნეობაში. 1941-1945 წლების გერმანია – რუსეთის ომმა კვლავ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს, მაგრამ პატრიოტიზმით აღმდგარმა ხალხმა, ზურგში მებრძოლური, დამკვრელური შრომით უპასუხეს მათ. დედა მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო; და როცა ბელადის ბრძანებით საქართველოს (მაშინდელი საბჭოთა კავშირის) საზღვრების გასამაგრებლად საჭირო იყო იქ მოსახლეობის ჩასახლება, იმერელმა გოგონამ – Hellen-მა – პირველმა აიკრა გუდა-ნაბადი“ სკანდა-დან და ასპინძას მამასთან ერთად მიაშურა. ყოჩაღმა, დედასავით, და დაუზარელმა ქალიშვილმა მალე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, იგი კოლმეურნეობის მეწინავე აგრონომი, მევენახეობის ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და გამარჯვებასაც მიაღწია, რისთვისაც სტალინის მედლით დააჯილდოვეს. იგი ომის ვეტერანთა დამსახურებულ პენსიას ღებულობდა ღრმა მოხუცებულობამდე (გარდაიცვალა დაახლოებით 95 წლის ასაკში).



1946 წელს ასპინძაში გრიშა დათიაშვილთან ერთად შექმნა ოჯახი. ვეყოლეთ ოთხი შვილი, ორი ბიჭი და ორი გოგო, როგორც ამას, აწ გარდაცვლილი მისი დედა Anna – ნატრობდა ახალგაზრდობაში (მასაც დედმამიშვილებში ერთი და და 2 ძმა ჰყავდა).

აი, ამ მოკლე ისტორიამ, რომელიც დიდი ტრაგიზმით არის გამსჭვალული, ხელში ამაღებინა კალამი და დავიწყე დედის ვინაობის, მშობლების და მთელი მისი ცხოვრების ძიება.

საქართველოს ცენტრალური არქივის ისტორიულ განყოფილებაში, ერთ-ერთი დღის მუშაობისას შემთხვევით გავიცანი მკვლევარი არჩილ ემელიანისძე ღიბრაძე. ნათესავი დედაჩემის-ელენე-სი მამის მხრიდან, მისგან გავიგე, რომ მზადდებოდა წიგნი: „ღიბრაძეები“-ს გამოცემა. იმედი ჩამესახა, ბოლოს და ბოლოს ვიპოვნიდი დედაჩემის დედის გვარს.

დედაჩემი 1 წლის და 4 თვის დარჩა დედა რომ მოუწამლეს. ბაბუა გრიგოს ისე ეშინოდა ამის გახმაურება, რომ მამაჩემს ანუ მის სიძეს აუკრძალა გამოეკვლია Anna – ს ვინაობა. მიუხედავად ამისა მამა მაინც არ ისვენებდა, მაგრამ შსს-მ არ მისცა საშუალება საქმე დაესრულებინა. (მამა გარდაიცვალა 1995 წლის 2 იანვარს).

წიგნი „ღიბრაძეები“ 2017 წლის გაზაფხულით გამოვიდა. ავტორ შემდგენლების: არჩილ ემელიანეძე ღიბრაძისა და ანზორ სიჭინავას დიდი და ერთგული შრომის შედეგად.

წიგნის გამოსვლამდე დიდი როლი შეასრულა „ღიბრაძეების“ გვარის დალოცვის ინიციატორმა და წიგნის გამოცემის თაოსანმა შალვა (გია) იუზას ძე ღიბრაძემ. 2013 წლის 13 ოქტომბერს ჩვენმა სასიქადულო, უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ილია მე – II - მ აკურთხა ღიბრაძეების გვარი. უღრმესი მადლობა და დიდხანს სიცოცხლე ჩვენ საყვარელ პატრიარქს საქართველოს გაძლიერებისათვის და ღიბრაძეების გვარის წარმოჩინებისათვის.

წიგნში მოცემულია დაწვრილებითი მასალები საგვარეულოს ისტორიისათვის.

ამ წიგნმა უდიდესი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში, იგი მე სამაგიდო წიგნად მექცა.

ვამაყობ იმით რომ დედაჩემის გვარი „ღიბრაძეები“ ერთ-ერთი ისტორიული, ძირძველი გვარია. ამ წიგნით იგი მოხსენიებულია მე-18-ე საუკუნიდან, შესაძლებელია წინარე საუკუნეებშიც ვეძიოთ მისი ფესვები.

ასევე ვამაყობ იმით, რომ დედაჩემის დედის Anna- ს გვარი Schumann - (შუმანი) გერმანული ძირძველი გვარია და მათგან არა ერთი მოაზროვნე წარმოჩენილა, როგორც მაგ: რობერტ შუმანი და ა.შ.

ამდენად ამ წიგნმა მე ძალიან დიდი სიამოვნება მომიტანა. მინდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ავტორებს ძალიან გააზრებულად, დიდი რუტინული და ტიტანური შრომის შედეგად ჩამოუყალიბებიათ „ღიბრაძეების“ საგვარეულო რუკები, სადაც დაწყებული 1756-წლიდან 1843 წლამდე და შემდეგ წლებში დღემდე აღწერილია საგვარეულო შტოები.

ბაბუაჩემი გრიგოლ ღიბრაძე, ელენეს (დედაჩემი) მამა, ეკუთვნის სკანდელი ღიბრაძეების – ჟოჟუა ღიბრაძის (1750წ) შტოს.

ჟოჟუა – ელიზბარი (ელია) – სამსონი –სპირიდონი – გრიგოლი.

ამ გენეალოგიურ რუკაზე აღნიშნულია: გრიგოლ ღიბრაძის:

I მეუღლე – ანნა შუმანი – ელენე დათიაშვილი (ქმრის გვარით)

II მეუღლე – სამარიტელ ჭანტურიძე – თამარი გველესიანი (ქმრის გვარი) – რეზო გველესიანი.

კარგი იქნებოდა მკვლევარებს ბოლომდე მოეძიათ შტოს გაგრძელება და აღენიშნათ ელენეს შვილები, შვილიშვილები და ა. შ.

ვფიქრობ ამას გაითვალისწინებენ შემდეგი წიგნის გამოცემისას.


Anna
Schumann

მინდა აღვნიშნო იმ დიდი დაუოკებელი შრომის შესახებ, რაც არჩილის მამამ ემელიანემ და მამასთან ერთად თვით არჩილმა გასწიეს. ეს, ის დიდი ადამიანური დაუფასებელი სიკეთეა, რომელსაც თავგანწირული, თავგადაკლული კაცი თუ შეძლებს. ეს პატარა მაგრამ ღრმაააზროვანი წიგნი ვერ იტევს იმ დიდ აზრს, რაც ამაგდარმა ავტორებმა მიკროსკოპულ უჯრედებში ძლივ-ძლივობით ჩატიეს. ვფიქრობ იგი განივრცობა და ყველას კვლავ ახალ სიხარულს მოუტანს. ვისაც ასე რიგად უყვარს თავისი მოდგმა, სამშობლო, შვილები და შვილიშვილები...

მინდა ყველამ წაიკითხოს ეს მართლაც გვარის ღირსების დამფასებელი წიგნი და გაიხადოს სამაგიდო წიგნად.

ღირსეული გვარს – ღირსეული შვილები. ვიყოთ ღიბრაძეების გვარის მიმბაძველნი და დამფასებელნი. ჩვენც ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ ხელიხელსაგოგმანებელი წიგნის განვრცობაში – შევქმნათ ღიბრაძეების საგვარეულო ფონდი.

გმადლობთ, რომ ისტორიის ფურცლებს არ ჩაეკირა და სამზეოზე წარმოაჩინეთ ჩვენი ძირძველი, სანაქებო და საპატიო გვარი - „ღიბრაძეები“, ჩვენო სასიქადულო ავტორებო.

პატივისცემით: გრიგოლისა და Anna – ს (ღიბრაძე – Schumann-ის) შვილიშვილი (ელენეს უფროსი ქალიშვილი მზიური (მზია) დათიაშვილი – აფციაური.

გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.



P.S. დედაჩემის ელენისა და მისი დედის Anna – სა და მამის გრიგოლის ცხოვრების ტრაგედია დავწერე 6 მოქმედებიან პიესაში, რომელიც ამავე ჟურნალის „ათინათის“ ნომრებში იბეჭდება.

ვასილ სერგოს ძე ხაჩიძე

ფაშისტურ ჯურღმულებში

ვუძღვნი მამის – სერგო ვასილის ძე ხანიძის ნათელ ხსოვნას მისი დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

1918-2001-2018

* * *

ბევრჯერ მიფიქრია იმის შესახებ, გამეგო თუ ვინ იყვნენ ჩემი დიდი წინაპრები და მივედი იმ დასკვნამედ, რომ მათ შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, ვწუხვარ იმაზეც, რომ მათ შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, ვწუხვარ იმაზეც, რომ მანამ ახალგაზრდა ვიყავი წიაპრებზე შეკითხვები არ მიჩნდებოდა, ახლა აკი, 62 წლის კაცს, ბევრი რამე მაინტერესებს, მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც წინა თაობების ისტორიას ინახავდნენ ცოცხლები აღარ არიან. ამიტომ გადავწყვიტე შემექმნა პროექტი წიგნისა და რაც კი ვიცი და გამაჩნია წვდომა ჩემი წინაპრების შესახებ ყველაფერი ამ წიგნში ამესახა, რათა ჩემმა შთამომავლობამ იცოდეს უფრო მეტი, რომ დავუტოვო მათ ჩვენი, ჯიშ-ჯილაგის ისტორია, იცოდნენ თუ ვისი გორისანი ვართ და ბვრი კითხვა აღარ გაუჩდნეთ ჩვენი წინაპრების შესახებ. ამასთან ერთად, მამაჩემის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მინდა ამ წიგნში აღვწერო მისი სახელოვნად განვლილი გზა, რომელიც გაიარა მან დაბადებიდან სიკვდილამდე. ასევე, მინდა შევეხო და აღვწერო დედაჩემის – ნინა გიორგის ასული ღონღაძის განვლილი სახელოვანი გზა და მისი წინაპრების ისტორია

* * *

წინა საზეიმო დღეებში, რედაქციაში ჩემი მეგობარი ვასო ხაჩიძე მესტუმრა და უჩვეულო მოკრძალებით მომმართა: რობერტ მიხაილოვიჩ, ამ დღეებში მამაჩემს დაბადებიდან 100 წელი უსრულდება, დამეთანხმებით, რომ გამორჩეული საიუბილეო თარიღია და მინდა იგი ასევე რაღაც გამორჩეულად აღვნიშნო, ვასოს ეს ჩანაფიქრი და გადაწყვეტილება მესიამოვნა და სიამოვნებით დავთანხმდი დახმარებას და რედაქტორობასაც.

ვალის ხაჩიძე – ამ დღეებში მამაჩემის არქივს კიდევ ერთხელ გადავხედე, მოვიძიე და შევკრიბე მისი დღიურები, ლექსები, მოგონებები, ნაკუწ-ნაკუწ, დიდი რუდუნებითა და მონდომებით შევკარი ერთ მთლიან მასალად ვაქციე, რომ არ დაიკარგოს, არ გაცვდეს და არ განიავდეს. ამიტომ გადავწყვიტე ეს ყველაფერი ერთ ყდაში მოვაქციო და ერთ წიგნად ვაქციო, რომელიც უკვდავყოფს მამაჩემის ხსოვნას. მის მიერ განვლილ მოწამეობრივ ცხოვრებას, ასე რომ, მის შთამომავლობას ეცოდინება, საიდან მოდიან, ვისი გორისანი არიან, ვინ იყვნენ იმათი წინაპრები, ვფიქრობ, რომ ამაზე უკეთეს საჩუქარს მამაჩემს ვერ გავუკეთებ.

თუ ამ საქმეში დამეხმარები და ჩანაფიქრ ოცნებას სინამდვილედ ვაქცევთ ნამდვილად ვედნიერი კაცი ვიქნები და ამაში თქვენი წვლილიც იქნება შეტანილი და ამას არასოდეს დაგივიწყებთ ვასო ხაჩიძის ოჯახი. ვასოს ეს ჩანაფიქრი და სურვილი დიდად მესიამოვნა, რადგა იგი მიმაჩნია იმ დიდებული ტრადიციის გაგრძლებად, რაც ამ ბოლო ხანებში ვითარდება ჩვენს რაიონში, ადამიანები, ოჯახები, მთელი გვარები დაინერესდნენ თავიანთი ფუძით, დაიწყეს საოჯახო არქივების გადაქექვა, ძველი ფოტოალბომების გადათვალიერება, ძველი საოჯახო დოკუმენტების მოძიება და ბევრმა ოჯახმა ეს ყველაფერი წიგნად აქცია და ამით მნიშვნელოვანი დოკუმენტი დაუტოვა თავის ოჯახსა და საქართველოს ისტორიას.

სხვათა შორის, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ დიდ საჭირო საქმეს ბიძგი და სტიმული ბატონ თამაზ ლაცაბიძის ამ სფეროში მოღვაწეობამ მისცა, ამის დასტურია ბოლო ხანებში დამოსული ლლმისი კიდევ ერთი წიგნი „ცხრამუხის თემი“ და „ხაშურის ჭალისუბნის ისტორია“. ყოველი ასეთი წიგნი მნიშვნელოვანი საფუძველია საქართველოს ნამდვილი და უტყუარი აგურია რაიონის ისტორიისა, საბოლოო ჯამში კი საქართველოს დიდი ისტორიის შენობის ასაგებად და გადასარჩენად.



რობერტ სუხიაშვილი

მაინც ვინ იყო სერგო ვასილის ძე ხაჩიძე?

ამას უფრო დაწვრილებით და საინტერესოდ მისი უმცროსი შვილი ვასილ ხაჩიძე მოგითხრობთ.

მამაჩემი იყო ცივწყაროელი (ურთხველი) გლეხკაცის ვასო გრიგოლის ძე ხაჩიძის და მატრონა იმერლიშვილის 14 შვილიანი ოჯახის მე-12 შვილი, მრავალშვილიან ოჯახში დაბადებული – 1918 წლის 9 მაისს.

გაქცევა

ყველაფერი კი ასე დაიწყო, სკოლის მერხიდან აფრენილმა მართვემ, ფრთები მძლავრად ვერ გაშალა, თუმცა სწავლის სურვილი არც სკოლის შემდეგ განელებია, დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, რა ეღონა, რა მოემოქმედა, რომ რომ სწავლა გაეგრძლებია, თუმცა ისიც იცოდა, რომ ოჯახს სწავლის საშუალება არ ჰქონდა.

სწავლა ოცნებად ჰქონდა გადაქცეული და ისიც კი გათვლილი ჰქონდა როგორ, რა გზით წაეყვანა და მოეწყო თავისი ცხოვრება, ამიტომ იგი ჯერ სწავლაზე ფიქრობდა, მერე შრომაში ჩაბმას აპირებდა, ამასობაში ჯარიც მოუწევდა და სამშობლოს დამცველთა რიგებში დადგებოდა, ბოლოს კი საკუთარი ოჯახის შექმნას გეგმავდა, ოჯახის შექმნა მისი ბოლო ოცნება იყო, წინ კი ძნელი და დიდი გზა ელოდა. ამას კი კარგი სწავლა და მაგარი ჯანმრთელობა სჭირდებოდა, ბედმა თუ უბედომა სწორედ ამ გზით ატარა. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თვითონ იყო თავისი ბედის გამგებელი.

ჰოდა, ერთ დღეს სერგომ ერთობ გაბედული და შეუცვლელი, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. თვითონ მიეხედა თავისი თავისთვის. თუმცა, ეს როგორ უნდა განეხორციელებია ჯერ მოფიქრებული არ ჰქონდა. თუმცა, ის კი იცოდა, რომ პირველ რიგში სახლიდან უნდა გაპარულიყო, რადგან სოფელში დარჩენის პერსპექტივა დიდი იყო და მერე გზას ბედი უჩვენებდა.

ერთ საღამოს გადაწყვეტილება მიიღო გაიპაროს სოფლიდან. ამის შემდეგ დიდხანს აღარ უფიქრია. თავი მოუყარა საკუთარ ავლადიდებას, ბარგი შეკრა, შეაგროვა ყველა საჭირო საბუთი, რომელიც შეიძლება სადმე გამოდგომოდა, მოიძია იმ დღისათვის გადანახული ოცი მანეთი. ყველაფერი ეს, ყოველი შემთხვევისთვის, წელზე შემოიკრა, დილით ადრე ჩუმად გაიხურა სახლის კარი და თავისი „დიდი გუდით“ სურამის გზას დაადგა, გულაჩუყებული სერგო დიდხანს იყურე-

ბოდა უკან, თითქოს მშობლების თვალ-ცრემლიან სახელს ხედავდა და გული უშფოთავდა, რადგან მშობლებს თავისი ასეთი ქმედებით ტკივილი მიაყენა. სურამამდე ისე იარა, რომ არ ჩაუმუხლავს და არსად შეუსვენია. ამის არც სურვილი ჰქონდა და არც განწყობა, იგი თავისი მიზნისაკენ მიჰქონდა, იგი უკვე სურამის რკინიგზის სადგურის ბაქანზე, ერთ შორეულ კუთხეში მიჯდა და მატარებლის მოსვლას დაელოდა. გეზი ხაშურისკენ ეჭირა, მალე მატარებელიც გამოჩნდა, მგზავრები მატარებლისკენ დაიძრნენ, რომ ახლობელს ან ნაცნობს არ შეემჩნია, რომ გეგმა და ჩანაფიქრი არ ჩაშლოდა. სულ რაღაც 20 წუთში სერგო ხაშურის ვაგზლის ბაქანზე ჩამობარგდა, თავისი გუდა გვერდზე მოიგდო და მატარებეელს დაელოდა. მისთვის სულ ერთი იყო აქაურობას დროულად გასცლოდა. მატარებელი ბორჯომი-თბილისი ვაგზალზე შემოქაქანდა. მგზავრები მატარებლისაკენ დაიძრნენ და სერგოც მათ გაჰყვა, თავი ერთ-ერთ ხალხმრავალ ვაგონში ამოჰყო, თავისი გუდა ნაბადი დააბინავა და თვითონ მგზავრებში გაერია, ვაგონში უმეტესად ახალგაზრდები იყვნენ, სერგო მიდგა-მოდგა, ახალგაზრდების ერთ ჯგუფში გაერია და ადვილად გაიგო რა ხდებოდა ვაგონში. გაარკვია რომ ამ ვაგონით ახალგაზრდა ბიჭები „წვვამდელები“ მიჰყავდათ გორის სამხედრო გამანაწილებელ პუნქტში, სერგომ ჩაიღიმა და გულში გაიფიქრა გზაც იქით მქონიაო. გორს რომ მიუახლოვნდნე სამხედრო კომისარიატის ოფიცერმა წვევამდელთა ერთი ჯგუფი (ათეული) გადათვალა და მატარებლიდან ჩაიყვანა. სერგოც მათ გაჰყვა და ფრთხილად შეერია ამ ჯგუფს, კომისარიატის ოფიცერმა, ათეული, პუნქტის მორიგე ოფიცერს წარუდგინა და სიით ჩააბარა. რა თქმა უნდა სერგო სიაში არ აღმოჩნდა და იგი საქმის გასარკვევად პუნქტის უფროსთან წაიყვანეს, იქ გულდასმით გადახედეს მის საბუთებს, მოუსმინეს ახალგაზრდა კაცს და მისი თხოვნა ჯარში გაწვევის შესახებ დააკმაყოფილეს. მორიგე ოფიცერმა მაშინვე გამოუნახა დასაძინებელი ადგილი და სასადილოშიც ავახშმა კიდეც, მერე კი ძილი ნებისა უსურვა და კაზარმაში დატოვა.

მეორე დღეს, დილით ადრე სერგო ახალგაზრდა ქართველმა ოფიცერმა, რომელსაც ხელში სერგოს განცხადება ეჭირა თავისთან იხმო და კაცურად დაარიგა – მეგობარო, ჩემი თხოვნაა ჯერჯერობით ჯარში წასვლა გადაიფიქრო და სწავლას მიხედო, ჯარში წაუყვანელს არავინ დაგტოვებს, მოვა შენი რიგი და ჩადგები საბჭოთა არმიის რიგებში. შენი და შენისთანების ვალია ფაშისტების განადგურება და თქვენ ამას აუცილებლად გააკეთებთ, ახლა კი, როგორც გეტყვი ისე მოიქეცი, დამიჯერე და არ წააგებ, ახლავე წადი გორის პედსასწავლებელში. ახლა იქ მისაღები გამოცდებია და პირველსავე შემხვედრს, აუხსენი შენი მდგომარეობა, ისიც უთხარი ვინ გამოგგზავნა საქმისათვის ასეა საჭირო. სერგომ, 15 წუთი არ იყო გასული, სასწავლებლის კარი რომ შეაღო და იქვე აიტუზა, პირველსავე შემხვედრს ჯიქურ გადაუდგა წინ და თავისი მდგომარეობა გააცნო, საბედნიეროდ, ეს კაცი პედ. სასწავლებლის დირექტორის მოადგილე აღმოჩნდა, მან სერგო დირექტორთან წაიყვანა. აქ გულდასმით გასინჯეს სერგოს საბუთები, მოაყოლეს ბიოგრაფია და ოჯახური მდგომარეობა, მოეწონათ ახალგაზრდა კაცის განწყობა და სურვილი სწავლის გაგრძელებისა, გამოცდებზე დაუშვეს და ჩააბარა კიდეც. სერგო გორის პედსასწავლებლის სტუდენტი გახდა, ასე მოულოდნელად შეიცვალა სერგოს ცხოვრების გზა. იგი ფრონტის ნაცვლად სწავლისა და შრომის ორმა წლმა უცებ გაირბინა, წარმატებით ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და დიპლომით ხელდამშვენებული ოჯახს დაუბრუნდა. გაიხარა ოჯახმა, შვილი სახლშია, თანაც დიპლომიანი მასწავლებელი. სერგომ, როგორც მასწავლებელმა მოწიწებით შეაღო მშობლიური სკოლის კარი, დაიწყო ახალგაზრდა კაცის პედაგოგიური მოღვაწეობა, მაგრამ მშობლიურ სკოლაში მუშაობა დიდხანს არ დასცალდა – იგი სავალდებლო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. დიდმა სამამულო ომმაც აქ მოუსწრო. დიპლომიანი ჯარისკაცი დივიზიის უფროსობამ უმცროს მეთაურთა

კურსებზე გააგზავნა და მისი წარმატებით დამთავერების შემდეგ მას უმცროსი ლეინტენანტის ჩინი უბოძეს და ბალაიონი ჩააბარეს.

სერგო ხაჩიძის ასეული დიდ ბრძოლებშია ჩაბმული და ყოველი შეტაკებიდან გამარჯვებული გამოდის, სწორედ ამიტომ იგი კაპიტნის წოდებამდე ამაღლდა და მრავალი ჯილდოც დაიმსახურა.

ასეულში სისტემატიურად მაღლდება ჯარისაცთა საბრძოლო და მორალურ-პოლიტიკური სულისკვეთება და შემართება, რაშიც მათი მეთაურის – სერგო ხაჩიძის დიდი დამსახურებაა, ასეული განუწყვეტლივ ბრძოლებშია და ანადგურებს მტრის პოზიციებს ერთ-ერთი ასეთი სასტიკი და დაუნდობელი შეტაკების დროს, კონტუზირებული და დაჭრილი, უგონო მდგომარეობაში მყოფი მეთაური ფაშისტებმა ტყვედ აიყვანეს.

დაიწყო საბჭოთა ტყვე ოფიცრის ტანჯვითა და წამებით აღსავსე გზა, რის შესახებაც იგი დეტალურად გადმოგვცემს თავის დღიურებში. ტყვეობაში გატარებული გაუსაძლისი დღეები მას სხვადასხვა მაგალითებით აქვს გადმოემული.

მაგალითი №!
ტყვეთა ბანაკი

ამ ბანაკში 15 ათასზე მეტი ტყვე ვართ. გვეძლევა 300 გრამი პური და ცხელ წყალში (1,5 ლ.) გარეული ქატო ტყვეები შიმშილით სივდებიან და იცოხებიან. ამიტომ რასაც მოვიხელთებდით ვჭამდით, განსაკუთრებით ბალახს, რაც მე იქ ბალახი ვჭამე ჩემს ძროხებს არ უჭამიათ ჩემი მწყემსობის დროს.

მაგალითი №2
ტყვეები – საცდელი ვირთხები

როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, ტყვეობაში დღეში ორჯერ ვიხილავდით ან ვამოწმებდით ტანსაცმელს და ათასობით მკბენარს ვხოცავდით, ყოველთვის ვჩქარობდით, რომ ეს საქმე დრის სინათლეზე მოგვესწრო. ამ საქმიანობის დროს ტყვეები ათას უცნაურობებს ყვებოდნენ და აკეთებდნენ. ზოგი მკვენარს ითვლიდა და ოხუნჯობას ცდილობდა, ამბობდა ათასზე მეტი ტილი შემომაკლდაო, ზოგი სხვადასხვა საჭმელს იგონებდა და ნატრულობდა. ვიღაც ამ დროს ისე ამოიოხრებდა, რომ გულს თან აყოლებდა. როცა ხილვას ვრჩებოდით ტანსაცმელს უკუღმა ვიცმევდით, რომ დარჩენილ მკბენარს არ შევეწუხებინეთ. ერთხელ, ასეთ დროს რუსი ოფიცერი (ვინც მათ მიეყიდა) და გერმანელები შემოცვივდნენ. ეს გერმანელები ახლად კურსდამთავრებული ექიმები ყოფილან. რატომღაც რუსი ოფიცერი აირჩიეს და წაიყვანეს. მეორე დღეს იგი საკაცით შემოიტანეს. ექიმ-პრაქტკანტებს მასზე ექსპერიმენტები ჩაუტარებიათ. საწყალმა მოყვანიდან ორი საათის შემდეგ სული განუტევა, სულ აჩეხილ-დაჩეხილი და ნაკერებამობლანდული იყო.

მაგალითი №3
ბალახი ერთი კვირაც არ გვეყო

ბელასტიკის ბანაკში ბალახმა ერთი კვირაც არ გაგვიძლო, ძირიანად ვიღებდით და ვჭამდით და ვჭამდით. იქაურობა გოხს დაემსგავსა, როცა ბანაკში ბოლო ღერი ბალახი შეიჭამა, ტყვეებმა მავთულები იშოვეს და ბანაკის ღობის იქით შემორჩენილ ბალახს ვითრევდით და ვჭამდით.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი

ანუკი შუბითიძე
მაგისტრანტი

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახეები საქართველოში და მათი ემისიის ანალიზი

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების სამართლებრივი საფუძვლის მიმოხილვისას ჩვენ განვიხილეთ დებულებები: 1997 წლის „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ„, 2006 წლის საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებულ შეთანხმებას „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“. ამ ორი დებულების თანახმად საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიმოიქცევა ორი სახის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი - საქართველოს სახაზინო ვალდებულება (1997 წლიდან) და საქართველოს სახაზინო ობლიგაცია (2006 წლიდან). თუმცა, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილ იქნა სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც მიმოიქცევა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ესენია:

- საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები (2006 წლიდან);
- საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ევროობლიგაციები (2008 წლიდან).

დადგინდა, რომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არ მიმოიქცევა მუნიციპალური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი, რაც უდაოდ აკნინებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის სრულფასოვან განვითარებას. ამასთანავე, ფასიანი ქაღალდების ეს სახეობა არის საწინდარი ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებასა და მუნიციპალიტეტების მიმართ ნდობის ამაღლების კუთხით. მიგვაჩნია, რომ საქართველოში ხელი უნდა შეეწყოს ინვესტიციების დაბანდებას არა მარტო ცენტრალური მთავრობის მიერ გამოშვებული სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მომავალში გამოსაშვები მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციას. ამ სახეობის ფასიანი ქაღალდის არქონა ხელს უშლის ადგილობრივ თვითმმართველობებს მათი მდგომარეობის ფინანსურ გაძლიერებასა და მათ წინაშე არსებული ამოცანების გადაჭრაში. როგორც ანალიზმა ცხადყო ზემოთმოყვანილი ოთხი სახის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი ერთმანეთისგან გამოირჩევა შემდეგი კრიტერიუმით: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის გამომშვები სახელმწიფო ორგანო; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის გამოშვების თარიღი; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ვადიანობა დაფარვამდე; სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის გამოშვების ფულადი ერთეული.

ეს მინიშნება შეეხება საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ევროობლიგაციებს, რომლის ყიდვა გაყიდვა უცხოურ ვალუტაში ხორციელდება. სხვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უკვე განხილული გვაქვს საქართველოს სახაზინო ვალდებულებისა და სახაზინო ობლიგაციის გამოშვებისა და მიმოქცევის იურიდიული ასპექტები. მომდევნო ქვეთავებში განხილული გვაქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატები და ევროობლიგაციები.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სახელმწიფო ორგანოებს მიმოქცევაში გამოშვებული აქვთ ოთხი სახის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი, მათგან მხოლოდ ორი წარმოადგენს საქართველოს ფართო საზოგადოებისათვის ინვესტირების ობიექტს. ესენია სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები. ჩვენს უკვე განვიხილეთ და დავადგინეთ, რომ სადეპო-

ზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ღია ბაზრის ინსტრუმენტს და ის გამოიყენება მის მიერ კომერციულ ბანკებთან ფინანსური ოპერაციების დროს, ხოლო მთავრობის მიერ გამოშვებული ევროობლიგაციები არ მიმოიქცევა საქართველოში და ის საერთაშორისო ბაზრის ელემენტია და დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

სახაზინო ვალდებულებათა გამოშვება, მათი ოდენობა და ვადიანობა ფინანსთა სამინისტროს და ზოგადად, მთავრობის გადასაწყვეტია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს სჭირდება სახაზინო ვალდებულებები და მათი გამოშვება შესაძლებელია. ეს ის ინსტრუმენტია, რომელსაც გააჩნია 3 პირდაპირი შედეგი: ჭარბი ლიკვიდური აქტივების სტერილიზაცია, საბიუჯეტო დეფიციტის (თუ ბიუჯეტი დეფიციტურია) ფინანსირება და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. ამ მხრივ მთავარი კითხვაა თუ რატომ ყიდულობენ კომერციული ბანკები, როგორც პირველადი დილერები დიდი რაოდენობის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს? ეკონომიკური სტაგნაციისა და კრიზისის პირობებში კომერციული ბანკები ვერ ზრდიან საკრედიტო პორთფელს და ხელზე რჩებათ დიდი რაოდენობის თავისუფალი სახსრები. ბუნებრივია, თუნდაც მცირე შემოსავალის მისაღებად, მათთვის ხელსაყრელია თავისუფალი ფულის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში დაბანდება.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ გარდამავალი პერიოდის აუცილებლობა გამოიწვია არა მარტო სოციალურ – ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებლობამ, არამედ აგრეთვე სამართლებრივი ბაზის შეცვლის აუცილებლობამ. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საკანონმდებლო ბაზა მოცემულია კანონში „სახელმწიფო ვალის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 5 მარტს. თუმცა მანამდე ზოგადი სახელმწიფო ბაზა შექმნა საქართველოს კონსტიტუციამ, რომელიც მიღებულ იქნა 1995 წლის 25 აგვისტოს. სწორედ ამ კანონების საფუძველზე გამოშვებულ იქნა პირველი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

აუცილებელია ამ პერიოდიდან საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ისტორიის ერთად თავმოყრა და ანალიზი, განვლილი პერიოდის გამოცდილების განზოგადება და რეკომენდაციების შემუშავება. ამასთან ჩვენს ნაშრომში მოცემულია პრობლემის გარკვევის ცდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების დასადგენად, რაც ხელ უშლის ამ ინსტრუმენტს:

1. იყოს მოთხოვნადი ინვესტორთა ფართო წრისათვის, ადვილად გაყიდვადი ინსტრუმენტი, დახვეწილი აღრიცხვიანობისა და რეესტრის წარმოების წესით;

2. იყოს ბიუჯეტის შევსების დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი წყარო, იყოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს სრულფასოვანი ინსტრუმენტი ღია ბაზრის ოპერაციების წარმოების დროს. საკითხის აქტუალობა იზრდება მსოფლიო ფინანსურ – ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიჩნეულია ქვეყნების სუვერენული ვალის საკითხი, ანუ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული და გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და ვალის პროცენტების მომსახურებაზე გასაწევი ხარჯების სიმძიმე.

1997 წელს დაწყებული ქართული სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებისა და 2006 წლიდან სახაზინო ობლიგაციის ემისიამ და განვითარების ისტორიის ეტაპების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ამ ინსტრუმენტმა კარდინალური ცვლილებები და შინაარსობრივი ტრანსფორმაცია განიცადეს. ისინი ნაწილობრივ პასუხობენ მათი გამოშვების რიგ ამოცანას, თუმცა არასრულად. სახეზე იყო რიგი პრობლემა, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული კუთხით, რაც ხელს უშლიდა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს მათი განვითარების გზაზე:

ის იყო მოთხოვნადი ინვესტორთა ფართო წრის მიერ, თუმცა არ იყო ხელმისაწვდომი, ადვილად გაყიდვადი და გადაყიდვადი ინსტრუმენტი, რადგან მხოლოდ კომერციულ ბანკებს ჰქონდათ (და დღესაც აქვთ) როგორც პირველადი დილერის, ასევე მეორად ბაზარზე მათი გადაყიდვის უფლება;

ის იქცა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების წყაროდ, თუმცა არასაკმარისად იყო დაბალპროცენტიანი, არ იყო ადეკვატურად გრძელვადიანი და შეიცავდა (და შეიცავს) სავალუტო, ინფლაციურ და რიგ სხვა რისკს;

ის იყო (და არის) ეროვნული ბანკის ინსტრუმენტი ღია ბაზრის ოპერაციების წარმოების დროს, თუმცა ჯერ ჯერობით ვერ ხერხდება მისი სრულყოფილად გამოყენება.

კვლევის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის ზრდის პერიოდში და ამ ბაზრის ეფექტური მომსახურების უზრუნველსაყოფად საჭიროა შევიდეს ცვლილებები კანონმდებლობაში, პირველად და მეორად ბაზარზე დაშვებულ იქნას სხვა შუამავალი

სტრუქტურები და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი არ იყოს მხოლოდ კომერციული ბანკის ექსკლუზიური სფერო, როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზარზე. ასეთ ვითარებაში და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, აუცილებელია ლიკვიდური და სანდო მეორადი ბაზრის არსებობა და ღია ტრანსპარენტულ პირობებში, საფონდო ბირჟის გამოყენებით სახელმწიფო ფასიანი ქარალდების განთავსება და მეორად ბაზარზე გადაყიდვა.

ჩვენი საკვლევის თემის დასასრულს, შეჯამებისთვის ანალიზს გავუკეთებთ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ემისიას სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და ასევე 2018 განსახორციელებელ ემისიას.

სტატისტიკა 2009 წლის ემისიის შესახებ შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 2009 წელი - 270 მლნ ლარი, წლიური გადაფარვის კოეფიციენტი 3,116; 2010 წელი - 463 მლნ ლარი, გადაფარვის კოეფიციენტი 2,322; 2011 წელი - 250 მლნ ლარი, გადფარვის კოეფიციენტი 1,981; 2012 წელი - 100 მლნ ლარი, გადაფარვის კოეფიციენტი 2,501; 2013 წელი - 80 მლნ ლარი, გადაფარვის კოეფიციენტი 2,494.

2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო ფასიანი ქარალდების ემისიის ზრდა დაფიქსირდა და წლის ბოლოს საშინაო ვალის ოდენობამ 1,898,356 ათასი ლარი შეადგინა.

რაც შეეხება უახლეს ინფორმაციას სახელმწიფო შიდა ვალის შესახებ, 2018 წლის 8 აგვისტოს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 73 930 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.220 პროცენტით, მაქსიმალური 7.270 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 7.265 პროცენტით განისაზღვრა. კუპონური საპროცენტო განაკვეთი 7.500 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

2018 წლის 22 აგვისტოს კი კვლავ განხორციელდა, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 30 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 55 225 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.390 პროცენტით, მაქსიმალური 7.490 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 7.477 პროცენტით განისაზღვრა. კუპონური საპროცენტო განაკვეთი 8.125 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.[1]

ასევე 2018 წლის 5 სექტემბერს განხორციელდა, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე 40 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 364-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში მონაწილეობა მიიღო ექვსმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 97 000 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.090 პროცენტით, მაქსიმალური 7.150 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.115 პროცენტით განისაზღვრა.[2]

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ როგორც ფინანსთა სამინისტრომ დაანონსა, 2018 წლიდან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ე.წ. ბენჩმარკ ბონდების რეგულარულ ემისიას იწყებს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო)[3]. 2018 წლის სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ემისიის კალენდარის პროექტი შედგენილია 2, 5 და 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციების ბენჩმარკ ბონდებად გამოშვების გათვალისწინებით, რომელიც ჩვენს მიერ მოცემულია ცხრილში 1. აღნიშნული ინსტრუმენტი ცოტაოდენ განსხვავდებიან ადრე ემიტირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისგან და შეიძლება ჩაითვალოს შედარებით მსხვილ ემისიებად წინასწარ ცნობილი (დაანონსებული) პერიოდულობით და თანაბარი მოცულობებით, ერთიანი დაფარვით, ადრე არსებულისგან განსხვავებით წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში დაფარვის პირობით.

[1] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3430 გადამოწმებული იქნა05.09.2018.
[2] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3440 გადამოწმებული იქნა 05.09.2018.
[3] https://mof.ge/5147 გადამოწმებულია 05.09.2018

ემისია (მლნ ლარი)	6 თვიანი	დაფარვა	12 თვიანი	დაფარვა	2 წლიანი	დაფარვა	5 წლიანი	დაფარვა	10 წლიანი	დაფარვა
იანვარი	20	ივლისი, 2018	40	იანვარი, 2019	40	იანვარი, 2020	30	იანვარი, 2023	25	იანვარი, 2028
თებერვალი	20	აგვისტო, 2018	40	თებერვალი, 2019	40		30		0	
მარტი	20	სექტემბერი, 2018	40	მარტი, 2019	40		30		0	
აპრილი	20	ოქტომბერი, 2018	40	აპრილი, 2019	40		30		25	
მაისი	20	ნოემბერი, 2018	40	მაისი, 2019	40		30		0	
ივნისი	20	დეკემბერი, 2018	40	ივნისი, 2019	40		30		0	
ივლისი	20	იანვარი, 2019	40	ივლისი, 2019	40	ივლისი, 2020	30		25	
აგვისტო	20	თებერვალი, 2019	40	აგვისტო, 2019	40		30		0	
სექტემბერი	20	მარტი, 2019	40	სექტემბერი, 2019	40		30	ივლისი, 2023	0	
ოქტომბერი	20	აპრილი, 2019	40	ოქტომბერი, 2019	40		30		25	
ნოემბერი	20	მაისი, 2019	40	ნოემბერი, 2019	40		30		0	
დეკემბერი	20	ივნისი, 2019	40	დეკემბერი, 2019	40		30		0	
ჯამი	**240**		**480**		**480**		**360**		**100**	

ცხრილი 1. 2018 წლის ემისიის კალენდარი
(2,5,და 10 წლიანი ვადიანობა არის ბენჩმარკ ბონდები)[1]

პირველი კვარტალი | მეორე კვარტალი | მესამე კვარტალი | მეოთხე კვარტალი

N	ემისიის თარიღი	ემისიის მოცულობა	ვადიანობა (დღე)	ვადიანობა	დაფარვის თარიღი	შენიშვნა
27	04/07/2018	40,000,000.00	364	12 თვიანი	04/07/2019	პირველადი ემისია
28	11/07/2018	20,000,000.00	182	6 თვიანი	10/01/2019	პირველადი ემისია
29	11/07/2018	40,000,000.00	731	2 წლიანი	12/07/2020	პირველადი ემისია
30	18/07/2018	25,000,000.00	3,470	10 წლიანი	18/01/2028	N4-ის დამატებითი ემისია GETC28118049
31	25/07/2018	30,000,000.00	1,644	5 წლიანი	25/01/2023	N5-ის დამატებითი ემისია GETC23125056
32	01/08/2018	40,000,000.00	364	12 თვიანი	01/08/2019	პირველადი ემისია
33	08/08/2018	20,000,000.00	182	6 თვიანი	07/02/2019	პირველადი ემისია
34	08/08/2018	40,000,000.00	703	2 წლიანი	12/07/2020	N29-ის დამატებითი ემისია GETC20712294
35	22/08/2018	30,000,000.00	1,616	5 წლიანი	25/01/2023	N5-ის დამატებითი ემისია GETC23125056
36	05/09/2018	40,000,000.00	364	12 თვიანი	05/09/2019	პირველადი ემისია
37	12/09/2018	20,000,000.00	182	6 თვიანი	14/03/2019	პირველადი ემისია
38	12/09/2018	40,000,000.00	668	2 წლიანი	12/07/2020	N29-ის დამატებითი ემისია GETC20712294
39	26/09/2018	30,000,000.00	1,826	5 წლიანი	27/09/2023	პირველადი ემისია

ვადიანობა	ემისიის მოცულობა (ლარი)

ცხრილი 2. სახელმწიფო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების ემისია და დაფარვა[2]

[1] https://mof.ge/5147 გადამოწმებულია 05.09.2018
[2] https://mof.ge/5149 გადამოწმებულია 05.09.2018.

პირველი კვარტალი | მეორე კვარტალი | მესამე კვარტალი | მეოთხე კვარტალი

აუქციონის თარიღი	ემისიის მოცულობა (ლარი)	ვადიანობა (დღეები)	დაფარვის თარიღი	საშუალო შეწონილი განაკვეთი
6 თვიანი სახაზინო ვალდებულებები				
11/07/2018	20,000,000.00	182	10/01/2019	7,362
08/08/2018	20,000,000.00	182	07/02/2019	7,133
12 თვიანი სახაზინო ვალდებულებები				
04/07/2018	40,000,000.00	364	04/07/2019	7,364
01/08/2018	40,000,000.00	364	01/08/2019	7,115
05/09/2018	40,000,000.00	364	05/09/2019	7,115
2 წლიანი სახაზინო ობლიგაციები				
11/07/2018	40,000,000.00	731	12/07/2020	7,465
08/08/2018	40,000,000.00	703	12/07/2020	7,265
5 წლიანი სახაზინო ობლიგაციები				
25/07/2018	30,000,000.00	1,644	25/01/2023	7,69
22/08/2018	30,000,000.00	1,616	25/01/2023	7,477
10 წლიანი სახაზინო ობლიგაციები				
18/07/2018	25,000,000.00	3,470	18/01/2028	9,016

ცხრილი 3. 2018 წელს განხორციელებული ემისია.[1]

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიტმანი ლ. ჯ., ჯონკი მ. დ., ინვესტირების საფუძვლები. ქართული შემოკლებული თარგმანი, თბილისი 2008.
2. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, წლიური ანგარიში. თბილისი, 2017.
3. ქოქიაური ლ. საინვესტიციო საქმე. თბ., 2010.
4. ხანთაძე გ., ცაავა გ. საჯარო ფინანსები. თეორია და მეთოდები. თბ., 2013.
5. https://idfi.ge/ge/securities-market-georgia უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15/06/2017
6. http://www.gse.ge ჰტტპ://წწწ.ნყ.ფრბ.ორგ/მარკეტს/პრიდეალერს–ცურრენტ.ჰტმლგადამოწმებული იქ-ნა 04.06.2018.
7. https://mof.ge/5149 გადამოწმებულია 30.05.2018
8. https://mof.ge/5147 გადამოწმებულია 05.09.2018 13.
9. http://www.deutsche-finanzagentur.de/_Deutsche/PDF/Aen/bund გადამოწმებული იქნა 31.05.2018.
10. http://www.ny.frb.org/markets/pridealers_current.html გადამოწმებული იქნა 04.06.2018.
11. http://geostat.ge/?action=page&p_id=313&lang=geo იქნა გადამოწმებული 05.06.2018.

[6] https://mof.ge/5155 გადამოწმებულია 05.09.2018

ნოდარ ხარაიშვილი

ბანკის საიმედოობის რეიტინგული შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის მიმართულებები

კომერციული ბანკების მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველმყოფელი ფაქტორების ანალიზისადმი კომპლექსური მიდგომიდან გამომდინარე, გაითვალისწინება მათი შემდეგი დაჯგუფება:[1] 1) სახელმწიფოებრივ-სამართლებრივები; 2) საბანკო სისტემაში სახსრების შემოსვლის წყაროების მიხედვით; 3) საბანკო რესურსების განთავსების მიხედვით; 4) შიდასაბანკო ფაქტორები; 5) საერთო ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ბანკების საქმიანობაზე უშუალო ზემოქმედებას ახდენენ.

ყურადღება უნდა მიექცეს უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებას, რომ ასეთი მიდგომისას შიდა და საგარეო ფაქტორები არ ქრებიან. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და საერთოეკონომიკური ფაქტორები თამამად შეიძლება საგარეო ფაქტორებს მიეკუთვნოს, დანარჩენი სამი ფაქტორი კი შიდა მამოძრავებელი ძალის მახასიათებლებია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს არა კომპლექსურს, არმედ სარესურსოს, რომელიც ეხება საბანკოი კაპიტალის, საკუთარი და მოზიდული სახსრების ფორმირებისა და ფუნქციონირების როგორც შიდა, ასევე საგარეო მხარეებსაც. საბოლოო ჯამში მოცემული მიდგომა ფაქტორების საგარეო და შიდა დაყოფაზეა დაფუძნებული.

„საიმედოობის საგარეო ფაქტორებს“ მიეკუთვნებიან ბანკის საქმიანობის საერთოეკონომიკური პირობები, იმ გარემოსი, რომელშიც ისინი არსებობენ, ვითარდებიან და საქმიანობის სტრატეგიის ფორმირებას ახორციელებენ. ბანკებისა და საბანკო სისტემის საიმედოობის დონე განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის მდგომარეობით და მიის განვითარების დონით, შრომის საერთაშორისო დაყოფაში ჩართვის სპეციფიკით და სამეწარმეო და სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე დარგობრივი ორიენტაციით, ბაზრის განვითარების დონით, მთლიანობაში წარმოების მდგომარეობით (გამოცოცხლება-ამაღლება-დაცემა-კრიზისი-დეპრესია) და შესაბამისად, ბანკების მიერ განხორციელებადი ფულადი ბრუნვის მდგომარეობით (ინფლაციური და ინფლაციის გარეშე). საიმედოობის საგარეო ფაქტორებს მიეკუთვნებიან ასევე: სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მექანიზმი, საკანონმდებლო ბაზის ქმედითუნარიანობა და მისი განვითარების დონე, საბანკო საქმიანობის სამართლებრივი და ნორმატიული უზრუნველყოფის ხარისხი, რომელიც განსაზღვრავს ღვრებს და აკრძალვებს ადგენს.

წარმოდგენილი საგარეო ფაქტორების დეტალური ჩამონათვალის მიუხედავად, მათი წრე, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, არასაკმარისად სრულად გამოიყურება. მასში არ არის მითითებული მეტად არსებითი გარემოებები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკურ ფაქტორებზე. აღნიშნული სწორია, რამდენადაც გამოსაკვლევი ცნება განიხილება არა ზოგადად, არამედ ბანკთან მიმართებაში, როგორც ეკონომიკური დაწესებულება. მიუხედავად ამისა, ამით საქმე არ იზღუდება.

როგორც ცალკე ბანკების, ასევე მთლიანობაში საბანკო სისტემის განვითარებაზე საერთო მიღებულ ზემოქმედებას ახდენენ პოლიტიკური მოტივებიც, დაწყებული საზოგადოების იდეოლოგიური ორიენტაციიდან და ხელისუფლების სათავეში არსებული პარტიის შეცვლით დამთავრებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, უეჭველია, რომ მდგრადობაზე ზემომქმედი ფაქტორების ჩამონათვალი პოლიტიკური სიტუაციების სტაბილურობის მახასიათებლებით უნდა იქნას გაფართოებული.

[4] www.nbggov.ge გადამოწმებული იქნა 11.06.2018.

რაც შეეხება ზემოთჩამოთვლილი ეკონომიკური მიზეზების ჩამონათვალს, მიგვაჩნია, რომ მასში დამატებით უნდა ჩაირთოს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდის ტემპები, მშპ-ის სიდიდე, სახელმწიფო შიდა და საგარეო ვალის სიდიდე, ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის წილი, ვალუტების კურსი და სხვა.

საბანკო რესურსების ფორმირების წყაროების განმსაზღვრელ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ: საკუთარი სახსრების გადიდების შესაძლებლობა აქციონერებისა და დამფუძნებლების სახსრების მოზიდვის ხარჯზე, მეურნე სუბიექტების სახსრების დამატებითი მოზიდვის შესაძლებლობა, დეპოზიტური ოპერაციების სპექტრის გადიდების ხარჯზე მეანაბრეების სახსრებისა და სხვა სახსრების მოზიდვა.

საერთოეკონომიკური ფაქტორები ამ შემთხვევაში ეხებიან არა მარტო პასიურ ოპერაციებს, არამედ აკუმულირებული რესურსების განთავსების მიმართულებებსაც. და განსაკუთრებით, საკრედიტო ოპერაციებს და ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებს.

დასასრულს, ბანკების მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორების შემადგენლობაში მიზანშეწონილია მიკუთვნებული იქნას საბანკო საგარეო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი (ინფორმაციული, საკადრო, მეცნიერული უზრუნველყოფის და სხვათა არსებობა).

„საიმედოობის შიდა ფაქტორებს“ მიეკუთვნებიან ბანკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი პოტენციალი, მისი კლიენტების შემადგენლობა, ბანკის ორგანიზაციის შიდა მექანიზმის ხარისხი, მისი მოძრაობაში მომყვანი ადამიანების პროფესიონალიზმი და პასუხისმებლობა. ჩვენი აზრით, მდგრადობის შიდა ფაქტორების შესახებ საკითხის განხილვისას ისინი სამ დამოუკიდებელ ჯგუფებად უნდა დაიყოს: 1) ორგანიზაციული ფაქტორები; 2) ტექნოლოგიური ფაქტორები; 3) ეკონომიკური ფაქტორები.

ერთდროულად მნიშვნელოვანია მენეჯმენტი შეფასებულ იქნას მის მიერ გატარებადი პოლიტიკის, კონტროლის მომქმედი სისტემის, პროგნოზირების შესაძლებლობის, დაგეგმვასა და გარემოების ცვლილებებზე ოპერატიულად რეაგირების თვალსაზრისითაც. შემმოწმებლების ყურადღებას თანმიმდევრულად იწვევენ.

ბუღალტრული აღრიცხვის, დაგეგმვისა და შიდა კონტროლის სიტემები, საკადრო პოლიტიკა და ოპერატიული საქმიანობის შესაბამისობა დამტკიცებულ დებულებებთან სასესხო და საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ, აქტივებისა და პასივების მართვის შერჩეული მოდელები და სხვა.

მენეჯმენტის შეფასება კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ელემენტს მოიცავს: ბოროტმოქმედებებისა და მმართველების მიერ საქმიანობის „მეგობრულ საფუძველზე“ განხორციელების ფაქტების ანალიზი. აქ შესწავლის საგანი ხდება: სესხების „არაჯანსაღ“ საფუძველზე მიწოდების ფაქტები აქციონერებზე, დირექტორებზე, მოსამსახურეებზე ან პირებზე, რომლებთანაც მიმართებაში საბანკი ადმინისტრაცია დაინტერესებულია; ბოროტმოქმედებები შრომის ანაზღაურებისა და დაჯილდოებების სფეროში.

საბანკო მენეჯმენტი საკუთარ საქმიანობაში ორიენტირებულია რიგი რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სოციალური მაჩვენებლების შესრულებაზე. პირველს მიეკუთვნება კლიენტების ხარისხი, ბანკის მიერ მიწოდებადი მომსახურეობების ჩამონათვალი, დეპოზიტების მოცულობა, საკრედიტო და საინვესტიციო პორტფელების სიდიდე და ა.შ. ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიეკუთვნებიან ROA, ROE, სახსრების ბრუნვადობის სიჩქარე, ბანკის მიერ განხორციელებადი მომსახურეობები მოცულობის სტრუქტურისა და ხარისხის მიხედვით კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხი; სოციალურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: კადრების დენადობა, პროფესიონალური მომზადების დონე და ა.შ.

საბანკო კრიზისების ერთ-ერთი მთავარი მიზეზების სახით ბანკის ცუდად მართვის აღიარების შემდეგ, რომელიც ზარალისა და ეკონომიკური გადახრების ძირითად წყაროს წარმოადგენს. იგი უფრო დეტალური შესწავლის საგანი გახდა და თანამედროვე მიღწევები აღნიშნულ სფეროში ცუდი მართვის შემდეგი ტიპების გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა:

- მართვის ტექნიკური შეცდომები (ტექნიკური მისმენეჯმენტი);
- შელამაზება (კოსმეტიკური მართვა);
- უიმედო მართვა;
- თაღლითობა.

მენეჯმენტის შეფასებას მეტად სასარგებლოს წარმოადგენს ბანკის მართვის უმაღლესი რგოლის შესაძლებლობაზე გაამახვილოს ყურადღება ინვესტიციებზე, ცვლილებებზე, გარდაქმნებზე, საკრედიტო დაწესებულების სხვადასხვა სტუქტურული ქვედანაყოფების ურთიერთმოწესრიგების განსაზღვრაზე, კერძოდ, შიდა აუდიტის განყოფილების, ბაზრის შემსწავლელი ქვედანაყოფისა და სამართლის განყოფილების სიმტკიცეზე.

შიდა ფაქტორების მეორე ჯგუფს, რომლებიც ბანკის მდგრადობას უზრუნველყოფენ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მიზანსეწონილად მიგვაჩნია მივაკუთვნოთ ტექნოლოგიური ფაქტორები, რომლებიც მოიცავენ მის ორიენტაციას თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიების განვითარებაზე და ბაზრის ახალ საბანკო პროდუქტებში მოთხოვნილებებზე. ცნობილია, რომ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მსოფლიო საბანკო თანამეგობრობამ საკუთარი ოპერაციების მოდერნიზაციაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ინფორმაციების ქაღალდზე ამობეჭდვის ნაცვლად ფართო განვითარეა მოიპოვა კომპიუტერებმა; კავშირისა და კომუნიკაციის ახალმა საშუალებებმა მნიშვნელოვნად აამარლეს საბანკო მომსახურების სიჩქარე და ხარისხი. ბანკომატები, ბანკები სახლში, პლასტიკური ბარათები თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში შესამჩნევ მოვლენად გადაიქცნენ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები ბანკებს მათი მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

სამწუხაროდ, ბანკების საიმედოობის ხარისხის მათი საქმიანობის მასშტაბებისაგან დამოკიდებულება არ დასტურდება, თუმცა ობიექტურობის თვალსაზრისით, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ საკმარისად მაღალი კაპიტალის ბანკი ნაკლებად ხდება რისკის ზემოქმედები ქვეშ, მას საიმედო ფულად-საკრედიტო დაწესებულების კატეგორიაში დარჩენის მეტი შანსი აქვს.

მეორე მხრივ, თავისთავად კაპიტალის მოცულობა ბანკის არასაკმარის მახასიათებელს წარმოადგენს. საერთაშორისო და ეროვნულ პრაქტიკაში კაპიტალის საკმარისობის ინდიკატორი გამოიყენება, რაც სუფთა რაოდენობრივ მახასიათებლებს არ შეესაბამება.

აღნიშნული ეხება აქტივებსაც. ცნობილია, რომ ქვეყნის ბანკების რანჟირების საწყის პერიოდსი ბანკების დახასიათებისათვის საწყისს აქტიური ოპერაციების მოცულობა წარმოადგენდა.

ამერიკელი ექსპერტები გვთავაზობენ კომერიცული ბანკების რანჟირების შემდეგი სამი კრიტერიუმის მიხედვით: 1) აქტივების სიდიდის მიხედვით; 2) ტერიტორიალური ნიშანთვისებების მიხედვით; 3) ფილიალების რაოდენობის მიხედვით. მაგრამ ისიც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ სამრეწველო ცენტრები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან განვითარების ხარისხის მიხედვით, ხოლო ბანკების ფილიალების რაოდენობა მახასიათებელია მის განვითარებაში ძალისხმევის არა ხარისხის, არამედ ის, რაც მათ მემკვიდრეობის სახით წინა საბანკო სტრუქტურებიდან ერგოთ.

ამასთან ერთად აქტივების მოცულობა ისევე როგორც ბანკის კაპიტალური ბაზის მოცულობაც საბანკო საქმიანობის მასშტაბების მახასიათებლებია, მაგრამ ისინი საკრედიტო დაწესებულების მდგრადობის ამომწურავი დ ზუსტ შეფასებას არ იძლევა. შემთხვევითი არ არის, რომ საერთაშორისო და ეროვნულ პრაქტიკაში აქტივების ხარისხის ცნება დამკვიდრდა, რომელიც მთლიანობაში საბანკო აქტივების რისკის ხარისხზე და პრობლემებზე მიუთითებს. არ სეიძლება არ დავეთანხმოთ რიგ მკვლევარებს, რომლებიც თვლიან, რომ აქტივების მოცულობას, თავისთავად აღებულს, საბანკო საქმიანობის სხვა პარამეტრებთან საჭირო მიბმის გარეშე არ შეიძლება ობიექტურ შეფასების როლზე ჰქონდეს პრეტენზია. ასევე საეჭვოდ გვესახება ბანკების შეფასებები, რომლებსაც აქტივების მოცულობების სემდეგ საკრედიტო ოპერაციების მოცულობის შესახებ მოჰყავთ მონაცემები. აქტივებისა და კრედიტების ზრდა შეიძლება საქმიანობის არა დადებითი მხარის შესახებ, არამედ მისი უარყოფითი მხარის შესახებ, ბანკის მიერ მის განკარგულებაში არსებული რესურსების სწორად განთავსების შეუძლებლობის შესახებ მოწმობდეს. კრედიტების ზრდა, როგორც ცნობილია, შეიძლება საკრედიტო პორტფელის არასაკმარისი. საიმედოობისშესახებაც მოწმობდეს.

რაოდენობრივ მახასიათებელს ხშირად მოგების მოცულობაც იძლევა. მოგება, წარმოადგენს რა სინტეტიკურ, ქიმიურ მაჩვენებლეს, მიუხედავად ამისა, იგი ბანკის განვითარების, მისი საიმედოობის ხარისხის სრულ სურათს არ იძლევა. მაღალი მოგება ძეიძ ება სხვადასხვ ხერხით, მაგალით დ, სხვადასხვა წყაროებისა და ფაქტორების ხარჯზე იქნას მიღებული. მისმა გამოყენებამ ასევე შეიძლება დამატებითი ინფრმაცია მოგვცეს: ერტი საქმეა, როდესაც მოგება

მტლიანად მიდი დივიდენტების გადახდაზე, სადაც მოკვლევადიან სიტუაციაში უეჭველია, რომ მოგებულია აქტიონერები. მაგრამ ეს კიდევ არმოწმობს ბანკის მაღალეფექტურ საქმიანობას. მოგება, მისი გამოყენების ეფექტიანობის პოზიციიდან ჩვეულებრივად კაპიტალის ზრდისათვის მის საკმარისობასთან კავშირში განიხილება, იგი მხოლოდ და მხოლოდ სამომხმარებლო მიზნებზე არ უნდა გაიხარჯოს, იგი სრულად გახარჯისაგან უნდა იყოს დაცული. მხოლოდ მოგების სიდიდე, როგორც ჩანს, მისი განაწილების ეფექტიანობის შესახებ კითხვაზე პასუხს არ იძლევა, იგი დამატებით ანალიზს და მონაცემების დიდი მასივის გამოყენებას საჭიროებს.,

ბანკის საიმედოობის დამახინჯებული სურათი შეიძლება მოგვეცეს არა მარტო რაოდენობრივმა ინდიკატორებმა, არამედ გარკვეული თარიღის მდგომარეობით მისი საქმიანობის მახასითებელმა მონაცემებმაც. აღნიშნულ შემთხვევაში ბანკის შეფასება ხორციელდება მხოლოდ გარკვეული მომენტისათვის, მაშინ, როდესაც შეუდარებელ დიდ ინფორმაციას იძლევა არა მდგომარეობის მაჩვენებელი, არამედ ბანკის განვითარების მაჩვენებელი.

შემთხვევითი არ არის, რომ კლიენტები და ბანკები უცხოეთსა და ეროვნულ პრაქტიკაში ფასდებიან დინამიკაში, რაც ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

უფრო ტიპიურს და სასარგებლოს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ბანკის საქმიანობის ანალიზი, რომელიც ბანკის შეფასების არა რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი შეფასების აუცილებლობიდან, მისი მდგომარეობის არა მოცემულ მომენტში შეფასების პოზიციიდან, არამედ მისი განვითარების დინამიკის პოზიციიდან გამომდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ უცხოეთის პრაქტიკაში ანალიზისადმი ასეთი მიდგომა საერთო აღიარებული გახდა და მისი ჩვენთან დანერგვა დადებით ფაქტორად გვესახებ.

აღნიშნული, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შეფარდებით მაჩვენებლებზე, დინამიკისა და განვითარების მაჩვენებლებზე აქცენტი ეროვნულ პრაქტიკაში სრულად დამკვიდრდა. სამწუხაროდ, ჩვენს პრაქტიკაში იგი ჩანასახის სახით ვითარდება, მაგრამ ტენდენცია ნათელია და, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ამის კონსტატაცია გაკეთდეს.

მნიშვნელოვანია სხვაც, რომ ეროვნული პრაქტიკა მეტი ხარისხით იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას, ცდილობს საქმიანობის ზოგიერთ შეფასებას ეროვნული ეკონომიკის პირობებთან მიმართებაში გაკეთდეს ადაპტაცია. შედეგად ინდიკატორების სურათი, რომელტა მეშვეობით საკრედიტო დაწესებულების მდგრადობის ხარისხის შეფასების მცდელობა ცორციელდება, საკმაოდ საიმედოდ გვესახება.

მაგალითი: ბანკის საიმედოობის რეიტინგული შეფასება[1]:

ბანკის საქმიანობის საიმედოობის შეფასების მრავალი მეთოდი არსებობს, თუმცა მათ შორის ერთ-ერთი რეიტინგულია. ცნობილი რუსი მეცნიერის ვ. კრომონოვის მეთოდიკა, რომელიც საბალანსო მონაცემებზეა დაფუძნებული. კრომონოვის მეთოდიკის ლოგიკის შესაბამისად, ბანკის აქტივები და პასივები ჯგუფდება შემდეგ მაჩვენებლებში:

კ – საკუთარი კაპიტალი (მოიცავს ბანკის საწესდებო კაპიტალის სიდიდეს: ჯამური სიდიდე ბანკის ყველა ფონდი + გადანაწილებული მოგება+მომავალი პერიოდების შემოსავლები+დანარჩენი დებიტორები);

ამ – მუშა (რისკიანი) აქტივების სიდიდე (მოიცავს მუშა შემოსავლიანი აქტივების სიდიდეს: სასესხო დავალიანების ჯამური მოცულობა + ვადაგადაცილებული კრედიტები + დაბანდებები ფასიან ქაღალდებში + სხვა ორგანიზაციების სამეურნეო მონაწილეობისათვის სახსრები + ბანკის სახსრები არენდაში გასაცემად + ლიზინგი + ანგარიშსწორებები ფაქტორინგული ოპერაციების მიხედვით);

ლა – ლიკვიდური აქტივები (მოიცავს ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრებს ლარებში და ვალუტაში + ნაღდი ფულის სალალროში და გზაში + ცენტრალური ბანკის რეზერვები + სახელმწიფო ობლიგაციებში დაბანდებები);

ვმ – ვალდებულებები „მოთხოვნამდე“ (მოიცავს კლიენტების საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე ნაშთების სიდიდე ვალდებულებები ემიტენტების წინაშე, ბანკის მიერ გავრცობადი ფასიანი ქაღალდები + სახსრები ანგარიშსწორებებში;

[1] კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი 2014. გვ.: 284.

ჯვ – ჯამური ვალდებულებები – („მოზიდული სახსრები“) – (მოიცავს ვალდებულებებს მოთხოვნამდე + ანაბრები და დეპოზიტები + მიღებული ბანკთაშორისო კრედიტები);

დკ – დაცული კაპიტალი (მოიცავს: ბანკის ძირითადი სახსრები + ანაბრები და დეპოზიტები + მიღებული ბანკთაშორისო კრედიტები

სფ – ბანკის საწესდებო ფონდი (მოიცავს საწესდებო ფონდი + დამფუძნებლების სავალუტო დაბანდებების გადაფასება).

ბანკები – მსესხებლების კრედიტუნარიანობის ანალიზი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

ბანკის საწყისი ბალანსის საფუძველზე მისი თვალსაჩინო დაჯგუფებული (ანალიტიკური) ბალანსის შედგენა;

ანალიტიკური ბალანსის მონაცემების საფუძველზე ფინანრუსი მაჩვენებლების სისტემის გაანგარიშება;

სტანდარტული რეიტინგული შეფასების გაანგარიშება, რომელიც ბანკის საწყისი ბალანსის დაჯგუფების შემოთავაზებულ სისტემასთანაა ადაპტირებული.

ბანკის საიმედოობის გაანგარიშების მოცემული მოდელი ცალკე ბანკების შედარებითი საიმედოობის გასაანგარიშებლად და ბანკის საიმედოობის დინამიკის რიგი წლების მიხედვით განსასაზღვრავად შეიძლება იქნას გამოყენებული.

ბიბლიოგრაფია

1. გოგოხია მ. – საბანკო საქმე (ლექციების კურსი). თბილისი 2008.
2. ინგოროყვა ა., ფიჩხაია ზ., ფიჩხაია ი. – საბანკო ოპერაციები (ლექციების კურსი). თბილისი 2009.
3. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი 2014..
4. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., – საბანკო საქმის საფუძვლები. თბილისი 2013.
5. ქოქიაური ლ. – საბანკო საქმიანობის საფუძვლები. ტ. I-II, სახელმძღვანელო. – თბილისი 2007.
6. ცაავა გ., ხანთაძე გ. – საბანკო საქმე (სახელმძღვანელო). თბილისი 2014.
7. www.nbg.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2018.
8. www.abg.org.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 03.05.2018.
9. www.imf.org უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12.05.2018.

სოლომონ სამხარაძე



სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

ფინანსური პოლიტიკა პასტსაბჭოთა ქვეყნებში რიგი სპეციფიკური ნიშ-ნებით ხასიათდება, რამდენადაც ამ ქვეყნებს, სხვა ქვეყნებთან სედარე-ბით, სრულიად განსხვავებული ისტორიული, კულტურული და ინსტიტუ-ციური გამოცდილებისა და ტრადიციების პირობებში უხდებოდათ საბაზრო ურთიერ-თობებზე გადასვლა. ამასთან, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, პოსტსაბჭო-თა ქვეყნებმა უფრო მტკივნეულად განიცადეს გარდაქმნის ტრან-საქციული ტკივილები და კრიზისები.

მართალია, ტრანსფორმაციის პერიოდში ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს ცენტრალური და აღმოსავ-ლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსი პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ გამოვლინდა, რომ ეს ქვეყნები გან-სხვავებულია ერთმანე-თისაგან (საზოგადოების მართვაში უახლოესი ისტორიული ერთიანობის მი-

უხედავად). შედეგად, ჩამოყალიბდა ქვეყნების ორი ჯგუფი: **პირველი,** ქვეყნები, სადაც მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია შედარებით წარმატებული იყო (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნე-ბი); **მეორე,** ქვეყნები, სადაც წარმატება ნაკლებად ხელშესახები იყო (სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი გახდა ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტი, ინფლაცია და განსხვავებული საფინანსო-სავალუტო რეჟიმები, რის გამოც მათ ვერ უზრუნველყვეს ფინანსური კრიზისების თავიდან აცილება.

ტრანსფორმაციის პერიოდში პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის ნიშანდობლივი გახდა სავალუტო და საბანკო კრიზისები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საფინანსო სისტემა სწორედ ამ ორი ინსტიტუტის სუსტ განვითარებაზეა აგებული. ამის შედეგად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ფინანსური კრიზისე-ბის შედეგად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პროდუქციის წარმოება 2,2-ჯერ მე-ტად შემცირდა, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტი-ისპირეთის ქვეყნებში. ამ მხრივ, ყველაზე „მაღალი მაჩვენებელი„ ჰქონდა სა-ქართველოს. აქ წარმოების მოცულობა 1989 წლის დონესთან შედარებით 78%-ით შემცირდა, რაც თითქმის 3,0-ჯერ აღემატებოდა დიდი დეპრესიის დროს აშშ-ში წარმოების დაცემის მაშტაბებს.

საგულისხმოა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში სტაბილიზაციამ და სტრუქტურულმა რეფორმებმა 90-იან წლებში დადებითი შედეგები გამოიღო და ზრდის ტემპებიც დაჩქარ-და. მათ შეძლეს საგარეო საფინანსო-სავალუტო შოკებზე რეაგირება და ნაკ-ლები დანაკარგებით მოახერხეს მათგან თავის დაღწევა. უკვე 2000 წელს ბევ-რმა მათგანმა მიაღწია 1989 წლის დონეს და გადაჭარბა კიდეც მას, მაშინ რო-დესაც მეორე ჯგუფის ქვეყნებმა (პოსტსაბჭოთა) შედარებით ნაკლები ტემპებით მოახდინეს ფინანსური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ვერ მიაღწიეს სტაბილიზაციას და სტრუქტურული რეფორმებიც სანახევროდ განახორციელეს. ამ ქვეყნებიდან ზოგიერთი დღესაც ჩამორჩება 1989 წლის დონეს.

გარდაქმნის საწყის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ცენტრალური ბანკის ტრანსფორმაციას და ეფექტური საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხელისუფლებას გააჩნდა ორი პოლიტიკის ალტერნატივა: ***1. შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკა,*** რომლის მიზანია ფულის მიწოდების შეზღუდვითა და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ინფლაციის შერბილება და ***2. ექსპანსიონური მონეტარული პოლიტიკა,*** რომლის მიზანია ფულის მასის ზრდით კერძო წარმოების ინვესტირება და უმუშევრობის შემცირება[1].

ამ ალტერნატივიდან პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა პირველი გზა აირჩიეს და დაივიწყეს ინდივიდუალური ძალისხმევა, თავისუფალი საბაზრო ძალების ქმედება, რაც ეკონომიკის სტიმულირებისა და ძალისხმევის უგულებელყოფას ნიშნავს. ამასთან, რამდენადაც მათი მთავარი პრობლემა სახელმწიფო ვალის ზრდა იყო, ფულის მიწოდება და „ღია ბაზრის ოპერაცი-ები„ ინფლაციის ზრდას ასტიმულირებდა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ეკონომიკის ლიბერალიზებასთან ერთად, ხორციელდებოდა ექსპანსიონური მონეტარული პოლიტიკა, რაც, ფაქტობრივად, ფულის მასის ზრდასთან ერთად, ინფლაციის ზრდასაც განაპირობებდა. ამასთან, ემპირიული მონაცემებით დგინდება, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას გამოიყენება ***ხუთი ტრანსმისიული მექანიზმი.*** ესენია: სარგებლის განაკ-ვეთების, ბანკების დაკრედიტების, ფულადი არხების, შინამეურნეობათა აქ-ტივების, გაცვლითი კურსის მექანიზმები.

ლოგიკა ასეთია: ფულის მიწოდების ზრდის შედეგად (1) ფინანსურ სექტორში სარგებლის განაკვეთები ან გაცვლითი კურსი ან ფინანსური აქტივების ფასი იცვლება (2), შემდეგ ასეთი ცვლილებები რეალურ სექტორში ინ-ვესტიციების მოხმარებასა და წმინდა ექსპორტზე ზემოქმედებს (3), დაბოლოს, ყოველივე ეს წარმოების ცვლილებებს იწვევს (4). პოსტსაბჭოთა ქვეყნე-ბი ერთმანეთისაგან ამ სტადიების სიღრმით, დინამიკითა და მნიშვნელობით განსხვავდებიან.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში წარმოებაზე ფულადი მასის ზემოქმედება ძირითადად ეროვნული ვალუტის ღირებულების ცვლილებით ხდებოდა. სხვა მექანიზმები განუვითარებელი იყო და წარმოებული ფასეულობის დასაცა-ვად ფართოდ გამოიყენებოდა უცხოური ვალუტა.

[1] საფინანსო-ეკონომიკურ ლიტერატურაში მათ ხშირად მკაცრ ფულად-საკრედიტო და ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკად მოიხსენიებენ.

ასეთ შემთხვევაში, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ასახავდა ინფლაციურ მოლოდინს და არ ჰქონდა კავშირი იმ კურსთან, რომლითაც შეიძლებოდა ექსპორტ-იმპორტის დაბალანსების მიღწევა. თავისუფალი ფასები ვერ ასტიმულირებდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას, ფინან-სური ინსტიტუტების სისუსტე და ეკონომიკაში მათი შუამავლობის დაბალი წილი კი ვერ უზრუნ-ველყოფდა ეკონომიკის სტაბილურ განვითარებასა და ზრდას. ამის შედეგად გაიზარდა ფინანსური რისკებიც და შეიქმნა ფინანსუ-რი კრიზისების საფრთხეები.

ნიშანდობლივია, რომ 90-იან წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა ძირითადად დაასრულეს ინსტი-ტუციური გარდაქმნები და, სხვადასხვა ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენე-ბით, ინფლაციის 10%-ზე უფრო დაბალ მაჩვენებელს მიაღწიეს. ამავე პერიოდში გამოვლინდა მთელი რი-გი რისკები, რომლებმაც საფინანსო-სავალუტო კრიზისების გავრცელების პირობები შექმნეს, ხოლო შემდგომ აიძულეს პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რათა მათ თავიანთი ფინანსური და ფულად-საკ-რედიტო პოლიტიკისათვის გადა-ეხედათ.

აღმოჩნდა, რომ ფიქსირებული გაცვლითი კურსის მქონე ქვეყნები (მაგალითად, ბალტიისპირე-თის ქვეყნები) ანტიინფლაციური პოლიტიკის გა-ტარებაში შეზღუდულნი იყვნენ. მეორე მხრივ, უც-ხოური ინვესტორების ენთუზიაზმის შესანარჩუნებლად ეროვნული ვალუტის რეგულირება არ იყო მიმზიდველი და იგი ინფლაციის გაძლიერების საშიშროებას ქმნიდა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების სხვადასხვა პირობების შესაბამისად ჩამოყალიბდა ***ფი-ნანსური და ფულად-საკრედიტო რეგულირების ოთხი სისტემა:***

(1) ქვეყნები (ბალტიისპირეთის ქვეყნები და ბულგარეთი), რომლებმაც მიზნად დაისახეს მყარი სავალუტო ფიქსირებული კურსის შენარჩუნება და ინფლაციის თარგეთირება, ჩამოაყალიბეს სავა-ლუტო საბჭოს მსგავსი რეჟიმები;

(2) ქვეყნების მეორე ჯგუფმა (ყაზახეთი და სომხეთი) მიზნად დაისახეს ინფლაციის თარგეთი-რება;

(3) ქვეყნების მესამე ჯგუფმა (რუსეთი) მიზნად დაისახა ანტიინფლაციური პოლიტიკის გატა-რება;

(4) მეოთხე ჯგუფის ქვეყნებს კი მიეკუთვნებიან უმრავლესი პოსტსაბჭოთა ქვეყნები (საქარ-თველო, მოლდოვა, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი), რომლებიც ახორციელებენ ე.წ. „შერეულ პოლიტიკას„ და, დაბალი ინფლაციის შენარჩუნებასთან ერთად, გაცვლითი კურსის ოპ-ტიმიზაციაზე არიან ორიენტირებულნი.

მთლიანობაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო დისკრეციონული საფი-ნანსო-სავალუტო პოლიტიკა ფულადი და ინფლაციური თარგეთირების ცალკეული ელემენტებით.

საერთო კანონზომიერება იყო ხელისუფლების სწრაფვა ინფლაციის გასაკონტროლებლად. ფა-სების ლიბერალიზაციამ ხელი შეუწყო რესურსების გა-დანაწილებასა და ფასების ზრდას, პარალე-ლურად კი ფასების ზრდის მოლოდინმა ეს პროცესი დააჩქარა. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზებამ უცხოურ ვალუტაში ფულის მოცულობა კიდევ უფრო მეტად გაზარდა. ფულის მიწოდების ზრდამ ფა-სების ამაღლების პროვოცირება მოახდინა და ინფლა-ცია ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა. ამას თან მოჰყვა ფინანსურ აქტივებზე სარგებლის განაკვეთების ზრდა, რომელმაც ფინანსურ სექტორში და-ნაზო-გების კაპიტალიზაცია კიდევ უფრო დააჩქარა. ამდენად, ფინანსურ სექტორ-ში აქტივების ფა-სის სპეკულაციური ზრდის შედეგად რეალურ სექტორში ინვესტიციები და წარმოება შემცირდა. ეს იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნების გან-ვითარების საერთო სცენარი, რომელიც შემდგომ გლობალური სა-ფინანსო-სავალუტო კრიზისების ინიცირებით გამწვავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ვალუტის სტაბილურობა ენდოგენურად არის ხელისუფლე-ბის მიერ განხორციელებული პოლიტიკის გამოვლენა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და, მათ შორის, სა-ქართველოში ეგზოგენურად არსებობს **საფინანსო-სავალუტო წონასწორობის რღვევის შემდეგი მი-ზეზები:**

(1) ***პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტიპური დაბალგანვითარებული ეკონომიკისათვის დამახასიათე-ბელი ფუნდამენტური პრობლემები:*** ბიუჯეტური დე-ფიციტი, სახელმწიფო ვალი, ქვეყნის ეკონომი-კის დაბალი მონეტიზაცია, სუ-სტი საბანკო სისტემა და არასაკმარისი პროგრესი ინსტიტუციურ და სტრუქტურულ რეფორმებში;

(2) ***ტრანსფორმაციის ნელი ტემპებით მიმდინარეობა და საბაზრო მექანიზმების სუსტად მუშაობა:*** საბაზრო ინსტიტუტების საქმიანობაში დღემდე არსებული ძლიერი ადმინისტრაციული ჩარევა ხელს უშლიდა კერძო სექტორის განვითარებას და ასტიმულირებდა კორუფციასა და ახალი სახელმწიფო ოლიგარქიის შექმნას. რეალური ეკონომიკა ნელი ტემპით ვითარდება (გარ-და ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისა). ამას ემატება ხელისუფლებისადმი უნ-დობლობის არსებობა, რაც ქმნის სამეურნეო სუბიექტების ფსიქოლოგიურ მოლოდინს ეკონომიკის წონასწორობის რღვევის განმეორებისათვის;

(3) ***მონეტიზაციის დაბალი დონე, ბანკების შეზღუდული როლით:*** ბანკების განვითარება დანაზოგის დაბალი დონის, ნაღდი ანგარიშსწორების მაღალი წილისა და უცხოური ვალუტისადმი ნდობის პირობებში შეზღუდულ სივრცეში მიმდინარეობს. გარდა ამისა, მონეტიზაციის დაბალი დონე ნაკლებად სტაბილურობის ნიშანია, რადგან ფულის ნომინალური ცვლილებები მინიმალურადაც კი ვერ ცვლის მის თანაფარდობას და გაცვლითი კურ-სი და ფასები ფულის ცვლილებებზე მტკივნეულად რეაგირებენ. ამ შემთხვევაში ფულის მასის მცირეოდენი ზრდაც კი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გაცვლით კურსზე;

(4) ***ბანკების სისუსტე და ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი წილი:*** იგი სამეურნეო სუბიექტებში ნდობას არ ქმნის და ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდის შესაძლებლობები შესაბამისად იზღუდება;

(5) ***ეკონომიკის არასტაბილურობის მაჩვენებლები:*** დაბალი ინვესტირება, სუსტი დაბანკო სისტემა, მცირე დანაზოგები. ეკონომიკის სტაგნაციური მდგომარეობა კი ადამიანებს მომავლისადმი რწმენას უკარგავს;

(6) ***ეკონომიკისადმი ნდობის დეფიციტი:*** ამის მაჩვენებელია, აგრეთვე, გრძელვადიანი საბანკო კრედიტების ნაკლებობა;

(7) ***საერთაშორისო რეზერვების სიმცირე;***

(8) ***ფინანსური შუამავლების ნაკლები როლი:*** ამაზე მეტყველებს მონეტიზაციის კოეფიციენტი (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იგი 2,0-ჯერ ნაკლებია);

(9) ***კომერციული ოპერაციების უცხოურ ვალუტაში წარმოება:*** ეს აძლიერებს ქვეყნის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან;

(10) ***მშპ-სთან მიმართებით ბანკებში დეპოზიტების მოცულობის სიმცირე:*** მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად იზრდება ბანკების მიერ ეკონომიკის უზრუნველყოფა კრედიტით, მისი მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში შეადგენს 20-30%-ს, მაშინ როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი სულ ცოტა 2,0-ჯერ მეტია. ამასთან, კერძო სექტორში კრედიტების მოცულობა საშუალოდ 15 %-ია მშპ-თან მიმართებით, მაშინ როდესაც ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში იგი სულ ცოტა 2,5-ჯერ მეტია.

ეს და სხვა მაჩვენებლები, მართალია, გამოხატავენ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სუსტ ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ დინამიკაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ისინი ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება. აღნიშნული მაჩვენებლები არასაკმარისი პირობაა იმისათვის, რომ ვიფიქროთ საფინანსო-სავალუტო წონასწორობის რღვევის ენდოგენურ წარმოშობაზე. ეკონომიკური აგენტების ქცევას, ფინანსური მაჩვენებლების გარდა, ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარება, მისი ინსტიტუციური რეგულირება და, რაც მთავარია, პოლიტიკური გარემო განსაზღვრავს.

დაბოლოს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფინანსური წონასწორობის რღვევის შემაკავებელი გარემოებებიც არსებობს, კერძოდ, ფინანსური ბაზრები არასაკმარისად განვითარებულია და მისთვის გლობალური სავალუტო კრიზისები სერიოზულ საშიშროებას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, ბანკების მიერ ეკონომიკის დაფინანსება შეზღუდულია, დაბალია ბანკთაშორისი კონკურენცია და არსებობს საკრედიტო დეფიციტი, საბანკო დეპოზიტების დაბალი დონე კი განპირობებულია იმით, რომ ამ ქვეყნების განვითარებაში დიდი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას, სადაც საბანკო ოპერაციები განუვითარებელია.

ჯუმბერ ხარაიშვილი

საჯარო ფინანსური პოლიტიკა თანამედროვე პირობებში

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა საქართველოს ფინანსური პოლიტიკა. მასში მუდმივად მიმდინარე ცვლილებებისა და განვითარების ამოსავალ საფუძველს საბაზრო მექანიზმი წარმოადგენს.

საქართველოს ფინანსური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე მარეგულირებელი ტიპის პოლიტიკაა. თუმცა, იგი სრულყოფილად ვერ ახორციელებს მისი ძირითადი და ტრადიციული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციას. ეს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ხარჯების დაბალი დონითაა განპირობებული, რაც, თავის მხრივ, შედეგია ქვეყანაში არსებული შემდეგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზებისა: სახელმწიფო ფინანსური რესურსების მობილიზაციის დაბალი დონე, სახელმწიფო ფინანსების სფეროში და-საქმებულ საჯარო მოხელეთა არცთუ მაღალი კვალიფიკაცია, არასრულყო-ფილი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ. მართლაც, თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში ხელისუფლება ბიუჯეტების მეშვეობით მშპ-ის 50-60%-ის გადანა-წილებას ახორციელებს, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი 30-35%-ს უტოლდება, შედეგად, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-ს მიმართ 35%-ს არ აღემატება.

ზოგადად, საქართველოში გატარებული ფინანსური პოლიტიკის შედეგად, ბოლო წლების განმავლობაში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლები მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება.

დავიწყოთ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მისი სტრუქტურის თავისებურებების გარკვევით. 2004 წელს ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 2 267 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო 2014 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 7 560 მლნ ლარამდე გაიზარდა. 2004-2014 წლებში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებიდან საშუალოდ 78% მოდიოდა გადასახადებზე. თავის მხრივ, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებიდან საშუალოდ 47% მო-დიოდა დღგ-ზე, 23.7% - საშემოსავლო გადასახადზე, 12.7% - მოგების გადა-სახადზე, 10.8% - აქციზის გადასახადზე, 3.4% - ქონების გადასახადზე, ხოლო 1.9% - იმპორტის გადასახადზე.

აღნიშნული პერიოდის მანძილზე, ბიუჯეტის შემოსავლების მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო: საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით, ნომინალური მშპ-ის ზრდით, სამომხმარებლო ხარჯების ზრდით, ვალუტის გაცვლითი კურსით, ინფლაციური პროცესებთ და მიღებული გრანტებით.

საგულისხმოა, რომ 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე ქვეყანაში *საგადასახადო ადმინისტრირება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა,* რაც, ძირითადად, განხორციელდა საგადასახადო ორგანოების მიერ აქტიური საგადასახადო კონტროლის შედეგად საგადასახადო სამართალდარღვევათა გამოვლენისა და გადამხდელთა დაჯარიმებით ან სხვა სახის საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრებით[1].

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის მომდევნო მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა *ნომინალური მშპ-ის ზრდა.* ბუნებრივია, რაც უფრო იზრდება ქვეყნის ეკონომიკა, მით უფრო იზრდება დასაბეგრი ბაზაც და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებიც. 2004-2014 წლებში ქვეყნის ნო-მინალური მშპ წელიწადში საშუალოდ 6.14%-ით იზრდებოდა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 2009 წელი, როდესაც ქვეყნის ნომინალური მშპ 3.8%-ით შემცირდა. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ განვლილ პერიოდში ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა 2007 წელს (12.3%).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2004-2014 წლებში საგადასახადო შემოსავლებიდან საშუალოდ 47% მოდიოდა დღგ-ზე. თავის მხრივ, აღნიშნული გადასახადიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები დამოკიდებული იყო მოხმარების დონეზე. რაც უფრო მაღალია ქვეყანაში *სამოხმარებლო დანახარჯები,* მით უფრო მეტი თანხები შედის დღგ-ის სახით ბიუჯეტში. 2004 წელს სამომხმარებლო ხარჯები

[1] აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ უმჯობესია საგადასახადო ადმინისტრირება დაიხვეწოს არა დაჯარიმებებისა და მასიური შემოწმებების შედეგად, არამედ საგა-დასახადო კულტურის და გადასახადების გადახდის აუცილებლობის თვითშეგნე-ბის ამაღლების შედეგად, რაც ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების პირობებ-ში უნდა მოხდეს.

მიმდინარე ფასებში (ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე) 8 573.8 მლნ ლარს შეადგენდა, 2014 წელს კი - 23 507.9 მლნ ლარს. ამ პერიოდის განმავლობაში აღნიშნული ხარჯები ყოველწლიურად საშუალოდ 13.8%-ით იზრდებოდა. ამასთან, მოცემული ხარჯებიდან ყოველწლიურად საშუალოდ 20-21% მოდიოდა სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეულ ხარჯებზე. სამომხმარებლო ხარჯების ზრდას, თავის მხრივ, ხელს უწყობდა: საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო სამსახუ-რებში მომუშავე პირთა შრომის ანაზღაურების ზრდა, ქართველი ემიგრანტე-ბის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი თანხები და საბანკო დაკრედიტების მაღალი ტემპები.

სამომხმარებლო ხარჯების სიდიდეს ხელს უწყობდა აგრეთვე *ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილური სიმყარე.* 2004 წელს ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით (საშუალო თვიური მაჩვენებლით დათვლილი) შეადგენდა 1,92-ს; 2005 წელს - 1,8-ს; 2006 წელს - 1,77-ს; 2007 წელს - 1,67-ს; 2008 წელს - 1,49-ს; 2009 წელს - 1,67-ს; 2010 წელს - 1,78-ს; 2011 წელს - 1,68-ს; 2012 წელს კი - 1,65-ს; 2013 წელს -1,74-ს და 2014 წელს - 1,78 -ს. როგორ ვხედავთ, 2004 წლიდან 2014 წლამდე ლარი აშშ დო-ლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად გამყარდა. ლარის გამყარება ნიშნავს, რომ იაფდება იმპორტი და ძვირდება ექსპორტი. იმპორტის გაიაფება ზრდის იმპორტის მოცულობებს ქვეყანაში და სამომხმარებლო ხარჯების გზით ასე-ვე ზრდის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებსაც დღგ-ს სახით[1].

განვლილ პერიოდში ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე დიდ გავლენას ახდენდა აგრეთვე *ინფლაციური პროცესები.* ფასების ზრდის პროცესი განაპირობებს დასაბეგრი ბრუნვების ღირებულებითი მოცულობების ზრდას. აღნიშნულის შედეგად იზრდება დღგ-დან მიღებული საგადასახადო შემოსავლებიც. ფასების ზრდის პროცესს, თავის მხრივ, ხელს უწყობ-და როგორც წარმოების გაზრდილი დანახარჯები (საწვავის მაღალი ფასები), ასევე არაპროპორციულად გაზრდილი მონეტარული აგრეგატები. 2004-2014 წლებში ფულადი მასა M3 ყოვეწლიურად საშუალოდ 23.6%-ით იზრდებო-და, მაშინ როცა რეალური მშპ ამ პერიოდში ყოველწლიურად საშუალოდ 6.17%-ით იზრდებოდა. ასეთი მკვეთრი განსხვავება, ბუნებრივია, ქმნიდა ჭარბ მოთხოვნას და ინფლაციურ ზეწოლას ეკონომიკაზე, რაც, უმეტეს შემთ-ხვევაში, იმპორტის გაზრდით კმაყოფილდებოდა.

განვლილ პერიოდში გაზრდილია ასევე ფულის მულტიპლიკატორებიც. მაგალითად: M3 ფულის მულტიპლიკატორი 2004 წლის დეკემბრის ბოლოს შეადგენდა 1.77-ს, 2014 წლის ბოლოსთვის კი 2.43-მდე გაიზარდა. ასევე, M2 ფულის მულტიპლიკატორი 2004 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 0.99-ს, ხოლო 2014 წლის ბოლოს - 1.25-მდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ასევე სარეზერვო ფულის (მონეტარული ბაზის) მოცულობაც. 2004 წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 866 მლნ ლარს, 2014 წლის ბოლოსთვის კი იგი - 3 255 მლნ ლარამდე გაიზარდა. მონეტარული აგრეგატების ზრდა, ბუნებრივია, ზრდის ერთობლივ მოთხოვნას ქვეყანაში, რის შედეგადაც იზრდება სამომხმარებლო დანახარჯების ოდენობაც, რაც, საბოლოოდ, გაზრდილ საგადასახადო შემოსავლებს იძლევა. მონეტარული აგრეგატების (M2 და M3) ზრდა, თავის მხრივ, გამოწვეული იყო როგორც მონეტარული ბაზის (ფულადი გზავნილების, უცხოური ინვესტიციების, სა-გარეო ვალების) მატებით, ასევე ფულადი მულტიპლიკატორების ზრდით.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში განვლილი წლების განმავლობაში სტაბილური წილი ეჭირა *მიღებულ გრანტებს.* 2004-2014 წლებში მთლიანად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2 993 მლნ ლარზე მეტი მოცულობის გრანტი, მათ შორის ყველაზე დიდი, 617 მლნ ლარი მიღებულ იქნა 2008 წელს.

მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ზრდაც და მისი სტრუქტურაც. 2004 წელს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანმა ხარჯებმა შეადგინა 1 835 მლნ ლარი, 2014 წელს კი — 6 495 მლნ ლარი. 2004-2014 წლებში ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯებიდან საშუალოდ 19.3% მოდიოდა შრომის ანაზღაურებაზე; საქონელსა და მომსახურებაზე - 23.3%; პროცენტებზე - 3.9%; სუბსიდიებზე - 8.7%; გრანტებზე - 0.2%; სოციალურ უზრუნველყოფაზე - 27.1%; სხვა ხარჯებზე - 17.4%.

დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების ფუნქციონალურ სტრუქტურასაც. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებით, მთლიანი ხარჯების 36,2%-ს შეადგენს ხელმი-

[1] აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ლარის გამყარების შედეგად შემცირებული ექსპორტის ფისკალური ეფექტი ძალიან მცირეა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, იმპორტის ზრდის ფისკალური ეფექტი გაცილებით დიდია, ვიდრე ექსპორტის ზრდისა.

საწვდომი ხარისხიანი ჯანდაც-ვა და სოცუზრუნველყოფა; 22,3% - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; 15,2% - რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი; 10,9% - განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება; 1,7% - მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმ-ჯობესება; 2,9% - ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესე-ბის სამართლებრივი მხარდაჭერა; 2% - იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა; 2,6% - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი; 1,3% - საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია; 3,7% - სოფლის მეურნეობა; 0,7% - სასამართლო სისტემა; 0,5% - გარემოს დაცვა და ბუ-ნებრივი რესურსების მართვა. აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ზედმეტად სოციალურია, რაც, ძირითადად, წინა საარჩევნო დაპირებების შესრულებით არის განპირობებუ-ლი. ასევე მაღალია თავდაცვის და უსაფრთხოების ხარჯებიც, ხოლო განათლების და მეცნიერების ხარჯები - მცირე.

განვლილი პერიოდის განმავლობაში ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო ყოველთვის დადებითი იყო (გამონაკლისს წარმოადგენს 2009 წელი, როდესაც დეფიციტმა 132.5 მლნ ლარი შეადგინა). თუმცა არაფინანსური აქტივების ცვლილების შედეგად (2004-2014 წლებში არაფინანსური აქტივების ზრდაზე 7 345 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა), ბიუჯეტის მთლიანი სალდო უმეტეს წლებში უარყოფითი იყო. აღნიშნული უარყოფითი მთლიანი სალ-დო ვალდებულებების ზრდის შედეგად იფარებოდა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2006 წლიდან 2014 წლამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა. აღნიშნული ტენდენცია, ბუნებრივია, უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს საზოგადოების მხრიდან (სახელმწიფო ვალი ხომ თითოეულ მოქალაქეს აწვება ტვირთად), თუმცა, ამის საპასუხოდ, წლების განმავლობაში მთავრობის მიერ ხდებოდა ყურადღების გამახვილება ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე, მშპ-ის და ექსპორტის მატებაზე და ა.შ.

აღნიშნული სიტუაციის უკეთ გარკვევის მიზნით, მოვახდინოთ თითოეული ამ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი სახელმწიფოს საგარეო ვალის მაჩვენებლებთან.

2006 წელს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 2 646 მლნ ლარი, 2007 წელს - 3 669 მლნ ლარი, 2008 წელს - 4 752 მლნ ლარი, 2009 წელს - 4 388 მლნ ლარი, 2010 წელს - 4 867 მლნ ლარი, 2011 წელს - 6 134 მლნ ლარი, 2012 წელს - 6 671 მლნ ლარი, 2013 წელს - 6 680 მლნ ლარი, 2014 წელს კი - 7 230 მლნ ლარი. ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2006 წლიდან 2014 წლამდე გაიზარდა 173%-ით, ხოლო საგარეო ვალი იმავე პერიოდში გაზრდილია 184%-ით, ანუ, თითქმის 2,84-ჯერ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკონომიკის ზრდის და საგარეო ვალის ზრდის ტემპების შედარებაც. 2006 წელს რეალური მშპ-ის მაჩვენე-ბელმა (საბაზისო ფასებში) შეადგინა 12 046 მლნ ლარი, 2007 წელს - 14 611 მლნ ლარი, 2008 წელს - 16 521 მლნ ლარი, 2009 წელს - 15 546 მლნ ლარი, 2010 წელს - 18 014 მლნ ლარი, 2011 წელს კი - 20 975 მლნ ლარი, 2012 წელს - 22 476 მლნ ლარი, 2013 წელს - 22 847მლნ ლარი, ხოლო 2014 წელს - 23 176 მლნ ლარი. როგორც ვხედავთ, 2006 წლიდან 2014 წლამდე ქვეყნის რეალური მშპ მხოლოდ 84%-ით გაიზარდა, მაშინ როცა ამავე პერიოდში ქვეყნის საგა-რეო ვალი 184%-ით არის გაზრდილი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ განვ-ლილ პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკურ პარამეტრებს შორის ადექვატუ-რობა და პროპორციულობა დარღვეულია. საქართველოს მთავრობა უფრო მეტ ვალს იღებდა, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკა რეალურად იზრდებოდა.

საქონლის რეგისტრირებულმა ექსპორტმა საქართველოში 2006 წელს შეადგინა 936 მლნ აშშ დოლარი, 2014 წელს კი - 2 377 მლნ აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ, 2006 წლიდან 2014 წლამდე ქვეყნიდან განხორციელებული ექსპორტი 2,54-ჯერ არის გაზრდილი, რაც სამწუხაროდ ვერ ფარავს საგარეო ვალის ზრდის ტემპს. ამასთან, საგარეო ვალის ექსპორტით გადაფარვის კოე-ფიციენტმა 2007 წელს შეადგინა 78%, ხოლო 2012 წელს კი - 58%. როგორც ვხედავთ, აღნიშნული მაჩვენებელი შვიდწლიან მონაკვეთში კლებადი ტენ-დენციით ხასიათდება, რაც ცალსახად ნეგატიური მოვლენაა.

გარდა საგარეო ვალის ზემოაღნიშნული მაჩვენებლისა, ანალიზის დროს გამოიყენება მთლიანი სახელმწიფო საგარეო ვალის მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს სამთავრობო სექტორის, ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკებისა და სხვა კერძო სექტორების ვალის ნაერთ მონაცემებს. 2014 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთლიანი სახელმწიფო საგარეო ვალი შეადგენს 13 162 მლნ აშშ დოლარს, საიდანაც დაახლოებით 65% მოდის კომერციული ბანკებისა და სხვა კერძო სექტორის ვალებზე. თავის მხრივ, კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების 27% მოდის ვაჭრობის

სფეროზე. ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2,5-ჯერ აღემატება მრეწველობის და მშენებლობის სფეროებზე გაცემული კრედიტების ოდენობას, ხოლო სოფლის მეურნეობის, თევზჭერისა და მეტყევეობის სფეროებზე გაცემული კრედიტების ოდენობას - 37-ჯერ. ბუნებრივია, ვაჭრობის სფეროს უფრო მეტად დაფინანსება ხელს უშლის ეკონომიკის რეალური სექტორის განვითა-რებას, რაც საბოლოოდ ვლინდება იმპორტის ზრდაში და საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაღრმავებაში, ეს კი, თავის მხრივ, საგარეო ვალის განმეორებითი აღების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

საგარეო ვალის ანალიზის დროს, ასევე დიდი ყურადღება ეთმობა საგარეო ვალის თანაფარდობას მშპ-სთან (ფინანსურ სიღრმეს). ამ მხრივ, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის შემუშავებულია ზემოაღნიშნული კოეფიცი-ენტის 60%-იანი ნორმის დაცვის რეკომენდაცია. საქართველოს შემთხვევა-ში, ხშირად გვესმის სხვადასხვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩვენი ქვეყ-ნის საგარეო ვალის ფინანსური სიღრმე 60%-ს ბევრად ჩამორჩება და რომ ამ მხრივ არანაირი საფრთხე არ გვემუქრება. თუმცა, ამ დროს კოეფიციენტის გამოთვლისას ბევრი არასწორად იყენებს ნომინალურ მშპ-ს და მთავრობის საგარეო ვალს, ნაცვლად რეალური მშპ-ისა და მთლიანი საგარეო ვალისა. საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის თანაფარდობამ ქვეყნის რეალურ მშპ-თან 2006 წელს შეადგინა 49%, ხოლო 2014 წელს კი - 80%. აშკარაა, რომ კოეფიციენტი გრძელვადიანად იზრდება, ანუ მთლიანი საგარეო ვალის ფი-ნანსური სიღრმე სულ უფრო ღრმავდება.

თანამედროვე საქართველოში გატარებული ფინანსური პოლიტიკის შედეგების ანალიზის საფუძველზე, დასკვნის სახით იკვეთება შემდეგი:

(1) ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები მნიშვნელოვნად იზრდებოდა საგადასახადო შემოსავლების და, განსაკუთრებით, დღგ-დან მიღებული შემოსავლების ხარჯზე. აღნიშნული საგადასახადო შემოსავლები ძირითადად განპირობებული იყო მონეტარული აგრეგატების ზრდის შედეგად გადიდებული სამომხმარებლო დანახარჯებით;

(2) თავის მხრივ, მონეტარული აგრეგატების ზრდას განაპირობებდა როგორც მონეტარული ბაზის (ფულადი გზავნილების, უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვალების) მატება, ასევე ფულადი მულტიპლიკატორების ზრდაც (დაკრედიტების შედეგად ბანკების მიერ ფულის შექმნის უნარი);

(3) ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში სტაბილური წილი ეჭირა მიღებულ გრანტებს. 2004-2014 წლებში მთლიანად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2 993 მლნ ლარზე მეტი მოცულობის გრანტი, მათ შორის ყველაზე დიდი, 617 მლნ ლარი მიღებულ იქნა 2008 წელს;

(4) 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 36,2% მოდის ჯანდაცვაზე და სოცუზრუნველყოფაზე. აქედან ჩანს, რომ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ზედმეტად სოციალურია, რაც ამძიმებს ზოგადად მთელ ეკონომიკას. ასევე, გადასახედია საერთო სახელმწიფოებრივი პრიორიტეტები. განათლების ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში (10,9%) ძალიან მცირეა და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განათლების უფრო მეტად დაფინანსება, რაც ზოგადად ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

(5) განვლილი პერიოდის მანძილზე ქვეყანა უფრო მეტ ვალს იღებდა, ვიდრე მისი ეკონომიკა რეალურად იზრდებოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ მთლიანი საგარეო ვალის ფინანსური სიღრმის კოეფიციენტი 49%-დან (2006 წ.) 80%-მდე (2014 წ.) გაიზარდა. აღნიშნული ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში აშკარაა, რომ გრძელვადიან პერიოდში ქვეყანა გადახდისუუნარობის საფრთხის წინაშე დადგება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ***ქვეყნის ფინანსური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ მოხმარების მაღალი მაჩვენებლების შედეგად ფორმირებულ საბიუჯეტო შემოსავლებზე (რაც ძა-ლიან მოკლევადიანია და, ამასთან, დამოკიდებულია გარეგან ფაქტორებზე) ან/და საგარეო ვალების ზრდაზე, არამედ რეალური მშპ-ის ზრდის შედეგად გაზრდილ დასაბეგრ ბაზაზე.*** ამ მხრივ კი, წარმოების ცალკეული დარგების სტიმულირების მიზნით, მოგების გადასახადის დიფერენცირებული განაკ-ვეთების დაწესებაა მართებული, რაც გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელო-ვანი ფისკალური შედეგის მომცემი იქნება.

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა
ასოცირებული პროფესორი.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ერთეულოვან S^{k-1} სფეროზე ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორთა სახეები

ერთეულოვან S^{k-1} სფეროზე ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორის ცნება გამოიყენება, ფურიე- ლაპლასის გადიფერენირებული მწკრივის შეჯამებადობის საკითხებში. ვინაიდან ლაპლასის ოპერატორი სფეროზე წარმოადგენს დიფერენცირების ოპერატორს.

დაუშვათ, რომ f(x) ფუნქცია განსაზღვრულია $x_0 \in S^{k-1}$ სფერული წერტილის მიდამოში ანუ $D^{k-1}(x_0;\rho)$ სიმრავლეზე და ინტეგრებადია $C^{k-2}(x_0;h)$ სფეროზე ნებისმიერი $h<\rho$ -სთვის. თუ x_0 წერტილის მიდამოში არსებობს $a_0, a_1, \dots, a_r$ რიცხვთა მიმდევრობა ისეთი, რომ სრულდება პირობა

$$\frac{1}{|S^{k-2}|\sin^{k-2}h}\int C^{k-2}(x_0;h)f(t)dS^{k-2}(t)=\frac{\Gamma\left(\frac{k-1}{2}\right)}{2\pi\frac{k-1}{2}\sin^{k-2}h}\int C^{k-2}(x_0;h)f(t)dS^{k-2}(t)=$$
$$=\sum_{v=0}^{r}\frac{\Gamma\left(\frac{k-1}{2}\right)a_v}{v\,|\,2^v\Gamma\left(\frac{k-1}{2}+v\right)}(1-\cosh)^v+0(1-\cosh)^r, \tag{1}$$

მაშინ ვიტყვით, რომ ერთეულოვან S^{k-1} სფეროზე f(x) ფუნქციას x_0 წრტილზე გააჩნია r რიგის ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორი და ავღნიშნავთ $\overline{\Delta}^r f(x_0)$-ით. (1) ტოლობით გასაზღვრული ლაპლასის ოპერატორი $a_v(v=0,r)$ რიცხვებთან დაკავშირებულია შემდეგი ტოლობით:

$$\overline{\Delta}^0 f(x_0)=a_0=f(x_0),$$
$$\overline{\Delta}|\,\overline{\Delta}+(k-1)|\,[\overline{\Delta}+2k]....[\overline{\Delta}+(v-1)(v+k-3)]f(x_0)=a_v,\ v=\overline{1,r} \tag{2}$$

სადაც $\overline{\Delta}\cdot\overline{\Delta}\cdot\overline{\Delta}\cdots(i-\text{ჯერ})=\overline{\Delta}^i$ და $\overline{\Delta}\cdot\overline{\Delta}\cdot\overline{\Delta}\cdots(i-\text{ჯერ})=\overline{\Delta}^i\cdot\overline{\Delta}^j=\overline{\Delta}^{i=j}$, როცა $l,|\geq 0$ და $i+|\leq r$.

ასე, რომ (1) შეიძლება გადაიწეროს შემდეგი სახით

$$\frac{1}{|S^{k-2}|\sin^{k-2}h|}\int c^{k-2}(x_0;h)f(t)dS^{k-2}(t)=\overline{\Delta}^0 f(x_0)$$

$$\sum a_1=\frac{r\left(\frac{k-1}{2}\right)\overline{\Delta}[\overline{\Delta}+(k-1)][\overline{\Delta}+2k]...[\overline{\Delta}+(v-1)(v+k-3)]f(x_0)}{v!2^v r\left(\frac{k-1}{2}+v\right)}(1-\cosh)^v+0(1-\cosh)^r,$$

$r=1,2,...$

მარტივად შეიძლება შევნიშნოთ, რომ

$$a_1 = \overline{\Delta}^1 f(x_0) = \overline{\Delta} f(x_0) = \lim_{h\to 0} \frac{\frac{1}{|S^{k-2}|\sin^{k-2} h|}\int S^{k-2}(x_0;t) = \cosh f(t) dS^{k-2}(t) - f(x_0)}{\frac{2}{k-1}\sin 2\frac{h}{2}}.$$

ახლა შემოვიტანოთ ერთეულოვან S^{k-1} სფეროზე უფრო განზოგადოებული ლაპლასის ოპერატორის ცნება.

ვიტყვით, $x_0 \in S^{k-1}$ წერტილის სფერულ მიდამოში ინტეგრირებადი $f(x_0)$ ფუნქციას x_0 წერტილზე გააჩნია უფრო განზოგადოებული r რიგის ლაპლასის ოპერატორი $\breve{\Delta}^r f(x_0)$, თუ სრულდება შემდეგი ტოლობა:

$$\frac{1}{|D^{k-1}(x_0;h)|}\int D^{k-1}(x_0;h) f(t) dS^{k-1}(t) - f(x_0) = \sum_{v=0}^{r} \frac{r\left(\frac{k+1}{2}\right) b_v}{v\,|\,2^v r\left(\frac{k+1}{2}+v\right)}(1-\cosh)^v + 0(1-\cosh)^r$$

$r \geq 0$, (3)

ასე განსაზღვრული ლაპლასის უფრო განზოგადოებული $\breve{\Delta}^r$ ოპერატორის $b_v\left(v = \overline{0,r}\right)$ კოეფიციენტებთა დამოკიდებულია ისევე როგორც (2) ტოლობაშია ნაჩვენები.

ცხადია, რომ $b_0 = f(x_0)$ და

$$b_1 = \breve{\Delta}^1 f(x_0) = \breve{\Delta} f(x_0) = \lim_{h\to 0} \frac{\frac{1}{|D^{k-1}(x_0;h)|}\int D^{k-1}(x_0;h) f(t) dS^{k-1}(t) - f(x_0)}{\frac{2}{k+1}\sin 2\frac{h}{2}}$$

ლაპლასის განზოგადოებული $\overline{\Delta}^r f(x_0)$ ოპერატორსა და ლაპლასის უფრო განზოგადოებული $\breve{\Delta}^r f(x_0)$ ოპერატორის შორის კავშირს ადგენს შემდეგი ლემა.

ლემა. ა) თუ x_0 წერტილზე არსებობს $\overline{\Delta}^r f(x_0)$, მაშინ აგრეთვე არსებობს $\breve{\Delta}^r f(x_0)$ და $\overline{\Delta}^r f(x_0) = \breve{\Delta}^r f(x_0)$.

ბ) არსებობს ისეთი ფუნქცია $f(x_0)$, რომლისთვისაც $\breve{\Delta}^r f(x_0)$ სასრულია, ხოლო $\overline{\Delta}^r f(x_0)$ ოპერატორი კი არც არსებობს.

ლიტერატურა

Топурия С.Б. Граничные свойства продифференцированного интеграла Пуассона для различных областей и их некоторые применениа. Тбилиси, 2003.

Summability C of series of surface spherical harmonics. Trans. Amer. Math. Soc., 104, №2 (1962), 284-307.

ლალი ქელბაქიანი
საქართველოს ეროვნული უნივერ-
სიტეტის ასოცირებული პროფესორი

საგანთაშორისი კავშირები და მათემატიკის როლი მის განხორციელებაში

თანამედროვე მეცნიერებაში, წარმოებაში, სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებები წარმოშობს სწავლების ახალი მეთოდების და მიდგომების შემუშავების აუცილებლობას. საგანთაშორისი კავშირების განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია არა მარტო ფუნდამენტური მეცნიერებების საფუძვლების შესწავლისას, არამედ უმაღლეს სკოლაში სწავლა-სწავლებისას.

საგანთაშორისი კავშირები – ესაა კომპლექსური მიდგომა სწავლებისადმი, რომლის მეშვეობითაც ხდება როგორც კონკრეტული ცოდნის ფორმირება, ასევე გნოსეოლოგიური პრობლემების გამოკვეთაც, რის გარეშე წარმოუდგენელია სიახლეების შემეცნება. საგანთაშორისი კავშირები ხელს უწყობს ისეთი შემეცნებითი მეთოდების განვითარებას, როგორიცაა ანალოგია, მოდელირება, განზოგადოება და ა.შ.

საგანთაშორისი კავშირების პრობლემას პედაგოგიკაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დისციპლინებს შორის ურთიერთკავშირების გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბარია ჯერ კიდევ მე-19-20 საუკუნეების ცნობილი მეცნიერების შრომებში. ეს საკითხი დღეს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც სწავლების შინაარსი გულისხმობს არა მხოლოდ მეცნიერებათა საფუძვლების, არამედ მეცნიერების კავშირების შესწავლას წარმოებასთან, მომავალი სპეციალისტის საქმიანობასთან.

თანამედროვე ეპოქაში ყველაზე დიდ წარმატებას აღწევენ მაცნიერებათა ის დარგები, რომლებიც ფართოდ იყენებენ მათემატიკურ აპარატს. მათემატიკა ოპერირებს ისეთი ცნებებით, რომლებსაც ერთი შეხედვით არანაირი კავშირი არა აქვთ რეალურ ცხოვრებასთან: ვექტორები, განტოლებები, სხვადასხვა ტიპის გამოთვლები. მათემატიკის ურთიერთკავშირი სხვა მეცნიერებებთან პირობითად შეიძლება დაიყოს ორ მიმართულებად: ა) მათემატიკა იძლევა გამოთვლის საშუალებას; ბ) არსებობს ფუნდამენტური ლოგიკური კავშირები მათემატიკასა და სხვა დარგს შორის. სწორედ ამითაა განპირობებული მათემატიკური მოდელების გამოყენების უნივერსალურობა და მრავალფეროვნება.

მათემატიკა არის მეცნიერება სტრუქტურებზე, წესრიგზე და დამოკიდებულებებზე, რომლებიც ჩამოყალიბდა რეალური ობიექტების დათვლის, გაზომვის და გამოთვლის ოპერაციების საფუძველზე. ეკონომიკა სწავლობს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობას, ასევე ურთიერთობებს, რომლებიც ყალიბდება წარმოების განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესში. მათემატიკა შეისწავლის აზროვნების ფორმებს, ეკონომიკა – ადამიანთა ქცევის გარემოებებს. ეკო-

ნომიკა, როგორც საზოგადოების ფუნქციონირების და განვითარების ობიექტური მიზეზების შესახებ მეცნიერება, იყენებს სხვადასხვა რაოდენობრივ მახასიათებელს. ეს თავის მხრივ განაპირობებს მათემატიკური მეთოდების მრავალფეროვნებას ეკონომიკაში.

ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების პირველი მცდელობა იყო მე-19 საუკუნეში ა. კურნოს, კ. მარქსის, ლ.ვალრასის, ვ პარეტოს შრომებში. მრავალდარგოვანი მეურნეობის წარმატებული მაკროეკონომიკური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ცალკეულ დარგებს შორის ბალანსის დაცვა. პირველად ამ პრობლემის მათემატიკური ფორმულირება გააკეთა 1936 წ. ამერიკელმა მეცნიერმა ვ.ლეონტიევმა. ეს იყო ახალი სიტყვა ეკონომიკურ მეცნიერებაში და ამ უმნიშვნელოვანესი მიღწევისთვის იგი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

მათემატიკის და ეკონომიკის კავშირის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადასტურებაა წრფივი პროგრამირება, რომელსაც უამრავი ადამიანი სწავლობს და იყენებს მთელს მსოფლიოში. მე-20 საუკუნეში ეკონომიკური შინაარსის პრობლემებს ყურადღება მიაქციეს ამერიკელმა მათემატიკოსმა ჯონ ფონ ნეიმანმა და რუსმა მათემატიკოსმა ლ. კანტოროვიჩმა. ნეიმანმაგანავითარა თამაშთა თეორია, როგორც ეკონომიკური ქცევის შესწავლის აპარატი, ხოლო კანტოროვიჩმა – წრფივი პროგრამირება, როგორც შეზღუდული რესურსების ოპტიმალური გამოყენების გადაჭრის აპარატი.

დღეისათვის მათემატიკური პროგრამირება არის მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ოპტიმიზაციის ამოცანათა წრფივ მოდელებს და მათი გადაჭრის გზებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადგენს გარკვეული მაჩვენებლებისგან შედგენილი წრფივ განტოლებათა ან უტოლობათა სისტემის ოპტიმალურ (მაქსიმალურ ან მიინიმალურ) ამონახსენს.

შემეცნებითი საუბარი

მამა ამირან ამირანაშვილი



საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ

გაგრძელება.
დასაწყისი ანთოლოგიის № 6-სა
და ჟურნალ „ათინათის“ №26,27, 28-ში

არსობრივი განსხვავებანი მართლმადიდებლობასა და რომაულ კათოლიციზმს შორის

კათოლიციზმის საკითხი ბოლო დროს ჩვენი საზოგადოების სულ უფრო მზარდი ინტერესის საგნად იქცა. ეს ინტერესი განსაკუთრებით რომის პაპის, იოანე პავლე II ჩვენ ქვეყანაში ვიზიტის შემდგომ გაცხოველდა და იგი მასმედიის საშუალებითაც აისახა. პრესაში იბეჭდება განსხვავებული, ხშირად ურთიერთგამომრიცხველი ხასიათის წერილები, რომელთა შინაარსობრივი ამპლიტუდა მეტად ფართოა – პაპისა და საერთოდ, კათოლიციზმის აპოლოგიით დაწყებული და მისდამი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებით დამთავრებული. ეს ყოველივე, ცხადია, რელიგიურ საკითხებში გაუთვიცნობიერებელ მკითხველში საკმაო დაბნეულობასა და გაუგებრობას იწვევს. მითუმეტეს, რომ ზემოაღნიშნული აჟიოტაჟი გარკვეულწილად პოლიტიკასაც უკავშირდება. ამდენად, საჭიროდ ვთვლით, მიმოვიხილოთ ის უმთავრესი საკითხები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს კათოლიციზმის რაობას, მის ადგილსა და მნიშვნელობას და თვალსაჩინოს ხდის იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც აშკარად უპირისპირდებიან ქრისტიანული მოძღვრების უმთავრეს დებულებებს.

დავიწყოთ იმით, რომ კათოლიციზმი ობივატელის აზრით, ქრისტიანობის ერთ-ერთი ნაწილია, განშტოებაა, რომელიც ერთიანი ეკლესიის გაყოფის შედეგად წარმოიშვა და რომლის მეთაურსაც რომის პაპი წარმოადგენს, გაყოფის მიზეზად კი ზოგიერთ დოგმატურ საკითხსა (რომელსაც ზემოხსენებული აზრი ოდენ განყენებულ ცნებებზე სპეკულაციური მსჯელობის საგნად მიიჩნევს) და გარკვეულ პოლიტიკურ მიზეზებს ასახელებენ. ეს დებულება იმ მცდარ საფუძველს ემყარება, რომლის მიხედვითაც ეკლესიის გაყოფა პრინციპულად შეუძლებელია, რადგან ეკლესიის თავი იესო ქრისტეა. ეკლესია მისი მისტიკური სხეულია, „უფლის სძალია“, იგი მუდამ ერთიანია, სავსებაა, განუყოფელია და მისი მთლიანობა არ არის დამოკიდებული მასში გაერთიანებულ მორწმუნეთა და ღვთის მსახურთა რაოდენობაზე, როცა ეკლესიათა გაყოფაზე ლაპარაკობენ, ქვეცნობიერად ამას დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიათა წარმოშობის ანალოგიით ახდენენ, ე.ი. როგორც რომის ერთიანი სახელმწიფო გაიყო ორ ნაწილად 395 წელს, ასევე ერთიანი ეკლესიაც გაიყო ორად 1054 წელს. სინამდვილეში არ გაყოფილან, არამედ რომის ეპისკოპოსის (პაპის) იურისდიქციაში მყოფი სამღვდელოება და მორწმუნე ერი მოწყდა, ჩამოცილდა ერთ წმიდა კათოლიკესა და სამოციქულო ეკლესიას. ამგვარი მოწყვეტა წინა საუკუნეებშიც ბევრი ყოფილა. ასე ჩამოსცილდნენ დედა ეკლესიას ნესტორიანელები, მონოფიზიტები, მონოთელიტები. ყველა ისინი დღესაც არსებობენ და „ჭეშმარიტი ეკლესიის მემკვიდრეობაზე“ კათოლიკებზე არანკლები პრეტენზიულობით დებენ თავს.

განცალკევებისაკენ სწრაფვა რომის ეკლესიაში უძველესი დროიდან იღებს სათავეს და მას საფუძვლად რომის ეკლესიის ეპისკოპოსის (პაპის) ყველა სხვა ეპისკოპოსზე აღმატებულებისა და უპირატესობის არასწორი გაგება უდევს, რაც, თავის მხრივ, წმიდა მოციქულ პეტრეს (რომელიც რომისპირველი ეპისკოპოსი იყო) სხვა მოციქულებზე აღმატებულებას ემყარება. ამ უკანასკნელი მოსაზრების წყარო კათოლიკეთა მიერ მაცხოვრის სიტყვების (მათე 16,18) არასწორი გაგებაა. თვით მოციქულები არასოდეს ხედავდნენ პეტრეში თავიანთ მეთაურს, რისი დასტურიც მოციქულთა იერუსალიმის კრებაა (51 წელს), რომელსაც წმიდა მოციქული იაკობი თავმჯდომარეობდა და არა წმიდა პეტრე. ამას გარდა, რომში ჩასვლამდე პეტრე მოციქულმა ანტიოქიის ეკლესია დაარსა (სწორედ აქ ეწოდათ პირველად მორწმუნეებს ქრისტიანები). ამდენად, ამ კრიტერიუმის მიხედვით, ანტიოქიის ეპისკოპოსი გამოდის უპირატესი და არა რომისა. ისიც აღსანიშნავია, რომ მოციქულთა შორის უმცროს-უფროსობას თვით მაცხოვარი კრძალავს (მათე XX 20-28), ხოლო მოციქულთა განწესების 34-ე კანონი

არეგულირებს რა ეპისკოპოსთა შორის არსებულ ურთიერთობებს, დაუშვებლად მიიჩნევს უპირატესი ეპისკოპოსის თვითნებობას და ეკლესიაში ყოველგვარ აბსოლუტიზმს უარყოფს, რასაც ძველ საეკ-ლესიო კრებათა განჩინებებიც ადასტურებენ.

მიუხედავად ამისა, რომის ეკლესიის ზრდასთან ერთად მისი ამბიციებიც იზრდებოდა, ამას ხელს უწყობდა ზოგიერთი მომენტიც. კერძოდ, რომის დაცემის შემდეგ (476 წ.) ბარბაროსთა შემო-სევებისა და ხალხთა დიდი გადასახლების შედეგად წარმოქმნილ მრავალ ახალ სახელმწიფოთა შო-რის მოციქულებრივი გადმოცემისა და სარწმუნოების მთავარ დამცველად რომი რჩებოდა. გარდა ამისა, ბიზანტიის იმპერიაში IV-VIII საუკუნეების განმავლობაში არსებული რელიგიური მღელვარების დროს რომის ეპისკოპოსები ხშირად მართლმადიდებლობის დამცველებად გამოდიოდნენ. ეს კი მათ თანდათანობით უყალიბებდა რწმენას იმისა, რომ ისინი მოწოდებულნი არიან უხელმძღვანელონ მთელი ქრისტიანული სამყაროს ცხოვრებას. რომის ეკლესიისა და მისი მეთაურის უპირატესობის აღიარების მოთხოვნით გამოდიოდნენ პაპები: ინოკენტი (V ს.), აგათონი (VII ს.), სტეფანე (VIII ს.), ხო-ლო რომის პაპთა სულ უფრო მზარდმა პრეტენზიამ კულმინაციას XI საუკუნეში მიაღწია, რაც 1054 წელს რომის ეკლესიის მართლმადიდებელი სამყაროსაგან ჩამოცილებით დასრულდა. ამ დროიდან დაიწყო პაპის ძალაუფლების აბსოლუტიზაცია, რომელიც არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო მი-მართულების სფეროსაც მოიცავს. პაპმა პიუს IX ყოველი მორწმუნე კათოლიკესათვის აუცილებლად გამოაცხადა რომის ეპისკოპოსის (პაპის) საერო ხელისუფლების აღიარება. პაპის ბრძანებით ჯვრითა და მახვილით შეიარაღებული ჯარი საბრძოლველად მიდიოდა ყველას წინააღმდეგ, ვისაც კი პაპი სა-კუთარ მტრად მიიჩნევდა. პაპი ბონიფაციუს VIII 1302 წელს გამოცემულ ბულაში წერდა: „სამოციქუ-ლო ტახტსა და რომის მღვდელმთავარს გააჩნდათ უზენაესობა მთელ მსოფლიოზე და რომ ეს მღვდელმთავარი არის მოციქულ პეტრეს მემკვიდრე, მოციქულთა მთავარი, ქრისრეს მოადგილე დე-დამიწაზე, მთელი ეკლესიის მეთაური და მამა, ყველა ქრისტიანის მასწავლებელი“.

პაპის აბსოლუტიზაციის უპირველესი სავალალო შედეგი ის იყო, რომ მოხდა პაპის აზრის უმაღლეს ინსტანციად და ჭეშმარიტების უმთავრეს კრიტერიუმად გამოცხადება, რაც 1870 წელის ვატიკანის კრების მიერ პაპის „შეუმცდარობის დოგმატის“ მიღებით დაგვირგვინდა. ეს კი იმას ნიშ-ნავს, რომ პაპი არ შეიძლება ცდებოდეს, როდესაც იგი სარწმუნოებრივ საკითხებზე ქადაგებს. აღ-ნიშნული „დოგმატი“ პრინციპულად ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ სწავლებას, რომლის მი-ხედვითაც შეუმცდარი მხოლოდ ეკლესიაა, ხოლო უმაღლესი ავტორიტეტი სარწმუნოებრივ-დოგმა-ტურ საკითხთა გადაწყვეტისას არის საეკლესიო კრება, როდესაც სულიწმიდის ნება ცხადდება კრე-ბის მონაწილეთა პირით, ანუ მართლმადიდებლობაში უპირობო პრიორიტეტი კრებით საეკლესიო ცნობიერებას ენიჭება და არა რომელიმე კერძო პიროვნებას, მიუხედავად მისი უდიდესი ღირსებები-სა და დამსახურებისა. პაპის შეუზღუდავმა ავტორიტეტმა არნახული გაქანება მისცა ვოლუნტა-რიზმს, რამაც ახალი, მართლმადიდებლობისათვის მიუღებელ სწავლებათა შემოღება განაპირობა. ყოველივე ამან კი ჭეშმარიტი მოძღვრებისაგან კათოლიციზმის კიდევ უფრო მეტად დაშორება გამო-იწვია.

იმ მრავალრიცხოვან განსხვავებათაგან, რომელიც მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის არსებობს, უმთავრესი ტრიადოლოგიური (სამების) დოგმატის კათოლიკურ დამახინჯებას, ე.წ. „ფილიოკვეს“, ანუ სულიწმიდის გამომავლობის შესახებ არასწორ სწავლებას უკავშირდება. იგია, როგორც ვ. ლოსკი ამბობს, „პირველი მიზეზი“ დასავლეთისა და აღმოსავლეთის უთანხმოებისა, ხო-ლო სხვა დანარჩენი საკითხები მხოლოდ მის შედეგებს წარმოადგენენ. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ დოგმატიკა აბსტრაქტულ თეორიათა შესახებ სწავლება კი არ არის, არამედ მას სასიცოცხლო მნიშ-ვნელობა აქვს ცალკეული მორწმუნის ზნეობრივი ცხოვრების სფეროში. მტკიცება, რომ სულიწმიდა „გამოვალს მამისაგან და ძისაგან“, დასავლეთში ნეტარი ავგუსტიანესაგან იღებს სათავეს, ხოლო „მრწამსში“ ოფიციალურად XI საუკუნეში შეიტანეს. ავგუსტინე თავის ტრაქტატში „სამების შესახებ“ პირდაპირ წერს, რომ სულიწმიდა გამოვალს არა მარტო მამისაგან, არამედ ძისაგანაც, რომ სულიწ-მიდა არის ორი სხვა ღვთაებრივი პირის (მამისა და ძის) სული. ლათინთა მსჯელობას საფუძვლად უდევს ის, რომ თუ მამა და ძე არსით, ბუნებით ერთია, მაშინ ის, ვინც გამოვალს მამისაგან (სულიწ-მიდა), ასევე უნდა გამოდიოდეს ძისგანაც. მათი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ „გამომავლობა“ კატოლიკეებს საღმრთო ბუნების, არსის თვისებად მიაჩნიათ, მაშინ როდესაც „გამომავლობა“ არის წმიდა სამების მესამე ჰიპოსტაზის (პირის) – სულიწმიდის საკუთარი, პიროვნული, ჰიპოსტაზური თვისება, ისევე, როგორც მამა ღმერთის საკუთარი თვისებაა უშობელობა, ძე ღვთისას შობილება, ანუ მამა უშობელია, მისგან მარადიულად იშვება ძე და მარადიულად გამოვალს სულიწმიდა. გამო-მავლობა რომ საღმრთო ბუნების თვისება იყოს, როგორც ეს კათოლიკეებს მიაჩნიათ, მაშინ სულიწმი-და საკუთარი თავიდანაც უნდა გამოდიოდეს, რადგან ბუნებით ისიც მამისა და ძის თანაარსია. ეს კი

სამების პირთა შერწყმას, მათ შორის ზღვარის წაშლას ნიშნავს, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება უმთავრესი ქრისტიანული დოგმატის (სამების დოგმატის) მართლმადიდებლურ გაგებას და ამდენად კათოლიციზმს ტრიადოლოგიურ და ქრისტოლოგიურ დოგმატთა დამახინჯების საფუძველზე წარმოშობილი სხვა მწვალებლური სწავლებების გვერდით აყენებს. ასე რომ, სრულიად უსაფუძვლოა კათოლიციზმის ზოგიერთი აპოლოგეტის განცხადება იმის თაობაზე, რომ თითქოს „ფილიოკვეს“ პრობლემა მხოლოდ ტერმინოლოგიური გაუგებრობაა და ამ საკითხში მართლმადიდებლურ და კათოლიკურ სწავლებათა შორის განსხვავება მხოლოდ ფორმალური და „არა არსებითია“. „ფილიოკვეს“ შესახებ სწავლება წმიდა გრიგოლ პალამას მიხედვით, კათოლიციზმის იმ შეხედულებას ემყარება, რომელიც ღვთაებრივი არსისა და ენერგიებს შორის არსებული განსხვავების იგნორირებას ახდენს. მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით ღმერთი ტრანსცენდენტურია სამყაროსადმი თავის არსით, ბუნებით, მაგრამ იმანენტურია თავისი შეუქმნელი ენერგიებით, მადლით, ე.ი. ღმერთი, როგორც აბსოლუტური არსება პრინციპულად განსხვავებულია, მიღმამყოფია ქმნილი ყოფიერებისაგან, მაგრამ მისი შეუქმნელი ენერგია ამავე დროს მსჭვალავს, მართავს და იცავს მთელ სამყაროს, რომელიც ღმერთის სიყვარულითა და ძალით შეიქმნა და არსებობს.

წმიდა გრიგოლ პალამა წერს: „როდესაც ღმერთი ელაპარაკება მოსეს, აუწყებს არა იმას, თუ „რა“ არის იგი (ღმერთი), არამედ იმას, თუ „ვინ“ არის, ე.ი. კი არ ეუბნება, რომ „მე ვარ არსი“, არამედ მიმართავს, „მე ვარ, რომელი ვარ“, ანუ არსი გამომდინარეობს არსებულისაგან და არა პირიქით, რითაც ღმერთის მყოფობის ეგზისტენციურ მხარეს ესმება ხაზი, და არა ესენციურს. ამრიგად, ღმერთი ჩვენ გვიკავშირდება, როგორც პიროვნება, სავსებით რეალური სახით და არა როგორც რაიმე აბსტრაქტული არსი და ეს კავშირი შეუქმნელი ღვთაებრივი ენერგიების მეშვეობით ხორციელდება. ღმერთი არ არის მხოლოდ თავის არსის, ბუნების იგივეობრივი, იგი მყოფობს აგრეთვე თავის შეუქმნელ ენერგიებში, რომლებიც ისევე, როგორც მისი არსი („უსია“) საერთოა სამივე ჰიპოსტაზისათვის. ენერგიები განუყოფელნი არიან ღმერთის არსისაგან, ისინი მისი ღვთაებრივი არსის მიღმა მყოფობის თავისებურ სახეს წარმოადგენენ. მართლმადიდებლური სწავლებით ღმერთთან ზიარება ნიშნავს სწორედ ენერგიებთან ზიარებას. ადამიანის ღმერთთან ურთიერთობა მხოლოდ ღვთაებრივი ენერგიების მეოხებით ხდება, რასაც წინ უსწრებს მორწმუნეს მზადება, განწმენდა, განუწყვეტელი ლოცვა, რომლის დროსაც ხდება ამ ენერგიათა უშუალო, რეალური განცდა. ესაა მართლმადიდებლური ასკეტიკის საფუძველი და მისტიკის მიზანი და რასაც წმიდა მამები განღმრთოებას, თეოზისს უწოდებენ, იგია ღვთის შემეცნების უმაღლესი საფეხური.

კათოლიციზმი ღვთის ენერგიებს შექმნილ რეალობად, ქმნილებად მიიჩნევს. ეს კი იმას იწვევს, რომ სულიწმიდა კათოლიციზმში გაგებული, როგორც სიყვარული, რომელიც არსებობს მამა ღმერთსა და ძე ღმერთს შორის, აგრეთვე ღმერთსა და ადამიანს შორის. ნეტარი ავგუსტინე პირდაპირ წერს, რომ „ღმერთი – სიყვარული არის სულიწმიდა“ და რომ იოანე მახარებლის სიტყვები „ღმერთი – სიყვარულია“, სწორედ ამ აზრით უნდა გავიგოთ. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, სულიწმიდა „კარგავს“ ჰიპოსტასურ მნიშვნელობას და იგი მხოლოდ მამისა და ძის ერთიანი არსის გამოვლინებად იქცევა. კათოლიკეებმა საღმრთო მადლის (ენერგიების) შესახებ სწავლება „ზებუნებრივ ქმნილ ელემენტთა შესახებ“ სწავლებით შეცვალეს. იგივე ავგუსტინეს „შეუწველი მაყვალი“, „თაბორის ნათელი“, „მეერგასე დღის ცეცხლოვანი ენები“ ქმნილ სიმბოლოებად მიაჩნია, რომლებიც ღვთის გამოცხადების საუწყებლად წარმოიშობიან, რის შემდეგაც არსებობას წყვეტენ. დასავლური აზროვნება მადლს ღვთაებრივი მიზეზის შედეგად თვლის, მსგავსად შესაქმის აქტია. დეკანოზი ი. რომანიდისი „ფილიოკვეს“ ერესს არიანული ერესივით მავნედ მიიჩნევს. არიანელობა ძე ღვთისას ქმნილებად აცხადებდა და სამების პირთა სუბორდინაციას უშვებდა. კათოლიციზმი კი ამგვარ სუბორდინაციას სულიწმიდასთან მიმართებაში ახდენს და დეკანოზ იოანე მეიენდორფის სიტყვებით რომ ვთქვათ: „აქედან მოდის საიდუმლოთა სხვაგვარი გაგება, სიფრთხილე ყოველივე მისტიკურის მიმართ და ქრისტიანობის რაციონალიზაცია“. რაციონალიზმი, საერთოდ, მთელი დასავლური სქოლასტიკის „აქილევსის ქუსლად“ იქცა, რომლის ათასწლოვანი ძალისხმევა, ავგუსტინედან მოყოლებული იმ თეოლოგიური სისტემის შექმნისკენ იყო მიმართული, რომელიც ყოველივე სუპრამენტალურისა და სუპრანატურალურის გონების ფარგლებში „ჩატენვას“ ლამობდა და როცა რაციონალისტურად ვერ ახსნა ღმერთის, როგორც ერთდროულად არსისა და ენერგიის მყოფობა, უარყო ამ უკანასკნელის ღვთაებრიობა და იგი ქმნილებად გამოაცხადა. მაგრამ კათოლიკურ აზროვნებას პასუხი უნდა გაეცა ღმერთისა და ქმნილი ყოფიერების ურთიერთმიმართების ფუნდამენტურ და რთულ საკითხებზე, რომელიც ყველა რელიგიისა თუ ფილოსოფიური სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს. კათოლიციზმს, უარყოფს რა შეუქმნელი ენერგიების არსებობას – ორი გზა რჩება:

1. თუ ვაღიარებთ, რომ ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი არსის იგივეობრივია (ავგუსტინე წერდა: „ყოველივე რაც კი ღმერთშია – მის არსს წარმოადგენს“) და ეს არსი სამყაროსადმი ტრანსცენდენტურია, ვღებულობთ დეიზმს ონტოლოგიაში და აგნოსტიციზმს გნოსეოლოგიაში, ე.ი. ღმერთი ისეთ არსებად მოიზარება, რომელიც აბსოლუტურად მიღმა მყოფია, არ ერქვა სამყაროს მართვაში, ადამიანის, ბუნების და საზოგადოების ცხოვრება საკუთარი კანონზომიერებით ვითარდება და ადამიანს ღვთისკენ მიმავალი ყველა გზა მოჭრილი აქვს. მას შეუძლია მხოლოდ თეორიულად გააჩნდეს წარმოდგენა ღმერთის იდეის შესახებ. რელიგია კი ადამიანის ღმერთთან ცოცხალ კავშირს გულისხმობს, ამიტომაც იყო, რომ დეიზმი, როგორც მიმდინარეობა (ლორდი ჩერბერი, ჯ. ტოლანდი, ა. შეფსტბერი, ა. კოლინზი – ინგლისში, ვოლტერი, ნაწილობრივ რუსო – საფრანგეთში, ლესინგი – გერმანიაში) იოლად გადაიზარდა ე.წ. „განმანათლებლების“ ათეიზმში.

2. იმ შემთხვევაში, თუ ღმერთს სამყაროსადმი იმანენტურად ჩავთვლით, მაშინ გარდაუვალია პანთეიზმი – ღმერთი სამყაროს, ბუნების იგივეობრივად ცხადდება. პანთეიზმი კი საბოლოოდ აუცილებლად ორ შედეგს გვთავაზობს – ან ათეიზმს, ან აკოსმიზმს, ე.ი. ხდება ბუნების გააბსოლუტურება და მასში ღმერთის ცნების წაშლა (მატერიალიზმი), ან პირიქით – ბუნება ილუზიად ცხადდება და ყოველივე უპიროვნო ღვთაებრივ არსში იკარგება (ინდური სისტემები). მიუხედავად იმისა, რომ დეიზმი უფრო პროტესტანტიზმის წიაღში წარმოშობილი მსოფლმხედველობაა, მის წინამორბედად სწორედ გრიგოლ პალამას მოწინააღმდეგე და ღვთაებრივი ენერგიების ქმნილებად გამომცხადებელი ვარლაამ კალაბრიელი გვევლინება, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანს ძალუძს მხოლოდ სიმბოლური წარმოდგენა ჰქონდეს ღმერთზე და არა მასთან რეალური ურთიერთობაო. რაც შეეხება პანთეიზმს, მისი იდეები იოანე სკოტ ერიუგენადან მოყოლებული უხვად ასაზრდოებდა კათოლიკურ სქოლასტიკას, რისი ნათელი დადასტურებაცაა, ერთი მხრივ, კათოლიკური ე.წ. „სპეკულაციური მისტიკა“, რომელმაც თავისი განვითარება ყველაზე მეტად გერმანიაში ჰპოვა (მაისტერ ეკჰარტი, იოანე რუისბრუკი და სხვები).

მართალია, როგორც დეისტური, ისე პანთეისტური იდეების მქონე პიროვნებებს კათოლიციზმი ხშირად ინკვიზიციით უსწორდებოდა (ივიწყებდა რა წმიდა იოანე ოქროპირის შეგონებას იმის თაობაზე, რომ ადამიანში ცოდვას უნდა ვებრძოლოთ და არა თვით პიროვნებას), მაგრამ იგი არასოდეს აღიარებდა იმ ფაქტს, რომ ეს ანტიქრისტიანული მიმდინარეობანი სწორედ მისი საკუთარი ცდომილებების ლოგიკურ აუცილებელ შედეგებს წარმოადგენდნენ. შემდგომში კათოლიციზმი გაემიჯნა თავის „უკანონო შვილს“ – ახალ ფილოსოიას, რაც იმით დასრულდა, რომ XIX საუკუნის ბოლოს კათოლიციზმის ოფიციალურ ფილოსოფიად თომიზმი გამოცხადდა, რომელიც ნეოთომიზმის სახით დღესაც კათოლიციზმის წამყვან, ძირითად ფილოსოფიურ მიმდინარეობად ითვლება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთისა და სამყაროს ურთიერთმიმართების პრობლემა მწვავედ დგას ნეოთომიზმშიც. იგი აცნობიერებს, რომ ღმერთის, როგორც უსასრულო, ტრანსცენდენტური არსიდან რეალური ყოფიერების და მისი კანონების შინაარსის გამოყვანა და დადგენა შეუძლებელია; აცნობიერებს, რომ აუცილებელია წაშლა იმ ზღუდისა, რომელიც არსებობს უსასრულოსა და სასრულს ტრანსცენდენტურსა და იმანენტურს, ანუ საბოლოოდ ღმერთსა და მის მიერ შექმნილ სამყაროს შორის. ნეოთომისტები ამ ონტოლოგიური ჩიხიდან გამოსვლას ე.წ. „ტრანსცენდენტური ცნებების“ (ერთიანობა, ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება) პოსტულირებით ცდილობენ. მათი აზრით, ეს ცნებები ყოფიერებასთან ერთად იგულისხმებიან, მაგრამ კატეგორიალური განსაზღვრებებისაგან განსხვავებით ცდის პროცესთან წინააღმდეგობის დაძლევის მეორე ფორმად ნეოთომიზმი არსის ანალოგიის შესახებ სწავლებას გვთავაზობს, რომელიც ამტკიცებს ღვთის შემეცნების შესაძლებლობას სამყაროს შესწავლის გზით, მიუხედავად მათ შორის (ღმერთისა და სამყაროს) არსებული პრინციპული განსხვავებისა. როგორც ვხედავთ, ორივე მეთოდი უკიდურესად რაციონალისტური, განყენებული და უსიცოცხლოა, რაც ბუნებრივიცაა, რადგან ამგვარი დისკურსიულ-სპეკულაციური ძალისხმევით გამოყვანილი ვერანაირი დოქტრინა ვერ შეცვლის მადლის, როგორც ღვთაებრივი, შეუქმნელი ენერგიების შესახებ მართლმადიდებლურ სწავლებას, რომელიც თავის მხრივ, ქრისტიანული სოტეროლოგიის საფუძველია.

(გაგრძელება იქნება)

ადამიანები, ურთიერთობა

წმინდა მამათა დარიგებანი

განმანათლებელი ეგნატე (ბრიანჩანინოვი) (1807-1876).

რაც უფრო ფართოა გული, მით მეტად იტევს საყვარელ ადამიანებს, მაგრამ რაც უფრო ცოდვილია, მით უფრო მჭიდროა და უფრო ნაკლებად შეუძლია, რომ დაიტიოს თავის თავში საყვარელი ადამიანები.ზოგჯერ იქამდეც მიდის, რომ მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარულით შემოისაზღვრება და ისიც ცრუა, რადგანაც ჩვენ საკუთარი თავი იმ საგნებში გვიყვარს, რომლებიც შეუფერებელია უკვდავი სულისათვის: ვერცხლში და ოქროში, სასიყვარულო მოქმედებაში და სხვა.

წმინდა მართალი იოანე კრონშტადტელი (1829-1908).

ჭეშმარიტი სიყვარული უპირველეს ყოვლისა თავგანწირვაში გამოიხატება.მისი მეორე ნიშანი კი ისაა რომ ის მარადიულია და არასოდეს წყდება.მესამე ნიშანი ჭეშმარიტი, ზეციური სიყვარულისა ის არის რომ ის გამორიცხავს ვინმეს მიმარ სრულ უსიყვარულობას, ანუ არ შეიძლება მაგალითად, რომ ერთნი გვიყვარდეს და მეორენი არა.ის, ვისაც წმინდა სიყვარული აქვს, მთლიანად ავსებულია მისით.მე შეიძლება ვწუხდე, მეცოდებოდეს რომ ვიღაც სავსეა ვნებებით, მიდრეკილია ბოროტებისკენ, ცუდად იქცევა, მაგრამ არ მიყვარდეს ადამიანი როგორც ღმერთის ქმნილება მე არ შემიძლია და ყოველთვის მზად უნდა ვიყო რომ მის მიმართ სიყვარული გამოვავლინო.მეოთხე ნიშანი ჭეშმარიტი სიყვარულისა ის არის რომ სიყვარული ერთიდაიმავე დროს ღმერთისკენაც არის მიმართული და მოყვასისაკენაც და ისეთ კავშირშია რომ ვისაც ღმერთი უყვარს მას უსათუოდ უყვარს მოყვასიც.

წმინდამოწამე არსენი (ჟადონოველი)სერპუხოვის ეპისკოპოსი (1874-1937)

ერთი მოჭრილი და გასუფთავებული ხე სწრაფად მიექანებოდა ფერდობზე ადამიანისკენ.მე ვხედავდი ამას მაგრამ დიდი მწუხარების გამო არ შემეძლო მეყვირა: „სწრაფად წადი!“ჩემი გული დაავადდა და ატირდა და ხე გაჩერდა.ეს ადამიანი ჩემთვის უცხო იყო, მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ეს რომ ვინმე ახლობელი ყოფილიყო, ალბად ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი.

ღირსი სილუან ათონელი (1866-1938)

მოყვასისადმი სიყვარული იმდენად თავგანწირული უნდა იყოს რომ აუცილებლობის შემთხვევაში მზად ვიყოთ ჩვენი ცხოვრება ჩვენს მეგობრებს შევწიროთ იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი სიყვარული განდევნის ჩვენი გულიდან ამპარტავნებას, რომლისგანაც ყოველგვარი ბოროტება წარმოიშობა და მოყვასის მხოლოდ ასეთი სიყვარული არის ყველაზე ძლიერი და ყველაზე მეტად ჰგავს ღმერთის მიმართ სიყვარულს.

იერომონაზონი პეტრე (სერეგინი) (1895-1982).

როგორ ვისწავლოთ სიყვარული?

ჭეშმარიტებისადმი მორჩილებით განიწმინდეთ თქვენი სულები უპირფერო, ძმური სიყვარულისათვის და წმინდა გულით მხურვალედ გიყვარდეთ ერთმანეთი (1პეტ.1,22).

შვილებო, გვიყვარდეს, მაგრამ არა სიტყვით და ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით (1 იოანე.3,18).

სიყვარული ღვთისაგან არის; ვისაც უყვარს, ღვთისგანაა შობილი და იცნობს ღმერთს (1იოანე.4,7).
ქრისტე უნდა იყოს ჩვენთვის მოყვასისადმი სიყვარულის პირველი საფუძველი.რადგანაც ის, ვისაც იმის გამო უყვარს რომ ის უყვართ, თუკი უსიამოვნება შეემთხვევა, შეწყვეტს სიყვარულს.ის კი, ვინც ჭეშმარიტი სიყვარულით არის დაკავშირებული, არასოდეს მიატოვებს მას.
განმანათლებელი იოანე ოქროპირი (407)

სიყვარული რწმენისაგან და ღვთის შიშისაგან იბადება, იმედით იზრდება და ძლიერდება და მადლით და წყალობით სრულყოფილი ხდება, რომელიც ემსგავსება კიდეც უფალს.
თუ აღმოაჩენ რომ შენში არ არის სიყვარული და გინდა რომ გქონდეს, სიყვარულის საქმეები აკეთე, თუნდაც თავიდან უსიყვარულოდ.უფალი დაინახავს შენს სურვილს და მონდეომებას და სიყვარულს ჩადებს შენს გულში.
ღირსი ამბროსი ოპიტნელი (1812-1891)

აკეთე სიყვარულის საქმეები და ამის გამო უფალი ყოველთვის მოგცემს იმას რაც გჭირდება.
წმინდა მართალი იოანე კრონშტადტელი (1829-1908)

როცა ბავშვები კითხვას სწავლობენ ჯერ ასოებს სწავლობენ, შემდეგ დამარცვლით კითხვას, შემდგომში კი წიგნების კითხვასაც. ქრისტიანიც ასევე უნდა მოიქცეს ქრისტიანობის შესწავლისას. ჯერ ის უნდა ისწავლოს, რომ სიკეთეს სიკეთე დაუბრუნოს ანუ მადლიერება ჰქონდეს, შემდეგ უნდა ისწავლოს რომ ბოროტებას ბოროტებით არ უპასუხოს, მტრობას მტრობით, წყენას წყენით და არც სიტყვით და არც საქმით არ იძიოს შური მაწყენინებლებზე, შემდგომში კი ის, რომ მტრებიც უყვარდეს და მოძულეებს სიკეთე გაუკეთოს და ბოროტებას სიკეთით უპასუხოს.სწორედ ეს არის კიბე რომლითაც ქრისტიანები სრულყოფილებამდე ადიან და ის მტრების სიყვარულში მდგომარეობს.
განმანათლებელი ტიხონ ზადონელი (1724-1783)

მოყვასის სიყვარული მანმადე შეუძლებელი იქნება სანამ ჩვენს გულში ამპარტავნებისა და სიამაყე იბატონებს.
წმინდა მართალი ალექსი მეჩოვი (1859-1923).

ვისაც სურს რომ სიყვარული მოიპოვოს, ყოველგვარი ბოროტი და არამშვიდობიანი აზრი უნდა განდევნოს, რომ აღარაფერი ვთქვათ საქმეებზე და სიტყვებზე, ყველას უნდა შეუნდოს წყენა, სამართლიანი თუ უსამართლო.
ღირსინიკონ ოპიტნელი (1888-1931)

ვისაც სურს სიყვარულის გზას შეუდგეს დაე აიძულოს თავისთავს რომ იზრუნოს ყველა ადამიანზე, კარგია ის თუ ცუდი.
ღირსი ისაია განდეგილი (370)

ყველას მიმართ ყურადღებიანი იყავი, მიეჩვიე რომ პირველივე შეხედვისას ადამიანს მთელი გულით უსურვო სიკეთე.
განმანათლებელი ბასილი დიდი (330-379)

არ არსებობს სულიერი სიყვარულის სხვა გზა, რომლითაც ჩვენში ღმერთის სახე იკვეთება, თუ ადამიანი პირველ რიგში თავისი ზეციური მამის მსგავსად არ დაიწყებს შეწყალებას, რომელიც ჩვენს მიმართ თავის სრულყოფილ მოწყალებას ავლენს.
ღირსი ისააკ სირიელი (VII ს.).

ჩემი ბერი მისაილი, ყოველთვის, ვინმესთან შეხვედრისას ასე ამბობდა: „ნეტარო, ქედს ვიხრი შენი წმინდა სახის წინაშე“.

ბერი იერონიმე ეგვიპტელი (1883-1966)

ადამიანებთან შეჯახებისას და მიმართვისას გულში იქონიე სიტყვა „გიყვარდეს“ და უსმინე მას. ყველას სიყვარულით და კეთილგანწყობილი გულით ესაუბრე. გულიდან არასოდეს მოიცილო ეს სიტყვა მოყვასთან შეჯახებისას: ის შენს გულს სიყვარულში განამტკიცებს.

უყურე ყველა ადამიანს, შინაურს თუ გარეულს, როგორც მარადიულ სიახლეს ღმერთის სამყაროში, როგორც ღმერთის გონიერების და სიკეთის უდიდეს საოცრებას და ნუ დაემორჩილები ჩვევას რომ უდიერად მოექცე მას.

წმინდა მართალი იოანე კრონშტადტელი (1829-1908)

გქონდეს დედის გული. იცი რას გრძნობს დედა: ის ყველაფერს პატიებს და ზოგჯერ ისეთ სახეს იღებს რომ ზოგიერთ ცელქობას ვერც კი ამჩნევს. მოითმინე და გაამართლე, შეიწყნარე სხვები რომ ქრისტემაც შეგიწყნაროს შენ.

ბერი პაისი მთაწმინდელი (1924-1994)

ჩარაფერი გააკეთოთ საკუთარი თავის სასიამოვნოდ, არამედ ყველაფერი შენს გარშემომყოფთა დასახმარებლად და სიამოვნებისათვის გააკეთე, ამით თავგანწირვასა და სიყვარულში ივარჯიშებ.

განმანათლებელი თეოფანე, ვიშენსკის განდეგილი (1815-1894)

სიყვარული ყველა სრულყოფილების მწვერვალია და მასზეასასვლელად ყველა საფეხური უნდა გავიაროთ.იმისათვის რომ სიყვარული მოვიპოვით, მხურვალე სიყვარული ღმერთისადმი, მოყვასისადმი, უპირველეს ყოვლისა არცერთი უხეში ცოდა არ უნდა გაგვაჩნდეს.

შესაძლებელია რომ ვერცხლისმოყვარე ადამიანმა, ვისთვისაც ოქრო-ღმერთია, რომ სიტკბოების მოყვარულმა, ვისთვისაც ღმერთი მუცელია, სიყვარული მოიპოვოს? რა თქმა უნდა არა, შეუძლებელია.ის შორსაა, ძალიან შორსაა სიყვარულისაგან.

სიყვარულის მოპოვება მარტო იმათ შეუძლიათ ვინც ვნებები მოიცილა, ანუ ყველა ვნებისაგან განთავისუფლდა:მუცლის მონობისაგან, მრუშობისაგან, მრისხანებისაგან, სიცრუისაგან, ქედმაღლობისაგან და სიამაყისაგან. მხოლოდ მათ, ვინც განიწმინდნენ, შეუძლიათ სიყვარული.

განმანათლებელი ლუკა (ვოინო-იასენეცკი) (1877-1961)

გამოსცადე შენი თავი: ერთ დღეს უფალს სთხოვე რომ მოყვასის სიყვარული მოგანიჭოს, მეორე დღეს კი ამის გარეშე იცხოვრე და მაშინ დაინახავ განსხვავებას.

ღირსი სილუან ათონელი (1866-1938)

სრულყოფილი სიწმინდის და ღმერთის სიყვარულის მისაღწევად ნუ გექნება მიჯაჭვულობა, თუნდაც ე.წ.სულიერი, ნურცერთ ადამიანზე და საგანზე, ყველა შენი ახლობელი სრულყოფილი სიყვარულით გიყვარდეს, როგორც საკუთარი თავი, ოღონდ მიჯაჭვულობის გარეშე, ანუ ნუ ისურვებ რომ მუდამ ხედავდე ან იქვე იყოს, ნუ დაიტანჯები და ნუ დამძიმდები მასზე ფიქრით.

წმინდამოწამე არსენი (ჟადონოველი) სერპუხოვის ეპისკოპოსი (1874-1937)

შესაძლებელია კი რომ ასეთ სევდიან მდგომარეობაში მხოლოდ სიყვარულის სწავლებამ გიშველოთ?მაგრამ სწორედ ამაშია ქრისტეს მოქმედების ძალა და მნიშვნელობა, რომ ის მხოლოდ სწავლებით არ შემოიფარგლება.კაცობრიობას ახალი ძალები მიეცა.ქრისტეს საქმე „ახალი ქმნილების“, ანუ ეკლესიის შექნმაა.ეკლესიაში მცხოვრები ქრისტეს სული ქრისტიანული სწავლების ცხოვრებაში განხორციელების ძალას გვაძლევს.

წმინდამოწამე ილარიონ (ტროიცკი), ვერელი არქიეპისკოპოსი (1929).

ნორჩი ათინათელები

ნათია ჯანგავაძე

ინტერვიუ გურამ ცერცვაძესთან

ჟურნალი „ათინათის“ ახალგაზრდა ჟურნალისტს ნათია ჯანგვენაძეს

1 . თქვენი დაბადების წელი და ცოტა რამ თქვენს შესახებ?

დავიბადე 1951 წლის 10 აგვისტოს ქ. ჭიათურაში, ვსწავლობდი ჭიათურაში V საშუალო სკოლაში. 1970 წელს დავამთავრე ქ. თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. ამავე წელს ჩავირიცხე თბილისის სახემლწიფო სამხატვრო აკადემიაში, რომელიც დავამთავრე 1976 წელს. 1977 წლიდან სისტემატიურად ვმონაწილეობ რესპუბლიკურ, რეგიონალურ, საკავშირო და საერთაშორისო სამხატვრო გამოფენებში. მიღებული მაქვს მრავალი ჯილდო.

2. ვინ იყვნენ თქვენი მშობლები?

მამა – უშანგი ცერცვაძე იმდროინდელი სავაჭრო ორგანიზაცია „ცეკავშირის“ თანამშრომელი იყო. წარმატებული შრომითი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებული იყო „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

დედა – კონია ბრეგვაძე – პედაგოგი, შემდგომი წლების განმავლობაში იყო ბიბლიოთეკის გამგე.

3. რას იტყვით თქვენ დედმამისშვილზე?

მყავს და-ძმა

ძმა – მერაბ ცერცვაძე - „ჭიათურმანგანუმის“ ღვაწლმოსილი მუშაკია და თინიკო ცერცვაძე – პედაგოგია.

4. რას იტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?

მყავს მეუღლე მზია ცერცვაძე – პროფესიით პედაგოგი 3 – ვაჟიშვილი და 3 – შვილიშვილი ბიჭები.

ვაჟიშვილები: ნიკა ცერცვაძე მხატვარია და დაოჯახებულია.

თორნიკე ცერცვაძე – თეატრმცოდნე, წარმატებული სპორცმენი, ამავე დროს ერთ-ერთი ფირმის მარკეტინგის დირექტორია.

ცოტნე ცერცვაძე – ჟურნალისტია.

5. მითხარით თქვენი პროფესიისა და თქვენი საქმიანობის შესახებ?

როგორც აღვნიშნე 1977 წლიდან ვეწევი ინტენსიურ შემოქმედებით, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ვარ უამრავი გამოფენის მონაწილე საქართველოში და უცხოეთში. ჩემი ნამუშევრები დაცულია სხვადასხვა გალერეებსა, ფონდებსა და კერძო კოლექციებში, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთის მრავალ ქვეყანაში. ვარ საქართველოს მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი გაერთიანების თავმჯდომარე 2012 წლიდან, საქართველოს

მხატვართა კავშირის თავმჯდომარე 2017 წლიდან საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე.

6. რამდენი წევრია გაერთიანებული საქართველოს მხატვართა კავშირში?

საქართველოს მხატვართა კავშირი ჩამოყალიბდა გასული საუკუნის დასაწყისში 1916 წელს ცნობილი მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით, რომელშიც გაერთიანებული იყო იმ დროს თითქმის ყველა პროფესიონალი ოციოდე მხატვარი. დღეისათვის მხატვართა კავშირში გაერთიანებულია 2000-ზე მეტი სხვადასხვა თაობის, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები.

7. მიამბეთ თქვენი პროფესიის შესახებ.

როგორც მოგახსენეთ პროფესიით ვარ ფერმწერ-ფრაფიკოსი და ვეწევი შემოქმედებით მოღვაწეობას.

8. ცოტა რამ მხატვრობის შესახებ.

მხატვრობა შეუცნობადი ფენომენია, როგორც ყველაფერში აქაც უფლის ხელი ურევია, უფალი ხომ შემოქმედია. განსაკუთრებული მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანები, კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, გვამოგზაურებენ ზოგჯერ ამოუცნობ მშვენიერების სამყაროში. ათასეული წლების განმავლობაში გვაოცებს რა შეუძლია ადამიანის ნიჭსა და გონებას, ყველაფერი წარმავალია მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნებაა მარადიული.

9. რომელი ნამუშევარი გიყვართ განსაკუთრებულად?

მხატვრის ყველა თავისი ნამუშევარი უყვარს. გამორჩევა ძნელია, ის ხომ შენი სულის ნაწილია.



წყვდიადიდან გასვლა

ზაფხულის მიწურული



სოკოები

მთვარიანი ღამე

მეტამორფოზა

მთის ყვავილები



აბსტრაქცია

პრელუდია



მინდვრის ყვავილები



თოვლიანი გზები



მზია

თეთრი ხე

განთიადი

წყალქვეშა მოცეკვავეები

მისტიკური ლანდშაფტი

გვირილები

ფარშევანგი

ნატურმორტი

აბსტრაქცია



თეთრი ქვები





მდინარის ნაპირი

სოფო

წყალქვეშა ჰარმონია

თეთრი ზმანება

10. იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა უნიკალური პიროვნება იყო, დიდი მოგზაური, რომელმაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას გააცნო საქართველო, მისი ხალხი და კულტურა.

სამწუხაროდ პირადად არ ვიცნობდი. სასიხარულოა, რომ ფუნქციონირებს ქ-ნ გულნაზი ხარაიშვილის თაოსნობით დაფუძნებული ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.

11. რას იტყვით ჟურნალ „ათინათზე“?

„ათინათი“ ძალიან კარგი ჟურნალია და კარგ ქართულ საქმეს აკეთებს. წარმატებას ვუსურვებ ჟურნალის დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს, შესანიშნავ ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს და მთელ შემოქმედებით კოლექტივს.

12. რამდენი პერსონალური გამოფენა გქონდათ?

პერსონალური გამოფენის გამართვა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს შემოქმედს, აქ ჩანს შენი მთლიანი სახე. მე ამას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. არც თუ ისე ბევრი პერსონალური გამოფენა მქონდა როგორც ჩვენ ქვეყანაში ასევე უცხოეთში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებსა და გალერეებში. ყველა გამოფენა წარმატებულია.

13. რას უსურვებთ მომავალ თაობას?

XXI საუკუნის საქართველოს ახალგაზრდობას ვუსურვებდი, თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის რთულ ეპოქაში, არ დაეკარგოთ ინდივიდუალობა, გაუფრთხილდნენ საქართველოს მის უდიდეს სიმდიდრეს ქართულ კულტურას. ჩვენი ქვეყანა ყოველთვის დიდი გამოწვევების წინაშე იდგა იმპერიები გაქენენ საუკუნეთა ქარტეხილში, საქართველო კი გადარჩა. ვინძლო ჩვენ ხელში დაკარგულიც დაგვიბრუნდება და ვისურვებდი კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩვენი სამოთხისებრი სამშობლო. ახალგაზრდობას იმედია ღმერთი არ მოუშლის ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას.

ლიზი ნადირაშვილი

ინტერვიუ იერო სხირტლაძესთან

მოგესალმებით ბატონო ილია, მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი ლიზი ნადირაშვილი

1 . ბატონო ილო გთხოვთ მიამბოთ თქვენი მშობლების შესახებ.

ჩემი მშობლები იყვნენ: არჩილ სიმონის-ძე სხირტლაძე და სონია სინოს ასული გონგლაძე. ისინი მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რაც ჩვენზე დადებითად მოქმედებდა. ვითვლებოდით მდიდარ ოჯახად.

2. რამდენი დედმამიშვილი იყავით?

ჩვენ ვიყავით შვიდი დედმამიშვილი, დედმამიშვილებს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, მყავდა ოთხი და ვაჟები სამი ვიყავით, ჩემი ძმა გოგი სხირტლაძე სამამულო ომში გაიწვიეს საიდანაც აღარ დაბრუნებულა ქერჩში ბრძოლის დროს დაიღუპა.

3. რა პროფესიის ბრძანდებით?

აგრონომი ვარ, უმაღლესი განათლებით, ჩემი სპეციალობით ვიმუშავე 1957 წლიდან. 1991 წლამდე თოთხმეტი წელი სამხრეთ ოსეთის ზნაურის რაიონის ბალთის მეურნეობაში ვიმუშავე მთავარ აგრონომად.

4. თქვენი მეუღლე რა პროფესიის იყო?

ჩემი მეუღლე მედიკო ფურცელაძე იყო უმაღლესი განათლებით, მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგი, მუშაობდა თბილისში მოდელების სახლში.



5. სიყვარულით შექმნილი ოჯახი გქონდათ?

დიახ! ჩვენ სიყვარულით შევქმენით ოჯახი, სიყვარულით ავღზარდეთ შვილები. ჩემი მეუღლე პირველად ჩემმა მამამ ნახა, თბილიში იყო ჩასული სამკურნალოდ, მეც იმ დროს ლექციებზე ვიმყოფებოდი, სახლში რომ დავბრუნდი მამამ მირჩია რომ შევხვედროდი მისგან ამორჩეულ სარძლოს მამას ხათრი არ გაუტეხე და შევხვდი, პირველ შეხვედრაზე დადებითი შთაბეჭდილებით დავბრუნდი სახლში, მერე კი ხშირად ვაკითხავდი და დაიბადა ჭეშმარიტი სიყვარული, ის გასულ წელს გარდაიცვალა, მისმა დაკარგვამ და მონატრებამ კალამი ამაღებინა და ლექსი დამაწერინა ოთხმოცს გადაცილებულ კაცს.

„ქალი მზესავით ნათელი, რომელიც ჟურნალ „ათინათში“ დაიბეჭდა.

6. რამდენი შვილი გყავთ?

მყავს ორი შვილი, მარინა და კახა, მარინამ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპის ენებისა და ლიტერატურის განხრით. ამჟამად მუშაობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მთავარ სპეციალისტად, რომელიც თანამშრომლებში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. ვაჟმა (კახამ) დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქ-ენერგიის სისტემაში, სხვადასხვა თანამდებობაზე.

7. ცოტა რამ კახას ოჯახის შესახებ.

მას ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე ნინო დოლიძე უმაღლესი განათლებით, იგი ამჟამად მუშაობს გაეროს ეროვნულ სააგენტოში მთავარ სპეციალისტად.

8. შვილიშვილები თუ გყავთ?

ერთი შვილიშვილი მყავს, კახასი და ნინოს ვაჟი ნიკოლოზი ათი წლისაა, იგი თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ განვითარებული ნიჭიერი ბიჭია, მჯერა მას დიდი მომავალი ექნება.

9. თქვენი სოფელი ახლოსაა ოკუპირებულ ტერიტორიასთან განიცდით არა?..

ჩემი სოფელი და პირადად ჩემი სახლის ჭიშკრის წინ უნდა გაიარონ რადგან სხვა ზნაურის რაიონის სოფელ წნელისის გზა არ არსებობს. ჩემი ნაკვეთების ოთხმოცი პროცენტი წითელ ზოლშია მოყოლილი, ნაკვეთებს ვერ ვამუშავებ, რადგან იქ გაკრულია ტრაფარეტი და აწერია ორას მეტრში ახლო მისვლა აკრძალულია. ძალიან მძიმეა ჩემთვის ომის გახსენება, რადგან შიში და მძიმე დღეები გავიარეთ მე და ჩემმა მეუღლემ ოსებმა დაწვეს ჩემი ბიძაშვილის სახლი და თხუთმეტი სული საქონელი გაირეკეს. სოფელში მოკლეს ნორა კვინიკაძე, დაჭრეს მისი შვილი და შვილიშვილი. სოფელში აღარავინ იყო, მხოლოდ ათმა ადამიანმა მივაბარეთ მიწას. გავიხსენებ ჩემს გვერდით დურმიშხან სხირტლაძის სახლი თვალით ვუყურებდი შეიარაღებულ ნიღბოსნებს, დატვირთეს მანქანა და წავიდნენ რამხელა ტკივილია მეუღლესთან ერთად უყურებდე ამ ამბავს და არ გქონდეს იმის უფლება, რომ სიტყვა მეთქვა, რადგან დაგვხოცავდნენ, იმ დროს მოკვა ჩემი კაცური ღირსება.

10. წლების გადასახედიდან, ყველაზე საუკეთესო მეგობარს ვის გაიხსენებდი.

ალბათ ვერ გამოვარჩევ, რადგან ყველას ოჯახს ვთვლი საიმედოდ და თბილ მეზობლად, მათთან ერთგულება და დიდი პატივისცემა მაკავშირებს.

11. იცნობთ ჟურნალ „ათინათს“?

ჟურნალ „ათინათის“ მკითხველი და მოყვარული ვარ, „ათინათის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა, ჩემი ლექსი, რომელიც ჩემი მეუღლის სიყვარულმა დამაწერინა.

12. საინტერესოა, რას წერდნენ „ათინათში“?

გეტყვით, რედაქტორმა მოკლე მიმოხილვა გააკეთა ჩემი ოჯახის შესახებ, მან საჭიროდ ჩათვალა ეს გაეკეთებინა, რადგან ის კარგად მიცნობდა, მიცნობდა, როგორც საზოგადო მოღვაწეს და არა კალმოსანს, ამიტომ იყო, რომ იმ ლექსის თავსათაურში აღწერა ჩემი პიროვნება.

13. მკითხველისთვის საინტერესო იქნება თქვენი თუ რედაქტორის სიტყვებით და თქვენი ლექსით დავამთავრებთ ინტერვიუს.

თუ თქვენ ასე თვლით საჭიროდ პატარა ანგელოზო, აი, ეს თბილი მაგრამ მაინც ტკივილიანი თემა... ჩემი ლექსის წინასიტყვაობის შთაბეჭდილებით დავიწყებ, რომელიც რედაქტორმა გააკეთა. აი, რას წერს ის:

სიყვარული მყარი და სათუთი იყო

ილია სხირტლაძემ, როდესაც სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტე დაამთავრა, თავისი ბედი დაუკავშირა მედეა ფურცელაძეს. ქალბატონმა მედიკომ დაამთავრა თუ არა ტექნიკური უნივერსიტეტი, სამსახური თბილისში დაიწყო. სხვადასხვა სპეციალობებმა შეყვარებული წყვილი კვირაობით დააცილა ერთმანეთს, მაგრამ მათი ურთიერთობა იმდენად მყარი და სათუთი იყო, ამით არაფერი იცვლებოდა. ქალბატონი მედიკო შაბათკვირა ჩამოვიდოდა სოფელში, ჩამოყავდა შვილები და პატარა მარინესა და კახას, ბებიისა და ბაბუის სიყვარულს უნერგავდა და უფროსებისადმი სიყვარულს ასწავლიდა. ოჯახსაც სისუფთავეს არ აკლებდა. მერე ისევ ბრუნდებოდა თბილისში, სადაც უნდა ემუშავა და შვილები უფრო კარგად აღეზარდა, ასე გრძელდებოდა წლობით სანამ პენსიაში არ გავიდა, მერე კი ქმრის სოფელში, ქარელის რაიონ სოფელ კოდაში დაიდო ბინა. ამ პერიოდში სამაჩაბლოში ომი დღითიდღე მწვავდებოდა, მაგრამ ქალბატონ მედიკოს ერთი

დღეც არ დაუტოვია ქმრის ოჯახი. მარინე ამჟამად თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკაში მუშაობს, მთავარ სპეციალისტად. კახამ უმაღლესი დაამთავრა, დაოჯახდა, არაჩვეულებრივი მეუღლე შეირთო და რძალმა (ნინომ) ოჯახს პატარა ნიკუშა აჩუქა. ნიკუშას ისეთი ნიჭი აქვს, გენიოსს ეძახიან.

ომმა და ასაკმაც გატეხა ქალბატონი მედიკო და ოთხმოცდაათი წლის გარდაიცვალა. ვინც ილო სხირტლაძის ლექსის თავსათაურს წაიკითხავს, შეიძლება თავისდაუნებურად გაიფიქროს, ოცდამეერთე საუკუნე არეულობით, ათასნაირი კატაკლიზმებით დაიწყო, ახალგაზრდები იხოცებიან და...

აქ კომენტარს არ გავაკეთებ, იმას კი ალალად ვიტყვი, უყვარდა, ცოლქმარს წმინდა სიყვარულით ერთმანეთი, და ტკივილმა და მონატრებამ 80 წელს გადაცილებულ პიროვნებას კალამი ააღებინა. ეს მისი პირველი ლექსია.

რედაქტორი

ასაკში დაწერილ ლექსს კი ამ სიტყვებით გთავაზობთ:

ქალო მზესავით ნათელო

(მედიკო ფურცელაძეს)

ქალო, მზესავით ნათელო,
იარებოდი ლხენითა,
მინდა რომ ლექსი მოგიძღვნა,
ჩემი მარჯვენა ხელითა;
ჩემთვის იყავი ამ ქვეყნად,
ულამაზესი ქალიო,
ისე ლამაზი იყავი,
არ გყავდა ტყუპისცალიო.
სპეციალობის მიხედვით,
მე სოფლად ვიყავ, შენ ქალაქს,
სიბერის ასაკს მივედით,

ჩემო ტკბილ–თაფლო, მზექალავ,
ოთხმოცდაათის წახვედი,
სიბერე შემომაწურე,
შენს ოთახში რომ გავედი,
ცრემლით თვალ–გუბე დავწურე,
მე შენს გარეშე არ მინდა,
სიცოცხლე ერთი წამითაც
მზე ისეც უკვე ჩავიდა,
სიზმრად მსურს გნახო ღამითა.
უფალმა ვიცი მიგიღო,
წმინდად იცავდი ქალობას.

მიყვარდი, მიტომ მოგტირი,
კვლავ შენგან მინდა წყალობა.
ჩემი და შენი მშობლები,
მწამს ტკბილად მოგეფერება
შენს საალერსოდ ძვირფასო,
პოემა დამეწერება
დამტოვე – ბევრი იწვალე,
დაგტრიალებდით ქმარშვილი
ვეცადე, ვეღარ გიშველეთ
და დავრჩით ბუდეაშლილი.

14. და ბოლოს რას უსურვებდით მომავალ თაობას?

მომავალ თაობას ვუსურვებ ჯამრთელობას, ურთიერთ მიმართ დიდ სიყვარულს და გამრავლებას. ყოფილიყვნენ საამაყო შვილები. ეცხოვროთ გამთლიანებულ საქართველოში და არ დაივიწყონ „ვისი გორისა არიან“.

ნუცა ჩიტაძე

ზღაპრიდან გადმოსული გოგონა გავიცანი, რომელსაც უზომოდ შეჰყვარებია პოეზია! მისი ნათელი, ჭკვიანი თვალები ლექსებად ამეტყველებულა და შემდეგ ეს უსაყვარლესი, გულიდან ამონაჟური სიტყვათა წყობა ფურცელზე პაწაწინა ჩქერალებად გადმოსულა, თავისი კალაპოტი მოუძებნია. ასე წარმომიდგენია ნუცა ჩიტაძის ლექსები, მისი მშვენიერი სახის ღიმილიანი მზერა სულსა და გულს მითბობს იმ რითმებთან ერთად, რომლებსაც უდიდესი მადლიერება და სიყვარული ახლავს თან, სიყვარული უფლის, ქვეყნის, დედის, მეგობრების, სამყაროს და სარკმლიდან დანახული პეიზაჟებისა! მაოცებს, თუ როგორი სისპეტაკითა და ალალი ბავშვურობით უხდის მადლობას უფალს ყველაფრისათვის! - ეს ყოველივე გვირგვინად გასდევს მის პაწაწა, მაგრამ სულიერად ძლიერ, ერთი სიფრიფანა გოგონას შემოქმედებას! რომელსაც ალუბლის ყვავილობას ვადარებ! დაგილოცავ გზას ნათელი და ზღაპრული პოეზიისაკენ!

ნუცა ჩიტაძეს

მისი ლექსების კრებულის რედაქტორისაგან.

ხათუნა ჩიტაძე

ჩემი წიგნაკი

ჩემს წიგნაკში ჩავწერ,
ფერად-ფერად ლექსებს,
და პირველი ფურცლიდან
მტკიცედ გავდგავ ფესვებს.
დაე! ბოლო ფურცლამდე,
სულ ყვაოდეს ია,
მოვქსოვ ლამაზ ხალიჩებს,
ლექსები რომ ჰქვია.

გაზაფხული

მზემ თვალები გაახილა
და გამოჩნდა სხივი,
დატრიალდა, დატრიალდა,
გამოფხიზლდა ძილიც.
მზემ კი ბაღი გამოპრანჭა,
გაზაფხულის მძივით.

დედა

მე ყველაზე ძალიან
მიყვარს ჩემი დედიკო,
ეს იმიტომ, რომ ის ჩემთვის,
სულ ყველაფერს დაიკლებს,
უნდა ვიყო ცნობილი,
ხელის გულზე მატარებს,
იმიტომ, რომ დედიკო,
ძალზე ხშირად მახარებს.

დედა

ყველაზე ლამაზ ყვავილს რომ ჰგავს,
ნეტავ ვინ არის, ნეტავ?
ყოველთვის სათნო და საყვარელი,
ჩვენი გამზრდელი დედა.
დედამ იწვალა ჩვენი გაზრდისთვის,
ღამე ათია, ნანა გვიმღერა,
და გაზაფხულის პირველივე თვეს,
მე მას მივუძღვნი ლამაზ სიმღერას.

გოგონა და ჩიტი

ქარი უბერავს
მიაქვს ფანტელი...
გოგონა: - რაო ბელურა,
ნუთუ არ გცივა,
გული არ გტკივა,
ამ ცივ მიწაზე?
განა ფეხები
არ გაგეყინა?
ჩიტი: - მაშ, არა მტკივა,
ამ ცივ მიწაზე?
მაგრამ რა ვუყო
ამ სიცივესა.

ჩემი ფეხები
ვეღარა მიძლებს,
უძლური გავხდი,
ამ ზამთრის პირსა.
გოგონა: - მე შეგიფარებ ჩემს თბილ ბინაში,
შაქარსაც გაჭმევ უტკბესზე ტკბილსა,
წყალსაც თბილს გასმევ, რომ უფრო გათბე,
ზამთრის ცივ დღეში გამოგაზამთრებ.
ჩიტი: - მადლობელი ვარ, ჩემო პატარა,
შენზე კეთილი არვინ არაა,
მაგრამ მირჩევნის გავუძლო ზამთარს,
სახლსა და შაქარს ნაჩვევი არ ვარ.

ჩემო სამშობლო

ჩემო სამშობლო მხარეო,
გულით და სულით მიყვარხარ,
დედიკოსავით ძვირფასო,
ჩემო ნათელო მხარეო.

მე მიყვარს შენი მთა-ბარი,
მორთული ყვავილთგულებით,
იხარე, იბედნიერე,
აქ გაჩენილი შვილებით.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს

მოვიდა თეთრწვერა ზამთარი,
და ხშირად არის ავდარი,
ნაძვები მისთვის მზად არის,
ახალი წელიც აქ არის.

ბურთებით მორთულა ნაძვის ხე,
თეთრ თოვლში ჩაფლული მწვანე ტყე,
მოსულა დეკემბრის ბოლო დღე,
გილოცავთ, გილოცავთ ახალ წელს!

გახსენება

გემინ გიორგის-ძე მაისურაძე



გემინ გიორგის-ძე მაისურაძე დაიბადა 1946 წლის 22 იანვარს ქალაქ ცხინვალში. დაამთავრა ცხინვალის I საშუალო სკოლა.

სკოლაში სწავლის პერიოდში გატაცებული იყო სპორტით და დასახულ მიზანსაც მიაღწია. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ველოსპორტში. იყო სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ველოსპორტში. სპორტთან ერთად ეწეოდა შრომით საქმიანობას. იყო გულთბილი .....

უყვარდა თავისი სამშობლო და ძალიან განიცადა ცხინვალის დაკარგვა. სიცოცხლის უკანასნელ დღეებში ანდერძად დატოვა, რომ დაეკრძალათ ქ. ცხინვალში, რომელიც ვერ შეუსრულდა არსებული მდგომარეობის გამო.

გემინი წავიდა და დაგვიტოვა დიდი ტკივილი, რომელსაც ცრემლთა წვეთები მოჰყვა. გიგონებთ გემინ და გული სევდით გვევსება – ნუთუ მართლა აღარ მოხვალ? ხომ ოცნებობდი რომ ცხინვალში მალე დავბრუნდებითო, მაგრამ...

ძალიან გვენატრები, მანდედან ილოცე შენი ოჯახისა და საქართველოსათვის.

ამალია საზანდრიშვილი

მილოცვა

ჯუმბერ ლეკვეკას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია და ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია ულოცავს საქართველოს მოსწავლეებს დაძველებულ სასწავლო წლის დაწყებას.

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი
უნდა იცოცხლო უწმინდესო.....2
მამა გაბრიელი 3
გიორგი და ხატია ლარიაშვილები, არჩილ სარჯველაძე
ჯვარცმა.....4
ბზობა.....5
მამა ამირანის მიმართვა.....7
გულნაზ ხარაიშვილი
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 7
მამა მერაბი.....8
სადაც შენი საყდარია მამავ! (მამა გიორგი თეთრუაშვილს).....9
სიკეთის წყარო (მამა ამირან ამირანაშვილს).....10
„ათინათო“.....11

პოეზია

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
*** უკარებავ და თავნებავ.....12
გადმოერია ღრუბელი.....12
სიცოცხლის მშვენიერებას.....12
*** თ-ოვს და ნაზდება თითქოს ბუნება... 12
*** შენ მოწყალე ხარ, სახიერი... 12
შენ ხარ მარადი იმედი მიწის.....13
პატარა ანგელოზების ნატვრა.....13
*** ჟამი, ნუგეშისმცემელი... 13
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა.....13
*** არწივი ჰკრავდეს კამარას... 13
მოეფერეთ პატარებს.....13

მამა ამირან ამირანაშვილი
ეპოქის ატანა.....14
მზეო.....14
შენ იხარე მხოლოდ და.....14
დიმა ჯაიანს 14
ჩხარის წყაროსთან 15
ლოცვა.....15
ნისლიანი საღამო 15

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე
სამყარო.....16
უკვდავება 17
კახა ბაციკაძე
სიტყვების ტანგო 18
ადამიანი.....18
გიორგი ზუხბაია
წყვდიადს.....19
გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი)
მზე გრძნეულ ვაზში!.....20
ათინათები ვიყავითდრო-ხანში გადაფრენისას 24
გალობა ზეცის უჩუმარი ღაღადისია.....26
მიდის ქარავანი გულთა მწუხარებით 26
*** ფრთები არწივის, ფრთები ქორის, ცათა ფრინველის.....26
ქარო, ქარო, ქარტეხილო! 28
ათინათო-ფრთაფარფატა გაზაფხულო! 28
ათინათის უწმინდესი ფერით 28

ჩავეკიროთ მამულს ფიცად 30
ლექსი უთქმელის თქმა არის, გალობად აკინძულია! 32
ვინმე №-ს 32
*** ჩალა-ბულებში შეფარვით... 33
გასაუბრება შოთა რუსთაველთან 33
მამა ამირან ამირანაშვილი
ბათუმი 2018 37
ბაბუ 37
მოძღვარი 37
ჩემო კალამო 39
ბათუმის საბუდარი 38
მიმდინარეობს ქვეყნის დაქცევა (XXI საუკუნე) 38
იმერული მოტივები 39
„ფუი ეშმაკს“ 39
ბროლის კოშკი 39
დათო ყანდაშვილი
მამა ღმერთის რჩევა-დარიგება ადამიანიების მიმართ
ტრანსფორმაციის შემდგომ 40
უკანასკნელი სურვილი მიწაზე 41
Прочувствие состояния блаженства 41
მზია ელიაძე
სევდის ფერებო 42
*** გოგო: – შორს, შორს ჩემგან.... 42
*** ჩამოივარცხნის მზე... 42
*** კეცა, კეცა, ვერ დაკეცა ქარმა... 42
*** ჩემს გზაგასაკვალ ბილიკებს... 42
*** შენ ხარ ჩემი ნატვრისთვალი... 42
მიყვარს! 43
ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე
*** მე ცის თვალებში... 45
ყაზბეგის მისტერია 44
უხილავი ბუნება 44
ევოლუცია 44
სულის ყვავილობა 45
გარდასახვა 45
მდუმარების ხმა 45
*** აბა რამდენად... 45
უშანგი მოსიაშვილი
შეგონებები 46
მუდამ ვფიქრობ 46
საქართველოს 47
სამშობლოს 47
ნუთუ დაკნინდა ქართველი ერი 48
რუსთაველს 49
ვისაც ამ ქვეყნის ტკივილი 49
ზეინაბ ასისტიშვილი
ქართული სუფრა 50
პირველ ნაბიჯებს 50
ხეივნის ქვეშ 50
წლები ბავშვობის 50
ჩიტუნების მზადება 51
ფიქრი და ხატება 51
განშორება 51
ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი
ჩემი დედიკო 52
ჩემი ლამაზი კახეთი 52
ჩემს ელენეს 52

ლამარა 53
კახელი ვარ 53
პატივისცემით ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს 53
უნდა დაისაჯოს 53
გურამი 53
ლამზირა შეყილაძე
ვარ მისი მონა 54
უბრად და ცივად 54
შენი მადლია მიწყივ უფალო 54
*** ზღვა, იყო დიდი, უფრო-რე დიდი... 54
*** ბრბოთა სიბრმავემ, ვერ დამაპურა... 54
*** მღვრიე ცხოვრების ცრუთა დინებამ სად არ მატარა... 54
დამიბრუნდები 55
შენი ნეკნია 55
უსამართლობას ვერ გაპატიებ 55
სიცარიელეს ვებღაუჭები 55
*** ცხოვრება ფუჭად, რომ გეხარჯება... 55
იზა ჭიკაიძე
ცხოვრების გზის მკვლევარს 56
სტუმარი მოხუცის ფიქრები 56
ნუ ცრუობთ 56
ცრემლი და წვიმა 57
გურამ ჭავჭანიძე
არ დაგავიწყდეს! 58
ჰიმნი სამშობლოს 58
ძველი და ახალი რვეულებიდან 58
აბდალი 58
როგორ არ მეთქვა 58
*** არა მგონია, იყოთ მართალი... 58
სასაცილოა 59
თბილისი-ქალაქში 59
ჩემი ბედაურები 59
ვერ შეველიე 59
ქართველ ქალებს! 59
თეა კანდელაკი
მონოლოგი 60
ფარსის ბიჭუნავ, დაუკარ სანჯი 61
დაე, აიჭრას ცად ჩემი სული! 61
ავთო ხარაიშვილი
ზეცა კახეთის 62
13 ივნისი 62
სიყვარული საჩვენო 62
შენ რომ წახვალ 63
ეკლესიის გვირგვინი 63
ლეილა ვადაჭკორია
მეომარი ქალი 64
ცისკრის კარი მეხსნება 64
ისეთ სიყვარულს გაჩუქებ... 64
არ შეკრთე 64
**** შენი ტკივილი გამანდე 65
დედამიწაო... 65
ჭორიკანა 65
რწმენით ურყევითა 65
ვერ ისვენებს გონება 65
ტყის მეგობარი 65
***კვირტი იყო და დაღვინდა 65
ნაირა ნიჟარაძე

შრიალა ცაცხვი 66
ჩემო მამულო 66
ვაზი 66
ჩვენ და ღვთისმშობელი 67
გიორგობის დღესასწაულზე 67
ვაზო, კეთილო 67
ისევ აფხაზეთისკენ 67
სჯობს გაისარჯო 67
ნათდება 67
მეგობარო 68
გელათის აკადემია 68
***თუ სიხარულის გაჩნდა ნიავი... 68
შვიდი დანი თბილისელნი 68
ქალი 68
მზეო 68
ხიზანი 69
თხოვნა 69
მშობელი მიწა 69
ჯარისკაცებს 69

მანანა ზაზიკაშვილი

მიყვარხარ ჩემო ქვეყანა 70
მამულო თუ დაგჭირდები 70
რა დამავიწყებს დარიალს 70
თბილისს უხდები 70
ხალხი ვართ ფოლადისაო 71
თოვლიანი ზამთარი 71
მტკვარო 71

ნუკრი ლობჟანიძე

***წარსულის დაღმართებს ვიხსენებ... 72
სენტიმენტალური წერილი 72

მანანა მიქაძე

საქართველო 73

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

გორი 74
მარიამს 74
თამარის იავნანა 74
ჩასჭიდებია 74
*** კამელია მომეფერა 74
ფელიდან საქართველოსთვის 75
გულნაზი ხარაიშვილს 75
კობა ხეჩიკაშვილს 75

ჯულიეტა ცაბაძე

* * * ვინ იცის ბედი ვის რას გვიმზადებს 76
აკროსტიხი "უფალო დარჩი ჩემთან." 76
* * * საქართველოში,სადაც ქუხდა არმაზის კულტი... 76
* * * ჩვენ თვითონ ვხატავთ ჩვენი ცხოვრების თითოეულ წამს... 76
* * * მე შენ მოგიძღვნი ყველა სიმღერას... 73

ბეჟან ხარაიშვილი

* * * ისევ გინატრე ყვავილობისას... 78
სიზმარი 78
* * * ცა რომ მტრედისფერობს... 78
სიყვარული იწყებოდა ასე 79
ეს ცხოვრება 79
სხვაობა 79
გამოთხოვება 79
* * * ისევ ჩაიზნიქა ფიჭვის ტოტი და... 79

გვანცა ხარაიშვილი

სანამ ჩუმად ვართ 80

გულნაზ ხარაიშვილი

ბედისწერა 82
სულ გახსოვდეთ... 82
ცაში გაშლილი ნინოს ხელი 82
ფუტკარო 82
და მაინც... 82
პროექტის ავტორი 83
ჭიანჭველავ 83
ვფრთხილობ 83
ჩამოვისვენე 83
შენ ხარ 83
ისე 83
ისევ 83
ჩემი გული 83
ლექსო 84
თუ ვიცოცხლე გენაცვალე 84
ანა 84
შენს ლამაზ სულში 84
რამდენ ღამეს 85
გათხოვდი 85
ჩემს ჭიკჭიკა მერცხლებს 85
შენს ეზოში 86
ჩვენი შვილები 86

ახალი ლექსები გიორგი სააკაძეზე

დავით შემოქმედელი

დიდ მოურავს 87

გურამ გედევანიშვილი

პაატა სააკაძეს! 87

მურად ჭოლოკავა

გიორგი სააკაძე 88
წინაპრის საფლავთან 88
გიორგი სააკაძის გამოძახილი 88
პაატას გზავნილი სამშობლოსადმი 88

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

გიორგი სააკაძეს 89

ანზორ ჯაფარიძე

სააკაძეებს 90

ნაირა ნიჟარაძე

წარწერა თამარ მეფის გულსაკიდ ჯვარზე 92
ანე-ხათუნი 92
„ჯორჯიენ პრინცეს – ბუბუ ჯაიანი“ 93

ამირან ამირანაშვილი

პაატა სააკაძეს 94
წარსულის ამაგის შეფასება 94

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

მარ ბაჯიევი (პოემა) 95

Ratiani Lali

Weg des Ruhmes Fortsetzung 100

პროზა

რევაზ მიშველაძე

წამება 107

გარი ჩაფიძე
სიყვარულის ლაბირინთი. სიყვარული 116
გულნარა შოთაშვილი-ტაბატაძე
* * * 122
თეა კანდელაკი
ნეშომპალა 126
სრულყოფილება 127
გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)
აი, გულშემატკივარი! 128
„არა, შვილი, მეჩქარება“ 128
ამბავი რატის უძლურებისა 129
„ავტობუსმა ჩაიარაააა!..“ 129
სერგი ლომაძე
ბოლო აკადემიური ღონისძიება 130
ლუარა სორდიას ახალი წიგნის პრეზენტაცია 132
ანზორ ჯაფარიძე
აღსარება 135
ღმერთო ნატვრა მანატრე და ნატვრა შემისრულე. 138
მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს. 138
შეიძლება მრავალ ენაზე ლაპარაკობდე, მაგრამ მხოლოდ ერთ ენაზე უნდა
აზროვნებდე, მშობლიურზე. 140
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს
საქართველოს ეკლესიების მღვდელმსახურებს! 145
ხათუნა ჩიტაძზე
საბიბლიოთეკო კვირეული ქალაქ ხაშურში 152
ხაშურში არსებული სტუდია „ჯადოსნური ქალაქი“ 153
მზეგული ტყეშელაშვილი
შელოცვა ღამე 155
ნინა ბებია 156
ზოგი ჭირი 157
ბატონების სტუმარი 158
ლეილა გაფრინდაშვილი
ხალისიან-სევდიანი ფერები 259
თამაზ ცაბუტაშვილი
მათხოვარი 161
ციცინო ჩხაიძე
ანბანური ინტეგრალები 167
ჯუმბერ ლეჟავა
დიდი მოგზაურობა 269

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე
საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში 173

ხელოვნება

მზიური დათიაშვილი-აფციაური
ნამდვილი ამბავი. ოჯახი 177

ლია ბალანჩივაძე
სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა წინასაკონცერტო რეპეტიციის საკითხისათვის 181

გოგი ფაცაცია, სიმონ ზაქარაია
სად იყვნენ იმ პერიოდში ჩვენი წინაპრები პელაზგები და კოლხები? 184
გულიანა ხანოძის ბენეფისი
გაგა გომართელი

პოეტის დედას 192
ჰარმონიულადაა შერწყმული 194

ინეზა კიკაბიძე, ჟურნალისტი
სიხარული, რომელიც მინდა გაგიზიაროთ 196

მურმან გელენიძე
გზა ტაძრისაკენ.... 197
ვულოცავთ! 199
გაზეთ „ხონის“ რედაქცია. სცენის დედოფალს, გულიადა სანოძეს 199

მედიცინა

ავთანდილ კურდღელაძე, ფერია კურდღელაძე
ადამიანთა დაავადებები და მისი ფიტოთერაპია 201

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი.
სულიერ ფასეულობათა ანბანი. ოჯახი 206

წერილები

ტიტე მოსია
„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხისათვის მე-19 საუკუნეში 209

ლუარა სორდია
ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებული.
„ველი“ გალაკტიონის სახისმეტყველებაში 215

ლია წურწუმია
კულტურის არსი 219

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
პლატონური სიყვარული 226

Lali Ratiani
Semantische Verbindungen und distributionelle Eigenschaften der sprachlichen Einheiten im Deutschen 235

ისტორია

ნიკო ხერკელაძე
ქართველები ირანში
ქეთევან დედოფლის წამების შემდგომი პერიოდი მარტყოფის ბრძოლამდე 240
ზურაბ ერისთავი, საიმედო დასაყრდენი მარტყოფის ბრძოლაში 241
გამოცხადება ანტონ მარტყოფელისა 244
დადებულია უზენაესი ფიცი – დღე ხარება 246

ოჯახური გენეოლოგია

მ. დათიაშვილი-აფციაური
წიგნმა მაპოვნინა! 250

ვასილ სერგოს ძე ხაჩიძე
ფაშისტურ ჯურღმულებში 255

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, ანუკი შუბითიძე
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სახეები საქართველოში და მათი ემისიის ანალიზი 259

ნოდარ ხარაიშვილი
ბანკის საიმედოობის რეიტინგული შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის მიმართულებები 264

სოლომონ სამხარაძე
სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 268

ჯუმბერ ხარაიშვილი
საჯარო ფინანსური პოლიტიკა თანამედროვე პირობებში 272

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა
ერთეულოვან Sk-1 სფეროზე ლაპლასის განზოგადოებული ოპერატორთა სახეები..... 276

ლალი ქელბაქიანი
საგანთაშორისი კავშირები და მათემატიკის როლი მის განხორციელებაში 278

შემეცნებითი სამყარო

მამა ამირან ამირანაშვილი
საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ.
არსობრივი განსხვავებანი მართლმადიდებლობასა და რომაულ კათოლიციზმს შორის..... 280

ადამიანები, ურთიერთობა

წმინდა მამათა დარიგებანი 284

ნორჩი ათინათელები

ნათია ჯანგავაძე
ინტერვიუ გურამ ცერცვაძესთან 287
ლიზი ნადირაშვილი
ინტერვიუ ილო სხირტლაძესთან..... 293
ნუცა ჩიტაძე
რედაქტორისაგან. ხათუნა ჩიტაძე 296
ჩემი წიგნაკი..... 297
დედა 297
გაზაფხული 297
დედა 297
გოგონა და ჩიტი..... 297
ჩემო სამშობლო 297
გილოცავთ დამდეგ ახალ წელს..... 297

გახსენება

გემინ გიორგის-ძე მაისურაძე..... 298

მილოცვა

სასწავლო წლის დასაწყისის მილოცვა ჟურნალ „ათინათის“ რედაქციისაგან 299

ავტორთა ყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.
790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას ხატი დედა ღვთისმშობელი და გარეკანის მეორე გვერდზე ნიკო ხერკელაძის სურათი „პაატას მხრებზე დაკლული სიცოცხლე“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი და ალადინ გარაბაგლი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული
აკადემიის ვიცეპრეზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი.
საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე და თამარ სხირტლაძე
ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.

ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

IV დონის აკრედიტაციის მქონე ზაპოროჟიეს ეკონომიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინსტიტუტის წარმომადგენლობა საქართველოში

www.kavkasia1.ge

ПРЕДСТАВИТЕЛЬСТВО В ГРУЗИИ ЗАПОРОЖСКОГО ИНСТИТУТА ЭКОНОМИКИ И ИНФОРМАЦИОННЫХ ТЕХНОЛОГИЙ С АККРЕДИТАЦИЕЙ IV УРОВНЯ

IV SƏVIYYƏLI AKKREDITASIYA ILƏ GÜRCÜSTANDA ZAPOROJYE VƏ TEXNOLOJI MƏLUMAT İNSTITUTU

IV დონის აკრედიტაციის მქონე ზაპოროჟიეს ეკონომიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინსტიტუტიამზადებს ბაკალავრებს შემდეგ სპეციალობებში

- სამართალი
- საერთაშორისო ეკონომიკა
- მარკეტინგი
- მენეჯმენტი
- საგადასახადო საქმე
- წარმოების ეკონომიკა
- ფინანსები და კრედიტი
- აუდიტი და აღრიცხვა
- კომპიუტერული ტექნოლოგიები
- კომპიუტერული სისტემები და ქსელები
- სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა
- სამშენებლო კონსტრუქციების ტექნოლოგია
- ფილოლოგია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)

ინსტიტუტში ჩასაბარებლად საჭირო საბუთები

- განცხადება
- ატესტატი, ატესტატის დანართი 2 ეგზ. (დედანი)
- სამედიცინო ცნობა (ფ.100)
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
- პასპორტი
- დაბადების მოწმობა
- 10 ფოტო 3x 4, დისკით
- ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი უკრაინულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიულად

ინსტიტუტში მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა

ЗАПОРОЖСКИЙ ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ И ИНФОРМАЦИОННЫХ ТЕХНОЛОГИЙ ГОТОВИТ БАКАЛАВРОВ ПО СПЕЦИАЛЬНОСТЯМ

- Правоведение
- Международная экономика
- Маркетинг
- Менеджмент
- Налоговое дело
- Экономика производства
- Финансы и кредиты
- Учет и аудит
- Компьютерные технологии
- Компьютерные системы и сети
- Промышленное и гражданское строительство
- Технология строительных конструкций
- Филология (английский, немецкий, французский)

Необходимые документы для поступления в университет

- Заявление
- Атестат, приложение к атестату в двух экземп. (оригиналы)
- Медицинская справка (ф. 100)
- Удостоверение личности
- Паспорт
- Свидетельство о рождении
- 10 фото 3x 4, с диском
- Все документы должны быть переведены на украинский язык и заверены нотариально

В институте функциунирует степень Магистра

IV SƏVIYYƏLI AKKREDITASIYA ILƏ GÜRCÜSTANDA ZAPOROJYE VƏ TEXNOLOJI MƏLUMAT İNSTITUTU NÖVBƏTI IXTISASLAR ÜZRƏ BAKALAVR HAZIRLAYIR

- Hüquq
- Beynəlxalq Ekanomika
- Marketinq
- Menecment
- Vergiödəmə işləri
- İstehsalat iqtisadiyyatı
- Maliyyə və kreditlər
- Audit və mühasibat
- Kompüter texnologiyaları
- Kompüter sistemləri və şəbəkələri
- Sənaye və Müki tikinti işləri
- Tikinti strukturları texnologiyası
- Filologiya (İngilis , Fransız, Alman)

Universitetə daxil olmaq üçün lazım olan sənədlər

- Ərizə
- Atestat , Əlavə 2 nüsxə. (Əsli)
- Tibbi arayış (f. 100)
- Şəxsiyyət vəsiqəsi
- Pasport
- Doğum haqqında şəhadətnamə
- 10 şəkil 3x 4, disk
- Bütün sənədlər notarial qaydada Ukrayna dilində tərcümə olunmalıdır

Universitetdə magistr proqramı müvafiq ixtisaslar üzrə fəaliyyət göstərir

საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე:
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი #1
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი #47

Документы принимаются по адресу:
Грузия, г Тбилиси, Просп. Ак. Церетели №1
Грузия, г Тбилиси, Просп. Ал. Казбега №47

Ünvanında qəbul olunur
Sənədlər: Tbilisi, Ak. Tsereteli prospekti # 1
Tbilisi şəhəri, Al. Kazbeki pr.№47

ტელ: Тел: Tel:

322181904; 322180518; 322181997; 322181874
577423978; 558299010; 599617259; 599517131;
597516519; 599290097; 599588537; 555958958

www.kavkasia1.ge

www.kavkasia1.ge

მხატვარი: ნიკო ხერკილაძე

პაპატას მხრეებზე დაკლული სიცოცხლე

ბექან ხარაიშვილი

ΜΡ
ΘΥ
ΙΕ: ΧΕ: